

ISSN 0235-8417

7

2015

par al el i

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

სალიტერატურო-სამეცნიერო ჟურნალი

parallel



7

2015

UDC-უაკ  
001.92

---

---

მთავარი რედაქტორი: **revaz mi Svel a Ze**

სარედაქციო კოლეგია: მერაბ ახოზაძე  
გიორგი გაჩეჩილაძე  
ჯემალ გახოვიძე  
გიორგი კულდონაშვილი  
ვახტანგ დავითაია  
ივანე თვალავაძე  
იგორ კვესელავა  
ჰენრი კუპრაშვილი  
შალვა ნაჭყებია  
ვაჟა პაპასკირი  
გიორგი სალუქვაძე

**სოსო სიგუა**

*(რედაქტორის მოადგილე)*

არჩილ ფრანგიშვილი  
ქეთევან ქოქრაშვილი  
რუსუდან ქუთათელაძე

**ბადრი ცხადაძე**

*(პასუხისმგებელი მდივანი)*

თემურ ჯაგოდნიშვილი  
მეუფე ანანია ჯაფარიძე

ყდის დიზაინერი **ვახტანგ დავითაია**  
კომპიუტერული უზრუნველყოფა **ნონა ცაბაძე**

---

---

მისამართი: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი  
კოსტავას 77, VI კორპუსი, VI სართული, ოთახი 603ა  
ტელ.: 577 42 54 72; 597 09 21 48;  
ვებ-გვერდი: [www.jurnali-paraleli.gtu.ge](http://www.jurnali-paraleli.gtu.ge)  
ISSN 0235-8417; E-mail: [jurnali-paraleli@mail.ru](mailto:jurnali-paraleli@mail.ru)

## გთავაზობთ:

### poezi a

გივი აბესაძე .....	5
მარი ლონდარიძე .....	11
ია ბურდული .....	14
ირმა კეცხოველი .....	16
ქეთი ორჯონიძე .....	18
ნელი ქველაძე .....	20

### proza

ზურაბ ჯობარიძე .....	28
როზა გაფრინდაშვილი .....	26
ელენე დემეტრაძე .....	37

### dramat urgi a

რევაზ მიშველაძე .....	52
-----------------------	----

### weri l ebi

იგორ კვესელავა _ ქართული კონსტიტუციის გზა (წერილი პირველი) .....	63
რევაზ მიშველაძე _ რატომ უნდა ისწავლებოდეს კულტუროლოგია ყველა სასწავლებელში .....	79
ბადრი ცხადაძე, ავთანდილ სონღულაშვილი _ ქართული ენის ბედი და უბედობა .....	86
ბადრი ცხადაძე _ მეტალურგიიდან ქართველოლოგიამდე (პროფ. რაულ გვეტაძე _ 80) .....	107
გელა ღვინევაძე _ ენათა წარმოშობის საკითხი და პროჟექტორების მეთოდი. ....	114
თამარ ბლიაძე _ ქართული ცეკვის აკომპანიმენტის პრობლემები .....	122
გურამ გვენეტაძე _ არა ორიგინალური, არამედ თარგმანი .....	127
გიორგი (იური) ბიბილეიშვილი _ ცხოვრების გაკვეთილები (წერილი მეექვსე). .	129
ნათია დავითულიანი _ პოლიტიკური თანაარსებობის ისტორიული წანამძღვრები საქართველოში .....	150
დავით ჯოჯუა _ ევრაზიული კავშირის იდეა .....	156
მარიამ გაბუნია _ კიდევ ერთხელ უილიამ შექსპირის ვინაობის დადგენისათვის .	162
ნაზი ხანიაშვილი _ ქართული ანბანი სომხების შექმნილი არ შეიძლება იყოს! . . .	167
გიული მურადაშვილი _ ერთიანი ხედვის პრინციპი და ნიგმე .....	175
ეკა ცხადაძე _ ჩვენი დღეების პროზა (წერილი პირველი) .....	178

<b>დემურ კახურაშვილი</b> _ რწმენა და რელიგია ბლუზ პასკალის „აზრებში“ . . . . .	<b>192</b>
<b>ნოდარ სტეფანიშვილი,</b>	
<b>ზურაბ ჯოხარძე</b> _ აბრეშუმის საქართველოში _ წარსული და დღევანდლობა . .	<b>199</b>
<b>გიორგი პოპიაშვილი</b> _ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა	
პოლიტიკური ორიენტაციის გზაგასაყარზე . . . . .	<b>202</b>
<b>სოფიო ფეტელავა</b> _ თარგმნის სტილისტიკის კვლევის საგანი . . . . .	<b>209</b>
<b>თეა ჯღარკავა</b> _ პოეტიკის ზოგიერთი პრობლემა . . . . .	<b>213</b>
<b>სოსო სიგუა</b> _ ფასკუნჯი _ მფრინავი ვერძი . . . . .	<b>222</b>
<b>თამაზ ბიბილური</b> _ ქართველი ერი და ეროვნული მოძრაობა . . . . .	<b>233</b>

## i n t e r v i u

<b>ვახტანგ დავითაია</b> _ ვურჯევ ხელისუფლებას . . . . .	<b>250</b>
---------------------------------------------------------	------------

## r e c e n z i a

<b>ბადრი ცხადაძე</b> _ სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური პარადიგმებისა და დილემების შუაგულში (რეცენზია პროფ. ი. კვესელავას წიგნზე: „საქართველოს სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური პარადიგმები და დილემები“, თბ., 2014) . . . . .	<b>258</b>
<b>ბადრი ცხადაძე</b> _ ქართველური სახელების ბრუნების პარადიგმა . . . . .	<b>262</b>
<b>მურმან თავდიშვილი</b> _ მწერლის მრავალმხრივი პორტრეტი . . . . .	<b>265</b>
<b>რედაქციისაგან</b> . . . . .	<b>268</b>

## n a T a r g m n i

<b>სანიტირო ნაკამურა</b> _ გზა ტაძრისაკენ (თარგმნა <b>მერაბ ჩაჩავამ</b> ) . . . . .	<b>270</b>
-------------------------------------------------------------------------------------	------------



✎ *givi abesaZe*

qarTul o miwav

დამანთული ხარ, როგორც ძუძუ დედოფალისა,  
დაჩეხილი ხარ, როგორც მთაში მღვდელი თევდორე,  
გაყიდული ხარ, ვით მამლუქი შენივ ხელისგან,  
გადამწვარი გაქვს ღალატისგან ციხე და ყორე.

ნაწამები ხარ, ვით სხეული შუმანიკისა,  
გაჩეხილი ხარ, როგორც ვაზი კახეთის ველზე,  
არ დაჩოქილხარ, ხმალს შეაკვდი თათრის შაჰისას  
და სისხლი დაგდის ახლადწაჭრილ პაატას ყელზე.

ჩაკირულია შენს გულ-მკერდში გმირთა მკლავები...  
და კრწანისის ველს სისხლისფერი მოსდევს ყაყაჩო,  
ცხრა ძმას იმდენი დაულეწავს ფარი და ხმალი,  
რომ შეაგროვო, მტერთა მოდგმას შიშით დაახრჩობს.

შენ უკვდავი ხარ როგორც წილი მარიამისა,  
დალოცვილი ხარ წმინდა ნინოს ნაკურთხევ ჯვარზე,  
დედოფალი ხარ – თამარივით დამშვენებული  
და ასხლეტილი იალბუზად კავკასის მთაზე.

# s a q a r T v e l o . . .

ცას რომ ახედო შენს ლაჟვარდებში,  
ცისფერი ადევს ცას,  
ზღვას რომ ჩახედო შენი თვალებით,  
ზღვისფერი ადევს ზღვას...  
მიკვირს, ასეთი ზღვის და ცის ფერი,  
ნეტავ, თუ ვინმეს აქვს.

რომ ჩებდნენ შენში ვაზს \_  
ახლად დარგულს,  
და მოკლულს კლავდნენ კვლავ,  
რა ახარებდა მუხლებდამტვრეულს  
მე ეს მაკვირვებს კვლავ.

დედის ძუძუს რომ წოვდნენ „ლეკვები“,  
თან რომ ლესავდნენ ხმალს  
მტლად რომ გაჰქონდათ ხმლით ბრძოლის ველი,  
რამ გამაკვირვოს სხვამ?

სისხლით რომ გქონდა გული ავსილი,  
მოჰგავდი დაკოლულ ხარს,  
წყვეტადი ჯაჭვებს რომ მიგაჯაჭვებს,  
უკვირდათ ფარს და ხმალს.

რომ მოდიოდა ნინო შენს მთებში,  
რომ გაჩნდა „ნინოს ტბა“  
მაკვირვებ მიწის მადლი ამდენი,  
სადა აქვს ცრემლებს ტბა?

რომ აღმერთებდნენ ქალს შენში ცამდის  
თამარ დედოფლის თვალს,  
მხრებზე რომ ესვათ ლომებს მაისი,  
უკვირდათ მთას და ბარს!

ვინ გამაკვირვოს ვარძიის მერე,  
სცნობს ნიკორწმინდის „ქნარს“?  
სიონს გადარგულს \_ ბოლნისში ჩარგულს,  
გელათში ქონგურს ... ხრამს?

მიწა რომ გქონდა ერთი მტკაველი  
და უსასრულო ცა...  
რომ შეაერთეს სვეტიცხოველით  
სხვამ რაღა უნდა თქვას?

გამიკვირდება კაცის სახელი  
დავითის მერე კაცს,  
ნიკოფსიიდან დარუბანდამდე  
რომ არ აგებდა ხმალს?

ვახტანგის მერე, გიორგის მერე  
ხმას ვინლა დასძრავს ხმას,  
მამა თევდორეს, ცხრა ძმათ ხერხეულთ,  
და ათას გმირებს სხვას?

ვინ გამაკვირვოს ქვეყნად სიმღერით,  
ცეკვით – ფრენას რომ ჰგავს?  
შენში „ლილეოს“ მთები მღერიან,  
რალა შევკადრო მტკვარს?

ცამ აიტაცა სმენად „ჩაკრულო“  
უსმენს კოსმიურ ქნარს,  
იყოს „მზე შინა და მზე გარეთა“  
ვის უმღერია სხვას?

ვით სასიკვდილოდ შეფიცულები  
ხმლებით კაფავენ ფარს,  
რომ ჩაჩეხავენ ხმლებით „ყაზბეგურს“  
თერგი მოცეკვავს მას.

მზითა და მთვარით რომ წერდი ანბანს,  
ანს, ბანს, განს, დონს... და სანს,  
რომ უკვდავება წილია შენი  
არ მიკვირს, მასშიც ჩანს...

რომ აქ შეყრილა „გუნდი ვარსკვლავთა“  
ცას ეკვირვება ცას,  
ვინ დაიტევდა მთაწმინდის გარდა  
ამდენ გოლიათს სხვა?

რომ საქართველო არის ედემი,  
მის მიწას ვკოცნი... ცას,  
რომ მთაწმინდაა სული პოეტის,  
არ მიკვირს, არა, მწამს!!!



# samSobl ov Cemo

სამშობლოვ ჩემო! შენი მთა-ბარი,  
ყანა-ვენახი, კალო თუ სერი,  
მიწა თუ წყალი, ციხე თუ კოშკი  
დაჭრილი გმირის სიმღერას მღერის.

მკლავებს გაჭრიან სააფხაზეთოს,  
გულში დაჭრილი გყავს მაჩაბელი...  
საშენებელი გვაქვს სვეტად ცხოვლად  
კედლები ციხის, ლიბო და ჭერი.

სამშობლოვ ჩემო! სამღეველია  
შენს დასაჯიჯგნად მოსული მტერი...  
წილს ვის დაუთმობს მარიამისას  
ხმლით შეაკვდება ქართველი ერი.

სამშობლოვ ჩემო! გაუტეხელო!  
ხმალი გავლესოთ უნდა ბებერი...  
მედგრად დავმახოთ „ბრძოლის ყიჟინა“  
თავს განაცვალებს ერი და ბერი!!!

## 9 april i

ვიღაცა ისვრის...  
ტბორები სისხლის...  
ხმა განწირულის...  
გოდება ისმის,  
კვნესა \_ დაჭრილის \_  
„ართმოზა მისხლის,  
იოტი მიწის,  
გატეხა ფიცის,  
რჯულის... არ ვიცი.

ჰა, ჩემი სისხლი  
ძმავ, გადაისხი,  
და ხმალ-კაპარჭი  
მედგრად აისხი!“  
სასაფლაოდან ხმაური ისმის...  
დაბუდებულა ირგვლივ დაისი...  
კვლავაც დადგება ცეცხლის მაისი...  
ფარდას აახვეს დაისს აისი!!!

# v a z i

ვაზია \_ ჩემი სამშობლო!  
მუხლებში გადამტვრეული,  
ათასჯერ ფესვებათხრილი \_  
აჭრილი \_ აოხრებული,  
ბევრჯერ ნატანჯი \_ ნახმლევი,  
გულ-პირი ჩამოხეული,  
ომში ნაცადი \_ უდრეკი  
სისხლი ცრემლებად ნთხეული,  
ათასჯერ დამარცხებული  
ვერასდროს მონად ქცეული!

ათასმეერთედ აღმდგარი \_  
ამაყი, ვერ წაქცეული!!!  
ახლა, თვითონ ვარ სამშობლო,  
მუხლებზე წამოწეული!!!  
ერთ დროს მტრის ხელით მოსრილი  
მტლად-ნაცართუტად ქცეული,  
ხშირად ცრემლების ნადენი,  
ქართველი კაცის ძეული!

ბევრჯერ მამლუქად წარსხმული  
ყოველთვის თავდაღწეული,  
გადაწვენილი, აღმსდგარი  
უკვე ვენახად ქცეული.  
ახლა ვაზი ვარ! ჭარმაგი,  
რამდენ ომს გამოწეული,  
ქართველ კაცისგან ნალოცი!  
ამაყად, დრო მოწეული!

ბევრჯერ მოკლული, დაჭრილი,  
სისხლში ვარ ამოწეული,  
ღვთისგან შობილი, უკვდავი,  
ვერვისგან დამონებული!!!

# metexTan

მზემ დაასრულა მთებთან ჯვრისწერა,  
ცამ შეიფერა ვარდების ფერი,  
ტაბლას მიუსხდა გუნდი ვარსკვლავთა,  
დასვეს თამამად მთვარე – ძლიერი.

აწვიმეს წვიმა, აქროლეს ქარი,  
ატალღეს ტალღა, აელღეს ელვა,  
ამეხეს მეხი, ანათეს მნათით,  
დააწყებინეს თეთრ ღრუბლებს ქელვა.

გათანგულეზმა შეივსეს თასით,  
კათხებით შესვეს, შეეძლო ვისაც.  
აღმართულეზმა, ზეცის სანთლებით  
ღმერთს შეავედრეს ქართული მიწა!

არ დაიტოვეს არც ერთი თხოვნა...  
და უკვდავების ფიალა ავსეს,  
ვანთებდი სანთელს მეც შენზე ლოცვით  
და ცისკარს შევხვდი მეტეხთან ასე.



*ღ mari / ondarize*

ჩამიხმა სული,  
 გამოფიტულ ხეს დავემსგავსე.  
 ცეცხლის ალების  
 შემოტევა  
 ყოველ  
 ცისმარე?  
 ყოველ ცისმარე  
 გადალევა,  
 ჩაწნა, ჩაგრიხა,  
 ვის დავეჭიდო,  
 ვის ვეომო  
 ასე ცალხელამ.  
 ფეხქვეშ გათელილ  
 ყვავილივით მივეკარ მიწას,  
 გულში მასობენ,  
 მამადლიან  
 ეკალს თუ ფიწალს,  
 მიდი-მოდიან  
 თითქოს გზა ვარ,  
 თითქოს ბალახი,  
 მოკვდავისაგან მოზელილი  
 ბერწი ტალახი.  
 ვედარ გაუძლო შეტევას და  
 გულმა მიწივლა:  
 მზეს, მზეს გართმევენ,  
 ნაჭუჭმივე გკლავენ  
 წიწილას!

\* \* \*

ჩამოიცრემლა ფოთოლი ხიდან,  
 ჩამოიტანა ჟამის სიყვითლე,  
 სულის სიმშვიდეს ფოთოლი ზრდიდა,  
 რაც ჩამოკაწრულ სახით ვიხილე.

რა დაბნეული ზარები რეკდა,

როგორ ბორგავდა ფოთლის სხეული,  
სულზე დაღლილი ღრუბლები მეკრა  
ქარების ზოდვით მიმორხეული.

მიმოდიოდა სევდა ფარული,  
უცხო ჰანგებზე მორცხვად ნათრთოლი,  
ქარმა დაკარგა გიჟი ამბორი,  
ჩამოიცრემლა ჩემს წინ ფოთოლი.

\* \* \*

მე უკვე მოვხვდი  
დედამიწის ცისფერ წუმპეში.  
სისხლით ხორცამდე შეძრული ვარ,  
მკლავს დაწყობილი სახეები.  
შიგნით შემალული, სისხლში ამოსვრილი  
თეთრი თათმანები.  
ჰაერში დაფრინავენ უსულოდ  
გაბერილი, უსახო ბურთულები  
და შეშლილ სახეებს  
ზემოდან დასცინიან...  
ათასი გაწვდილი ხელი  
ჰაერში გაყინულა...  
მხოლოდ დაწყობილ სახეებს  
აქვთ სუნთქვის უფლება.  
თუ შეგიძლია გამომიწოდე ხელი,  
ნუ დაივიწყებ საკუთარ სახეს,  
თორემ სისხლში ამოსვრილი  
თეთრი თათმანი  
შენ მაინც გაგცემს...  
ჩვენ ორნი დავრჩით  
ალარც მზეა და ალარც მთვარე,  
ვდგავართ პირისპირ,  
ერთმანეთის სისუსტეს ვმაღავთ...  
მე უკვე მოვხვდი  
დედამიწის ცისფერ წუმპეში,  
ამაოდ ვაქრობ  
ძარღვდაწყვეტილ ანთებულ თვალებს...  
ველარ მიშველი,  
მე გავრბივარ!  
მე მივრბივარ!  
ვერ შევერევი  
ამაზრზენ წუმპეს!..

\* \* \*

ისევ ისე მომეპარა  
ჩემეული დარდი,  
წამის წინათ ვგრძნობდი,  
თითქოს დაკვირტულ ვარდს ვგავდი.

ახლა ისევ ღრუბელი ვარ,  
თვალზე ცრემლი დამდის,  
მე მოვკვდი და კედელს  
შერჩა ვარდისფერი ლანდი.

მზე ცის კიდეს მიესვენა,  
ფერი ჩაცხრა ნათლის,  
ბედი, ალბათ, დარჩენილ წლებს  
სინანულით დათვლის...

ღაღ

*ia burdul i*

თ ხ ე მ ი

(რა მოხდა კიდევ გოლგოთაზე)

მთის წვერზე გაცურდა ნისლი სისხლისფერი –  
 ბრაზს თუ აიცდენდი როგორ ვიფიქრებდი!  
 ცრემლი დაიღვარა მხოლოდ ფსალმუნად,  
 ტკივილი დაედო მიწას სალბუნად...

და, მაინც, თვალები ჰქონდაო დარდიანი,  
 ხომ იცი, დედა იყო წმინდა მარიამი.

იყო და არა იყო რა...

„რაოდენ უყავთო ამათგან მცირედს“,  
 გგონია, მივიღებთ ნამდვილად იმდენს?  
 მაგრამ მე არ ვიცი, რა არის საზომი –  
 გრძობებს ხომ ვერ წონის უბრალო სასწორი!

ბორბალი ზოგჯერ უკანაც წავა  
 ხომ გაგიგია? – „იყო და არა“:  
 რომ თენდებოდა კვლავ ბინდდებოდა,  
 „ღვთის უკეთესი რა იქნებოდა“?

m o d e l i a n i

(იყო წითელი ტორსი,  
 სახლი, წითელი ბილიკი  
 და სადღაც იყო ცოლი –  
 დავიწყებული ღიმილი...)

... და რაღაც ტკივილს სუყველა ვითმენთ,  
როცა შეგიცნობ ცხოვრების ქარში  
მხოლოდ და მხოლოდ დაგხატავ მაშინ,  
შენს თვალებს ზღვისფერს \_ შემღვრეულ ცისფერს.  
არ მინდა ბოლო წუთს ითქვას:  
ვგავარო ცარიელ ჭიქას!  
ხომ იცი, მონმარტს ათოვს  
წითელი არაფერს არ მთხოვს?

## Turme yvel aze tragikul i

იცი? მახსენდება სახლები დამზრალი,  
პატარა სიცოცხლე უეცრად გამქრალი  
და როცა მომიჭერს ტკივილი მარწუხებს  
ყველაზე ძალიან იცი, რა მაწუხებს?

გრძნობები ფართოდ ეკრანზე გაკიდული  
და...  
მეხსიერება ყველაზე ტრაგიკული.

## R i m i l i

თურმე ღალატი სხეულსაც აფრთხობს  
და სულთა ერთად რაღაცას დარდობს...  
იქ სიხარული მიყუჟულა სადღაც კუთხეში?  
ისე ვიკითხე, კი არ მინდა, ვიყო უხეში.

ღაღ



*irma kecxovel i*

**მოკრძალებული სურვილი**

სალალობო ხომ მიმართვი, გამოჰკარი ერთი პწკარიც,  
 მე არ მინდა ისე ვიყო, რომ გამიჩნდეს ისევ ბზარი,  
 სალალობო შენი ძმას და ის პწკარი ბიძაშვილი,  
 ისე მინდა გაგეჯიბრო, როგორ დიდი პაექარი.

აღმაფრენა მომანიჭა, მან ისეთი როგორც დარი,  
 იქნებ კიდევ სასურველი, მომიტანოს ნიავ-ქარი.  
 ღმერთო ჩემო, გავიხარე, შენა ხარ და შენი პწკარი,  
 ღმერთმა ისე გამოგზავნოს, როცა უნდა კარგი დარი.

კიდევ მინდა მოკრძალებით, დრო რომ მომცეს იმის დარი,  
 რომ მოვექცე სასურველად, ვიყო ისევ შენი დარი.  
 რა კარგია! რაღაც იყო! ვიღაცასთან დიდი დარი,  
 ხომ მომგვარე ეს სიმებიც, შენი არის სათვალავი.

სალალობო რომ მიმართვი, გამოჰკარი ერთი პწკარიც,  
 მე არ მინდა ისე ვიყო, რომ გამიჩნდეს კიდევ ბზარი,  
 სალალობო შენი ძმას და ის პწკარი ბიძაშვილი,  
 ისე მინდა გაგეჯიბროთ, როგორც დიდი პაექარი.

**ახალი პატრონი?**

ნეტარი ძილით სძინავს ქვეყანას  
 მოუკაკუნეს, არ გაიღვიძა,  
 ძილში პასუხობს: \_ ნუ შემაწუხებთ,  
 ბედნიერება კარს მოგვდგომია.

სძინავს და სძინავს, გავიდა წლები,  
 სძინავს და სძინავს ცდილობდა ქებით,  
 სძინავს და სძინავს ეწადა ფრენით,  
 როცა მტარვალმა უბრძანა ნებით.

ნეტარი ძილით სძინავს ქვეყანას  
დაუკაკუნეთ, არ გაიღვიძა?  
ძილში პასუხობს, არ შემანჯღრიოთ  
ფრთებმოტეხილი ვის, და, რა უნდა?

სძინავს და სძინავს, ბორგავს სიზმარში,  
სძინავს და სძინავს, ბოდავს წრიალში,  
სძინავს და სძინავს, ოხრავს ღიმილშიც,  
როცა მტარვალმა ბრძანა სიცილში.

ნეტარი ძილით შეწუხებულმა  
გამოიღვიძა დიდი წვალებით,  
ქუთუთოები მძიმედ ასწია,  
გვაუწყა ყველას, რომ გაიღვიძა.

ნეტარი ძილით შეწუხებულმა  
მოზოდიშებით ძლივს დაამთქნარა,  
ხელი გასწია სანთელისაკენ,  
ჩამქრალი იყო, მან არ იცოდა.

ნეტარი ძილით შეწუხებულმა  
თავს ძალა მისცა და შეტორტმანდა  
ფეხზე რომ ადგა, წელშიც გასწორდა  
ეზოს გახედა გაკვირვებულმა.

ბაღ

*ღეTi orj onikiZe*

**viTom da viTom**

ვითომ და ვითომ გამოდის რაღაც  
და ისევ ვითომ მივდივარ სადღაც,  
ვითომ და ვითომ ვცოცხლობთ და ვტკბებით  
და თან, რომ გვკითხო, ვითომ თან ვკვდებით.

კვლავ ისევ ვითომ ვიგონებთ ზღაპრებს,  
რომ მერე ვითომ ვამსგავსოთ ამბებს.

ვითომ და ვითომ – გვცივა და გვცხელა,  
ვითომ და ვითომ – გვჯერა არ გვჯერა.

ვითომ და ვითომ სულ სხვისთვის ვცხოვრობთ  
და ისევ ვითომ ჩვენ ვცხოვრობთ მხოლოდ  
ვითომ თავისთვის და ვითომ მასთან,  
ვინც ვითომ ვფიქრობთ, არ წავა სხვასთან.

და მერე ვითომ ვალაგებთ აზრებს,  
რომ ისევ ვითომ ავრიოთ შემდგომ,  
ვითომ რომ გვინდა მივიღოთ რაღაც,  
თვითონვე ვაქრობთ იმას, რაც გვერგო.

და კვლავაც ვითომ ვიგრძნობთ წამებს,  
რადგანაც ვითომ არ გვეოფნის ხანი,  
ჩვენ თვითონ ვითომ ვისერავთ ტანებს,  
რომ მერე ვითომ დავლიოთ შხამი.

მერე კი მართლა სიცოცხლე წყდება,  
და ამდენ ვითომს ვერ უძლებს სული,  
ვითომ და ვითომ განვლილი გზები,  
უკვე ნამდვილად არს დაკარგული.

\* \* \*

ემშაკს შეაცნეს ლამაზი ქალი,  
კაცია ვნების და ჟინის მონა  
კაცი ტყვე არის იმის, რაც ქალმა  
ნეკნად ყოფნის დროს გამოიგონა.

\* \* \*

მე დედამიწას ფეხით დავივლი,  
რომ ჩემი სახე ყველგან ვაჩვენო,  
მთელი სამყარო ჩემი სახლია,  
ჩემი ოთახი კი საქართველო.

როცა სამშობლოს უბოძებ სუნთქვას,  
სული ეყრება ტანჯულ სხეულსა.  
გამარჯვებული მკვდარი ჯობია,  
სიცოცხლეშივე დამარცხებულსა.

არეულია თქვენი სამყარო,  
ერთ კუთხეშია ხალხი მიყრილი,  
როცა სიცოცხლე გაიფდება,  
იქ გაძვირდება უცებ სიკვდილი.

\* \* \*

შენ წარსული ხარ, გარდასული, თუმცაღა ვიცი,  
უკვალოდ ქვეყნად არასოდეს არავინ ქრება,  
მარადიული სიყვარულის ტყუილი ფიცი,  
ხანდახან გულში ჩარჭობილი სარივით ჩნდება.

ვერ შეგპირდები, რომ ვიქნები უშენოდ მშვიდი,  
ვერ შეგპირდები იმას, რასაც ვერ აგისრულებ,  
მე ვერ ვიქნები ჩვენს გრძნობებთან მტყუანი, ფლიდი  
საკუთარ თავთან შერკინებას ვერ დავასრულებ.

თუკი შიში გაქვს, რომ მოგკვდები როდესაც წახვალ  
და თუ ამაზე ფიქრი გტანჯავს და ვერ იცილებ,  
ნუ გეშინია! ბედნიერად, უჩემოდ კარგო,  
მე არ მოგკვდები, მე უბრალოდ დიდხანს ვიძინებ.

ღაღ

ⴁ *nel i qvel aze*

## Svil Sewirul o mamebo

*ეძღვნება საქართველოს ერთიანობისათვის ბრძოლაში  
დაღუპულ გმირთა მამებს: ჭაბუა ამირეჯიბს,  
რევაზ მიშველაძეს, თენგიზ კიკაჩიშვილს,  
აგია აბაშიძეს, თამაზ კარანაძეს და სხვებს.*

მამულის საკურთხეველზე  
მსხვერპლად ყოველის მიმტანო,  
მამანო, შვილშეწირულნო,  
მდუმარედ ჭირის ამტანო!  
ჩვენო სამშობლო, დაშლილო,  
ღრუბლებო ავად აშლილნო,  
ჰაი, დედასა, ხანჯალო  
და ხმალო ჩაჟანგებულო!  
ბერმუზებო და დევებო,  
„ჭირს შიგან გამაგრებულნო“,  
ტკბილი ქართულის დუდაბნო,  
მოყვასთა რწმენის გუშაგნო!  
ობოლი შვილიშვილების  
სიკეთის ძირზე გამზრდელნო;  
იმედის ძეგლად ქცეულნო,  
თვით ტანჯვად გამზადებულნო!  
შვილშეწირულო მამებო,  
ერისა ტვირთის ამწევნო,  
გფარავდეთ წმიდა სამება,  
მძიმე ჯვრის მარად მტვირთველნო!

# Zegl i \_ cocxal i winapari

ემღვნება პატრიარქ მეცნიერებს, აკადემიკოსებს:  
ანდრია აფაქიძეს, ვახტანგ ბერიძეს, პარმენ ზაქარაიას \_  
დაბადებიდან 100 წლის იუბილესთან დაკავშირებით.

ციხე-ბურჯებზე დაგათენდათ მრავალი ღამე,  
არ გასვენებდათ ისტორიის ჟამი მღელვარე,  
ო, ვინ აღწეროს განცდები... და რამდენი რამე,  
თავს დაგნათოდათ ღვთაებრივი, დამცხრალი მთვარე;  
ლაბირინთებში გამოხსენით რამდენი კვანძი,  
ვინ იცის, რამდენ საიდუმლოს ახადეთ ფარდა?  
გამოაბრწყინეთ ჩამარხული ქართული განძი,  
ალარ დაგვრჩება მომავალში მიუსაფარად.  
ბებერი მცხეთა, პიტეიუნტი, გრემი, სარკინე...  
მიწის გულიდან ამოსწიეთ ძეგლი ყოველი.  
გამოაღვიძეთ დაღეწილი საუკუნენი,  
სამი გალავნით ისევ აღდგა ნოქალაქევი,  
ათონის ლავრა, პეტრიწონი, ტაო-კლარჯეთი...  
ქართველ ოსტატთა რუდუნებით ნამოღვაწარი,  
თქვენი გულების ნაწილია ყოველი ნაშთი  
ძეგლი \_ ცოცხალი წინაპარი, დასაფიცარი...  
ნანირალ გუმბათს შეუხვეით ყელი ყარყარა,  
კვლავ გაზაფხული მოუყვანეთ ურბნისს, გუდავას,  
დულაბ-კედლებად შეუდექით თაღებს, კამარას...  
ეგ თქვენი ღვაწლი მადლიანი შორით გადავა!  
ალიმართება ციტადელი ციხე არმაზის,  
დაბურულ ფრესკებს უბრუნდება სხიველვარება,  
კვლავ ჩაეწვნება ჩუქურთმებში ქართული ვაზი  
და დაგვიდგება სასწაული ფერისცვალება!



**zurab j oxarize**

# ვ უ ლ ო ც ა ვ თ

ჟურნალ „ანეულის“ თაოსნობით, საქართველოს მწერალთა კავშირში 2013 წლის 21 დეკემბერს გაიმართა რევაზ ინანიშვილის დაბადების დღისადმი მიძღვნილი „ერთი მოთხრობის“ კონკურსი, რომელშიც გამარჯვდა და I პრემია დაიმსახურა სტუ-ს თანამშრომელმა, დოქტორანტმა ზურაბ ჯოხარიძემ. ეს მოთხრობა („მგზირი“) პირველად დაიბეჭდა ჩვენი ჟურნალის შარშანდელ ნომერში (იხ. „პარალელი“, №5, 2013).

ვულოცავთ, ავტორს და ჩვენი ჟურნალის მკითხველებს ამ წარმატებას.

*ჟურნალ „პარალელის“ რედაქცია*



## ეს ისე...

ნინოზაა.

ენაწყლიანი თამადა განსხვავებულებს გვამალებს.

– ბაკურციხეში ვართ, რთველში – ენა ამოიდგა თავჩაქინდრულმა, შემთვრალმა ვაჟამ – წარაფებში გავკრიფეთ ზვარი. სადამოს კაი სუფრა გაიშალა. მეტლახით მიპირკეთებულ მარანში ჩარჩოებში ჩასმული ძველი, შეყვითლებული ფოტოები ეკიდა. ერთთან შევეყვინდი. ბლუჯად დაყრილ ქოჩრიან, მთელი სახით გაღიმებულ ულვაშიან კაცს სურათის ნახევარზე მეტი ეკავა. სადღაც, ბეჭების გასწვრივ ბედნიერებისგან შემკრთალი, ფართოდ თვალეზახელილი, ტუჩებმოკუმული, ჩიხტიკოპიანი თეთრი ქალი იმზირებოდა. ეტყობა, დაბნეულობის დასაფარავად შავჩოხიანის მხარზე ხელი ჩამოედო. ხელი არა, ნეკა და არათითი. ორივენი ახალგაზრდები იყვნენ. მათ უკან, მონაცრისფრო სახლებიდან, ეიფელის კოშკი ამომართულიყო.

– ესა, ხო – ხელადიანი მასპინძელი ამომდგომოდა გვერდში – ბებო და პაპა პარიზში არიან, სვადებნიში!

ვაჟამ ჩანგალი აიღო და ჭიქაში მოტივტივე მწვანის ფოთლის ამოღებას შეეცადა.

– ბებოს ნინო ერქვა? – დაინტერესდა ვიღაც.

– არ მახსოვს.

– აბა, რატო მოყევი?

– რა ვიცი, ისე.

## რას გაუგებ მარტს?!

– აი ! – ბიჭს, გამოშვერილ მარჯვენა ხელზე სვანური ქუდი ედო.

– რა? – გოგონამ მექანიკურად აიღო ქუდი და მუჭში მოქცეულმა ყოჩივარდებმა შემოანათეს.

– უუიი! რა ლამააზია!

ქუჩაში მის მეტს, ყვავილები არავის ეჭირა. დიიდ, ბრიალა თვალეზში საოცარი სხივი ჩასდგომოდა.

– დღეს რომ 8 მარტი არ არის? – კაფეში.

– დღეს, გაზაფხულის პირველი დღეა! – ბიჭი დინჯი ქცევით, ცდილობდა ასაკთან შედარებით, უფრო დიდი გამოჩენილიყო – ვალოდია ლენინმა, თავის როზა ლუქსენბურგს დაბადების დღე ამ ფორმით მიულოცა. რა ვქნა, ვერც ქალთან და ვერც გაზაფხულთან, ასე შუაში გამოჩხერილ მ-იანს და ვერც სხვა მარტს, პირველის გარდა, ვერ ვაკავშირებ!

ბიჭმა შამპანური ჩამოასხა.

– ქალთა დღე უნდა იყოს პირველი მარტი! გაზაფხულის მობრძანებას გილოცავ, ჩემო დედოფალო!



8 მარტს, ორივე ხელით ბიჭის მკლავს ჩამოკიდებული, ბედნიერად მის მხარზე თავმიდებული, მარტო ისინი მისეირნობდნენ რუსთაველზე უყვავილოდ. ამას, ვერც ამჩნევდა და არც ადარდებდა.

„და დრო გადიოდა“

ქმარი, არც ერთ 1 მარტს არ ტოვებდა უყურადღებოდ - საჩუქრები, ყვავილები.

8 მარტს, ცოლი მანქანის ფანჯრიდან უმზერდა ყვავილებიან, მომდიმარ წყვილებს და მეუღლისაკენ ნაღვლიან მზერას აპარებდა.

ბავშვები... სკოლა...

„და დრო გადიოდა“

ომი. უმუშევრობა. არა შუქი. არა პური. ლოთობა. თევზების მსხვრევა... გაყინულ ღამეებში

ხელის გადაპარება, ჯუჯღუნნი, ბურღუნნი, შერიგება.

„და დრო გადიოდა“

მეტროდან ამოსულები, ვაჟას ძეგლთან შეჩერდნენ.

– ერთი წუთით, ახლავე მოვალ! – კაცმა, ბაზრის ჩანთები ბანკის კედელს მიაყუდა.

საფეთქლებთან ჭადარამოძალებულს, თმები შეთხელებოდა.

„უუფუგ! გააწუხა რა გული, ამ სიგარეტით! „სოიოში“ მაინც ეყიდა, იქ უფრო იაფია!-ქალის დიდრონი თვალები სამზარეულოს ჩრდილს დაენისლახო, ისპანახი ვიყიდე, სოფლის კაკალი გვაქ, ზეთი...“

– აი!

– რა?

– დღეს 8 მარტია!

– რეებში ხარჯავ ფულს! უუფუგ! ქინძი გეყიდა ნეტა და კიდე, ნიახური. . .

## ზამთრის არდადეგები ზვარეში

ჩაწულ ღობეს ჩაყოლებული, თოვლით ჩამომძიმებული ხეები ერთმანეთისკენ გადახრილიყვნენ. ჩათოვლილი ორღობე თეთრ გვირაბს დამგვანებოდა.

ხვავრიელად თოვდა.

ღია ჭიშკართან დაუღლული ხარები იდგნენ და ოდნავ თავაწეულები, საქმიანად იცოხნებოდნენ. მთიანი იმერეთის პირობაზე, ასეთი ზორბა ტანისანი, ასეთი ლაღად გაშლილი რქებით იშვიათობა იყო.

ჩექმებიანმა, „ტელეგრეიკიანმა“, გულზე ჩალაახუტებულმა ბიჭმა ჭიშკარი გვერდულად გაიარა. სიმინდის გამხმარი ღეროები ორ ნაწილად გაყო და ხარებს დაუყარა.

– დედო, ჰო! – ბიჭი უღელს მიაწვა და ხარები ერთი ნაბიჯით უკან დახია. ახვეტილი თოვლი ჩექმით მიმოფანტა და ჯაჭვგაყრილი, გამოცხვირული მორი გამოაჩინა. მოშვებულ ჯაჭვს რკინის კაუჭი გამოხსნა და გამრიალებულ უღელზე აახვია. მერე, ტაბიკებს აპურები მოუშვა და უღელი

ოდნავ წინ გამოსწია. მუქ, წაბლისფერ ხარს ბალანგაცვენილ, გაუხეშებულ ქედზე თოვლი შეაზილა.

– შენ რა გქვია? ალბათ, წაბლა ხომ! - თოვლი აიღო და მის მეწყვილესკენ გადაინაცვლა – შენ, ალბათ, შვინდა ხარ, ან ღვინია?

მოწითალო ხარს ცხვირზე ხელი ჩამოუსვა. ხარმა ოხშივარადენილი ნესტოებით მარჯვენაზე დაყნოსა და ხაოიანი ენა აუსვა.

– გეყურება! – ორმეტრიანი დათო აივანზე გადმოყუდებულიყო და შორიდან ეხმიანებოდა – ჩალაი ხო, ფეხით არ გათელო, თვარა პირს აღარ დააკარებენ!

ბიჭმა ხელი აუწია, გავიგეო. ფაფუკი თოვლის გამო, ხმა მოგუდულად ისმოდა.

– ლომს ვეიღე და ხეს მიგაგორებინეფ ღობესთან!

– არა დათო, რა საჩქაროა. საშა ხარებს წეიყვანს და მერე, ხვალე გადავაგოროთ! – იმერულად მოუქცია ბიჭმაც.

ჭიშკართან შეყოვნდა. ორღობეს გახედა. ტყიდან ჩამოცურებული ხის კვალი თოვას სულ წაეშალა. ერთი ხიდან ჩხართვი აფრინდა ქოთქოთით და თოვლის ბული დააყენა. სიმძიმისაგან განთავისუფლებული ხე, ნაჯაფარი კაცივით აიშართა. ხარები გემრიელად ახრამუნებდნენ ჩალას. დიდრონი ფანტელები ბრიალა თვალეზე ეცემოდათ. ამის გამო თვალეებს აფახუნებდნენ. ხანდახან, ყურეებსაც გააპანტურებდნენ, ხოლმე.

– ბებიაშ თქვა მევიდესო, საჭმელი გოუცივდაო! – მისი სამი წლის ბიძაშვილი იყო, ბებოს მოსახელე, ქეთო. წითელ პალტოში გამოწყობილს, კნაჭა ფეხები ბებოს „კალოშებში“ წაეყო – ჩქარე წამოდი, თორე დიიდი მგელი ჩამეივლის და ვისაც შაჭმელი არ ექნება ბოლომდე შეჭმული, ტყეში წეიყვანს! გაკვალულში მიფრატუნობდა სახლისკენ და დროდადრო იხედებოდა უკან „ჩქარე კაცო, ჩქარე!“.

სახლში სინათლე აენთოთ. სარკმელთან ჩავლისას, ხელით ნაგვირისტები მიტკლის ფარდის იქით, მაგიდასთან მსხდომი პაპა და ხარების პატრონი, ოქრო-შაშა შენიშნა. კარებთან, სანამ თოვლიან ჩექმებს გაიხდიდა, სახლიდან გამოსულ სინათლეს გახედა – რაღაც სითბო მოჰყვებოდა შუქს.

გაყინულ-გათოშილს რომ გაგათბობს, იმაზე არა. ის, მერე მოვიდა მოხუცების, ძველი სახლის, სოფლის მონატრებასთან ერთად.

არაა, სოფელში თოვლი სულ სხვანაირია!



*roza gafrindaSvil i*

**„წინაპართაგან წასულა ყველა. . .“**

რამდენიმე წლის წინ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შევიარე, სადაც ახალგაზრდობის 18 წელი გავატარე. იქაურობა ვერ ვიცანი – თანამედროვე ახალგაზრდების ჟრიაშული ავსებდა ერთ დროს „ჩემი“ უნივერსიტეტის ფართო და ნათელ დერეფნებს; დიდი პოეტის ეს სიტყვები მაშინ ამეკვიატა.

ახლა მინდა რამდენიმე ეპიზოდი გავიხსენო მაშინდელი საუნივერსიტეტო ცხოვრებიდან, რათა თანამედროვეებს ძველი და ახალი ურთიერთობების შედარების და სათანადო დასკვნების გამოტანის საშუალება მივცე.

**ბატონი შალვა ნუცუბიძე**

ახლად დაარსებული ქართული უნივერსიტეტის პროფესორის ფართო ერუდიციის შესახებ შემდგომ თაობებს ჩვენი ლექტორები გვიამბობდნენ. ჩვენში არ მეგულება ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული, ვისაც მათი სახელები და ხუმრობები არ ახსოვდეთ, მაგრამ ახლა მაინც მინდა იმ „ტკბილ“ პერიოდში ჩაწერილი ზოგიერთი ეპიზოდი „გავაცოცხლო“ და ახალ თაობას ძველისა და ახლის შედარების საშუალება მივცე.

ერთ-ერთი ნაამბობი იყო პროფესორების ბატონი სერგი დანელიას და შალვა ნუცუბიძის საჯარო პაექრობის ეპიზოდი, რამაც ჩვენში წარუშლელი კვალი დატოვა და განათლების სტიმული გაგვიძლიერა, სადაც ისინი დიდი ერუდიციისა და ჭეშმარიტი მეცნიერული მკვლევრების სახით მოვევლინენ მსმენელებს და შემდგომ თაობებსაც ზღაპარივით დაამახსოვრდათ:

**ერთხელ**, თურმე, ბატონი შალვა ნუცუბიძის ლექციას მაშინდელ მეცნიერთა და ცნობისმოყვარე-დაინტერესებულ პირთა მთელი პლეადა ესწრებოდა; დარბაზში, სადაც მსმენელების ტევა აღარ იყო, პროფესორი სერგი დანელიაც მჯდარა; მას ბატონ შალვასთან განუწყვეტელი მეცნიერული პაექრობის გამო დამაბული ურთიერთობა ჰქონია; მაშინ ბატონი სერგის განსწავლულობას, მისი უკომპრომისობისა და ხელისუფლებასთან განუწყვეტელი კონფლიქტის

გამო, სათანადო დაფასება აკლდა, თუმცა პროფესურამ კარგად იცოდა მისი ფასი; ბატონი შალვა კი, ყველა დამსახურებასთან ერთად „დიდი ბელადის“ მხარდაჭერით იყო განებივრებული, მან რუსულ ენეზე უზადოდ თარგმნა „ვეფხისტყაოსანი“, რითაც სტალინის აღტაცება დაიმსახურა; მის უამრავ დამსახურებებს შორისაა სათანადო არგუმენტებით დასაბუთებული თეორია პეტრე იბერიელის და ფსევდო-დიონისე არეოპაგელის იდენტურობის შესახებ; ნუცუბიძისგან დამოუკიდებლად ამავე აზრამდე მივიდა ბელგიელი მეცნიერი ერნესტ ჰონიგმანიც, რის გამოც ამ გამოკვლევას ნუცუბიძე-ჰონიგმანის თეორია ეწოდა. ამ ჰიპოთეზამ დიდი გამოხმაურება პოვა ქართულ და ევროპულ მეცნიერებაში, გვიამბობდნენ ჩვენი ლექტორები.

იმ დღეს თურმე ბატონი შალვა თავისებურად „შეცურდა“ მსოფლიო პოეზიის „ზღვაში“; გოეთეს ერთ-ერთი ლექსის გერმანულ ენაზე ციტირებისას უცბად შედგა, დარბაზს თვალი მოავლო, ბატონ სერგის გამომწვევად შეხედა და „დავიწყებული“ ლექსის გაგრძელება სთხოვა.

ბატონი სერგი ინსტინქტურად ფეხზე წამოხტა, აწითლდა და მცირე ხანს ხმა ვეღარ ამოიღო; დარბაზი შეწუხდა, დაიძაბა... ერთი წამის შემდეგ ბატონმა სერგიმ თავისებური გამართული გერმანულით, შეწყვეტილი ლექსი, დარბაზის ტაშის გრიალში ბოლომდე მშვიდად ჩამთავრაო, გვიამბობდნენ თვითმხილველები.

\* \* \*

ერთ დროს უმაღლეს სასწავლებლებში ლექტორების მიერ ლექციების გაცდენა დიდ ცოდვად ითვლებოდა. უნივერსიტეტში ამ საქმეს თავისი სიმკაცრით განთქმული, პროფესორი გვერდწითელი აკონტროლებდა – ყოველი ლექციის დაწყებისას უნივერსიტეტის დერეფნებს შემოვივლიდა და „დამნაშავეებს“ მკაცრად სჯიდა.

ერთხელ, თურმე, ბატონი შალვა უნივერსიტეტის ფართო კიბეებზე 20 წუთით დაგვიანებით, მშვიდად ადის; წინ შემფოთებული კოლეგა შემოხვდა – ბატონო შალვა, ბატონო შალვა, გვერდწითელი მოდის, გვერდწითელიო!

ბატონმა შალვამ ჩაიცინა და მშვიდად მიუგო – გვერდწითელმა კი არა, მთლად წითლებმა ვერაფერი მიქნეს მე! გვერდწითელი რას დამაკლებს!

ამბობდნენ, მეორე დღიდან ამ ეპიზოდს ანეკდოტით ჰყვებოდნენ აკადემიურ წრეებშიო.

\* \* \*

სხვა დროს, თურმე, ლექციაზე დაგვიანებით მისულ ბატონ შალვას წინ მაშინდელი რექტორი შეხვდა. ის ბატონ შალვას უხეშად მიმართვას ვერ აკადრებდა, მაგრამ მაინც უფროსისთვის შესაფერი, ირონიანარევი მკაცრი ტონით ეკითხება:

– ბატონო შალვა, ლექცია როდის იწყებაა?

ლექცია მაშინ იწყება, როცა ლექტორი აუდიტორიაში შევა!, თამამად და მოსწრებულად უპასუხა მან და ინცინდენტიც ღიმილით დამთავრდა!

\* \* \*

ბატონ შალვას ერთი „ცუდი“ თვისება ჰქონია – ფული ჰყვარებია! (მაშინ, ლეგალურად, ეს დიდ ცოდვად ითვლებოდა), რაც ხშირად მეგობრულ წრეში იუმორის საგანი გამხდარა.

ერთხელ ბატონი შალვა უნივერსიტეტის სალაროების წინ ამაყად მდგარი, ახლად აღებულ ხელფასს (ფულის დასტას) გულმოდგინედ ითვლიდა.

გამოიარა ბატონმა გიორგი ახვლედიანმა, რომელიც იმ ხანად ფონეტიკის კათედრას ხელმძღვანელობდა.

ბატონო შალვა, როგორაა ფულოსოფიის საქმე? იკითხა ირონიულად (ბერძნულად „სოფია“ სიყვარულს ნიშნავს);

უკეთ, უკეთ, ვიდრე ფუნეტიკის! მოუჭრა სიტყვა ბატონმა შალვამ, რაზეც კარგა ხანს იცინოდნენ არა მარტო უნივერსიტეტის კედლებში.

\* \* \*

ბატონი შალვა, მეგობრების დაჟინებული თხოვნით, კომუნისტურ პარტიაში დიდი დაგვიანებით შევიდა- უამისოდ მისი აკადემიკოსად არჩევა არ შეიძლებოდა (მისი გაპარტიულება რუსეთის თვალის ასახვევად იყო საჭირო, თორე აქ ყველამ იცოდა, რა ფასიც მის პარტბილეთს ექნებოდა). ბატონი შალვა მეგობრებმა (და არა მარტო მათ) სათანადოდ „დაამუშავეს“ – შენებურად არაფერი თქვა, ერთი საკავშირო აკადემიკოსი არ დაგვიკარგო.

რაიკომის პარტბიუროს სხდომაზე, სადაც ეს საკითხი ბატონი შალვას თანდასწრებით მშვიდობიანად განიხილებოდა და მისი გულშემატკივრები უკვე ზეიმობდნენ, ერთმა ვეტერანმა, არც თუ უეშმაკოდ ჰკითხა:

– ბატონო შალვა, მე და თქვენ დაახლოებით ერთი ხნისა ვართ, მე ოცდაათი წლის პარტიული სტაჟი მაქვს, თქვენ – ახლა შედიხართ პარტიაში, ეს როგორ გავიგოოთ?

ყველას თავზარი დაეცა – შეშინდნენ, ბატონ შალვას რაიმე „ისეთი“ არ ეთქვა, რაც მოსკოვს გაანაწყენებდა, მაშინ მისი აკადემიაში არჩევა აღარ მოხერხდებოდა.

ბატონმა შალვამ, თურმე, მცირე დუმილის შემდეგ ეს ექსპრომტი თავისებური პათეტიკით წარმოთქვა:

„როს კომუნიზმის მატარებელი, საქართველოში შემოგრიალდა, შენ, ცარიელმა შიგ შემასწარი, მე კი, ბარგიანს – დამაგვიანდა!“  
იმ დღეს ბატონი შალვა ტაშის გრიალში მიიღეს თურმე პარტიაში!

\* \* \*

ახლა სტუდენტები დაფაზე თუ აუდიტორიის კედლებზე ნებისმიერ უწყ-  
მაწურობებს წერენ და ხატავენ. მაშინ ყველაზე დიდ მკრეხელოზად ითვლე-  
ბოდა, თუ ვინმე ცარცით „ვირს“ წააწერდა.

ერთხელ, ბატონი შალვა უნივერსიტეტის ფართო და ნათელ აუდიტორი-  
აში შევიდა, სადაც სულგანაბულ სტუდენტებთან ერთად მოხალისე მსმენე-  
ლებიც ბლომად ისხდნენ.

მან ჯერ მედიდურად გადაავლო თვალი დარბაზს, მერე დაფას ცალი თვა-  
ლით გახედა და თავის ღირსებებში დარწმუნებულმა იკითხა – ვინ დაგვიტოვა  
თავისი სადარბაზო ბარათი?

## ბატონი სერგი დანელია

ბატონი სერგი, ანტიკური ფილოსოფიის ბრწყინვალე მკვლევარი და  
სპეციალისტი, ჩვენ რუსულს გვასწავლოდა (ისეთივე გულმოდგინებით და  
ერთგულად, როგორც ამას თავისი საყვარელი ანტიკური ფილოსოფიის სწავ-  
ლებისას გააკეთებდა); ეს იყო წარმოუდგენელი უსამართლობა, რაზეც ჩვენ-  
თან სხვა ლექტორები საუბრობდნენ. თურმე საქმე იმაში იყო, რომ ის სოცია-  
ლიზმის არასაიმედო მეხოტბე და „იდეალისტი“ ყოფილა, რის გამოც მისი  
ფილოსოფიური კომენტარები, ხელისუფლებისთვის, მიუღებელი იყო. ამიტომ  
მას აუდიტორიასთან ფილოსოფოსობას არ ანდობდნენ.

ერთხელ, თურმე მან კომუნისტურ იდეოლოგიაზე შეყვარებულ მაშინდელ  
რექტორს, უსიამო საუბრისას, თავში ხელჯოხი ჩაუკაკუნა, რითაც ბევრი გაუ-  
ბედავი პროფესორი გააბედნიერა; ამის გამო ეს ამბავი მალე გავრცელდა და  
უნივერსიტეტელთა მეხსიერებამაც შეინახა ისე, რომ მას რამდენიმე ათეული  
წლის განმავლობაში თაობიდან თაობას ზეპირად გადასცემდნენ.

ერთხელ კი, როგორც მისმა კოლეგებმა გვითხრეს, თურმე ის რექტორმა  
თავის კაბინეტში დაიბარა და მისი „პოლიტიკური სიმპათიების“ კრიტიკას  
იდეალისტობის ბრალდებაც დაუმატა; რაკი მაშინ იდეალისტობა მიუტყეველ  
ცოდვად ითვლებოდა, რექტორის მიერ გამოტანილი „განაჩენი“ ბატონი სერგის  
ქუთაისის უნივერსიტეტში გადაყვანისთვის სათანადო ორგანოებთან შუამდ-  
გომლობა იყო, რაზეც ბატონ სერგის უკითხავს:

– იქ რა! მატერიალისტი გავხდებიო?

ეს კითხვა ანეკდოტით გავრცელდა აკადემიურ წრეებში, რაც მაშინდელი  
სოციალისტური იდეოლოგიური პოზიციის ისეთი „მომაკვდინებელი“ კრიტი-  
კა იყო, რამაც ერთგვარი ბიძგი მისცა საბჭოური სოციალიზმის კრაზს ჩვენს  
ქვეყანაში, ამბობდნენ მოგვიანებით მისი თავყვანისმცემლები.

## ბატონი ვენორ ქვაჩახია

ბატონი ვენორი, მეგობრებს, უიღბლო პროფესორად მიაჩნდათ, ალბათ, არც თუ უმიზეზოდ; მისი ნიჭის, მხურვალე გულის, იუმორისა და ენერჯის პატრონს შეეძლო რიგით პროფესორზე გაცილებით უფრო მეტი სარგებლობა, სახელი და დიდება მოეტანა თავისი თავისთვის, ხალხისა და ქვეყნისთვის. ბედმა ერთადერთი საუნჯე – ანგელოზი ქალიშვილი გაიმეტა მისთვის და მანაც არნახული ტკივილი და მწუხარება დაატეხა თავს – 12 წლის ასაკში თავი ჩამოიხრჩო.

ამიტომ იცნობდნენ ბატონ ვენორს როგორც ცხოვრებაში ხელმოცარულს.

ერთხელ, ჟურნალისტმა ვალერი კვარაცხელიამ ბატონი ვენორ ქვაჩახია-სადმი მიძღვნილი სტატია დაბეჭდა გაზეთ „თბილისში“; ზოგი იქ ამოვიკითხე, ზოგიც თავად მახსოვს, რომ თურმე, ვენორი რომ სასიკვდილო სარეცელზე უკურნებელ სენს ებრძოდა, მის სანახავად უამრავმა ხალხმა იწყო დენა. მიდიოდნენ და მასთან ხანგრძლივად რჩებოდნენ მისი ნათესავები და მეგობრები; უვლიდნენ, ამხნევებდნენ, სტუმრებს მასპინძლობდნენ... მიდიოდნენ თანამშრომლები, თანამესუფრენი, თანამოაზრენი, მისი ნასტუდენტარები და სტუდენტები, შორეული ნაცნობები და სრულიად უცნობებიც კი, რომლებსაც სხვისგან გაეგოთ ამ საინტერესო კაცის ამბავი. მიჰქონდათ ხილი, სამელსაჭმელი, რომლითაც თვითონვე პურმარილობდნენ . . .

ერთხელ, თურმე, ოთახი მეგობრებით რომ აივსო, გადმოიხედა ვენორმა და სევდიანი კმაყოფილებით თქვა:

– უკეთესისთვის რისთვის უნდა მიმეღწიაო!

P. S. ეს ამბავი დიდი ხნის წინ ჩამიწერია რვეულში, რასაც ყდაზე აწერია – „ჩემ შვილებს!“ ბოლოს მინაწერიც გამიკეთებია, რაც ასე მთავრდება: „ბედნიერება სიყვარულშია; სანამ მას დაიმსახურებ, შენ უნდა შეძლო სხვების – მტრების სიყვარულიც კი; ეს ყველა მისაღწევზე უფრო ძვირფასია... მე მინდა, რომ ჩემმა შვილებმა იცოდნენ ეს!“

მე არ ვიცი, წაიკითხეს თუ არა ჩემმა შვილებმა ეს მინაწერი, მაგრამ, როცა ჩემი 30 წლის ვაჟი სამუდამოდ „წასასვლელად ემზადებოდა“, სწორედ ასევე იწყო დენა ჩვენს ოჯახში მისმა ნათესავებმა, მეგობრებმა, თანამშრომლებმა, ნაცნობებმა და უცნობებმაც, ნასტუდენტარებმა და სტუდენტებმა, რომლებმაც დიდი სიყვარულით უგულშემატკივრეს და კიდევ გააცილეს ჩემი შვილი სამუდამო სამყოფელში.

## ბატონი გელა ბანძელაძე (მამა)

მეოთხე კურსზე სხვა ახალ საგნებთან ერთად, ლექციები ეთიკაშიც დაგვეწყო. ჩვენ დაახლოებით ვიცოდით, რა საგანი იყო ეთიკა და მოველოდით,

რომ წაგვიკითხავდნენ ჩვეულებრივი, სტანდარტულ-პროპაგანდისტული მიზნებითა და მეთოდებით. ამგვარი პროპაგანდა არც აქამდე გვაკლდა, ამიტომ, ლექციაზე უხალისოდ და არასერიოზულად განწყობილნი გამოვცხადდით.

აუდიტორიის კარი დაგვიანებით შევალეთ და იქ რომ სხვა სტუდენტებიც დავინახეთ, შეგვრთით – აუდიტორია ხომ არ შეგვეშალა-თქო! ვიკითხეთ – შეიძლება-თქო? – თუ ჩვენები ხართ, შეიძლებაო, გაღიმებულმა გვითხრა ლექტორმა და უკან რიგებში მოვთავსდით.

– ვა, ბიჭო! გელა განძელაძე გვიკითხავსო? გახარებულ-გაოცებულმა წაიჩურჩულა ერთ-ერთმა ჩვენგანმა და „გემების ჩადირვობანას“ სათამაშოდ ადრევე მომზადებული ფურცელი დაჭმუჭნა და მერხში შეაგდო.

აუდიტორიაში შესვლისთანავე ლექციისთვის განვეწყვეთ, მაგრამ მოსმენილმა მანც მოლოდინს გადაჭარბა – ლექტორი საინტერესო საკითხებზეც საუბრობდა, თანამედროვე პოლიტიკურ ვითარებასაც კრიტიკულად განიხილავდა, ისტორიულ და ლიტერატურულ პერსონაჟებსაც ეხმაურებოდა და, რაც მთავარია, თავისუფალი აზროვნების „სიომაც დაჰბერა“, რაც ასე გვაკლდა მთელი ამ წლების განმავლობაში; ჩვენ უკვე დიდი ხნის მოზეზრებული გვქონდა ჩვენი ზოგიერთი მასწავლებლის მეხსიერებაში დაკონსერვებული ლენინური სოციალიზმის იდეოლოგიით გაჯერებული აზრების მოსმენა; გვეჩვენებოდა, რომ ისინი უცვლელად იმეორებდნენ ერთსა და იმავეს, რაც თავის დროზე უკრიტიკოდ და მექანიკურად აუთვისებიათ და ახლა ენერგიულად ცდილობდნენ ასევე უცვლელად და უკრიტიკოდ გადმოენერგათ ეს ცოდნა ჩვენში.

ჩვენ, როგორც წესი, დასაწყისში ინტერესით ვუსმენდით ამ ყაიდის ყოველ ახალ შემოსულ ლექტორს. 5-10 წუთის შემდეგ – „ძველი პესნიააო“, ჩაილაპარაკებდა გივი ან ლერი და თითოეული ჩვენგანი საკუთარ „სამყაროში ჩაეფლობოდა“; მე – ვოცნებობდი, გივი და ლერი – გუშინდელი დღის „ვარიანტების“ გახსენება-შეფასებას იწყებდნენ; ჯემალი – უაზროდ იცქირებოდა ფანჯრებს მიღმა; იური – უსმენდა და ირონიულად იღიმებოდა; ლევანი – იძინებდა; მზექალა – ხმამაღლა გამოთქვამდა ლექციის მიმართ ზიზღს ან აღშფოთებას – „რა სისულელეა!“, „какая тупость“, „сплошная агитация“ და სხვა, რაც ხშირად ლექტორებთან ჩხუბით, გარეთ გაგდებით ან დეკანატში ჩივილით მთავრდებოდა; თამაზი კი დიდი გაფაციცებით უსმენდა ლექტორს, დროდადრო რაღაცას იწერდა ან მოწონებას თავის დაქნევით გამოხატავდა, თუმცა, შესვენებაზე ირონიულად იღიმებოდა.

ერთი სიტყვით, ასეთ ლექციებზე ყველა თავის ცხოვრებით ცხოვრობდა და, რაც მთავარია, ლექტორის პოზიციის საწინააღმდეგოდ განგვაწყობდა.

ახლა კი სრულიად საწინააღმდეგო რამ მოხდა; ბატონი გელა ბანძელაძე თითქოს ლექციას კი არ გვიკითხავდა, არამედ მეგობრულად საუბრობდა ჩვენთან; სხვებივით აგიტაცია-პროპაგანდას კი არ ეწეოდა, არამედ ზნეობის საკითხების ფილოსოფიურ ანალიზს გვასწავლიდა, რასაც თანამედროვე პრობლემების კრიტიკული და მართალი შეფასებებიც ახლდა. ეს კი ნდობით



განგაწყობდა როგორც ლექტორის, ისე ზნეობრივი ცხოვრების აუცილებლობის მიმართ.

შესვენებაზე ბატონი გელა ჩვენს ბიჭებთან ერთად განაგრძობდა საუბარს დერეფანში, რამაც საბოლოოდ მოგვხიბლა.

ამავე პერიოდში დაინიშნა ბატონი გელას წიგნის – „ეთიკის“ – საჯარო განხილვა; არაჩვეულებრივად გამოცოცხლდა მთელი ფაკულტეტი; საპროფესოროში, უნივერსიტეტის დერეფნებში თუ ეზოში, ყველგან ჯგუფ-ჯგუფად იდგნენ და მოსალოდნელ სკანდალზე ჩუჩულებდნენ; წარმოგიდგენიათ? 35 წლის კაცს უკვე მზად აქვს სადოქტორო დისერტაცია, 600-გვერდიანი წიგნი და, რაც მთავარია, ესაა პირველი სახელმძღვანელო ეთიკაში!

თურმე წიგნის გამოცემამდე ბევრი ფორმალური მხარეც ყოფილა გასათვალისწინებელი, რაც ბატონ გელას სათანადოდ არ დაუფასებია. კერძოდ: არასოდეს მიუმართავს საკონსულტაციოდ იდეოლოგიური დარგის ლიდერებისთვის; არ ცდილა კეთილი და საქმიანი ურთიერთობა დაემყარებინა მათთან, პირიქით, თუ საჭიროდ ჩათვლიდა, კიდევ აკრიტიკებდა მათ; ვინ იქცევა სხვა ასე! სხვები, სანამ „ფონი გასავალსა“ საოცრად „თავაზიანები“ და უფროსი თაობის „მოყვარულები“ არიან. მხოლოდ სადოქტორო დისერტაციის დაცვის შემდეგ ამჩნევენ სხვების შეცდომებს! ბატონი გელა კი – პირიქით!

სტუდენტებმა ჩვენთან დამეგობრებული ლექტორებისგან შევიტყვეთ, რომ, სწორედ ამიტომ, სამეცნიერო საბჭოში საკმაოდ ენერგიული ჯგუფი შექმნილა, სადაც მის მიმართ განაწყენებული პროფესურა გაერთიანებულა „ავანსად“ იმაში დარწმუნებულნი, რომ ერთი კაცი, რუსი ავტორებისგან დამოუკიდებლად, სახელმძღვანელოს, ამ ასაკში ვერ დაწერდა! ბატონი გელას მოწინააღმდეგეთა ჯგუფს ხელმძღვანელობდა ჩვენი ფაკულტეტის ლიდერი, რომელსაც ვადმერთებდი, რის გამო სხვებზე მეტად მე ვლელავდი.

წიგნის განხილვამდე ნახევარი საათით ადრე, უნივერსიტეტის პირველი კორპუსის სააქტო დარბაზი „ხალხით გაიჭედა“; რა თქმა უნდა, ჩვენი ჯგუფიც აქ იყო. დღეს აქ ერთმანეთს უნდა დაპირისპირებოდა ჩვენთვის ძვირფასი ადამიანები.

სხდომის დაწყებამდე ბატონი გელა სააქტო დარბაზის სცენაზე, კათედრაზე იდგა და მშვიდად ილიმებოდა; როცა პეზიდენტი სამეცნიერო საბჭოს წევრებიც დასხდნენ, თავმჯდომარემ, სანამ ბატონი გელას ოპონენტს სიტყვას მისცემდა, განხილვაზე გატანილი წიგნი ხელში დაუფარავი იარონით შეათამაშა და იგი „საერთოდ უვარგისად“ გამოაცხადა; ერთი შენიშვნაც კი არ გამოუთქვამს გარდა იმისა, რომ წარმოუდგენელია ერთმა კაცმა რომ ამხელა მოცულობის წიგნი და ისიც სახელმძღვანელო დაწეროსო. მერე კი სიტყვა რეცენზენტს გადასცა.

რეცენზენტი, წინასწარ, 130-მდე შენიშვნის წაკითხვას დაგვიპირდა (შენიშვნის ბოლო ნომერი ხაზგასმულად, გამოკვეთილად წაგვიკითხა). დარბაზი ღელავდა, რადგან შენიშვნების რაოდენობამ მსმენელებზე დიდი გავლენა მოახდინა.

ბატონმა გელამ, შენიშვნების კითხვისას, რამდენჯერმე ვერ მოითმინა და რეცენზენტს სიტყვა შეაწყვეტინა:

– „მე ასე არ მიწერია!“. რეცენზენტმა გაიოცა:

– „როგორ არ გიწერია, ზუსტად ასე ვკითხულობთ ამა და ამ გვერდზე, რაც სისულელეა!“ ბატონმა გელამ:

– აბა, ვნახოთ თუ მართლა ასე წერია? და დარბაზში ბევრმა დაიწყო მითითებული გვერდის ძებნა.

1-2 წუთის შემდეგ ბატონი გელა ხმამაღლა კითხულობს მითითებულ ადგილს (მასთან ერთად ბევრი დარბაზში მსხდომი დაინტერესებული პირიც) და ყველანი აშკარად ვხედავთ, რომ რეცენზენტს შეცდომით წაუკითხავს და ამოუწერია მთელი აზრები და ახლა თავის შეცდომას აკრიტიკებს.

დარბაზი ტაშით აჯილდოვებს ბატონ გელას. სხდომის თავმჯდომარე კი ზარის წკარუნში დარბაზს სხდომის დახურვით ემუქრება. ხოლო როცა საქციელწამხდარი რეცენზენტი შენიშვნების კითხვას აგრძელებს, დარბაზში ვიღაც უსტვენს.

ერთ-ერთ შენიშვნაში რეცენზენტი ავტორს საყვედურობს „ამ საკითხის მარქსისტული გაგება ასეთი და ასეთია, შენ კი ასე არ გიწერიაო“!

დარბაზი გაიტრუნა (რაკი ეს უდიდეს ცოდვად ეთვლებოდათ იდეოლოგიური დარგის მუშაკებს). ბატონი გელა ეძებს, მაგრამ ვერ პოულობს სათანადო ადგილს;

რას იპოვი, რაც არ გიწერია! თვითკმაყოფილი ამბობს რეცენზენტი;

აბა, ვნახოთ თუ არ მიწერია! დარბაზში დამაბული სიჩუმეა;

ბატონი გელა ამაოდ ეძებს...

რას იპოვი, რაც არ გიწერია! – ამბობს გამარჯვებული ღიმილით ოპონენტი; სიტუაცია უკიდურესად იძაბება. ნერვები ყველას დაწყვეტაზე გვაქვს!

ამ დროს ბატონი გელა მშვიდად კითხულობს სასურველ ადგილს თავისი წიგნიდან (მასთან ერთად სხვებიც).

ისეთმა ტაშმა იფეთქა დარბაზში, რომ ძნელი გახდა ხალხის დამშვიდება. მე ტაში არ დამიკრავს, მაგრამ ცრემლებით კი ამევსო თვალები, რის გამოც კარგახანს ბინდ-ბუნდად ვხედავდი პრეზიდენტს და ჩემს სათაყვანებელ ბატონ სხდომის თავმჯდომარესაც, რომელიც ახლა ბატონი რეცენზენტის მიმართ აღარ მალავდა ირონიულ ღიმილს.

ამის შემდეგ უკვე რეცენზენტმა ავტორს მხოლოდ ის უსაყვედურა, რომ კლასიკოსთა ციტატები არ ჰქონდა გამოყენებული და არც გამოტოვებული ან უადგილოდ ნახმარი წერტილ-მძიმეების რიცხვის დასახელება დავიწყებია, რამაც დარბაზში სიცილი გამოიწვია.

მახსოვს, როგორ გადაუხადა მადლობა ბატონმა გელამ თავის რეცენზენტს წიგნის ასე საფუძვლიანი კორექტურისთვის. ყველა სხვა შენიშვნა კი, როგორც იტყვიან, „ნაცარტუტად აქცია“. რაც შეეხება კლასიკოსთა ციტატებს, ამის შესახებ თქვა - „მე აქამდე ყურადღება არ მიმიქცევია მათი რაოდენობისთვის; მოვიტანე ის, რაც ჩემი მოსაზრებების დადასტურებისთვის დამჭირდა. ბატონ-

ნი რეცენზენტის შენიშვნის შემდეგ კი დავითვალე და აღმოჩნდა, რომ 80-მდე ციტატა მაქვს გამოყენებული, რაც ძალიან დიდი რიცხვია და შემდგომ გამოცემებში უსათუოდ შევამცირობო”.

ბატონი გელა ტაშის გრიალში ჩამოვიდა კათედრიდან და როცა თავმჯდომარემ (ჩემმა სათაყვანო მასწავლებელმა) სხდომა დახურულად გამოაცხადა, ჩვენს პრეზიდენტს დარბაზიდან დაუსტვინეს.

მაშინ ბატონი გელა გმირად მოვევლინა მაშინდელ სტუდენტებს და სხვა „საქმე“ და საკამათო, დიდხანს აღარაფერი გვქონდა.

ბატონი გელას დისერტაციის დაცვა წიგნის განხილვიდან სულ მალე მოხდა. დაცვამ ფრიად მშვიდობიან სიტუაციაში ჩაიარა, რამაც ბევრი დამსწრესირის მაყურებელი გაანაწყენა, რაკი წიგნის განხილვის მღელვარების მომგვრელი სანახაობის იმედით, დაცვასაც უამრავი ადამიანი ესწრებოდა.

ბატონმა გელამ თავისი კრიტიკული საჯარო გამოსვლებით და საგაზეთო სტატიებით, მას შემდეგაც არაერთხელ გამოაფხიზლა „სოციალისტურ მილში“ მყოფი საზოგადოება.

## ფერმა, რომელიც კალიფორნიაში 70-იან წლებში ბატონმა გელამ ნახა

სანამ დაპირებულ ფერმას აღვწერდე, ანეკდოტი მინდა გავიხსენო: კაცი აღფრთოვანებით უამბობს მეგობრებს, თუ რა გემრიელია ხიზილალა;

– შენ რა იცი? ჰკითხეს;

– როგორ არ ვიცი, ჩემმა მეზობელმა მიაგზო, ებრაელი ჭამდა, ოდესაშიო!

ეს ანეკდოტი ახლა რომ ფერმა უნდა აღვწერო, იმან გამახსენა – ის ფერმა გელა ბანძელაძემ (მამამ) ნახა გასული საუკუნის 70-იან წლებში! მაგრამ, მგონია, რომ დაწინაურებული ქვეყნების გამოცდილება, თუკი სასარგებლოა, სიძველის მიუხედავად, მაინც საინტერესოა, ისტორია ხომ ჩვენი დიდი მასწავლებელია!

რაც შეეხება ფერმას, ის ასე ყოფილა მოწყობილი:

ტიპური ფერმერის ოჯახში სამი თაობა ცხოვრობს – ბებია, ბაბუა, დედა, მამა და მათი ორი სტუდენტი შვილი.

ოჯახი 200 ძროხას უვლის, რაშიც მათ ორი მექანიკოსი და ერთი ვეტერინარი ეხმარებათ, რისთვისაც ისინი რიგიან გასამრჯელოს იღებენ.

ფერმა მექანიზებული ყოფილა: დილით, ნახირს სამოვარზე რომ გაუშვებენ, ძროხების სადგომს, საამისოდ ჩამონტაჟებული წყალსადენი მილიდან წყალს ძლიერი წნევით მიუშვებენ; ნარეცხი წყალი იატაკის ქვეშ ჩაედინება და სასუქისათვის განკუთვნილ ორმოში გროვდება (სასუქს ცხოველების საკვების დამმზადებელი სხვა ფერმერი ყიდულობს).

დღეში სამჯერ, ძროხების მოწველის დრო რომ დადგება, მუსიკას ჩართავენ; ამ ხმაზე ძროხები თავად გამორბიან, რადგან თავლაში მათ სიამოვნება ელოდებათ – გემრიელი საკვები და თბილი წყლის შხაპი. როგორც ჩანს, ძროხებს წყლის აბაზანები ძალიან მოსწონთ, რაკი ბაგასთან თავისი ადგილის დაკავებას ენერგიულად ცდილობენ.

მილებიდან თბილი, სურნელოვან შამპუნისანი წყალი მოედინება, რითაც ცხოველები ჯერ ჩამოიბანებიან, შემდეგ მათ თბილი ჰაერით აშრობენ; 8-10 წუთის შემდეგ ძროხები სისუფთავით ბრწყინავენ.

ეს პროცედურები ადამიანისგან მხოლოდ სათანადო ღილაკზე თითის დაჭერით სრულდება.

ამის შემდეგ უკვე სხვა ღილაკზე თითის დაჭერაა საჭირო და იატაკიდან ორასი საწველი მოწყობილობა ამოდის, ძროხებს ცურზე ავტომატურად მიედგება და იწყება წველის პროცესი; თითოეული საწველი აპარატი, გამჭვირვალე პლასტმასის მილით ცენტრალურ გამჭვირვალე მილთან არის მიერთებული; სასიამოვნოა იმის ნახვა, თუ როგორ მიედინება ერთ მთავარ მილში 200 ძროხის ნაწველი „რძის მდინარედ“ და გარეთ ჩამწკრივებული რძის საზიდი მანქანების ცისტერნებში ჩაედინება.

აქედან უკვე ქალაქში, პირდაპირ კვების ობიექტებში ან რძის გადამამუშავებელ ქარხნებში მიაქვთ. მხარეებს შორის წინასწარ არის დადებული ხელშეკრულება ახლადმოწველილი რძის ჩაბარება-ანაზღაურების შესახებ.

საკანონმდებლო ბაზა მკაცრად იცავს ხელშეკრულების შესრულებას; მისი დამრღვევი დიდი ჯარიმით ისჯება, რის გამოც ორივე მხარე დაინტერესებულია, რომ ის კეთილსინდისიერად შეასრულოს; თითქმის არასოდეს უხდება მძღოლს თავის მართლება – „საბურავმა დაიშვა“, „ბენზინი გამითავდა“ და ა.შ. ყოველ რეისში მძღოლი ისე დიდ გასამრჯელოს იღებს, რომ ყველაფერს იღონებს მანქანის წესრიგში მოსაყვანად (სხვათა შორის, მძღოლების დასაქმება კონკურსით ხდება; ის გარანტირებული არაა, რომ მისი სამსახური მუდმივია; მან იცის, რომ დაუდევრობას არავინ აპატიებს, რის გამოც თავის საქმეს დიდი პასუხისმგებლობით ეკიდება).

თავად რძის მწარმოებელი ფერმერიც დიდ ჯარიმას გადაიხდის, თუ ხელშეკრულება დაარღვია და ვალდებულება თავის დროზე და ხარისხიანად არ შეასრულა. ამიტომ ისიც მობილიზებულია, რათა ძროხები ყუათიანად გამოკვებოს და საჭირო პროდუქტი მუდამ ხელთ ჰქონდეს.

ძროხების საკვებს თვითონ ფერმერი არ აწარმოებს. იგი მას წინასწარ დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, მეზობელი ფერმერისაგან ღებულობს, რომელიც ცხოველების საკვების მოპოვების პროგრამით მუშაობს. დაბრკოლების შემთხვევაში ის იძულებულია საკვები სხვაგან შეიძინოს და მეცხოველე ფერმას ჩააბაროს, წინააღმდეგ შემთხვევაში ჯარიმას გადაიხდის, რაც გაცილებით უფრო დიდია, ვიდრე საკვების საფასური.

დროდადრო ფერმერს სეზონური სამუშაოებისთვის მუშა ხელის დაქირავება სჭირდება (მაგალითად, სასასუქე ორმოს გასუფთავებისა და მანქანებზე დატვირთვის მიზნით).

ოჯახის სამივე თაობა ენერგიულად შრომობს და ამაგიც უფასდებათ – საკმაოდ მდიდრები არიან იმისათვის, რომ ცხოვრების ყველა სიკეთით ისარგებლონ; სატრანსპორტო საშუალებები, ძვირად ღირებული სასწავლებლები, სამედიცინო მომსახურება, მოგზაურობები, ბანკეტები, საქველმოქმედო და ფინანსებთან დაკავშირებული სხვა ღონისძიებები მათთვის ნებისმიერ დროს ხელმისაწვდომია.

ეს წერილი ისევ ანეკდოტით მინდა დავასრულო, რომელიც, როგორც ამბობდნენ, ნამდვილად მოხდა და რომელსაც ჯერ კიდევ მაშინ ჰყვებოდნენ, როცა კაპიტალიზმის ხოტბა სასტიკად ისჯებოდა: ცნობილ ქართველ დიპლომატს (როგორც მახსოვს – მელორ სტურუას) მოსკოვში ჩასვლისას, ოფიციალურ შეხვედრაზე პროვოკაციული კითხვა დაუსვეს:

– როგორაა საქმე ამერიკაში, მართლა ლპება კაპიტალიზმი? (იმ დროს, როცა სიტყვა „კაპიტალიზმს“ ახსენებდნენ, უთუოდ უნდა ეთქვათ „ძირმომპალი კაპიტალიზმი“).

ოფიციალური პირი არ დაიბნა და ისეთი ორაზროვანი პასუხი გასცა, რაზე შედავებაც შეუძლებელი იყო

ლპება, ლპება! თანაც ისეთი სუნი ასდიიის... დიპლომატმა თვალები ნეტარებით მილულა და წარმოდგენილი სუნი სიამოვნებით შეიყნოსა.

ამბობენ, რომ მსგავსმა ანეკდოტებმა, სოციალისტური წყობის დანგრევის საქმეში, დიდი როლი შეასრულა.

თბილისი, 1985.

ბაზ

*el ene demetraze*

დონატები ცაში

ქალბატონ სატის ოთახში სანთელი გვიან ღამემდე არ ჩამქრალა. სატი ჩრდილო კავკასიაში გაზრდილი სათნო, დიდი ხნის წინ დაქვრივებული ქალბატონი გახლდათ, ბავშვობიდან ღვთისმოსავი ქრისტიანი... თუმცა კომუნისტური მმართველობის პერიოდში უამრავჯერ შევიწროებულს ხშირად უნატრია, ნეტავ ჩემი ცხოვრების ესა თუ ის მონაკვეთი საერთოდ გამაქრობინა, ან მეხსიერებიდან ამომაშლევინაო. ამ საძულველ პერიოდში უმეტესად ისეთ დროს გულისხმობდა, როცა ლოცვა აღარ შეეძლო და სასოწარკვეთილი ოთახის კედლებს აქეთ-იქით აწყდებოდა. ერთი პერიოდი იფიქრა, ცოტა ამოვისუნთქეო... მაგრამ შეცდა. ამჟამად ქუჩებში სამოქალაქო ომი მძვინვარებდა.

ფაბრიციუსის ქუჩაზე მდებარე იტალიური ეზოს ყველა მაცხოვრებელი ხედავდა, თუ როგორ იღვწოდა თავისი და შვილის სულის გადარჩენისთვის ქალბატონი სატი. ერთადერთი ქალიშვილი ჰყავდა, სტუდენტი კესო. კესო ტანად მაღალი, სრული გოგონა იყო, გრძელი, მუქი თმით. ჯანმრთელობა კი, მიუხედავად წარმოსადეგი შეხედულებისა, სუსტი ჰქონდა. შიმშილისგან ძალაგამოცლილი ზოგჯერ ქუჩაში ეცემოდა. კესო თითქმის სულ სერიოზული იყო, იშვიათად იცინოდა. უსახსრობის გამო ვერც ექიმთან მიდიოდა და სანახევროდ მშიერი დაიარებოდა... შუქი რომ ჩაქვრებოდა ხოლმე, მაშინ კი უბრუნდებოდა კესო თავის ამპლუას – ძველებურ როიალს მიუჯდებოდა და კლასიკას თავგანწირვით აუღერებდა. ვიდას ახსოვდა უშუქო ქალაქი და გაჭირვება – საღამოობით ფაბრიციუსის ქუჩა კესოს მელოდიებს ლამის საცეკვაო მოედნად გადაექცია. დიდი და პატარა შტრაუსის მუსიკაზე ვალსირებდა. მათ ეზოს თითქმის ყოველდღე სტუმრობდა ერთი უმშვენიერესი, სახასიათო გარეგნობის ქალბატონი – ნელი აბაშიძე. აი, ვის სმენას ატკობდა განსაკუთრებით კესოს როიალი. გასაოცარი ის იყო, რომ ქალიშვილმა ზუსტად იცოდა, თუ როდის ამოვიდოდა ქუჩაზე ეს თეთრებში ჩაცმული თავადური წარმოშობის ქალი. ამიტომ მისთვის განზრახ მართავდა კონცერტს. დიახ, კესოს უყვარდა, როცა მავანს თავს შეუცვლელ ადამიანად აგრძნობინებდა.

ასეთი გარემოს შემქმნელი დედა-შვილი სამეზობლოს უყვარდა და ებრალებოდა. თუმცა ნაკლებად ეკლესიურ მეზობლებს ის ფაქტი უფრო ახარებდათ, რომ თავისი შვილის გარდა სატი მათ შვილებზეც ლოცულობდა. ამიტომ იყო, გაჭირვებისას შეძლებისდაგვარად ეხმარებოდნენ კიდეც... მაგრამ სხვებს ვალში არც ის რჩებოდა. სატი მეზობლებს მოიმადლიერებდა ხოლმე და მეზობლები კი სატის. ან კი ვის რა შეეძლო, როცა გაგანია ომი მძვინვარებდა...

ზამთრის ერთ ცივ საღამოს გვერდითა კარის მეზობელმა თავმტკივან სატის ორი აბი ასპირინი რომ მოურბენინა, ამან ეს უკანასკნელი ისე გაახარა, რომ თავის ტკივილი სულ გადაავიწყა. მადლიერმა რამდენიმე დღის მერე კი იმ მეზობელს ეკლესიიდან ნაწყალობევი ერთი ბოთლი ლიმონათი მიაერთვა.

... ახლა კი მბჟუტავ სანთელთან ახლოს, ძველებურ ვიწრო შეზღონგზე იწვა პლედგადაფარებული. ციოდა და ოთახს ვერაფრით ათბობდა. გოგონა რატომღაც აგვიანებდა და სატი ყოველწამს მის დაბრუნებას ელოდა. ქალის თვალები ძილს ებრძოდნენ, ტუჩები ლოცვას მექანიკურად ბუტბუტებდნენ. დაღლილს ძილმა მაინც წაართვა თავი. ცოტა ხანში ასეთი რამ ეზმანა, თითქოს კესომ კარი შემოაღო და ძლივს გასაგონი ხმით უთხრა, დედა, თავი საშინლად მტკივა და გული მერევავო. ძილში ისევ იწვა, სწორედ ისე, როგორც ცხადში. სიზმარში ქალბატონმა სატიმ ერთი პირობა წაუყრუა, ადგომა ეზარებოდა და იმიტომ. მაგრამ როდესაც ხელმეორედ გაიგონა იგივე სიტყვები, მაშინ კი წამოჯდა შეზღონგის კიდეზე და თითის წვერებით საშინაო ფეხსაცმელს დაუწყო ძებნა. მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ იყო ცხადში. თვალი მხოლოდ მაშინლა გაახილა, როცა კარი ჭრიალით გაიღო.

– თურმე ჩაკეტვა დამვიწყებია! – წამოიძახა შეშინებულმა და თავი ასწია. მბჟუტავი სანთელი ქრებოდა და ძლივს გაარჩია კესოს ლანდი.

– დედა, თავი მტკივა, ცუდად ვარ, საღამოს ქუჩაში დავვარდი და ....

– ახლა რაღა დაგემართა შვილო, სად წაიქეცი?! – წამოიძახა შემფოთებულმა ქალბატონმა სატიმ, კესოს მივარდა და გათომილ ლოყებზე ხელები მოუთათუნა.

– არა, დედა, არაფერი მტკენია. ლექციებიდან რომ მოვდიოდით, მაშინ... იქ გული წამივიდა შიშხილისაგან... იქვე ახლოს, დონატებთან. – ენის ბორძიკით ჰყვებოდა კესო და ხელის ცეცებით ცდილობდა, სიბნელეში სადმე ჩამომჯდარიყო. – მერე ჩვენი კეთილი პროფესორი, იქვე, პროსპექტზე რომ ცხოვრობს, გამოვიდა და გოგონების დახმარებით სახლში ამიყვანა. იმათ თევზის კონსერვის ნარჩენი ჰქონდათ, შპროტები... გამიმასპინძლდნენ. – კესომ, როგორც იქნა, თავისი საწოლი მონახა და ზედ ჩამოჯდა.

გამწარებულმა სატიმ სიბნელეში კომოდზე ხელის ცეცებით მოძებნა გასაღები, უჯრა რომ გაეღო, სადაც სანთლებს ინახავდა. მერე ერთადერთი, ობლად შთენილი სანთლის ნარჩენი ნახა და იმით გაანათა მხოლოდ.

– რას მეუბნები, კესო! ეგ როგორ დაგემართა? აგრე გშოიდა, განა? მე ხომ დაგიმზადე პურის კოტლეტები, რად არ წაიღე ინსტიტუტში? – კითხვები მიაყარა ქალბატონმა სატიმ შვილს.

– დალახვროს ეშმაკმა... დავიღალე დედა, ამ ცხოვრებით დავიღალე! როდის მეღირსება ადამიანური ყოფიერება? ერთი თვეა უკვე ამ პურის კოტლეტებს ვჭამთ, ცარიელი თურქული ერბო ყიპყიყებს კუჭში და გულს მირევს.

– ყიპყიპებს? რა უბედურებაა, ეს რა ქართულია? – ძალად ხუმრობის გუნებაზე დადგა ქალბატონი სატი, კესო რომ გაემხნევებინა. (ამას დედობრივი მოვალეობა აიძულებდა) – ჰა, თქვი შენი საყვარელი დონატების სურნელმა იმოქმედა, ხომ?

– ვითომ არ იცი... – ბუზღუნით მიუგო კესომ. – აბა, რა იმოქმედებდა? ყიდვა რომ ვერ შევძელი, გავლიზიანდი, გულთან რაღაც სიმძიმე მომაწვა და იქვე ჩავიკეცი.

ამის გამგონე სატიმ ღრმად შეისუნთქა ჰაერი. „ოჰ, რა უსუსურია ჩემი ასული, – გაიფიქრა გუნებაში და ნაღვლიანმა ჭერში აიხედა. – დიდგულა და უსუსური, როგორც ბუმბული. არადა, ისეთი შემართება ჰქონდა თავიდან, მეგონა, ყველაფერს გაუძლებდა. ბუმბულის ქვემეხია სუფთა!“

მერე... სხვებმა იყიდეს? და თუ იყიდეს, შენ რად არ გიწილადეს? – ჩაემია სატი შვილს, ჯიბიდან ასპირინის საწუწნი აბი ამოიღო და გაუწოდა.

ოჰ, Pardon! – მრავალმნიშვნელოვნად გადმოხედა დედას კესომ და აბი თვალისდახამხამებაში გაღეჭა. – როგორ ფიქრობ, რამდენჯერ უნდა მიწილადონ? ეგეც არ იყოს, ისინი შეძლებისდაგვარად საუზმობენ დილ-დილობით, ამიტომ საცხობისკენ არც კი გაუხედავთ.

სატის გული მოეწურა. – ჩემი პატარა მშვიერი შვილი, – თქვა მან, კესოს მხრებზე ხელები მოჰხვია და თავისკენ მიიზიდა. ცდილობდა, ხმა არ აჰკანკალებოდა, თუმცა ამისი ალბათობა მცირე იყო სირთულეებით გამოწრთობილი ქალბატონის ფოლადისებრი ხასიათისთვის.

– ჯგუფელები... კურსელები... დაქალები. იცი მაინც, თუ რამდენი კახა გყავს უკვე კურსზე? – ბრაზით ალაპარაკდა კესო. – ნეტავ რაში ედარდებათ მაგათ ჩემი გაჭირვება? რა, ძალიან გულზე ვეხატები? მაგათთვის ზედმეტი მჭამელი პირი ვარ.

სატი გაშრა, ქალიშვილისგან ტოლების ასეთ დახასიათებას არ ელოდა. – არა, თავად კესოს აქვს რთული ხასიათი, არაადაპტირებადი. – გაიფიქრა თავისთვის. გული დაწყდა, რომ თვითონ საპენსიო ასაკი ჯერ კიდევ არ დადგომოდა, მარჩენალდაკარგულის პენსია კი სამი თვეა, გაყინულიყო და აბა, რით უნდა ეარსება? მართალია, თვეში ერთხელ დისშვილი, რომელიც ამერიკაში ცხოვრობდა, დაუმაღლებლად უგზავნიდა მცირეოდენ თანხას, მაგრამ ეს რას კმაროდა, როცა ყველა პროდუქტი ასე ძვირი იყო და თან არც იშოვებოდა. ისიც იყო, ქალბატონ სატის უფრო მეტი თანხის თხოვნა სრცხვენოდა კიდევ... უცბად ქალი კესოს დამუხტულმა მზერამ შეაწუხა და მოიხედა. გოგონას ფიქრით სავსე თვალები ანთებოდა.

– აი, რა მოვიფიქრე დედა! – ხარტად თქვა მან და თითი ლოყაზე მიიღო.

– რა, გენაცვალე?

– ხვალ დილით ადრე უნდა ავდგე და მცხეთაში წავიდე, სამთავროს დედათა მონასტერში.

ოჰ! როდის აქეთია, ლოცვის გადაწყვეტილება მიიღე, მცირედმორწმუნე მადმუაზელ კესარია? – კვლავ გაეხუმრა შვილს სატი (კესოს ღმერთი სწამდა, მაგრამ ეკლესიაში სიარულსა და ლოცვასთან ცოტა მწყრალად ბრძანდებოდა).

– არა, გადაწყვეტილება არ მიმიღია. გახსოვს, ბავშვობაში ხომ დედათა მონასტერში მოვინათლე? ჰოდა, გუშინ სიზმრად ვნახე, თითქოს იქაურ მაყვლოვანთან მივლასლასდი მშვიერ-მწყურვალი. იქ შავებში ჩაცმული ერთი მოხუცი კაცი იჯდა. ჩემი დანახვისთანავე, თითქოს მელოდაო, თასით წყა-



ლი გამოიწიდა და მე, როგორც კი შევსვი, საოცარი სიმშვიდისა და სიხარულის გრძობა დამეუფლა. ამას ვერ აღვწერ, დედა. ეს თავად უნდა გამოსცადო. მერე მე მადლობა გადავუხადე მას და მოვდიოდი, მაგრამ ეს კეთილშობილი მოხუცი არ მიშვებდა, უნდა გაზიარო.

– რა საოცარია... ასეთი შავი სამოსი, როგორც წესი, ბერებს აცვიათ, კესო. სიზმრად ბერი გინახავს.

– არ ვიცი, დედა, მაგრამ ზიარება მომინდა. სული მთხოვს, მცხეთაში ვეზიარო. ხვალვე აღსარებას ჩავაბარებ და ვეზიარები... იმ მოხუცმა ასე შთამაგონებლად იმოქმედა ჩემზე. არასოდეს დამავიწყდება მისი ღრმა, ფიქრიანი გამოხედვა, საოცარი ძალა ჰქონდა თვალებში.

სატიმ ერთი პირობა შევბით ამოისუნთქა, მაგრამ მერე გაახსენდა, რომ კესოს არავინ აზიარებდა. ის ხომ შაბათის ლოცვას არც კი დასწრებია... და არამცთუ დასწრებია, საერთოდ ეკლესიაშიც იშვიათად თუ შეივლიდა ხოლმე. ჰოდა, თან გზის ფულიც არა აქვს... თუმცა, მირჩევნია წავიდეს, იქნებ რამე უწყალობონ?... – სიმწრით ფიქრობდა ქალბატონი სატი.

\* \* \*

აი, სათაყვანებელი მცხეთა-ქალაქიც. წიწვოვანი ხეებიდან გადმოსული თავისებური სურნელებით. თავდაბურული კესო სწრაფად და ღონივრად მიაბიჯებდა ახლა სამთავროს დედათა მონასტრის აღმართზე, მიუხედავად იმისა, რომ ახლაც უზმო იყო. მიაბიჯებდა და ცდილობდა ეს სასიამოვნო, ზამთრის ყინვიანი ჰაერი მთელი ფილტვებით შეესუნთქა, თითქოს ამით აპირებდა გაჯანსაღებას. პირჯვარს იწერდა და თან ხშირ-ხშირად იხედებოდა დაბლა, თავის მრგვალცხვირიან, ბუთქუნა შავ ბატინკებზე, რომელსაც სიძველის გამო წარამარა ეხსნებოდა თასმები.

აღმართზე ასვლა ადვილი არ იყო, ჯერ კიდევ მოყინულზე მოუწესრიგებლად დაეყენებინათ მანქანები. ერთი უზარმაზარი ავტობუსი კი სიგანეზე ჩამდგარიყო და შესასვლელი ლამის მთლად ჩაეხერგა. კესომ როგორც იყო, აღმართი გაათავა და მონასტრის განიერ ჭიშკართან აღმოჩნდა. ეზოს სიღრმეში ხალხი ირეოდა, ყაყანებდა. მერე ვიღაცის ხმამაღალი გინება გაისმა. შეიარაღებული დაჯგუფების გავეშებული წევრები იყვნენ. მონაზვნები ჭკუას არიგებდნენ და ამათ კიდევ არაფერი ესმოდათ, თავისას მიერეკებოდნენ.

– არა, კარგად იცით, ლობიოები რომ არა ვართ და იხტიბარს არ იტყებთ! მაგრამ ქალები ხართ და თქვენთან ლაპარაკს აზრი არა აქვს! წადი, ტაძრის უფროსს უთხარ – კურთხევისთვის გუჯა მეკალათე მოვიდა-თქო! – ზედამხედველივით უყვიროდა ვიღაც საშუალო ასაკის ჭადარა, შეიარაღებული კაცი მონაზონს და ხელებს ჰაერში იქნევდა. უკან მდგარი ერთი დაბალი და მსუქანი მეგობარი მას აკავებდა და მოთმინებისკენ მოუწოდებდა. – ხელი მაშინ გამოიყენე, თუ შენი სიტყვა არ გაჭრისო, – ჩუმად უმეორებდა გუჯას ის.

ნანახისგან კესოს სუნთქვა შეეკრა, გრძობდა, რომ შეიძლებოდა ნერვებს ემტყუნა და გაქცევას ცოტადა უკლდა. ვერ აიტანა, მიზნისკენ მიმავალ გზაზე

რომ დაბრკოლება შეხვდა. \_ დამთავრდა, ველარც ვეზიარები! \_ გაიფიქრა მან, თითებით ჭიშკრის სახელურს ჩაეჭიდა და თავი რკინებსშუა გაჰყყო.

უეცრად უცნაური სანახაობის მომსწრე გახდა. შემადღებზე მდებარე კელიის კარი გაიღო და იქიდან ჯოხზე დაყრდნობილი მოხუცი გამოვიდა. მერე აღელვებულმა კესომაც გაბედა ჭიშკრის გაღება და მთლად გაოგნდა, რადგან ეს მოხუცი სიზმრად ნანახ ბერს წვეთი წყალივით მიამსგავსა.

გაბრიელ ბერი მოდის, ახლა მაინც გაჩუმდით, კურთხევა აიღეთ! \_ აქა-იქ გაისმოდა მონაზვნების მორიდებული ხმა.

გაბრიელ ბერი... თურმე გაბრიელ ბერი მიხმობდა საზიარებლად. \_ ჩაიჩურჩულა კესომ და სწრაფი ნაბიჯებით გაემართა ეზოში შეკრებილი ხალხისკენ. ჩუმად, სასოებით, თითქოს თავისივე ლანდს უფრთხისო, მივიდა გაბრიელ ბერთან, შორიახლო დაუდგა და სმენად გადაიქცა. მონაზვნებიც გაისუსნენ. ის შეიარაღებული ჭადარა გუჯა უკან ხელეშემოწყობილი მძიმე ნაბიჯებით გამოეყო თავის ხალხს, ბერისკენ თავხედური ღიმილით გამოემართა და ასე უთხრა:

„ჰა, მამა გაბრიელ, ვაჟკაცი შენა გვყავხარ, მაგრამ ესენი განა ნაკლები ვაჟკაცი ბიჭები არიან, განა ლობიობა აქა?! ქალაქზე წესრიგს ვამყარებთ და ახლა შენ იცი, არ დაუშვა ზვიადისტების ხელახალი პარპაში! ერთი გვაკურთხე და მაგათ სულ დედას ვუტირებთ, სანამ ჩვენი კაცი არ მოვა სათავეში!

აკურთხე მამაო, ჩვენ ვაჩვენებთ ამათ, როგორ უნდა თბილისზე გაბატონება! \_ ყიჟინით აჰყენენ ფრთაშესხმული „ვაჟკაცები“ მას ზურგსუკან.

დაიჩოქეთ! \_ ხმამაღლა შეჰყვირა მამა გაბრიელმა და ჰაერში ჯოხი აღმართა. ამას დაჯგუფების წევრები არ მოელოდნენ და აიფოფრნენ.

კესო დაიძაბა. იგრძნო, თუ როგორ აასხა საფეთქლებში სისხლმა.

„რააა, მამაო!“ \_ აღმოხდა მეკალათეს.

გოგონია, ატამანი ხარ? დაიჩოქე, დიაცო! \_ ელჭექივით დაიგრგვინა გაბრიელ ბერმა და ჯოხი ესროლა მისკენ მომავალს. \_ მე ვუბრძანებ, რომ შენ ეს ქული მოგხადონ და დიაცის საცვლით დაგიბურონ ეგ ბორა თავი!

შეიარაღებული დაჯგუფების გაოგნებული წევრები ერთმანეთს უყურებდნენ და ვერა გაეგოთ რა. გუჯამ კი ნასროლი ჯოხი აიცდინა და გაანჩხლებული ის-ის იყო, კინადამ ეცა გაბრიელ ბერს, რომ კესო ადგილს მოწყდა, თვალის-დახამხამებაში გუჯა მეკალათეს წინ აღმოჩნდა და „ატამანს“ ფეხი წამოუდო. ისიც მყისიერად გაიშხლართა ძირს.

იარაღიანებმაც ერთბაშად აიწყვიტეს და კესოს უშვერი სიტყვებით გინება დაუწყეს.

\_ ჩვენი არ გეშინია, შე დედააფეთქებულო?!!!

\_ ქალი ხარ და მოდი, აქედან მოუსვი, თორემ შენც აფხაზი ძუკნებივით მიგასუხარებთ! \_ აქა-იქ ისმოდა აგრესიულად მორჩილთა შემახილები.

\_ ჰა-ჰა-ჰა, \_ გადაიხარხარა გაბრიელ ბერის გვერდში ყოფნით გადიდგულეულმა კესომ. \_ თქვენი ვის ეშინია, თქვე მართლა ძუკნებო! ნუ გადამრიეთ ახლა, ვაი, ვაი, ვაი, გული არ გამიხეთქოთ! ამათ უყურე, რა... ძალად გამირები ესენი! \_ არ შეარჩინა მან. ქალაქური გრიმასი გააკეთა და მარჯვენა ხელი გულზე იტაცა, აქაოდა, რა ძალიან შემაშინეთო.

დაბალი, მსუქანი კაცი ადგილიდან დაიძრა, რომ კესო შუაზე გაეგლიჯა ...მაგრამ ვინ მიუშვა! გაბრიელ ბერის მოქნიული ჯოხმა ამჯერად მიზანს მიაღწია და მსუქანს შიგ შუბლში მოხვდა. თვალი ჩაუსისხლიანდა.

– ჰაა, გინდათ ახლა ვატერლოოს ბრძოლა მოგიწყოთ?! მე არ ვყოფილვარ გაბრიელ ბერი, თქვენ თუ გონზე არ მოგიყვანეთ! – რიხით წარმოთქვა მან და გუჯას დახედა, რომელიც კვლავაც ისევ ისე იყო მიწას გართხმული. მერე ადგომა უბრძანა. „ატამანმა“ არამცთუ სხეული, კისერიც კი ვერ ასწია მაღლა.

– ჩქარა ადექი-მეთქი! – გაუმეორა გუჯა მეკალათეს, მას კი პასუხად მხოლოდ კენესა აღმოხდა. ამ სასწაულის შემხედვარე უკან მდგომეზსაც სულ ერთიანად დაჰკარგვოდათ ბრძოლის წადილი – წინააღმდეგობისა და ავციობის ეშმაკი მათგან შორს განდევნილიყო. ხუმრობა იყო? მათი სათაყვანებელი დაუმარცხებელი ატამანი პირველად ჩავარდა ასეთ გამოუვალ მდგომარეობაში და ისიც – ვიღაც გამოუსვლელი კლერიკალის მეოხებით! (ბერისგან ხომ ასეთ მბრძანებლობას ნამდვილად არ ელოდნენ, რადგან ვიღაცამ ჩააგონათ, იგი მხოლოდ ხუთი კლასის განათლებით არისო).

– რას მერჩი, მამაო, შემოიწყალე რაა... და კარგ პატივსა გცემთ, რესტორანში წაგიყვანთ, ხიზილალა ვჭამოთ!! – შეევედრა ბერს მიწაზე მწოლიარე.

კესომ ჩაიფხუკუნა, რის გამოც წამიერად გაბრიელ ბერის რისხვით სავსე თვალებს წააწყდა. – „უნდა გავჩუმდე, თორემ არ მიმიღებს და უზიარებლობით დავისჯები.“ – დატუქსა თავი.

გაბრიელ ბერმა გუჯას მიმართა: – რა პირი აიქაფე? თქვენ ხომ ქართველებს მოჰკლავთ, მე რომ აქედან გაგიშვათ? მოჰკლავთ და ხელიც არ აგიკანკალდებათ, ისე!

– მამაო, ომია და მამ, აბა... – არ ცხრებოდნენ მეკალათეს დამფრთხალი კუდისამწევენი, თუმცა ამის მეტს ვედარაფერს ამბობდნენ. მაინც ბერი იყო და ვერ უბედავდნენ.

ძმათამკვლელ ომში გამარჯვებული არ არსებობს, ღვთის რისხვაა თქვენზე მოწეული! – ამჯერად დაბალ ხმაზე უთხრა გაბრიელ ბერმა იარაღიანებს და გამომცდელად შეხედა.

– შეგვინდე მამაო, შეგვინდე და მეტს აღარ ვიზამთ! – შეჰღალაღეს. თვალებში მორჩილება აღიბეჭდეს.

გაბრიელ ბერმა ამოიოხრა, მერე ტამრის შესასვლელ ბჰისკართან მოფუსფუსე ილუმენიას გასძახა:

– დედაო მარიამ, ამათ ჯვრები და წმიდა გიორგის ხატები გამოუბრძანე!

ხნიერი დედა მარიამი ჯერ მოუახლოვდა ბერს, წაქცეულს ყველა მხრიდან კარგად დააცქერდა, თითქოს სწავლობსო... მერე თავი დანანებით გადააქნია და მორჩილად გატრიალდა ბერის ბრძანების შესასრულებლად.

გაბრიელ ბერმა ახლა კესოსთვის მოიცალა, ზურგსუკან მდგარ ქალიშვილს მიუტრიალდა და თვალით ანიშნა, ილუმენიას გაჰყევით.

კესომ გაიხარა, რომ ბერის მცირეოდენი ყურადღების ღირსი მაინც გახდა. მას თავი დაუქნია და ილუმენიასკენ გაიქცა. – ნელა, გოგო, არ წაიქციე! – სიყვარულით მიადევნა ბერმა.

თქვენ რომ „მამაო ჩვენოს“ სიტყვით ხმამაღლა და ხატებს ემთხვევით, მაშინ ადგება თქვენი უფროსი! – წყნარად მოუტრიალდა შეიარაღებულებს, ლოცვად მოშორებით გადგა და ცად აღაპყრო ხელები გაბრიელ ბერმა. – სახელითა მამისათა და ძისათა, და სულისა წმიდისათა! – ბუბუნებდა ის. ქათ-ქათა, თითქმის გამჭვირვალე ხელის კანი ჰქონდა. მოქნილი ხელების ლამაზი მოძრაობებით ბიბლიურ გმირს ჩამოჰგავდა. ლოცვად მდგარი მოგიზგიზე წმინდა სანთელივით იყო...

\* \* \*

თავის მხრივ, იარაღიანებმაც ჩაათავეს ლოცვა.

– ინებე, მამაო! – მიუახლოვდა ილუმენია მარიამი ბერს, როცა ეს უკანასკნელი ვედრებას მორჩა. თავი დაუკრა და ხატები და ჯვრები გადასცა.

იმანაც სათითაოდ ჩამოურიგა წმიდა გიორგის ხატები. ბოლოს გუჯას დაუდგა წინ. – ახლა კი წამოდექი, – მიმართა მას და ჯვარი გამოსახა.

გუჯა მკვალათე მყისვე უპრობლემოდ წამოდგა. აღარ იცოდა, თვალეზი სად წაეღო, – პატვისა გცემთ, მამაო, ეს ამბავი უნდა გავავრცელოთ, აღნიშვნის ღირსია! – თვალეზდახრილმა სწრაფად ჩაულაპარაკა ბერს, თან გვარიანად შემინებული აქეთ-იქით იყურებოდა.

– ღმერთმა გიშველოთ, წადით და აღარ დახოცოთ ძმეები. ეს საქართველოა და ისინიც თქვენსავით ქართველნი არიან! – აკურთხა ყველა გაბრიელ ბერმა, კიდევ ერთხელ გადასახა ჯვარი მათ და მონასტრის ეზოდან გაისტუმრა.

\* \* \*

– რა მოგივიდა, გოგო? რა მგელივით შემოვარდი მონასტერში. იმისთვის მოხვედი, რომ ატამანისთვის ფეხი წამოგედო? – თავზე ხელი დაადო კესოს ტამარში დაბრუნებულმა გაბრიელ ბერმა და წელანდელისგან განსხვავებით, ამჯერად ტკბილად გაუღიმა.

– სხვა გზა არ მქონდა, მომიტევეთ... მე ზიარებისთვის მოვედი. – დაიხარა და ხელზე ემთხვია კესო.

გაბრიელ ბერს ჩაეცინა. – ჰმ, ზიარებისთვის მობრძანდა. ჯერ პატარა ხარ, უნდა გაიზარდო. – მიუგო კესოს და ეს უკანასკნელი უეცრად ჩაწვდა ამ სიტყვების მნიშვნელობას. მერე ბერმა დედა მარიამს გასძახა, თასით წყლისა და ფუნთუშების მოტანა სთხოვა, სტუმარი დააპურეო და მონასტრის კარი მიხურა.

– რა სათნო ხმა გაქვთ, სწორედ ასე დამესიზმრეთ, მამაო გაბრიელ, მშიერ-მწყურვალს სავსე თასი რომ მომაწოდეთ, – თვალეზი აუწყლიანდა კესოს.

ბერს გაეღიმა.

– ახალგაზრდა ხარ, შვილო. – უთხრა კესოს... კარგი იყო, ამათ არ შესწრებოდი, მაგრამ... სიბინძურითა აქვთ ჩათითხნილი სულები. იმათი ატამანი ხომ მთლად დედაკაცივით ანჩხლია. მაგათში, შავებს რომ უწოდებენ თავს, კაცი

კაცსა ჰყვარობს და ქალი ქალს. ჰმ, ჩამეცათ! ომობენ, ჩვენს თბილის-ქალაქს აკონტროლებენ ბიჭები!

– მე რომ ლექციებიდან ვბრუნდები, ხშირად ვყვები ხოლმე მაგათი ტყვიების წვიმაში. ერთხელ, სირაჩხანაზე ტყვიამ წუილით პირდაპირ ყურთან ჩამიარა. – ბერს გული გადაუშალა და აღსარებასავით გაანდო კესომ.

– შენ ჩაგიარა და ვიღაცის ლოცვამ გადაგარჩინა, ბევრს კი შეეხო და გულიც გაუგმირა.

– მაგრამ თქვენ ხომ მაინც სულ ლოცულობთ ყველასთვის? – გულუბრყვილოდ ჰკითხა კესომ.

– კი, მაგრამ ეს არ კმარა! ადამიანმა თვითონაც უნდა ილოცოს თავის გადასარჩენად, თორემ მერე სხვათა ლოცვა სულ ამაოა. მე თუ ვლოცავ და თავად ბოროტის საქმეს ემსახურება, ლოცვა სულ ამაოდ შეერაცხება და ცხოვრების გზაზე წარწყმდება!

– და ჩვენ რაღა გზას დავადგეთ, მამაო, ამ გაჭირვების ჟამს?

– ილოცე და შენს გამზრდელ დედას მადლობა უთხარ, შვილო! ილოცე და ტყვია კი არა, აღარაფერი გაგეკარება, ლოცვას მთების დაძვრა შეუძლია. ყველაფერს ერევა მართალი გულით ნათქვამი ლოცვები.

– შიმშილსაც? – გოცებით შეხედა კესომ და მაშინვე იხანა თავისი ნათქვამი. აქაოდა, სირცხვილია, არ შემატყოს, როგორ მშიაო.

– გშია, ხომ? ძალიანა გშია, შე საბრალო. სხვას როგორ დააპურებთ, სახლში თავდაც არაფერი გაქვთ... ეგენი კი რესტორნის სარკმლიდან ყრიან ნარჩენებს... – თითქოს მიუხვდაო, ჩაფიქრებით ჩაილაპარაკა გაბრიელ ბერმა და წინ და უკან სიარულს მოჰყვა.

კარი გაიღო. იღუმენია მარიამი იყო. ფუნთუშები და თასით წყალი მოეტანა კესოსთვის.

ქალიშვილმა დიდი მადლობა გადაუხადა ბერს და დედა მარიამს, წყალი მოსვა და კრემიან დონატებს ხარბად დააცხრა. თავიდან გაუცნობიერებლად ჭამდა, მერე თითქოს აზრი დაატანა, რას აკეთებდა და მხოლოდ მაშინ გააცნობიერა თავისი სიხარბე, როცა კუჭში სისავსის შეგრძნება დაეუფლა. გვიან გამოერკვა და ერთბაშად მიხვდა, რომ გაბრიელ ბერს ხუთი დონატიდან არც ერთი არგუნა. თავი ჩაჰკიდა და დადარდიანდა... მერე კიდევ დიდხანს ისაუბრეს მან, იქვე მოფუსფუსე დედა მარიამმა და მამა გაბრიელმა. ფრთხილად იყავიო, უთხრა ბერმა კესოს, ისეთი დროა, ბევრი ქალი და კაციც თავის ნამუსსა და სახელს საჭმელ-სასმელში გაცვლის და ეშმაკს თავისი ნებით მიჰყიდის სულსო. შენ ასეთებს ერიდე და ლოცვით გაძლიერდიო, დაარიგა.

მოგვიანებით მონასტრიდან სიხარულით სავსე გამოვიდა კესო – გაბრიელ ბერმა ხომ თავის მიერ დაწერილი ლოცვა აჩუქა. ასევე კესომ კურთხევა მიიღო, წაეკითხა შვიდგზის ლოცვები, სხვათა გაჭირვებაზე შეძლებისდაგვარად ეფიქრა და მცხეთაში ევლო.

\* \* \*

ნაშუადღევს, სატისთან და კესოსთან ახალგაზრდა, დახვეწილი მანერების მქონე ქალიშვილი მივიდა. ეს კესოს ჯგუფელი ანა იყო, რომელიც ირგვლივ მუდამ „სალვადორ დალის“ გასაოცარ სურნელს აფრქვევდა. გაშლილი თმითა და მოხდენილი ბერეტიტ რომ ოთახში შეაბიჯა, სატი მაშინ სარკმელთან იჯდა და კესოს დაგლეჯილ ბატინკებს ძირს ჩაქუჩით უმაგრებდა.

– „სატი დეიდა, დღეს ჩემი შეყვარებულის დღეობაა, რესტორანში იხდის, წამოვიდეს რა კესო, გამოუშვით, მანქანით ვართ.“ – დიდი მონდომებით წამოიწყო ანამ.

კესომ შეუბღვირა.

„არ წამოვალ! რით უნდა წამოვიდე, ხომ ხედავ ფეხსაცმელი არ მაქვს?“ – ბუზღუნით უთხრა ჯგუფელს, გულით კი ეწადა წასვლა... ისევ იმის გამო, რომ იქ შესაძლებლობა მიეცემოდა, ცოტაოდენი საკვები დედისთვისაც წამოეღო.

– წადი შვილო, ნახე, სულ ახალივითაა, – სატიმ შვილს გაუწოდა ფეხსაცმელი, რომელიც ახლა თითქმის უნაკლოდ გამოიყურებოდა და აღარც დაწებებული ლანჩები ეტყობოდა. კესოს გუნება ცოტა გამოუკეთდა.

– სატი დეიდა, – პროვოკაციულად განაგრძო ანამ. – ეს ჩვენი კესო ასეთი წარმოსადეგი, მაგრამ ძალიან უთაურია... ვეუბნები, შენც გაიჩინე მდიდარი შეყვარებული-მეთქი. აი, ჩემი მხედრიონელია, მაგარი ბიჭი. არაფერს მაკლებს.

– ჰო, რა ვიცი, ჩემი შვილი სულ მუჭებზე იყურება – ღიმილი შეაგება სატიმ კესოს ჯგუფელს. – ჩრდილო კავკასიაში, მე სადაც გავიზარდე, ასეთებზე ამბობენ: „Коня на скаку остановит!“-ო. არა, არა, შეცდომითაა გოგოდ დაბადებული. შეხედავ, ნაზია, მაგრამ... მტრისას, ეგ თუ გაბრაზდა.

– იცოდე, ეს ხასიათი ცხოვრებაში არ გამოგადგება, რადგან ვერასოდეს გამოიჭერ კარგ მამაკაცს! – მიუბრუნდა კესოს მრავლისმცოდნე ჯგუფელი და თავიდან ბოლომდე აათვალიერ-ჩაათვალიერა. სარკის წინ მოტრიალე შავ ბატინკებში გამოწყობილი კესო უზარმაზარ, ზურმუხტისფერ შალში ისე ოსტატურად გახვეულიყო, თმაზე ხელოვნური შავი ყვავილიც ისე მომხიბლავად დაემაგრებინა, რომ კაცი იფიქრებდა, ვინაა ეს ქალღმერთიო.

\* \* \*

რესტორანი „დივა იტალიანა“ სტუმრების სიცილ-ხარხარისგან ინგრეოდა. ადმინისტრაციას ორი ვიოლონჩელისტი და ორი ფლეიტისტი ბარ „არგოდან“ გაორმაგებული ხელფასის შეპირებით გადმოეყვანა. მაგრამ არ იცოდნენ, რომ კესოს ჯგუფელის შეყვარებულს – გიას დაბადების დღეზე პოპულარული ბრიოლინიანი მომღერალი გოგა თურქგეევი მოეწვია. ადმინისტრაციას ასეთი გეგმა ჰქონდა, საზეიმო საღამო კლასიკური მუსიკის თანხლებით წარმართულიყო, მხედრიონელებს კი ქალაქური სიმღერების შესასრულებლად თავისი კაცი ჰყავდათ. ინტერესთა კონფლიქტი გარდაუვალი იყო.

„დივა იტალიანა“ გუგუნებდა. მას ქალაქის უშუქო ნაწილისგან განსხვავებით კერძო განათების და გენერატორების სისტემით ამუშავებდნენ. რესტორანში საკმაო ხმაური და სივიწროვე იყო.

ჯგუფელის შეყვარებული კომპლიმენტებითა და შემახილებით შეხვდა ახალშემოსულ კესოს. და თუმცა გოგონამ თავი ხაზგასმულად ცივად, მდუმარედ დაიჭირა, იქ შესვლისთანავე მაინც ყველას ყურადღება მიიპყრო. არა მარტო გია, სხვა მხედრიონელი ბიჭებიც მხოლოდ კესოს უცქერდნენ. მისით დაიბოღმა და ნერვულად მოუკიდა სიგარეტს.

სუფრას მიუახლოვდა კანფეტით გაწუწული, კლასიკურად ჩაცმული ოფიცინტი, რომელსაც ემმაკურად მოელვარე პაწაწინა თვალები ჰქონდა და შარვლის გრძელი ტოტებიდან „ნაიკის“ ბოტასები მოუჩანდა. მენიუ დარდმანდულად დაუგდო მაგიდაზე და შემპარავი ხმით უთხრა:

– „გნებავთ ცივი საუზმეული?“

– რა შედის შიგ? – ალაღად იკითხა კესომ.

ეგეც არ იცი, ნეტავ შენ საუზმეს და სადილს თუ ასხვავებ ერთმანეთისგან...  
– უკბინა პირისპირ მჯდომმა ჯგუფელმა და მალბორო პირდაპირ სახეში შეაბოლა. – პურის კატლეტის მეტი რამე საკვები თუ მოიპოვება, არც გსმენია.

კესოს სახეზე გაკვირვება გამოეხატა, თუმცა სიტყვები აღარ უძებნია, – „და ლადნა უჟ, პრედკოვ ტვაიხ მალბორო ი კოფე უბილი!“ – დამცინავად ესროლა თვითონაც და მენიუს დაუწყო თვალიერება. გულისყურით კი მაინც ვერ დაათვალიერა, რადგან იგრძნო, რა ძლიერ ეტკინა გული და როგორ დააკარგვინა ჭამის სურვილი ანას სიტყვებმა.

სამაგიეროდ გიას ეამა, კესომ ანას ასე ოსტატურად რომ დაუბრუნა ხურდა. – სპასიბა, სესტრიჩკა, ნა მესტო სრაზუ პასტავილა. – ჩაიქირქილა გიამ, შამპანური მოსვა და ფამილიარულად მოუთათუნა კესოს მხარზე ხელი. ჯიგარი ხარო, თან დააყოლა. კესოს ჯგუფელმა იეჭვიანა და თვალები მოჭუტა. ახლა აპეტაიზერსა და კოკტილს მიეძალა.

ცოტა ხანში „დივა იტალიანაში“ სტუმრების ნაკადმა იმატა. ახლა სულ სხვა, აფხაზეთის ომის სნაიპერთა ჯგუფი შემოვიდა. ისინი იუბილარ წევრს, წითელკაბიან სნაიპერ ნინელი იაკობიძეს დღეობას უხდიდნენ. ორმოცდაერთი წლის გამხდარიყო. ნინელიმ არც აცია, არც აცხელა, გიას დანახვისთანავე ამაღლა მიატოვა და გეზი მისი მაგიდისკენ აიღო. მიუახლოვდა და სიტყვებით „ორ იუბილარს გაუმარჯოს!“, გიას ჩაეკონა. ერთმანეთი ძველი შეყვარებულებივით მგრძნობიარედ მოიკითხეს, მაგრამ ქალი რატომღაც ფეხს ითრევდა. აშკარა იყო, უფრო აქაურ გარემოს ანიჭებდა უპირატესობას. ცალი ხელით გიას თმას უჩჩავდა, ცალით კი შემწვარი კიბორჩხალა დაითრია. გიამ ანას გადახედა. იმას უკვე გულგრილი გამომეტყველება მიედო და ზედ ეწერა, ეს რა ბებერია, ამაზე როგორ უნდა ვიეჭვიანო... მაგრამ კაცმა მაინც სცადა, ეს წითელფრჩხილებიანი მარწუხებივით ძლიერი თითები თავისი მხრებიდან მოეშორებინა. ძლიერი იყო იაკობიძის ქალი!

„თუ აღზნებული ხართ და გშიათ, ახლავე რამეს მოვატანინებ“ – უთხრა კესომ სტუმარს, ისე, რომ აინუნშიაც არ ჩაუგდია ის ფაქტი, თვითონაც რომ ამხანაგს გამოჰყვა.

– უიმეე, ეს ყვავილიანი პწიჩკა-გომიკა ვილა არის? – დამცინავად გადმოხედა წითელკაბიანმა და ხმამაღლა გაიცინა. პროფილში ცხენს ჩამოჰგავდა და კესომ დაასკვნა, რომ ეს დიდი ზომის ხელოვნური კბილების ეფექტი იყო.

– მე კესო მქვია. – ასე გაეპასუხა ის იაობიძეს.

– გვარი?

– საიდუმლოა.

– ვააა....

– თავში ქვა! – არ დაინდო კესომ სნაიპერი, რომელსაც მოულოდნელობისაგან თვალები ლამის შუბლზე აუვიდა.

– უჰ, ახლა კი გახურდება ქეიფი, მიყვარს ქალების დაპირისპირება, აი! – კმაყოფილებით თქვა გიამ და ხელისგულები ერთმანეთს წაუსვა რაღაც სასიამოვნოს მოლოდინში. ანა კი ამ დიალოგმა ცოტა გაამხიარულა, რადგან ახლა შეყვარებულის ყურადღება კესოდან ნაწილობრივ მაინც სხვა საგანზე გადავიდა.

ამაღამ სტრელკაზე არ მივდიოდე, ვიცოდი როგორც მოგეცეოდი, კესო. მაგრამ გაგიმართლა, ჩემი რომ არ დაგესო. ვიშკაზე მივდივარ, დღეს ლამაზი უნდა ვიყო! – ვითომ მხიარულად ჩაუღიქა კესოს ნინელიმ, თვალი თვალში გაუყარა და ორი გრძელი თითი მხარზე მსუბუქად დაჰკრა. კესოს არ მოეწონა ეს მოზიემე მზერა. „დიადი ბოზის მზერა აქვს!“ – გაიფიქრა თავისთვის.

ანამ დრო იხელთა და გაას კოქტეილისთვის ბარამდე მიცილება სთხოვა. სეირის მომლოდინე შეყვარებული უხალისოდ დათანხმდა.

– გინდათ, ვიცეკვოთ? – ჰკითხა მოულოდნელად ნინელიმ მარტოდ დარჩენილ კესოს, – ბიჭს მე შეგირჩევთ.

კესოს უარი უნდა ეთქვა, რადგან ჯერ კიდევ ვერ მოესწრო დანაყრება, მაგრამ ნინელიმ ისეთი ძალით ჩაავლო ხელი მაჯაში, რომ წამიერად წინააღმდეგობა ვერც გაუწია. საცეკვაო მოედანზე კი სნაიპერმა კესო ერთ სიგარაგაჩრილ, ზონზროხა მხედრიონელს დაუპირისპირა, მერე ბეჭებში პატარა ბიძგი და... ზედ მიაჯახა. ელვის სისწრაფით მოქმედებდა.

კესო, თითქოს სილა გააწნესო, ისე გამწარდა, მაგრამ არ შეიმჩნია და თავი იმგვარად დაიჭირა, ვითომდა სასურველ ყმაწვილს ეცეკვებოდა. (უნდა ითქვას, რომ კესოს გასაოცრად, ზონზროხა უცებ საოცრად გალანტური გახდა), შემდეგ კი კესომ შურისძიების გეგმა შეიმუშავა. იფიქრა, შესაფერის მომენტს დაველოდები, როცა მე თვითონაც „შემთხვევით“ დავეტაკები ტანგოს ცეკვისასო. ასე კი გადაწყვიტა, მაგრამ ახალშემოსულმა სტუმრების ნაკადმა გეგმა სულ ჩაუფუშა. აქეთ მუსიკოსებმა შეწყვიტეს დაკვრა და უკმაყოფილო სახეებით ინსტრუმენტების სწრაფად ალაგებას შეუდგნენ. იდგა კესო ერთ ადგილზე და ვერც ფეხს ინაცვლებდა, ვედარც სუფრასთან ბრუნდებოდა. – დაპირისპირების თავიდან აცილება სურთ! – დაასკვნა მან.



\* \* \*

– სცენაზე ჩვენი ესტრადის ბრწყინვალე ვარსკვლავი, განუმეორებელი ხმის პატრონი და ქალაქური სიმღერების უბადლო შემსრულებელი – სახელგანთქმული გოგა თურქგეევი! – გამოაცხადა კონცერტის წამყვანმა სმოკინგში გამოწვეპილმა ახალგაზრდამ. ტაში დასცხეს. აპლოდისმენტების თაღქვეშ გაბრწყინდა გოგა თურქგეევი.

– ლიუბლიუუუუ! – ანაზდად დაიკვილა იაკობიძის ქალმა და ტაში თავსწმომთ დაუკრა. ცმუკავდა და თავისი ჟესტებით ხალხს მხედველობის არეალს უვიწროებდა.

– ხმა, კრინტი! – თვალეზი დაუბრიალა გიამ ქალს. – მორჩი წივილკივილს, დროა შენებთან გადაბარგდე! – თქვა და სკამის საზურგეზე გადაწვა. მერე მკვეთრად მოტრიალდა სამოსკენ და განუცხადა:

– სადაცაა, გუჯა მოვა თავისი ხალხით. თავის საყვარელ რეპერტუარს შეუკვეთავს და მაგ მომღერალს გადაუხდის. ჩემ წილს კი თქვენი მონამორჩილი იუბილარი ვკისრულობ, ძმაო... ფულით! – გიამ პირი გააწვლაპუნა და გუგებში ვნების ნაპერწალი გაუკრთა. თვალეზქვეშ მუქი წრეები კიდევ უფრო გამოეკვეთა. – ჰა, რას იტყვით?

– ტრა-ლა-ლაააა... – ჭერს ახედა ანამ და ხმამაღლა წაუღმღერა, თითქოს შეყვარებულის ხმის გადაფარვას ცდილობსო.

– შენ ჩვენ გვაქეიფე და... – სიტყვა გააწყვეტინა გიამ გვერდით მჯდომმა ძმაკაცმა. – რაში მენადვლება, როგორ გადაუხდის... ისა და, გუჯა როგორ უხდის? ფულით, თუ კალათშიც ჩაუდებს ნობათს? უშნოდ გაიღრიჯა და თვალი ჩაუკრა.

– ერთი მაგათიც, მე რა ვიცი, თუ გაჭირვებულ მდგომარეობაში ნახა, კალათშიც ჩაუდებს. რატო არაა, რო!

– და შენ? – ირიზად გახედა ძმაკაცმა და წარბი აუწია.

– გააჩნია, რა დუხზე ვიქნები, ტო!.. – ჩაეცინა გიამ. – ისე, რას გადამკიდებინხარ, აგე, გუჯაც მოვიდა!

მართლაც, კარი გაიღო და გუჯა შემოვიდა. ის რომ შემოვიდა, თურქგეევი მაშინ შალახოს უვლიდა. გუჯაც ადგა და მუსიკას ჩქარი ტაში ააყოლა. თურქგეევი კი ბოლო აკორდის დასრულებისთანავე შედგა, ყურები ცქვიტა და მკვალათეს შეაგება მხერა. მათ ტელეპათიური გავლენა ჰქონდათ ერთმანეთზე. მომღერალი გაიპრანჭა და ტუჩები წინ გამოსწია. ტუჩებთან ერთად წინ გამოსწია მარცხენა ფეხიც და თემოებიც გაარხია. კესო ახლოს იდგა და დენდარტყმულივით გაოგნებული შესცქეროდა ამას. ხოლო როცა ის იხილა, თუ როგორ მიუახლოვდა გუჯა სცენაზე მომღერალს და ვნებით გათანგულ ტუჩებზე ცერა თითი მიადო, კესოს საშინელი გულისრევის შეგრძნება დაეფულა.

ის გაჭირვებით დაბრუნდა სუფრასთან და სკამზე მოწყვეტით დაეშვა. დღეობის მონაწილეებს თეფშებზე უკვე ნამუსრევი დაეხვავებინათ და კესოს ლობსტერის კუდის გასინჯვას ურჩევდნენ, მაგრამ რისი თავი ჰქონდა? ნაწილობრივ სიგარეტის კვამლისგანაც ერეოდა გული, ხოლო ხმამაღალი მუსიკის-

გან დაფის აპკები გახეთქვაზე ჰქონდა... ის გარყვნილი ბებერი ხომ... ის... ბერისგან კურთხევას იღებდა! აქ... აქ მოეთრა და... ტფუ! გაფიქრებაც მზარავს!- ნაწყვეტ-ნაწყვეტად ეუბნებოდა თავის ჯგუფელს. ეს უკანასკნელი უკვე კესოს წამოყვანას ნანობდა, ზიზლით უყურებდა და მზად იყო, აქედან ჯანდაბის იქით გაეშვა.

\_ მისმინე... მოდი, კარგ რამეზე ვილაპარაკოთ... \_ სიტყვა ბანზე აუგდო ჯგუფელმა. \_ სანამ შენ ცეკვავდი, ნახე, გიამ რა სიურპრიზი მომიწყო?.

\_ რა სიურპრიზი, თავი მისკდება. \_ უნიათოდ ჩაილაპარაკა.

მერე თავი ჩაქინდრა და სახეზე ხელისგულებში ჩარგო. მხოლოდ მაშინდა გამოერკვა, როცა მუსიკა მიჩუმდა. შვებით ამოისუნთქა და ჯგუფელს შეხედა, იმან კი სასწრაფოდ მარჯვენა ხელის არათითი შეაგება, რომელიც ჩაის წყლის ბრილიანტიან ბუჩქის ფორმის ბეჭედს დაემშვენებინა.

\_ ეს ნიშნობას უდრის, არ მომილოცავ? \_ ჰკითხა კესოს.

\_ ჰმ, ლექსი გამახსენდა! \_ მიუგო მან და თვალები მოჰკუტა.

\_ რა დროს ლექსია, რა ლექსი გაგახსენდა?!

\_ აი, ეს: „Выходит замуж молодость

Не за кого - за что.

Себя ломает молодость

За модное манто.

За золотые горы

И в серебре виски.

Эх, да по фарфору

Ходят сапоги!

Где пьют, там и льют

-- Слезы, слезы, слезы льют!“

\_ აუ, ვერა ხარ შენ, ხო იცი! შეირგე რამე ცხოვრებაში, რა... \_ გამწარდა ჯგუფელი და კესო მიხვდა, რომ მან ლექსი ვერ გაიგო.

\_ ვოზნესენსკია, შე სულელო! \_ გაუწყრა ანას, მაგრამ მის გამოცივებულ თვალებს რომ შეხედა, ლექსზე საუბრის სურვილი ერთიანად გაუქრა.

\_ გაა, სად არის? \_ უცბად შეცვალა თემა.

\_ არ ვიცი, წედან აქ იყო და....

უეცრად მათი ყურადღება იაკობიძის ქალმა მიიპყრო. შამპანური დაელია და სცენაზე ასულიყო. მუსიკოსებს ასდოლარიანებს უფრიალებდა ცხვირწინ და სთხოვდა, „მამ, საიდან მომეჩვენე შენ“ დაუკართო. დაუკრეს. იაკობიძემ ყვავის ხმა ამოუშვა და მას აჰყვინენ მხედრიონელი ყვანჩალა დაქალებიც. იქაურობა მთლად გააყრუეს.

კესოს კი ისევ ტალღასავით წამოუარა გულისრევის შეგრძნებამ და ჯგუფელი ქალები ტუალეტში გაიყოლა. \_ დარწმუნებული რომ არ ვიყო, რომ უმამაკაცოდ დაიარები, ნადდი ორსული ხარ-მეთქი, გეტყოდი, უკვე ისეთ სიმპტომებს ავლენ! \_ წაუსისინა დერეფანში ჯგუფელმა. კესომ არაფერი უთხრა, მხოლოდ შეხედა და ხელი ჩაიქნია. მერე ტუალეტს მიადგნენ და იქიდან უცნაური ზმუილისა თუ გმინვის მსგავსი ხმა მოესმათ. შეეჭვდნენ.

კარს ჩამოჰკრეს ხელი \_ კარი შიგნიდან აღმოჩნდა დაკეტილი, ზმუილი კი არამც თუ არ წყდებოდა, უფრო ვნებიანი და გამოკვეთილი ხდებოდა.

\_ უნდა დაველოდოთ, \_ თქვა კესომ, კარს ზურგით მიეყრდნო და ბოლო ძალა მოიკრიბა. ცივი ოფლი ასხამდა, კარსუკან კი უცნაური რამ ხდებოდა. მამაკაცის ვნებიან გმინვას ახლა კარზე სწრაფი, რიტმული ზიძგების ხმაური და უწმაწური სიტყვებიც თან დაერთო. კესომ ჯგუფელს შეხედა. ის სახეზე ალექსილიყო და აღარ იცოდა, რა მოემოქმედებინა. \_ წამო რა, პარკს გამოვართმევ და ვერანდაზე გავიდეთ! \_ დაბნეულმა ესლა მოახერხა კესოსთვის ეთქვა და ის-ის იყო, უნდა წამოსულიყვნენ, რომ ტუალეტის კარი გაიღო და... ჰოი, საოცრებავ! \_ თურქგეევი, ჯგუფელის ძვირფასი საქმრო და გუჯა მეკალათე ერთად გამოვიდნენ.

\_ ლიუბოვ ვტრაიომ, შტო ლი? \_ კესომ ჯერ სამივეს გააყოლა თვალი, მერე კი ჯგუფელს შეხედა. ანა სირცხვილისგან აჭარხლებულიყო, სიმწრის ღიმილი სახეზე შეეყინოდა, მაგრამ ჩანდა, რომ აშკარად საქმის კურსში იყო.

\_ მიდი ახლა, ჩქარა შევარდი და გული აირიე! ოღონდ, გაფრთხილებ: იცოდე, არ დაიწყო შენებურები! არაფერი თქვა, გესმის? არაფერი, თორემ ცხოვრებაში აღარსად წამოგიყვან! \_ მაჯაში ჩაავლო ხელი კესოს და ბავშვით გაქაჩა ტუალეტისკენ.

\_ როდის გთხოვე რამე, შენ მე ბომჟი ხომ არ გგონივარ? \_ პირში მიახალა კესომ, ხელი გაითავისუფლა და უკანმოუხედავად გაიქცა დერეფნის ბოლოსკენ.

ის შურდულივით გამოვარდა „დივა იტალიანადან“ და სუფთა ცივი ჰაერი ხარბად ჩაისუნთქა. გარეთ აღმოაჩინა, რომ გულისრევამ თითქმის გადაუარა. ღმერთს მადლობა შესწირა და ფეხით დაუყვა ჭავჭავაძის გამზირს.

მთელი გზა იმაზე ფიქრობდა, თუ რა გულთამხილავი ყოფილა გაბრიელ ბერი, როცა უთხრა, ასეთებს ერიდეო. \_ თურმე იმ სიბინძურით ჩათითხნილებს გულისხმობდა. წინათგრძნობამაც რომ თავი შეახსენა და ვოზნესენსკის ის ლექსიც რომ შემთხვევით არ წაუკითხა თავის ჯგუფელს? ჭკუაზე მოყვანა უნდოდა, თუმცა არ გამოუვიდა. ანას ხომ მაღალი მატერიების არაფერი გაეგებოდა. \_ ასეთებს მარტო გათხოვება შეუძლიათ... და ფულიან მესაჯდომეზე დაქორწინება სარფიან საქმედ მიაჩნიად!.. \_ გაიფიქრა გულში და ნაბიჯს აუჩქარა. გზის ფული არ ჰქონდა და ფეხით უნდა ევლო აქედან სირაჩხანამდე.

\_ დაბრძანდი, ლამაზო! \_ ამ სიტყვებით რამდენიმე მძლოლმა მიმართა და ავტომობილებიც გაუჩერეს, მაგრამ კესო ზედაც არავის უყურებდა, „დივა იტალიანას“ ამაზრზენი სცენები მესხიერებაში ჩარჩენოდა და ყველა მამაკაცი ერთნაირი ეგონა.

\* \* \*

„ღმერთო, გვედრები შენ, ზეციდან მოგვისმინე, პირი ჩვენკენ იბრუნე, წყალობა მოგვივლინე, შენ გაგვიშვი მშვიდობით, რომ ვიართ შენი გზით, შენს მცნებებს ვასრულებდეთ და ბოროტს გავურბოდეთ. მასწავლე, უფალო,

შენ წინ ლოცვა და შენი წმიდა სჯულის დაცვა, რომ შენი გული გაგვიერთ-გულდეს და შენი წმიდა სჯულით ვიაროთ. ამინ!” – ხატების წინ, ალბათ, უკვე მესამედ კითხულობდა გაბრიელ ბერის ამ ლოცვას კესო და მცირე მეტანიებს ასრულებდა. დაიღალა, უკვე ექვსი სრულდებოდა. სადამო იყო და დედა არსად ჩანდა. სახლი დაიარა და პურის ნამცეცეც ვერსად ნახა!.. არადა, შიოდა, სასტიკად შიოდა... ჰმ, რესტორნიდან დაბრუნებულს!

მიხვდა, რომ იქ წასვლით შეცდომა დაუშვა. აბა როგორ უნდა აეხსნა დედისთვის, რომ კვლავ მშიერი დაბრუნდა, რას იტყოდა სატი? არადა, წასვლამდე დედასაც იმედი გაუჩინა, რამეს მოგიტანო. თვალზე ცრემლმომდგარმა კესომ სარკმელი გამოაღო და ღრუბლიან ცას ახედა. ერთი ფაფუკი ღრუბელი ფუნთუშას საოცრად ჰგავდა, გერმანული დონატივით შუაგულში ჩადრმავება ჰქონდა. კესომ ნერწყვი გადაყლაპა, მერე დედის შეზღოვნაზე წამოწვა, თვალები დახუჭა და ოცნებას მიეცა... და უკვე წარმოსახვაში დაინახა დიდი, დაპუდრული, ტკბილი დონატები. სურათი სურათს დიდი სისწრაფით ცვლიდა და დონატები სულ უფრო და უფრო უახლოვდებოდნენ, ოღონდ ისინი ხან წვრილდებოდნენ, ხან სქელდებოდნენ, ფუფუნდებოდნენ და ფორმას სრულიად იცვლიდნენ. ოცნება ძილმა და საამურმა ზმანებებმა ჩაანაცვლეს.

მერე კარი გაიღო და ოთახში შემოვიდნენ. ახლა ნახევრად ძილბურანში მყოფ კესოს ასეთი საუბარი ჩაესმოდა:

„აქვე გაიხსნა, ჩემი ძმისშვილის არის, ხომ იცი, ერთმანეთის პატრონები ვართ. ცოტაოდენი ფული მქონდა და მივეცი.“

ცოტა კიდევ და, ახლა წინკარიდან შუა ოთახისკენ მომავალი ნაბიჯების ხმაც გაიგონა და უეცრად წამოჯდა. თვალები მოიფშვნიტა, აღარ ახსოვდა, რამდენ ხანს ეძინა. მაჯა ჰქონდა აჩქარებული.

– დიდხანს მეძინა? – ხმამაღლა გასძახა დედამისს.

– არ ვიცი, შვილო. ალბათ, კარგ დროს გაატარებდი – გაეპასუხა სატი, – მე კი ახლა მოვედი, ქალბატონი ნელი მოვიყვანე.

კესოს მწარედ გაეცინა. თუმცა ქალბატონი ნელიც სიყვარულით წამოხტა, თმა უცბად მოისწესრიგა და თაროდან შტრაუსის ნოტები გადმოიღო. იცოდა, როიალთან დასვამდნენ და გეზიც იქით აიღო.

იმ ოთახში ვანილისა და ნამცხვრის მათრობელა სურნელი იდგა და სიხარულისგან ლამის შეჰყვორდა. ქალბატონი ნელი და ქალბატონი სატი სავარძლებში განაბულიყვნენ კესოს კონცერტის მოლოდინში. როიალზე კი სინი იდგა, დაპუდრული დონატებით სავსე. კესომ გაიღიმა, როიალს მიუჯდა და თავდავიწყებით ააჟღერა „ცისფერი დუნაი“.

– იცი, სატი, ამ ბედკრულ ცხოვრებაში შენი ქალიშვილის სადამოს კონცერტები მილიონი მიღირს, – გაბრწყინებული სახით გადაულაპარაკა ქალბატონმა ნელიმ კესოს დედას. – ოღონდ ჩვენი პიანისტი მიტკობდეს სმენას და ამიერიდან ერთი ვალსი – ჩემგან ფეშქაშად დონატებით სავსე ერთი სინია.



**ღ *revaz miSvel aZe***

სცენარი პანტომიმის სპექტაკლისათვის



**შოთა რუსთაველი**  
**ვეფხისტყაოსანი**

**პირველი სურათი**

განთიადი ახლოვდება.

რიბირაბოა.

ლურჯად, მკრთალად განათებული სცენა.

კულისებიდან მოისმის სასიამოვნოდ ბოხი, მკვეთრი, ძველქართული ინტონაციით წაკითხული:

„მე, რუსთველი, ხელობითა ვიქმ საქმესა ამა დარი:

ვის ჰმორჩილობს ჯარი სპათა, მისთვის ვხელობ, მისთვის მკვდარი,

დავუძღვრდი, მიჯნურთათვის კვლა წამალი არსით არი,

ანუ მომცეს განკურნება, ანუ მიწა მე სამარი.

კაცი ვერავინ ვერას იქმს, თუ ეტლი არ მოსთმინდების,

მე რაცა მინდა, არა მაქვს, რაცა მაქვს, არ მომინდების,

ბინდისფერია სოფელი, უფრო და უფრო ბინდების,

კოკასა შიგან რაცა დგას, იგივე წარმოსდინდების.

მიმნდობნი საწუთროსანი მისთა ნივთთაგან რჩებიან,  
იშვებენ, მაგრამ უმუხთლოდ ბოლოდ ვერ მოურჩებიან,  
ვაქებ ჭკუასა ბრძენთასა, რომელნი ეურჩებიან.  
ისმენდი ჩემთა ამბავთა, თუ სულნი შეთამრჩებიან”.

შორიდან მოისმის მარშისებური დოლის ცემა და მას ადევნებული ლაშქრული მელოდია.

ხმა თანდათან ახლოვდება.

სცენაც უფროდაუფრო ნათდება.

ლურჯ ფერს ყვითელი ფერი ერევა.

სცენის სიღრმიდან მწყობრად მომავალი მეომრები გამოჩნდნენ. ორად გაყოფილ რაზმს, წინ მაღალი, ულამაზესი ჭაბუკი მოუძღვის. უკან, შორიახლო ორი მეომარი მოჰყვება და შემდეგ სხვა მეომარნი მოაბიჯებენ.

საოცარია მეომართა სინქრონულობა.

ავანსცენაზე ლაშქარი იყოფა: ერთი ნაწილი მარჯვნივ მიდის, მეორე მარცხნივ.

მერე სცენაზე ურთიერთსაპირისპირო მიმართულებით რამდენჯერმე გაივლიან მეომრები. ამჯერად მათ ერთმანეთის მხრებზე უწყვიათ ხელები.

კვლავ საოცარი სიმწყობრე ჯარისა.

უეცრად წელში მოიხარნენ და წრე შეკრეს.

ფეხის შეთრევით, თითქოს რაღაცას ეპარებიან.

თოროსანი ჭაბუკი წრის შუაშია და ხელის მოძრაობით ჯარს წინამძღვრობს.

მერე წრე ისევ იშლება და ამჯერად ჯარს წინხელგაშვერილი ჭაბუკი მიუძღვის.

სამარშო მუსიკა საომარმა შეცვალა.

ყიჟინა, ფარ-მუზარადთა ხათქახუთქი.

სცენაზე ნამდვილი ომია.

ფარ-შუბების და ხმალთა კვეთება.

იგი კარგა ხანს გრძელდება.

უეცრად ვეფხვის ღრიალი გაისმა.

მეომრები წამით გაირინდნენ და მერე შეშინებულნი უკან მიაწყდნენ.

მხოლოდ წინამძღოლი ჭაბუკი დარჩა ადგილზე.

ჭექა-ქუხილის და გრგვინვა-გრილის ფონზე სცენაზე ვეფხვი გადმოხტა.

დაიწყო ვეფხვისა და ჭაბუკის საბედისწერო, სამკვდრო-სასიცოცხლო კვეთება.



მებრძოლნი ირგვლივ დგანან და გმინავენ.  
ჩარევას ვერავინ ზედავს.  
ხან ვეფხვია ყირაზე, ხან ჭაბუკი.  
ორივე დაუძღვრებამდე დაიდალა.  
ჯერჯერობით შერკინება თანაბარმალოვანია.  
ბოლოს კაცმა სძლია.  
ვეფხვს ყელზე თითები შემოაჭდო და აიტაცა.  
ვეფხვის უკანასკნელი აღრიალება და სასიკვდილო ხრიალი.  
მზეჭაბუკმა გაიმარჯვა.  
მან სატევარი იძრო და სცენის სიბნელეში გაუჩინარებულ დაჭრილ ვეფხვს  
გამოედევნა.  
სიბნელეში და რიარიაში მალე გამოჩნდა გამარჯვებული ჭაბუკი.  
ყველანი შემოეხვივნენ და გაოცებულნი ათვალიერებენ.  
ტანზე აბჯრის ნაცვლად, მხარზე გარდიგარდმო გადაგდებული ვეფხვის  
ტყავი აცვია.  
ეს ვეფხვისტყავისანი ჭაბუკი ტარიელია.

## მეორე სურათი

უზარმზარი, გაუვალი ტყე.  
ხეებსა და ლაქამ-ხვიარებში მშვილდისარმომარჯვებული ტარიელი სანა-  
დიროდ გამოსულა.  
შორიახლო ორი მსახური მოჰყვება.  
შემოტრიალდება ტარიელი, სტყორცნის ისარს, ისევ შემოტრიალდება და  
ისევ სტყორცნის.  
უეცრად უსიერ ტევრში ულამაზესი ქალი შენიშნა.  
ქალი გაიქცა.  
ტარიელმა მშვილდი გადააგდო და დაედევნა.  
განგაშისებური მუსიკა.  
ტარიელი ხელებით ხეთა ტოტებს განზე სწევს და წინ მიიჩქარის.  
ასევე იქცევა ქალიც. იგი ფარსადან მეფის ქალიშვილი – ნესტან-დარეჯა-  
ნია. ნესტანი ქურციკივით მიხტის.  
უეცრად ტარიელის წინაშე შავეულში, შავი ქორივით ხელეზამართული  
მამიდა დავარი გაჩნდა.  
ნესტანიც და ტარიელიც ორივენი შეჩერდნენ.  
ახლა ისინი ერთმანეთისკენ ისწრაფვიან, მაგრამ მამიდა დავარი მიახლოე-  
ბის საშუალებას არ აძლევს.  
ესესაა უნდა მიუახლოვდნენ და ხელი მისცენ ერთმანეთს, მაგრამ კვლავ  
ქორივით ჩამოეშვება დავარი და ქალ-ვაჟს ერთმანეთს დააშორებს.  
ბოლოს ეპიზოდი იმით მთავრდება, რომ დავარი ხელს სტაცებს ნესტანს  
და იქაურობას გაარიდებს.  
გულშეღონებული ტარიელი ხესთან ჩაიკეცება.

## მესამე სურათი

ფარსადან მეფის კარი.


სამეფო დარბაზი.

აღმოსავლურად მორთულ ტახტზე მორჭმით ზის მეფე. მარცხნივ დედოფალი.

იქვე, მარჯვნივ, ტახტთან ახლოს დგას ტარიელი.

ქვემოთ დიდებულები, ნაზირ-ვეზირები.

ოთხმა მონამ კიდობნით ნესტან-დარეჯანი შემოიყვანა.



შუა დარბაზში ჰარამხანის ქალები უღამაზეს ტანთა მიმორხევით ცეკვავენ..

დიდებულთა თანხლებით შემოიყვანეს ხვარაზმშას შვილი – ფარსადან მეფის სასიძო.

მეფემ ხელი შემართა.

დარბაზი გაისუსა.

*ხმა კულისებიდან:*

„უწყით ყოველმან ხვარაზმშა მეფეა მორჭმით მჯდომელი, მათსამცა შვილსა სასიძოდ ჩვენთვის სხვა სჯობდა რომელი?!“

დარბაზში ტაშმა და ჟრიაბულმა იფეთქა.

შარბათით ერთმანეთს ულოცავენ.

ზანგები ზანგურ როკვას იწყებენ.

მეფის კარზე სიხარული სუფევს.

და უეცრად შუა დარბაზში ტარიელი დადგა.

ხელი შემართა.

დარბაზი სმენად იქცა.

როკვა და საზეიმო მუსიკა შეწყდა.

*ხმა კულისებიდან:*

„იცით, ინდოთა სამეფო რაზომი სრა-საჯდომია, ერთილა მე ვარ მემკვიდრე, ყველაი თქვენ მოგხდომია, ამოწყდა მათი ყველაი, მამული თქვენ დაგრჩომია‘ დღესამდის ტახტი უჩემოდ არავის არ მოჰნდომია.

ვერ გათნევ, თქვენმან კეთილმან, აწ ეგე არმართალია, ღმერთმან არ მოგცა ყმა შვილი, გივის ერთაი ქალია, ხვარაზმშა დასვა ხელმწიფედ, დამრჩების რა ნაცვალია? სხვა მეფედ დაჯდეს ინდოეთს, მერტყას მე ჩემი ხმალია?!“



ამ სიტყვებზე ყველამ ნესტანისკენ გაიხედა.  
როგორც ჩანს, მეფეც, ნესტანისგან ხვარაზმშას ცოლობაზე დასტურს ელო-  
და.

ნესტანი წამოდგა.

ხმა კულისებიდან:

„სწორს ბრძანებს, სპარსთა ვერა ვიქმთ, ინდოეთისა ჭამასა“.

ყველანი სახტად დარჩნენ.

ხვარაზმშას შვილი გატრიალდა და წავიდა.

მისი ამაღა თან გაჰყვა.

განრისხებული მეფე დგას.

მცველებმა დაპატიმრებული დავარ შემოიყვანეს.

ბუნებრივია, ეს ყველაფერი დავარს ბრალდება.

დავარი დარბაზის ცენტრში თმაგაშლილი დგას.

ხმა კულისებიდან:

„დავარ თქვა: ვარო უბრალო, ვით დავამტკიცო, ვითა ვთქვა,  
თუმცაღა მქმნელი ამისა, ვინ არ დამქოლოს, ვინ არ და,  
ვირე მომკლავდეს, მოვკვდები, სიცოცხლე გასაწყინარდა,  
დანა დაიცა, მოცაკვდა, დაეცა, გასისხლმდინარდა“.

დავარის მოქმედება ამ ტექსტს ზუსტად მიჰყვება.

მან დანით თავი მოიკლა.

მეფე წამოდგა.

ნესტანისკენ ხელი გაიშვირა:

ხმა კულისებიდან:

„წაიყვანეთ და დაკარგეთ, მუნ სადაც ზღვისა ჭიპია,  
წმიდისა წყლისა ვერ ნახოს, მყინვარე, ვერცა ლიპია,  
ქაჯთ გაეხარნეს, შეხლტუნვით იყივლეს: „იპი, იპია“  
ესე ვნახე და არ მოვკვდე, არა მგავს არცა სიპია“.

ამის მნახავმა ტარიელმა გაიბრძოლა.

გაიწია ნესტანის საშველად, მაგრამ მეფის მცველებმა არ გაუშვეს და  
დარბაზიდან გაიყვანეს.

დარბაზობა ზარით და გლოვით დამთავრდა.

## მეოთხე სურათი

გზაზე მოდის პროცესია \_ შეიარაღებულ მცველებს ფეხით მოჰყავთ თავი-  
დან ფეხებამდე ბადეგადაფარებული ნესტანი.

ქაჯურ-ზანგური გრძელი, მოსაწყენი მუსიკა.

უდაბნოა.

ქარი უბერავს.

ქარი თანდათან ძლიერდება.  
ქაჯებმა სახეები რიდეებით მოიბურეს.  
გაიარა პროცესიამ და, თითქოს ფეხდაფეხ მიჰყვებოდაო, ტარიელი გამოჩნდა.

იგი თავისი სატრფოს ნესტანის სამებნელადაა წამოსული.  
ქარის სისინი.  
უდაბნოს ქვიშა სახეში სცემს.  
უეცრად ტარიელს კვნესაგარეული ყვირილი და ოხვრა შემოესმა.  
მალე ქვიშის ბურუსს კაცი გამოეყო.  
იგი მხარშია დაჭრილი.  
სალ ხელს იქნევს და ვიღაცას ექადნება.  
*ხმა კულისებიდან:*  
„მახილი მესმა, შევხედენ, მოყმე ამაყად ყიოდა,  
შემოარბევდა ზღვის პირ-პირ, მას თურმე წყლული სტკიოდა.  
ხრმლისა ნატეხი დასვრილი აქვს, სისხლი ჩამოსდიოდა,  
მტერთა ექადა, წყრებოდა, იგინებოდა, ჩიოდა“.

ტარიელი წინ გადაუდგა.  
დაჭრილი შეჩერდა.  
ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს.  
იქვე, ხის ძირში მისხდნენ.  
ტარიელმა მხარი შეუხვია.  
*ხმა კულისებიდან:*

„მულაზანზარის ქალაქი, აქ, ახლოს, მე მაქვს რომელი,  
ნურადინ-ფრიდონ სახელ მძეს, მეფე ვარ მუნა მჯდომელი,  
ესე საზღვარი ჩემია, სადა ხარ გარდამხდომელი,  
ცოტა მაქვს, მაგრამ ყოველგნით სიკეთემიუწვდომელი.

დღეს გამოველ ნადირობად, ზღვისა პირსა ვინადირე,  
ქორის დევნა მომნდომოდა, მით მრეკალი არ ვახშირე,  
სპათა ვუთხარ, მომიცადეთ, მოვიდოდე მეცა ვირე,  
ხუთთა ოდენ ბაზიერთა მეტი არა დავიჭირე.

მომეჯარნეს, ველარა ვქმენ, ნავით ცხენი გარდვიხლტუნვე,  
ზღვა-ზღვა ცურვით წამოვუვე, ჩემი მჭვრეტნი გავაცბუნე,  
თანამყოლი ყველაკაი დამიხოცნეს, დამრჩეს მუნვე,  
ვინცა მდევნის, ვერ შემომხვდის, მივუბრუნდი, მივაბრუნე“.

ტარიელი აღაშფოთა ფრიდონის ნაამბობმა. რაინდებმა ხმლები ჩაბლუჯეს და მტრებთან საბრძოლველად გაემართნენ.

ქარიშხალი უფრო გაძლიერდა.  
გაიმართა ფიცხელი ომი ზღვაში.  
ტარიელის და ფრიდონის ხმლები ელვას აკვესებენ.

ფრიდონის ბიძაშვილები თორჩაფხუტაბჯარასხმულები, ტარიელი და ფრიდონი კი მხარშიშველნი იბრძვიან.

კარგა ხნის ჭიდილის შემდეგ რაინდებმა გაიმარჯვეს.

ფრიდონს და ტარიელს ერთმანეთზე გადაბმული, მხარშეკრული ტყვეები მოჰყავთ.

## მეხუთე სურათი

როსტევან მეფის კარზე დარბაზობაა.

დიდებულნი სხედან.

მსახურნი გადი-გამოდიან.

სასახლეში სასიამოვნო მოლოდინით გამოწვეული სასიამოვნო განწყობა სუფევს.

შემოდის როსტევან მეფე, რომელსაც მისი ერთადერთი ქალიშვილი, ულა-მაზესი თინათინი მოჰყავს სამეფო ტახტისკენ.

უკან დედოფალი, სპასპეტი (ჯარების სარდალი) ავთანდილი და სხვა დიდებულები მიუყვებიან.

როსტევანმა თინათინი სამეფო ტახტზე დასვა.

დაიწყო მეფედ კურთხევის ცერემონიალი.

როსტევანმა სამეფო გვირგვინი აიღო.

თინათინი ტირის.

*ხმა კულისებიდან:*

„უბრძანა: ნუ სტირ ასულო, ისმინე ჩემი თხრობილი,  
დღეს შენ ხარ მეფე არაბეთს, ჩემგან ხელმწიფედ ხმობილი,  
აქათგან ესე სამეფო შენია, მართ მონდობილი,  
ხარმცა ბრძნად მქმნელი საქმისა, იყავ წყნარი და ცნობილი.

ვარდთა და ნეხვთა ვინათგან მზე სწორად მოეფინების,  
დიდთა და წვრილთა წყალობა შენცა ნუ მოგეწყინების,  
უხვი ახსნილსა დააბამს, იგი თვით ების, ვინ ების,  
უხვად გასცემდი, ზღვათაცა შესდის და გაედინების.

მეფეთა შიგან სიუხვე, ვით ედემს ალვა, რგულია,  
უხვსა ჰმორჩილობს ყოველი, იგიცა ვინ ორგულია,  
სმა-ჰამა დიდად შესარგი, დება რა სავარგულია,  
რასაცა გასცემ შენია, რას არა დაკარგულია“.

ამ სიტყვების დამთავრებისთანავე როსტევან მეფემ თინათინს სამეფო გვირგვინი თავზე დაადგა.

დარბაზში ტაშმა იქუხა.  
დიდებულნი ულოცავენ.  
გაიმართა საზეიმო მეჯლისი.

მოცეკვავენი და მომღერ-  
ლები ერთმანეთს ცვლიან.

მოცეკვავე არაბები...

მოცეკვავე ინდოელები...

მოცეკვავე ზანგები...

ერთი სიტყვით, სამეფო  
კარზე ზღაპრული ზეიმი მიმ-  
დინარეობს.



შიგადაშიგ მოქეიფენი აალებული თასებით ხელში ხან როსტევან მეფეს  
ულოცავენ, ხანაც თინათინს.

მოზეიმეთა შორის განსაკუთრებით ავთანდილ გამოირჩევა.

სამეფო დარბაზში უეცრად ეულად მომავალი ხელუბდაქდეული ტარიელი  
გამოჩნდა.

ცეკვა-თამაში შეწყდა.

ტარიელი მიაბიჯებს.

ყურადღებას არავის აქცევს.

ერთმა-ორმა მისი შეჩერება-შეპყრობა სცადა, მაგრამ ვერ გაბედა, ახლოს  
ვერ მივიდა.

ტარიელი გავიდა.

მას უპირველესად ავთანდილი და რამდენიმე დიდებული გამოედევნა.

ლხინი ფაქტიურად ჩაიშალა.

ყველანი უგუნებოდ არიან.

განსაკუთრებით როსტევან მეფეა მოწყენილი.

ავთანდილი მალე დაბრუნდა.

თინათინი მივიდა.

დარბაზში ჰარამხანის ქალები მოწყენილად, უქეიფოდ ცეკვავენ.

ავთანდილი თინათინს და როსტევანს რაღაცას უამბობს.

თინათინი წამოდგა და ავთანდილს მხარზე ხელი დაადო.

ყველანი თინათინს შესცქერიან.

ცეკვა შეწყდა.

ხმა კულისებიდან:

„ასრე გითხრა, სამსახური, ჩემი გმართებს ამად ორად:  
პირველ ყმა ხარ, ხორციელი არავინ გყავს შენად სწორად,  
მერმე ჩემი მიჯნური ხარ, დასტურია არ ნაჭორად,  
წადი, იგი მოყმე ძებნე, ახლოს იყოს, თუნდა შორად.  
შენგან ჩემი სიყვარული ამით უფრო გაამყარე,  
რომე დამხსნა შეჭირვება, ეშმა ბილწი ასაპყარე,  
გულსა გარე საიმედო ია მორგე, ვარდი ყარე,

მერმე მოდი, ლომო, მზესა შეგეყრები, შემეყარე.

სამსა ძებნე წელიწადსა იგი შენი სამებნარი,  
ჰპოვო, მოდი გამარჯვებით, მხიარულად მოუბნარი,  
ვერა ჰპოვებ, დავიჯერებ, იყო თურმე უჩინარი,  
კოკობი და უფურჭენელი ვარდი დაგვხდე დაუმჩნარი”.



ავთანდილმა ყურადღებით მოუსმინა.  
დაიხარა და თინათინის კალთას ეამბორა.  
უკუსვლითა და საჰაერო ამბორით ყველას გამოემშვიდობა და გავიდა.

## მეექვსე სურათი

ქაჯეთის ციხის მისადგომები.


ფარ-მუზარადით და რკინის პერანგით,  
ხმალ-შუბით აღჭურვილი სამი რაინდი ფეხზე  
დგას (როგორც ზიჩის ნახატშია).

ავთანდილის ტარიელის და ფრიდონის მზე-  
რა შორს მკრთალად მჩენი ქაჯეთის ციხისკენაა  
მიპყრობილი.

სხვა მებრძოლნი კლდეს მოფარებულნი წვა-  
ნან, რომ ციხიდან ქაჯებმა არ შენიშნონ.

ფრიდონი იწყებს:

ხმა კულისებიდან:



„ჩემსა სიმცროსა გამზრდელნი სამუშაითოდ მზრდიდიან,  
მასწავლეს მათნი საქმენი, მახლტუნვებდიან, მწვრთნიდიან.  
ასრე გავედი საბელსა, რომ თვალნი ვერ მომკიდიან,  
ვინცა მჭვრეტდიან ყმაწვილნი, იგიცა ინატრიდიან.

აბჯრითა გავალ, არა მიჩნს, ჭირად გატანა ფარისა,  
შიგან ჩავხტები კისკასად, ვეცემი მსგავსი ქარისა,  
ლაშქართა დავხოც, გავახვამ, ნახოთ გაღება კარისა!  
თქვენცა მუნ მოდით, სადაცა გესმას ზრიალი ზარისა“.

ფრიდონის შემდეგ ავთანდილმა შემართა ხელი და მისი რჩევა ასეთი გახლავთ:

*ხმა კულისებიდან:*

„სჯობს დადევით დამალულნი თქვენ ადგილსა იდუმალსა,  
ისი კაცნი არ იჭირვენ, მგზავრსა ქალაქს მიმავალსა,  
სავაჭროთა შევეკაზმი, ვიქმ საქმესა მე მუხთალსა,  
ერთსა ჯორსა გარდავკვიდებ მუზარადსა, ჯაჭვსა, ხრმალსა.

შიგანთა მცველთა მოვიცლი მე უნახავად ჭირისად,  
თქვენ გარეთ კართა ეცენით ყოველნი მსგავსად გმირისად,  
კლიტეთა დავლენ, გავახვამ, დამიდგას ვერ ქვიტკირი სად,  
თუ რა სხვა გვიჯობს, თქვენ ბრძანეთ, ვარ მრჩეველად ამა პირისად“.

ბოლოს ტარიელმა გადასდო მხარზე ორივე მეგობარს ხელები და ბრძანა:

*ხმა კულისებიდან:*

მაგა თათბირსა ესე სჯობს, ვქმნათ ჩემი მონახსენები,  
გავიყოთ კაცი ას-ასი, რა ღამე ჩნდეს ნათენები,  
სამთავემ სამგნით მივმართოთ, ფიცხლა დავსხლიტოთ ცხენები,  
მოგვეგებიან, ვემცრობით, ჩვენ ხრმალთა მივცეთ მძლე ნები.

ფიცხლა შევებნეთ, შევსჯარნეთ, ვერ მოგვასწრებენ კარებსა,  
სამთაგან ერთი შეუვალთ, სხვა გარეთ ვცემდეთ გარებსა,  
მან ერთმან შიგნითა მყოფნი მივცეთ სისხლისა ღვარებსა,  
ხელი კვლა ვხადოთ აბჯარსა, მას ჩვენგნით მძლედ ნახმარებსა-.

ტარიელმა, ავთანდილმა და ფრიდონმა ხმალ-შუბნი ჩაბლუჭეს და ჯერ იდუმალ მიპარვით, მერე კი ომახიანი ყიჟინით შეუტყეს ქაჯეთის ციხეს.

მეომარნიც, რასაკვირველია, მიყვნენ.

აქ უნდა გამოჩნდეს რეჟისორის უმაღლესი ოსტატობა ბატალური პასაჟების ჩვენებისა.

გაიმართა ფიცხელი ომი.

ქაჯნი გააფთრებით იცავენ ციხეს.

რაინდნი შეუპოვრად იბრძვიან.

მტერს მიჰკაფავენ და წინ მიიწევენ.  
იქეთ-აქეთ დახოცილ-დაჭრილები ჰყრია.  
სცენის სიღრმიდან შუქი გამოკრთის.  
ტარიელი იქით გაემართა,  
და... აღსრულდა!  
შუქიდან ნესტანი გამორბის.  
მიჯნურნი ტარიელი და ნესტანი ერთმანეთს გადაეხვივნენ.  
ხმა კულისებიდან:

„მაშინ ქაჯეთს მოიწია უსაზომო რისხვა ღმრთისა,  
კრონოს, წყრომით შეხედულმან მოიშორა სიტკბო მზისა.  
მათვე რისხვით გარდუბრუნდა ბორბალი და სიმრგვლე ცისა,  
ველნი მკვდართა ვერ იტევდეს, გადაიადდა ჯარი მკვდრისა,

გზანი დახვდეს შეკაფულნი, შევიდეს და გაძვრეს ხვრელსა,  
ნახეს, მზისად შესაყრელად გამოეშვა მთვარე გველსა,  
მუზარადი მოეხადა, შვენის აკვრა თმასა ლელსა,  
მკერდი მკერდსა შეეწევა, გარდაეჭლო ყელი ყელსა!“

ნესტანი და ტარიელი ურთიერთჩახვეულნი, მკერდგადაჭდობილნი დგანან.

ავთანდილ და ფრიდონ მიუახლოვდნენ და მიჯნურთა სიხარულს იზიარებენ.

მტერი დამარცხებულია.  
ქაჯეთის ციხე აღებულია.  
ნესტანი გამოხსნილია.  
ავანსცენაზე ერთად გამოდიან ყველანი.  
გამარჯვების ეიფორია წამით წყდება.  
ხმა კულისებიდან:

„ისმინეთ კიდით კიდემდე! ესე ამბავი მრთელია,  
ლხინი მოგვეცა, მოგვშორდა ყოველი ჭირი ძნელია,  
მზე მოგვეახლა, უკუნი ჩვენთვის აღარა ბნელია,  
ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია“.

ფ ა რ დ ა

ბ ა ც



*igor kvesel ava*

## ქართული კონსტიტუციის გზა (წერილი პირველი)

### პირველი ქართული კონსტიტუცია

ლათინური წარმოშობის სიტყვა კონსტიტუცია (constitucio), მოწყობას, დადგენას ნიშნავს და განიმარტება როგორც „სახელმწიფოს ძირითადი კანონი, რომელიც განსაზღვრავს მის საზოგადოებრივსა და პოლიტიკურ მოწყობას, საარჩევნო სისტემას, სახელმწიფოს მართვისა და მოღვაწეობის ორგანიზაციის პრინციპებს, მოქალაქეთა ძირითად უფლებებსა და მოვალეობებს; კონსტიტუცია წარმოადგენს მიმდინარე კანონმდებლობის საფუძველს“.

სახელმწიფო მოწყობის, ხელისუფლების დანაწილებისა და ადამიანთა უფლებების დაცვის პრობლემა, რომელიც ძველი პერიოდიდან იღებს სათავეს, სრულყოფილად რეგულირდება საკონსტიტუციო მექანიზმით.

ბევრმა ქვეყანამ შეძლო შეემუშავებინა ისეთი კონსტიტუციური დოკუმენტი, რომელშიც აისახა წარსული, ეროვნული სახე, ისტორიული ტრადიციები და, რაც მთავარია, ერის პოლიტიკური ცხოვრება.

კონსტიტუციური მართვის სისტემები და ფორმები თანდათანობით იხვეწებოდა, ითვალისწინებდა პოლიტიკურ და სამართლებრივ გარე-

მოს, ეძებდა სავარაუდო პრობლემების გადაჭრის გზებს, ასწორებდა შეცდომებსაც, მაგრამ ყველა ერთიანი იყო ხელისუფლების დანაწილების პრინციპების აუცილებლობაში, დემოკრატიის ანუ ხალხის მმართველობის უზენაესობის აღიარებასა და ავტორიტარული მმართველობის ნეგატიურობაში.

ყველა ქვეყანა ისტორიული გამოცდილების, ეროვნული ტრადიციების, საზოგადოებრივ-პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური განვითარების გათვალისწინებით კონსტიტუციის თავისებურ მოდელს ირჩევს.

ასევე მსოფლიოში არსებობენ მონარქიები, რომლებიც უპირველესად დიდ ბრიტანეთთან ასოცირდება, თუმცა სხვადასხვა ფორმით მონარქიები მსოფლიოს 45 ქვეყანაში ფუნქციონირებს. აქედან 12 ქვეყანა ევროპაშია.

ამრიგად, კონსტიტუცია ეროვნული განვითარების უმაღლესი სტადიის სახელმწიფოებრიობის უმნიშვნელოვანესი იურიდიული დოკუმენტია, რომელიც განაპირობებს სახელმწიფო ცხოვრების მათგანიზე-



ბელი ფუნქციის მქონე ინსტიტუციების ქმედუნარიანობას. აქედან გამომდინარე, რამდენადაც სრულყოფილია კონსტიტუცია, იმდენად სრულფასოვანია სახელმწიფოებრივი ცხოვრება.

ფორმის მიხედვით არსებობს დაწერილი და დაუწერილი კონსტიტუციები. პირველი დაწერილი კონსტიტუცია მიღებულია ამერიკის შეერთებულ შტატებში 1787 წლის 17 სექტემბერს. დაუწერილი კონსტიტუციები მოქმედებს ამჟამად დიდ ბრიტანეთში, ისრაელში, ახალ ზელანდიასა და სხვა ქვეყნებში.

კონსტიტუცია აქვს საქართველოსაც. 1919 წლის 12 მარტს საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ გამოყო საკონსტიტუციო კომისია, რომელსაც დაევალა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციის პროექტის შედგენა. კომისიის თავმჯდომარე გახლდათ დამფუძნებელი კრების წევრი პავლე საყვარელიძე.

საქართველოს კონსტიტუციის პროექტს ძირითადად საფუძვლად დაედო შვეიცარიის კონსტიტუციის ძირითადი იდეა, რომელიც შეუთავსდა საქართველოს სინამდვილეს, თუმცა ცალკეული პრინციპები სხვა დემოკრატიული სახელმწიფოების კონსტიტუციებიდან გადმოიღეს. შემუშავებული პროექტი ცალკე ბროშურად 1920 წლის ივნისში გამოქვეყნდა და დამფუძნებელ კრებას განსახილველად გადაეცა.

საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ 1921 წლის 21 თებერვალს მიიღო საქართველოს კონსტიტუცია, რომელიც მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა პროექტისაგან. კონსტიტუციის საბოლოო ტექსტი 1921 წლის გაზაფხულზე, დაიბეჭდა ბათუმში, ნ. ხვინ-

გიას სტამბაში და ამჟამად ბიბლიო-გრაფიული იშვიათობაა.

1981 წელს დავით თაბორიძემ საზღვარგარეთ გამოსცა კონსტიტუციის ქართულ-ფრანგული ტექსტი, მისი ქსეროასლი მოგვიანებით ისტორიკოსმა უშანგი სიდამონიძემ გადასცა გაზეთ „სამშობლოს“ რედაქტორს პატა ნაცვლიშვილს, რომლის ძალისხმევით, 1921 წლის შემდეგ, პირველად, 1990 წლის გაზაფხულზე, მოხერხდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციის ტექსტის გამოცემა.

საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია ასახავდა იმდროინდელ რეალობას, რომელსაც საფუძვლად დაედო 1918-1921 წლების საქართველოს სახელმწიფოებრივი ცხოვრების პრაქტიკა. ის საკმაოდ მაღალი ხარისხის პოლიტიკურ-იურიდიული დოკუმენტი იყო, რომელიც აღიარებდა ქვეყნის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს – პარლამენტის საჭიროებას.

საქართველო გამოცხადდა თავისუფალ, დამოუკიდებელ და განუყოფელ სახელმწიფოდ, რომლის პოლიტიკური წყობილების მუდმივი და უცვლელი ფორმა იყო დემოკრატიული რესპუბლიკა, ხოლო ქართული ენა – სახელმწიფო ენა. უმაღლესი აღმასრულებელი ხელისუფლება იყო მთავრობა, რომლის თავმჯდომარე, ამავე დროს, იყო ქვეყნის უმაღლესი პირი. სრული დამოუკიდებლობა ენიჭებოდა უმაღლეს სასამართლოს – სენატს.

კონსტიტუცია აკანონებდა საყოველთაო, სავალდებულო და უფასო დაწყებით განათლებას, დაცული იყო საქართველოში მცხოვრები ეროვნულ უმცირესობათა ინტერესები. ქვეყანა-

ში უპირატესობით არ სარგებლობდა არც ერთი რელიგია. კანონდებოდა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევა. უქმდებოდა სიკვდილით დასჯა.

კონსტიტუციის პროგრესად უნდა მივიჩნიოთ, რომ მისი დარღვევისათვის მთავრობის თავმჯდომარე და მთავრობის წევრები პასუხისმგებელი იყვნენ სასამართლოს წინაშე.

საქართველოს კონსტიტუცია აფხაზეთს, (სოხუმის ოლქი), აჭარას (ბათუმის ოლქი) და საინგილოს (ჯაქათალის ოლქი) ადგილობრივ საქმიანობაში ანიჭებდა ავტონომიურ მმართველობას.

იმის მიუხედავად, რომ კონსტიტუციას პრაქტიკულად არ უმოქმედია, მას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ერის ისტორიაში. 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტი და 1921 წლის კონსტიტუცია წარმოადგენდა იმ იურიდიულ საფუძველს, რასაც საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა მომდევნო ათწლეულებში დაემყარა.

ნიშანდობლივია, რომ 1918 წელს შექმნილმა საკონსტიტუციო კომისიამ საგანგებოდ იმსჯელა, საქართველოს პარლამენტისათვის ეწოდებინათ „სახელმწიფო საბჭო“. თუმცა მაშინ ეს ვერ მოხერხდა. სახელწოდება „საქართველოს პარლამენტი“ სოციალ-დემოკრატების დაჟინებული მოთხოვნით ეწოდა ქართულ საკანონმდებლო ორგანოს.

ფრანგულიდან მომდინარე სიტყვამ პარლამენტმა, თანამედროვე მსოფლიოში საკანონმდებლო ორგანოს ზოგადი სახელწოდების მნიშვნელობა შეიძინა, მაგრამ თითქმის რამდენიმე გამონაკლისის გარდა ამ ორგა-

ნოს თავისი სახელი აქვს შერქმეული შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ენაზე. მაგალითად, გერმანიაში – „ბუნდენსტაგი“, აშშ-ში „კონგრესი“, ესპანეთში „გენერალური კორტესები“, საბერძნეთში „დეპუტატთა პალატა“, ჩინეთში „სახალხო დეპუტატთა სრულიად ჩინეთის კრება“, რუმინეთში „დიდი ეროვნული კრება“, ისრაელში „ქნესეთი“, შვეციაში „რიგსტაგი“, რუსეთში „დუმა“ და ა.შ.

**ვფიქრობთ, დღეს გვეძლევა შესაძლებლობა გამოვასწოროთ სოციალ-დემოკრატების მიერ დაშვებული შეცდომა და საქართველოს პარლამენტს შევუცვალოთ სახელწოდება. მით უმეტეს, 1995 წელს, საკონსტიტუციო კომისიის წევრმა, ოთარ გამყრელიძემ კვლავ გაახმოვანა წინადადება საქართველოს პარლამენტისათვის ეწოდებინათ „სახელმწიფო საბჭო“. ბოლო ხანებში საქართველოს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოსათვის „საქართველოს ეროვნული კრების“ დარქმევის წინადადებით გამოვიდა ა. დემეტრაშვილიც, რომლის აზრით, ამ ორგანოში შევიდოდა რესპუბლიკის საბჭო და სენატი.**

კონსტიტუციის ისტორიის მკვლევრები ლაპარაკობენ და მსჯელობენ პირველი კონსტიტუციის ნაკლოვანებებზე და საგანგებოდ ამახვილებენ ყურადღებას იმ ფაქტზე, რომ დოკუმენტი არ აფიქსირებდა პრეზიდენტის სახით სახელმწიფო მეთაურის ინსტიტუტს, რამაც ამ თანამდებობის პირის უმთავრესი ფუნქციონირების თავმოყრა განაპირობა მთავრობის თავმჯდომარის ხელში, ამასთან მას არ ჰქონდა პოლიტიკური პასუხისმგებლობა, თუმცა სახელმწიფო ორგანოთა იერარქიაში უმაღლეს საფეხურზე იდგა. ფაქტობრივად ის

იყო მთავრობის თავმჯდომარე პრეზიდენტის უფლებამოსილებით.

ამ კონტექტსში საინტერესოდ ჩანს ქვეყნის პირველი კონსტიტუციის შემუშავებელი კომისიის ზოგიერთი წევრის მოსაზრება საქართველოში პრეზიდენტის ინსტიტუტის საჭიროების შესახებ. ამ საკითხზე აზრთა სხვადასხვაობა არსებობდა დამფუძნებელი კრების წევრთა შორისაც.

პრეზიდენტის ინსტიტუტის შემოღებას მკვეთრად დაუპირისპირდნენ სოციალ-ფედერალისტები და ესერები, რომლებიც თვით მთავრობის ფართო უფლებამოსილებაშიც ხედავდნენ დემოკრატიზმის პრინციპების დარღვევას.

პრეზიდენტის მმართველობის მოდელს მხარს არ უჭერდნენ სოციალ-დემოკრატები – დამფუძნებელი კრების უმრავლესობის წარმომადგენლები, თუმცა მათი ავტორიტეტული ლიდერის ნოე ჟორდანიას აზრით, საგარეო საფრთხეებისა და შინაგანი წესრიგის ინტერესებიდან გამომდინარე, პრეზიდენტის ფუნქციის შესრულება ფართო უფლებებით აღჭურვილ მთავრობის თავმჯდომარეს უნდა დაკისრებოდა.

ნ. ჟორდანიას კონსტიტუციის ძირითად პრობლემად თავისუფლების, წესრიგისა და მთლიანობის დაცვას მიიჩნევდა და მხარს უჭერდა ისეთ ცენტრალურ მმართველობას, რომელიც სახელმწიფოსა და წესრიგის დამრღვევთა წინააღმდეგ გადამჭრელ ზომებს მიიღებდა.

პრეზიდენტის ინსტიტუტის მხარდამჭერი ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერების წარმოდგენით, პრეზიდენტის ინსტიტუტის შემოღება საქართველოს ინტერესებიდან გამომდინარეობდა და ხელს არ უშლი-

და დემოკრატიის განვითარებას. მით უმეტეს, მთავრობის თავმჯდომარეს ეკისრებოდა პრეზიდენტის უფლებამოვალეობების შესრულება.

**პრეზიდენტის ინსტიტუტის შესახებ აზრთა სხვადასხვაობა კომუნისტური მმართველობის დასასრულის შემდეგ დაფიქსირდა და კვლავ გახდა დისკუსიის საგანი, რომელიც დღემდე გრძელდება.**

ცხადია, საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა სინამდვილემ თითქმის ოცზე მეტი წლის მანძილზე მეტ-ნაკლებად იგემა საპარლამენტო, შერეული და საპრეზიდენტო მმართველობის ნაყოფი, მაგრამ ყველა საზოგადოებრივ-პოლიტიკური სპექტრისათვის ერთიანად მისაღები ვერ აღმოჩნდა. ყოველივე ამას თავისი ახსნა აქვს. ვერც ერთი კონსტიტუცია და მმართველობის ვერც ერთი მოდელი სრულყოფილად ვერ იმუშავებს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენამდე. სხვა მხრივ, უნაკლო არ იქნება ქვეყნის დემოკრატიულობისა და სამართლებრივი სახელმწიფოს ხარისხიც. თუმცა, ზოგადად, ნეგატიური შედეგები ცალკეულ, საპრეზიდენტო, საპარლამენტო თუ შერეულ მმართველობაში კი არ უნდა ვეძებოთ, არამედ მის გაუკუღმართებასა და დამახინჯებაში.

სამწუხაროდ, 1992 წლიდან მოყოლებული საქართველოს პოლიტიკური ცხოვრება გაუთავებლად იდგა პრობლემების გადაწყვეტის წინაშე, რომლის ე.წ. მომგვარებლები კონკრეტული პარტიისა და მისი ლიდერის მიმართ უსაზღვრო და უპირობო ნდობას მოითხოვდნენ. ასეთ ვითარებაში არსებითად ერთპარტიული მმართველობა მყარდებოდა, რის გა-

მოც გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა მმართველ გუნდს და არა ინსტიტუციებს, რაც ამ უკანასკნელის

მნიშვნელობას აკნინებდა და ისინი ვერ ასრულებდნენ მათგანიზებული სისტემის ფუნქციას.

## საქართველოს ეროვნული ხელისუფლება და საკონსტიტუციო ცვლილებები

მართალია, ქართული კონსტიტუციონალიზმის ისტორია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციის მიღებით დაიწყო, მაგრამ იგი ქაღალდზე დარჩა, რაც 70 წელზე მეტ ხანს გაგრძელდა.

**1921 წლის 21 თებერვალს, თბილისის დაცემამდე ოთხი დღით ადრე, მიღებული კონსტიტუცია ერთგვარი გზავნილი იყო შთამომავლობისათვის და, მიუხედავად იმისა, რომ ის 1992 წლის მარტში აღადგინა სამხედრო გადატრიალებით მოსულმა ხელისუფლებამ, მისი ფუნქციონირება არც დაწყებულა და ქვეყანაში მოქმედებდა 1978 წლის კონსტიტუციის ცვლილებების ზ. გამსახურდიასეული ვარიანტი, ხოლო მოგვიანებით საქართველოს კანონი – სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ და შევარდნაძის ხელისუფლების ბრძანებები, დადგენილებები და სხვადასხვა ნორმატიული აქტები.**

უსამართლობა იქნებოდა გვეთქვა, რომ საბჭოური პერიოდი საკონსტიტუციო შემოქმედების თვალსაზრისით უნაყოფო იყო. მან ოთხი (1924, 1927, 1937, 1978 წწ.) კონსტიტუცია მოგვცა, რომლებიც საბჭოთა ხალხის ერთობლიობაზე იყო გაანგარიშებული და ყველა შემთხვევაში საბჭოეთის კონსტიტუციების ქართულად

რედაქტირებულ ვარიანტს წარმოადგენდა.

აქვე, ამ კონტექსტში არ შეიძლება დავივიწყოთ 1978 წელს მიღებული კონსტიტუცია, რომლის სივრცეში გახდა შესაძლებელი მრავალპარტიული არჩევნების ჩატარება, კომუნისტური მმართველობის დასრულება და ხელისუფლების სათავეში ეროვნული ძალების მოსვლა. სწორედ ამ კონსტიტუციაში შეიტანა ეროვნულმა ხელისუფლებამ თვალსაჩინო შესწორებები და დამატებები, გამოაცხადა გარდამავალი პერიოდი და ამ დოკუმენტს ახალი კონსტიტუციის შემუშავებამდე მიენიჭა საქართველოს რესპუბლიკის ძირითადი კანონის სტატუსი.

არსებობის უფლება აქვს მოსაზრებას, რომ საბჭოთა პერიოდის სოციალისტური რესპუბლიკა საქართველოს სახელმწიფო ისტორიის შემადგენელი ნაწილია და ქართული სახელმწიფოებრიობა, მისი სამართლებრივი მენტალობა და კულტურა ამ წყვეტის აღდგენის გარეშე შეუძლებელია (გ. ჩორგოლაშვილი).

ეროვნული ძალების ხელმძღვანელები მიიჩნევდნენ, რომ დამოუკიდებლობისაკენ მიმავალ გზაზე მნიშვნელოვანი, მაგრამ მხოლოდ ერთი ნაბიჯი გადაიდგა, ამიტომ იწყებოდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი

მომრაობის ახალი ეტაპი, რომლის თავისებურება ის იყო, რომ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას ეროვნული პარლამენტი უნდა ჩასდგომოდა სათავეში. ზვიად გამსახურდიას აზრით, პარლამენტი იქნებოდა არა მხოლოდ უმაღლესი საკანონმდებლო ხელისუფლება, არამედ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ხელმძღვანელი და კოორდინატორი და, ამავე დროს, ეროვნული დაუმორჩილებლობის ძირითადი სამართლებრივი ინსტიტუტიც.

შემუშავდა გარდამავალი პერიოდის კონცეფცია, რომელიც არსებულ კონსტიტუციას ეყრდნობოდა, მაგრამ ფუნდამენტურ ცვლილებებს და დამატებებს ითვალისწინებდა, რაც ესადაგებოდა იმჟამინდელ პოლიტიკურ ვითარებას და ხელ-ფეხს არ უხსნიდა სეპარატისტულად განწყობილ ძალებს.

**მოგვიანებით, სამხედრო საბჭოს მიერ, 1921 წლის კონსტიტუციის აღდგენამ შექმნა საკონსტიტუციო ვაკუუმი. მოიშალა ტერიტორიული მთლიანობის დამცავი სამართლებრივი მექანიზმი, რითაც აფხაზეთში უმაღლესი ისარგებლეს სეპარატისტულმა ძალებმა.**

ამასთანავე 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმის შედეგების საფუძველზე დამოუკიდებლობის დეკლარირება მოიაზრებოდა მოლაპარაკებად საბჭოთა კავშირიდან სამართლებრივი გზით გამოსაყოფად. ნგრევის გარეშე საბჭოეთის პოლიტიკურ-ეკონომიკური ორგანიზმიდან უნდა დაწყებულიყო საქართველოს თანდათანობითი გამოთავისუფლების მშვიდობიანი პროცესი.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველომ აღიდგინა XX საუკუნის დასაწყისში დაკარგული სახელმწიფო სუვერენიტეტი. 1991 წლის 31 მარტს ჩატარებული რეფერენდუმით მოსახლეობამ ხმა მისცა საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს. რეფერენდუმის მიხედვით საქართველომ 1991 წლის 9 აპრილს მიიღო დამოუკიდებლობის აქტი, რითაც ქვეყანამ საჯაროდ გამოაცხადა, რომ საქართველოში დაიწყო სუვერენული, დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობა.

1978 წლის კონსტიტუციამ ძირეული ეროვნული ხელისუფლების პირობებში ცვლილებები განიცადა, რამაც სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოების მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვია. ფაქტობრივად, მივიღეთ სრულიად ახალი ფორმის კონსტიტუცია, რომელიც სავსებით განსხვავდებოდა ყველა წინამორბედი საბჭოური პერიოდის კონსტიტუციისაგან.

1991 წლის 14 აპრილს მიიღებულ იქნა კანონი „საქართველოს თანამდებობის დაწესებისა და ამასთან დაკავშირებით, საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“. ამ კანონის საფუძველზე 18 აპრილს მიიღეს კანონი „საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების შესახებ“. ამით კი საქართველოს ისტორიაში პირველად შემოიღეს პრეზიდენტის ინსტიტუტი და პრემიერ-მინისტრის თანამდებობა. იმავე წლის 26 მაისს, ქართველმა ხალხმა არჩევნების შედეგად რესპუბლიკის პრეზიდენტად ზვიად გამსახურდია აირჩია. პრეზიდენტი წარმოადგენდა სახელმწიფოსა და მთავრობის მეთაურს, იგი ფლობდა

ყველა იმ კომპეტენციას, რაც საჭირო იყო საპრეზიდენტო რესპუბლიკისათვის: ახორციელებდა საშინაო და საგარეო პოლიტიკას; ქმნიდა მინისტრთა კაბინეტს, უზენაეს საბჭოსთან შეთანხმებით გამოსცემდა ბრძანებებს და განკარგულებებს; ხელს აწერდა კანონებს; აღჭურვილი იყო ვეტოს უფლებით.

კონსტიტუციის მიხედვით, საქართველოს მინისტრთა კაბინეტი, საქართველოს უმაღლეს აღმასრულებელ-განმკარგულებელი ორგანოს წარმოადგენდა და ექვემდებარებოდა საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს. მინისტრთა კაბინეტის შემადგენლობაში შედიოდა: რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი, მისი მოადგილეები და მინისტრები. პრემიერ-მინისტრს თანამდებობაზე ნიშნავდა და ათავისუფლებდა საქართველოს პრეზიდენტი, უზენაესი საბჭოს ანუ პარლამენტის მხარდაჭერით. პრემიერ-მინისტრი უფლებამოსილებას იხსნიდა ახლად არჩეული პრეზიდენტის წინაშე, მისი უფლებამოსილების ვადა, სწორედ პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადით განისაზღვრებოდა. პრემიერ-მინისტრი გამოსცემდა ბრძანებებსა და განკარგულებებს, პრეზიდენტის ბრძანებებისა და განკარგულებების სწრაფი შესრულებისათვის.

ძირითადი კანონით მინისტრთა კაბინეტის უნდობლობის გამოცხადების ანუ ვადამდე ადრე გადადგომის საკითხი, ორი, სრულიად ახალია ფორმით განისაზღვრა. კერძოდ, ეს წყდებოდა პრემიერ-მინისტრისა და მინისტრთა კაბინეტის ან კიდევ, რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ინიციატივის საფუძველზე.

პირველ შემთხვევაში საქართველოს რესპუბლიკის ახლად შექმნილი მინისტრთა კაბინეტი განსახილველად წარუდგენდა მომავალი საქმიანობის პროგრამას და ამავდროულად სვამდა მისი სანდოობის საკითხს.

მეორე შემთხვევაში, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ინიციატივით, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის, თუ მისი ცალკეული წევრისათვის უნდობლობის გამოცხადებაზე მხარი უნდა დაეჭირა, უზენაესი საბჭოს წევრთა საერთო რიცხვის ორ მესამედს მაინც, ხოლო საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის ინიციატივით, მინისტრთა კაბინეტის ნდობის საკითხი უნდა გადაეწყვიტა უზენაესი საბჭოს წევრთა საერთო რიცხვის ნახევარზე მეტს. უზენაესი საბჭოს მიერ უნდობლობის გამოცხადების ან ნდობაზე უარის თქმის შემთხვევაში საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის რომელიმე წევრი, ეს შეიძლება ყოფილიყო თავად პრემიერ-მინისტრიც, უნდა გადამდგარიყო დაკავებული თანამდებობიდან.

კონსტიტუციაში ოყო ერთი სიახლეც, რომელიც ეხებოდა უზენაესი საბჭოს დათხოვნის მექანიზმის არსებობას, მას ახორციელებდა, თავის მხრივ, საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი, პრემიერ-მინისტრთან და უზენაესი საბჭოს თავმჯდომარესთან შეთანხმებით.

**31 მარტის შედეგებმა ცხადყო, რომ საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტურმა უმრავლესობამ მხარი დაუჭირა დამოუკიდებლობის აღდგენას და 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე დღევანდელი ქართული სახელმწიფო სა-**

ქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართალმემკვიდრედ აქცია.

რეფერენდუმს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ქართული სახელმწიფოებრიობის მშენებლობის გზაზე, როგორც იურიდიულ და პოლიტიკურ აქტს.

ცხადია, ეროვნული ხელისუფლება ისტორიული და სამართლებრივი თვალსაზრისით დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა 1921 წლის კონსტიტუციას, მაგრამ შვიდი ათეული წლის შემდეგ მისი უცვლელი სახით მიღება შეუძლებელი იყო, თუმცა სამხედრო გადატრიალების გზით ხელისუფლების

სათავეში მოსული, არალეგიტიმური სამხედრო საბჭო მიიჩნეოდა, რომ კანონიერი შეიძლება ყოფილიყო, მხოლოდ 1921 წლის კონსტიტუციის საფუძველზე შექმნილი ხელისუფლება. ჩანს, არც 1990 წლის 28 ოქტომბერს არჩეული უზენაესი საბჭო, რომელიც ცვლილებებზეტანილ, მაგრამ წარმოშობით მაინც საბჭოურ კონსტიტუციას ეყრდნობოდა, არ წარმოადგენდა ლეგიტიმურ ხელისუფლებას და ამდენად, მისი დამხობა, კანონიერების თვალსაზრისით, დიდ ცოდვას არ წარმოადგენდა (ა. ბაქრაძე).

## პოსტსაბჭოური საქართველოს კონსტიტუცია

1991-1992 წწ. დეკემბერ-იანვარში, სახელმწიფო გადატრიალების გამო, საქართველოს რესპუბლიკის გარდამავალი პერიოდის კონსტიტუციის განხორციელება ვერ მოხერხდა. საქართველოში გამწვავდა პოლიტიკური ვითარება, დასრულდა ზ. გამსახურდიას საპრეზიდენტო მმართველობის პერიოდი, რასაც მოჰყვა პრემიერ-მინისტრის ინსტიტუტის გაუქმებაც. არსებობა შეწყვიტა ქვეყნის აღმასრულებელმა ხელისუფლებამ, სასამართლომ და საკანონმდებლო ხელისუფლებამ. **სათავეში მოვიდა ახალი ძალა, რომელმაც 1992 წლის 6 იანვარს შექმნა დროებითი სამხედრო მმართველობა სამხედრო საბჭოსა და დროებითი მთავრობის სახით, ხოლო 1992 წლის 21 თებერვალს, საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო საბჭომ გამოსცა დეკლარაცია, რომლი-**

თაც აღდგენილ იქნა 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუცია. მალე სამხედრო საბჭო სახელმწიფო საბჭოდ გადაკეთდა, რომელმაც იტვირთა არა მარტო ადმინისტრაციული, არამედ კანონშემოქმედი ორგანოს ფუნქციაც. აღდგა 1921 წლის საქართველოს კონსტიტუცია და მისი კანონქვემდებარე აქტების ნაწილი.

„სახელმწიფო საბჭოს წევრებს ესმოდათ, რომ ეს ორგანო არ იყო კანონიერი ხელისუფლება და გამორიცხული იყო საერთაშორისო სამართლის სუბიექტად ასეთი ხელისუფლებისა და ქვეყნის აღიარება. ამიტომ დღის წესრიგში დადგა ლეგიტიმური, კანონიერი, დემოკრატიული ხელისუფლების არჩევნების ჩატარება საერთაშორისო დამკვირვებლების თანდასწრებით.

სახელმწიფო საბჭო ხელისუფლების უმაღლესი ორგანო იყო, მაგრამ მისი შემადგენლობა განისაზღვრა საქართველოს რესპუბლიკის, დროებით მთავრობასთან არსებული პოლიტიკური საკონსულტაციო საბჭოს წევრების, საზოგადოებრიობის, ავტონომიური რესპუბლიკების, უმცირესობათა წარმომადგენლობის მონაწილეობით. საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭომ თავის პირველივე (1992 წლის 10 მარტი) სხდომაზე დაამტკიცა, სახელმწიფოს საბჭოს თავმჯდომარე, მისი პირველი მოადგილე და სახელმწიფო საბჭოს პრეზიდიუმი.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭომ უცვლელად დატოვა დროებითი მთავრობა, რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი, ხოლო 1992 წლის 21 მაისს დაამტკიცა „საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის არჩევნების დებულება“, რომლის შესაბამისად არჩეულ იქნა საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტი.

იმავე წელს იქნა მიღებული საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის მიერ კანონი, „სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ“, რომელიც განსაზღვრავდა საქართველოს სახელმწიფოს უმაღლესი ორგანოების კომპეტენციას, მათი წყობისა და საქმიანობის წესს, ახალი კონსტიტუციის მიღებამდე. ეს იყო ქვეყნის კონსტიტუციურ-სამართლებრივი აქტი. ამით სახელმწიფო მეთაური გამოცხადდა, რესპუბლიკის უმაღლესი თანამდებობის პირად, რომელიც სათავეში ჩაუდგა, აღმასრულებელ და საკანონმდებლო ხელისუფლებას, რის საფუძველზეც შეითავსა მათი უფლებამოსილებანი.

**1992 წლის 11 ოქტომბერს არჩეულმა პარლამენტმა, შევარდნაძის ინიციატივით, მიიღო დროებითი კანონი ხელისუფლების შესახებ, რომელიც ასევე განსხვავდებოდა 1921 წლის კონსტიტუციისაგან. ამ გარემოებამ საფუძველი მისცა ოპოზიციური პოლიტიკური ძალების ნაწილს არაკონსტიტუციურად მიეჩნია არსებული ხელისუფლება.**

1993 წლის 21 თებერვალს, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მეორე საგანგებო კონფერენციამ მოისმინა ინფორმაცია „საქართველოს კონსტიტუციის უზენაესობისა და მოქმედების შესახებ“. მასში ნათქვამი იყო, რომ ვინაიდან 1992 წლის 11 ოქტომბერს საქართველოს კონსტიტუციის პრინციპების უხეში დარღვევით და საქართველოს პარლამენტმა სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ კანონის მიღებით მოახდინა საქართველოს კონსტიტუციის იგნორირება, საქართველოს პარლამენტი და რესპუბლიკის დღევანდელი ხელისუფლება წარმოადგენდა ასევე არაკონსტიტუციურ ორგანოს. კონფერენცია მოუწოდებდა პარლამენტს გაეუქმებინა ანტიკონსტიტუციური კანონი სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ და მიეღო დადგენილება საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის უზენაესობისა და მოქმედების ცნობის შესახებ და მის საფუძველზე მოეწყო საქართველოს სახელმწიფოებრივი ცხოვრება.

შექმნილ ვითარებაში საქართველოს პარლამენტმა გადადგა წინმსწრები ნაბიჯი და 1993 წლის თებერვალში შექმნა საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის ახალი რედაქციის შემუშავებული სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისია. ამ კომი-



სიას ევალუბოდა ახალი რედაქციის შემუშავება საქართველოს ისტორიული გამოცდილების გათვალისწინებით. მას 1993 წლის დეკემბრამდე უნდა წარმოედგინა კონსტიტუციის ახალი რედაქციის პროექტი. თუმცა, როგორც ცნობილია, ამის გაკეთება აღნიშნულ ვადაში ვერ მოხერხდა.

როგორც ჩანს, 1921 წლის კონსტიტუციის აღდგენის საკითხი, ფაქტობრივად პოლიტიკური ბრძოლის საგანი უფრო იყო, ვიდრე საზოგადოებაში თანხმობის მიღწევის საშუალება, თუმცა, უნდა ითქვას, რომ გადაწყვეტილებამ 1921 წლის კონსტიტუციის ახალი რედაქციის შემუშავების თაობაზე იმ კონკრეტულ სიტუაციაში, გარკვეულწილად, ხელი შეუწყო პოლიტიკური დამაბულობის განმუხტვასაც.

იქნებოდა თუ არა კონსტიტუციის ახალი რედაქცია თანხმობის საფუძველი? ეს კითხვა აწუხებდა მაშინ საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ აზრს. ცხადია, 1921 წლის კონსტიტუცია, თეორიულად შეიძლება გამხდარიყო დაპირისპირებულ ძალთა თანხმობის საფუძველი, რამდენადაც ამ დოკუმენტის წინაშე ყველა რეალური პოლიტიკური ძალა თანაბარუფლებიანი იყო, და რაც უფრო დავცილდებოდით ამ კონსტიტუციას, მით უფრო გაძლიერდებოდა აზრთა სხვადასხვაობა და კამათი საქართველოს სახელმწიფოებრივი მოწყობის საკითხებზე.

არსებობდა სხვა მოსაზრებაც, რომლის მიხედვით 1921 წლის კონსტიტუცია არ გამოდგებოდა თანხმობის საფუძველად, რადგანაც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაცემის წინ მიღებული კონსტიტუცია, ჩამორჩენილ ქართულ ფეოდა-

ლიზმზე დამყნობილ, პლენანოვ-ქორდანას სოციალიზმის იურიდიული გამოხატულება იყო (ა. ბაქრაძე).

კონსტიტუციის მიღება უმნიშვნელოვანესი მოვლენაა ქვეყნის ცხოვრებაში. ის საფუძველს უყრის სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობას და ავითარებს კანონისადმი საზოგადოების დამოკიდებულებას.

ქართულ კონსტიტუციას უნდა განემტკიცებინა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, დაეფიქსირებინა ტერიტორიული მთლიანობა, დაეძლია ქვეყნის მართვაში არსებული უმძიმესი შეცდომები, მოეწესრიგებინა სახელმწიფოებრივი ცხოვრება და აემალლებინა საქართველოს საერთაშორისო ავტორიტეტი.

90-იანი წლების პირველ ნახევარში საქართველოს წინაშე უმნიშვნელოვანეს პრობლემად იდგა კონსტიტუციის შემუშავება. კონსტიტუციური პროცესი არ იყო უბრალოდ ტექსტის მომზადება და მისთვის იურიდიული ძალის მინიჭება. ქართული კონსტიტუციის არსი, ეს იყო საზოგადოებრივი სახელმწიფო წყობის საფუძვლების შესახებ ეროვნული თანხმობის მიღწევა, რის გარეშეც კონსტიტუცია ფიქტიური აღმოჩნდებოდა, რაც უნდა სრულყოფილი ყოფილიყო, მისი ტექსტი და უზადო – მიღების პროცედურა. კონსტიტუციური კანონები სასარგებლო იყო იმდენად, რამდენადაც ისინი შეესაბამებოდნენ საზოგადოების მზადყოფნას მათ მისაღებად.

**კონსტიტუცია უნდა ყოფილიყო სოციალური წესრიგის გარანტი, სოციალურად ნეიტრალური საკანონმდებლო აქტი, რომელიც ერთნაირად მოემსახურებოდა მთელი საზოგადოების ინტერესებს.**

1995 წლისათვის საზოგადოების სამსჯავროზე გამოსატანად უკვე არსებობდა რამდენიმე ალტერნატიული პროექტი, მათ შორის, თსუ საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის ახალგაზრდა კონსტიტუციონალისტთა ჯგუფის, საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის, სამართლიანობის აღდგენის კავშირის, საქართველოს რესპუბლიკური პარტიის და სხვა პროექტები.

კონსტიტუციის პროექტების სიმრავლე, ერთი მხრივ, დემოკრატიულობის მაჩვენებელი იყო, თუმცა სხვა მხრივ, ის ჩვენთან ვერ გახდა ეროვნული თანხმობის მიღწევის საფუძველი.

ყველა პროექტში აზრთა სხვადასხვაობას იწვევდა სახელმწიფოებრივი მშენებლობის პრინციპული საკითხები: სუვერენიტეტის უზრუნველყოფა, საპარლამენტო თუ საპრეზიდენტო რესპუბლიკა, ტერიტორიული მოწყობისა და ავტონომიის პრობლემა და ა.შ.

უდავოა, საერთო ეროვნული კონსენსუსის მიღწევა, გარკვეული პრინციპებისა და ფასეულობების გარშემო, კონსტიტუციური პროცესის ჭეშმარიტი მიზანია, მაგრამ მისი შემუშავების დროს ჩვენთან ერთმანეთს დაუპირისპირდა მკვეთრად განსხვავებული მიდგომები, პირველ რიგში გადმოინაცვლა კონსტიტუციურულმა საკითხებმა და საზოგადოება მზად არ აღმოჩნდა კომპრომისულ გადაწყვეტილებათა გზების ძიებისათვის. ამიტომ კონსტიტუციური მოწყობის საკითხი გადაიქცა სხვადასხვა პოლიტიკურ ჯგუფებსა და სტრუქტურებს შორის ხელისუფლებისათვის ბრძოლის იარაღად.

სწორედ ასეთი პერსპექტივა ესახებოდა დოკუმენტს, რომელსაც ახალი კონსტიტუციის სახე უნდა ჰქონოდა და ასეთ შემთხვევაში ძნელი იყო საზოგადოებას თავი დაეღწია მწვავე პოლიტიკური კონფრონტაციისათვის.

1992-1995 წლებში საქართველომ იცხოვრა საპარლამენტო მოდელით, მაგრამ ეს იყო გაურკვეველი და მიუღებელი სტრუქტურა. მთავრობაში აღმოჩნდნენ პარლამენტისაგან დაუმტკიცებელი წევრები. ზოგიერთი მათგანი იყო მთავრობის წევრი და იმავდროულად პარლამენტარიც.

**სამხედრო საბჭოს მიერ აღდგენილი კონსტიტუცია აბსოლუტურ შეუსაბამობაში იყო არსებულ სახელმწიფოებრივ სტრუქტურებთან, ანუ აღდგენილი კონსტიტუციის საფუძველზე უნდა შეექმნათ ახალი პარლამენტი – ეროვნული კრება, რაც საფუძვლად დაედებოდა ახალი სისტემის ჩამოყალიბებას. ამავე პერიოდში 1921 წლის კონსტიტუცია მხოლოდ ფორმალურად იყო აღდგენილი. ამდენად, ფაქტობრივად მოქმედი სახელმწიფო ხელისუფლება და ქალაქებზე არსებული 1921 წლის საკონსტიტუციო დოკუმენტი ერთმანეთთან წინააღმდეგობრივი აღმოჩნდა.**

საკონსტიტუციო კომისიამ, საბოლოოდ, 1921 წლის კონსტიტუციის ახალი რედაქციის ნაცვლად, პარლამენტს წარუდგინა სრულიად ახალი კონსტიტუცია, თუმცა ის წინააღმდეგობაში მოდიოდა პირველი რესპუბლიკის კონსტიტუციის პრინციპებთან. ამ დოკუმენტში არაფერი იყო ნათქვამი ქვეყნის ტერიტორიულ მოწყობაზე, ავტონომიურ ფორმირებებ-

სა და ქვეყნისათვის სხვა ძალზე მნიშვნელოვან საკითხებზე.

**კონსტიტუციონალიზმის მკვლევრები მიუთითებენ, რომ მსოფლიოში არ ყოფილა შემთხვევა კონსტიტუციის რამდენიმე თავი მიეღოთ, ხოლო სხვა თავების მიღება სამერმისოდ გადაედოთ. ალბათ, უმჯობესი იქნებოდა, პარლამენტს კონსტიტუციის ნაცვლად ძირითადი კანონი მიეღო.**

1995 წელს მიღებულ კონსტიტუციაში აისახა „გადემოკრატიული კომუნისტის“ ე. შევარდნაძის დიქტატორული ამბიციები. მაშინ ის აცხადებდა, რომ წარმოდგენილი კანონპროექტი 1921 წლის კონსტიტუციის ახალი რედაქცია იყო და მოითხოვდა მის მიღებას, თუმცა საკითხავია, რა ნიშნით იყო საპრეზიდენტო მმართველობის შემოღება და ფედერალური ქვეყნის მოწყობა 1921 წლის კონსტიტუციის საფუძვლის ახალი რედაქცია, თუმცა იმჟამად შევარდნაძე ფიქრობდა, რომ ფედერალიზმის იდეით ჩნდებოდა პერსპექტივა გადაეწყვიტათ ტერიტორიული მთლიანობის საკითხი.

1995 წელს საკონსტიტუციო კომისიის მიერ შემუშავებული პროექტი ფრანგულ მოდელს ითვალისწინებდა. კომისიის მდივანი ავთანდილ დემეტრაშვილი პრეზიდენტისა და პარლამენტის უფლებების გაწონასწორების მექანიზმის მომხრე იყო. თუმცა 1995 წელს, კონსტიტუციის ფრანგული მოდელის წინააღმდეგ ის ძალები წავიდნენ, რომლებმაც მოგვიანებით მის მხარდამჭერებად გამოაცხადეს თავი და შევარდნაძის თანამოაზრეებმა რამდენიმე დღეში შეძლეს სულ სხვა საკონსტიტუციო დებულებების მიღება.

უდავოა, 1995 წლის კონსტიტუციის მიღებას წინ ბევრი ვნებათა ღელვა უსწრებდა. საქართველო მაშინ თანამედროვე ცივილიზაციის მიღწევების შესატყვისად მოწყობილ პოლიტიკურ სისტემას უნდა გადაერჩინა, თუმცა 1995 წლის აგვისტოს დასაწყისში პარლამენტში დასამტკიცებლად გატანილი კონსტიტუციის სამი ე.წ. ძირითადი და მე-4 დამატებითი ვარიანტი ჩავარდა. ასეთ ვითარებაში ინიციატივა თავის თავზე აიღო საარჩევნო პოლიტიკურმა გაერთიანებამ „რეფორმატორები“, რომლის სათავეებში მაშინ მოსკოვში მოღვაწე გამოჩენილი მეცნიერი, აკადემიკოსი ივერი ფრანგიშვილი და ქვეყნის პრემიერ-მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი ბაკურ გულუა იდგნენ. 9 აგვისტოს საქართველოს პარლამენტის მიერ, კომპრომისის გზით, მიღებული კონსტიტუცია სახელმწიფო-პოლიტიკური მოწყობის საპრეზიდენტო მოდელს ამკვიდრებდა.

იმ პერიოდის საქართველოს კონსტიტუციულ პოლიტიკური წრეების ლიდერები ფიქრობდნენ (ბ. გულუა), რომ განხორციელდებოდა მმართველობის 6 ფუნდამენტური პრინციპი:

1. ხელისუფლების გაყოფა-დანაწილება საკანონდემლო, აღმასრულებელ და სასამართლო შტოებად;
2. ხელისუფლების შტოებს შორის წონასწორობის პრინციპის დაცვა;
3. ხელისუფლების რეალური აღსრულებისათვის აუცილებელი სამივე შტოს, ყველა რგოლის ეფექტიანი ფუნქციონირება;
4. პოლიტიკური, ეკონომიკური სისტემების ურყევობა, სიმკვიდრე (სიმკვირვე) და მდგრადობა;
5. ხელისუფლების უწყვეტობა. საშინაო და საგარეო პოლიტიკის მემ-

კვიდრეობითობაზე დაფუძნება, სახელმწიფო პოლიტიკური კურსის მხოლოდ არგუმენტირებული შეცვლა;

6. ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობაზე, ხალხის ერთიანობაზე, სახელმწიფო უსაფრთხოებაზე პრეზიდენტის პერსონალური პასუხისმგებლობა.

ცხადია, მსოფლიო განვითარების ორსაუკუნოვანზე მეტი ხნის გამოცდილება ადასტურებდა, რომ ექვსპრინციპიანი ეს სისტემა უნივერსალური იყო დაშლილი, არეული გაპარტახებული ქვეყნის მდგომარეობიდან გამოყვანისათვის, საყოველთაო შეთანხმებების, ურთიერთმემწყნარებლობის მიღწევისათვის და მყარი ბაზის შექმნისათვის, სახელმწიფოს მდგრადი, თანამიმდევრული აღმავლობა-განვითარებისათვის.

სამწუხაროდ, აღნიშნული პრინციპები ვერ განხორციელდა. კონსტიტუცია არ იყო ბოლომდე სრულყოფილი. მასში მოცემული რიგი გარდამავალი დებულებების ამოქმედება მხოლოდ ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის საბოლოოდ აღდგენის შემდეგ იყო შესაძლებელი.

ბევრი მიიჩნევდა, რომ ახალი კონსტიტუციის მიღების ისტორიული პროცესის აქტიური მონაწილეები გახდნენ. ქვეყანაში ახალი თვისობრიობის ხელისუფლება უნდა ჩამოყალიბებულიყო „სამირკველი და მზიდი კონსტრუქცია არის შენობის აგება. აქედან უნდა დაიწყოს, შემდეგი 4-5 წლის განმავლობაში ამ პროცესმა ძირითადად დასრულებული სახე უნდა მიიღოს“ – აცხადებდა ბ. გულუა.

იმ დროისათვის ქვეყანაში არსებობდა რაღაც გაურკვეველი სიმბიო-

ზი, პრაქტიკულად უმართავი სისტემა, რომლის ორგანიზაცია თვისობრივად ახალ საფუძველზე უნდა მომხდარიყო, სადაც მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა მმართველობითი სისტემის რეორგანიზებას ჰორიზონტალურ ჭრილში; ქვეყნის რეგიონალურ მოწყობას ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარებას და ა.შ.

თითქმის ორი საუკუნე ელოდა ქართველი ერი დამოუკიდებლობის აღდგენას. მისთვის სახელმწიფო ხელისუფლება საზოგადოების პოლიტიკური თვითორგანიზაციის საშუალება კი არ აღმოჩნდა, არამედ უცხო ძალის პოლიტიკის განხორციელების იარაღი. შესაბამისად, კანონი ვერ ჩაჯდა შეგნებული აუცილებლობის ჩარჩოში და ის თავსმოხვეულმა ქვევის წესმა შეცვალა. ათეული წლების მანძილზე ასე ცხოვრებამ კი სახელმწიფოსა და კანონისადმი გაუცხოების სინდრომი წარმოშვა.

საქართველოში სუსტი იყო სახელმწიფოებრივი და სამართლებრივი ცნობიერება. ვერ დაგროვდა სახელმწიფო მართვის გამოცდილება. ქვეყანაში განვითარებულმა ნეგატიურმა პროცესებმა წარმოაჩინა სხვადასხვა სიმართლებების, კანონიერებების და ხელისუფლებების მთელი კასკადი. სამართლიანობა გადაწონა ძალამ, რომელმაც თავისი თავი კანონზე მაღლა დააყენა, აფხაზეთის პრობლემის გაჩენამ, გაუმართლებელმა ექსპერიმენტებმა და მართვის უცოდინრობამ, ქვეყანა კრიზისამდე მიიყვანა, ასეთ ვითარებაში კონსტიტუცია ვერ იქცა საყოველთაო პოლიტიკური კონსენსუსის მიღწევის საშუალებად. მოსახლეობა ვერ ჩამოყალიბდა სამოქალაქო საზოგადოებად. სახელმწიფო მოხელეთა ფენამ არ შეიცვალა

**მიუღებელი ცხოვრების წესი, უარყო  
კონსტიტუცია და კანონები.**

გარკვეულწილად 1995 წელს მიღებული კონსტიტუცია, პოლიტიკურ ძალთა ურთიერთკომპრომისის შედეგი იყო. მისი მიღებით შევარდნაძე ლეგიტიმური პრეზიდენტი გახდა. სხვა მხრივ ის ამით ქვეყანაში შექმნილი უმძიმესი ვითარების განეიტრალებას ცდილობდა, რომელიც არსებობდა სახელმწიფოებრივი, სამართლებრივი, სოციალურ-ეკონომიკური, შიდა და საგარეო პოლიტიკური და კრიმინოგენური თვალსაზრისით. მას ემატებოდა ყველაზე უმძიმესი პრობლემა ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა და დევნილი მოსახლეობა.

მმართველი პარტიის ლიდერს და ქვეყნის პრეზიდენტს არ სჭირდებოდა სრულყოფილი კონსტიტუციური დოკუმენტი, ამიტომაც მართლდებოდა ისეთი უმნიშვნელოვანესი თავების უქონლობა, როგორც იყო „სახელმწიფო-ტერიტორიული მოწყობა“, „თვითმმართველობის შესახებ“, „ორპალატიანი პარლამენტი“ და ა.შ.

**ე. შევარდნადის მიერ დაშვებულმა უხეშმა შეცდომებმა, ავტორიტარულობამ და ვოლუნტარიზმმა, არჩევნების შიშმა და ა.შ. კონსტიტუცია ფარატინა ქაღალდად აქცია. ხელისუფლებისადმი ხალხის ნდობის დეფიციტი გაქრა.**

ცხადია, მაშინ არავინ ფიქრობდა, რომ უარი უნდა ეთქვათ კონსტიტუციის მუდმივად ცვლის პრაქტიკაზე, მით უმეტეს, ძირითადი კანონი გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო ხანგრძლივი პერიოდისათვის და მასში არ უნდა ჩაედოთ ისეთი დებულებები,

რომლებიც ექვემდებარებოდა გადასინჯვას.

საქართველოს უნდა მიეღო კონსტიტუცია, რომელიც გამოხატავდა ეროვნულ სახელმწიფოებრივ ინტერესებს, შეესაბამებოდა ქართველი ხალხის ეთნოფსიქიკურ თვისებებს და ისტორიულ გამოცდილებას. უნდა დაძლეულიყო წინა პერიოდის გაუთავებელი პოლიტიკური რყევები, არაკომპეტენტურობა, აგრესიული უმეცრება და ამბიციურობა და შევარდნადის ეპოქაში წარმოშობილი „პროვინციული დემოკრატია“.

სამწუხაროდ, ქართული პოლიტიკური სპექტრი ერთ პერიოდში არარსებული და შევარდნადის მიერ გამოგონებული „პროვინციული ფაშიზმის“ წინააღმდეგ ბრძოლამ გაიტაცა და შორს დარჩა თავისუფლებისა და სახელმწიფოებრიობისაგანაც.

დემოკრატის პრობლემა და სახელმწიფოებრიობის საკითხი ერთი და იგივე არ არის. ევროპული თუ დასავლური კონსტიტუციების მოყვარულ ადამიანებს უნდა ესმოდეთ, რომ ყველაზე დემოკრატიულმა კონსტიტუციამაც შეიძლება ვერ უპასუხოს თავისუფლებისა და სახელმწიფოებრიობისათვის, ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლ საქართველოს ინტერესებს.

ე. შევარდნადის ხელისუფლების კონსტიტუციაში არც ტერიტორიული მოწყობის და არც თვითმმართველობის საკითხი არ იყო შეტანილი, იმ დროს ხელისუფლება ცდილობდა ისე დაეწერა კონსტიტუცია, როგორც მათთვის იქნებოდა მისაღები. მაგალითად, გაუგებრობას იწვევდა ის, რომ დოკუმენტის პირველი მუხლის მესამე პუნქტში, სადაც ნათქვამი იყო,

რომ „სახელმწიფო საქართველოს სახელწოდებაა „საქართველო“, არ იყო ნახსენები „რესპუბლიკა“. თუმცა ის, რომ საქართველო არის რესპუბლიკა, ეწერა იქ, სადაც მმართველობის ფორმაზე იყო საუბარი. მით უმეტეს, პირველ კონსტიტუციაში ნათლად ესმებოდა ხაზი, რომ საქართველოს „მუდმივი და უცვლელი ფორმა პოლიტიკური წყობის იყო დემოკრატიული რესპუბლიკა“.

ერთი შეხედვით აღნიშნული ფორმულირება უფრო მისაღებია და სახელმწიფოს სახელწოდების შეცვლის დაფიქსირება ახალ კონსტიტუციაში საჭირო არ იყო, თუმცა, ამასთან დაკავშირებით გამოითქმება აზრი, რომ ხელთ გვექონდა დაკარგული ტერიტორიები აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის სახით. ამიტომ შემდგომში, იმდროინდელი ხელისუფლება არ გამორიცხავდა ქვეყნის ფედერაციულ მოწყობას ასეთი სახელწოდებით: „საქართველოს აფხაზეთის ფედერაციული სახელმწიფო“.

ნიშანდობლივია, რომ ისრაელში, მმართველობის ფორმა არის რესპუბლიკა, მაგრამ ისრაელს არ ჰქვია რესპუბლიკა. ასევე აშშ-ის მმართველობის ფორმა რესპუბლიკაა, თუმცა ამ ქვეყანას რესპუბლიკას არ უწოდებენ.

შევარდნამის მმართველობის დროს კონსტიტუციური ცვლილებები მისი პირადი ინიციატივით ხდებოდა და არა კონსტიტუციური საჭიროებით. მაგალითად, უფლებები გაეზარდა სახელმწიფო მინისტრს, საკონსტიტუციო ცვლილებებით საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის უფლება არ მიეცა იგორ გიორგაძეს, ეროვნულ-დემოკრატიული და „მოქალაქეთა კავშირის“ „გარიგების“

შედეგად პარლამენტში პარტიების მოსახვედრი 5-პროცენტის ბარიერი 7 პროცენტამდე გაიზარდა. იყო სხვა ცვლილებებიც, რომლებიც შევარდნამისა და მისი გარემოცვის კონკრეტულ პოლიტიკურ მიზნებს ემსახურებოდა.

ის, რომ 2004 წელს ქართულ საზოგადოებაში კვლავ გაჩნდა მოთხოვნილება კარდინალურ კონსტიტუციურ ცვლილებებზე, იმის დადასტურება იყო, რომ მან ვერ შეძლო ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ნორმალური განვითარება, ამასთან, როგორც ხელისუფლების, ისე პოლიტიკური ოპოზიციის მხრიდან დაფიქსირდა ძალადობრივი ფორმების გამოყენება. კონსტიტუციამ ვერ გადაწყვიტა ქვეყნის მთავარი პრობლემები, მათ შორის: ეროვნული ბურჟუაზიის, თავისუფალი და სამართლიანი საზოგადოებრივ-პოლიტიკური, კულტურული და სოციალური გარემოს შექმნა.

**ქართული საზოგადოების დამოკიდებულება ზოგადად კანონებისა და მათ შორის კონსტიტუციისადმი არაერთგვაროვანი იყო, რაც იმაში გამოიხატებოდა, რომ ქართველი ერი საუკუნეების განმავლობაში ქართული კულტურისა და ცნობიერებისათვის მიუღებელი იდეოლოგიით და კანონებით ცხოვრობდა და საზოგადოების შიგნით სოციალურ ფენებსა თუ ინდივიდებს შორის ურთიერთობანი ტრადიციებით ან სხვა არაფორმალური ინსტიტუტებით რეგულირდებოდა და არა კანონის მეშვეობით. მით უმეტეს, ჩვენი საზოგადოება კანონს განიხილავდა, როგორც რეპრესიულ მექანიზმს და არა, როგორც უფლებრივ წყაროს.**

დღეს არავინ დავობს, რომ 1995 წელს მიღებული კონსტიტუციით განსაზღვრულმა საპრეზიდენტო მმართველობამ ვერ გაამართლა. იგი ვერ ასახავდა ქვეყანაში არსებულ ვითარებას და არ შეესაბამებოდა ქართველი ერის მენტალობასა და შეხედულებებს.

საზოგადოების განვითარების მაშინდელი დონე, არ შეიძლება საკონსტიტუციო დებულებების ადეკვატური ყოფილიყო. შესაბამისად, ქართულ სინამდვილეში გაუმართლებელი იქნებოდა გვეფიქრა ყველაზე დემოკრატიული კონსტიტუციის შემუშავებაზე, მით უმეტეს, ასეთი კონსტიტუციები ბუნებაში არ არსებობს. მაგალითად, საფრანგეთში დეგოლის მიერ თითქმის ძალით მიღებულ კონსტიტუციას ზოგიერთი კონსტიტუციონალისტი არადემოკრატიულად მიიჩნევს.

სხვა მხრივ, სუსტ სახელმწიფოს შეუძლებელია ჰქონდეს სრულიად დემოკრატიული კონსტიტუცია, მისთვის დამახასიათებელი დანაწევრებულობის, ეკონომიკური და პოლიტიკური არამდგრადობის გამო. ერთმანეთს და ხელისუფლებას დაპირისპირებული საზოგადოება ვერ მიიღებს დემოკრატიულ კონსტიტუციას და რომც მიიღოს, პრაქტიკულად ვერ შეძლებს მის ამოქმედებას.

კონსტიტუციის მიღების, ახალი საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნების მიუხედავად, საქართველოში არ აღმოჩნდა პოლიტიკოსი, რომელიც ამუშავებდა და წაიყვანდა სახელმწიფოს მანქანას. ვერ მოინახა ღირსეული კაცი. ძლიერი ეროვნული მუხტის მატარებელი, გონიერი და ზნეობრივი სახელმწიფო მოღვაწე.





## რატომ უნდა ისწავლებოდეს კულტუროლოგია ყველა სასწავლებელში

კულტუროლოგიის, როგორც დამოუკიდებელი მეცნიერების არსებობა, სულ რაღაც ორმოცდაათ წელს ითვლის.

შიდიშლბა ითქვას, რომ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა შორის იგი ყველაზე ახალგაზრდაა.

კულტუროლოგიის შექმნა საზოგადოებრივმა საჭიროებამ განაპირობა.

კულტურის განვითარების ამ ეტაპზე საჭირო გახდა მსოფლიო კულტურის მიღწევები ერთი მეცნიერების წიაღში შეკრებილიყო და შესწავლილიყო ის კონკრეტული გზები, თუ საერთო კანონზომიერებები, რომლებიც განაპირობებდა კულტურის შექმნასა და განვითარებას.

კულტუროლოგია კრებსითი მეცნიერებაა.

იგი საზრდოობს რამდენიმე სახელოვნებო მეცნიერების შედეგებით. ეს მეცნიერებებია: ესთეტიკა, ხელოვნების ისტორია და თეორია, ლიტერატურის თეორია, ხელოვნებათმცოდნეობა და ასევე ხელოვნების ცალკეული დარგების შემსწავლელი სპეციალიზირებული მეცნიერებანი.

რაკილა მე-20 და 21-ე საკუნეების მოქალაქეს ეპოქის თავბრუდამხვევი ტემპისგან გამომდინარე, თავისი

ცხოვრების განსაკუთრებული წესის გამო საშუალება არა აქვს თვალი მიადევნოს კონკრეტულად ხელოვნების თითოეული დარგის განვითარებას, ჩაწვდეს და გააანალიზოს კულტურის სფეროში მიმდინარე მოვლენები და გაისიგრძეგანოს, რა ხდება მხატვრული აზროვნების სფეროში როგორც კონკრეტულად ერთ რომელიმე ქვეყანაში, ისე მსოფლიოში საერთოდ, ამიტომ აუცილებელი გახდა კეთილი ნების ადამიანის სულიერი წონასწორობის შესანარჩუნებლად მიეწოდოს მას სათანადო ცოდნა კულტურის ზოგადი კანონებისა და ამა თუ იმ დარგში მიღწეული სიახლეების შესახებ.

ასეთ ცოდნას ადამიანს აძლევს სწორედ კულტუროლოგია.

მერედა, რისთვის სჭირდება ადამიანს მსოფლიო კულტურაში მიმდინარე პროცესების შესახებ შემაჯამებელი ცოდნა, რაში ეხმარება იგი ადამიანის ისედაც დაღლილ და შეწუხებულ სულს, რომლის თავზეც დამოკლეს მახვილივით ჰკიდია მსოფლიო ომის, ეკოლოგიური კატასტროფის და შიმშილის საფრთხე?

არასდროს არ ყოფილა ადამიანი ისე დაბნეული, როგორც დღეს არის, ინფორმაციის საშუალებათა



ფეიერვერკისა და კომპიუტერიზაციის ეპოქაში.

სოციოლოგიურმა გამოკვლევამ გვიჩვენა, რომ დედამიწაზე დღემდე არსებული ყველა ფორმაცია დამარცხდა იდეალური პიროვნების შექმნისა და საერთოდ ადამიანის სულის გაკეთილშობილებისკენ მიმართულ ქმედებებში.

თუ ძალისმიერი ფორმაციები ადამიანის ბნელ ინსტინქტებს ამუხრუჭებდნენ მონათმფლობელის მათრახით, ფეოდალური კარჩაკეტილობით, პოლიციური სახელმწიფოებრივი მეთოდებით (კაპიტალიზმი, სოციალიზმი), ვერც დეკლარირებული და ფაქტიურად დამახინჯებული დემოკრატიული საკმაზი აღმოჩნდა ჩვენი ეპოქისთვის საკმარისი გართულებულ საზოგადოებრივ ურთიერთობათა მოსაწესრიგებლად.

მსოფლიო მოქალაქისთვის გაუგებარი აღმოჩნდა დემოკრატიული ცხოვრების წესი.

ვერც ბერძნული და რომაული დემოკრატიის პრიმიტიული პრინციპები აღმოჩნდა საკმარისი 21-ე საუკუნის რთული მოქალაქისთვის და ვერც თანამედროვე პოლიტიკოსებმა აუღეს ალღო დემოკრატიული სახელმწიფოების მოდერნიზებულ არსს, ამიტომაც შთაბეჭდილება ისეთი რჩება, რომ დღეს მსოფლიოში არ არსებობს ჭეშმარიტად დემოკრატიული სახელმწიფო, თვით უმაღლესი ცივილიზაციის მქონე სახელმწიფოებიც კი (აშშ, ინგლისი, გერმანია, საფრანგეთი) დემოკრატის დაღადებენ კონკრეტულ მომენტამდე, ხოლო როგორც კი კონკრეტული მომენტი დადგება, ანუ ძლიერთა ამა ქვეყნისათა ხელისუფლებაში ყოფნას საშიშროება შეექმნება, ისინი უკიდურესად

არადემოკრატიული მეთოდებით ინარჩუნებენ თავიანთ სახელისუფლებო მონოპოლიას.

ამას ისიც უნდა დაემატოს, რომ ბოლო ორმოცდაათი წლის განმავლობაში მსოფლიო პოლიტიკოსებმა და ფილოსოფოსებმა ვერ დაწერეს ვერცერთი მეტნაკლებად ღირებული ნაშრომი, სადაც სწორად იქნებოდა გაგებული დემოკრატიის არსი, ანუ დადგენილი იქნებოდა პიროვნების თავისუფლების მასშტაბები.

თვალი შევავლოთ, როგორია იგი – დემოკრატიის გაუთავებელი ქადაგებებით ყურგამოჭედილი ახალი დროის მოქალაქე; სიტყვა „დაბნეული“, მოკრძალებული ფრაზაა მისი სულიერი წონასწორობის დასახასიათებლად.

სხვათა მიწების მიტაცების ტრადიციულ მეკობრეობას სახელმწიფოთა და ერთა შორის ურთიერთობის ახალი მოდელი დაემატა.

ჯერ ამ ახალი მოდელის პოლიტიკის ანალიტიკოსთა ღრმა შეფასება არ გაკეთებულა, არადა ორ სახელმწიფოთა შორის ტერიტორიების გეოგრაფიული განაწილების კლასიკურ ჩარჩოში ვერ მოვათავსებთ იმას, რაც უკრაინასა და რუსეთს შორის ხდება.

ერთი მხრივ, გასაგებია, რომ მსოფლიო საერთაშორისო პოლიტიკური ინსტიტუტების (გაერო, ევროკავშირი, ნატო) სრულიად აუხსნელი სილაჩრის გამო მადაგაღვიძებული რუსული იმპერია საბჭოთა კავშირის რეანიმაციას ცდილობს, მაგრამ, მეორე მხრივ, რით ავხსნათ ის გარემოება, რომ აღმოსავლეთ უკრაინის მოქალაქეები ცეცხლითა და მახვილით ებრძვიან გასაჭირში მყოფ თავიანთ ახალგაზრდა სახელმწიფოს.

იწვის რუსეთ-უკრაინის საზღვარზე არაერთი დაბა-ქალაქი და მსოფლიო რუსეთის მიმართ ან „ნევიჟუს“ პოლიტიკას ადგას, ან ვეგეტერიანელი დიპლომატები გაუბედავ გაფრთხილებას უგზავნიან პუტინს.

გარდა უკრაინისა, მსოფლიო ხანძრები დანთებულია ერაყში, პალესტინაში, ისრაელში, სირიასა და სხვა ქვეყნებში.

რა ხდება? კითხულობს მსოფლიოს ბედით დაინტერესებული მოქალაქე და პასუხი ვერ უპოვია. ვერ უპოვია იმიტომ, რომ ადამიანის სულიერი აღზრდის, მისი ბუნების საწაღმართოდ ჩამოყალიბებისთვის ოდენ რელიგია ვერას გახდა და, როგორც არასდროს, საჭირო შეიქნა თავისი სიტყვა ეთქვა საუკუნეთა განმავლობაში ისეთ ნაცად სფეროს ადამიანის აზროვნებისა, როგორც გახლავთ მხატვრული შემოქმედება, კულტურა.

მე-20 და 21-ე საუკუნეებში ადამიანთა მიერ ჩადენილი გაუგონარი სისასტიკენი კაცობრიობის განვითარების ლოგიკაში ვერა და ვერ თავსდება.

კაცობრიობის ისტორიას აღმაშფოთებელ ფაქტებად სამუდამოდ შერჩება არამართო ჰიტლერული საკონცენტრაციო ბანაკები ან 21-ე საუკუნის დასაწყისში ტერორისტების მიერ ნიუ-იორკის ორი ცათამბჯენის თვითმკვლელთა იერიშით ბარბაროსული დანგრევა, არამედ – ისეთი „უწყინარი“ ფაქტებიც კი, ჩვენ თვალწინ რომ წამდაუწუმ ხდება კანიბალ პოლიტიკოსთა წაქეზებით გაბრუებული ჯარისკაცის მიერ.

ეს სწორედ იმის ბრალია, რომ ადამიანის სულიერ სამყაროზე ხელოვნების ნაწარმოების ზემოქმედე-

ბის ძალა საგრძნობლად შესუსტდა. თუ სულ რაღაც ორმოცდაათიოდ წლის წინათაც კი მაყურებელი და მკითხველი რომანში, სპექტაკლში ან კინოფილმში მისაბამ გმირს დაეძებდა და მხატვრული პერსონაჟის საქციელი საზოგადოებრივი განსჯის საგანი ხდებოდა, დღეს ასე არ არის.

თანამედროვე ახალგაზრდამ თითქმის მოაცილა მხატვრულ ნაწარმოებს შემეცნებითი და აღმზრდელობითი ფუნქცია და დაუტოვა მას მხოლოდდამხოლოდ ესთეტიკური ფუნქცია.

კომპიუტერიზირებული მოქალაქე ფილმს უცქერის მხოლოდ როგორც სიამოვნების მიღების წყაროს, სხვას მისგან არაფერს ელის.

ხელოვნებისადმი უტილიტარულმა დამოკიდებულებამ საზოგადოების მხრიდან გამოიწვია სწორედ ჭეშმარიტი ხელოვნების დევალაცია.

როდესაც ჭეშმარიტ კულტურაში საზოგადოებრივი აზრი არ არსებობს, მართლა გენიოსური ნიჭის და ნებისყოფის უნდა იყოს ხელოვანი, რომ გემოვნებადაქვეითებული საზოგადოების საეჭვო ქარბორიებს არ აჰყვეს; დაინახა მუსიკოსმა, რომ რასაც შთაგონება და გოლგოთისებური შრომა ჩააქსოვა და, რაც მართლა მიახლოებულია კლასიკურ ქმნილებასთან, თითქმის ყურადღებამიუქცეველი დარჩა. რაღა დარჩენოდა, ადგა და გადაუხვია ჭეშმარიტი ხელოვნების ნაცად გზას, მისი სახელდახელო კაკაფონია კი ბრბომ და, ხშირ შემთხვევაში, უვიცმა კრიტიკამ ხელოვნებაში ახალი კვალის გავლებად შეაფასა.

ასეა ხელოვნების ყველა დარგში; თუ მხატვარი თვეობით იმუშავებს პორტრეტის ცალკეული დეტალების დასახვეწად და პროფესიონალის კე-

თილსინდისიერებით მოეკიდება ხატვის ურთულეს ფენომენს, მას ტრადიციული მხატვრობის გაკვალულ გზაზე მავალს შეარქმევენ და ეპიგონად მონათლავენ. თუ ვირის კუდის „სიზუსტით“ მიაყრის ფერებს ტილოს, აი, სწორედ მაშინ აქცევენ მას „ორიგინალობის მიმდევარი“ ხელოვნებათმცოდნეები ნოვატორად და ავანგარდისტად.

წაიშალა ჭეშმარიტი ზღვარი ნამდვილ ხელოვნებასა და ხელოვნების სუროგატს შორის და, ერთი მხრივ, გემოვნების დევალვაციამ გამოიწვია ხელოვნების დევალვაცია და პირუკუ, ხელოვნების დევალვაციამ გამოიწვია გემოვნების დევალვაცია.

საჭიროდ არ ვთვლი მკითხველს მოვაგონო ის სასწაულებრივი ზემოქმედება ადამიანის სულის გაკეთილშობილებაზე, რაც საუკუნეთა განმავლობაში ჭეშმარიტმა ხელოვნებამ მოახდინა.

სულის დაცარიელების შედეგია ის გარემოება, რომ 21-ე საუკუნის პირმშო უყოყმანოდ აჭერს ხელს დილაკს, როცა მას ბაბილონის ათასწლოვანი ისტორიული ძეგლების დაბომბვას უბრძანებენ. არ შეიძლებოდა ქრისტიანული რწმენით ჰქონოდა განათებული გონება იმ უგუნურ რესტავრატორს, რომელმაც ილორისა და უბისის ტაძართა ფრესკები გაჯით შელესა.

არ შეიძლება ტოლსტოის „ომი და მშვიდობა“ ჰქონოდა წაკითხული რუსის ჯარისკაცს, რომელიც ქართულ მიწაზე მავთულხლართებს აგებდა და ამით ქართულ მამაპაპურ სასაფლაოს შუაზე ჰყოფდა.

არ შეიძლება ლესია უკრაინკასა და ტარას შევჩენკოს სახელი გაეგონა იმ თავისი სახელმწიფოს წინააღმდეგ

მებრძოლ ე. წ. რუს მეამბოხეს, რომელმაც პირდაპირი დამიზნებით გრადის ჭურვით უკრაინული საბავშვო ბავშვი ააფეთქა და ათ ალსაზრდელს სიცოცხლე წაართვა.

განსაცვიფრებელი ის არის, რომ ვისაც ხელოვნების მეცენატობა, კულტურისადმი საზოგადოების ყურადღების მიქცევის ორგანიზება ევალება, სწორედ ის ღალატობს კულტურას და გაუგონარ გულგრილობას იჩენს კულტურისადმი. ხელისუფალნი თავიანთ ვრცელ, მოსაწყენ მოხსენებებში ყველაფერზე ლაპარაკობენ, გარდა კულტურისა. კულტურას კი, ადამიანის სულის გამაკეთილშობილებელ ბებერ და ნაცად კულტურას, თუ გაახსენდათ, მოწყალეებს მოიღებენ და თავიანთი ვრცელი ანგარიშის ბოლოში ორიოდე სიტყვით მოიხსენიებენ.

აღმაშფოთებელია სამთავრობო თუ არასამთავრობო ტელევიზიების დამოკიდებულება ჭეშმარიტი კულტურისადმი. სატელევიზიო საინფორმაციო ცნობებში მიმომხილველები, თავიანთი ჭკუით, აქტუალურ და, სინამდვილეში კი, აშკარად სულელურ პოლიტიკურ ინტრიგებს და პოზიციონერ-ოპოზიციონერთა შორის ქუჩურ გაქაჩვა-გამოქაჩვებს რომ ჩაამთავრებენ, ბოლოს, თუ დრო დარჩათ, ორიოდე სიტყვით დასძენენ, რომ მავან თეატრში პრემიერა გაიმართა.

არავითარი შეფასება ჭეშმარიტი მხატვრული ქმნილებისა, არავითარი ხაზგასმა იმ სიახლისა, რაც ხელოვანმა თავისი საოცარი რუდუნებით ჩვენს წინაშე წარმოაჩინა. დარწმუნებული ვარ, ჩვენს დღეებში „ვეფხისტყაოსანი“ რომ დაიწეროს, სატელევიზიო სიუჟეტში მისი ადგილი არ აღმოჩნდება, თუ მაინცდამაინც, ორი

სიტყვით იტყვიან, რომ ვინმე რუსთაველმა დაასრულა ახალი პოემის ტექსტი.

ნორმალური გონება ვერ წარმოიდგენდა, თუ კულტურის პოპულარიზაციის ამდენი საშუალება ექნებოდა ხელთ კაცობრიობას და ამ დროს ხელისუფლების მიერ დაშვებული იქნებოდა გულგრილობის ფარდა საზოგადოებასა და ხელოვანს შორის. რა არის ეს – ხელისუფლის ბიჭური ქიშკი ხელოვანის მიმართ, ჩემზე უფრო პოპულარული რატომ ხარო, თუ სხვა რამ – ჩემთვის აუხსნელი „ჭემმარტება“?

რაც უფრო ნიჭიერია ხელოვანი, მით უფრო ცდილობენ საინფორმაციო საშუალებანი მას ხელი დააფარონ. ისე წავიდნენ ჩვენგან ამ ბოლო წლებში შოთა ნიშნიანიძე, ლევან სანიკიძე, ოტია იოსელიანი, ჭაბუა ამირეჯიბი, ანა კალანდაძე თუ ოთარ ჭილაძე, რომ ჩვენს საზოგადოებას არც ტელევიზიაში და არც რადიოში ამ უკვდავ ავტორთა შემოქმედებაზე თუ პირად ცხოვრებაზე ერთი დასამახსოვრებელი გადაცემა არ უნახავს. არ იცვენენ ღირსნი? რით უნდა ავხსნათ ძლიერთა ამა ქვეყნისათა პირადი განაწყენება ქართული კულტურის ძვირფას სახელთა მიმართ?

ზოგიერთი ჟურნალისტი რომ ხელმოცარული მწერალია, ეს ჩემთვის კარგა ხანია ცნობილია, მაგრამ მარტოდენ მწერლებზე გაბრაზებული ჟურნალისტების ბრალი არ არის ის დანაშაულებრივი გულგრილობა, რაც ჩვენში ნიჭიერ ხელოვანთა მიმართ ხდება. გამოჩენილ ეროვნულ სახელთა პოპულარიზების პოლიტიკური ნება არ არსებობს! მორჩა და გათავდა.

სამაგიეროდ, ჩვენს საინფორმაციო საშუალებებში მწვანე გზა აქვს გახსნილი უნიჭობას.

დროდადრო ცისფერ ეკრანზე გაიელვებს მკითხველისათვის სრულიად უცნობი, საეჭვოზე საეჭვო ლიტერატურული მონაცემების მქონე მოპოეტო არსება, რომელსაც პოლიტიკაშიც მოეცარა ხელი და ლიტერატურაშიც და „უტიფრობა ჰყოფნის, მხატვრულ ტექსტებზე“ ილაპარაკოს. მას გვერდს უმშვენებს ასევე ხელმოცარული თავკიტრა მხცოვანი კრიტიკოსი და „მიმოძილველის“ სისულელებზე, „ოლონდაც ოლონდაცო“, კვერს უკრავს.

აი, ასეთ ვითარებაში დღეს ნიჭი სრულიად არ არის საკმარისი, რომ ხელოვანს ყურადღება მიექცეს.

შეიძლება ჭემმარტება ხელოვანმა გაიფიქროს (და სრულიად სამართიანადაც) „მიმიფურთხებია ამათი რადიო-ტელევიზიისთვის, მე ჩემს საქმეს ვაკეთებო“, მაგრამ სამწუხაროზე სამწუხაროდ, გამოვნებადაქვეითებული საზოგადოების ხელოვანისადმი დამოკიდებულება სწორედ საინფორმაციო საშუალებებში მის გამოჩენა-გახმაურებაზეა დამოკიდებული.

შემოქმედებით კავშირებთან საინფორმაციო საშუალებების დიდი უმრავლესობის თანამედროვე მოდელი ასეთი გახლავთ: რეკავთ ტელევიზიაში და ეუბნებით, რომ ამა და ამ რიცხვში ტარდება ანა კალანდაძის იუბილე. ტელევიზიიდან დაუფიქრებლად გაასუხოებენ, რომ ასეთი თემა მათ არ აინტერესებთ, ამიტომ გადამღებ ჯგუფს ვერ გამოუშვებენ, მაგრამ საკმარისია, ეშმაკობა იხმაროთ და უთხრათ, რომ საიუბილეო საღამოს მავანი და მავანი თანამდებობის პირი დაესწრება, ტელეკო-

რესპონდენტები თავის ოპერატორ-იუპიტერებთან და უყოვნებლივ გამოცხადდებიან.

განა ვინ არის ასეთი ხელისუფლებაში პარტიული სიით გამძვრალი თანამდებობის პირი, რომ თავლწას-მულივით დასდევნ საინფორმაციო საშუალებები?

რა სიბრძნეს იტყვის იგი ასეთს გალაკტიონის თუ ვაჟა-ფშაველას შესახებ, რომ აუცილებლად უნდა გაიგოს ქვეყანამ?

როცა სიბრტყეები არეულია, როცა არ მოქმედებს პრინციპი „კეისარს კეისრისა“ და პირად ინიციატივაზე თუ გამძრომა-გამოდრომის ნიჭზე დამოკიდებული ხელოვანის წარმატება თუ საზოგადოებრივი სახელი, სწორედ მაშინ შეიძლება გამძვრეს სახელოვნებო წრეებში რომელიმე ჩიტირეკია, უნიჭო, თვითმარქვია „ლიტერატორი“, რომელსაც ხელოვნების არაერთ დარგში ხელი მოეცარა, მაგრამ მაინც ჯიუტად, გიჟის ენერგიულობით მოცეკვავეებთან მსახიობად აცხადებს თავს, მსახიობებთან – მოცეკვავედ და მწერლებთან – სამივეს ერთად. მას უტიფრობა ჰყოფნის, გარდა ყოველივე ზემოთქმულისა, თავის თავს „კოლორიტი“ უწოდოს, თავი მოაბეზროს ბიზნესმენებს, მოაქუჩოს ორიოდ კაპიკი და თვითონვე მოიწყოს საკუთარი იუბილე ოპერის თეატრის შენობაში. საზოგადოება კი, რომელსაც ჰგონია, რომ ეს იუბილე რომელიმე შემოქმედებითი კავშირის ინიციატივით ჩატარდა, გაოგნებული კითხულობს: ვინ არის მავანი და მავანი ტაკიმასხარა ასეთი, რომ წილად ამგვარი პატივი არგუნეთო.

ეს ყველაფერი შეიძლება მოხდეს, ვიმეორებ მაშინ, როდესაც ხელოვნებაში განუკითხაობაა, ხოლო კრიტიკა

იმდენად ტენდენციური გახლავთ, რომ თავის ფუნქციას ვერადავერ ასრულებს.

მრავალჯერ მითქვამს და აქ საჭიროდ არ ვთვლი გავიმეორო, რომ დასავლეთიდან ეროვნული კულტურების შესანარჩუნებლად ზურგის ქარი როდი უბერავს. აშკარადაა აღებული კურსი ეროვნული ფენომენის წაშლისკენ, თვითმყოფად კულტურათა მასკულატურაში გათქვეფისკენ და იმგვარი საზოგადოების შექმნისკენ, რომელსაც თავისი გამოკვეთილი ეროვნული სახე არ ექნება.

როცა პარლამენტის წევრი გახლდით, ჩვენს ფრაქციას სტუმრად ეწვია ევროპარლამენტის წარმომადგენელი. დიდხანს ვესაუბრე მას ერთ-ერთზე ჩემი ქართული წუხილით შესახებ იმისა, რომ ქართულ კულტურას გაქრობის საფრთხე ემუქრება, რომ ამერიკულმა მასკულატურამ ლამის ჩაყლაპოს ის ძვირფასი და განუმეორებელი, რითაც საქართველოს საუკუნეთა განმავლობაში თავი მოსწონდა, რომ კინოშიც, მხატვრობაშიც, ლიტერატურაშიც და მუსიკაშიც (განსაკუთრებით ე.წ. „საესტრადო სიმღერებში“), უკვე შემოვიდა ქართულისათვის სრულიად უცხო, ზანგურ-ებრაულ-ამერიკული ინტონაციები, რაც ჭეშმარიტად პროფესიონალი ქართველი მომღერლების გაოცებას და პროტესტს იწვევს.

სხვაც ბევრი რამ ვუთხარი პარლამენტის სტუმარს, საათ-ნახევარი მოწყენილი მისმენდა და ბოლოს მითხრა, რა აუცილებლობაა, რომ თქვენი ენა, თქვენი ტრადიციული მუსიკალური კულტურა და საერთოდ, როგორც თქვენ ამბობთ, თქვენი ე.წ. ეროვნული ფენომენი ან ისტორიული მიწები შეინარჩუნოთო.

აი, ტიპიური მაგალითი ევროპულ-ამერიკული კოსმოპოლიტის მცირე ერებთან დამოკიდებულებისა.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, მე დაბეჯითებით ვამტკიცებ, რომ რაკილა ადამიანის აღზრდის განუმეორებელ საშუალებასთან კულტურასთან, აგდებულ-დაბნეული დამოკიდებულება ჩამოგვიყალიბდა, საჭიროა სპეციალიზებული ცოდნა კულტურის შესახებ, ანუ საგანი „კულტუროლოგია“ ყველა სასწავლებელში უნდა ისწავლებოდეს.

იგი უნდა ისწავლებოდეს საშუალო სკოლების მაღალ კლასებში (თუმცა სკოლის პროგრამის შედგენისას მეთოდურ საბჭოებს იმდენი დილეტანტი მრჩეველი ჰყავთ, რომ ფურცლავთ ლიტერატურულ სახელმძღვანელოებს და მათში 90% უნიჭო ავტორთა იმდენი ანტიესთეტიკური ნაწარმოებია შეტანილი ქართველ კლასიკოსთა თხზულებების ამოღების ხარჯზე, რომ გული შეგიწუხდებათ), „კულტუროლოგია“ უნდა ისწავლებოდეს ყველა პროფტექნიკურ სასწავლებელში, კოლეჯსა თუ

უმაღლეს სასწავლებელში, რა პროფილისაც არ უნდა იყოს იგი.

„კულტუროლოგია“ ახალგაზრდას მისცემს საშუალებას, არა მარტო ერკვეოდეს მსოფლიო კულტურის მწვერვალებში, არამედ გაისიგრძეგანოს მისი სამშობლოს – საქართველოს წვლილი მსოფლიო კულტურის ისტორიაში. ამავე დროს „კულტუროლოგია“ იძლევა ელემენტარულ ცოდნას იმის შესახებ, როგორ უნდა შევავასოთ კულტურის ნაწარმოები, რა დამოკიდებულებაა კულტურასა და მეცნიერებას, ან კულტურასა და რელიგიას შორის და, საერთოდ, როგორია კულტურის მომავალი.

თუ დროზე არ მოვკიდებთ ხელს, აღვუდგინოთ ხელოვანს ღირსება, საზოგადოებას მოვავაგონოთ, რომ კულტურის წარმომადგენელი ქვეყნისთვის საჭირო და ძვირფასი კაცია, თუ პოლიტიკების მავნე ინერციებისგან არ დავასვენეთ ჩვენი დაბნეული თანამედროვე და ხელოვნების დიად იდეალებს არ ვაზიარეთ, ადამიანს გადაგვარება ემუქრება.





*badri cxadaZe,*  
*avTandil sonRul aSvil i*

## ქართული ენის ბედი და უბედობა

სამყარო პირობითად ორ მთავარ ნაწილად იყოფა: პირმეტყველად და პირუტყვად. პირმეტყველი – ადამიანი – მსოფლიოს მეცნიერებისათვის ჯერ კიდევ საბოლოოდ ამოუცნობი და შეუსწავლელი ობიექტურ-სუბიექტური ფენომენი. იმავდროულად ადამიანი იმით განსხვავდება დანარჩენთაგან, თუნდაც ცხოველისაგან, რომ მას ღმერთი სწამს (ლუდვიგ ფოიერბახი).

ღმერთმა მსოფლიოს, სამყაროს ენები გულუხვად დააბერტყა, მაგრამ ენებს კაცობრიობა, ცივილიზებული სამყარო დასაღუპად „დაუფიქრებლად“, უშურველად და ადვილად იმეტებს. – როგორც ცნობილია, მსოფლიოში ყოველ 50 წელიწადში თითო ენა კვდება.

ენამ შექმნა ადამიანი, ხოლო ადამიანმა, უფრო სწორად, ადამიანთა ერთობამ – ენა. ანუ ორივეს შემქმნელი ღმერთია. როგორც შოთა რუსთაველი გემოდღვრავს, „რაცა ღმერთსა არა სწადდეს, არა საქმე არ იქმნების“ [1].

ამრიგად, ერთ დროს, პრეისტორიულ გარიჟრაჟზე, ადამიანი პირუტყვი იყო, ამ სიტყვის ყოველგვარი მნიშვნელობით, ადამიანად იგი შემდგომ ენა-მეტყველებამ აქცია.

ენა ცოცხალი ორგანიზმია, მას ისევე, როგორც ადამიანს, სული აქვს – სუნთქავს, ცოცხლობს, არსებობს, იღუპება კიდევ.

ასე რომ, ენასაცაქვს დასაწყისი და დასასრული, ისე, როგორც ყველაფერს.

დღეს, ადამიანთა მოდემას, ისეთი შეგრძნება გვეუფლება, თითქოს კაცობრიობა ენებიანად დასასრული-საკენ მიექანება. დაქანების პროცესში კი, რა გასაკვირია, ქვეშ არაერთი ენა მოჰყვება. „ენის დაქანების პროცესში“ ყოფნისას ერთი დიდი ქართველი მოაზროვნისა და კლასიკოსი მწერლის გრიგოლ რობაქიძის ნათქვამს მოგაგონებთ, რომელსაც გერმანულენოვან „ქალღმერთის ძახილში“ ერთ-ერთი მოქმედი პირი თავადი იულონ გელოვანი ამბობს – თუ როდის შეიძლება მოკვდეს ხალხის სული:

„ხალხის სული მოკვდება მაშინ, თუ ღმერთს მოკლავენ“ [2. 117], ღმერთი კი, ჩვენი აზრით, ჩვენი სახატე ქვეყანაა, რომელიც, მეოცე საუკუნის დასაწყისში, ილია მართლის სახით მოვკალით. იულონის ანუ გრიგოლ რობაქიძის თქმით, „მინდა სულის ცნება ერთი მაგალითით აგიხსნა. ჩვენ, ქართველები, ვლაპარაკობთ ქართულად. ვინ შექმნა იგი? ცხადია,

ქართველებმა, მაგრამ როგორ? გამოცალკევებით არავინ, ყველამ ერთად. მაგრამ ეს „ყველა“ დროის სხვადასხვა მონაკვეთებში დასცილდა ერთმანეთს. საიდუმლო აქ ძვეს. მე არ ვიცი, როგორ უნდა ამოიხსნას ეს საიდუმლო, ალბათ, იქნებოდა ერთობლივი ჩანასახოვანი უჯრედი, რომელიც ყველა ქართველში ცოცხალია, წარსულის, აწმყოს, მომავლის ქართველში და, ალბათ, მას შეუქმნია ჩვენი ენა. მე ამ ჩანასახის უჯრედს საქართველოს სულს ვუწოდებ“. აი, დღეს კი, სწორედ ჩვენ თვალწინ, ჩვენივე ხელით საქართველოს სული კვდება[3].

ენას მოფრთხილება და დაცვა სჭირდება, მით უფრო მშობლიურს, საკუთარს. საკუთარ ენას კი ქართველმა კაცმა დედაენა შეარქვა. ეთნიკურ-ეროვნული ტრადიციები და მშობლიური ენა მთლიანობაში ეროვნული კულტურის ძირითად ნაწილს შეადგენს, რომელიც განსაზღვრავს ამა თუ იმ ხალხის ნაციონალურ იერსახეს, მის ეროვნულ ფიზიონომიას. ამ მთავარი ელემენტების შესუსტება, დამცირება, ნოლზე დაყვანა იწვევს ერის მოსპობას [4. 7].

ენა და მისი არსებობა ერის გარეშე წარმოუდგენელია, თუმცა არსებობს გამონაკლისებიც. მართალია, ზოგ ერს მშობლიური ენა წინათ ჰქონდა და დაკარგა (მაგალითად, ებრაელებმა), თუმცა შემდგომ აღიდგინა, მაგრამ ეს „აღდგენილი“ ენა არაა ის ბუნებრივ-ისტორიული, რაც ადრე მას ჰქონდა, როგორც ხატოვნად იტყვიან, „ერთდროულად, ერთსა და იმავე დროს მდინარეში ორჯერ ვერ შეხვალ“. ამიტომ მშობლიურ ენას, ყოველივე მშობლიურს, კვლავ ვიმეორებთ, მოფრთხილება სჭირდება.

მშობლიურის ნაცვლად სხვა ენაზე ერის ამეტყველება ერის გადაჯიშებას, გადაგვარებას, იდენტობის დაკარგვას ნიშნავს. ასე რომ „ენის სიკვდილი“, მისი სიკვდილის მიზეზი, სოციალურ-ეკონომიკური ხასიათითაცაა გაპირობებული, მისი მოუხმარებლობაენის სიკვდილს იწვევს – მთავრდება ერის სიკვდილით (გადაშენებით) ან ერის გადაგვარებით ან ერის სხვა ერთან შერწყმით. ამის მაგალითები მსოფლიო ისტორიაში არაერთია.

მსოფლიოში რამდენი ენაა, ზუსტად არავინ იცის (ასახელებენ 3000-ზე მეტს, 5000, 7000-მდე ერთეულს). ბევრი ენა ლინგვისტურად შეუსწავლელია. სამწუხაროდ, ენების დასადგენად არაა სათანადო და საკმარისი კრიტერიუმები, ჭირს ენის ენად ან დიალექტად გამოყოფა-გამოცალკეება, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ზოგ მკვლევარს, ესა თუ ის ენა დიალექტად მიაჩნია, ზოგს – ენად. ასეთ შემთხვევაში დიდ როლს თამაშობს ტრადიციული გაგებაც. მაგალითად, მიუხედავად მჭიდრო სიახლოვისა, ჩეხური და სლოვაკური, რუსული და ბელორუსული, სერბული და ხორვატული სპეციალურ ლიტერატურაში რატომღაც ცალკე, დამოუკიდებელ ენებად არის მიჩნეული. როგორც ცნობილი ჩეხი ლინგვისტი ი. იედლიჩკა წერს, „ჩეხური ენის მცოდნეს ესმის არა მარტო ჩეხური ენა, არამედ სლოვაკურიც, რადგან სლოვაკური ენა ჩეხურს ძალიან უახლოვდება“ [5, 5]. ეგევე შეიძლება ითქვას ინგუშურისა და ჩეჩნურ-ქისტურის ენობრივი დამოკიდებულება-ურთიერთიმართებითაც. მსოფლიოში 200-ზე მეტი ქვეყანაა, რომელთაგან 100-ზე მეტს სახელმწიფო



ენად არამშობლიური ენა აქვს. მაგალითად, ინგლისური ენა, გარდა ინგლისისა, მსოფლიოს ერთ მესამედს ანუ 68 ქვეყანას მოიცავს, მათ შორის 12 ქვეყანაში – ადგილობრივ, აზორი-გენულ ენებთან ერთად კანონიკურად, სახელმწიფო ენად არის გამოცხადებული.

ინგლისური ენა, როგორც ერთადერთი სახელმწიფო ენა, დაკანონებულია აფრიკის ქვეყნებში (ტანზანია, ზიმბაბვე, უგანდა, ლიბერია, ზამბია, მავრიკია, ბოსტვანა, ნიგერიის ფედერაციული რესპუბლიკა და სხვ.). ჩამოთვლილთაგან აფრიკის კონტინენტზე მრავალრიცხოვანი მოსახლეობით (135 მილიონ 560 ათასი მცხოვრები) ნიგერია პირველ ადგილზეა.

სახელმწიფო ენის სტატუსი მოსახლეობის სიმრავლით არ განისაზღვრება (მაგალითად, ნიგერიაში, სადაც რამდენიმე ეთნიკური ჯგუფის მოსახლეობაა, მრავალრიცხოვნობით გამოირჩევა: ჰაუსა – 26 მლნ., იორუბა – 21 მლნ., იგბო – 17 მლნ.). აფრიკის კონტინენტზე გამოწვევისა მხოლოდ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა, სადაც ინგლისის ყოფილ კოლონიაში დღეს ინგლისურთან ერთად სახელმწიფო ენებად გამოცხადებულია აქ მცხოვრებ 12 ეთნიკურ ჯგუფთა ენები: სესოტო, კოსა, ზული, ლეზოა, სისკატი და სხვ.

აზიის ქვეყნებთან ინგლისურს სახელმწიფო ენის სტატუსი აქვს სინგაპურში, ბრუნეიში, ინდონეზიაში (ჰინდი ენასთან ერთად);

ამერიკის კონტინენტზე ინგლისური სახელმწიფო ენად აღიარებულია: აშშ-ში, კანადაში (ფრანგულთან ერთად), იამაიკაში, გრენადაში, ბელიზში, დომინიკის რესპუბლიკაში,

ბაჰამისა და ბერმუდის კუნძულოვან სახელმწიფოებში;

ოკეანეთში, ასევე ავსტრალიის კონტინენტზე – 17 სახელმწიფოში ინგლისურ ენას სახელმწიფო სტატუსი აქვს შექმნილი (ავსტრალია, ახალი ზელანდია, პაპუა – ახალი გვინეა, მიკრონეზია, ფიჯის რესპუბლიკა და სხვ.).

ევროპაში კი ინგლისურს სახელმწიფო ენის სტატუსი აქვს ირლანდიაში, გიბრალტარში, მალტაში, ცხადია, დიდ ბრიტანეთში.

ინგლისურის შემდგომ მსოფლიოში სახელმწიფო ენის რანგში გვევლინება ფრანგული ენა (საფრანგეთის ყოფილ კოლონიებში). ესენია: სენეგალი, ჩადი, რუანდა, მალი, ნიგერია, მადაგასკარი, მავრიტანია, კოტ-დივარი (ყოფილი სპილოს ძვლის ნაპირი), კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა და სხვ. ასევე ევროპის ზოგ ქვეყანაში (მონაკო, ლუქსემბურგი, შვეიცარია, ბელგია) სახელმწიფო ენა ფრანგულია. ასე რომ, საფრანგეთით დაწყებული მსოფლიოს 30 ქვეყანაში სახელმწიფო ენის სტატუსით ფრანგული 30 ქვეყანაშია გავრცელებული. ფრანგულენოვან ქვეყნებს ფრანკოფონიის სახელითაც მოიხსენიებენ.

სახელმწიფო ენის რიცხოვნობით მესამე ადგილზეა არაბული. იგი 23 ქვეყანაში მოქმედებს (ალჟირი, მაროკო, ტუნისი, ლიბია, ეგვიპტე, იორდანია, საუდის არაბეთი და სხვ.), ასევე აზია-აფრიკის ხუთ ქვეყანაში (ისრაელი, ჩადი, ერიტრეა, სომალი, ჯიბუტი) არაბული სახელმწიფო ენის როლში გვევლინება.

მსოფლიოში, სახელმწიფო ენის სტატუსით, მეოთხე ადგილს ესპანური ენა იკავებს (სულ – 23 ქვეყანაში).

პორტუგალიური და გერმანული ენები სახელმწიფო ენის რანგში შვიდ ქვეყანაში არსებობს (უპირატესად სხვა სახელმწიფო ენათა გვერდით).

ინგლისური დღეს ზესახელმწიფო ენაა. იგი, რაც დრო გადის, ერთადერთ და ძირითად საკომუნიკაციო მსოფლიო ენად მკვიდრდება და თავისუფლად ენაცვლება ხელოვნურად შექმნილ ენებსაც (ესპერანტო და სხვ.). ინგლისური ჩინურის შემდგომ მსოფლიოში მეორე ადგილზეა (322 მლნ ადამიანი აღიარებს მას მშობლიურ ენად, რომელთაგან მხოლოდ 55 მლნ ცხოვრობს დიდ ბრიტანეთში). ინგლისურს, როგორც „მეორე მშობლიურ ენას“, 400 მლნ ადამიანი იყენებს, როგორც უცხო ენას კი – 800 მლნ. [6. 11-13].

დღეისათვის საქართველო მსოფლიოს 200-მდე სახელმწიფოს შორის სიდიდით (ოკუპირებული ტერიტორიების ჩათვლით – 70 ათასი კვ. კმ.) 118-ე ადგილზეა, ე. ი. მსოფლიოს 74 სუვერენულ სახელმწიფოზე დიდია, მათ შორის ისეთ ქვეყნებზე, როგორცაა: დანია, ნიდერლანდები, ბელგია, შვეიცარია, ისრაელი და სხვ. მოსახლეობის რაოდენობით კი 97-ეზე, ე. ი. 96 სუვერენულ სახელმწიფოს აღემატება (მათ შორის: ახალ ზელანდიას, თურქმენეთს, ირლანდიას, ნორვეგიას, სლოვაკეთს, ფინეთს, ყირგიზეთს, ჩადის და სხვ), მოსახლეობის სიმჭიდროვის მიხედვით კი 80-ე ადგილზეა.

როგორც ზემოთ ვახსენეთ, ენა ცოცხალი ორგანიზმია. ამა თუ იმ ენაში (სულერთია, დამწერლობის მქონეა თუ უდამწერლობო) „შედის და გაედინების“ ძირძველი თუ ნასესხები სიტყვები, სპეციფიკური გამოთქმები და გამონათქვამები. მაგა-

ლითად, ქართულმა ენამ ძველ ქართულშივე ისესხა სპარსული სიტყვა „კოშკი“ (მისი ხმარება-არსებობა პირველად დასტურდება ძველ ქართულ ხელნაწერში – 864 წლის „სინურ მრავალთავში“), ხოლო XX საუკუნეში იგივე სიტყვა, შინარსობლივად და ფორმობრივად ოდნავ სახეცვლილი, დაგვიბრუნდა „კიოსკის“ სახით. სპარსულიდან „კიოსკ-“მა შეაღწია თურქულში, თურქულიდან – ფრანგულში, ფრანგულიდან – რუსულში, რუსულიდან კი ქართულში [7]. ამის საანალოგიოდ და იმავდროულად საპირისპირო ნიმუშად გამოგვადგება ძველი ქართული სიტყვა „ტარიგი“. ის საფუძვლად დაედო ძველ ბერძნულ სიტყვა-ტერმინს „ტრაგედიას“, რომელიც ბერძნულ ენაში ძვ. წ. აღ. V საუკუნიდან იხმარება. ტრაგედე –> ტრაგედე „თხის სიმღერა“, რომლის ტრაგ ძირი ქართული „ტარიგ“ ლექსემისგან მომდინარეობს (ტარიგი = „ცხვარი, მსხვერპლი“) [8, 58-69].

ასე მოგზაურობენ სიტყვები ერთი ენიდან მეორეში. აქვე უნდა ითქვას, რომ ასეთი ნასესხობების დადგენა-გამოყოფა სპეციალური ლინგვისტურ-ეტიმოლოგიური კვლევის გარეშე შეუძლებელია.

ქართულ ენაში ბევრია უცხოური ენების გავლენის კვალი (ძველი ებრაულის, ძველი ბერძნულის, სპარსულის, არაბულის, თურქულის, მონღოლურის, რომაულის, რუსულის...), რაც ექსპანსიისა და უცხოური კულტურის შედეგია. უნასესხებო სიტყვაფორმათა მქონე ენას მთელ მსოფლიოში ვერ ვიპოვით, თვით აფრიკისა და ბრაზილიის ჯუნგლების ტომთა შორისაც კი.

ქართულ ენას ბოლო ორი საუკუნის განმავლობაში „ექსპანსიის და-

ლი“ დაასვა რუსეთის იმპერიამ და რუსულმა ენამ, რომლის მწარე ნაყოფით დღესაც ვიკვებებით.

რუსეთის იმპერიას კავკასიის დაპყრობისთანავე რეგიონის გარუსება უნდოდა. რუსეთმა კარგად იცოდა, რომ საერთო ქართული დამწერლობისა და მისი მდიდარი ლიტერატურის მოსპობა და შთანთქმა ადვილი რომ არ იყო, ამიტომ შენიღბულად ჯერ სხვა ქართველური ენები (მეგრულ-ჭანური, სვანური) უნდა გაერუსებინა. ამ მიზნით კიდევ შეადგინეს რუსული გრაფიკული ანბანი „დიდა ნინა“ და „ლუმნუ ანბანი“. გათვალისწინებული იყო, რომ სამეგრელოს მოსახლეობა მეგრულ ენაზე, ხოლო სვანეთის \_ სვანურზე გადაეყვანათ, რათა ქართველების გარუსება-ასიმილირება შემდგომ ეტაპზე ადვილად მომხდარიყო [9, 35]. სამწუხაროდ, აფხაზეებმა რუსთა ეს ვერაგული გეგმა რიგიანად ვერ გაიცნობიერეს და ჯეროვნად წინ ვერ აღუდგნენ \_ გარუსების გზას დაადგნენ, ხოლო სვანეთსა და სამეგრელოში რუსთა მგდელობა ვერ განხორციელდა, რადგანაც ქართველური ძირძველი მუხტი აქ მყარ ნიადაგზე იდგა.

აღსანიშნავია, რომ კავკასიის რეგიონის გარუსება სათავეს ჯერ კიდევ დეკაბრისტთა პროგრამიდან იღებს. პ. პესტელის მიერ შექმნილი კონსტიტუციის პროექტი „რუსსკაია პრავდას“ სახელწოდებით გვაუწყებს, რომ რუსეთის დედაქალაქად უნდა ყოფილიყო ნიჟნი ნოვგოროდი, ახალი სახელდებით \_ ვლადიმირი. პროექტში ისიც ეწერა, რომ: „რუსეთის სახელმწიფოში მცხოვრები ყველა ერი და ტომი უნდა გარუსდეს, რუსეთის სახელმწიფოს მთელ სივრცეზე მხოლოდ ერთი \_ რუსული ენა უნდა ბა-

ტონობდეს. ერთ ენაზე მოლაპარაკე ხალხი მტკიცედ შეიკვრება და ერთ ერად ჩამოყალიბდება. ყველა ერისა და ტომის განსხვავებული სახელწოდება უნდა მოისპოს და საერთო რუსულ სახელწოდებას შეერწყას (შდრ. საბჭოური ცნება-ტერმინი „საბჭოთა ხალხი“). რუსეთის მთელ ტერიტორიაზე უნდა მოქმედებდეს ერთი და იგივე კანონები და მმართველობის ერთნაირი ფორმა“.

1812 წელს რუსეთთან ომის დროს ფრანგებს ხელთ ჩაუვარდათ პეტრე პირველის პოლიტიკური ანდერძი, სადაც მონარქს მოუნიშნავს: „კონსტიტუციონეპოლისა და ინდოეთისაკენ წავიწიოთ. ამ მიზნით შევექმნათ საომარი ვითარება ხან თურქეთთან, ხან სპარსეთთან. ერთმორწმუნე კავკასიელი ძმებისთვის გავისარჯოთ. შევეცადოთ, რომ ამა თუ იმ მხარემ მფარველობის თხოვნით მოგვმართოს, მერე კი მათ სრულ დამორჩილებას მივაღწიოთ. შევიყვანოთ ჯარი დროებით და მანამდე დავტოვოთ, სანამ საბოლოოდ იქ არ დავრჩებით“ [10]. პეტრე პირველის მზაკვრული გეგმა-ჩანაფიქრი ქართველთათვის ჭკუის სასწავლეელი ფაქტია \_ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ზოგჯერ გუგულის ბარტყის გამოზრდა არწივის მართვეს გაზრდასთან შედარებით გამზრდელი-სათვის უფრო სახიფათო და უარესია!

რუსული იმპერიული გეგმა აღმოსავლეთ საქართველოს ყოფდა ქართველების, რუსების, თათრების, სომხების, გერმანელებისა და მალაკნების სამყოფად, ქალაქი თბილისიც ასეთივე ნარევად უნდა გამოცხადებულიყო, მმართველობა კი მოსახლეობის ენების მიხედვით უნდა მომხდარიყო, ცხადია, რუსული ენის დიქტატით. არაერთი ქართველი თავადი

და ქართველი „კნეინა“ რუსული თვითმმართველობის მიმართ თავდადებასა და ერთგულებას იჩენდა. მაგალითად, 1804 წლის 29 მაისს იმპერატორის წარდგენილ პატაკში რენეგატი ქართველი პავლე ციციანოვი (ციციშვილი) ხაზგასმით აღნიშნავს ვახტანგ ორბელიანის „ღვაწლს“, რის გამოც ამ უკანასკნელს პოლკოვნიკობაც უბოძეს და 750 მანეთი წლიური ჯამაგირიც განუჩინეს. თურმე, როგორც ირკვევა, ამ ამბავს რენეგატი ქართველი მეტად გაუდიდგულებია. მას აუთვალწუნებია ქართული ენა და საერთოდ ქართველობა. როდესაც ბავშვები წერა-კითხვას ქართულად სწავლობდნენ, ჯავრობდა თურმე და თან ფიქრობდა: „ჩემმა შვილებმა თუ ქართული ენა არ დაივიწყეს, უიმი-სოდ რუსეთში სასწავლებლად ვერ გამოდგებიანო“ [11. 56-57].

XIX საუკუნის 80-იან წლებში მთელს იმპერიაში განსაკუთრებით გაძლიერდა რუსიფიკატორული პოლიტიკა. რუსი ჩინოვნიკები გაორმაგებული ძალით ცდილობდნენ ეროვნული ტრადიციების მოშლას და ენების ამოძირკვას. ყველა საგანმანათლებლო დაწესებულებაში მხოლოდ რუსული ენის სწავლება მიმდინარეობდა. აკაკი წერეთელი დიდი გულისტკივილით განიცდიდა რუსიფიკირების ძალდატანებით მცდელობას და მოურიდებლად აკრიტიკებდა იმ ქართველებს, რომლებიც სახიფათო ტენდენციებს არ ეწინააღმდეგებოდნენ.

და სწორედ XIX საუკუნის საუკუნის 80-იან წლებში გამოჩნდა ქართული საზოგადოების თვალწინ მარჯორი უორდროპი, შესანიშნავი ერის და არისტოკრატიული ოჯახის წარმომადგენელი ქალბატონი, რომელიც

გატაცებით სწავლობდა ქართულს და ცდილობდა ყველა თავის ქართველ ნაცნობთან ქართულად ელაპარაკა. აკაკის წერილში „საუბარი ინგლისელ ქალთან“ სწორედ მარჯორი უორდროპის საქართველოში ყოფნის ერთი ეპიზოდია აღწერილი, სადაც ინგლისელი მარჯორი და ქართველი კნეინა აკაკის თანდასწრებით საუბრობენ ენის საჭიროებისა და კეთილხმოვანების თაობაზე.

აკაკი და მარჯორი უორდროპი ერთად ცდილობდნენ დაერწმუნებინათ საკუთარი და მშობლიური ენის არმცოდნე მედიდური კნეინა, რომელიც სულაც არ წუხდა, რომ ინგლისელმა ქალმა უკეთ იცოდა ქართული და შეეძლო კულტურული ცხოვრების ავკარგის გაგება. აკაკი მარჯორის მსჯელობას ასე გადმოგვცემს: „საკვირველია!.. გონება გახსნილმა და განათლებულმა ადამიანმა როგორ არ უნდა იცოდეს იმ ქვეყნისა და ხალხის ენა, სადაც დაბადებულია და გაზრდილა. გინდ თვითონ არც კი ეკუთვნოდეს მკვიდრთაგანს? ჩვენ რომ ინდოეთში შევედით, სიბნელით იყო ის ქვეყანა მოცული: ცოლები, ქმრები რომ მოუკვდებოდათ, საკირეში ვარდებოდნენ: საიქიოს უნდა გავყვეთო!.. დღეს კი ისინი, განსაკუთრებით მაღალ წოდებისანი, ევროპიულათ განათლებული არიან, არ ჩამოუვარდებიან ინგლისელ ქალებს, მაგრამ მაინც არა თუ უარსა ჰყოფენ თავისას, პირიქით, ცდილობენ, რომ შეისწავლონ, გამოიკვლიონ მათი ქვეყნის ავი და კარგი, რომ მოსაწონი მოიწონონ და დასაწუნი დაიწუნონ. ამით მათ ღირსება თუ ემეტება რამე, თვარა არა აკლდება რა“ [12. 227].

როგორც ჩანს, აკაკიმ საგანგებოდ მიაქცია ყურადღება ინგლისელი ქა-

ლის საუბარს, რომელიც ეროვნული ჩაგვრის მომენტებში რადიკალურ განსხვავებას ხედავდა რუსეთისა და ინგლისის კოლონიალურ პოლიტიკაში. აკაკი წერეთელი მარჯორი უორდროპის მაგალითით ქართველ ქალებს საკუთარი ენისა და ერის დაფასებისაკენ მოუწოდებდა.

რუსული ოფიციალური ეკლესიაც განსაკუთრებულ როლს თამაშობდა საქართველოსა და ქართველი ერის გარუსება-გადაგვარებაში. რუსი ეგზარხოსები სასტიკად დევნიდნენ ყოველგვარ ქართულს, ძირძველი ეკლესია-მონასტრების ინტერიერისა და ექსტერიერის რუსულ ყაიდაზე შეთითხვნას, ამახინჯებდნენ ფრესკებს, ქართულ ენას „საბაჩი იაზიკად“ ნათლავდნენ.

**შენიშვნა 1.** სტუ-ში (2008-2012 წწ.) ერთ-ერთი ჩვენი ნასტუდენტარის (გვარად ჯანაშია, რომელიც ქართველია და აფხაზეთიდანაა, ამჟამად იქ ცხოვრობს, „კართული კი არ ეკერკება“, რუსულს ირჩევს) ცნობით, აფხაზები თურმე ქართულ ენას „საბაჩი იაზიკად“ მოისხენიებენ (ამის შესახებ სხვა დროს ვიმსჯელოთ – ამ ორ ენათაგან რომელია თავისი მორფოლოგიურ-სინტაქსური არქიტექტონიკით, ლექსიკით და ა. შ. „მალღური ენა“).

ამასობაში კი, XIX საუკუნიდან მოყოლებული, რენეგატი ქართველების რიცხვი მრავლდებოდა. ისინი გაშმაგებითა უჭერდნენ მხარს რუსული ენის პრიორიტეტს საქართველოს ტერიტორიაზე. ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა რუსეთის მეფის დიდმა მოხელემ გიორგი მუხრანბატონმა, რომელმაც თავის ანტიეროვნულ ბროშურაში კაცობრიობის პროგრესად პატარა ერების მოსპობა

და დიდი ერების გაბატონება მიიჩნია – მცირე ერების გაქრობა „მკვლევარს“ გარდაუვლად ესახებოდა.

1871 წლის 14 მაისს საიმპერატორო კარის გადაწყვეტილებით ქართული ენა უქმდებოდა ყველა ტიპის სასწავლებელში. დიდაქტიკური მოსაზრებით, ქართული ენა მხოლოდ სასულიერო სასწავლებლის მოსამზადებელ განყოფილებაზე დატოვდებოდა. მთავრობის ამ გადაწყვეტილებამ ქართველი საზოგადოების დიდი აღშფოთება გამოიწვია. ალექსანდრე მეორის მკვლელობის (1881 წლის 1 მარტი) შემდეგ რეაქციამ კულმინაციას მიაღწია. გამკაცრდა ცენზურა. ცარიზმი იმპერიის სრული რუსიფიკაციის გზას დაადგა. განსაკუთრებული სამიზნე ქართული ენა გახდა. სახალხო სკოლებში ქართულ ენაზე არა თუ სწავლა, ლაპარაკიც კი აიკრძალა და მის ნაცვლად რუსული ენა შემოიღეს [6, 78-79]. მეტიც: ეროვნული მთლიანობის საწინააღმდეგოდ სამეგრელოში მეგრულ, სვანეთში – სვანურ და აჭარაში – თურქულ ენებზე სწავლების დანერგვაც კი გადაწყვიტეს [13, 50]. 1884 წლის იანვარში კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველმა კ. იანოვსკიმ გამოსცა საგანგებო დადგენილება სამეგრელო-სამურზაყანოს სკოლებში ქართული ენის აკრძალვის შესახებ. ჩაატარეს წინასწარი, მოსამზადებელი სამუშაოც. რუსული ხელისუფლება იმდენად დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ამ აქციას, რომ პეტერბურგიდან თურმე სპეციალურად გამოგზავნეს მეცნიერებათა აკადემიის წარმომადგენელი პროფესორი გრენი, რომელსაც რუსული დამწერლობის საფუძველზე მეგრული ანბანის შექმნა დაევალა. ასევე გადაწყვიტეს რელიგიური ლიტერა-

ტურის მეგრულად თარგმნა და ღვთისმსახურების ამ ენაზე გადაყვანა. უნდა აღინიშნოს, რომ ხელისუფლების ამ წამოწყებას მაშინ ჩვენი საზოგადოების მხრიდან დიდი წინააღმდეგობა შეხვდა. რუსულის ბაზაზე შექმნილი მეგრული და სვანური ანბანები და ამ ენებზე გამოცემული დაწყებითი სკოლის სახელმძღვანელოები „ჩაწვა“ – პრაქტიკულად გამოუყენებელი დარჩა. ამ დროს ილია ჭავჭავაძე სპეციალურად ეწვია სამეგრელოს. სწორედ ამ ვიზიტის ამსახველია მისი სიტყვები: „სამეგრელოში მოვედი და საქართველო ვნახე“.

ცარისტულმა რეჟიმმა 1898 წლის 3 სექტემბრის ბრძანებულებით აფხაზეთის იმ ეკლესიებში, რომელთა მრევლს ეთნიკური აფხაზები შეადგენდნენ, ღვთისმსახურება საეკლესიო სლავურ ენაზე უნდა შეესრულებინათ. საქართველო-იმერეთის სინოდური კანტორის 1898 წლის 17 მარტის ბრძანებულებით კი აფხაზეთისა და სამურზაყანოს სკოლებში აკრძალა ქართული ენის სწავლება; ღვთისმსახურების საეკლესიო-სლავურ ენაზე აღსრულებისა და სკოლებში ქართულ ენაზე სწავლების აკრძალვის მიზნით უმკაცრესი კონტროლი იქნა დაწესებული. ამ კონტროლში ჩართული იყო მთელი რუსობა თვით ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის ჩათვლით [14, 94]. ამ დროს სოხუმში, ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის ცნობით, 3158 ქართველი და 100 აფხაზი ცხოვრობდა. რუსული მმართველობა მათ ქართველებად, მეგრელებად, იმერლებად და აფხაზებად ჰყოფდნენ. ასეთი იყო რუსიფიკატორული შიგა პოლიტიკის „დავთარი“.

1877-1878 წწ. რუსეთ-ოსმალეთის ომის შემდეგ აფხაზეთში კიდევ უფრო მიზანმიმართული გახდა რუსული იმპერიის კოლონიური ჩაგვრის პოლიტიკა, აქ რუსთა მიზანი იყო საქართველოს ამ უძველესი ნაწილის – აფხაზეთის ჩამოცილება, ამ ტერიტორიიდან ქართველთა განსახლება, ადგილობრივი მოსახლეობის მაქსიმალურად შევიწროება და საბოლოოდ აფხაზეთის ასიმილირება. ეს კი მაშინ განხორციელდებოდა, თუ ქართული ენა და ქართული ეკლესია ამ რეგიონიდან ამოიძირკვებოდა.

**შენიშვნა 2:** აფხაზეთში ქართველთა გააფხაზება მონოგრაფიულად შეისწავლა ცნობილმა მეცნიერმა, ისტორიკოსმა და საეკლესიო მოღვაწემ, მიტროპოლიტმა ანანია ჯაფარიძემ. ამიტომ ამის შესახებ ვრცლად აქ არ შევჩერდებით [15], [16, 535-542].

მსგავს პოლიტიკას რუსიფიკატორები „წარმატებით“ ახორციელებდნენ მესხეთ-ჯავახეთში (რადგან აქ ქართველობა ორად იყო დაყოფილი – „თურქებად“ (მაჰმადიან მესხ-ჯავახებად) და „ფრანგებად“ ანუ კათოლიკე ქართველებად). თვით საქართველოს დედაქალაქშიც კი, ამ დროს, იშვიათად თუ გაიგონებდა კაცი ქართულ ლაპარაკს.

ქართველობის ეროვნული მუხტი ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, იაკობ გოგებაშვილის, ვაჟა-ფშაველას, ალექსანდრე ყაზბეგის და სხვ. თავგამეტებული მოღვაწეობით მედგარ წინააღმდეგობას უწევდა რუსულ შოვინისტურ პოლიტიკასა და გადაგვარებულ ქართველობას. საქართველოს სკოლებში რუსული ენის დანერგვა-გაბატონების ფონზე დიდი ვაჟა წერდა: „ლამაზად შვილის გამზრდელი დედა მიცვნია ღმერთადა“. ცხადია,

აქ, უპირველესად, პოეტი „ლამაზად შვილის გაზრდაში“ შვილის ქართულ ენაზე სწავლასა და განსწავლას გულისხმობდა.

მიუხედავად ამისა, ორი იმპერიის – რუსეთისა და თურქეთის მარწუხებში მოქცეული საქრისტიანო და ოსმალეთის საქართველო მაინც ახერხებდა თავის გატანას და ეთნიკურობის შენარჩუნებას. რუსეთის იმპერიაში ორ გუბერნიად დაქუცმაცებული ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა მართლმადიდებელი და რეაქციონერი „მომე“ რუსეთისაგან „ქმულკეთილ“ საქმეებს სჩადიოდა. როგორც ა. სონდულაშვილი ასკვნის: XIX საუკუნის მეორე ნახევარში ქართველებმა შექმნეს: ა) სათავადაზნაურო ბანკი, რომელიც ფაქტობრივ ფინანსთა ფუნქციებს ასრულებდა; ბ) წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, რომელიც განათლების სამინისტროს ფუნქციებს ირგებდა, გ) სათეატრო საზოგადოება (ფაქტობრივ ფუნქციურად კულტურის სამინისტროს ბადალი ორგანო); [ბ. 94], სამაგიეროდ და სამწუხაროდ: საქართველოს ეკლესიას რუსეთისაგან წართმეული და ჩამორთმეული ჰქონდა ა) ავტოკეფალია, ბ) ქართულ ენას კი სახელმწიფო-საგანმანათლებლო სტატუსი, გ) სასამართლო და კომუნიკაცია რუსულენოვანი იყო; დ) ქართული ენაზე მოხსენების წაკითხვაც კი მეოცე საუკუნის ათიან წლებში მეფისნაცვლის ან გუბერნატორის ნებართვის გარეშე შეუძლებელი იყო; ე) არ არსებობდა არც ერთი სასწავლო ინსტიტუტი ან უნივერსიტეტი თვით რუსულ ენაზეც კი. მიუხედავად ამისა, საქართველოს ჭეშმარიტი ქომაგები და მამულიშვილები არ აკლდნენ. ისინი დღედაღამ ფიქრობდნენ ერისა

და ქვეყნის გამთლიანებაზე, სანამ ჩვენს ბედკრულ სამშობლოს წითელმა ღვარცოფმა და კომუნიზმის იდეის აჩრდილმა არ გადაურა. ამ გადავლამ კი XIX საუკუნის დასაწყისიდან 1990-იან წლებამდე გასტანა.

დაისმის კითხვა: რა მოხდა გაწითლებულ, უნიათო, „სამშობლოს არმცნობ“ მენშევიკთაგან მიტოვებულ ბოლშევიკურ საქართველოში? როგორ წარიმართა ქართულის, როგორც სახელმწიფო ენის, ბედი?

ვაი, რომ ცუდად! ვაი, რომ ავად!

მეფის რუსეთის ენობრივი რუსიფიკაცია ბოლშევიკურმა იდეოლოგიურმა რუსიფიკატორულმა მანქანამ წარმატებით შეცვალა.

საქართველო, მთელი არსებობის ისტორიის მანძილზე, რამდენადაც ჩვენი ისტორიული თვალი მიგვიწვდება, ბევრმა ქვეყანამ დაიპყრო, მაგრამ მხოლოდ სამმა გააუქმა მისი სახელმწიფოებრიობა და მეფობა: პირველი სპარსეთი გახლავთ, მეორე – არაბების იმპერია, მესამე – რუსეთი, ამ უკანასკნელმა ორჯერ დაიპყრო და ორჯერვე იავარქმნა ყოველივე ქართული და ეროვნული.

და მაინც რა მოხდა საბჭოთა საქართველოში?

ზოგი მკვლევარი და ბეცი რიგითი ქართველი სტალინს, ორჯონიკიძეს და მისთანებს რუსეთისაგან საქართველოს ხელმეორე დაპყრობას აბრალებს, მაგრამ რატომღაც ავიწყდებათ ის პოლიტიკური რუსულტრადიციული ზრახვა-ნიუანსი – იმდროინდელი ბოლშევიკური მთავრობის რუსეთში არცერთი ქართველი რომც არ ყოფილიყო, რუსები საქართველოს მაინც დაიპყრობდნენ. იმპერია ხომ ყოველთვის იმპერიაა, რად-

გან ყოველთვის „გველივე შთება გველად“.

გველაძეებით სავსე საქართველოში უცხოური და საუცხოო ტვინამღვრეული და წითელი იდეით შეპყრობილი ქართველები მენშევიკურ მონაპოვარს ანიავებდნენ. ასე დათმეს მათ ძირძველი ტერიტორიები საქართველოსი – საინგილო და ლორე-ტაშირი, სოჭის მხარე. მეტიც: ავტონომიებით დახუნძლეს საქართველოს დაწყლულეული და იარამოუშუშებელი სხეული. ცარიზმისაგან ჩამოთესლილი უცხოტომელების თესლი ჯერ ჯეჯილად აქციეს – ჩვენს ხარჯზე ავტონომიური უფლებები მიანიჭეს, მერე კი უცხოური თესლის გაღვივებით – ხელშეწყობით ჯეჯილი ღვარძლად, მათ თავმომი და ქედმაღალ სარეველა თავთავებს ახლაც ვიმკით. ასე იქცა აფხაზეთი ავტონომიურ რესპუბლიკად, სამაჩაბლო ანუ ზენასოფელი (ძველი ქართული ტერმინოლოგიით), ე.წ. სამხრეთ ოსეთი – ავტონომიურ ოლქად, ხოლო ლორე-ტაშირი, ალავერდ-ვრაცდაშტი და საინგილო მოძმე სომხეთსა და აზერბაიჯანს კუთვნილებად; რუს ბოლშევიკებთან თანაზიარმა „წითელმა“ ქართველებმა ის აღარ იკმარეს, რომ აჭარას ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსი არგუნეს, ხოლო დვალეთმა და ისტორიულმა ჯიქეთმა, რუსთაგან წართმეულმა, ჩაილულის წყალი დალიეს, ლაზიკაც, შავშეთი, ტაო-კლარჯეთი, იმერხევი, ნიგალისხევი იქით – „ორთუღიანი ფაშის სტომაქში“ აღმოჩნდა – შესაბამისად ხალხი და ქვეყანა „გარდაგულარძნდა“. ბეზლობამ და წითელმა ტერორმა, რეპრესიებმა წალეკა მთელი საქართველო და ნაღები ინტელიგენცია ზვარაკად

შეიწირა. მენშევიკების დროს დაარსებული თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ბოლშევიკურ მარწუხებში მოექცა, „წითლებმა“ ისიც კი იკადრეს, რომ მისი დამაარსებელი რექტორობიდან გადააყენეს და გააძევეს – უნივერსიტეტი ინსტიტუტად გადააკეთეს. აქ, კი რუსეთის ხელი ნაკლებ ერია, არც მხოლოდ სტალინი და ბერია იყვნენ დამნაშავენი, არც მხოლოდ რუსული იმპერია, მთავარი დამნაშავე აღმოჩნდა ევროპაში დაბადებული და თავჩენილი ბაცილა, „წითელი ჭირი“ – მმართველობითი-იდეური სისტემა. სამწუხაროდ, ეს სისტემა, სახე და ფორმაცვლილი, ახალ, დამოუკიდებელ საქართველოში დღესაც ძლიერია.

ასე რომ, რაც მეფის მთავრობამ დააკლო ქართულ ენას, ის ბოლშევიკურმა რუსეთმა შეუსრულა [6. 144]. ქართველ ბოლშევიკთა ერთ-ერთი ლიდერი ფ. მახარაძე წერდა: „ჩვენთვის ნაციონალური კულტურა არ არსებობს, ნაციონალურ ენას მხოლოდ პირობითი და წარმავალი მნიშვნელობა აქვს, რაც შეეხება ნაციონალურ ზნე-ჩვეულებებს, ესენი მხოლოდ კონსერვატორობის გამომხატველია“ [17]. ერთ-ერთი „გამოუსწორებელი“ ლენინელის, ეროვნებით სომეხის, სტეფანე შაუმიანის თქმით, მთავარია ის, რაც უნდა ასწავლონ ბავშვებს და არა ის, თუ რა ენაზე იქნება სწავლა-განათლება“. ბეცმა ქართველმა ბოლშევიკებმა რსდმპ (ზ) კავკასიის სამხარეო (საოლქო) ყრილობაზე 1917 წლის ოქტომბერში მოითხოვეს „სახელმწიფო ენის პრივილეგიის მოსპობა და ენათა თანასწორუფლებიანობა ყველა სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებაში“ [18. 329]. 1921 წლიდანვე ამ თეზის საფუძველ-



ზე ქართულ ენას უპირველესად რუსული ენა დაუპირისპირდა. რუსული ენა გაბატონებულ იქნა საბჭოთა აპარატის სისტემაში – გაერთიანებულ სახალხო კომისარიატებში მთელი საქმის წარმოება და ადგილობრივებთან ურთიერთობა რუსულ ენაზე იყო. მეტიც: არაიშვიათად ზოგ დაწესებულებაში შტატების შემცირების მომიზეზებით თანამდებობიდან ათავისუფლებდნენ მხოლოდ ქართველს, მოკლე დროის განმავლობაში კი გაუქმებულ თანამდებობას კვალავ აღადგენდნენ და დანიშნავდნენ რუსს ან არაქართველს, რომელმაც ქართული ენა საერთოდ არ იცოდა, თუმცა იმავდროულად, პარალელურად, თითქოს „გასახარი“ ამბავიც ხდებოდა: 1921 წელს საქართველოს რევკომმა რამდენჯერმე გამოსცა ბრძანება საქართველოს რესპუბლიკაში სახელმწიფო ენად ქართულის გამოცხადების შესახებ. ბრძანება ბრძანებაა, ცხადია, რომლის მიხედვით სახელმწიფო და საზოგადოებრივი დაწესებულებებს, რესპუბლიკის მასშტაბით, მტკიცედ უნდა შეესრულებინათ მითითება, მაგრამ თბილისში მოქმედი პროვოკატორული ჯგუფის თუ ჯგუფების მიერ დედაქალაქის დუქნებზე, მოედნებზე, მაღაზიებში და სხვაგან ქართულ წარწერებს შლიდნენ. სამწუხაროდ, ჩვენ არ ვიცით, ვინმეს თუ წაასწრეს დანაშაულის ადგილას და როგორ დასაჯეს.

ვფიქრობთ, დამნაშავენი თავად მეპატრონეები ან ობიექტის მოსამსახურეები იყვნენ, რადგან იმ დროს თბილისში მაღაზიის მფლობელთა უმრავლესობა წარმოშობით არაქართველი იყო [19]. მართალია, 1922 წელს ქართული ენა საქართველოს

კონსტიტუციის მიერ სახელმწიფო ენად გამოცხადდა, მაგრამ ეს საქმეს ვერ შევლოდა. აღსანიშნავია, რომ საქართველოს უახლეს ისტორიას შემოენახა პირველი ქართულენოვანი ოქმი, 1922 წლის 11 სექტემბრით დათარიღებული [20. 86]. საქართველოს უღირსმა და უძღვრებმა შვილმა, თავგამოდებულმა ბოლშევიკმა ს. ორჯონიკიძემ საქართველოს კომუნისტური პარტიის I ყრილობაზე ბრძანა: „ქართველები საქართველოში – ესაა ველიკორუსები რუსეთში. ესაა „მწყობელი“ ერი – მას არ შეუძლია ილაპარაკოს იმაზე, რომ მას ჩაგრავენ, რადგან ის არის გაბატონებული ერი საქართველოში“ [21. 192]. იმავე გადაგვარებულ და ჭკუნადრძობ ქართველ „რკინის სახკომს“ აჭარლები ქართველებისგან ცალკე ეროვნულ უმცირესებად ესახებოდა. უზადრუკი ს. ორჯონიკიძე წერდა: „ჩვენ სომხებს უნდა ვუთხრათ: თქვენ შეგიძლიათ ახალქალაქში აწარმოთ საქმეები სომხურ ენაზე. თუ ქართველებს სურთ აწარმოონ თავიანთი საქმეები ქართულ ენაზე, მაშინ სომხებსაც და აფხაზებსაც მიეცით ნება აწარმოონ საქმეები თავიანთ მშობლიურ ენაზე“ [21. 193-194]. აი, ასე „ვიწროდ“ აზროვნებდნენ სახელმწიფოებრივად მაშინდელი „უსამშობლო“ და „უმშობლიურო ენის მქონე“ ქართველები.

**შენიშვნა 3:** მეოცე საუკუნის მიწურულს 80-იან წლებში საქართველოს მთავრობას ასეთ ოდიოზურ ფიგურად მოეწინააღმდეგეთი კომპარტიული მუშაკი, მათ შორის „მხცოვანი და ჭადარა“ ლიდერი, კომპარტიის დამსახურებული მუშაკი პავლე გილაშვილი. მან ერთ-ერთი ქართველის (ქვემო ქართლში მცხოვრები) შეკითხვაზე, შვილს სად ვას-

წავლო, სოფელში ქართული სკოლა არა გვაქვსო, „ბრძენკაცმა“ ბოლშევიკმა თუ მგზნებარე კომუნისტმა რიგით ქართველს, ქვემო ქართლიდან, ასეთი პასუხი გასცა: „ადექი და შენც შენი შვილი აზერბაიჯანულ სკოლაში შეიყვანეო“. „აი, ასეთი გვყავდნენ კომუნისტები“.

ვინმე გადაგვარებული ქართველი თ. ლლონტი წერდა: „რუსული ენა იყო საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთი დიდი წყარო. ის იყო საქართველოს სიმდიდრის ერთი დიდი საშუალებათაგანი... ქართული ენის გამაგრება მხოლოდ რუსული ენით შეიძლება... ის რევოლუციის ენაა, ის ჩვენი ინტელიგენციის არსებობის ენაა, ჩვენი მარჩენალი ენაა, ჩვენი გაზრდის იარაღია“ [22]. „რუსულის ნოსტალგია მოძალეული“ ასეთი რენეგატი „რუსეთუმე“ ორჯონიკიძეები, ლლონტები მაშინ მრავლად იყვნენ, სამწუხაროდ, კიდევ უფრო მეტია ახლაც... (თითქოს ქართული კულტურა ახლაც რუსულით იკვებება [აქ თავს შევიკავებთ და კომენტარების თავმჯდომარეს არ დავასახელებთ, გამგები ისედაც გაიგებს...]).

1923 წლის ივნისის საქართველოს კპ ცკ დადგენილება გვამცნობს: „...ურთიერთობის ენა ახალქალაქის მაზრაში სომხურია, ბორჩალოსა და ახალციხის მაზრებში – რუსული ან თურქული. ყველა სახალხო კომისარიატი, აგრეთვე ყველა დაწესებულება ვალდებულია გასცეს პასუხი იმ ენაზე, რომელზეც შემოსულია განცხადება“. ასეთი ლოგიკით თუ ვიმსჯელებთ, საქართველოში მცხოვრებ ვინმე ჩინელ ლაო ძის, მხოლოდ ჩინურის მცოდნეს, განცხადება ჩინურად უნდა დაეწერა და პასუხიც ჩი-

ნურ ენაზე უნდა მიეღო. აი, ეს გახლავთ ქართულ-ბოლშევიკური აზროვნება და ქვეყნის მართვა. სწორედ ამის გამოა, რომ დღემდე საქართველოში კომპაქტურად მცხოვრებმა არაქართული წარმომავლობის ეთნიკურმა უმცირესობამ პრაქტიკულად არ იცის ქართული სახელმწიფო ენა. ასეთი მმართველები გვყავს ახლაც. აქ, ამ შემთხვევაში, სისტემურად და რადიკალურად არაფერი შეცვლილა. ძველმა დოცლაპია ქართველებმა დოცლაპია ქართველი შთამომავლები შვეს. ასე რომ, მსგავსი მსგავსს შობს. ჩვენი თანამედროვე ერთი იმერელი გლეხის თქმისა არ იყოს, „როდის ყოფილა ფინიას შვილად ავჩარკა ყოლოდეს?“ – მართლაც აფორიზმის ბადალი ფრაზეოლოგიზმია.

იმავე ამიერკავკასიის 1923 წლის ივნისის დეკლარაციისა და 13 აგვისტოს დეკრეტით მაზრის დაწესებულებებში, სადაც მცხოვრებთა უმეტესობა არაქართული ეროვნებისა იყო, საქმე უნდა ეწარმოებინათ ამ უმრავლესობის ენაზე. სასამართლოშიც საქმიანი მიმოწერა ანალოგიური იყო: თუ მხარემ, რომელმაც არ იცოდა სახელმწიფო ენა ან ამა თუ იმ ადგილობრივ მცხოვრებთა უმრავლესობის ენა, უფლება ჰქონდა საჩივარი, განცხადება და ა. შ. დაეწერა მაზრის ეროვნულ უმცირესობათა ენაზე და პასუხიც ამავე ენაზე მოეთხოვა.

რას ვერჩით საქართველოში მცხოვრებ დღევანდელ ეთნიკურ უმცირესობებს? ან რას გვერჩიან ისინი ჩვენ? დეკრეტი ხომ ეროვნულ უმცირესობათა ენის უფლებებს იცავდა, ხოლო ჩვენსას (ქართულს) უგულვებელყოფდა? ვინ იყო ჩაგრული? ვინ იყო დამნაშავე? როგორც ჩანს, ქართველთა ბედოვლათობას საზღვარი არ

ჰქონდა და არც ახლა აქვს. ახალი საქართველოს ამშენებელი (საქართველოს ისტორიას 2003 წლიდან რომ იწყებდა) საქართველოს ყავლგასული პრეზიდენტი მ. სააკაშვილი და მისი ნაცბანდა, ნინოწმინდა-ახალციხე-ვალე-ახალქალაქისა და მარნეულ-ბოლნის-დმანის-გარდაბნის სომხურ და აზერბაიჯანულ მოსახლეობას ამა თუ იმ არჩევნებისას საარჩევნო ბიულეტენს თავიანთ ენაზე რომ სთავაზობდა და ახლაც სთავაზობენ, რამე შეცვალა? ეს არის „ნაციონალური მოძრაობა“? ან კოპაბიტაციურად აცრილი დღევანდელი კოალიცია „ქართული ოცნება“? ერთი დიდი ქართველი პოეტის ლექსის პერიფრაზით რომ ვთქვათ:

**„ვინც ეწვევა საქართველოს  
საოცნებო სერებს,  
ქართული რომ არ იცოდეს,  
მაინც დაიმღერებს“.  
რად გვინდა ქართული?!**

ასეთი ერი, მთავრობა და პარტია არა მარტო „ნატომი“ შევა, მალე „ნატოსაც“ ჩამოიტოვებს და აზროვნებითა და ქვეყნის მართვით „ჩრდილოელ კატოსაც“ ფეხქვეშ მოიყოლებს. „აი, ასეთი მწამს კომუნისტი“... ქვეყნის მართვისა და კომუნისტობისა ან დემოკრატიისა „ყველა როდი ვართ ღირსი“...

ჩვენ, ამდენხანს, გვეგონა, რომ საქართველოში საქმის წარმოება მხოლოდ ორენოვანი \_ რუსული და ქართული იყო, ჩვენ მიერ ამ საკითხის ჩაღრმავებისა და შესწავლის შემდეგ, როგორც გაირკვა, რას გვთავაზობდნენ ბოლშევიკები? იმდროისათვის, საქართველოს ეროვნული და ეთნიკური მოსახლეობის მიხედვით, საქმიანი კომუნიკაცია მინიმუმ 16 ენაზე მაინც უნდა ყოფილიყო, მათ შორის

გერმანულ ენაზეც კი (ქართლში არსებული მაშინდელი სამი გერმანული სოფლის მიხედვით).

მაშ, რას ვერჩით აზროვნებით ბოლშევიკების შთამომავალსა და რამდენიმე წლის წინანდელ „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრს“ ფილოსოფოს გაია ნოდისა? მისი ლოგიკით, რად გვინდა ქართული ენა მისადებ გამოცდებზე თუ იგი არაქართველმა \_ სომეხმა და აზერბაიჯანელმა არ იცის? დაე, არც ქართველმა იცოდეს და გამოცდა არ ჩააბაროსო!. აი, „რკინის“ ლოგიკა! ლოგიკაც ამას ჰქვია!. ყოჩად, ქართული გენო, ქართველი ფილოსოფოსის აღმზრდელი პროფესორებო და თავად პროფესორო \_ „კავკასიის მშვიდობის, დემოკრატიისა და მშვიდობის ინსტიტუტის უცვლელი დირექტორო“ \_ ახალი კადრების სამჭედლოვ!!

ქართველიეროვნულად გონება-დაჩლუნგებული და თვალზე ბინდგადაკრული ზოგი პროფესორი უნივერსიტეტებში თუ ასატანია, სამაგიეროდ მინისტრის პოსტზე და სკამზე ყოფნისას \_ სამინისტროდან სკამიანად გასატანი!. გაიტანეს კიდეც. მან ერთი წელიც ვერ გაძლო, თავისი რწმუნებული სამინისტროს „სასკოლო ბურთების გაიმასქნებისას“ სამინისტროს მაფიაშიც ისე ამოყო თავი, დოკუმენტსაც მინისტრის რანგში ისე მოაწერა ხელი, რომ „ფულოსოფიისაგან“ შორს მდგარმა, ვერც კი გაიგო, რა ხდებოდა მის თავს, მის ირგვლივ.

მართალია, „ეროვნული უმცირესობების ენების თანასწარუფლებიანობა იმ ენასთან, რომელიც სახელმწიფო ენაა, ერების პოლიტიკურ თანასწორუფლებიანობასაც გამოირიცხავს“ [6. 150]. მაგრამ მიუხედავად

ამ მტკიცე არგუმენტისა და პოსტულატისა, საქართველოში ცალკეულ რაიონსა თუ, ძველი ტერმინოლოგიით, მაზრაში მცხოვრებ მცირე ერებს გაუჩნდათ სინდრომი მათ მიერ დასახლებული ქართული ტერიტორიების მშობლიურად მიჩნევისა და დასაკუთრებისა. ვფიქრობთ, დღეს, საქართველოში არსებული პოლიტიკური ვითარება და ეროვნული უმცირესობების ერთი ნაწილის წარმომადგენელთა „დავღავი“ ავტონომიის (დამოუკიდებლობის, ცალკე განდგომა-გასვლის...) მოთხოვნით (ოსები, სომხები, აფხაზები...), სწორედ რუსთაგან კავკასიაში მოსვლა-დაპყრობითა და მათი ენობრივი რუსიფიკატორული პოლიტიკით ხელშეწყობით არის პროვოცირებული.

ერთგვარ ბედნიერ და სანიმუშო გამონაკლისად შეიძლება დავასახელოთ საქართველოში მცხოვრები ერთადერთი და უძველესი ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი ებრაელობა, რომელსაც ჩვენს სამშობლოში, დღიდან მოსვლისა, 25 საუკუნის წინ), ქართველებისათვის და საქართველოს ნებისმიერი მთავრობისათვის არც მიწა მოუთხოვიათ და არც საკუთარი ავტონომია. ეს არის უნიკალური შემთხვევა მთელს მსოფლიოში. ამიტომ ეს ფაქტი დიდად დასაფასებელია და თითოთი საჩვენებელი რეალიაა მსოფლიო მასშტაბით ქართველ და ებრაელთა თანამეგობრობისა და მრავალსაუკუნოვანი თანაცხოვრებისა („პალეოკოჰაბიტაციური“ ყოფისა).

მეოცე საუკუნის 90-იან წლებამდე რუსულ ცენტრალიზებულ მმართველობასა და დიქტანტს გასაბჭოებულ საქართველოში ბოლო არ უჩანდა. ქართული ენა და ქართული

სახელმწიფოებრობა, საბჭოთა რუსეთის მარწუხებში მოქცეული, ყოველთვის ჩაგვრა-შევიწროებას განიცდიდა, რაშიც გამორჩეული წვლილი მიუძღვოდათ საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის პარტიულ კომუნისტურ ნომენკლატურასაც, მათ წაყრუებულ და მამებლურ-კარიერისტულ პოლიტიკას კრემლისადმი.

აღსანიშნავია, რომ მემარცხენე სოციალ-ფედერალისტთა გაზეთი „ტრიბუნა“ სისტემატურად აშუქებდა ქართული ენისა და ქართული ეთნიკური ელემენტის შევიწროების ფაქტებს, რასაც თურმე სომხური გაზეთი „კარმირ ასტლი“ გაუბოროტებია [23].

რუსულად საქმის წარმოება თანდათან ფეხს იკიდებდა საქართველოს სხვა ქალაქებშიც. მაგ., ფოთში, სადაც მოსახლეობის 99% ქართველები იყვნენ, ფუნქციონირებდა ჭიათურის მარგანეცის ექსპორტის სააქციო საზოგადოება „ჩემო“-ს განყოფილება. აქაც საქმის წარმოება რუსულად მიმდინარეობდა, იმავდროულად ყველა საპასუხიმსგებლო თანამდებობა არაქართველებს ეპყრათ, ანალოგიური ვითარება იყო სოხუმის სახალხო ბანკშიც [23].

ახალციხის მაზრაში კი ხელმძღვანელ თანამდებობას თურქულენოვან მოსახლეობას ანდობდნენ, საქმისწარმოება კი სხვადასხვა ეროვნულ ენაზე მიმდინარეობდა [24. 2]. მსგავსი სიტუაცია სუფევდა ზორჩალოს მაზრაშიც. აქაური, ადგილობრივი ხელმძღვანელობა საქმიან კომუნიკაციურ პროცესებში ქართული ენის დანერგვას ეწინააღმდეგებოდა – დიდ უკმაყოფილებას გამოთქვამდა, აქ არ ჰყავდათ არც ერთი ქართველი ანუ ქართული ენის რიგიანი მცოდნე,

ამიტომაც ადგილობრივნი მთავრობისაგან ყველა უწყებაში საქმიანი ურთიერთობის რუსულ ენაზე წარმართვას ითხოვდნენ.

აღსანიშნავი აქ ისიცაა, რომ ამ დროს, XX საუკუნის 20-იან წლებში, ახლად გასაბჭოებულ საქართველოში, მრავალ სახელმძღვანელო პოსტზე ეთნიკურ სომხებს აწინაურებდნენ. როგორც ცნობილია, 1924 წელს საქართველოს ცეკავშირში 217 თანამშრომელთაგან – 35, სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატში 50-მუშაკთაგან – 11, ხოლო იუსტიციის სახალხო კომისარიატში 268 თანამშრომელთაგან – 58 სომეხი ეროვნებისა იყო, 1925 წელს კი რესპუბლიკის სახელმწიფო დაწესებულებებში, სავაჭრო ორგანიზაციებსა და სასოფლო-სამეურნელო საწარმოებში 1254 კაცთაგან – 335 ეროვნებით სომეხი. მსგავს ვითარება იყო სხვადასხვა მაზრაში, ქალაქსა და რაიონში [25. 44-45]. ასეთ არათაბარ თანაფარდობებს იმდროინდელი სპეციალისტი-მკვლევრები საქართველოს კვ მოღვაწეობის პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპების დამკვიდრებით ხსნიდნენ და ამყობდნენ კიდევ. ასეთმა მიდგომებმა და ყალბად გაგებულმა ინტერნაციონალიზმმა, ძმურ ოჯახში „ერთა თანამეგობრობამ“ ქართულ ეროვნულ მეობას საფრთხე შეუქმნა. მათ შორის ავტონომიურ აჭარაშიც, სადაც ყველგან საპასუხისმგებლო თანამდებობაზე არაქართველი დაენიშნათ, რომელთაც საკომუნიკაციო დონეზეც კი არც ქართული ენა იცოდნენ, მით უმეტეს „ქართული საქმის“ კეთების არაფერი გაეგებოდათ და არც ასეთი სურვილი ჰქონდათ. თურმე ბათუმის საგანგებო კომისიის თავმჯდომარე

ვინმე ხრუცკი აშკარად იმასაც კი აცხადებდა, რომ „ახლა ისეთი კურსია აღებული, რომ საგანგებო კომისიიდან ყველა ქართველი შეიძლება დაითხოვონო“ [26. 179]. აი, ასე ქმნიდნენ საგანგებო კომისიებს ყოველგვარი ქართულის წინააღმდეგ და ასე იწყობდნენ საკუთარ კარიერას მტრად მოსული მოყვარენი და რენეგატი ქართველები, ასე უწყობდნენ ხელს „მძლე ძმურ კავშირში“ ყოფნის იდეით ეროვნული სულის ჩაგვრას და სახელმწიფო ქართული ენის ჩაკვლას.

საბჭოთა კავშირში, XX საუკუნის 70-80-90-იან წლებში, მხოლოდ სამ რესპუბლიკაში იყო სწავლება მშობლიურ ენაზე (საქართველო, სომხეთი, ბალტიისპირეთი), სხვაგან ყველგან „საბჭოთა ხალხი“ რუსულ სახელმწიფო ენაზე იღებდა საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო და საუმაღლესო განათლებას.

რა ხდება დღეს დამოუკიდებელ საქართველოში? წინ წავედით თუ „ქვე-ქვე“ მივდივართ?

სამწუხაროა, რომ ენობრივი სიტუაცია სუსტ, სამანმოშლილ ქვეყანაში სავალალოა: ჩვენი იურისდიქცია არ და ვერ ვრცელდება საქართველოს კონტროლირებად თუ უკონტროლო ქართულ ტერიტორიებზე (აფხაზეთი, ცხინვალის მხარე, წალკის, ახალქალაქის ვალეს, მარნეულის... რეგიონები). დღემდე განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ საქართველოში მცხოვრებ ბევრ არაქართველს, სკოლაში თუ სკოლის გარეთ, ვერ შეასწავლა ქართული სალაპარაკო ენა საკომუნიკაციო დონეზეც კი.

მეტეც: დღეს თუნდაც რიგითი ქართველი ქართულ სალიტერატურო ენას გასაოცარი მონდომებით რყენის,

ამახინჯებს, ბილწავს. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევიან ახალგაზრდები, რომლებიც მრავლად არიან საქართველოს პარლამენტსა და სამთავრობო სტრუქტურებში, პოლიტიკასა თუ არასამთავრობო ორგანიზაციებში, ჟურნალისტიკასა თუ იურისპრუდენციაში, ე. წ. „თოქ- და მუსიკალურ-გასართობ შოუებში“, მათი ჟარგონული მეტყველება სცენაზე თუ ეკრანზე, შინ თუ გარეთ – ქუჩაში, საზოგადოების, ქართული ენის აშკარად დეგრადირების, დეკულტურიზაციის მაჩვენებელია. ახლა ქართველობის დიდი ნაწილს, „ნუვორიშებს“, თავი მოაქვთ ასეთი მეტყველებით, „ძან“, „მადლობა მოვიხადე“-ს თქმით. თანამედროვე ქართველი იურისტების მიერ შედგენილი და ახლაც მოქმედი „სარჩევნო“ კოდექსიც, თავისი საგამოცდო ტესტებითურთ, თავს იწონებს ჩიქორთულით.

2004 წლიდან ქართული ენის სახელმწიფო კომისია გაუქმდა, განა არა, იმ სახით გასაუქმებელიც იყო, მაგრამ ახალი არ შექმნილა... განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ მისი შექმნა ქართული ენაზე ზეწოლად ჩათვალა. ამას თან დაერთო პროფესორთა და მეცნიერთა „კონკურირებადი კონკურსები“, ნამდვილ, ოპოზიციონერ მკვლევართა ჩამოშორება სამოღვაწეო ასპარეზიდან, „ჩარეცხილთა არმიის“ სრული

იგნორირება და ქვეყნის მმართველობის „თინეიჯერიზაცია“ და ა.შ.

ცალკე განხილვის ღირსია და არცთუხშირად მოსაწონი სასწავლო-სასკოლო სახელმძღვანელოების შექმნის ინოვაციური მიდგომა და სტილი (როცა სრულიად აღრეულია მწერლებისა და ნაწარმოებების ქრონოლოგიური თანამიმდევრობა... სტუდენტისა ან მოსწავლისათვის მწიფად წასაკითხი მწერლების ტექსტის შერჩევა-მიწოდება), გაუმართავი, არაბუნებრივი (ხელოვნური), მწიგნობრივ-ინტელექტუალური, სალიტერატურო ენით წერა, რომლის წაკითხვა, გააზრება-აღქმა როგორც სტუდენტს, ისე საშუალო სკოლის მოსწავლეს თუ მასწავლებელს ძალიან უჭირს. ამის შესახებ არაერთხელ აღუნიშნავთ და ხმა აუმაღლებიათ სპეციალისტებს, მათ შორის ჩვენც [27], [28. 17-18], [29. 31-34], [30. 206-207], [31. 21], [32. 81-82], [33]. როგორც იქნა, ამას მიხვდნენ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში და ამ ხარვეზის გამოსასწორებლად 2008 წელს ამ უწყებაში სტილისტის შტატიც კი შემოიღეს.

1801 წლიდან თბილისში მოსახლეობა დემოგრაფიული თვალსაზრისით საგრძნობლად შეიცვალა. შეიძლება ითქვას, რუსიფიკატორული კვალი აქაც თვალშისაცემია, თუმცა რუსების კავკასიაში დამკვიდრებამდე, თბილისის სომეხთა დიდ ნაწილს ეჭირა, აი, ეს ცხრილი:

ეროვნება	აბსოლუტური მონაცემები ათასობით			პროცენტობით ჯამთან		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		მამაკაცი	ქალი		მამაკაცი	ქალი
სულ	15,6	8,8	6,8	100,0	100,0	100,0
მათ შორის						
ქართველი	3,0	1,6	1,4	19,4	18,2	20,9
სომეხი	10,3	5,2	5,1	66,4	59,7	75,1
რუსი	1,9	1,8	0,1	12,1	20,1	1,4
თათარი, ბერძენი	0,4	0,2	0,2	2,1	2,0	2,6

**შენიშვნა: 4.** ქ. თბილისის მოსახლეობის 9,4 პროცენტი თავადაზნაურობა იყო;

**შენიშვნა: 5.** ქ. თბილისის მოსახლეობის რიცხოვნობა 1803 წლისათვის 16,0 ათასამდე (15, 6 ათასი) უნდა ყოფილიყო [34. 17].

კოალიცია „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის წელს ამომრჩეველთა დიდი ნაწილის მოთხოვნა იყო „სისტემა უნდა დაინგრეს;“, მაგრამ „კართაგენი არ დაინგრება“.

სამწუხაროდ, უნდა ითქვას, რომ დღევანდელმა რუსეთმა (ვლ. პუტინის, ს. ლავროვის, დ. მედვედევის და სხვ.) მათი წინაპრების დაწყებული საქმე დღეს ლამის რეალობად აქცია. აფხაზეთიდან განდევნილია ქართველობის უმეტესობა, იავარქმნილია ქართული სახელმწიფოებრიობის იურისდიქცია და სახელმწიფო საზღვრები, შეზღუდულია და დარღვეულია საქართველოს სუვერენიტეტი,

მეტეც: რუსებმა აფხაზეთის დამოუკიდებლობაც კი აღიარეს და რაოდენ დასანანია, რომ ზოგი ქართველი პოლიტიკოსი და დღევანდელი მთავრობის წარმომადგენელი ურცხვად, გაუაზრებლად თუ დაუფიქრებლად ამბობს (ამ ათიოდე წლის წინათაც აცხადებდა) – „მერე რა, ეს რა დიდი პრობლემაა, თუ აფხაზეთი, როგორც სახელმწიფო, ცალკე გავაო“. თუ რა „გავა“ აქვს ამ და ასეთ პოლიტიკას დღეს, ყველა კარგად ვხედავთ და გვესმის. სამწუხაროა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ყოფილი მინისტრის (პროფ. გია ნოდია) ჩვენ მიერ ზემომოყვანილი გაუაზრებელი ზეპირი გამოხატულებაში, რომ „საქართველოში დღეს ქართული ყველამ კარგად არ იცის და ამიტომ ეროვნული მისაღები გამოცდებიდან ქართული ენა ამოვიღოთ“, რაც ნაწილობრივ ეს ასეც მოხდა. როცა ასეთი მინისტრი და მინისტრები ეყოლება განათლებასა და მეცნიერებას,

ადვილი წარმოსადგენია, ქვეყანაში განათლებისა და მეცნიერების რა და როგორი დონე იქნება.

ქართველი რენეგატი პოლიტიკოსებისა და პილიტიკანების წყალობით, საქართველოში ეროვნულ უმცირესობას დღემდე ქართული სახელმწიფო ენა კი არ შეასწავლეს, საკომუნიკაციო დონეზეც კი, პირიქით, „ზოგად უნარებში“ გამოცდა თავიანთ მშობლიურ ენაზე დაუწესეს (სომხურად, აზერბაიჯანულად), მერე კი საქართველოს ყავლასული პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის წყალობით და დიდი მონდომებით საპრეზიდენტო-საგამანათლებლო პროგრამა „ქართული ენა“ შექმნეს. ასე რომ, ეს პრობლემა თავიდან მოიშორეს და ტვირთად უმაღლეს სასწავლებლებს აჰკიდეს – ასე გადაულოცეს: „თქვენ უფრო დიდი თავი გაქვთ და თქვენი მონდომებითა და ხარჯით თქვენვე უპატრონეთო“. სამწუხაროა, ისიც, რომ საქართველო, როგორც ახალფეხადგმული სახელმწიფო, ვერ აცნობიერებს იმ ფაქტს და რეალობას, რომ ის დამოუკიდებელი სახელმწიფოა და არა კოლონია ან დომინიონი. საბჭოთა კავშირის დაშლისთანავე, პირველსავე წელს, ესტონელებმა ესტონეთში მცხოვრებთ რუსებსა და სხვა ერის წარმომადგენლებს, სახელმწიფო ენა – ესტონური ერთ წელიწადში შეასწავლეს, ხოლო ჩვენ დღემდე ე. წ. ეთნიკური უმცირესობებისათვის ქართული, როგორც სახელმწიფო ენა, ვერ გვისწავლებია. ამ მხრივ ქართველთა დოჟალაპიობას საზღვარი არა აქვს. როდემდე გაგრძელდება ასე, არავინ იცის. პოლიტიკური წაჯექ-უკუჯექობების ფონზე ქართული ენა საკუთარ სამშობლოში კარგავს თავის

სტატუსს. 2012 წლის 1 ოქტომბრიდან, კოალიცია „ქართული ოცნების“ მოსვლისთანავე აყაყანდნენ გარედან და შიგნიდან, ატყდა გნიასი – წამოიწყეს ახალი კამპანია მესხეთ-ჯავახეთში რეგიონული ენის შექმნის შესახებ – და ეს რეგიონული ენა სომხური უნდა იყოს და არა ქართული. აი, თურმე, საქართველოში ჯერჯერობით 200 მეჩეთის აშენება ყოფილა „ნაციონალური და ქართული ოცნება“, აი, ამისთვის ვიბრძოდით, აი, ამისთვის გვინდოდა დამოუკიდებლობა, „9 და 14 აპრილები“... ასე რომ, ქართველთა გადაგვარებას საზღვარი არა აქვს, დღესაც ქართულ ენას და სახელმწიფოს აისის ნაცვლად დაისი უდგას, რა მოხდება გაისად არავინ იცის. დღეს სპეციალისტებს ხმა არ ამოუღებათ – მათ არავინ არაფერს ეკითხება. ვის მივმართოთ, როცა „რუსთაველი მკვდარია?!“ ან როგორც მეორე ქართველი პოეტი ამბობს: „ღმერთო, სად არის აქ სამართალი?“

ამრიგად, ზემოთქმულიდან ის დასკვნა გამომდინარეობს, რომ ქართული ენის მთავარი მტერი დღესაც თავად ქართველია, უფრო სწორად ქართული სახელმწიფო. სწორედ დემოკრატიული საქართველო მ. სააკაშვილის ხელმძღვანელობით ერეკებოდა ქართული საჯარო სკოლებიდან ადგილობრივ კადრებს, ქართული და უცხოური ენების პედაგოგებს და მათ ნაცვლად გადამთიელ არაპროფესიონალ ინგლისურის მცოდნე, ხშირ შემთხვევაში უდიპლომო „სპეციალისტებს“ იწვევდა და ასაქმებდა. ზოგმა ისე „მოისაქმა“, რომ თავისი „ფლეტჩერული“ სექსუალური გადახრით, სასამართლოში ჩივილით თავი ყველას გაგვამახსოვრა. მეტიც: ქართული „ნაციონალური სახელმ-



წიფო“ ქართულის, როგორც სახელმწიფო ენის, ჩანაცვლებას ინგლისურით ლამობდა. აი, ასეთ დემოკრატიას გვთავაზობდნენ ნაციონალები, რომელთა საქმის განმგრძობად დღეს კოალიცია „ქართული ოცნების“ მესვეურები, წესით და რიგით, არ უნდა მოგვევლინონ.

**შენიშვნა 6:** ქართველთა ბედოვლათობაზე ისიც მეტყველებს, რომ ცხუმს ანუ, დამახინჯებული თურქულენოვანი წარმოთქმით, ახლანდელ სოხუმს // სუხუმს ძველი და ნამდვილი სახელიც კი ვერ დავუბრუნეთ, ისე დავკარგეთ აფხაზეთი. აი, ვინა ვართ, რანი ვართ და საით მივექანებით.

ხელისუფლებაში მოსულმა კოალიცია „ქართულმა ოცნებამ“ რიგით მესამე არჩევნები გამართა (საპარლამენტო – 2012 წ., საპრეზიდენტო – 2013 წ., თვითმმართველობისა – 2014 წელს), კომპაქტურად დასახლებულ ე.წ. ეროვნული უმცირესობის რეგიონებში საარჩევნო ბიულეტენები ქართულ, ინგლისურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე დაიბეჭდა. სამწუხაროდ, „თვითმმართველობის ადგილობრივი არჩევნები“ კიდევ რა სიურპრიზებს გვპირდება ახლო მომავალში, როცა საქართველოში ე.წ. „თურქი მესხების“ ჩამოსახლება იგეგმება, არავინ იცის – ჯერ კიდევ ბევრს არა აქვს გასიგრძეგანებული, მათ შორის პოლიტიკოსებსაც, პარლამენტარებს, მთავრობას, არსამთავრობოებს. ეს წერილი – ბოლო „ორსაუკუნოვანი ბედი და უბედობა მრავალსაუკუნოვანი ქართული სახელმწიფო ენისა და საქართველოშიმცხოვრები ე.წ. ეროვნული (resp. ეთნიკური) უმცირესობა“

საგანგებოდ სწორედ მათთვის დაიწერა იმ მიზნით, რომ დღეიდან მაინც იქნებ ქართული ხორბალი დავთესოთ და ღვარძლი არ გავაჯეჯილოთ.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორეს 2013 წლის 4 დეკემბრის გაფრთხილება – „თვითმმართველობის გამიზნულობა“ – „საქართველოს სრული დაშლა და დაქუცმაცების შესახებ“ – ყველამ ყურად უნდა ვიღოთ. პატრიარქს და სპეციალისტებს უნდა მოვუსმინოთ, თორემ მერე გვიან იქნება „თითზე კბენანი“ – „ქართულ კრიზისსა და თვითგანადგურების ქართულ ასპექტებს“ კიდევ უფრო ნუ გავადრმავებთ [34. 36-40].

ჩვენი ვარაუდით, თუ საქართველოში ქართულ სახელმწიფო ენას მასობრივად, რეფორმის დონეზე, ნებისმიერი ეროვნების საქართველოს მოქალაქეს არ შევასწავლით, თვითმმართველობის არჩევნების გამართვის შემდეგ, ახლო მომავალში, შეიძლება განმეორდეს ცარისტულ-ბოლშევიკური საშიშროება – საქართველოში სახელმწიფო ენის სტატუსით რეგიონული ენების ფუნქციონირება ქართული ენის ნაცვლად. ნუ ვიქნებით „ნეობოლშევიკები“.

ნუ მოვკლავთ საქართველოს სულს.

**მინაწერი:** ჩემი ექვები გამართლდა. 2015 წლის 20 იანვარს საქართველოს ტელეარხებმა გვამცნეს ერთი შემთხვევა: სოფელ კაბალში ადგილობრივმა აზერბაიჯანულმა მოსახლეობამ ახლადდანიშნული საჯარო სკოლის დირექტორის გადაყენება მოითხოვა იმის გამო, რომ ქალბატონმა დირექტორმა აზერბაიჯანული ენა არ იცოდა.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, სასკოლო გამოცემა, თბ., 2011.
2. გრ. რობაქიძე, ქალღმერთის ძახილი (რომანი), გერმანულიდან თარგმნა დ. ფანჯიკიძემ, თბ., 2012.
3. ბ. ცხადაძე, ბოლო სადღეგრძელო ჩვენშიპოპულარული სიმღერის ხმა-ზე „აყვა-ვე-ბუ-ლა“... დილე-ტანტი-ზმიიი.... გაზ. „მწერლის გაზეთი“, მარტი – აპრილი, თბ., 2013.
4. მ. გეგეშიძე, ეთნიკური კულტურა და ტრადიციები, თბ., 1978.
5. ი. იედლიჩკა, ჩეხური ენა. ჩეხური ენის სახელმძღვანელო ქართველ-თათვის, გიორგი ახვლედიანისა და ელენე ერისთავის რედაქციით. თბ., 1972.
6. ა. სონდლუაშვილი, ქართული ენა და ეროვნული უმცირესობა, პროფ. ზ. გამეზარდაშვილის რედაქციით. თბ., 2013.
7. ა. შანიძე, სინური მრავალთავი 864 წლისა. თბ., 1959.
8. ბ. ცხადაძე, ე. ცხადაძე, ბერძნულ-ქართული ლექსიკური შეხვედრები. I. ერთი საერთაშორისო სიტყვა-ტერმინის („ტრაგედია“) ეტიმოლოგიისათვის. ჟ. „ხელისუფლება და საზოგადოება“ (თეორია, ისტორია, პრაქტიკა), № 1 (9), 2009.
9. გ. გასვიანი, საქართველო – რუსეთის ურთიერთობა, „ანალები“, 2005, №1.
10. შ. თეთვაძე, ანტიქართული დემოგრაფიული პროგრამა მოქმედებაში. ჟ. „სასისტორიო ვერტიკალები“, 2002, №3.
11. ი. უთურაშვილი, თეკლა ბაგრატიონი, თბ., 1991.
12. ა. წერეთელი, საუბარი ინგლისელ ქალთან. იხ. ა. წერეთელი, რჩეული ნაწარმოებები ხუთ ტომად, ტ. V. პუბლიცისტური და კრიტიკული წერილები, თბ., 1990.
13. ი. ჩხაიძე, ნაციონალიზმის მოდერნისტული თეორია და ქართული პროექტი („თერგდალეულები“), თბ., 2009.
14. ვ. გურული, ო. თუშურაშვილი, რუსეთის კოლონიური პოლიტიკა აფხაზეთში (XIX საუკუნის დასასრული – XX საუკუნის დამდეგი). ჟ. „საარქივო მოამბე“, 2009.
15. ა. ჯაფარიძე, „აფხაზეთი [ქართველთა „გააფხაზება“], თბ., 2007.
16. ბ. ცხადაძე, აფხაზეთი და ქართველთა „გააფხაზება“ მეუფე-მეცნიერის თვალსაწიერით...(რეცენზია მიტროპოლიტ ანანია ჯაფარიძის წიგნზე - „აფხაზეთი [ქართველთა „გააფხაზება“], თბ., 2007). იხ. კრებ.: „ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები“, თბ., 1(12), 2013.
17. ფ. მახარაძე, თხზულებათა კრებული, ტ. IV. თბ., [?].
18. უ. სიდამონიძე, ეროვნული საკითხის ისტორიოგრაფიიდან (1917 წელი), კრებ.: „ქართული ისტორიოგრაფია“, თბ., 1968.
19. გაზ. „მუშა“, 1923, 11 აგვისტო.

20. ა. დაუშვილი, საეროვნებათმორისო ურთიერთობა საქართველოში 1921-1985 წწ. [სადოქტორო დისერტაცია], თბ., 1999.
21. გ. ორჯონიკიძე, ამიერკავკასიის შესახებ, თბ., 1986.
22. თ. ღლონტი, რუსული ენა და ჩვენი ინტელიგენციის ექსპორტი, გაზ. „კომუნისტი“, 1926, 23 ივნისი.
23. გაზ. „ტრიბუნა“, 1923, 9 მაისი.
24. გაზ. „კომუნისტი“, 1924, 6 აპრილი.
25. შ. ნოზაძე, საქართველოს კპ მოღვაწეობა პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპების დამკვიდრებისათვის, თბ., 1987.
26. ლ. თოიძე, ინტერვენციაც, ოკუპაციაც, ძალდატანებითი გასაბჭოებაც, ფაქტობრივი ანექსიაც, თბ., 1991.
27. ე. ცხადაძე, ბ. ცხადაძე, ენობრივი სიტუაცია და ლიტერატურული პროცესები XXI საუკუნის დასაწყისის საქართველოში თანამედროვე გლობალიზაციის შუქზე: სტუ საერთაშორისო კონფერენცია „მსოფლიო და კავკასია“, თბ., 2009.
28. ე. ცხადაძე, ბ. ცხადაძე, სახელმწიფო ენა, სალიტერატურო-სამწერლობო ენა და ენობრივი დეკულტურიზაცია. სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე წაკითხულ მოხსენებათა კრებული თემაზე – „ქართული ენის როლი საქართველოს სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის საქმეში“. თბ., 2011.
29. ე. ცხადაძე, ბ. ცხადაძე, სახელმწიფო ენა, სალიტერატურო-სამწერლობო ენა და ენობრივი დეკულტურიზაცია. ჟურნალი „სვეტიცხოველი“, თბ., 2011, №2.
30. ბ. ცხადაძე, ი. ცხორაგაული, მშობლიური (ქართული) ენა და გლობალიზაცია. სტუ საერთაშორისო კონფერენცია „მსოფლიო და კავკასია“ პროგრამა და მოხსენებათა კრებული. თბილისი, 2011.
31. ბ. ცხადაძე, ენობრივი დეკულტურიზაციის ტყვეობაში. სალიტერატურო-სამეცნიერო ჟურნალი „პარალელი“. №1, თბ., 2011.
32. ე. ცხადაძე, ბ. ცხადაძე, კულტურული ენიდან ენობრივი დეკულტურიზაციისაკენ? სტუ-ს შრომები (ელექტრონული ჟურნალი), თბ., 2010.
33. შ. კაკურია, ქ. თბილისის მოსახლეობა 1803-1970 წწ., (სტატისტიკურ-ეკონომიკური ნარკვევი). თბ., 1979.
34. ბ. ცხადაძე, ზ. ცხადაძე, ე. ყუფუნია-ცხადაძე, ქართულ კრიზისი ანუ თვითგანადგურების ქართული ასპექტები“. ჟ. „სოციალური ეკონომიკა (21-ე საუკუნის პრობლემები)“, თბ., 2013, №6.
35. ბ. ცხადაძე, ვ. დათაშვილი, ენობრივი და საქმიანი კომუნიკაციის გასაჭირი. ჟ. სოციალური ეკონომიკა (XXI საუკუნის პრობლემები). თბ., 2014. №3.





## *badri cxadaZe*

### მეტალურგიიდან ქართველოლოგიამდე (პროფ. რაულ გვეტაძე – 80)

მეცნიერება, თითოეული სამეცნიერო დარგი, ჭეშმარიტებისაკენ მიმავალი გზაა, მეცნიერი კი ჭეშმარიტების დადგენის მსახური.

ჭეშმარიტად!

ალბათ, ორიგინალური არ ვიქნები, თუ ვიტყვი, რომ საქართველოს ისტორიის კულტურული წიაღი დღემდე ბევრ საიდუმლოს იმალავს.

მეცნიერები, განსაკუთრებით არქეოლოგები და პალეოგრაფები ჯერ კიდევ ვალში არიან ამ „საიდუმლოს“ შესაცნობად. წარსულის არტეფაქტების საიდუმლოების გასაღების საპოვნელად მსოფლიოს მასშტაბით არაერთი ჭეშმარიტების მაძიებელი, მკვლევარი თუ სპეციალისტი ახსოვს. მათი რიგი და ოდენობა არათუ კლებულობს, არამედ სამყაროს განვითარებასთან ერთად იზრდება და ფართოვდება. ასეთთა რიცხვში ქართველ მეცნიერებსაც საპატიო ნიშა აქვთ მიჩენილი.

ბიბლიური ფრაზეოლოგიზმი „ეძიებდე და ჰპოვებდე“ მრავალ ცივილიზებურ ერს ახლაც ასაზრდოვებს და ამშვენებს (მაგ., გერმალეზსაც „Gezucht und erfunden“ და სხვ.). არავინ იცის, ძირძველ და უძველეს ქართულ სიტყვა „ძიებას“ რამდენი საუკუნის ისტორი აქვს. მეცნიერები

და მეცნიერების დარგები, მიუხედავად არაერთი მცდელობისა, უძღურნი არიან ასეთი სიტყვების დაბადების ზუსტი თარიღის გასარკვევად.

მეცნიერული ძიების, ქართველური მეცნიერების, არქაული, „პალეომასალების“ მკვლევართა რიგში დგას მეცნიერი, მეტალურგი და ქართველოლოგი, სტუ-ს სრული პროფესორი რაულ გვეტაძე, რომელსაც 2014 წლის მაისში დაბადებიდან 80 წელი შეუსრულდა.

რა იცის საქართველოს ფართო საზოგადოებამ მისი მოღვაწეობის შესახებ? როგორი ზიგზაგებით განვლო მან წუთისოფლის 80-წლიანი გზა? აი, ამჯერად ჩვენი კვლევისა და შეფასების საგანი.

პროფესორი რაულ გვეტაძე დაიბადა 1934 წლის 27 მაისს, თბილისში. დედამ, ასათიანის გვარის ქალბატონმა და მამამ – გიორგიმ მას ბავშვობიდანვე ჩაუნერგეს სამშობლოს სიყვარული. მისი ფესვები, მშობლიური ძირები იმერეთის ერთ-ერთი კუთხიდან – ტყიბულიდანაა, სოფელ ციხიანბოთიდან. XIX საუკუნის 40-იანი წლების საარქივო მასალებით, სოფელ ციხიას გვეტაძეები საეკლესიო გლეხები ჩანან [იხ. ქართული გვარსახელები იმერეთში. XIX საუკუნის

40-იანი წლები (ცნობარი). შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა მერაბ კეზევაძემ. ქუთაისი, 2004].

ვინ იცის, ისტორიულ საქართველოში რამდენი ციხე-სიმაგრე, ციხია ან ციხია-ბოზოთი, ან ციხიაგორა გვექონდა. რ. გვეტაძე დღეს თუ ქართული მეცნიერების, ქართველური მეცნიერების ძირებს ეძებს და ყოველივე ქართულის ღირსებას, ღირებულებებს და ფასეულობებს იცავს, მისი უშუალო წინაპარი, როგორც მეციხოვნე, მიწათმოქმედი თუ მჭედელი..., მამულს იცავდა და სდარაჯობდა. ასე რომ, ბატონი რაულის გენეტიკურ-მემკვიდრეობითი ფესვები სოფელ ციხიაშია (ახლანდელი სახელწოდებით ციხიაბოზოთი!) გადგმული, რომლისგანაც აზრდილი გენეალოგიური ხის ერთ-ერთი ტოტი წინა საუკუნეში თბილისამდე წაზრდია – მისი „ტოტის-ტოტის-ტოტი“, როგორც პოეტი მუხრან მაჭავარიანი იტყვოდა, მეტალურგიასაც სწვდენია.

მეტალურგია საკუთრივ საქართველოს ისტორიის და ზოგადად მსოფლიო ცივილიზაციის ერთ-ერთი შემადგენელი ძირეული ნაწილია. საქართველოს ისტორია კი ბატონი რაულისთვის, ბავშვობიდანვე – სკოლის მერხიდანვე, ისტორიკოსს, თბილისის 21-ე საშუალო სკოლის დირექტორს შეუყვარებია. ეს ის საშუალო-ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა (რუსული) გახლავთ, რომელიც თბილისში, ამჟამად დავით აღმაშენებლის გამზირის 40 ნომერში მდებარეობს (ჩვენს და წინათაობამდელ თბილისელებში უფრო ცნობილი პოლიტიკური მოღვაწის, თბილისელ ევგენი პრიმაკოვის სახელთან ასოცირდება). ათი წლის წინ აქ განთავსებული იყო ექვთიმე თაყაიშვილის

სახელობის კულტურისა და ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტი. ცრურეფორმისტულმა ხედვამ ეს სასწავლო-საგანმანათლებლო უმაღლესი კერა ამ ათი წლის წინ გააუქმა და ამჟამად შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის მეორე კორპუსად იწოდება.

რ. გვეტაძე 1952-1957 წლებში საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის კედლებში განისწავლა. 1957 წელს დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მეტალურგიის ფაკულტეტი ინჟინერ-მეტალურგის სპეციალობით. 1966-1970 წწ. სწავლობდა კიევის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ასპირანტურაში (სპეციალობით „სამსხმელო წარმოება“). აქვე, უკრაინაში, უკრაინის მეცნიერებათა აკადემიის ჩამოსხმის პრობლემათა ინსტიტუტში დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია და 1970 წელს მიენიჭა ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი, ხოლო 1990 წელს გახდა ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი (სადოქტორო-სადისერტაციო თემა – „დინამომეტრიული ანალიზის საფუძველზე ჩამოსხმის ტექნოლოგიური პროცესების რეგულირება“ სპეციალობა – 05.16.04. სამსხმელო წარმოება, 1990 წ.).

მისი შრომითი საქმიანობა ქუთაისის საავტომობილო ქარხანაში დაიწყო (1957-1958 წწ.), შემდეგ მუშაობდა თბილისის ქარხანა „ცენტროლიტში“ (1958-1960 წწ.). 1960 წლიდან დღემდე სამეცნიერო მუშაობას ეწევა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში – თავდაპირველად იყო ასისტენტი და დოცენტი, ხოლო შემდეგომ დღემდე კათედრის პროფესორი, სამსხმელო წარმოების კა-

თედრის გამგე, ამჟამად კი სრული პროფესორია. აქვს 40-წლიანი პედაგოგიური გამოცდილება.

კოლეგები პროფ. რ. გვეტაძეს იცნობენ როგორც გამოცდილ სპეციალისტს სამსხმელო წარმოების ტექნოლოგიური პროცესების დაპროექტების სფეროში, ფლობს ქართულ, რუსულ და ფრანგულ ენებს. არის 100-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი. მისი ნაშრომები გამოქვეყნებულია ქართულ, რუსულ, ინგლისურ ენებზე. მონაწილეობს საერთაშორისო და ადგილობრივ სამეცნიერო კონფერენციებში. არის 7 მეცნიერებათა დოქტორისა და 2 მაგისტრანტის კონსულტანტი.

პროფ. რ. გვეტაძემ განსაკუთრებული წვლილი შეიტანა დეფორმირებული თუჯის სტრუქტურული თავისებურების მეცნიერულ შესწავლაში. არის არაერთი სამეცნიერო კრებული რედაქციის წევრი და თანარედაქტორი, არაერთი გამოგონებისა და პატენტის (სულ 12 გამოგონებისა და 5 მოწყობილობის) ავტორი. აღსანიშნავია, რომ მან 1996 წელს დააფუძნა შპს „აღმშენებელი-86“. მანვე რუსთავის ქარხანა „ხალიბში“ 8-ტონიანი თუჯის ბოყვების ჩამოსასხმელად შექმნა ახალი ტექნოლოგიის მოწყობილობები, რომელიც მიეწოდებოდა რუსთავის მეტალურგიულ კომბინატს. 1996-1999 წწ იწარმოა 2000 ტ. თუჯის სხმული. რაც შეეხება მკვლევრის თბილისის ქარხანა „ცენტროლიტში“ მოღვაწეობას, ბატონი რაულის ხელმძღვანელობით ათვისებულ იქნა ახალი ტექნოლოგიით მძიმე სხმულების (3-10 ტ.) ჩამოსხმა, რომელიც მიეწოდებოდა საპორტო ამწეების მწარმოებელ ცნობილ იტალიურ

ფირმა „ფანტუსს“ (სულ გაიგზავნა 20 კომპლექტი).

შ.პ.ს. „აღმშენებელი-86“ შეთავაზებით მუშაობის პერიოდში რ. გვეტაძის მიერ შემუშავდა პროგრამა „მადნეულის საბადოს სპილენძის შემცველი კონცენტრატების კომპლექსური გადამუშავების შესახებ“ („Программа комплексной переработки медных концентратов Маднеульского месторождения Грузии თბ., 1998“).

პროფ. რ. გვეტაძეს ნაყოფიერი მეცნიერული და პედაგოგიური მუშაობისათვის მიღებული აქვს სამთავრობო ჯილდო – ღირსების მედალი. არის რამდენიმე აკადემიის წევრი.

პროფ. რ. გვეტაძე, გარდა სტუ-ში პედაგოგიური მოღვაწეობისა, 1993-1986 წწ. კითხულობდა ლექციებს ალჟირის მსუბუქი მრეწველობის ნაციონალურ ინსტიტუტში (ქ. ბუმერდე).

პროფ. რ. გვეტაძეს თუჯის ტექნოლოგიური თვისებების რეგულირებაშიც სათანადო წვლილი მიუძღვის. მის ნაშრომში „დეფორმირებადი კონსტრუქციული თუჯის ტექნოლოგიური თვისებების რეგულირება“ წარმოჩენილია ახალი თვისებების მქონე კონსტრუქციული თუჯის ტექნოლოგია, რომელიც ტრაციციული თუჯისაგან განსხვავებით პლასტიკური დეფორმაციის უნარით ხასიათდება. ამ ნაშრომში სილიციუმის ნაწილობრივ ალუმინის შეცვლის, გრაფიტის მასფეროდიზებული ელემენტით მოდიფიკატორებისა და ბორის მიკროლეფირების ხარჯზე შემუშავებულია თუჯის სტრუქტურული მდგენლების ფორმირების ტექნოლოგია. როგორც გაირკვა, მაღალმტკიცე ალუმინიანი თუჯის საექსპლუატაციო თვისებების გასაუმჯობესებლად ეფექტური აღმოჩნდა იზოთერმული

დამუშავება, რაც უზრუნველყოფს მერტენსიტურ-ბეინიტური სტრუქტურის თუჯის მიღებას. ამავე ნაშრომში შესწავლილია ცხელი დეფორმაციის გავლენა მაღალმტკიცე ბორიანი თუჯის სტრუქტურაზე. ავტორმა კვლევა ჩაატარა 18მმ-იანი ექსტრუზიით მიღებულ ღეროებზე. დეფორმაციის ხარისხი შეადგენდა 75%. აღსანიშნავია, რომ მიკროსტრუქტურაზე ნათლად ჩანს დეფორმირებული გრაფიტის ჩანართები. ამ ნაშრომს მაღალმეცნიერული მნიშვნელობა აქვს – სამომავლოდ დიდი პერსპექტივა დაპრაქტიკული დანიშნულება უჩანს.

რ. გვეტაძის ნაშრომებიდან საგანგებოდ კიდევ ერთ ნაშრომს გამოვყოფთ. ეს გახლავთ სამეცნიერო სტატია „ძველქართული მხატვრული სხმულები“. ასეთი ნაშრომების შექმნით, საკითხის დაინტერესებით და პრობლემის ძიებით მეტალურგი-მეცნიერი რ. გვეტაძე კვლევა-ძიებამ ჰუმანიტარული დარგის – ქართველოლოგიის კარიბჭემდე მიიყვანა.

მკვლევრის ნაშრომის – „ძველქართული მხატვრული სხმულების“ შექმნის წინაპირობა პრეისტორიული და ისტორიული პერიოდის ცივილიზაცია გახლავთ, რომელშიც გამორჩეული ადგილი ლითონის აღმოჩენას და წარმოებას უჭირავს. ლითონის დამუშავებისა და მეტალ-მეტალურგიის ჩასახვა-განვითარების მხრივ კი წინააზიასა და კავკასიას, ცხადია, კოლხეთ-იბერია-საქართველოს, როგორც უძველეს სამთამადნო კერას, არამარტო ქართული წერილობითი წყაროები და მატერიალური კულტურის ძეგლები, არამედ უცხოური მატრიანეებიც ადასტურებენ.

ქართველურ ტომთა მეტალურგიულ ისტორიულ წარსულზე ვრცელ

ცნობებს გვაწვდიან ბერძენი ავტორები, რომლებიც სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთს მეტალურგთა სამჭედლოდ სახავენ. ისინი მეტალურგ ტომებად ასახელებენ ხალიბებს (ხალდეებს), მოსინიკებს, რომელთაგან პირველნი რკინის, ხოლო მეორენი – სპილენძის წარმოებით ყოფილან სახელგანთქმულნი. ეგეოსური აუზის ქვეყნების მეურნეობაში ხალიბური რკინის დიდ მნიშვნელობას და წვლილზე მეტყველებს თუნდაც ის, რომ ფოლადის ბერძნული სახელწოდება „ხალიფი“ ხალიბთა სატომო სახელიდან არის წარმოდგარი. ასე რომ, ეთნონიმები (ამ შემთხვევაში ხალიბი, გეორგია...) იმავედროულად ამხელენ ტომების საქმიანობის ინტელექტუალურ ძირებს.

ასე რომ, არქეოლოგიური მასალებითა და კლასიკური პერიოდის ავტორთა ცნობებით მტკიცდება, რომ პონტოს რეგიონი, სადაც ხალიბები, თუბალები, მოსინიკები სახლობდნენ, მსოფლიოს გაეცნო როგორც ფერადი ლითონებისა და რკინა-ფოლადის წარმოების სამშობლოდ. ჩვენნი აზრითვე, თვით ანტიკური ხანის არგონავტებისა და კოლხი მედეას მითის არსებობა, თუნდაც ოქროს საწყმისის დასახელებაც კმარა, რომ ძველი ქართველური ტომები არამარტო შავ მეტალურგიაში, არამედ ფერადი მეტალურგიის ნაკეთობათა დამზადებაშიც ფრიად გაწაფულნი ყოფილან.

და კიდევ: კავკასიური ეთნოგრაფიული მასალები ათვალსაჩინოებენ, რომ საქართველოს ტერიტორიაზე ჩვენმა წინაპრებმა შექმნეს ცულის სახეობა, რომელიც ძირითადად სამეურნეო და საბრძოლო იარაღს წარმოადგენდა. ხელოვნების ნიმუშად აღი-

არებული „კოლხური ცული“ – ორ-მაგი ცული ძალაუფლების სიმბოლოდ იყო მიჩნეული და იმავდროულად რიტუალური დანიშნულების საგანსაც წარმოადგენდა.

არქეოლოგმა გ. გობეჯიშვილმა მთიანი რაჭის მიდამოებში (სოფელ ლების ტერიტორია) მიაკვლია და შეისწავლა უძველესი სპილენძ-ბრინჯაოს წარმოების ძეგლები, რომლებიც ძირითადად გვიანი ბრინჯაოს ხანას – ადრე რკინის პერიოდს განეკუთვნება. აღსანიშნავია ისიც, რომ ბრილის სამაროვანშიც აღმოჩნდა მხატვრული სხმულების კოლექცია, რამაც პროფ. რ. გვეტაძის ყურადღება უმაღლესი მიიქცია. მან განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრო რიტუალური დანიშნულები ცულებს, ვერძის სკულპტურულ გამოსახულებებს. ბრილის ვერძის სკულპტურის თავისებურება ისიცაა, რომ თავს მარცხნიდან და მარჯვნიდან სპირალურად დაგრეხილი რქები ამშვენებს. პალეოლითის ეპოქიდან სპირალური მოტივები მზის სიმბოლოდ იყო მიჩნეული, რასაც პროფ. რ. გვეტაძე ბრილის ვერძის მხატვრულ სხმულებს ვერძის ზოდიაქოს ნიშნად აღიქვამს.

ღირსსაგნობია, რომ ჩვენი წინაპართა წინაპრების მეტად ნაყოფიერი კულტურული მოღვაწობა ძვ. წ. აღ. II-I ათასწლეულში იბერიის სახელმწიფოს შექმნით დაგვირგვინდა.

ასე რომ, ძველი კოლხეთი და იბერია იმდროინდელი მიღწევებით მსოფლიო ცივილიზაციის სათავეებთან მოიაზრება. იმ დროს, როდესაც ეს ცივილიზაცია იქმნებოდა, ცნობილი ასტრონომიული მოვლენის ე. წ. პრეცესიის გამო, გაზაფხულის ბუნიობა ანუ დღე-ღამის სწორების დღე 2150 წლის განმავლობაში ნელ-ნელა

ვერძის თანავარსკვლავედის ფარგლებში გადაადგილდებოდა და თევზის ზოდიაქოს უახლოვდებოდა. ამიტომ ქართულ-ქართველური კულტურის ამ ეტაპს, პროფ. რ. გვეტაძის მეცნიერული წინადადებით შეიძლება ვერძის ზოდიაქური ეპოქის კულტურა ეწოდოს.

„ვერძის ეპოქის ქართული კულტურის“ ცნება ახლებური, ეთნოგრაფიულად მნიშვნელოვანი ისტორიული ინფორმაციის შემცველია. რ. გვეტაძის ასეთი მიდგომით მისი მეცნიერული თვალსაწიერიდან დანახული და შემოთავაზებული ქართული კულტურული მემკვიდრეობის პერიოდიზაცია უთუოდ წინადადებული ნაბიჯია, რადგან იგი ასტრონომიულ-ქრონოლოგიურ მოვლენებსა და პოსტულატებზეა დაფუძნებული.

პროფ. რ. გვეტაძე აქტიურად თანამშრომლობს ჟურნალ „ქართველოლოგიაში“ (რედაქტორი, პროფ. მაგალი თოდუა). მან (თავის შვილთან, ბატონ დავით გვეტაძესთან ერთად) ამ ჟურნალში რეგულარულად გამოაქვეყნა 20-ზე მეტი ქართველოლოგიური ნაშრომი ქართულ და ინგლისურ ენებზე, ესენია:

1. ქართული ასომთავრული ანბანის რიცხვული სისტემის თავისებურება (2010. №4. გვ. 3);
2. ძველადმოსავლური ასტრონომიულ-ქრონოლოგიური მიღწევები სისტემატიზებული და ასახული წარ მართულ და ადრექრისტიანულ ქართულ წერილობით ძეგლებში (2010. №4. გვ. 12);
3. ასომთავრული ანბანის პალეოგრაფიული და პარადიგმატული ანალიზი (2010. №4. გვ. 31);



4. იბერიულ-ქართულიწელთაღრიცხვის ეროვნული სისტემა (2010. №4. გვ. 71);
  5. ისტორიული სახელწოდებების ასახვა ასომთავრულ ანბანურ სისტემაში (2010. №6);
  6. იბერიელთა საფლავის ქვათა ღაღადი (2010. №6. გვ. 96);
  7. ნეკრესის მზის ტაძარი და „იბერიული დიდი კვადრატი“ (2011. №1. გვ. 62);
  8. იბერიის მეფეთა სახელები და ზეობის წლების ასახვა ნეკრესის მზის ტაძარსა და შარაგასის სტელაზე (2011. №3. გვ. 28);
  9. მირიან მეფისა და ვახტანგ გორგასლის ეპოქის ამსახველი ბოლნისის სიონის წარწერები და მათი დათარიღების სისტემები (2011. №5. გვ. 56);
  10. ქრისტესშობით დათარიღებული უძველესი ქართული მოზაიკური წარწერა პალესტინიდან (2011. №6. გვ. 14);
  11. იბერიის ეთნარქ „ფარნავაზ“ სახელის ასახვა ნეკრესის ეპიგრაფიკულ ძეგლზე (2012. №1. გვ. 50);
  12. კოდირებული ლოგოსი „იერთოესი“ და პალესტინის ლაზთა მონასტრის იდუმალი მოზაიკური წაწერა (2012. №2. გვ. 46);
  13. ბოლნისის სიონისა და მცხეთის ჯვრის ტაძრის ჯვრული სიმბოლიკა და წარწერათა დათარიღების სისტემა (2012. №6);
  14. ქართული დამწერლობის განვითარების ეტაპები „ფესტოსის დისკოდან“ „ვეფხისტყაოსნამდე“ (2013. №1);
  15. ქართული კულტურული მემკვიდრეობის არქეოასტრონომიული ანალიზი. (2013. №2);
  16. ასომთავრული ანბანთწყობა და ქართული ქრონოლოგიის სათავეები (სამეცნიერო-საისტორიო ჟურნალი „სვეტიცხოველი“, 2009. №2. გვ. 105).
  17. Old oriental astronomic-chronological achievements systemized and reflected in pagan and early Christian Georgian written monuments \_ №1(475). 2010;
  18. National system of Iberian-Georgian chronicle \_ №3(477) 2010;
  19. Paleographic analysis of asomtavruli alphabet;
  20. Paradigmatic analysis of asomtavruli alphabet \_ №4(478)2010;
  21. Historic names reflected in asomtavruli alphabetical system \_ №1(479) 2011;
  22. Nekresi Sun temple and „Iberian big square“ \_ №2(480) 2011.
- ბატონი რაულის ყველა ნაშრომის ღირსებას და მეცნიერულ სიახლეს, ცხადია, აქ ვერ შევხებით, მაგრამ ერთ რამეს მაინც ხაზგასმით აღვნიშნავთ: მის მიერ ამ კუთხით მიღებული დასაფასებელია იმიტომაც, რომ ანბანთმცოდნეობით მეცნიერები, პრობლემების მრავალგანშტოებითი სირთულის გამო, იშვიათად ინტერესდებიან. ცხადია, ბატონი რაულის მიერ სამეცნიერო პრობლემებისადმი ხედვა-თვალსაზრისი, მისეული ახსნა შეიძლება ყველასათვის მისაღები არ იყოს, მაგრამ, ჩვენი აზრით, მას ამ მიეხება ხელი არ უნდა შევეშალოთ, პირიქით – გვერდით უნდა დავუდგეთ...
- და მაინც დაისმის არარიტორიკული კითხვა: რა მანძილია მეტალურგიიდან ქართველოლოგიამდე? ამ კითხვას ხატოვნად ასე ვუპასუხებთ – „ირმის ნახტომი“. ბატონმა

რაულმა სწორედ „ირმის ნახტომი“ გააკეთა პიროვნულ სამეცნიერო სარბიელზე ქართულ ანბანთმცოდნეობაში შეტანილი წვლილით და თავის მრგვალ საიუბილეო თარიღს – დაბადებიდან 80 წლისთავს – ქართველოლოგიური შრომებით საკუთარ თავს მშვენიერი საჩუქარი მიუძღვნა.

პროფ. რ. გვეტაძე მეცნიერულ წარმატებებთან ერთად ოჯახურადაც ბედნიერი კაცია: მას ჰყავს შესანიშნავი მეუღლე, 3 შვილი, 7 შვილიშვილი და 1 შვილთაშვილი. ამათგან ვაჟი დავითი, როგორც ფირმის ხელმძღვანელი, მეცნიერი და მკვლევარი, მამის – ბატონი რაულის გზას ადგას.

ბატონ რაულს, როგორც ჭეშმარიტად თბილისელს და თხემით ტერფამდე ქართველ ინტელიგენტს, ერთი დიდი და მთავარი მეცნიერული და პატრიოტული „ანბანთმცოდნეო-

ბითი“ მიზანი“ ამოძრავებს. იგი ამთავითვე ემზადება უფრო დიდი საიუბილეო თარიღისათვის – თბილისში მსოფლიო კონგრესის გასამართავად – 2017 წელს ქართული ანბანის მსოფლიო განფენის 4200 წლის იუბილესადმი. ამ საქმეშიც, ბატონ რაულს, როგორც ხევესურები იტყვიან, „ველ მაუმართას“.

სტუ-ს სრულ პროფესორს, იუბილარს, მეტალურგ-ქართველოლოგს ბატონ რაულ გვეტაძეს ხელმომართულ, გონმომართულ, კონცეპტულურ აზრებთან შეჭიდებულ, ტანმრთელ და შემოქმედებით, ხანიერ და დაუცხრომელ სიცოცხლეს ვუსურვებთ მეტალურგიიდან ქართველოლოგიამდე – მეცნიერებისა და კვლევა-ძიების, ჭეშმარიტებისაკენ მიმავალ გზაზე.

დაიწერა ცნ წელსა,  
თვესა აპრილსა, ნ რიცხვსა  
(2014 წლის 14 აპრილს), დედაენის დღესა.





## *gel a Rvinefaze*

### ენათა წარმოშობის საკითხი და პროექტორების მეთოდი

მოკლედ „პროექტორების მეთოდის“ შესახებ:

ომის თემატიკისადმი მიძღვნილ კინოფილმებში გვხვდება ხოლმე ასეთი კადრები – ღამეა, სხვადასხვა სათვალთვალო პოზიციაზე განლაგებული პროექტორები ცდილობენ, თავიანთი ხედვის არეალში მოაქციონ მტრის თვითმფრინავი. როდესაც დასახული მიზნის მიღწევას რამდენიმე პროექტორი ახერხებს, მათი შუქების გადაჯვარედინების უბანზე თვითმფრინავის კონტურები გაცილებით უკეთესად იკვეთება.

ვუწოდოთ თვითმფრინავების აღმოსაჩენად გამოყენებულ ასეთ მიდგომას „პროექტორების შუქთა გადაკვეთაზე ობიექტის დაფიქსირების მეთოდი“, ხოლო თუ მისგან გამოვყოფთ „ექსტრაქტს“, შემოკლებით – **პროექტორების მეთოდი**.

არცთუ იშვიათად ამა თუ იმ პრობლემის გადაწყვეტაზე მუშაობა უხდება განსხვავებული სპეციალობების მქონე მეცნიერთა ჯგუფებს. ცხადია, სხვადასხვა დარგის სპეციალისტები საკითხს შეისწავლიან საკუთარი მოღვაწეობის სფეროში აპრობირებულ მეთოდებზე დაყრდნობით და თუ ასეთი ჯგუფები საერთო დასკვნამდე მიდიან, ლოგიკურია,

მათ მიერ მიღებული შედეგები უფრო სარწმუნოდ მივიჩნიოთ, ვიდრე ერთი, კონკრეტული მიმართულების სპეციალობის მეცნიერთა აზრების თანხვედრით მიღებულნი.

სწორედ, ზემოთ აღწერილი მიდგომა გამოვიყენეთ ენათა წარმოშობის საკითხში გასარკვევად, როდესაც ერთმანეთთან ვაჯერებდით ამ თვალსაზრისით მეტად საინტერესო ბიბლიურ ციტატებს დროსა და სივრცეში ფრიად დაშორებული ხალხების მითოლოგიებში გადმოცემულ ამბებთან, ბერ იოანე-ზოსიმეს ცნობილ საკრალურ თხზულება „ქებაში“ ჩადებულ მინიშნებებთან, ცალკეული მეცნიერული დარგების – ლინგვისტიკის, ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის... – სპეციალისტებისათვის ცნობილ ფაქტებთან. დასკვნების გამოსატანად კი გამოვიყენეთ მართვის მეცნიერების სფეროში აპრობირებული მეთოდები:

ანკეტირების, კომისიების, დელეგაციის, 6 ქუდის და ზემოთ აღნიშნული პროექტორების მეთოდები (შევნიშნავთ, რომ ჩვენ თვითონ ინფორმატიკის და მართვის სისტემების მიმართულებით გვიწევს მუშაობა).

ამრიგად, წინამდებარე ნაშრომი ასეც შეიძლება დაგვესათაურობდეს

ნა: „ენათა წარმოშობის საკითხი მითოლოგიური, ბიბლიური, „ქება-ის“ და მეცნიერული შეხედულებების თვალსაწიერიდან“.

\* \* \*

#### **დავიწყეთ ბიბლიით.**

ბიბლია გვიქადაგებს და თანამედროვე ენათმეცნიერებაც იქით იხრება, რომ ყოველი ენა ერთი, საწყისი ენიდან იღებს სათავეს. ბუნებრივია, ქართულსა (და მის მეგრულ და სვანურ განშტოებებში) ამ მოსაზრების დამადასტურებელი მეტი პირველადი მასალის არსებობა ვივარაუდოთ, ვიდრე შედარებით ახალ ენებში.

შემდეგ, ბოლო ხანებში მეცნიერთა მიერაც ინტენსიური კვლევები მიდის იმ ჰიპოთეზის საფუძვლიანობის დასამტკიცებლად, რომ მსოფლიოში არსებული ენები ერთი, ძირეული ენისაგან იღებს სათავეს (მაგალითად, იხილეთ ა. დოლოგოპოლსკის შრომები). ეს ვარაუდი სრულ თანხმობაშია ბიბლიურ შეხედულებებთან. მიზნად იქნა დასახული, განისაზღვროს ამ ჰიპოთეტური ენის ლექსიკა. ცხადია, საქმე ძალიან რთულდება ათასწლეულების მანძილზე მეტად სახეცვლილი სიტყვებისათვის საერთო ფესვების მოძიების მცდელობისას. წარუმატებლობებმა ამ გზაზე მეცნიერთა ნაწილს აფიქრებინებდა, რომ საწყისი ლექსიკის სიტყვებისთვის ეტიმოლოგიების ძებნა, საერთოდ, უიმედო საქმეა, რადგანაც ისინი უბრალოდ, უმოტივაციო ცნებებია. მაგრამ ბოლო ხანებში ჩვენ მიერ გამოითქვა საპირისპირო აზრი [1-4]. ჩატარებული კვლევების შედეგად, თანამედროვე ექსპერ-

ტული შეფასებების მეთოდებზე დაყრდნობით და სხვადასხვა მეცნიერულ დისციპლინებში ფიქსირებული ფაქტების შეჯერებით გამოკვეთილი იქნა ეტიმოლოგიურად ურთიერთკავშირში მყოფი რიგი ცნებებისა, რომელთაც, სავარაუდოდ, დასაბამი მისცეს დღეს მსოფლიოში არსებულ ენათა ფრიად განტოტვილ ოჯახს. ეს უკანასკნელი ფიგურალურად უპრიანია დაბურდული ძაფის გორგალს შევადაროთ, ხოლო ჩვენი მცდელობები \_ მისი წვეროს ძიებას!

მეცნიერულ შეხედულებებს რაც შეეხება, ბუნებრივია, რომ უწინარეს ყოვლისა, გავეცანით ენათმეცნიერთა შეხედულებებს ენის (ენების) წარმოშობის თაობაზე და მათი გაანალიზებით მივედით ასეთ დასკვნებამდე:

- **წყლის თეორია**, ფაქტობრივად, აღმოჩენილი ჰქონდა დიდ მეცნიერს ნიკო მარს. განსაკუთრებით საყურადღებო ის გახლავთ, რომ ნ. მარს სხვა მიზანი ამოდრავებდა და მეთოდის სხვაგვარი ჰქონდა შერჩეული. მხედველობაში გვაქვს მისი საყოველთაოდ ცნობილი ოთხელემენტოვანი მოძღვრება, რომლის ჩამოყალიბების პროცესში ენციკლოპედიური ცოდნის მქონე ენათმეცნიერი საკითხის, ასე ვთქვათ, „წმინდა ტექნიკურმა“ (ლინგვისტიკურმა) მხარემ გაიტაცა და პრობლემის ეფექტურად გადაწყვეტისთვის მოხმობილი, ნაკლებად დამაჯერებელი არგუმენტაციის გამო კოლეგების (შესაძლოა სამართლიანი) კრიტიკა დაიმსახურა. მაგრამ აქ მოხდა ის, რასაც არცთუ იშვიათად აქვს ადგილი მეცნიერული

შრომების შეფასებისას – ცნობილი გამოთქმის პერიფრაზს თუ მოვიხმობთ, ოპონენტებმა წყალს წყალიც გადააყოლეს, კერძოდ, მათ ის ლოდი დაიწუნეს, რომელიც მეტყველების წარმოშობის ახალი თეორიის ქვაკუთხედად უნდა გამომდგარიყო: **ნიკო მარი ხომ თავის მტკიცებებს, როგორც წესი, ისეთი სიტყვების მწკრივითა მაგალითებზე აგებდა, რომლებიც სწორედ წყლის ცნების მეშვეობით კავშირდებოდნენ ერთმანეთთან სემანტიკურად!**

- საერთოდ, ენების წარმოშობის არაერთი მეცნიერული თეორია არსებობს. ჩვენ ვთვლით, წყლის თეორია არც ერთ მათგანს არ ეწინააღმდეგება – ნებისმიერი ამ თეორიათაგანი სწორია, ოღონდ თითოეულში აღწერილმა გზამ ენების წარმოშობაში თავისი წვლილი შეიტანა მხოლოდ გ ა რ კ ვ ე უ ლ ი დოზით.
- მეტიც, მიგვაჩნია, რომ წყლის თეორია აქამდე არსებულ მეცნიერულ თეორიებს აერთიანებს და ამასთან, იგი თანხმობაში მოდის დროსა და სივრცეში დიდად „გაფანტული“ ძველი ცივილიზაციების მითოლოგიურ და, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ბიბლიურ შეხედულებებთან.

კვლევების შემდგომ ეტაპზე, ყველა ზემოთ მოხსენიებულ წყაროში არსებული ინფორმაციების შეჯერებით, შევცადათ პირველი ენის საწყისი ლექსიკური მარაგის წრიდან გამოგვეჩია ის **ცნება**, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, – **ძაფის გორგლის წვერო**, რომლითაც უნდა მომხდარიყო უძველესი ადამიანის მიერ მის-

თვის ყველაზე მეტად მნიშვნელოვანი ობიექტის, ქმედებისა თუ მოვლენის სახელდება და შემდეგ მისი მეშვეობით გზა გაგვეკვლია დღევანდელი ენების ლაბირინთში.

ხაზს ვუსვამთ – საუბარია არა **კონკრეტული სიტყვის** (რაიმე ბერათკომპლექსის) მოძიებაზე, არამედ იმ **უპირველ ცნებაზე**, რომელმაც სათავე დაუდო მეტყველებას.

შევნიშნავთ, რომ ბიბლიის მიხედვით გარემომცველ სამყაროში მისთვის საინტერესო ობიექტებისათვის სახელებს ადამიანი ირჩევს! მაშასადამე, მათი სახელდება ხდება არა ადამიანისათვის ბოლომდე ყოველთვის შეუცნობელი ღვთიური ლოგიკით, არამედ ადამიანის არჩევნით, მისი განვითარების ამა თუ იმ საფეხურის შესაბამისი აზროვნებიდან გამომდინარე!

დასმულ კითხვაზე პასუხის მისაღებად გამოყენებული იქნა ექსპერტულ შეფასებათა ჩვენ მიერ რამდენადმე მოდიფიცირებული დელფოსის მეთოდი.

შედეგი შთამბეჭდავი აღმოჩნდა:

გამოკითხვის უკვე მეორე ტურის ჩატარების შემდეგ ექსპერტთა უმრავლესობა მიდიოდა საერთო აზრამდე – ეს ცნება გახლავთ წყალი.

**ჩვენი აზრით, სწორედ ამ ცნებაზე მინიშნებას შეიცავს ბერ იოანე-ზოსიმეს ცნობილი საკრალური თხზულება „ქება“-ც.**

დავიწყით მტკიცებიდან, რომელიც „ქებაის“ დედაარსია:

ქართული ენა ლაზარეა – „სახარებასა შინა ამას ენასა ლაზარე ჰრქვიან“, მასში დამარხული „ყოველი საიდუმლო“ თავის დროზე გაცხად-

დება, „რაითა ყოველსა ენასა ღმერთ-მან ამხილოს ამით ენითა“.

ჩვენი რწმენით, „ქებაი“ ისეთი თხზულება გახლავთ, რომელშიც ყოველი აზრი, ყოველი სიტყვა განსაკუთრებული დატვირთვის მატარებელია და სავსებით შესაძლებელია, საიდუმლო ინფორმაციის შიფრს წარმოადგენდეს. ამ მოსაზრების გათვალისწინებით, მით უფრო დიდ ინტერესს იწვევს „ქებაიში“ ქართული ენის ლაზარესთან გაიგივება.

ექვს გარეშეა, იოანე-ზოსიმემ იცის, რომ ლაზარე ქრისტეს მეგობარია და შეიძლება გვეფიქრა, ავტორს ეს პასაჟი ქართული ენის ღვთის მიერ გამორჩეულობის ხაზგასასმელად დასჭირდა. მაგრამ იბადება კითხვა – ამ მიზნის მისაღწევად განა უფრო შთამბეჭდავი არ იქნებოდა პარალელის გავლება თვით მაცხოვრის აღდგომასთან? „ქებაიში“ ხომ ქართული ენის განსაკუთრებულ მისიაზეა საუბარი და არა მის „უბრალო“ აღდგინებაზე?! მიგვაჩნია, რომ იოანე-ზოსიმეს არჩევანს სხვა მოსაზრება განაპირობებს და სწორედ სიტყვა ლაზარეს უნდა ჰქონდეს დაკისრებული საიდუმლოს გასაღების როლი.

„ლაზარეს“ „ლაზთან“ მსგავსების ადვილად შესამჩნევი ფაქტი კიდევ უფრო ნიშანდობლივად გვევლინება „ქებაიში“ ქართველი და ბერძენი ხალხების წარმომადგენელთა მეგობრობის ხაზგასმის გამო (ამასთან, „ლაზი“ ელინებისათვის დასავლელი ქართველის აღმნიშვნელი ტერმინიცაა), მაგრამ ნუთუ მხოლოდ სიტყვების გარეგანი მსგავსება აღმოჩნდა საკმარისი განაცხადისათ-

ვის, რომ ქართული ენა ლაზარეა? ხომ არ მიგვანიშნებს იოანე-ზოსიმე ამ ტერმინებს შორის რაიმე სხვა სახის კავშირზე?

ჩატარებულმა კვლევებმა მიგვიყვანა დასკვნამდე:

**„ლაზარესა“ და „ლაზს“ შორის სწორედ ასეთი – სიღრმისეული დამოკიდებულება არსებობს და იგი დამყარებულია \*LAK საერთო ძირიდან მათ წარმოშობაზე. ეს ტერმინი კი კაცობრიობის პირველსაწყის (ან მასთან ახლოს მდგომ ენებზე) აღნიშნავდა წყალს – ძირულ ცნებას, რომლიდანაც ამოიზარდა „ყოველი ენის“ გენეალოგიური ხე.**

უძველესი ხალხების მითოლოგიებში წყალი გახლავთ ის კეთილშობილი სტიქია, რომელმაც დედამიწაზე სიცოცხლეს მისცა დასაბამი.

საინტერესო ფაქტია, მეცნიერება მხოლოდ მე-20 საუკუნის მიწურულს, უახლესი გამოკვლევების საფუძველზე რწმუნდება სიცოცხლის წარმოშობის შესახებ ბიბლიასა და ზოგ კიდევ უფრო ადრინდელ წყაროში მოცემული წარმოდგენების სამართლიანობაში [5].

**ლაზარე** ძველი ქართველებისათვის **წყლის ღვთაებაა**, რაც, ცხადია, არც იოანე-ზოსიმესთვის იქნებოდა საიდუმლო. ამასთან, წყლიდან დაბადების ნიშანს უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქრისტიანული სარწმუნოების თვალსაზრისით. უძველესი ქართული ტომის – ტიბარელების სახელწოდებას მეცნიერები ტერმინ „ტაბას“ (ტბას) უკავშირებენ. ჩვენი ვარაუდით, ანალოგიურად მოხდა \*LAK ძირიდან ლაზების სახელდებაც.

რას გვამცნობენ, „ქებაის“ გარდა, სხვა წყაროები ამ საკითხთან მიმართებით? მოიპოვება უძველეს მითოლოგიებში ცნობები, ერთმანეთთან რომ აკავშირებდნენ „წყალსა“ და „სიტყვას“ (აქ ვგულისხმობთ მეტყველებას)? რა მიმართებაშია ეს ცნებები ღმერთის (ღვთაებების), როგორც სამყაროს შემოქმედის, არსებასა და სახელწოდებებთან?

ძველი ბერძნები, მაგალითად, თალესი, თვლიდნენ, რომ წყალია სათავე ყველა ნივთთა და არსებათა, მაშასადამე, ღმერთებისაც. ფრიად საინტერესო უნდა გახლდეთ ჰესიოდეს მოსაზრებაც (ვფიქრობთ, არა მარტო ქართველებისათვის):

„კოლხიდა და მისი მცხოვრებნი წარმოიშვნენ იმავე საწყისიდან, საიდანაც ღმერთები \_ ოკეანისაგან“.

დოგონური მითოლოგიის მიხედვით, სწორედ წყლის ღვთაება ნომომ მიანიჭა დედამიწას მეტყველების უნარი, შეუქმნა სამყაროს პირველი ენა, ხოლო მისი შთამომავალი ლეზე სიტყვის წარმომადგენლად მოვლინა ქვეყნიერებას.

ასევე, წყლის ღვთაებამ ფარომ შეასწავლა ლაპარაკი ადამიანებს, – მიაჩნია ბამბარას ტომის ხალხს.

შუმერებისთვის სამყაროს \_ ცა და დედამიწის \_ შემოქმედია ყოველი ღმერთის დედა ნამუ. ამასთან, ნამუ მათთვის მიწისქვეშა წყლების გამონახატულებასაც წარმოადგენს.

ინდუსები ინდრასთან ერთად უმთავრესი ღვთაების როლს აკისრებდნენ კოსმიური წყლების ხატს \_ ვარუნას, რომელსაც ჭეშმარიტი სიტყვის სიმბოლოდაც მიიჩნევდნენ.

სიტყვის ქალღმერთი და ყველა ღმერთის მბრძანებელია ძველინდური VAK. მისი ადგილსამყოფელი ხილულ სამყაროს ცდებდა, საბრძანისი კი წყალში მდებარეობს. ამ ქალღმერთს აკავშირებენ პრაჯაპატ, სომა, ვიშვაკარმან და სარასვატ ღვთაებებთან: პირველის დამსახურებაა სამყაროდან წყალთა სახით მეტყველების შექმნა, მეორე მათგანი ღვთიური სასმელის ღმერთია, მესამე – სიტყვის მბრძანებელი და ღმერთების სახელწოდებათა ერთადერთი განმსაზღვრელი, ხოლო მეოთხემ, რომლის სახელიც ასევე „წყალს“ უკავშირდება, შექმნა სანსკრიტი.

დაბოლოს, ბიბლიური „პირველნედლეული“, სხვაგვარად, ქაოსი, რომლიდანაც ღმერთის მიერ შეიქმნა სამყარო, გახლავთ წყალი.

კიდევ უფრო ადრე შუმერელი მოაზროვნეები თვლიდნენ, რომ ცა და მიწა პირველქმნილ ოკეანეში ჩაისახა. იგივე შეხედულებისა გახლდნენ ძველ ეგვიპტესა და ბაბილონშიც. აქადური მითოლოგიური პოემა „ენუმა ელიშ“ გვიმოწმებს, რომ პირველი სტიქია – თიამათი ზღვას წარმოადგენდა. წყალთან კავშირდება ყოვლის წარმოშობი ქაოსი ძველი ჩინური და ინდური მითოლოგიების მიხედვითაც.

შეიძლება დაუჯერებლად მოგვეჩვენოს, მაგრამ ფაქტია:

წყალი, რომელსაც დედამიწის ზედაპირის 71% უკავია, მეცნიერებისათვის ჯერ კიდევ ამოუცნობი, უამრავი გასაცნობი თვისების მქონე ფენომენია. იგი თითქოს არც კი ემორჩილება ფიზიკისა და ქიმიის კანონებს! მკვლევართა აზრით, წყალი

უნდა დუღდეს 70 გრადუსზე და იყინებოდეს – 90-ზე. იგი ერთადერთი ნივთიერებაა, რომელიც ბუნებრივ პირობებში სამ აგრეგატულ მდგომარეობაში გვხვდება. ანომალურია წყლის მრავალი მახასიათებელი, უნარი – ჰქონდეს კრისტალური სტრუქტურა, მყარ მდგომარეობაში იყოს თხევადზე ნაკლებად მკვრივი. ამგვარაა, რომ ეს ბოლო თვისება დედამიწაზე სიცოცხლის არსებობის საფუძველია, თუმცა შემდგომ მეცნიერებმა ისიც დაადგინეს, რომ სიცოცხლისათვის ასევე აუცილებელია წყლის ყველა სხვა (რამდენიმე ათეული) ანომალური თვისების (ვამულობინებდით გვეთქვა, არაჩვეულებრივი) არსებობაც!

წყალს აქვს მეხსიერება! იგი, ფაქტობრივად, უსასრულოდ განზავების შემთხვევაშიც კი ინარჩუნებს მახსოვრობის უნარს. დიდი ხანი არ არის, რაც დაიწყეს წყლის ე.წ. ბიოდამუხტვის მოვლენის შესწავლა. წყალი თურმე რეაგირებს სიტყვაზე: ლოცვასა და, სამწუხაროდ, წყევლაზეც. ლოცვისას წყლის სტრუქტურა იძენს განსაკუთრებული სილამაზის ფორმებს, ამასთან, ხდება სამკურნალო თვისებების მატარებელიც. სრულიად საპირისპირო ხასიათის მოვლენებს აქვს ადგილი წყევლისას და, საერთოდ, არასასიამოვნო სიტყვების წარმოთქმისას...

შვიდი ქრისტიანული საიდუმლოებიდან პირველია **ნათლისღება**, იგივე **წყალკურთხევა**. თხზულების მცირე მოცულობის ტექსტში ამ ტერმინის შეტანით ავტორი კვლავ საკვანძო (გასაღებურ) სიტყვაზე მიგვანიშნებს. ისევ ბიბლიას მივმართოთ:

**„დასაბამიდან იყო სიტყვა, და სიტყვა იყო ღმერთთან და ღმერთი იყო სიტყვა“.**

დავუშვათ, სიტყვაში იგულისხმება წყალი და თავიდან წავიკითხოთ ციტატა.

ახლა კი საკუთარ თავს დავუშვათ შეკითხვა:

**უწინარეს ყოვლისა, რომელი სიტყვის (ცნების) წარმოთქმის საჭიროების წინაშე დადგებოდა ადამიანი – არსება, რომელიც ეს-ეს არის „იდგამს ენას“?**

ჩატარებული კვლევების საფუძველზე, მივედით დასკვნამდე, რომ ეს არის „წყალი“, (უფრო ზუსტად, ამ ცნების აღმნიშვნელი ტერმინები).

წამოყენებული ჰიპოთეზის სასარგებლოდ მეტყველებს ის გარემოება, რომ უმველესი ადამიანი ცხელ ქვეყნებში ცხოვრობდა. საკვების მიებისას იგი იძულებული იყო დიდი მანძილით დასცილებოდა წყალსატევებს. ბუნებრივია, ასეთ ვითარებაში მისი უპირველესი, სასიცოცხლო საზრუნავი იქნებოდა წყლის მიგნებამოპოვნება.

შემდეგ, თუკი ბერბერებს „აქლემის“, ხოლო ესკიმოსებს „თოვლის“ ცნების გამომხატველი ასეულობით ტერმინი გააჩნიათ, ბუნებრივია, ზუსტად ასეთივე სიტუაცია შეიქმნებოდა თავდაპირველი ენის ჩამოყალიბებისას წყლის ცნებასთან მიმართებითაც.

მეტიც, ერთი შეხედვით, თვისებრივად სრულიად განსხვავებული (ზოგჯერ საპირისპირო!) შინაარსის მქონე ტერმინების უმრავლესობა ამა თუ იმ ლოგიკური გზით ისევ წყლის ცნებასთან დაკავშირდებოდა. „შვილებს“ უნდა მოჰყოლოდნენ „შვილი-



შვილები“, „შვილთაშვილები“... ყველაფერი კი იმით დამთავრდა, რომ ადამიანებმა პირველი სიტყვა დაგკარგეთ. ალბათ, იმის გამო, რომ...

საგამომგონებლო თეორიების შესწავლის მსურველთათვის რეკომენდებულია ერთი ასეთი ამოცანის დასმაც:

„სად, როგორ დამალავდით ოთახში ქვას ისე, რომ მისი მიგნება, რაც შეიძლება მეტად, გაძნელებდეს?“

(შეეცადეთ ამ კითხვაზე პასუხის გაცემას).

შემდეგ, გავიხსენოთ:

„რადგან მათგან, რაკი ასე სურთ, დაფარული რჩება, რომ თავდაპირველად ცა და მიწა დაარსდა ღვთის სიტყვით წყლისაგან და წყლით“.

II პეტრე, 3,5.

მიგვაჩნია, რომ ამ საკრალური ინფორმაციის შემცველ ციტატაში წყლის ცნება სრულიად გამიზნულად არის ორჯერ მოხმობილი:

ერთი მხრივ, პირდაპირ არის მითითებული, რომ უფლის მიერ ყველაფერი – ცა და მიწა, ანუ, ღვთისმეტყველთა განმარტებით, „ყოველივე – ხილული და უხილავი“ (ნესტორ ყუბანეიშვილი) წყლისაგან შეიქმნა. ეს სიტყვა აქ აღნიშნავს უფორმო, უსახო, ქაოსურ მდგომარეობაში მყოფ სამყაროს პირველსაწყისს.

მეორე მხრივ, ვვარაუდობთ, რომ აქ გაცხადებულია – წყლით განხორციელდა ყოველივეს სახელდება.

ჩვენი რწმენით, ბიბლიაში ბევრი სხვა ადგილიც მიგვანიშნებს წყლის საკრალურობაზე.

დავუბრუნდეთ ლინგვისტიკის საკითხებს – თუ ადამიანის მიერ გამოყენებული „ყოველი ენის“ სათა-

ვეს ცნება წყალი წარმოადგენს, მაშინ, სავსებით ბუნებრივია, მეტონიმის გზით, ამ ცნების მეშვეობით მომხდარიყო, პირდაპირი თუ გადატანითი გაგებით, მასთან სიახლოვეში მყოფ არსთა სახელდება! თუ ჩვენი წინაპარი მეტონიმის წესით რაიმეს დაარქმევდა სახელს, უპირველესად, ეს იქნებოდა წყალსატევების მიმდებარე ტერიტორია – მიწა (ხმელეთი, ტაფობი, რიყე, ვაკე და ა.შ.). საცხოვრებელი ადგილი ადამიანს ხომ, უმთავრესად, იმ თვალსაზრისით აინტერესებდა (და აინტერესებს!), მოიპოვება თუ არა იქ წყალი. ისევ წყალია ორიენტირი კაცობრიობის განვითარების შემდგომ ეტაპებზე მეცხოველეობისა და ხვანა-თესვისათვის სავარგულების შერჩევისას.

მიწის ცნების ანალოგიურად უნდა მომხდარიყო კლდის (მთის, გორის...) სახელდებაც. მრავალი მაგალითი მოიპოვება, როცა მდინარეს და მთას, საიდანაც ეს წყალი ჩამოედინება, იდენტური ან მსგავსი სახელი ჰქვია... ფრიად ნიშანდობლივია, რომ წყლის ცნებასთან ეტიმოლოგიურ კავშირზე მეტყველებს თვით სიტყვა-ტერმინის ტოპონიმის სახელწოდება!

მეტნაკლებად მოდიფიცირებულ წყლის ცნებას სახელი უნდა მიეცა მრავალი, უხსოვარი დროდან ადამიანის ყურადღების არეალში მოხვედრილი „პირველადი“ არსისათვის. გადაწყვიტეთ ჰიპოთეზის ქმედით უნარიანობა შეგვემოწმებინა ლინგვისტთა მიერ, ეტიმოლოგიური თვალსაზრისით, ისეთ უპერსპექტივო სიტყვებზე, როგორებიცაა: „თევზი“,

„მთა“, „თავი“... მიღებული იქნა საყურადღებო შედეგები.

დაბოლოს, წყლის თეორიაზე დაყრდნობით, შესაძლებელი იქნება თვისებრივად ახალ საფეხურზე ავიყვანოთ ვიკიპედიის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული განშტოება – ვიკილექსიკონი, კერძოდ, მისი მოდიფიკაცია, წინამორბედისაგან განსხვავებით, ვაქციოთ პროგრამად (და არა თუნდაც ძალიან საინტერესო სტატიების კრებულად), რომელთანაც მომხმარებელი იმუშავებს დიალოგურ რეჟიმში, რათა მიიღოს პასუხი მის

მიერ დასმულ, ვთქვათ, ასეთი სახის შეკითხვაზე:

არის ეტიმოლოგიურ კავშირში სიტყვათა წყვილი – дом – дым?

პროგრამამ მან უნდა შეძლოს ჩვენი ჰიპოთეზის გამაგრება მონაცემთა ბაზაში შეტანილი მრავალი ენის თეზაურუსებში კვლევა-ძიების ჩატარების შედეგად ასეთი წყვილებით:

კერა – კერია;

კომლი – კვამლი;

оуар (ასევე, оҗахи) – оуар

და სხვ.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. [http://gtu.ge/books/g\\_gvinepadze\\_Qebai.pdf](http://gtu.ge/books/g_gvinepadze_Qebai.pdf)
2. გ. ღვინეფაძე. არსზე ორიენტირებული ლინგვისტიკა. || კონფერენცია. ბუნებრივ ენათა დამუშავება. ქართული ენა და კომპ. ტექნოლოგიები. თბ., 2004.
3. გ. ღვინეფაძე. მეცნიერებანი და იოანე-ზოსიმეს „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“. პირველი საერთაშორისო კონფერენცია “მეცნიერება და რელიგია”. თბ., 2005.
4. გ. ღვინეფაძე. “... წყლისაგან და წყლით”. საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული კრეაციული საზოგადოების ყოველწლიური სამეცნიერო კონფერენცია “პირველად იყო სიტყვა”. თბილისი, 2005.
5. «Как Афродита из пены ...», «Наука и религия», 1992, №2.





## ქართული ცეკვის აკომპანიმენტის პრობლემები

ცეკვის დედა რიტმი.

ჯერ ჩნდება რიტმი და მერე \_ იმ რიტმს მისადაგებული სხეულის მიმოტანა, რომ იტყვიან, „ფეხის აყოლება“ საცეკვაო რიტმზე.

დღესაც აფრიკის თუ ავსტრალიის ზოგი, დაბალი განვითარების აბორიგენი ტომები რიტმს „ჰქმნიან“ ბამბუკის ნაჭრების (ან ნებისმიერი ხის) და ქვების ერთმანეთზე კაკუნით. სულ ესაა მათი საცეკვაო ინსტრუმენტი \_ ქვა და ხის ტოტი.

ბუნებრივია, საქართველოშიც ასე გაჩნდა ცეკვა.

დაბალი განვითარების ხალხებს დღემდე შემორჩათ ცეკვის პირველყოფილი ფორმა \_ პრიმიტიული რიტმსმიდევნებულის როკვა.

ცეკვის აკომპანიმენტის შემდგომი ფორმა ის გახლავთ, რომ საცეკვაო რიტმს უერთდება ხალხური სიმღერა და ცეკვა სიმღერის თანხლებით სრულდება.

საცეკვაო სიმღერა ისე მკვიდრდება მიზნული მის პირველსაწყისზე \_ რიტმზე, რომ უჭირს, დაშორდეს მას და მელოდიური მრავალფეროვნება შემოგვთავაზოს.

ამიტომაცაა, რომ ერების ერთ ნაწილს ერთადერთ საცეკვაო რიტმზე

დამყნელი ორი-სამი სიმღერა აქვთ და ამით ამოიწურება მათი საცეკვაო სიმღერა-აკომპანიმენტის მთელი არსენალი.

სხვადასხვა ცეკვას ასრულებენ ერთიანი რიტმის თანხლებით სხვადასხვა სასიმღერო ტექსტის მოშვებით და, თუ კარგად დააკვირდებით, მიხვდებით, რომ ხალხური ცეკვების მთელი კონცერტი ერთადერთი ცეკვის ვარიაციებია, ოღონდ სახელები სხვადასხვა შეურჩევიათ და მცირედენი ხელოვნურად გამოგონილი ილეთებითაც გაუმდიდრებიათ.

რას გვთავაზობს ამ მხრივ ქართული საცეკვაო ფოლკლორი ანუ ქართული ხალხური ცეკვა?

საცეკვაო ხელოვნების მკვლევრები ამა თუ იმ ერის კულტურის დონეს ამ მიმართულებით იმის მიხედვით ადგენენ, თუ რამდენად ძველი და მრავალფეროვანია ცეკვის რიტმი და მუსიკალური აკომპანიმენტი, რამდენად ეროვნული და ორიგინალური მუსიკალური საკრავებით მიიღწევა ეს აკომპანიმენტი და რამდენად ეტყობა ცეკვას ეროვნული ინტელექტუალიზმი, ანუ არის თუ არა დატვირთული სოციალური შინაარსით.

უპირველესად უნდა ვთქვათ, რომ ქართული ხალხური ცეკვა მრავალრიტმიანია. უფრო გასაგებად რომ ვთქვათ, ჩვენში ხუთ ათეულზე მეტი ცეკვა არსებობს და თითოეულ მათგანს თავისი რიტმი აქვს.

ვინ მოთვლის, რამდენი ათასი წელი რანდა ქართველმა ხელოვანმა ქართული ცეკვა, რომ თითოეული მათგანისათვის სრულიად განსხვავებული რიტმი-მელოდია შეერჩია.

ქართულ ხალხურ ცეკვაში, თუნდაც დილეტანტურად გარკვეულ პიროვნებას ხომ არ აერევა ერთმანეთში „ხორუმის“, „ქართულის“, „აჭარულის“ ან ნებისმიერი სხვა ცეკვის თანხლები მუსიკა. ეს ხომ იმას ნიშნავს, რომ ქართული ცეკვის სააკომპანიმენტო გამმა ამოუწურავი და ათასხმოვანია.

თითოეული ქართული ცეკვის რიტმი უძველესი ეპოქიდან იღებს სათავეს. ამ ცეკვებში არა მარტო ტომურ-პირველქმნილი კოლექტიური მოძრაობები ჭარბობს („ფერხული“, „სვანური“), არამედ ისტორიული სინამდვილის ტკბილ-მწარე სურათებიც („ხორუმი“, „ფარიკაობა“) ცოცხლდება.

ქართული ცეკვების უმეტესობა სიმღერის თანხლებით სრულდება. ცეკვას თანდართულ სიმღერებში აშკარად იკითხება მათი არქაულობაც და იმ კუთხის კოლორიტიც, სადაც ეს სიმღერა დაიბადა.

ხომ განუყოფელია ცეკვა „აჭარულისაგან“ დიდებული ქართული სატრფიალო სიმღერა – „წყალს ნაფოტი ჩამოჰქონდა“ და როგორ ჰგავს ამ სიმღერის მელოდია და განწყობილება იმავე რეგიონში შექმნილ

სიმღერას – „აჭარელი და ვიყავ განა“ ან – უძველეს მესხურ სიმღერას „გოგონია ცაციაო ნანაო და...“ ეს ხომ იმას ნიშნავს, რომ აჭარული და მესხური ფოლკლორი ერთი ძირიდან – საერთოქართული კულტურიდან მომდინარეობს.

კიდევ ერთი განსაცვიფრებელი თვისებით ხასიათდება ქართული ხალხური ცეკვა; მასში შენივთულია ღრმა სოციალური შინაარსი და ლალი ხალხური იუმორი. ეს ორივე თვისება ცეკვა-სიმღერას დრამატიზმს ჰმატებს და მოსასმენადაც უაღრესად სასიამოვნოა.

ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევა „რაჭული სუიტა“. ეს ძველთაძველი, მაგრამ ერთ დროს მივიწყებული დიდებული ცეკვა სულ რაღაც ათი წელია, რაც ქართველმა ქორეოგრაფებმა გააცოცხლეს და ქართულ ქორეოგრაფიულ წრებრუნვაში შემოიტანეს. სიუჟეტის ღრმადქართულობა, რაჭული კოლორიტი და ჰიპერბოლური ირონია ცეკვას მიმზიდველს ხდის და სანახაობრივად განუმეორებელია.

ხაზგასასმელია ქართული ცეკვის აკომპანიმენტისათვის დამახასიათებელი მუსიკალური გასაუბრების, სალალობო შექილიკება-შეხუმრების და ერთგვარი ცეკვა-კაფიობის ელემენტები. ამ თვისებებით გამორჩეულ ქართულ ცეკვა-სიმღერათაგან შეიძლება დავასახელოთ: „ჯანსულო“, „ნეტავი, ქალო, მე და შენ“, „ჩაგუნია, ჩაგუნა“, „ცანგალა და გოგონა“, „მათეია“, „არამი და შარიქა“ და სხვები.

ზემოთ ჩამოთვლილ ცეკვებში ძნელადშესამჩნევი როდია კლასიკუ-

რი ოპერეტისა თუ მუსიკალური კომედის ჩანასახები.

ისიც უნდა დავმინოთ, რომ მაშინ, როდესაც ევროპაში ჩანასახოვან მდგომარეობაშიც არ არსებობდა ბალეტი, ქართველმა მოცეკვავემ ცივილიზაციის გარიჟრაჟზე ხალხურ ცეკვაში ჩადო ბალეტის აშკარა სიმპტომები. ასე რომ, „ხორუმი“, „ქართული“, „სამეჯლისო“ და არაერთი სხვა სიუჟეტის ქართული ცეკვა შეიძლება ბალეტის უძველეს წინაპრებად მოვიაზროთ.

სამწუხაროდ, საბჭოთა ეპოქაში ზოგიერთი ქართული ათასწლოვანი ცეკვა-სიმღერა „ეპოქას მიუსადაგეს“ და შინაარსობრივად ელფერი შეუცვალეს. მაგალითად, „ფერხულ სალადობოში“ გაჩნდა ასეთი „შეხმანება“: „რა ლამაზია ეს ყანა, მალე მოისხამს ტაროსა, მოდი, ქალებო, მოვთოხნოთ, ჩავაბაროთ კოლექტივსა“, ხოლო სულშიჩამწვდომი „ცაზე მთვარე ამოსულა“, ასე „გაათანამედროვეს“: „ცაზე მთვარე ამოსულა, ნანინა ნანა, ნიშანია დარისაო, ნანი ნა ნა, კოლექტივი გაძლიერდა ნანინა ნანა, ვენაცვალე სტალინსაო“ და ა.შ. ღიმილისა და ცრემლისმომგვრელი „ოპერაცია“ ჩაუტარეს მშვენიერ მეგრულ სიმღერას „ბულბულეზზე“. ამ სიმღერის ქართულ თარგმანში „ეფექტის გასაძლიერებლად“ სტალინის და ბერიას სახელები „გაბრწყინდა“: „ჩვენს პატარა საქართველოს ბულბულეზი შეკრებილან და სტალინის სანახავად მოსკოვისაკენ გაფრენილან. ბერიაც ხომ იქ არის და მუდამ გვეტყვის სიმართლესო, ცაზე ღრუბლებს დაგვიშლის და ძირს მოგვიტანს სინათლესო“. ხალხური სიმღერა – ბალადის

ხელმოკლე გმირს ოპტიმისტმა რეფორმატორებმა კითხვაზე „როგორ ცხოვრობ მათეია?“ თვალისდაუხამხამებლად ათქმევინეს: „ყველაფერი მაქვს ბევრია“.

ათეული წლების განმავლობაში საქართველომრავალეროვანი, ინტერნაციონალური ავტონომიებით დახუნძლული საბჭოთა რესპუბლიკა იყო. მრავალეროვნულობა რომ გაგვემართლებინა, იმისთვისაც უნდა გავვესვა ხაზი, რომ ქართულ კულტურასთან ერთად „ჰყვაროდა“ ჩვენს მიწაზე მცხოვრები მომძევერების კულტურაც.

გაჩნდნენ ქართული ეროვნული კულტურის ხარჯზე სხვა ერთა „თვითმყობადი“ კულტურის წარმომჩენ-გარდამქმნელი მზრუნველებიც.

ქართველების გვერდით ასეული წლების განმავლობაში მცხოვრებ „აფხაზებსაც“ ხომ ექნებოდათ თავიანთი ხალხური ცეკვები და სიმღერები. მოიძიეს და ასეთი რამ რომ ვერ აღმოაჩინეს (იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ აფხაზური და მეგრული ფოლკლორი განუყოფელი იყო), ადგნენ და მეგრულ „ვოისა რადა სივარადა“-ს აფხაზური ხალხური სიმღერა უწოდეს, ხოლო მეგრულ „სალამქრო ფერხულს“ – ცეკვა „აფხაზური“.

ცეკვა „სიმდის“ მელოდია, ვერ უარყოფთ, უძველესი ოსური მელოდიაა, მაგრამ ცეკვა „სიმდი“ ილიკო სუხიშვილის ნახაზით შეიქმნა, ალბათ, ოსურ ხალხურ როკვებზე დაყრდნობით, იმ სამმო სურვილით, რომ ჩვენს ხიზან ოსებსაც ჰქონოდათ, თუნდაც ერთი, მაგრამ გახმაურებულ-

ლი პრესტიჟული ფოლკლორი, რომ იტყვიან, საფირმო ცეკვა.

ცეკვა მკვიდრად ეროვნული ხელოვნებაა და, ბუნებრივია, კონკრეტული ერის ბუნებას, ზნე-ჩვეულებებსა და ხასიათს გამოხატავს, მაგრამ იმის უარყოფაც არ შეიძლება, რომ მეზობლური თანაარსებობის შემთხვევაში შესაძლებელია ამა თუ იმ ერის ცეკვები ერთმანეთს დაემსგავსოს, საცეკვაო ილეთებში იდენტურობა შეიმჩნეოდეს და, რაც ყველაზე ნიშანდობლივია, ერთმა მხარემ საცეკვაო აკომპანიმენტი მეორისაგან „ისესხოს“.

ასე დამართა ქართულ ცეკვებს: „მოხევეურსა“ და „მთიულურს“.

ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა ცეკვები საშემსრულებლო ტექნიკითა და მუსიკალური აკომპანიმენტით, განსაკუთრებით ამ ბოლო წლებში, ერთმანეთს საეჭვოდ დაემსგავსა. ამის მიზეზი, გარდა ჩემ მიერ ზემოთქმულისა (საუკუნეების განმავლობაში მეზობლად ცხოვრება), ისიც გახლავთ, რომ არაერთი ქართველი ქორეოგრაფი იქნა მიწვეული ჩრდილოეთ კავკასიაში სხვადასხვა ანსამბლებში სადადგმო სამსახურის შესასრულებლად. ზოგ მათგანს არც ცოდნა ეყო იმისა, რომ ადგილობრივი ავტონომიის საცეკვაო ფოლკლორში გარკვეულიყო და არც შეგნება აღმოაჩნდა, ქართული ცეკვა გაემიჯნა მთიელ ტომთა ტრადიციული ცეკვებისაგან და აი, შედეგიც: ქართველმა ქორეოგრაფმა მისდაუნებურად „გააჩუქა“ ზოგიერთი ქართული ცეკვა, უფრო ზუსტად, ქართული ცეკვის ათასწლოვანი თვითმყოფადობა მეზობელ ტომებსაც გადაუნაწილა. მარ-

თალია, ცოტა რამ შეცვალა და სახელწოდებაც ადგილის შესაფერისი მოუძებნა, მაგრამ რეფორმირებული „ასლი“ დედანს (ანუ ქართულს) იმდენად ვერ დააშორა, რომ ამ სტატიაში სუროგატულ სახელოვნებო დამთხვევაზე არ მიგვენიშნებინა.

თითქმის ასეთი ბედი ხვდა უბრწყინვალეს ქართულ სარაინდო-სატრფიალო ცეკვა „ქართულსაც“. ეს ცეკვა დავითისა და თამარის მეჯლისებზე სრულდებოდა და, როცა იგი მეზობელმა ხალხებმა (ლეკები, ინგუშები, ადიღელები...) გადაიღეს, ქართველებს საწინააღმდეგო არაფერი უთქვამთ. ჩვენ პროტესტის გრძნობა არც მაშინ გავგჩენია, როდესაც ცეკვა „ქართულს“ ინტერნაციონალურ საბჭოეთში „ლეკურად“ მოიხსენიებდნენ, მაგრამ ახლა კი, თუ ჩვენ, მართლაც დამოუკიდებელი სახელმწიფო ვართ, მე მგონი, დროა ქართული ხელოვნების გულუბრყვილო ინტერნაციონალიზაციას თავი გავანებოთ და საგნებს თავისი სახელი დავარქვათ.

რაც შეეხება ქართული ცეკვების სააკომპანიმენტო მუსიკალურ ინსტრუმენტებს, ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ უძველესი ცეკვები ხე-ქვის კაკუნითა და სიმღერით სრულდებოდა. მერე და მერე ხალხურმა როკვამ მუსიკა დაისაჭიროვა და გაჩნდა სააკომპანიმენტო ანსამბლები დოლის, ჭიანურის, სალამურის, სტვირის, ჩონგურის, ფანდურის, დუდუკის თუ დაირის (აღმოსავლური ინსტრუმენტია, მაგრამ საქართველოში დიდხანია დამკვიდრდა) თანხლებით.

რაც შეეხება დოლსა და გარმონს, ამ ბოლო დროს ხალხური ცეკვების

რეგიონულ კონცერტებზე ლამის გაბატონებულ სააკომპანიმენტო ინსტრუმენტად რომ იქცა, ეს მოვლენა, ჯერ ერთი, ჩვენი სიღარიბის ბრალია და ზოგიერთი ქორეოგრაფის ეროვნული ფენომენისადმი უგულისყურობის შედეგიც.

„გარმონი“ ანუ, უფრო ცივილიზებულიად რომ ვთქვათ, „აკორდეონი“, თავდაპირველად ინგლისში გაჩნდა და მერე მთელს ევროპაში, უმთავრესად რუსეთში გავრცელდა. დოლი კი საფრანგეთში სპარსელებმა ჩამოიტანეს და მთელ მსოფლიოში არა მარტო საცეკვაო, არამედ სამხედრო ორკესტრების მთავარ ინსტრუმენტად იქცა. თუმცა აქვე უნდა განვმარტოთ, რომ არც დოლი და

აკორდეონი გადმოგვიღია ქართველებს ხელაღებით. ქართული დოლი საუკუნეების სიღრმიდან მოდის და სადოლე ტყავის „გამოყვანის“ ხელოვნება დღესაც შემორჩენილია არაერთ რეგიონში. რაც შეეხება „გარმონს“, ჩვენ ამ ინსტრუმენტის „გაქართულებაც“ ვცადეთ. თუ დააკვირდებით, „თუშური გარმონი“ საგრძნობლად განსხვავდება ტრადიციული „აკორდეონისაგან“.

დასასრულ, მინდა მოვუწოდო დიდებული ქართული საცეკვაო ფოლკლორის ყველა ქომავსა და ჭირისუფალს: ქართულ მუსიკალურ ინსტრუმენტებზე, ეროვნულ საკრავებზე დააფუძნეთ ქართული ცეკვების საშემსრულებლო ხელოვნება.





## არა ორიგინალი, არამედ თარგმანი

### ახალი მოსაზრება

1987 წელს გამოვიდა ილიას თხზულებათა I ტომი. აქ დაბეჭდილია სენტიმენტალური ლექსი „მოთქმა საწყლისა“. ამ ლექსზე ჭაბუკი მოშაირის მუშაობა დაახლოებით დაემთხვა მამამისის გარდაცვალებას და მკვლევრები ტექსტს მაინცდამაინც ამ ამბავს უკავშირებენ. კომენტარებში (გვ. 523) უცნაურ რასმე ვკითხულობთ: თუკი შინაარსს დავეყრდნობით და ვირწმუნებთ, რომ მასში ასახულია რეალობა, მაშინ დაწერის თარიღის ფართო არეალი (1840-1850) უფრო დავიწროვდებოდა: ის დაიწერა 1852 წლის მერე, როცა ილია მამითაც დაობლდაო.

მოგვიანებით ეს იდეა გაიზიარა გურამ შარაძემაც.

უფრო საგულისხმოა კომენტარის მეორე ნაწილი:

„მაგრამ ლექსის ასეთ ბიოგრაფიულ ინტერპრეტაციას ადვილად შესაძლებელია შეცდომაში შევეყვანეთ, რადგან ამ ლექსში ისეთი ფაქტებიც არის წარმოსახული, რომლებიც ილიას ცხოვრებაში არასდროს მომხდარა, ასე მაგალითად: ილიას ყრმობის პერიოდში არ ყოფილა მომენტი, რომ მას არ ჰყოლოდა „შემნახავი“, არ ჰქონოდა სახლ-კარი თუ თავშესაფარი და ლუკმაპურის სათხოვნელად „კარკარ“ დასჭირვებოდა სიარული“.

მეც მანდა ვარ!

კომენტარის მეორე ნაწილი ცამდე მართალია, ხოლო ამ ლექსს არავითარი კავშირი არ აქვს 1852 წელსა და ავტორის მამის გარდაცვალებასთან.

მოკლედ მოვჭრათ: გერმანელმა სანტიმენტალისტ-პროზაისტმა ლუდვიგ ულანდმა დაწერა „ბოსიაკური“ ლექსი „Das lid“ („სიმღერა“); უსახლკარო, ზოგან „ბოსიაკი“ უთავბოლოდ დაეხეტება; ხედავს სხვის სასახლეებს, ქონებას, სიმდიდრეს, მაგრამ გულში ბოღმა და შური მაინც არ უჭაჭანებს. ის იმითაც კმაყოფილია, რომ საიქიოში ერთნაირად მიიღებენ მასაც და მდიდარსაც.

ეს ტექსტი გადმოიღო რუსმა მგოსანმა ვასილი ჟუკოვსკიმ. მას ეწოდება „Песня бедняка“. ჟუკოვსკის საქართველოში აღმერთებდნენ. განსაკუთრებით მოსწონდა იგი გრიგოლ ორბელიანს. შემთხვევითი როდია, რომ „სადღეგრძელო“ რუსი ავტორის პოემის ქარგაზეა აგებული; თვითონ გრიგოლმა მიაწერა მას:

„წაბაძვა ჟუკოვსკისა“.

მითითებული სანტიმენტარბი ლექსი ჟურნალ „ცისკრის“ მკითხველთ ძალიან მოსწონდათ, რაკიდა 1850-1860-იანი წლების ქართველ



საზოგადოებაში სანტიმენტალური გრძობიერება სჭარბობდა.

ამიტომაც შემთხვევითი როდია, რომ მითითებული ტექსტი სულ ცოტა სამმა ქართველმა მაინც გადმოიღო. ლიტერატურის ერთმა მოყვარულმა თავისი თარგმანი დაბეჭდა „ცისკრის“ სწორედ იმ ნომერში, სადაც გრიგოლ ორბელიანის რამდენიმე ტექსტიც იყო მოთავსებული. ეტყობა, ამან უბიძგა გრ. ორბელიანს, რომ შესდგომოდა „პესნია ბედნიაკას“ თარგმნას. ამ მცდელობის შედეგია „მუშა ბოქულაძე“.

ძირითადი იდეა აქაც იგივეა: მართალია, მე არაფერი მაბადია, სხვებს ყველაფერი აქვთ, მაგრამ გულში შური და ბოროტება მაინც არ მიდუღს. იქ, „მუნ“, ხომ მაინც თანასწორი ვიქნებით. ეჰ, ძმავ, წადი შენ შენს გზაზე

და მე ჩემს ბარგს როგორმე იქ მოვიხსნი, სადაც ვიქნებით თანასწორნი – საუკუნოს განსასვენსა ალაგსა!

მესამე ავტორი, რომელმაც ამ ლექსის გადმოწერა სცადა – ეს გახლავთ ჭაბუკი ილია. როგორც ჩანს, მას წაუკითხავს „ცისკრის“ ის ნომერი, რომელშიც ჟუკოვსკის ქმნილების თარგმანი იყო გამოქვეყნებული და სურვილი აღძვრია, თავადაც ეთარგმნა იგი.

მამასადამე, „მოთქმა საწყლისა“ გახლავთ არა ორიგინალური, არამედ გადმოკეთებული, თავისუფლად თარგმნილი „პესნია ბედნიაკა“.

სხვათა შორის, ამგვარად გადმოკეთებული ლექსები ილიას სხვაც ბევრი აქვს. მაგალითად: „მიბაძვა ჰეინესი“; „სიხარული“ (მიბაძვა) და სხვა.

## **GURAM GVENETADZE**

### **TRANSLATION AND NOT ORIGINAL**

#### Summary

Scientists think that Ilia Chavchavadze's "Lamentation of the Poor" is an original autobiographic poem. That is why they were surprised when in Georgia they met people complaining about homelessness, poverty.

The problem can be solved if we consider this creation as the translation or adaptation of Ludwig Uhland's "Song".

The author thinks that Grigol Orbeliani's "Musha Bokuladze" (Worker Bokuladze) was created according to Uhland's text.





## *giorgi (iuri) bibil eiSvil i*

### ცხოვრების გაკვეთილები\* (წერილი მეექვსე)

საქართველოს სახალხო მწერლის რევაზ მიშველაძის ნოველების მკითხველზე გამაკვეთილშობილებელი ზემოქმედება მწერალმა და პუბლიცისტმა ნოდარ კობერიძემ დამსახურებულად შეადარა მსოფლიოში ცნობილი ამერიკელი მწერლის ო'ჰენრის შემოქმედების ძალმოსილებას. „ყმაწვილობიდან, – წერს ნოდარ კობერიძე, – მიყვარდა შესანიშნავი ამერიკელი მწერალი, ო'ჰენრი მისი თავისებური ნოველები, რომელნიც ადამიანური სიტბოთია აღსავსე და სიკეთის მაღლით გამთბარი. არაჩვეულებრივი საკითხავია და საამო სიტკბოს გიტოვებს. ერთხელ რევაზ მიშველაძის ნოველები ჩამივარდა ხელთ და, ჰოი, საოცრებავ, ჩემში უცბად გააცოცხლა მივიწყებული კალიდოსკოპური მრავალფეროვნება, რომელსაც არც კი მეგონა თუ ოდესმე კლავავ გადავაწყდებოდი. მას შემდეგ როგორც ათასობით სხვა, მეც რევაზ მიშველაძის მკითხველი ვარ“.

ეს ფაქტი ქართველი მწერლის დიდი აღიარებაა, ხოლო მისი ოცდახუთტომეულის VI ტომი მისი საუკეთესო დადასტურება.

VI ტომის ნოველები გამოირჩევა თემატური მრავალფეროვნებით.

რევაზ მიშველაძის ხუთასზე მეტ ნოველაში ხუთასზე მეტი განსხვავებული თემა, გმირი და ხასიათია გადმოცემული. ნოველაში „შუქი“ მწერალი სპეციალურად გამოხატავს თავის დამოკიდებულებას სანოველე მასალის, თემის შერჩევისადმი და წერს: „ყველაფერზე ხომ არ შეიძლება ნოველები ვწეროთ“. ამ საკითხს სხვა ადგილზეც უბრუნდება მწერალი და დასძენს: „ჯერ თავისთავად შუქის გამორთვა პატარა საქმე არ გახლავთ, მაგრამ ნოველა მხოლოდ და მხოლოდ ასეთ უწყინარ თემაზე რომ არ დაიწერება, ავტორი შეეცდება შეძლებისდაგვარად დაგარწმუნოთ“.

VI ტომის ნოველები ცხოვრების საუკეთესო გაკვეთილებს სთავაზობს მკითხველს. მხედველობაში გვაქვს უკიდურესად კრიტიკულ სიტუაციაში პიროვნების სულიერი წონასწორობის შენარჩუნების, საკუთარი პიროვნული ღირსებების დაცვის სიმძნელები. ბევრი დიდი მსხვერპლის ფასად ახერხებს ამ სიმძნელების დამლევას, მაგრამ ისე ვერა, როგორც ნო-

\* ბატონი გიორგი (იური) ბიბილეიშვილის ეს წერილი წარმოადგენს ერთ თავს ვრცელი მონოგრაფიისა, რომელსაც ავტორი უძღვნის რევაზ მიშველაძის დაბადების 75-ე წლისთავს (რედ.)

ველა „უწევო ბუხარის“ პერსონაჟმა მინაგო ქვაჭრელიძემ შეძლო და ბოლომდე დარჩა საკუთარი პიროვნული ღირსებების, ქართული ეროვნული ტრადიციებისა და ა.შ. ერთგული.

ნოველის თემად შერჩეულია XX საუკუნის 20-30-იანი წლების ქართული სოფლის ბოლშევიკური კოლექტივიზაციის ტრაგიკული მოვლენებით აღსავსე პერიოდი. მინაგო ქვაჭრელიძე ერთ-ერთი გონიერი, ღონიერი მეურნეა სოფელში. ის ღირსეულად უვლის ოჯახს და ავტორიტეტით სარგებლობს თანასოფლელებს შორის. მაგრამ მოშურნეს და მოშულარს რა გამოლევს ქვეყანაზე და ერთმა მეზობელმა დაასმინა რაიონის ხელისუფლებაში – მინაგო ქვაჭრელიძე სხვისი შრომის მისაკუთრებით ცხოვრობსო. ეს, რა თქმა უნდა ეს, ასე არ იყო, მაგრამ ხელისუფლებამ მინაგო ქვაჭრელიძე მაინც გააკულაკა, რაც იმას ნიშნავდა, რომ მას ჩამოერთვა საცხოვრებელი ოდა სახლი, უღელი ხარ-კამეჩი, და როგორც ამ შემთხვევაში იტყვიან, მიწასთან გაასწორეს მუყაითი და მშრომელი გლეხკაცი.

სოფლის კრება, რომელიც მინაგო ქვაჭრელიძისთვის ამისთანა უბედურებით დამთავრდა, გვიან სადამომდე გაგრძელდა. უკუნ ღამეში და უამინდობაში ცხენით უკან დაბრუნება რაიონულ ცენტრში შეუძლებელი იყო და რაიონის მილიციის უფროსი ჩაკვეტაძე და კომუჯრედის მდივანი პორფილე ღამის გასათევად იქვე დარჩებიან საბჭოს თავმჯდომარის კაბინეტში. არც ვახშამი, არც თბილი ბუხარი მათთვის არ არსებობს და წარმოდგენა არა აქვთ, რა გაათენებს წლის ღამეს ასეთ ვითარებაში. ამ

სიტუაციაში მწერალს ნოველაში შემოაქვს ქართული სტუმარ-მასპინძლობის თემა და საკუთარ თავთან ფიქრში კომუჯრედის მდივან პორფილეს ათქმევინებს: „ჩვენებურ კაცს სტუმრის ყურადღება კი არ ესწავლება, მარა, რა კარგ საქმეზე ჩვენ ვიყავით, რომ თანგადაგველოდნენ და პურმარილი გაეშალათ“. მაგრამ მაინც, ძალი რომ გარეთ არ გაიდგება, იმისთანა ღამეში, კარზე გაისმა კაკუნი და სწორედ გაკულაკებული და ფაქტიურად რაიონის ხელისუფლების მიერ ოჯახდაქცეული მინაგო ქვაჭრელიძე ეახლა შიმშილისა და სიცივისათვის განწირულ მის დამაკვევარ მილიციის უფროს ჩაკვეტაძეს და კომუჯრედის მდივანს პორფილეს. ქვაჭრელიძე ნამქერს ტალავარწარბებიანად გაუთოშია და გაუთეთრებია. ყინულივით გაჩიკინებულ მარჯვენა მკლავზე კალანჩაჟა ჰკიდია. ჩათოვლილ კალანჩაში მრგვალად მოხარშული დედალი, მჭადები, ყველი, მყავე კიტრი და დოქით ღვინო აქვს ჩაწყობილი. მარჯვენა ხელში ღვედით შეკრული საბანიც უჭირავს. ცივ ღამეში გადასაფარებელიც არ დავიწყებოდა ქვაჭრელიძეს. რომ მოითქვა სული, წითელი ჭარხლისფერი ხელები სულის შებერვით გაითბო და თქვა: „ვიცოდი, მშიერს დაგტოვებდნენ ეს ქარიხვეტიები. შეშაც გამოგლევიათ. მომიკვდეს თავი. ჩემს სახლში რომ ამბავია, იმნაირი მისცემოდეს თქვენს დამაწყევარს; არ დამძრახოთ სახლში რომ ვერ შეგიპატიჟეთ. ქრისტეს ტირილია ჩემთან. მაგრამ მაინც გამოვაცხოზინე ჭადები. ეგებ წაიხემსოთ ცოტა. თქვენი რა ბრალია, ბედი მქონია ამნაირი. გოუხმობს მარჯვენას და დოუკარგავს თვალის ჩინს,

ვიცი მე, ღმერთია თუ განგება, ჩემს ამ დღეში ჩამყენებელს“. ქვაჭრელიძემ თბილი მჭადები, მოხარშული დედალი, ახალი ყველი, მყავე კიტრი, დოქით ღვინო სუფთად და კოხტად გაშალა სუფრაზე.

არსებულ სიტუაციაში მინაგო ქვაჭრელიძისაგან გამოვლენილი ქართველი კაცის ეს მასპინძლური ყურადღება იმდენად მოულოდნელი იყო ჩაკვეტაძისა და პორფილესათვის, რომ პირველად ცხოვრებაში მინაგო ქვაჭრელიძის მოტანილ ღვინოს უსადღეგრძელოდ სვამდნენ, რადგან არაფერი ჰქონდათ სათქმელი.

მინაგო ქვაჭრელიძე ამაღლდა თავის უბედურებაზე, შეინარჩუნა სულიერი წონასწორობა, ქართველი კაცისათვის დამახასიათებელი მასპინძლობის წმინდა წესი და ბოლომდე შეინარჩუნა საკუთარი ღირსება.

ამის შემდეგ ალბათ, წარმოუდგენელიც კია მხატვრული ნაწარმოებით მკითხველში გამოწვეული კათარზისის უფრო სრულყოფილი გადმოცემა სიტყვის მეშვეობით, მაგრამ მწერალმა ეს შეძლო და მკითხველს სიცოცხლის მანძილზე ემახსოვრება მინაგო ქვაჭრელიძის კაიკაცობის ამბავი.

პიროვნების პირადი ღირსების დაცვისა და გაფრთხილების თემას არა მხოლოდ ეთიკური ღირებულება აქვს მილიონობით მკითხველის ზნეობრივი აღზრდისათვის, არამედ ამავე დროს უაღრესად დიდი ესთეტიკური ღირებულებაც. არაფერია ამ ჩვენს უკიდევანო სამყაროში იმაზე უფრო მშვენიერი სანახაობა, როგორც ღირსებებით სავსე ადამიანი. ამიტომ, ბუნებრივია, მწერალი ამ თემაზე ფიქრს არ ამოწურავს (ვერც

ამოწურავს!) ერთი და ორი ნოველის დაწერით.

პიროვნების პირადი ღირსების დაცვას მწერალი თითქმის ყველა თავის ნაწარმოებში შეახსენებს მკითხველს, მაგრამ ნოველა, „ემიგრანტი სალვადორე მანაგო“ განსაკუთრებით გამოირჩევა. ნოველის მთავარი პერსონაჟი სალვადორე მანაგო (ემიგრანტობამდე სანდრო მანაგაძე) ვიდრე სამშობლოში დაბრუნდებოდა, წამების ხანგრძლივი გზა გამოიარა. ლუკმა-პურის საშოვნელად სამსახურის პირობებს არ ერიდებოდა. გერმანიაში გამოვლის დროს ერთ გერმანელ ფერმერს მიადგა კარზე – სამუშაო მომეცითო. ეს ფერმერიც ეძებდა ღონიერ და გონიერ მიწის მუშას, მაგრამ ძველი, უკვე მოხუცებული მუშის გათავისუფლების შემთხვევაში. თითქმის ყოველდღე შეახსენებს ფერმერს თავის მეუღლე: გავუშვათ ეს ბებერი, მაინც არ შეუძლია და ეს მივიღოთო, მიუთითა სალვადორე მანაგოზე. მაგრამ სანდრო მანაგაძე უარყოფს ასეთ შემოთავაზებას: „მე ისეთი ქვეყნიდან ვარ, სადაც მოხუცებს დიდ პატივს სცემენ. ამ კაცისათვის წართმეული ლუკმა მე არ შემერგება“. ქართველი კაცის ამ დიდსულოვნებამ, რაც პირადი ღირსების გაფრთხილებიდან მომდინარეობდა, გარდამქმნელი ზემოქმედება იქონია გერმანელ ფერმერზე და ქართველი კაცის პიროვნული და ეროვნული ღირსებებით მოხიბლულმა განუცხადა: „შენ კაცი ჩანხარ, გღებულობთ სამუშაოდ და არც ამ მოხუცს გავაგდებთო“.

პიროვნების პირადი ღირსების დაცვის პრობლემას სვამს მწერალი ნოველაში „დიოგენი“.

„სიბრძნე-სიცრუისა“ უნდა გვეწოდებინა ნოველისათვის „დიოგენი“, რომელიც შესრულებულია მხატვრული ასახვის ალუზიის ხერხით და რომლის ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟი გოგიტა ჩიტაია, მითიური დიოგენის მსგავსად, კაი კაცის აღმოჩენაზე მუშაობს.

გოგიტა ჩიტაია საბჭოთა ეპოქის დიოგენია. ის საბჭოური ცხოვრების დეტალებს ახმოვანებს და ამბობს: „მთელი ცხოვრება ვასწავლით კაცს ქურდობას და კარგად რომ ისწავლის, სწორედ მაშინ წავუჭერთ ყელში ხელს, ვინ გასწავლა, საიდან შეითვისე ეს მურტალი საქმეო“.

საბჭოური ხანის დიოგენი გოგიტა ჩიტაია სიბრძნეს დადადებს, როცა ამბობს: „გადავეჩვიეთ ერთმანეთის მოფერებას და პატივისცემას. არ ვიცი, რამ მოიტანა ეს ამბავი, მარა ძალიან გავუტურამგელდით ერთმანეთს. რაც დრო გადის უფრო და უფრო ძნელი ხდება ავი კაცის კარგისგან გამიჯვნა. რა დახვეწილი ნიღბებით დააბიჯებენ მგლები ცხოვართა შორის. ცუდ გუნებაზე მაყენებს აგერ, ჩემ გვერდით რომ კაცი ცხოვრობს და ერთ მშვენიერ დღეს რომ გამოგიცხადებენ, ჟულიკი აღმოჩნდაო. ძალიან ბევრი დამნაშავე ხომ არ დავგროვდით-მეთქი, ხანდახან ვეტყვი ჩემს თავს“ გუშინ ის ამას იჭერდა და ასამართლებდა. იმ გამსამართლებელს კი დღეს, სრულიად კანონიერად, თვით ასამართლებენ. ეს რატომ ხდება, იცი? ბევრმა დაივიწყა, რომ ერთი ანგარიშის ჩაბარება და სამსჯავროზე ერთი წარდგომა, თუ გინდა, ერთი განკითხვის დღე – ყველას ელის. ყოველდღე იმდენი უსიამოვნო ამბავი მესმის, იმდენი ავაზაკი

ტრიალებს ქვეყანაზე, რომ წესიერი კაცი სანთლით სამეზარი გახდა“.

საბჭოთა დროის დიოგენი – გოგიტა ჩიტაია, ოპოზიციაში უდგას საბჭოთა ხელისუფლებას და აცხადებს: „რაკილა ბრძნული თვალი არ ადგას ქვეყანას, მე გადავეწყვიტე მართალი ადამიანების ლაშქარი შევექმნა და მათს აღმოსაჩენად ასეთ მულამს მივაგენი. რაღა ქურდობაზე და სიგლაზე იყოს, ეწეროს ქართველი კაცი კაი საქმეზე... კაი კაცის აღმოჩენაზე ვმუშაობ. ჩემი ფანარი ასეთია: დავდივარ ამ ქვეყანაზე მიამიტი კაცის ნიღბით და ხალხს საგმირო საქმეების ჩადენის პირობებს ვუქმნი. ძნელი არ არის, მარა არც მთლად იოლი საქმეა“. მაგალითად, ერთ დღეს გოგიტა ჩიტაია სახალხო მატარებლის მემანქანეს ვარდენ მამაკაიშვილს ლიანდაგზე დაუწვა, ვარდენმა ივაჟკაცა და დროულად გააჩერა ლოკომოტივი და სიკვდილს გადაარჩინა განწირული მოქალაქე. ამის გამო ვარდენს მიანიჭეს „საპატიო რკინიგზელის“ წოდება და სადგურის უფროსმა დიდი პატივისცემით გადასცა საპატიო რკინიგზელის სამკერდე ნიშანი. გაზეთის ფურცლებზე დაიბეჭდა ვრცელი წერილი „შემთხვევა“ და ჟურნალისტმა დაწვრილებით აღწერა მემანქანის ვაჟკაცობა, მოხერხებულობა. გაზეთში დაიბეჭდა ვარდენის ფოტოსურათიც. საზოგადოებამ გაიცნო ვარდენი, როგორც ვაჟკაცი მემანქანე და ღირსეული პიროვნება. ყველაფერი ეს კი გოგიტა ჩიტაიას ხელოვნურად დადგმული სცენა იყო. აქედან იწყება ამ წამოწყების სიცრუე. მწერალი თვლის, რომ ზნეობრიობა და ვაჟკაცობა პიროვნების სულიერი თვისება უნდა იყოს. კაი კაცი კარგ

საქმეს სახელის მოხვეჭისათვის არ უნდა აკეთებდეს. ვარდენ მამაკაი-შვილმა, ვისაც გოგიტა ჩიტაიას აფიორამ სახელი და პატივისცემა მოუხვეჭა, სიმართლის შეტყობის შემდეგ თავი შეურაცხყოფილად იგრძნო. აბა, არაფრისათვის, მაიმუნობისათვის მივიღე ეს ჯილდოც და სახელიც? რათ მინდოდა თვარა, კი!" საკუთარი ადამიანური ღირსების დონეზე მდგომი ვარდენ მამაკაიშვილი მალლა აღმოჩნდა დიოგენის – გოგიტა ჩიტაიას კეთილგანზრახვაზე და ნოველას მიანიჭა ცხოვრების დიდი გაკვეთილის მნიშვნელობა.

პიროვნების პირადი ღირსების დაცვის პრობლემას დასტრიალებს თავს მწერალი ნოველაში „ხიზანი?!“

სათაურში კითხვა-მახილის ნიშანის დასმით მწერალი უკვე მიგვანიშნებს, რომ ხიზნობა სასურველი მდგომარეობა არ არის. ნოველის მთავარი პერსონაჟი აფხაზეთიდან დევნილი როსტომ შამუგია, რომელიც თავშესაფარს ეძებს გაჭირვებას არ თვლის ყველაფრის გამართლებად. „მე სინდის-ნამუსიანი კაცი ვარ. არ შემძლია, ბატონო, მიჭირსო, ექვსი სული მიემატოს სხვას, საკუთარი მძაც რომ იყოს, იმასაც ყელში ამოუხვალო“. ამიტომ ცდილობს თავისი ცოლ-შვილით საკუთარ გაჭირვებას თავად გაუმკლავდეს, ოღონდ სხვისი სარჩენი არ იყოს.

როსტომ შამუგია თავისი ცოლ-შვილით ერთმა ღირსეულმა კახელმა გლეხმა შეიფარა პირველ დღეს. მეორე დღეს სამეზობლო შეიკრიბა და იმსჯელეს, სად შეესახლებინათ ლტოლვილები. შეასახლეს მამინაშვილის თითქმის მიტოვებულ სახლში, დროებით. მეორე დღესვე ამოდ-

რავდა დიდებული ქართული სული – მთელი სოფელი მათ დასახმარებლად დადგა ფეხზე. ზოგმა ნაჯახი მოუტანა, ზოგმა სასხლავე: გობი, თიხის ჯამები, ქვიჯა და ქვასანაყი, ნემსი და ძაფი, დოქი, გრაფინი, ტანსაცმელ-ფეხსაცმელი, თოხი და ბარი, წალდი, ჩაქუჩი. ერთმა ფანდურიც მოუტანა. ერთმა მეზობელმა შაქრო მამინაშვილმა ორასი ძირი ვენახი მიუზომა, მოუარე და შენი იყოსო.

ასე დაწვრილებით იმიტომ აღწერს მწერალი სოფლის თანადგომას გაჭირვებულისადმი, რომ ლტოლვილებს ფსიქოლოგიურად თავი უზრუნველყოფილად ეგრძნოთ. მაგრამ ეს არ იქნებოდა ღირსეული ცხოვრების მოწყობის საშუალება. როსტომ შამუგიას არ მიუღია ეს დახმარება ღირსეული ცხოვრების მოწყობის საშუალებად, პირიქით: ის საკუთარი შრომით ცდილობს დაიმკვიდროს თავი ამ სოფელში „ჩავები მიწის საქმეში. ამათთან სირცხვილს როგორ ვჭამდი, დღე-ღამეს ვასწორებდი. ორ წელიწადში ისეთი მეურნე-მევენახე გავხდი, რომ შენი მოწონებული. შარშან მთავრობამ საკარმიდამო ნაკვეთი მომიზომა, კომლად მიმიღეს, პატარა სულს მოვითქვამ და გაზაფხულზე ქვიტკირის სახლის მშენებლობას დავიწყებ: თბილისში რომ დავრჩენილიყავი, ასანთი და საპონი უნდა გამეყიდა მეტრო „დელისის“ ჩასასვლელთან და მეწვრილმანე ჩარჩის დამცირებული ცხოვრებით მეცხოვრა. ახლა კახეთში კაცი მქვია, მოსახლე მქვია, ჩემს ბუხარშიც ამოდის კვამლი“. ალბათ, ძნელია უფრო შთამბეჭდავი ცხოვრების გაკვეთილის შეთავაზება მკითხველისათვის, მთავარია, პიროვნება თვალისჩინი-

ვით უფრო ხილდებოდეს პირად ღირსებას, ასეთ შემთხვევაში იტყოდა გენიოსი ვაჟა: „ის კი არ არის ბიჭობა, სხვა გამაგრებდეს, ჰმაგრობდე. ბიჭს მაშინ დაგიძახებდი, თავისთავადა ჰმაგრობდე“.

საკუთარი ადამიანური ღირსების დაცვისა და გაფრთხილების საინტერესო მოტივებს ავითარებს მწერალი ნოველაში „პატიმარი გერგაია“.

პატიმარი ნათელა გერგაია პრეზიდენტის შეწყალებით ციხიდან გასვლაზე უარს აცხადებს, რადგან პრეზიდენტისათვის შეწყალება არ უთხოვია.

– ესე იგი, არ აპირებთ გასვლას? – შეეკითხა ციხის უფროსი.

– გარეთ რომ რამე შეცვლილიყო, გავიდოდი. საქართველოსთვის სასურველი ხელისუფლება რომ მოსულიყო, ციხის კედლებს გავანგრევდი და შევეგებებოდი... ახლა რომ შეწყალება მივიღო, ეს იმას ნიშნავს, რომ მე დამნაშავედ ვაღიარე ჩემი თავი და ხვალ-ზეგ დანაშაული უნდა გამოვისყიდო. ყველანი შემხედავენ, როგორც შემკრთალს და მუხლებზე დაცემულს.

– მაგრამ შენთვის არც აქ მოყვანა უკითხავთ და არც აქ გაჩერებას გკითხავენ. საკმარისია, გავცე ბრძანება და კინწრისკვრით გაგაგდებენ აქედან.

– ცოტა სიტყვები შეარჩიეთ. „კინწრისკვრით გაგდება“ პატიმარზე ძალადობას, შეურაცხყოფას ნიშნავს. რაც კანონით ისჯება. მე სისხლის სამართლის კოდექსს თქვენზე ნაკლებად როდი ვიცნობ.

– მოკლედ... თქვენ თავისუფლება გინდათ თუ არა?

პატიმარმა ამ კითხვაზე გასცა პასუხი პატიმრისაგან სრულიად მოულოდნელი, მაგრამ ღირსების მქონე პიროვნებისაგან სავსებით მისაღები.

– ასეთ ქვეყანაში არა, მოქალაქე ციხის უფროსო“ ასე მხოლოდ ჭეშმარიტად დიდსულოვანი ადამიანები ფიქრობენ, ასე მხოლოდ სიმართლის მოქმელი მწერლები წერენ.

ნოველაც ასე დიდსულოვანი ადამიანების თვალთ დანახული ბუნებისა და ციხის დერეფანში მიმავალი პატიმრის სურათით მთავრდება: „გარეთ გაზაფხული ფეთქავდა. ჩიტები ფანჯრებს აწყდებოდნენ და საგაზაფხულო ხმაზე ჟღურტულებდნენ.“

პატიმარი ნათელა გერგაია მეოთხე საკნისაკენ მიჰყავდათ.

მიაბიჯებდა დაღლილი, გაცრეცილი, მაგრამ საოცრად ამაყი და გაუტეხელი“.

\* \* \*

მშობლიური კერისადმი ერთგულება ქართველს გამოარჩევს ბევრი სხვა ეროვნების ადამიანთა შორის. მაგ., რუსი ეროვნების მოქალაქეს მსოფლიოს ყველა კუთხეში შეხვდებით, დაქორწინებულია ან სამუშაოს ასრულებს, ან მთელი რიგი მიზეზისა და მიზნების გამო. ქართველი თავის კერაზე მიჯაჭვული მამულიშვილია. ალბათ, ამიტომაც გაჩნდა ქართულ ფოლკლორში ასეთი სიბრძნე. „ჩიტი ცაშია ლამაზი, ქართველი – საქართველოში“.

რევაზ მიშველადის ნოველა „დალატი“ ამ სულისკვეთებით ზრდის მკითხველს.

ნოველის მთავარი პერსონაჟი გელა ქადაგიძე თავის შესაძლებლობე-

ბის ფარგლებში ღირსეულად ემსახურება თავის ქალაქს მის მიერ შექმნილი სახალხო თეატრის მეშვეობით. თვითონ წერდა პიესებს, მუსიკალურადაც თვითონ აფორმებდა და მთავარ როლებსაც თვითონ ასრულებდა. მაგრამ შინაგანად დედაქალაქისაკენაც ეჭირა თვალი. ეს მიზანიც აისრულა და დედაქალაქის ცურტაველის სახელობის თეატრშიც დაიმკვიდრა თავისი ადგილი. აღმოჩნდა, რომ გელა ქადაგიძე ერთდროულად ორ სხვადასხვა ქალაქში ცხოვრობს, რაც საბჭოთა კანონით არ იყო დაშვებული. დაბა უნის ქალაქის აღმასკომის თავმჯდომარემ აუხსნა გელა ქადაგიძეს: „არ შეიძლება, ჩემო გელა, ორ ადგილას ერთსა და იმავე დროს ცხოვრება. არ იცი ვითომ შეენ? დაბა უნი ქალაქია, სოფელი რომ იყოს, საბოსტნე-სააგარაკო სახლად გაგიფორმებდი... ახლა ყელში კი არავინ გიჭერს ხელს. ერთ-ორ თვეში მოიცილე და გაყიდე ის ძველი ოდა. ასე აჯობებს შენთვისაც და მეც გადამარჩენ ამ დავიდარაბას. გინდა გაყიდე, გინდა გაასხვისე, სულაც ჩუქება შეგიძლია, ვისმესთვის.“

ამ სიტყვების მოსმენაზე გელამ ფერი დაკარგა. აღმასკომის თავმჯდომარის რჩევა-დარიგება გელასათვის მშობლიური კერის მოშლას ნიშნავდა. ამას ვერ შეურიგდა ქართველი მამულიშვილის მენტალიტეტის მქონე გელა ქადაგიძე და გადაწყვიტა დაესაჯა აღმასკომის თავმჯდომარე, მაგრამ სხვა ფორმა ვერ მოძებნა და მატარებლის გამცილებელმა ორ ადგილიან კუპეში გელა ქადაგიძე გარდაცვლილი ნახა. „დასჯის სხვა ფორმა ვერ მოუძებნა მან აღმასკომის თავმჯდომარეს ბეგლარ ქვემოკლი-

ძეს – წერს მწერალი. ბეგლარისათვის ქადაგიძის სიკვდილი ოფიციალურად არავის დაუბრალებია, მაგრამ, – დასძენს ავტორი, – მე და თქვენ ხომ ყველაფერი ვიცით, ძვირფასო მკითხველო“.

ახლა მეც უნდა დავდო კალამი და მკითხველთა სახელით მწერალს მადლობა მოვახსენო ნოველის მოულოდნელი, მაგრამ სრულიად ორიგინალური დასასრულისათვის. მეოცე და ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისის ქართულ მწერლობაში ჩვენ ვერ ვპოულობთ მშობლიური კერისადმი უფრო მძაფრ და ნათლად გამოხატულ მამულიშვილური დამოკიდებულების მხატვრულ გააზრებას. ასე მხოლოდ დიდი მამულიშვილი მწერლები წერენ.

რევაზ მიშველაძის მკითხველი ნოველიდან ნოველამდე მოულოდნელობების მოლოდინით ცხოვრობს. ეს გამოწვეულია იმით, ამ ნოველების მთავარი თემა არის რეალური ცხოვრება, რეალური ადამიანური ურთიერთობები თავისი შუქითა და ჩრდილებით. ამიტომ, ბუნებრივია, რომ უნივერსიტეტის სტუდენტებს ეთიკისა და პედაგოგიკის პროფესორები დაბეჯითებით ასწავლიან, რომ ცხოვრების ოქროს წესი ზომიერებაა ყველაფერში და ყოველთვის. ამ იდეას გამოხატავენ თავიანთ რომანებში, მოთხრობებსა და ნოველებში ცხოვრების მცოდნე მწერლები, მაგრამ ეს თემა ჯერ კიდევ არ არის ბოლომდე გადაწყვეტილი. ამაში რუსული მწერლობის კლასიკოსი მწერლების ანტონ ჩეხოვისა და ნიკოლოზ გოგოლის ნაწარმოებების შემდეგ რევაზ მიშველაძის ნოველები „მესტრო“ და „ურვა“ ერთხელ კიდევ გვარწმუნებს.



ნოველა „მაესტროს“ მთავარ პერსონაჟ თეატრის დირიჟორს ერვანდ ქერქამეს ზომიერების ნორმების დარღვევამ ჯერ თავად მას მიაყენა გულისტკივილი და შემდეგ იმათ, ვინც მოხუცს მოხსნილი ავტონომიები დაუბრუნა, ნორმები კი იმისათვის მოუხსნეს, რომ ავტომანქანა მოძრაობის წესების დარღვევით დააყენა პოლიკლინიკის წინ.

ცხოვრებაში ზომიერების დარღვევამ ოჯახი დაუნგრია ნოველა „ურვას“ პერსონაჟებს გერვასისა და ვალიდას.

წლების მანძილზე უდავიდარაბოდ ცხოვრობდნენ გერვასი და ვალიდა. შვილიც ჰყავთ, მეშვიდე კლასის მოსწავლეა.

მაგრამ ერთ დილით, ჩაის რომ სვამდნენ, გერვასიმ გამოუცხადა მეუღლეს: „წავალ მეო, ერთ დღესაც ვერ გავათევ ამ ჭერქვეშო“. ჩაალაგა ჩემოდანში თავისი საცვალ-სამზერი და წავიდა. დაინგრა ოჯახი. შეწუხდნენ ნათესავები, მეგობრები, მათ შორის გერვასის თანაკლასელი ზაურ მაქვამე.

ნოველაში მინიშნებაც არ არის გერვასის ცუდკაცობაზე. მისი მეუღლე ვალიდა კი ღირსებებით სავსე პიროვნება ჩანს. გერვასისთან მოსალაპარაკებლად წამსვლელ ზაურს ქალბატონი ვალიდა ასეთ რჩევას აძლევს: „ისე ნამეტანი ხვეწნას ნუ დაუწყებ. იქნება მართლა აღარ ვუნდივართ. იქნება ასე სჯობია მისთვის, კაცია, თავისი საქმე თვითონ იცის. ჯანმრთელად იყოს და, რა ვქნა ახლა. როგორც არის – არის. ყველაფერს თავისი მიზეზი აქვს“. ეს ჭკვიანი ქალის სიტყვებია, რომელიც ამის გამო პატივისცემას იმსახურებს.

გერვასიც პატივს სცემს თავის მეუღლეს. მაგრამ რატომ არ შეუძლია მეუღლესთან ერთად ერთჭერქვეშ ცხოვრება? ამ შეკითხვაზე გერვასი უაღრესად გონიერ პასუხს იძლევა: „ცოლ-ქმრობა რაღაც სხვანაირი, იდუმალი, საიდუმლოებით მოცული ამბავია და მესამე პირის ჩარევას, განსჯა-გამიშვლებას ვერ უძლებს“.

სამაგიეროდ ეს „მესამე პირი“ ამ ნოველაში არის ცხოვრების მასწავლებელი მწერალი. მან იცის, რომ ზომიერება ცხოვრების ოქროს წესია. ზომიერება ღალატობს გერვასის მეუღლეს ვალიდას. ვალიდა ძალიან ჭკვიანი ცოლია, რომელიც თითქმის არაფერში არ ცდება. ყოველთვის ჩვეულებრივზე უფრო ჭკვიანი ქალია. აღმოჩნდა, რომ გერვასის სწორედ ეს არაჩვეულებრივი გონიერება და ჭკვიანობა უფუჭებს ხასიათს ოჯახში. თავის ამ გაღიზიანებას ასე ხსნის გერვასი, „შეიძლება, კაცო, ყველაფერი იცოდე, ყველაფერი გაანგარიშებულ-აწონილი გქონდეს? არაფერი გეშლებოდეს ადამიანს? შეიძლება ერთხელ არ წაგეჩხუბოს, არ წაგეკამათოს მაინც? ყველაფერი თავის დროზე, ყველაფერი გაუთოვებულ-გატკინებულ იყოს ოჯახში? შენიშვნის მიცემის საშუალება არ უნდა მოგცეს ცოლმა? არ უნდა იგრძნო კაცმა, რომ შენ ოჯახის თავი ხარ, უფროსი ხარ; ხან რაღაც არ მოგეწონება, ხან დაარიგებ, ხან დატუქსავ შენს თანამეცხედრეს. ასეთი მოწესრიგებულობა გამიგონია?... რამ ამიშალა, იცი, ნერვები? ჩემი ცოლის ნამეტანმა, ზედმეტმა დამღლელმა წესრიგიანობამ. ქალი იმისია, რომ ცოტა, სულ ცოტაც არეული უნდა იყოს. დილას რომ გადავხედავდი ლოგინში, ასე მეგონა,

მსოფლიო ცოდნით დაზუზღული მისანი მეწვა გვერდით, ქალი კი არა.

აქ არ შეიძლება არ გავიხსენო მსოფლიო მწერლობისა და პედაგოგიკის კლასიკოსის XVIII საუკუნის ფრანგი მოაზროვნის ჟან-ჟაკ რუსოს შეხედულება ემილის მომავალი მეუღლის სოფის აღზრდის შესახებ. სხვა ღირსებებთან ერთად, რუსოს აზრით, ოჯახის ქალი უნდა აღიზარდოს ქმრის მორჩილების შეგნებითაც. ე.ი. ოჯახში ქმარი თუ მეფე იქნება, მისი ცოლი აუცილებლად უნდა იყოს დედოფალი. ანუ მორჩილი და არა მეორე ოჯახის თავი. ნოველის მთავარი პერსონაჟი გერვასი, რომელიც ამავე დროს მწერლის იდეის მატარებელია, ამბობს: „მეშინია ვალიდას უჭკვიანესი თვალების და მისი დაწყობილი სჯა-ბაასის გახსენებაც კი“. მაგრამ გულახდილი საუბრის შემდეგ ორივე, მწერალიც და პერსონაჟიც, ასკვნის: „რა უცნაური ყოფილა ეს ცხოვრება, ეს უპატრონო“.

მაგრამ მთავარი სათქმელი მაინც ნოველის ფინალშია გამჟღავნებული. „გვიან ღამით დავემშვიდობე მასპინძელს, სხვაც ბევრი რამ ვილაპარაკეთ, მაგრამ ამ ნოველას არაფერს შესძენს და მკითხველს აღარ გადავლლი. ყოველ შემთხვევაში იმ კითხვას... „დაბრუნდება თუ არა გერვასი შინ“ ჩვენი საუბრის გაგრძელებამ ნათელი ვერ მოჰფინა“. ამ კითხვას ნათელი უნდა მოჰფინოს თვით მკითხველმა, ვინც იცის, რომ ზომიერება ცხოვრების ოქროს წესია. ქალს, როგორც მეუღლეს, თავისი მოქმედების ფარგლები და სივრცე აქვს, ქმრის მოქმედებას – თავისი. ორივეს მხრივ ამ ფარგლებისა და სივრცის დარღვევა

დამლუპველად მოქმედებს ოჯახურ კეთილდღეობაზე.

ასე ცხოვრება არ შეიძლება – გვმოდღვრავს ნოველა „კერპი“.

სოფელში ორნიღა დარჩნენ, სხვები ბარში ჩასახლდნენ. დარჩნენ ამბის მთხრობელი და მისი მეზობელი შეთე. „მტერსაც კი მოუკვდება გული თვალჩამქრალი სახლების ცქერითა“. მაგრამ ეს არ აწუხებს შეთეს. ის არ პატიობს ერთადერთ მეზობელს მისი ცხვრის გადასვლას შეთეს კუთვნილ სამოვარზე. ამ შემთხვევის გამო ბერიკაცები გაებუტნენ ერთმანეთს. შეთემ არგანიც კი მოუქნია ერთადერთ მეზობელს (აქ უნდა შევჩერდეთ და გავიხსენოთ ნიკოლოზ გოგოლის შენიშვნა: „მოთხრობაში ყველა პიროვნება სრულად უნდა დაახასიათოთ: („შინელი“). რადგან არ ვიცით ამბის მთხრობელის არც სახელი და არც გვარი, იძულებული ვართ ვილაპარაკოთ „შეთეს ერთადერთ მეზობელზე“. არადა მთელი ნაწარმოების მანძილზე, მეტადრე ამ ნოველის განხილვის პროცესში, ხშირად წარმოჩინდება იმის აუცილებლობა, რომ პერსონაჟი მისი საკუთარი სახელით მოვიხსენიოთ). დიახ, მოუქნია არგანი და რომ არ მოესწრო უკან გადახტომა, გულ-მუცელს შეუნგრევედა, სიტყვით კი უფრო უარესი უთხრა შეთემ: „თუ ცხვარ-ძროხის მოვლის თავი არა გაქვს, აიყარე და გაუშვი აქედან, შენი პატრონი ქვეყანაცაო“. მას შემდეგ უბრად არიან ერთმანეთთან, მაგრამ შეთეს მეზობელი არ კარგავს ზომიერებას და უმეთვალყუროდ არ ტოვებს შეთეს.

ერთ დღეს შეთე ავად გახდა, მაღალი სიცხის გამო ვერც ცეცხლი დაანთო და ვერც საყოლს მიხედა. გა-

კერპებული შეთე მარტოა დარჩენილი თავის გასაჭირთან, მაგრამ მაინც არ ფიქრობს ერთადერთ მეზობელთან ურთიერთობის გაუმჯობესებას. ნოველის მთავარი პერსონაჟი კი პრინციპულად განსხვავებულ პოზიციაზე დგას და ფიქრობს: „ე, მანდ კაცი არ დაიღუპოს. რას მიქვიან წყენა, როცა კაცის სიცოცხლე ბეწვზე ჰკიდია“ და მივიდა შეთესთან დასახმარებლად. თვენახევრის მანძილზე, როგორც იტყვიან, გადაჰყვა შეთეს. უმკურნალა მას და მოუარა მის ცხვარ-ძროხას. ამ ფაქტთან დაკავშირებით მწერალი ავითარებს ფრიად საინტერესო მოსაზრებას: სოფელში მარტოდ დარჩენილი მეზობლები ერთმანეთს უნდა უვლიდნენ, რომ რომელიმე მარტო არ დარჩეს. მარტობა ყველაზე დიდი სასჯელია კაცისა. გამოჯანმრთელებულმა შეთემ კი ვერ დაძლია კერპობა და მის გადამრჩენელ მეზობელს ერთი მადლობაც არ უთხრა. „თუმცა შეთეს მადლობა რად მინდოდა, მე ხომ მარტო შეთეს სიკვდილს კი არა, ჩემს მარტობას, ჩემს სიკვდილსაც ვებრძოდი“. შეთე კი მაინც ბოლომდე უბრად დარჩა თავის გადამრჩენელ მეზობელთან. მწერალი შთაგვაგონებს ასე ცხოვრება არ შეიძლება. ნორმალური ადამიანური ურთიერთობები ვერ ითმენს სიკერპეს. ნორმალური ადამიანური ურთიერთობები ურთიერთპატივისცემას, ურთიერთმიტევებას და დანდობას უნდა ემყარებოდეს, თუ, რა თქმა უნდა, ყოველთვის გვემახსოვრება რომ ადამიანები ვართ.

მარტობას ებრძვის ნოველა „კერპი“, რადგან მარტობა ყველაზე დიდი სასჯელია კაცის.

მარტობის თემას უბრუნდება მწერალი ნოველაში „ჩივილი“.

ამ ფსიქოლოგიურ ნოველაში მწერალი არ იყენებს ირონიულ გამოთქმებს „ღრმად-გაუთხოვარი“. „ქალი-შვილობაგახანგრძლივებული“, სამაგიეროდ ხატავს მარტობის შთამბეჭდავ სურათს მარტობა. ცხოვრების ხალისს უკარგავს ადამიანს. მარტობა იმედს კლავს ადამიანში. მაშასადამე, ადამიანი ტყვედ არ უნდა ჩაბარდეს მარტობას. თუ ეს მარცხი განიცადა ადამიანმა, შემდეგ თავად ეცდება აღმოჩნდეს მარტობის ატმოსფეროში და იტყვის: „ჩანთა კინალამ ავტობუსში დამრჩა, ისე მოვიჩქაროდი, ჩემი ოთახისაკენ. მე შენ გეტყვი, წვრილი ქმარ-შვილი მელოდა, მაგრამ რაღაც მომენატრა. ხომ იცი, ეს ჩემი ოთახი, რა ვიცი, რა მომენატრა, თითქოსდა მარტობაც მომენატრა“.

მწერალი რ. მიშველაძე არ იფარგლებს მარტობის ფაქტის თუნდაც იშვიათი ოსტატობით გამოხატვის ხელოვნებით და ის უფრო ღრმად გვიჩვენებს მარტობით გამოწვეულ ტრადიციულ ცვლილებებს ადამიანის სულიერ სამყაროში, პირდაპირ ვთქვათ, ადამიანის სულიერი სამყაროს გადაგვარებას: „გავთხოვდებოდი, მაგრამ ასე მგონია, ვიღაც წამართმევს ჩემ სიჩუმეს, ჩემ სევდას, ჩემს თავთან მარტო დარჩენის სიამოვნებას“.

მარტობით გამოწვეული ტრაგიკული შედეგები იკითხება პერსონაჟის ამ თვითაღიარებაში: „ჯერ არის და მომსვლელი, დამლაპარაკებელი მენატრება. მოვა სტუმარი და ერთ საათში მწყინდება. მალულად საათზე ვიხედები, როდის წავა-მეთქი.“

ვერ გამიგია, რანაირად ცხოვრობთ, თქვენ ქმარშვილიანები, ასე განზოგადებულად, ასე ხმაურთანა და ნერვებს არ გიშლით ხოლმე სხვის სურვილზე ადგომა, დაწოლა, სამზარეულოში ტრიალი, სხვის გემოვნებაზე ჩართული ტელევიზორი?

შეეჩვევით, მეუბნებიან. ჩემს თავს ჩემზე უკეთ ვინ იცნობს.

ვერა... ვერაფერს ვერ შეეჩვევით.

არა, ასე ცხოვრება არ შეიძლება.

ამაზე შორს მართლობით გამოწვეული სულიერი დეგრადაცია პიროვნებისა, ვერ წავა. ეს ცხოვრების მწარე გაკვეთილია, რომლის გამოვლით უკვე აღარაფერი ისწავლება ცხოვრებაში. გამოვლება, ამ შემთხვევაში, ცოდნის წყაროდ ვერ გამოდგება.

„ჩივილის“ მკითხველს შეხედულებები რეალურ ცხოვრებაზე არსებითად შეეცვლება როცა „დაღლილი ბულბულის“ მთავარი პერსონაჟის ცხოვრების ფილოსოფიას გაეცნობა.

საქართველოს ბულბულის ჰამლეტ გონაშვილის დამკარგავმა დედამ შვილის საწოლში თავის მოკვლა გადაწყვიტა, მაგრამ არ დააცალეს. ბოლოს ცხოვრებამ თავისი გაიტანა და ასაკოვანი ქალი შვილიშვილებსათვის სერზე ადის და ასკილს კრეფს. „ხვალ მეზობელი ქალაქს აპირებს, ბალებს გავუგზავნი-მეთქი, ეგრე ღობე-ყორეს ვედები შვილო. ქალი კი არა კლდე ვყოფილვარ... მრცხვენია, შვილო, დილით საწოლიდან რომ ავდგები, ე დილა მაინც რაღად გამითენდა-მეთქი, მაგრამ მაინც ავდგები, ჩემი სანთელივით ჩამქრალი შვილის ხათრითვინ ავდგები... ხალხს რომ დავინახავ, ასე მგონია, ჩემი ლაპარაკით და ამ ეზოში

ლოღლილთ ჩემ შვილს ვეხმარები-მეთქი... ეწყინება-მეთქი, შვილო, კარი გამოკეტილი და ხმის გამცემი რომ აღარ დახვდეს მის მომკითხავსა“. ამ სიტყვებს ამბობს ქალი, რომელსაც არა მარტო შვილის საფლავი გაუხდია საზრუნავად, არამედ მისი ზრუნვის საგანია შვილიშვილებიც. ვისთვისაა ცხოვრების გვირაბი დახშული? რა თქმა უნდა „ჩივილის“ პერსონაჟისათვის, ვისაც არ შეუძლია „სხვის სურვილებზე ადგომა, დაწოლა. სამზარეულოში ტრიალი, სხვის გემოვნებაზე ჩართული ტელევიზორის მოსმენა და ყურება. საზრუნავის გარეშე ცარიელია ადამიანის ცხოვრება.

\* \* \*

ნოველა „თავსატების“ ავტორმა ორიგინალური გადაწყვეტა მოუძებნა ჯანსაღ ადამიანურ ურთიერთობას, რომელსაც მონატრება ჰქვია და მართლობას ებრძვის (ხუთ-ხუთჯერ) მიაკითხეს ერთმანეთს პერსიონერმა მეგობრებმა ფილიპე ბოლოთაშვილმა და იაკინთე პაპაშვილმა. ერთმანეთს უტოვებენ მოკლე შეტყობინებებს „ვიყავი შენთან“. არ დამხვდით“. ნოველა მთავრდება შეკითხვით: თქვენ როგორ ფიქრობთ, რა უნდა მოიფიქრონ ჩვენმა გმირებმა, ერთმანეთს რომ არ აცდენ, ძვირფასო მკითხველო?”

ეს ამოცანაა, ჩემი აზრით, საკმაოდ რთული შეკითხვაა. მაგრამ მაინც გვგონია, რომ ჩვენი პასუხი მაინც მართალია. ვიდრე ქვეყანაზე ადამიანებს შორის იარსებებს ისეთი წმინდა და მდიდარი გრძნობა, როგორცაა მონატრება, ფილიპე და იაკინთე ამ თავსატეხს თავს ვერ დააღწევენ.

კარგია, რომ ადამიანებს ერთმანეთი ენატრებათ.

ნოველები „მიცვალებულთა გამოცოცხლებელი“ და „შენ რას წაიღებ“ ცხოვრების უმთავრეს კითხვებზე პასუხის გაცემისათვის ამზადებს მკითხველს.

სიცოცხლე თავიდან რომ იწყებოდა მცვალებულისათვის – როგორ წარმართავდა ის თავის ცხოვრებას? მწერალი თვლის, რომ განვლილი ცხოვრების განმეორება და დაშვებული შეცდომების გამოსწორება შეუძლებელია. სიცოცხლის მთავარი ხიბლი ცხოვრებაში პირველი ხნულის სწორად გავლებაშია.

სიცოცხლეში რომ ეგონათ, ერთმანეთისათვის დაუძინებელი მტრები იყვნენ შაქრო ხელაძე და ლეო ჯინჯოლაძე საიქიოში შეხვდნენ და მოიგონეს ზემოთ გატარებული ერთად ცხოვრების ეპიზოდები. მთავარ შეცდომად, ერთი გარდაცვლილი მეორე გარდაცვლილს იმას უთვლის, რომ „შენ სიკვდილისათვის არ ემზადებოდი. ცხოვრება ისე გაატარე, რომ გეგონა სხვები ყველანი უნდა მომკვდარიყვნენ და შენ ცას უნდა გამოკერებოდი“, ორივენი შეთანხმებულნი არიან იმაზე, რომ „მომდურებული კაცი არ უნდა დატოვო თურმე ზევით, თორემ სამოთხეში არ მოგასვენებს“.

ნოველაში „მიცვალებულთა გამოცოცხლებელი“ მთავარმა პერსონაჟმა ლევან ჩხობახემა საკუთარი მშობლები არ გააცოცხლა: „თუ ცოტა ხნით აცოცხლებს ეს წამალი მკვდარს, თუ ცოტა ხნითღა მოაბრუნებს ამ ქვეყანაზე, ღმერთო შეგცოდე, ასეთ შემთხვევაში ღირს გაცოცხლება საერთოდ? რავარი გადასატანია თავიდან ძილში

გაპარული მამაჩემის ნახვა დილით საწოლში. ჩემი თავი ჯანდაბას, დედაჩემს ისევ უნდა დაემართოს ის ვერაგი გრიპი, ისევ უნდა ეწამოს და თავიდან უნდა დაასხას სიკვდილის ოფლმა? გავიმეტო მშობლები რაღაც ორი დღის განმავლობაში მათი ნახვის სიამოვნებისათვის ასე. ვთქვათ, სამუდამოდ აცოცხლებს ეს წამალი, მაშინ? არც მაშინაა სახარბიელო, ჩემს სიკვდილს და დაბერება-დაგლახაკავებას გადაიტანს დედაჩემი? თქვენს ნაცვლად წავსულიყვიო, სიკვდილის წინ არ ამბობდა?

ლევანს არც იმ ოცამდე გაცოცხლებულმა უთხრა მადლობა, რომლებიც ლევანის წამლით წამოდგენ საფლაკებიდან. „გაცოცხლებულთა რაზმი ძეწნასთან წამით გაქვავდა. ლევანს ერთი გამოხედეს და ზურგი უჩვენეს.“

როცა გაეღვიძა, სიხარულის სიტბო ჩაეღვარა სხეულში ლევანს და სიამოვნებით გაიზმორა – „რა კარგია, რომ სიზმარი ყოფილა და მეტი არაფერიო“. მწერალი კიდევ უფრო კატეგორიულ მხარდაჭერას გვთავაზობს ამ იდეისათვის და წერს: „კაცმა რომ თქვას, რა დასასიზმრებელი იყო ყოველივე ეს, ძვირფასო მკითხველო? ეს ნოველა და მისი ფინალი ჩვენ ასე გავიგეთ, მთავარია, სიცოცხლეში სწორად ცხოვრება და საუკუნო სიმშვიდის უდრტვინველად დამკვიდრება.“

პოლიტიკური უზნეობის ტერმინი უნდა შემოვიღოთ ნოველების „მტრედი თავდაღმა ჰკიდია“ და „ოცდაათი სირაქლემას“ წაკითხვით მიღებული შთაბეჭდილებებიდან.

რევაზ მიშველაძის რჩეულ ნოველათა შორის „მტრედი თავდაღმა

ჰკიდია“ მრავალი ღირსებით გამოირჩევა, პირველ რიგში, ეს არის მხილება და დაგმობა ადამიანურ მანკიერებათა შორის ყველაზე დიდი მანკიერების, რაც ამ გამოთქმაში გამოიხატება: „სხვისი და ქვეყნის საქმე, ჩემი საქმე არ არის. ამ მანკიერებას გულგრილობა ჰქვია. პოემა „ღვთაებრივი კომედიის“ ავტორმა ჯოჯოხეთის სიღრმეში ქურდებისა და მკვლელების შემდეგ გულგრილები მოათავსა და თანაგრძნობის არავითარ გრძნობას არ აღუძრავს მკითხველს.

ნოველაში „მტრედი თავდაღმა ჰკიდია“ დახატულია გულგრილი ადამიანების რამდენიმე განსხვავებული სახე, ხასიათი და პორტრეტი. ეს იმდენად გამაღიზიანებელი აღმოჩნდა ნორმალური, საღსალამათი პიროვნებისათვის, რომ სულის სიღრმემდე განიცადა ამ ადამიანების უზნეობა და სულითავადმყოფთა დაწესებულებაში მოათავსეს. „გონს რომ მოვედი, – იხსენებს ნოველის პერსონაჟი, – ხელფეხი ზეწრით მქონდა შეკრული და თავზე ოთხი ექიმი მადგა“.

მწერალს სააშკარაოზე გამოაქვს საზოგადოების გულგრილობის დანაშაულებრივი ხასიათი. ჩვენ სწორედ უზნეობის მხილებას ვხედავთ ნოველაში, სხვები კონკრეტულად საქართველოს ბედისადმი გულგრილობას. ორივე შემთხვევა გულგრილობა დანაშაულებრივი ქცევაა. ზნეობრივი პრინციპებისადმი გულგრილობა ადამიანს დაიყვანს რეფლექსების დონემდე და დააბრუნებს ცხოველთა სამყაროში.

ნოველა „ოცდაათი სირაქლემა“ ლოგიკური გაგრძელებაა ნოველისა „მტრედი თავდაღმა ჰკიდია“. სამწუ-

ხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ საქვეყნო საქმისადმი გულგრილობა უფრო ეადვილებათ ადამიანებს, ვიდრე ზნეობრივი პრინციპებისადმი გულგრილობა. დოცენტმა სიმონ შარიქაძემ ლექციაზე თავის სტუდენტებს თვალსაჩინოდ დაუხატა ჩვენი ჩრდილოელი მეზობლის საქართველოსადმი აგრესიული პოლიტიკური ზრახვების ხასიათი. ლექტორმა შეძლო აუდიტორიაში შეექმნა საკმაოდ ძლიერი ემოციური ფონი და აუდიტორიაში მსხდომი ოცდაათი სტუდენტი თანახმა იყო საპროტესტო მსვლელობა მოეწყო რუსეთის ფედერაციის საელჩოსთან... დაიწყო მსვლელობა აუდიტორიიდან ქუჩაში, მაგრამ პირველი, რამაც განწყობილება გაუფუჭა დოცენტს, იყო ის, რომ ქუჩაში მიმავალი თავისი სტუდენტების სახეზე ვერ ხედავდა დაბომბილი ქართული სოფლების ომალოსა და შატილის ბედით დამწუხრებას, მაგრამ დასაწყისში ამისათვის დიდი ყურადღება არ მიუქცევია. დოცენტს შემფოთება დაეუფლა მას შემდეგ, როცა დაინახა, რომ აშკარად მცირდებოდა საპროტესტოდ შემართულ სტუდენტთა რაოდენობა. საელჩოსთან მხოლოდ ხუთი სტუდენტი დათვალა. ხოლო როცა საელჩოს ტერიტორიაზე შესვლის უფლება მოიპოვა, მის გვერდით არც ერთი სტუდენტი არ აღმოჩნდა. დოცენტი სიმონ შარიქაძე ერთადერთი ისმენდა მორიგის სიტყვებს: „პოქალუსტა, იდიტე პო სვოეი დაროგე, ზედეს პოსოლსტვო, ნეჩევო სმოტრეტ“. მაგრამ სადღა იყვნენ ისინი, ვისაც ზედმეტი ყურადღებით უნდა გამოეწვია საელჩოს დარაჯის უკმაყოფილება.

ნოველა „ოცდაათი სირაქლემა“ მთავრდება სევდიანი ფინალით: „დოცენტმა სიმონ შირაქაძემ მარილები-საგან დამზრალი ხელებით კვლავ მოსასხამის ჯიბე მოძებნა. ერთხელ კიდევ მოატარა მზერა საელჩოს ზებრულ ჯიბურსა და ფედერაციის დროშას შორის, მერე მტკიცე გადაწყვეტილებით ჩაახველა და ისე, რომ გუშაგს არც კი დაშვიდობებია, სამარშრუტო ტაქსების გაჩერებისაკენ გააბიჯა“. მკითხველი რწმუნდება იმაში, რომ ძალიან, ძალიან ძნელია საქვეყნო საქმისადმი ადამიანების გულგრილობისგან გათავისუფლება.

პოლიტიკური ჟანრის ნოველა ზოგადად და განსაკუთრებით რევაზ მიშველადის პოლიტიკური ჟანრის ნოველები გამოირჩევა სინამდვილის მძაფრი რეალობის შეგრძნებით. კითხულობთ რევაზ მიშველადის პოლიტიკური ჟანრის ნოველებს და თქვენ თითქოს ხელთა გაქვთ მიმდინარე მოვლენების მაჯისცემის შემომოწმებელი უნივერსალური აპარატი, რომელიც არა მარტო გუშინდელ და დღევანდელ, არამედ მომავლის მოსალოდნელ პერსპექტივებსაც შეიგრძნობთ. ასეთი შთაბეჭდილება გვექმნება ნოველის „რადა მე გამწირეთ“. კითხვის პროცესში. ამ შთაბეჭდილებას თავისი საფუძველი აქვს. ეს არის თანამედროვე მსოფლიოსათვის სიმშვიდის დამკარგავი თემა – რუსეთის თემა.

რუსეთმა ჯერ კიდევ XIX საუკუნეში დაიმკვიდრა „ევროპის ჟანდარმის“ – ცივილიზებული ქვეყნისათვის არასასურველი რეპუტაცია. მას შემდეგ ორას წელზე მეტი გავიდა – შეიცვალა მსოფლიო წესრიგის დამყარების სამართლებრივი და სამხედრო

პრინციპები, ფორმები და მეთოდები, მაგრამ არაფერი შეიცვალა რუსეთის იმპერიული სახელმწიფო ურთიერთობების ბუნებაში. ამაზე მეტყველებს რუსეთ-საქართველოს 2008 წლისა და 2014 წლის რუსეთ-უკრაინის ომები. მხოლოდ ევროპის ჟანდარმის მიმართ ჩამოყალიბებული საზოგადოებრივი აზრი შეიძლება ამოვიკითხოთ ნოველის მთავარი პერსონაჟის 1956 წლის უნგრეთის ანტისაბჭოთა აჯანყების ჩაქრობის მონაწილე, საბჭოთა არმიის ჯარისკაცის ღვთისო წიკლაურის ამ შთაბეჭდილებებში: „ისეთი ზიზღი რუსეთის მიმართ რომ ამჟღავნებენ უნგრელები, წიგნებშიც არ წამიკითხავს. ყოველდამე უჩინარი ხელით მთელს ქალაქში ყოველ გადარჩენილ კედელზე. ხეზე, ჭიშკარზე ჩნდებოდა წარწერა: «Русские свинии, убирайтесь вон!» ქალი, კაცი, მოხუცი, ბავშვი, სახლშიც რომ „წვეოდი“, უბრალოდ ქუჩაში რომ გვეითხა, შეჩერდებოდა, ზიზღით აგხედავდა და მოგაფურთხებდა... წყალსაც არავინ მოგაწოდებდა. თუ სადმე მოფარებულში მოგიხელთებდნენ, ჩაგქოლავდნენ მაშინვე. რუსეთის ჯარისკაცის მიმართ საყოველთაო ზიზღის გამომხატველია ნოველის პერსონაჟის ეს სიტყვები, გამოხატული ეს სტატისტიკა „ათასორასი კაცი ჩავედით ჩვენი დივიზიიდან უნგრეთში და ოთხასი კაცი დავბრუნდით“.

ამ ნოველაში არის კიდევ ერთი მწვავე პოლიტიკური თემა, რომელსაც ადამიანური თვალსაზრისით, გულგრილად გვერდს ვერ ავუვლით. ეს არის საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის (1941-1945) ვეტერანებისადმი დამოკიდებულების თემა.

იმ ომის ვეტერანს თანამედროვე საქართველოში გულგრილად პასუხობენ: თქვენ საბჭოთა კავშირს ემსახურებოდით. ახლანდელი დამოუკიდებელი საქართველო, მოგეხსენებათ, არ არის საბჭოთა კავშირის სამართალმემკვიდრე და ამიტომ თქვენ წინაშე ანგარიშვალდებული არა ვართ... „საბჭოთა კავშირი აღარ არის, მარა ჩვენ ხომ ვართ, ჯერჯერობით ცოცხლები. ჩვენი დანაშაულია, რომ გავჩნდით ამ ქვეყანაზე და ამ ხნის მოვიყარეთ?... ვინაა ჩვენი პატრონი?“

ცხადია, ეს კითხვა დღეს არ უნდა გაჩენილიყო, თუ მეტი ყურადღებით წავიკითხავდით მეორე მსოფლიო ომის (სსრ კავშირის დიდი სამამულო ომი 1941-1945 წწ.) ისტორიას. ეს იყო მსოფლიო ომი ფაშიზმის წინააღმდეგ. ამ ომში ბრძოლის მოტივმა გაერთიანა ერთ ანტიფაშისტურ ძალად იდეოლოგიურად ერთმანეთთან შეუთავსებელი სსრ კავშირი და ამერიკის შეერთებული შტატები, ინგლისი და საფრანგეთი. ამ ქვეყნებს (აშშ, ინგლისი, საფრანგეთი) ვერც ახლა და ვერც მაშინ ვერავინ ასწავლიდა დემოკრატიის ფასს, მაგრამ გაერთიანდნენ საბჭოთა კავშირთან და ომი გამოუცხადეს უფრო დიდ ბოროტებას – ფაშიზმს. ჩვენი თანამედროვე ვეტერანები იმ მსოფლიო ბოროტების წინააღმდეგ ბრძოლის ვეტერანები არიან, რომელთაც ჩვენი თაობა გულთბილად უნდა ეპყრობოდეს და უფასებდეს ამაგს. ჩვენ ამ სულისკვეთებას ვკითხულობთ რევაზ მიშველაძის ნოველაში „რალა მე გამწირეთ“, კერძოდ, მკვეთრად დასმულ კითხვაში „ჩვენი დანაშაულია, რომ გავჩნდით ამ ქვეყანაზე ამ ხნის მოვიყარეთ?... ვინაა ჩვენი პატრონი?!“

ნოველა „ფრთების“ მთავარი პერსონაჟის – იპიის გუბერნატორის ჰიპიუს მეცხრეს პროტოტიპია ყოფილი საბჭოთა კავშირის მეთაური ლ.ი. ბრეჟნევი.

გუბერნატორი ჰიპიუს მეცხრე ღრმად მოხუცი და ამავე დროს მძიმე ავადმყოფია. ქვეყანაში ხშირად ვრცელდება ჭორი მისი გარდაცვალების შესახებ, მაგრამ ექიმების დიდი მონდომებითა და ოსტატობით ჰიპიუს მეცხრე გარკვეული დროის შემდეგ ისევ გამოჩნდა ტელეეკრანზე ძალად მომღიმარი და წელში საეჭვოდ გამართული. მწერალი სარკაზმის ხერხის გამოყენებით ხატავს გუბერნატორს, რომელსაც იპიის მოქალაქენი სიკვდილის უფლებასაც კი არ აძლევენ. მწერალი წერს: „ბოლო ოცდაათი წლის განმავლობაში გუბერნატორი ჰიპიუს მეცხრე საგრძნობლად მოტყდა და მოხუცდა. რვა ინტერვალით დაბეჭდილ ნახევარგვერდიან მისალმებას ძლივს კითხულობდა, სიარული უჭირდა და ტელეოპერატორები უფრო ხშირად მდგომარეს უჩვენებდნენ. ზეზეულად თვლენა ერეოდა. დანაწევრებული მეტყველების აპარატი მოეშალა და ასოებს კი არა, ზოგჯერ მთელ სიტყვებსაც ყლაპავდა. ხელი უკანკალებდა, ორდენებსა და მედლებს დაჯილდოებულთა გულმკერდზე ადრე რომ თავისი ხელით ამაგრებდა, ახლა უკან მდგარი მისი ჯანმრთელი მდივანი აკეთებდა ამ საქმეს... ასე რომ, იპიელები ხვდებოდნენ, გუბერნატორის სიცოცხლის აღსასრული მოახლოებული იყო“, გუბერნატორის გონებრივ მდგომარეობას კარგად ახასიათებს დავიწყება გარდაცვლილი მეუღლის სახელისა და პირველი მოადგილის სახელის



„გუბერნატორს დილით რვიდან ათის ნახევრამდე უნათდებოდა გონება. ძილბურანში მყოფს მოგონებათა სკივრიდან წარსულის განსაკუთრებით შთამბეჭდავი დღეები ამოჰქონდა. იწვა და, თქვენ წარმოიდგინეთ, ხშირად ილიმებოდა კიდევ“... სახელმწიფოს თავი კარგა ხანია ქვეყნის მართვა-გამგებლობაში ბევრს არაფერს წყვეტდა, მაგრამ რაც არ უნდა ყოფილიყო, მაინც გუბერნატორი გახლდათ და ექიმებს დღეში ორი საათით მაინც სატელევიზიოდ, საჩვენებლად ფეხზე უნდა წამოეყენებინათ“, ამ დეტალების გაცნობის შემდეგ მკითხველი კარგად წარმოადგენს სახელმწიფოს ბედს, რომლის სათავეში ნახევრადცოცხალი და ნახევრადმკვდარი ხელმძღვანელი დგას. ცხადია, ასეთ სახელმწიფოს განვითარების პერსპექტივა არა აქვს და პოლიტიკოსებმა იმ წლებს და ხანას უძრაობის პერიოდი უწოდეს, რადგან სახელმწიფოში გაბატონებული პოლიტიკის შედეგად ახალგაზრდობა ჩამოშორებული იყო საქვეყნო საქმეს. ახალგაზრდობას კი სპეციალურად ბლოკავდნენ, – ჯანმრთელ ახალგაზრდა კაცს, ვინ იცის, რა ფიქრები მოუვა ჯანსაღ გონებაში. ისე შევკარით მეჯლისის კარები, რომ ბუზიც ვერ შეფრინდება. ნიჭიერი და ენერგიული ახალგაზრდები გვყავს, როგორ არა გვყავს, მაგრამ ჯერ კეთილი ინებონ და მოითმინონ. მათი დროც მოვა, ამბობს გუბერნატორი და შემდეგ დასძენს, – მიჭირს, როგორ არ მიჭირს ეს გაუთავებელი მიღებები და შეხვედრები, ფეხზე დგომა, ამ ორდენ-მედლების ჩამორიგება. ვინ ეხვეწებოდათ, ამდენი ორდენი და მედალი რომ ჩამომკიდეს, წელში ვერ

ვიხრები ჩემი პიჯაკის სიმძიმისაგან“. მიუხედავად ამისა ჰიპიუს მეცხრე (ბრეჟნევი) მაინც ჯიუტად იდგა ქვეყნის მართვის საჭესთან, რომელსაც სხვები უფრო მართავდნენ, ვიდრე ჰიპიუს მეცხრე (ბრეჟნევი) ეს იყო პოლიტიკური კრიზისი, რაც სულ უფრო ღრმავდებოდა და რის გამოც უკან მიდიოდა ქვეყნის და ხალხის საქმე. მწერალი თვლის და მკითხველიც გრძნობს, რომ იპიის სახელმწიფოს უბედურებისაგან გადარჩენა გუბერნატორის სიკვდილს შეეძლო. სახელმწიფოს მართვის სისტემას, რომელშიც სიკვდილს გარკვეული ფუნქცია ეკისრება, პერსპექტივა არ აქვს. რევაზ მიშველადის პოლიტიკური ჟანრის ნოველები დიდ სამსახურს უწევს ქვეყანას, რომლის დემოკრატიულ გარდაქმნაზე მუშაობს ქვეყნის ინტელექტუალური ელიტა და არა პოლიტიკური ელიტა ერთი რომელიმე პოლიტიკური პარტიისა.

რევაზ მიშველადის პოლიტიკური ჟანრის ნოველებისადმი მკითხველთა დიდი ინტერესი გამოწვეულია იმით, რომ მწერალი ხშირად მიმართავს მოვლენების აღწერის დოკუმენტურ სტილს. ამის საუკეთესო ნიმუშად მიგვაჩნია გუბერნატორის თვითნაალიზის ეს დეტალი: „შეიძლება არც მეფიქრა გუბერნატორობაზე, იპიუს მერვეს (წაიკითხეთ. ხრუშჩოვი – ი. ბ.), რომ ცოტა ჭკუა მაინც ჰქონოდა. ჩემამდე გუბერნატორი, დასაბმელი გიჟი იყო ცხოვრებული. კინაღამ ამოატრიალა იპია (წაიკითხეთ სსრ კავშირი – ი.ბ.) კინაღამ დაგვსვა შავ პურსა და წყალზე. ეს თუ მივუშვით, დაღუპავს ქვეყანას-მეთქი და დავიწყე ფიქრი გუბერნატორო-

ბაზე, თორემ თავიდან არც პრეტენზია მქონია ამისა და ვერც საგუბერნატორო ჭკუას ვატყობდი, ღმერთო, შევცოდე, ჩემს თავს“.

რევაზ მიშველადის პოლიტიკური ჟანრის ნოველების ცხოველმყოფელ ზეგავლენას მკითხველზე აძლიერებს ისიც, რომ მწერალი გაბედულად ამსხვრევს მხატვრულ ლიტერატურაში პოლიტიკური მოღვაწეების სახეხასიათის მიმართ ჩამოყალიბებულ სტერეოტიპებს. რევაზ მიშველადის პოლიტიკური ნოველის („ფრთები“) მთავარი გმირი, გარდა იმისა, რომ მსოფლიოში უდიდესი იმპერიული სახელმწიფოს მესაჭეა, პირველ ყოვლისა, ის ადამიანია, მისთვის დამახასიათებელი ტიპური ადამიანური თვისებებით.

ასეთი მიდგომა მხატვრობაში პირველად დიდმა რუსმა მხატვარმა რეპინმა დაამკვიდრა, როცა ივანე მრისხანეს სახეს ხატავდა მკვდარი შვილის სხეულის ხელში აყვანის ეპიზოდში. ამ ეპიზოდში ივანე საზოგადოებაში ცნობილი მრისხანე მეფის სახელით, საოცრად გულჩვილი მამის სახით შემოგვცქერის რეპინის ფერწერული ტილოდან. ანალოგიურ შთაბეჭდილებას ახდენს რევაზ მიშველადის გუბერნატორი ნოველიდან „ფრთები“. სახელმწიფოს მართვის პროტოკოლების ჩარჩოებში მოქცეული გუბერნატორი იპიუს მეცხრე ამბობს: „ვინც გუბერნატორობას და ჩემს დღეში ყოფნას ნატრობს, ჭკუათმყოფელი არ არის. ამას მე გეუბნები. უბედური კაცი ვარ მე. ბედნიერი ვინ არის, იცი? ვისაც შეუძლია, როცა უნდა, მაშინ გაიაროს სოფლის შუკაში, ხმელი ბალახის სურნელით დატკბეს, ყაყაჩოები გაირჭოს თმაში,

წყალზე გადებულ მორზე ჩამოჯდეს, ფეხები წყალში ადგაფუნოს და რაც მოესურვება, ის ილიდინოს.

ბედნიერი ვინ არის, იცი? ხალხით გაჭედილ პროსპექტზე ნელა რომ მოაბიჯებს, უცნობ, ლამაზ გონებს რომ უდიმის და ნაყინს მიირთმევს. თორემ ჩემი დღე რა სანატრელია. ძალით მივისაჯე გუბერნატორობა. ჩემს თავს აღარ ვეკუთვნი, ლამის სამი ათეული წელია“...

ამ პასაჟს აძლიერებს სხვა მრავალი, მაგრამ განსაკუთრებით ეს პასაჟი ნოველის მთავარი პერსონაჟის გუნება-განწყობილებისა: „არ მინდა, ბატონო, არც მაგნაირი ჟანგბადი მინდა და არც ძალათ გამხნევება. დამლაპარაკებელი კია, იცოცხლე, კედლებიც გაგცემენ ხმას, მაგრამ ისე აღარავინ გელაპარაკება, შენს სულს რომ უნდა, რაღაცნაირი ცივი, შეშინებული, მორიდებული გესაუბრება ყველა. რამდენი ხანია, გულგახსნილი კაცის ჩივილ-ხითხითი არ მომისმენია“. პერსონაჟის დახატვისათვის აუცილებელი დეტალების შერჩევა-დამუშავებაში შესაშური ენერჯითა და გამაოგონებელი ძალით მუშაობს მწერლის ფანტაზია, ამის გამომკითხველიც დიდხანს დაატარებს, თან ნოველიდან მომდინარე, ცოცხალ შთაბეჭდილებებს, ხოლო თვით ავტორს უხვად უხვეჭს სიტყვების მეშვეობით მხატვარი კლასიკოსის რეპუტაციას.

ნოველა მთავრდება სურათით, რომელშიც ჩანს, რომ სახელმწიფოს თავკაცი, რაც უნდა მაღალი ავტორიტეტით უნდა სარგებლობდეს, მაინც ჩვეულებრივი მოკვდავია იმათგან განსხვავებით, ვინც ქმნის „ვეფხისტყაოსანს“, „მერანს“, „სულიკოს“, „ლურჯა ცხენებს“, „მთაწმინდის

მთვარეს“, „გურიის მთებს“, „საქართველოო ლამაზო“-ს და მრავალ სხვას, ამ იდეას ვკითხულობთ ჩვენ ნოველის ფინალში: „აქამდე როგორ იდგა ფეხზეო“. – ამოიოხრებდნენ იპიელნი, როცა გუბერნატორის სამედიცინო ექსპერტის ამ ეჭვმიუტანელ დასკვნას გაეცნობოდნენ. გაზეთს დაკეცავდნენ, უბეში შეინახავდნენ და შუბლშეკმუხვნილი მიემურებოდნენ თავიანთ იპიურ საქმეებზე“ („ფრთები“). მათ ცნობიერებაში გარდაიცვალა ჩვეულებრივი მოკვდავი, რომლის სიკვდილით ბევრი არაფერი დაკლებია ქვეყანას.

პოლიტიკური ნოველების ციკლში მოვიაზრებთ ნოველას „ფერმის გამგე კარლო“.

მწერალი კარგად იცნობს საბჭოთა საკოლმეურნეო სოფლის ცხოვრებას და მისი შედარებით დასავლეთის თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის პირობებში მოწყობილ შესაბამის წარმოებასთან, მკითხველს სრულყოფილ წარმოდგენას აძლევს ევროპული ცხოვრების წესზე, ეს ნოველა ისეთივე აქტიურ სამსახურს უწევს საქართველოს ევროპული არჩევანის წარმატებით განხორციელებას, როგორც ცნობილი ნოველა „ნელი ნიკურაძე“ (ტომი V).

ნოველის მთავარი პერსონაჟი კარლო ლომთაძე უცხოეთში დაიბადა და მისი ცნობიერება არასდროს არ მოქცეულა კომუნისტური იდეოლოგიის მარწუხებში. კარლო ლომთაძე თავისუფალ მეწარმედ ჩამოყალიბდა და როცა შესაძლებლობა მიეცა სამშობლოში დაბრუნებულიყო, სხვა სამსახური – არადაყოფილ ემიგრანტს სოფელ დობერზენის მემროხობის ფერმის გამგეობა შესთავაზეს,

როგორც მის გამოცდილებას შეეფერებოდა. უენევის მახლობლად კარლოს მემროხეობის საკუთარი ფერმა ჰქონდა და წარმატებითაც უძღვებოდა. ევროპული აზროვნების მქონე კარლო ლომთაძეს, პირველი, რაც არ მოეწონა, ეს იყო საკოლმეურნეო ფერმაში გაბატონებული იყო ფორმალური დამოკიდებულება მთავარი საქმისადმი: „ფერმაში მთელი დღე უამრავი ხალხი ტრიალებდა, ხოლო დილით და საღამოთი, როცა მუშახელი ყველაზე მეტად იყო საჭირო, ფერმის თანამშრომელთა უმრავლესობა სადღაც გაქრებოდა. მწერალი აქ მიმართავს მხატვრული გამოსახვის ხერხს და თვალსაჩინოს ხდის კოლმეურნეობის ფერმაში უსაქმოდ მოხეტიალე ადამიანების მთავარი საქმისადმი გაუცხოების დეტალს. მაგალითად, „კულტმუშაკი, ღრმად გაუთხოვარი ნუნუ მჭადაძე საღამოს ფანდურს დაიჭერდა ხელში და ფერმის ღია ესტრადაზე მარტოდმარტო უძღეროდა მთვარეს. მხოლოდ საბჭოთა საკოლმეურნეო წარმოებაში თუ შეიძლებოდა გენახათ, სადაც ყველას ყველაფერი ევალებოდა გარდა უშუალოდ ძროხების მოვლა-პატრონობის. ეს ფიქრი ცუდ განწყობილებაზე აყენებდა ფერმის გამგე კარლოს, მაგრამ იმედი ჰქონდა, დღეს თუ ხვალ, დასძლევდა ფერმის მუშაკთა ყალბ, მოჩვენებით ენთუზიაზმს და მათს ადამიანურ ენერგიას ფერმის უშუალო საქმეს დაუკავშირებდა. ევროპული მენტალიტეტის მქონე მეწარმეს ვერ გაეგო რა სასწაულის ძალისხმევით ხდებოდა, რომ გეგმა სრულდებოდა მაშინ, როდესაც ფერმაში სანთლით სამებარი იყო ისეთი ადამიანი, სამუნველის ხელში აღებას და ძროხი-

სათვის ბეჭო-ტალახის ჩამოფხეკას რომ არ ითაკილებდა. თითქმის ყველანი გაქცევაზე იყვნენ, ნახევრად იყვნენ სკამზე ჩამომსხდარი, თითქო ფერმაში დროებით შემოველოთ, გადასაჩრდილებლად ქარის ამოსაღებად და ხვალ ყველანი თავიანთ დიდ ასპარეზს გაუტევენ.

მწერალი თანამიმდევრულია საკოლმეურნეო შრომის კრიტიკაში, მისთვის სრულიად გაუგებარი სოციალისტური შეჯიბრება ქართული სოფლის კოლმეურნეობასა და შორეული იაკუტიის სოფელ ჩუქჩუქის მეძროხეობის ფერმას შორის. „ამ სიშორეზე როგორ ვეჯიბრებით, რისთვის ვეჯიბრებით, რა დაგვიშავა, – გულწრფელად და, ცოტა არ იყოს გულუბრყვილოდაც იკითხა კარლო ლომთაძემ.

ევროპული მენტალიტეტის მატარებელი კარლო ლომთაძისათვის, სრულიად გაუგებარი და მიუღებელია ფერმის სიმდიდრის დატაცებანიავეების ის სისტემა, რომელიც ბატონობდა მისდამი რწმუნებულ ფერმაში, მაგალითად, „ერთ კვირაში ძვირფასი სტუმრის პატივსაცემად მეორე ხბო რომ დააკლევინეს და მგლისთვის გადააბრალებინეს ერთ დღეს, კარლო ლომთაძემ აიკრა თავისი ბარგი-ბარხანა და ისე, რომ ფერმის პერსონალს არ დამშვიდობებია, გაეცალა სოფელს. რაიკომის მდივანს კი გულახდილად მოახსენა: „თქვენ აქ სხვანაირი ფერმა გქონიათ. დავიბენი, დასწყევლოს ეშმაკმა“.

\* \* \*

რევაზ მიშველაძის მხატვრული პროზა მდიდარია მხატვრული გამოსახვის ფორმებით.

ნოველის, როგორც მცირე ფორმის პროზაულ ნაწარმოებთა ავტორების თხზულებებში შეგვიძინებია ერთობ თავდაჭერილად, თითქოს ეშინიანთ ზედმეტი არაფერი წამოცდეთო, სურათის, ეპიზოდის აღწერა. ნოველას ვწერთ და ყველაფერი ლაკონიურად უნდა გამოიხატოსო. რევაზ მიშველაძის ნოველები, პირიქით, სწორედ ზუსტი და დაწვრილებითი აღწერებით გვაწონებენ თავს. მაგ., „ოდის ქვევით, ბუხარს მიყუდებული ტახტი მომეზნეს, გამოიტანეს, ცაცხვის ძირას დადგეს, ობობის ქსელები ცოცხით მოაშორეს, ვენახიდან ჩოჩიალით, ხვნიშა-წვალეებით გამოიტანეს მიცვალეული და ტახტზე დაასვენეს. ნიკუშამ სკივრიდან თეთრი, გატკიცინებული ზეწარი გადააფარა. ზეწარი მოკლე აღმოჩნდა, მკვდარს სახე-მკერდი დაუფარეს“ („ცოცხალნი“) „ვერავის გავაგებინეთ, ვითომ ქალბატონო, იკითხა ნიკუშამ და წამოწეულ თეთრ ზეწარზე, მიცვალეულის ცხვირთან დაფრენილ ბუზს ხელი აუქნია“ (იქვე).

მწერალი ყოველთვის ერთგულია თავისი პროფესიული მოვალეობის მიმართ – რაც შეიძლება მკითხველს ვიზუალურადაც ნათელი სურათი დაუხატოს და გარკვეული, თუნდაც ირონიული, განწყობილება შეუქმნას მას: „ერთი საათის შემდეგ ანეტა და ელენე რობინზონის სახლის აივანზე იდგნენ და ჰკიოდნენ. მათი ხმები ერთმანეთს ავსებდა. ერთხარად იკრიბებოდა და ექოდ უბრუნდებოდა ფოთლებაშრიალეულ ბებერ ცაცხვს. თითქოს ერთმანეთს ეჯიბრებიათ, ჰკიოდნენ თმის ამბურძგლავად, ამაზრზენი კვილით. დროგამოშვებით ერთმანეთს გადახედავდნენ, თითქოს

რიტუალს ასრულებენო. სერიოზული და, ღმერთო შეგცოდე, მშვიდი სახეები ჰქონდათ“. მშვიდი სახეები არ უნდა ჰქონოდათ, მკვდრის ჭირისუფალნი რომ ყოფილიყვნენ. ისინი ჰკიოდნენ მხოლოდ იმისათვის, რომ სხვისთვის შეეტყობინებინათ რობინზონის გარდაცვალება.

ნიკუმას ყურთასმენის სისუსტის სურათის დასახატად მწერალი იტყვის: „რა ბრძანეთ ბატონო? ნიკუმამ მარჯვენა ყურს ხელი მოახმარა“ (იქვე).

რევაზ მიშველაძის ნაწარმოებებში განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს მწერლის მუშაობა სიტყვასთან. სიტყვასთან მწერლის მუშაობაზე დაკვირვება გვარწმუნებს იმაში, რომ სიტყვა ისე უნდა შეარჩიოს მწერალმა, რომ მის ადგილზე სხვა სიტყვამ ადგილი ვერ იპოვოს. პირველ რიგში, სიტყვა სავსე უნდა იყოს აზრით და მუსიკით. ზოგიერთი მწერალი სიტყვის გემოზეც კი ლაპარაკობს. ასეთი მიდგომა ახასიათებს მწერალ რევაზ მიშველაძეს. მის ფრაზას, ფრაზაში სიტყვას ოქრომჭედლის ნახელობა ატყვია. ზამთრის სოფელს ასე აღწერს მწერალი: „კუნაპეტი ღამე დასწოლია სოფელს. მიკიოტის ხმა გაფხრეწს კამარას და კიბის ქვეშ მტვრიან ნაბადზე კანკალით მიგდებული ძაღლი შეჰყევს, უბრალოდ, როგორც იმერეთში იტყვიან – უპრაგონოდ, ყოველ შემთხვევისათვის“ („უწევო ბუხარი“) „მძვინვარე დიქტატურის ხანაში მოღვაწე მილიციის უფროსის საქმიანობას კარგად გამოხატავს ეს ფრაზა „მილიციის უფროსი იყო და ცეცხლს აკვესებდა“ (იქვე).

მხატვრული სიტყვის ხიბლი ამშვენებს რევაზ მიშველაძის ფრაზებს. ასე მაგალითად, „იდინა, იდინა წუთისოფლის მდინარემ და მეგობრები სიჭარმაგის სანაპიროზე გაიყვანა, მუხლი რომ დამძიმდება, დრო რომ ჩვეულებრივ უფრო ნელა გადის, მოგონებების კრიალოსანს რომ ხშირად ფურცლავ და ეზოდან გადასვლა რომ გულს მაინცდამაინც არ ეხალისება“ („ცოცხალნი“).

რევაზ მიშველაძის სურათებში ჭარბობს დინამიზმი. ეს არ არის ადვილი, მაგრამ მწერალი მაინც ახერხებს დინამიზმი არა მხოლოდ სურათში, არამედ ცალკეულ სიტყვაშიც კი ვიზუალური გახადოს, „ჟანგისფერ ტალახში ჩექმები ეხლიტებოდა და ნაბიჯის გადადგმა უჭირდა. ხანდახან ჩექმის ძირს ისე მიიკრავდა ტალახი, რომ სიარულის დროს ერთი ზაპან-ტკაპანი ისმოდა. გზადაგზა იელისა და გარეული თხილის ბუჩქებს ეპორწიალებოდა, რომ უკან არ გადასრიალებულიყო. როცა ჩაიღმართა, წამით შეისვენა, შუბლ-კისერი ნაბდის ქუდით შეიწმინდა, მუხლებს ქარი ამოაღებინა და საურმე გზას კი არ ჩაჰყვა, ზემოთ, გაუკვალავში, ბალახ-ბალახ იარა“ (იქვე).

განწყობილების შემქმნელ ატმოსფეროს ქმნის მწერალი არა მხოლოდ ადამიანის, არამედ მწერლის თვალთ დანახული პირუტყვის მოქმედების მართალი სურათის დახატვითაც: „პატრონს მოსვლისთანავე ძაღლმა თავისი მოვალეობა დამთავრებულად ჩათვალა, გატრიალდა და კიბის ქვეშ მიეგდო“ („ცოცხალნი“).

სიმათლის კანონების დაცვით ხატავს მწერალი მინაგო ქვაჭრელიძის სტუმრობის ეპიზოდს სოფლის

საბჭოს თავმჯდომარის კაბინეტში ღამის გასათევად დარჩენილ სტუმრებთან: ამ ეპიზოდში ყურადღებას იქცევს სურათის დეტალების სიმართლე. მინაგო ქვაჭრელიძე საკმაოდ დატვირთული მივიდა სოფლის საბჭოს კაბინეტში თავშეფარებულ მილიციის უფროსთან და კომუჯრედის მდივანთან და ყველაფერი ერთ მარჯვენა ხელში ეჭირა „ყინულივით გაჩიკინებულ მარჯვენა მკლავზე კალანჩხა ჰკიდია ჩათოვლილ კალანჩხაში მრგვალად მოხარშული ქათმის ფეხებს მოვკარი თვალი მარჯვენაში ღვედით შეკრული საბანი უჭირავს“ (უწევო ბუხარი). მეორე, მარცხენა ხელი სრულიად თავისუფალი აქვს. რატომ არ გადაანაწილა ეს ტვირთი ორ ხელზე? ეს ხომ უფრო მართალი იქნებოდა? არა, არ იქნებოდა უფრო მართალი, ღამის წყვედადში სოფლის ორღობის გზით მოძრაობა შეუძლებელი იქნებოდა ორივე დატვირთული ხელით. ერთი ხელი აუცილებლად თავისუფალი უნდა ჰქონოდა, რომ სიარულის დროს ორიენტაცია სწორად დაეცვა და ხელის მოკიდება შესძლებოდა საჭირო საგნებზე, ფეხი რომ არ დასრიალებოდა დათოვლილ გზაზე, სიბნელეში.

\* \* \*

რევაზ მიშველაძე, ჟურნალისტური ტერმინი რომ გამოვიყენოთ, მაღალი რეიტინგის მქონე მწერალი თანამედროვე საქართველოში. მისი ნიჭის თავყვანისმცემლები ხშირად ადარებენ უცხოელ კლასიკოსებს: მაგალითად, „ქართველი ჩეხოვი“. არა, მწერალი რევაზ მიშველაძე არ არის ქართველი ჩეხოვი. ის საკუთარ ორბიტაზე მოქმედი ქართველი მწერალია, ვისგანაც მკითხველი, პირველ რიგში, ქართველი კაცის სახე-ხასიათს, ტრადიციებს, დამოკიდებულებებს ეცნობა. ამ თვალსაზრისით, მისი შემოქმედება ამდიდრებს მსოფლიო ლიტერატურას ქართული ეროვნული ღირებულებებით. ამიტომ ჩვენ სავსებით ვიზიარებთ გამომცემლობა „მაცნეს“ ანოტაციას, რომელიც უძღვის რევაზ მიშველაძის რჩეული თხზულებების ოცდახუთტომეულის თითოეულ ტომს: „მკითხველი ამ ტომების წაკითხვისას ადვილად დარწმუნდება, რომ მწერლის ჟანრულად უაღრესად მდიდარ ნაწერებში ჩანს არა მარტო საქართველოს პრობლემები, არამედ ქართული სარკმლიდან დანახული მსოფლიოც“.





## *naTia daviTul iani*

# პოლიტიკური თანაარსებობის ისტორიული წანამძღვრები საქართველოში

საქართველოს ისტორიის გადახედვისას აღმოვაჩინეთ პოლიტიკური თანაარსებობის ჩანასახებს. თუმცა, როგორც მოგვეხსენება, იგი სიახლეს წარმოადგენს მსოფლიო პრაქტიკაში. საქართველომ აღნიშნული პრაქტიკის მიღებამდე ბევრი ჭირ-ვარამი გამოიარა, გარკვეული საგარეო თუ საშინაო პოლიტიკის გატარებისას მუდამ არსებობდა ძლიერი თუ სუსტი მხარეები. კოჰაბიტაცია, ალბათ, ის საფეხური იყო, რაც წარსულმა პრაქტიკამ მოგვიტანა დღესდღეობით. საფრანგეთმა ხომ იგი 60-იან წლებში გაიარა. გასაკვირი არც არის, ჩვენი და საფრანგეთის ისტორია საგრძნობლად განსხვავდება ერთმანეთისაგან.

საქართველოს ისტორიაში მოიმბეზება პარლამენტარიზმის პრიმიტიული ჩანასახები, კერძოდ, თამარ მეფის ეპოქაში, რაც ქართული პოლიტიკისა და ქართველთა ნიჭსა და შორსმჭვრეტელობაზე მიუთითებს.

მეფე წარმოადგენდა ერთპიროვნულ მმართველს, რომელიც მოხელეების მეშვეობით მართავდა სახელმწიფოს. პრივილეგიები გამოიხატებოდა სამეფო ინსიგნიებში, სამონეტო და საბაჟო რეგალიებში. თამარ მეფის დროს ფუნქციონირებდა ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლე-

ბის ორგანოები. სამეფო კარზე უმაღლესი თანამდებობის პირებს წარმოადგენდნენ „უხუცესები“, იგივე მინისტრები, რომლებიც ცალკეულ უწყებებს ხელმძღვანელობდნენ. მათ ვაზირებსაც უწოდებდნენ. მეფისა და უხუცეს-ვაზირთა თათბირს „ვაზირობა“ ეწოდებოდა. თამარ მეფის დროს სავაზიროს წევრები იყვნენ: მწიგნობართუხუცეს-ჰყონდიდელი – პირველი ვაზირი, რომელიც ახორციელებდა ქვეყნის ცენტრალური აპარატის ყველა უწყების კონტროლს. მის ხელთ იყო სამართლის აღსრულებაზე მეთვალყურეობა, სამეფო შემოსავლების რეგისტრაცია-კონტროლი; ამირსპასალარი – საქართველოს ლაშქრის მთავარსარდალი, სამხედრო მინისტრი; მანდატურთუხუცესი – სამეფო სასახლისა დადომენის გამგებელი; მეჭურჭლეთუხუცესი – ქვეყნის ფინანსთა მინისტრი, რომელიც განაგებდა სამეფო ქალაქების ადმინისტრაციას და ვაჭრებს.

პარლამენტარიზმის ჩანასახს წარმოადგენდა ეგრეთწოდებული „კარავი“, რომელიც პარლამენტის მსგავსი დაწესებულება გახლდათ, რომლის და არსებაც მოსთხოვა ყუთლუ-არსლანმა და მისმა პოლიტიკურმა დასმა თამარ მეფეს. იგი უნდა დაედგათ ისანში, სადაც მეფის სასახლე მდებარ-

რეობდა. „კარავს“ ექნებოდა საკანონმდებლო უფლებები, როგორც დღევანდელ პარლამენტს აქვს. მონაწილენი იქნებოდნენ, როგორც მსხვილი ფეოდალები, ისე ქალაქის ზედა ფენის წარმომადგენლები. მათ უნდა განეხილათ თანამდებობების გადაცემა/ჩამორთმევის საკითხი და საჭიროების შემთხვევაში თანამდებობის პირთა დასჯა. საქართველოს მეფე, ისევე როგორც დღეს პრეზიდენტი არ ერეოდა „კარავის“ საქმეებში. უბრალოდ უნდა განეხორციელებინა აღნიშნული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება. ამგვარად, ყუთლუ-არსლანის დასის მიერ წამოყენებული პროგრამა მეფეს მხოლოდ აღმასრულებელ უფლებებს უტოვებდა. იგი უნდა ყოფილიყო მუდმივი დაწესებულება ჩამოყალიბებული საკანონმდებლო უფლებებით. ყუთლუ-არსლანის პოლიტიკური დასის იდეამ მარცხი განიცადა.

ყუთლუ-არსლანის დასის პროგრამა ნათლად გვიჩვენებს, თუ განვითარების რა მაღალ დონეზე იდგა ქართული საზოგადოებრიობა. ჯერ კიდევ XII საუკუნეში იყო ლაპარაკი სახელმწიფო წეს-წყობილების შეცვლასა და კონსტიტუციური მონარქიის შექმნაზე.

ისტორიულ საქართველოს სამეფო კარზე არსებობდა მნიშვნელოვანი ინსტიტუტები, რომლებიც მეფეს საშინაო თუ საგარეო პოლიტიკის წარმართვაში ეხმარებოდნენ. მაშინდელ მთავრობას სავაზირო ეწოდებოდა. იგი ხელს უწყობდა მეფის ხელისუფლების გაძლიერებასა და ცენტრალიზაციას. როდესაც სავაზიროს მეფე ესწრებოდა, მაშინ სხდომა მას მიჰყავდა. თუმცა, სავაზიროს თავმჯდომარე მწიგნობართუხუცეს-ჰყონ-

დიდელი იყო. ვაზირები სხდომაზე ასეთი თანრიგით იყვნენ წარმოდგენილნი: მწიგნობართუხუცეს-ჰყონდიდელი, ათაბაგი, ამირსპასალარი, მანდატურთუხუცესი, მეჭურჭლეთუხუცესი და მსახურთუხუცესი. სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე სათათბირო ხმის უფლებით ამილახორი (ამირსპასალარის თანაშემწე), ამირეჯიბი (მანდატურთუხუცესის თანაშემწე) და მწიგნობარი, რომელსაც სავაზიროს დადგენილების დაწერა ევალებოდა.

საინტერესოა აგრეთვე უმაღლესი სასამართლო დაწესებულება – სააჯოკარი, რომლის თავმჯდომარე იყო მწიგნობართუხუცეს-ჰყონდიდელი.

თამარ მეფის დროს ისაინში მდებარეობდა მეფის სასახლე და საქართველოს სამეფოს უმაღლესი ინსტიტუტი – სახელმწიფო დარბაზი. დარბაზის მოწვევა მხოლოდ მეფის სურვილზე იყო დამოკიდებული. ფაქტიურად, დღევანდებობას თუ გადავხედავთ, პრეზიდენტის მიერ სახელმწიფო მინისტრების მოწვევას შეგვიძლია შევადაროთ.

საქართველოს უკანასკნელი წარსული ძირითადად რუსეთის იმპერიას და მისგან თავის დასახსნელად განხორციელებულ ქმედებებსა თუ მოვლენებს უკავშირდება.

საუკუნეების განმავლობაში საქართველო აღმოსავლური მონარქიის მიმდევარი ქვეყანა გახლდათ. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნა არ გახლდათ პირველი მცდელობა და საშუალება, რითაც და როდესაც ჩვენი ქვეყანა რუსეთს დაუკავშირდა. მათი ურთიერთობა საუკუნეები გრძელდებოდა. იყო დრო, როდესაც განსხვავებულ იდეათა და შეხედულებათა მატარე-



ბელი ტრადიციულად სახელმწიფოს მტრად მიიჩნეოდა. საქართველოს ანექსიის შემდეგრუსეთი ცდილობდა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის დამახასიათებელი ყველა ნიშანი ამოეძირკვა ქართველთა ცნობიერებიდან, სურდა ქართველთა სრული რუსიფიკაცია, რისთვისაც კოლონიური პოლიტიკის კურსი შეიმუშავეს, მაგრამ ქართველთა მტკიცე ერთგულებას ტრადიციის, ენისა და კულტურისადმი, ვერაფერი დააკლეს. XIX საუკუნის ბოლო – ეს იყო პერიოდი, როდესაც რუსეთსა და ქართველებს შორის ბრძოლამ რევოლუციური ხასიათი მიიღო. დაპყრობილი ქვეყნები ცდილობდნენ რუსეთის იმპერიას გაქცეოდნენ და დამოუკიდებლად ეარსებათ, ესუნთქათ თავისუფლად და არ ყოფილიყვნენ ვინმეს ქვეშევრდომნი, ვინმეს მიერ დაპყრობილი, სულიერად გატეხილი. მცირეოდენით კმაყოფილი ქართველები ცარიზმის დამხობის შემდეგ საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის აღდგენას დასჯერდნენ. თუმცა როგორც იტყვიან- ცხოვრება ბრძოლაა – და ქართველთა ბედნიერებაც ხანმოკლე აღმოჩნდა. ბოლშევიკები მწერებივით შემოესივნენ რუსეთს და ცდილობდნენ სხვა ქვეყნებშიც შეეღწიათ. საქართველო მტკიცე უარზე გახლდათ და ამ რეჟიმს არ ცნობდა. შეიქმნა პირველი ნებაყოფლობითი ფედერაცია სამი კავკასიელი ხალხის (საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი) ისტორიაში.

აღსანიშნავია, რომ ქართველების რუსეთთან კავშირის ძირითადი მიზეზი დაშეიძლება ითქვას მიზანი, სხვა საქართველოს მოწინააღმდეგე ქვეყნებთან დაპირისპირება გახლდათ. საქართველო პატარა ქვეყანაა,

შესაბამისად გიგანტ ან მასზე თუნდაც სამხედრო ძალით ძლიერ ქვეყნებთან მას გამარჯვების მცირე შანსები გააჩნდა. იგი იძულებული იყო დასახმარებლად მიემართა ძლიერი ქვეყნისათვის, როგორც გახლავთ რუსეთი. ლოგიკურია, რუსეთი ყველაზე უპრიანი არჩევანია, ვინაიდან მასთან სულ მცირე რელიგიური, სარწმუნოებრივი სიახლოვე გვაკავშირებს, რაც ქართველებისათვის ერთობ მნიშვნელოვანი ფაქტორია, და რასაც ლომის წილი მიუძღვის „ქართველობის“ შენარჩუნებში. საკმარისია გავიხსენოთ, გეორგიევსკის ტრაქტატი, რომელიც დიდი ორჭოფობის შემდეგ ერეკლე მეორემ დადო რუსეთთან. სხვა საკითხია ეს ნაბიჯი სწორი იყო თუ არა. დღესდღეობითაც გრძელდება მასზე მსჯელობა.

რაც შეეხება რევოლუციას და ბოლშევიკებს, აზერბაიჯანის თურქეთისადმი მიმხრობის გამო, რომელთაც აკავშირებთ მაჰმადიანური სარწმუნოება და მონათესავე ხალხები არიან, დაიშალა ამიერკავკასიის რესპუბლიკა. 1918 წლის 26 მაისს მოხდა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება და დემოკრატიული რესპუბლიკის დაარსება.

თუმცა ბედნიერება კვლავ შორს იყო, საქართველოს წინ ელოდებოდა საბჭოთა რუსეთის მიერ ქვეყნის ანექსია. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობა 1921 წლამდე გაგრძელდა. როგორც პროფესორი იგორ კვესელავა აღნიშნავს, დღის წესრიგში ახალი მფარველის ძიება დადგა და სხვადასხვა გასაგები მიზეზების გამო გამოირიცხა ირანთან, თურქეთთან, ინგლისთან და საბჭოთა რუსეთთან თანამშრომლობა, მათივე ინტერესების თანხვედრის

სხვადასხვაობის გამო. „ასეთ ვითარებაში ერთმანეთს დაემთხვა გერმანია-საქართველოს ინტერესები, მით უმეტეს, გაგრძელებულ ომში ჩაბმული, კოლონიებისა და რესურსების გარეშე დარჩენილი გერმანია შეეცადა სამხედრო მრეწველობისათვის ნედლეულის წყარო მოეძია და ამ გზაზე საქართველო საუკეთესო არჩევანი იყო.“ შესაბამისად 1918 წელს გერმანიამაც აღიარა საქართველოს დამოუკიდებლობა. მსოფლიო ომში გერმანიის დამარცხების შედეგად ხელიდან გამოეცალათ ქართველებს მფარველი ქვეყანა. 1921 წელს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, კერძოდ, 1922 წელს შეიქმნა პირველი საბჭოთა კონსტიტუცია, რომელმაც განამტკიცა მთელი ძალაუფლების გადასვლა საბჭოთა ხელში და დიქტატურის დამყარება. ჩამოყალიბდა ახალი ორგანოთა სისტემა, გაუქმდა კერძო საკუთრება როგორც მიწაზე, ისე კერძო სახის ყველა მსხვილ წარმოებასა და საწარმოო საშუალებებზე.

102-ემუხლით, შეიზღუდა საყოველთაო საარჩევნო უფლება. კონსტიტუციამ როგორც აქტიური, ისე პასიური საარჩევნო უფლება წაართვა მოქალაქეთა შემდეგ კატეგორიებს:

1. პირებს, რომლებიც იყენებდნენ დაქირავებულ შრომას მოგების მიღების მიზნით;
2. პირებს, რომლებიც ცხოვრობდნენ არა საკუთარი შრომის შემოსავლით;
3. კერძო ვაჭრებს, შუამავლებსა და კომერციულ შუამავლებს;
4. ბერ-მონაზვნებსა და რელიგიური კულტის სასულიერო პირებს;
5. ყოფილი პოლიციისა და მენშევიკური მთავრობის შინაგან საქმე-

თა სამინისტროსთან არსებულ საგანგებო რაზმის მოსამსახურეებსა და აგენტებს;

6. პირებს, რომლებიც დადგენილი წესით ცნობილი იყვნენ სულით ავადმყოფებად და გონებადაქვეითებულებად, აგრეთვე მზრუნველობის ქვეშ მყოფთ;
7. პირებს, რომლებიც მსჯავრდებული იყვნენ კანონიერ ძალაში შესული სისხლისსამართლის განაჩენით, ანგარებისა და სხვა დამამცირებელი დანაშაულობებისათვის.

კონსტიტუცია ფორმალურად აღიარებდა ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს. ასევე აღსანიშნავია რიგით მესამე კონსტიტუცია, რომელსაც სტალინურ კონსტიტუციას უწოდებენ. იგი 1937 წელს მიიღეს. მასში შეტანილი ყველანაირი ცვლილებები თითქოს საქართველოსათვის დადებით ფაქტს წარმოადგენდა, მაგრამ ეს მხოლოდ კონსტიტუციური ფასადი გახლდათ საბჭოთა პოლიტიკის წარმოებისას. გავიხსენოთ ამავე წელს დაწყებული რეპრესიები, რომლებიც ფაქტიურად კონსტიტუციის საფარქვეშ განხორციელდა.

წითელი არმიის შემოსვლამ საქართველოში და მთავრობის ბათუმში გადასვლამ ქართველთა სული-სკვეთება შეარყია და დამარცხებული ქვეყანა ოკუპირებულ იქნა რუსეთის მიერ. საინტერესოა მათი პოლიტიკა, თითქოს სსრკ-ში შემავალი ქვეყნები დამოუკიდებლები იყვნენ საშინაო საქმეების წარმართვაში, მაგრამ სინამდვილეში საშინაო და საგარეო პოლიტიკაც მოსკოვიდან იმართებოდა. საბჭოთა რუსეთის შემოსვლის პირველივე დღეებიდან უკანასკნელ დღეებამდე, როდესაც საბჭოთა კავ-

შირი დაიშალა, ქართველი ერი არ წყვეტდა აღნიშნული რეჟიმის წინააღმდეგ ფარულად თუ ცხადად გამოსვლას, აწყობდნენ აჯანყებებს, თუმცადა რუსეთის მიერ მათი ჩახშობა სისხლის ფასად უჯდებოდათ ქართველებს. ქართველთა მედგარი სული არ ეპუებოდა მათ სისხლისმღვრელ რეპრესიებს. საბჭოთა რუსეთი სხვადასხვა პოლიტიკურ შეხედულებათა დათრგუნვის სისხლიან ცდებს მიმართავდა. მათ შორის აღსანიშნავია 1937 წლის რეპრესიები, რომელიც გამოირჩეოდა ულმობელობით. სტალინის მიერ წამოწყებული ხოცვა-ჟლეტა მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით ხორციელდებოდა. აღსანიშნავია, რომ საიდუმლო სამსახურის რეპრესიულ მექანიზმებს, რომელიც საქმის მასალებს აყალიბებდნენ და ახდენდნენ უდანაშაულო ადამიანების ლიკვიდაციას, ლავრენტი ბერია ედგა სათავეში. სტალინის და მის გარშემო შემოკრებილი ხალხის მიერ ხდებოდა პირადი ამბიციებისა და ინტერესების პოლიტიკურ ინტრიგებში ჩახლართვა. ითითხნებოდა ბრალდებები, თითქოს საბჭოთა სისტემის გასანადგურებლად მოქმედებდა დიდი დაჯგუფება. პიროვნულ დაპირისპირებებს უამრავი უდანაშაულო ხალხი შეეწირა მსხვერპლად – მათ შორის იყო ინტელიგენცია, გონიერი მუშა და გლეხი, ვინც ხმის ამოდებას გებედავდა და რაიმეზე უკმაყოფილებას გამოხატავდა.

სტალინის მიერ წამოწყებული რეპრესიები არა მარტო ხოცვა-ჟლეტის რაოდენობით და დაუნდობლობით გამოირჩეოდა, არამედ იმითაც, რომ ხალხის სულიერი, მორალური გატეხა და ზნეობრივი გახრწნა

სდევდა თან. ისინი იძულებული იყვნენ ერთმანეთი დაეხეზებინათ, რათა საკუთარი თავი გადაერჩინათ, ვინაიდან ნაბრძანები იყო ყველა ექვმიტანილის დაპატიმრება, ვინც დაბეზღებაზე უარს იტყოდა, იმასაც სჯიდნენ და ხელისუფლების დალატს აბრალდებდნენ. საბოლოოდ, შეიძლება დავასკვნათ, რომ რაც არ უნდა გაცეთებინათ მათ, ნებისმიერ შემთხვევაში დამნაშავეები გამოდიოდნენ და მკაცრად ისჯებოდნენ. ინტელიგენციას უთითხნიდნენ საქმეებს, საბუთების შედგენა-გაყალბება და მოწმეების გამოყვანა დაშინების ხერხით მათ საქმეს წარმოადგენდა და იდეალურად გამოსდიოდათ.

უდანაშაულო ხალხის დადანაშაულება და კვლა სწორედ რომ კრემლიდან მომდინარეობდა. 1955 წელს, სტალინის გარდაცვალების შემდეგ, თბილისში გაიმართა სასამართლო პროცესი, სადაც საბჭოთა კავშირის გენერალური პროკურორი რუდეუკო ეკითხება საბრალდებო სკამზე მჯდომ რუხაძეს: რატომ ხვრეტდით უდანაშაულო ადამიანებს? ბრალდებული ადანაშაულებს საბჭოთა ხელისუფლებას და პასუხობს: მიბრძანებდნენ – დავხვრეტდი, გიბრძანებენ და დამხვრეტო, უბრძანებენ და დავხვრეტენ! ასეთი გაუგონარი სიტუაციის შედეგად მართლაცდა ყველანი იხოცებოდნენ, რადგან საბოლოო ჯალათად რუსეთის ხელისუფლება გამოდიოდა.

რეპრესიებში მოყვნენ ქართველი მწერლები, მეცნიერები, კულტურის მუშაკები. ასევე ისინიც, ვინც კრემლის ერთგულნი იყვნენ. სტალინს ამ მასობრივი რეპრესიებით სურდა მოესპო მოაზროვნე ხალხი, დაეთრგუნა და მონად ექცია მშრომელი გლეხი,

რომელიც ხმის ამოღებას ვერ გაბე-  
დავდა. მას სურდა ჩამოეცილებინა  
ხელისუფლებაში მყოფნი, რომლებიც  
ავტორიტეტს წარმოადგენდნენ და  
გამხდარიყო ერთპიროვნული ლიდე-  
რი, ბელადი, რომელსაც მიეწერებო-  
და ყველანაირი საბჭოთა მონაპოვა-  
რი. საამისოდ იგი არ ეპუებოდა  
არაფერს, იმ დანაშაულსაც კი, რო-

მელსაც თავად სჩადიოდა მოწინააღმ-  
დეგე ძალებს აბრალებდა, რათა მათ  
გასწორებოდა. ერთ-ერთ მაგალითს  
კიროვის მოშორება და ოპოზიციაზე  
გადაბრალება წარმოადგენს, მათი  
ამოხოცვის მიზნით. სწორედ ეს  
წარმოადგენდა 1937 წლის რეპრესიე-  
ბის საწყისს-საფუძველს.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. კულტურა და პოლიტიკა (წერილი მეოთხე) - გვერდი 4; ნანახ. 20.08.2014, <http://www.polity.ge/oppinion/expert/1680-kultura-da-politika-5.html?start=3>
2. აკად. მარიამ ლორთქიფანიძე, აკად. დავით მუსხელიშვილი, აკად. როინ მეტრეველი. საქართველოს ისტორია. ტომი II. IV საუკუნიდან XIII საუკუნემდე. გვ.417-425.
3. ზაზა რუხაძე. საქართველოს კონსტიტუციური სამართალი. <http://www.nplg.gov.ge/gsd/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0samartal--00-1--0-10-0--0-0---0prompt-10---4---4---0-0l--11-en-10---10-ka-50--00-3-about-00-0-00-11-1-1utfZz-8-00-0-11-1-0utfZz-8-00&cl=CL1.11&d=HASH018e083605e388a0f0c0f1d1.3.5.4&gt=1>
4. მიხეილ მჭედლიშვილი. 1937 წლის ბარბაროსული ხოცვა-ჟლეტა და ქართველთა ზღვა სისხლი ამ კაცთა კვლაში. <https://iberiana.wordpress.com/m-mchedlishvil/m-mchedlishvili-11/>





## ევრაზიული კავშირის იდეა

ევრაზიული კავშირის, შესაბამისად ევრაზიის საბაჟო კავშირის შექმნის იდეის წარმოშობას გარკვეული პოლიტიკური რეალიები და ისტორიული ასპექტები განაპირობებდა. ისტორიას თუ გადავხედავთ ნათლად დავინახავთ, რომ მის ამბიციებს არათუ დასასრული, არამედ დასაბამიც კი ფაქტიურად არ გააჩნია. მისი მეფეები თუ ლიდერები მოზღვაებული ამბიციებით იყვნენ სავსენი. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნა სწორედ რომ გვირგვინს წარმოადგენდა მათი სანუკვარი სურვილისა. ეს იყო პიკი იმისა რისი მიღწევაც ისტორიულად შეძლეს. ადამიანის ამბიციებს დასასრული არ გააჩნია. რაც მეტს მიღწევს, მით მეტი სურს. რუსეთის ლიდერებიც სწორედ მეტისაკენ მიიღწვოდნენ და დღემდე მიიჩქარიან იმისაკენ, რაც ესე ერთი ხელის მოსმით დაკარგეს.

საბჭოთა კავშირი ფორმალურად მოკავშირე რესპუბლიკების კავშირი იყო. რეალურად კი მოსკოვიდან იმართებოდა, ძალაუფლება კი საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას ჰქონდა. აღნიშნულ პერიოდში მმართველობა ტოტალიტარულ-დიქტატორული იყო. საბჭოთა კავშირის წნეხის ქვეშ საქართველოც იმყოფებოდა სხვა რიგ ქვეყნებთან ერთად. რეპრესია განცდილი ქვეყნების ტან-

ჯვა დასრულდა 1991 წლის 26 დეკემბერს, როდესაც საბჭოთა კავშირი დაიშალა და გაცამტვერდა. ვარშავის ხელშეკრულების ფაქტობრივი გაუქმების შედეგად რუსეთი, რომელსაც მსოფლიო ბატონობის მქონე ამბიციები გააჩნდა ეულ პოლიტიკურ მოთამაშედ დარჩა ნატოსა და ევროკავშირის წინააღმდეგ. ვარშავის პაქტი, როგორც მოგვეხსენება, 1985 წლის აპრილში საბჭოთა კავშირის, ბულგარეთის, ჩეხოსლოვაკიის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის (აღმოსავლეთგერმანია), უნგრეთის, პოლონეთისა და რუმინეთის კომუნისტური და მშრომელთა პარტიების გენერალური მდივნების ვარშავაში შეკრების შედეგად შეიქმნა. მათ ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას, რომლის თანახმადაც აღნიშნული ქვეყნები აგრძელებდნენ 1955 წლის შეთანხმებას, თანამშრომლობასა და ურთიერთდახმარებას. ისინი გაერთიანდნენ ნატოს წინააღმდეგ. რუსეთი კარგად იყენებდა ვარშავის პაქტს აღმოსავლეთ ევროპაში კონტროლის დასამყარებლად და მრავალი ქვეყნის საშინაო საქმეებში ჩარევის შესანიღბად.

საბჭოთა კავშირის სიდიდემ, ეკონომიკურმა წონამ და დიდმა სამხედრო ძალამ განაპირობა მისი, როგორც ქვეყნის, დომინირება აღმოსავ-

ლეთ ევროპაზე. აღმოსავლეთევროპული ქვეყნების დაქვემდებარებით საბჭოთა კავშირმა უზრუნველყო თავისი კონტროლი რეგიონზე. ვარშავის პაქტმა საშუალება მისცა საბჭოთა კავშირს, რომ ოფიციალურად დაპირისპირებოდა ნატოს დასავლურ-აღმოსავლურ დიპლომატიაში. ამ ხელშეკრულებამ ასევე მისცა მას თანასწორი სტატუსი ამერიკის შეერთებულ შტატებთან, რადგან იგი იყო ლიდერი და გამაერთიანებელი დამოუკიდებელი ქვეყნებისა, რომლებიც მხარს უჭერდნენ მის საშინაო პოლიტიკას საერთაშორისო არენაზე. საბჭოთა კავშირი ადვილად ახერხებდა საშინაო პოლიტიკის გავრცელებას აღმოსავლეთ ევროპაში. რა თქმა უნდა, მისი დაშლა და აღნიშნულ მდგომარეობაზე უარის თქმა ძალიან ძნელი იყო.

მას შემდეგ რაც საბჭოთა კავშირი დაიშალა, რუსეთი რეგიონისთვის სახელმწიფოდ იქცა. საქართველო კი, როგორც პროფესორი იგორ კვესელავა წერს თავის წიგნში „საქართველოს სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური პარადიგმები და დილემები“, „საქართველო იძულებული გახდა ახალი მფარველი გაეჩინა ამერიკის შეერთებული შტატების სახით. დაიწყო ქართული საზოგადოების ამერიკულ-ევროპული პოლიტიკური, ეკონომიკური, სამხედრო და კულტურულ-საგანმანათლებლო ორიენტაციისაკენ სვლის დაჩქარებული პროცესი.“ რუსეთი კი წარსულში არსებული გავლენის აღდგენას ცდილობს დღესაც. რუსეთის საგარეო პოლიტიკა მიმართულია იმისაკენ, რომ კვლავ გახდეს ძალაუფლების ალტერნატიული პოლუსი მულტიპოლარულ საერთაშორისო სისტემაში, როგორც გახლდათ

უკანასკნელი ორი საუკუნის განმავლობაში. იგი ცდილობს გავლენა იქონიოს პოსტსაბჭოთა სივრცეზე და საკუთარი სიტყვა თქვას მსოფლიო პოლიტიკურ არენაზე.

რუსეთის საზღვრების შემცირებამ და სსრკ-დან რესპუბლიკებჩამოცილებულმა ტერიტორიამ კრემლს დიდი მორალური დარტყმა მიაყენა. მას შემდეგ დაუოკებელი სურვილი ამოძრავებს მოსკოვს წარსულის გაცოცხლებისა და ნელნელა უფრო და უფრო ცხოველდება იმპერიის შექმნის ოცნება. ხელისუფლებაში ვლადიმერ პუტინის მოსვლის შემდეგ, საერთაშორისო არენაზე რუსეთის ანგარიშგასაწევ ძალად ჩამოყალიბებისკენ სწრაფვამ უფრო აქტიური სახე შეიძინა.

ვლადიმერ პუტინმა ხელისუფლებაში მოსვლისთანავე დაისახა მიზნად პოსტსაბჭოთა ქვეყნებზე გავლენის აღდგენა. მან კარგად იცოდა, რომ მსოფლიოში ერთერთი დომინანტის სახელის მოსაპოვებლად საჭირო იყო ყოფილი საზღვრების აღდგენა, რაც უფრო ძლევამოსილს და გავლენიანს გახდიდა საერთაშორისო არენაზე და კონკურენციას გაუწევდა ამერიკის შეერთებულ შტატებს. პუტინი მიიჩნევს, რომ აღნიშნული ქვეყნები რუსეთთან დაკავშირებულნი არიან ეკონომიკური, ისტორიული, კულტურული ძაფებით, რომლებიც მათსა და კრემლს შორის არის გაბმული. იგი ასევე მიიჩნევს, რომ ეს ძაფები არ უნდა გაწყდეს საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად და კვლავ უნდა დარჩნენ რუსეთის გავლენის სფეროში. რუსეთი ამ მიზნის მისაღწევად მრავალ საშუალებას იყენებს, რომელთაგან უმთავრესი როლი ინტეგრაციულ პროექტებს

აკისრია. რუსეთმა პოლიტიკური, ეკონომიკური, სამხედრო და კულტურული ინტეგრაციული პროექტების განხორციელებაზე დაიწყო მუშაობა. აღნიშნული პროექტები პოსტსაბჭოთა ქვეყნებს შეზღუდული სუვერენიტეტის შენარჩუნების საშუალებას მისცემდა და ამ ორგანიზაციებში გაწევრიანებით ისინი გარკვეულ ეკონომიკურ, პოლიტიკურ თუ სამხედრო სარგებელსაც მიიღებდნენ. ეს განაპირობებდა მათი ღრმა ინტეგრაციისაკენ არა იძულებით, არამედ ნებაყოფლობით მიმავალი გზის გავლას.

ვლადიმერ პუტინის მარჯვენა ხელი, თუ შეიძლება ასე ვუწოდოთ, ალექსანდრე დუგინი გახლავთ – ფილოსოფოსი, პოლიტოლოგი და სოციოლოგი, რომლის პოლიტიკური მოღვაწეობა მიმართულია ევრაზიული ზესახელმწიფოს შექმნისაკენ რუსეთის ინტეგრაციით პოსტსაბჭოთა ქვეყნებთან ევრაზიულ კავშირში. დასახული მიზნის მიღწევაში იგი აშკარად უდგას გვერდით რუსეთის პრეზიდენტს, ვლადიმერ პუტინს და არც საკუთარი პოზიციის დამალვას ცდილობს. არსებობს უამრავი ინტერვიუ, რომელშიც ალექსანდრე დუგინი ნათლად გამოხატავს საკუთარ დამოკიდებულებას რუსეთის იმპერიის შექმნისა და ევრაზიული გაერთიანების ჩამოყალიბებისადმი. იგი პირდაპირ აცხადებს, რომ რუსეთმა უნდა დაიპყროს ევროპა. რთული მისახვედრი არ არის, რომ რუსეთის მცდელობები ორგანიზაციების შექმნისა, რომელიც გაერთიანებდა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს, მიმართული იყო სწორედ საბჭოთა კავშირის აღდგენისა და ფუნქციონირებისაკენ. ევრაზიული კავშირიც ამ გეგმის ერთ-

ერთი შედარებით პერსპექტიული და უახლესი ნაწილია.

საინტერესო განცხადებას აკეთებს ალექსანდრე დუგინი RUSSIA.RU-ს ეთერში, სადაც იგი საუბრობს რუსეთის მიერ ევროპის დაპყრობაზე. „იდეა ისეთია, რომ უნდა მივითვისოთ, დავიპყროთ შემოვიერთოთ ევროპა...“, – აცხადებს იგი. საუბრიდან კარგად ჩანს მისი ჩანაფიქრის არსი. რთულია ამ განაცხადის შემდეგ უარყო რუსეთის ამბიციები საბჭოთა კავშირის აღდგენისა, უფრო მეტიც, დუგინი და შესაბამისად, კრემლი არ კმაყოფილდება ამით, და სურს შემოიერთოს მთლიანი ევროპა. იგი თამამად გვესაუბრება იმის შესახებ, რომ ევროპა ჩვენს თვალწინ ქრება. იგი ისე სთავაზობს ევროპას ევრაზიულ იმპერიაში შესვლას, თითქოს ეს ერთი ხელის მოსმით არის შესაძლებელი. დღესდღეობით არც ევრაზიული კავშირი ჩანს, უფრო კი მასში შემავალი ქვეყნების რაოდენობის ზრდა არის საორჭოფო. ეს არ აკავებს დუგინს და ორიოდ სიტყვით გვიხატავს, თუ როგორი იქნება ევრაზიაში შემავალი ევროპის ბედი: „ევროპას ჩვენ შევთავაზებთ იყვნენ ისეთები, როგორც არიან, მხოლოდ პროტექტორატს დავამყარებთ და მორჩა“.

დუგინი ევროპის შეიარაღებულ ძალებს აუფასურებს და „ნულის ტოლს“ უწოდებს. მისი აზრით, მიუხედავად იმისა, რომ არსებობს ნატო, მკაცრ ოპერაციებში იგი ხედავს, როგორც, მაგალითად, სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში, ჩაურეველ მდგომარეობაში. რუსები უკვე წაეკიდნენ მათ მეგობარ სააკაშვილს, გაიმარჯვეს მასზე და პასუხად მხოლოდ იყო ხმაური, „ბალეტი“ შავ ზღვაში და ნატოს კრეისერები. „და რა მერე? სამხ-

რეთ ოსეთი, აფხაზეთი – ჩვენია თუ მათი“, – ორონით ამბობს დუგინი.

ასეთი პირდაპირი განცხადების არსში დევს ასევე მისი მოსაზრება, რომელიც ევრაზიის კავშირს შეეხება. დუგინი სამ ფაზას გამოყოფს ევრაზიული კონტინენტისა:

„ – ბირთვული ინტეგრაცია – თანამედროვე რუსული ფედერაცია (ე.წ. „heartland“, დედამიწის შუაგული);

– ევრაზიული კავშირის ზონა (დსთ-ს ქვეყნების ტერიტორია, სავარაუდოდ შესვლა ერთიან პოლიტიკურ გაერთიანებაში, კონფედერაციაში);

– პოლიტიკური სივრცე მთლიანი ევრაზიისა, ჩამოყალიბებული ძლიერი სახელმწიფოების ირგვლივ (ჩინეთი, ინდოეთი, პაკისტანი, ირანი, თურქეთი, ავღანეთი და სხვა.)

შესაბამისად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ დუგინის, ამავედროულად კი პუტინის მიზანს წარმოადგენს თავდაპირველად პოსტსაბჭოთა ქვეყნების შემოერთება და ყოფილი სსრკ-ს აღდგენა, შემდგომში კი მის ფარგლებს გარეთ გაცილება და საბოლოო ჯამში საკუთრივ მთლიანი ევროპის დაპყრობა და შემოერთება. ეს კი როგორც ალექსანდრე დუგინი აღნიშნავს, არა ძალისმიერი ხერხებით, ვინაიდან ევროპას ამის ძალა არ შესწევს.

დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა, კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაცია, საბაჟო კავშირი, ერთიანი ეკონომიკური სივრცე და ევრაზიის ეკონომიკური თანამეგობრობა სწორედ იმ მიზანს ემსახურებოდა, რომ პოსტსაბჭოთა ქვეყნები ევრაზიულ კავშირში გაწევრიანებამდე უნდა მიეყვანათ, რომლის დაფუძნებაც 2015 წელს იგეგმება.

ევრაზიული კავშირის სახით უნდა წარმოიქმნას ძალის ახალი პოლუსი, რომელიც ისეთ ძლიერ სახელმწიფოებთან კონკურენციაში, როგორცაა ამერიკის შეერთებულ შტატები, ევროკავშირი და ჩინეთი, მნიშვნელოვან როლს შეასრულებს. რუსეთის მიზანს შესაბამისად წარმოადგენს ამერიკის შეერთებული შტატებისა და ევროკავშირის გაღლების შესუსტება ამ ქვეყნებზე, რათა მათ უარი თქვან ნატოსა და ევროკავშირში გაერთიანებაზე და რუსეთთან დაკავშირების სურვილი აღეძრათ. ამისათვის კრემლმა უკვე მიმართა ზომებს, რაც გამოიხატება პოსტსაბჭოთა ქვეყნებზე საკუთარი ბერკეტების გამოყენებით. მასში იგულისხმება ეკონომიკური, კულტურული თუ სამხედრო სფერო. ნათელი მაგალითია უკრაინა, სადაც რუსეთმა სამხედრო ძალაც კი გამოიყენა და მიიტაცა ტერიტორიები. პარალელურად კი პუტინი განცხადებებს აკეთებს, რომ ევრაზიული კავშირი პოსტსაბჭოთა ქვეყნებისათვის მიმზიდველი ორგანიზაციაა და მასში გაერთიანება ნებაყოფლობითია და არა იძულებითი.

რუსეთს სჭირდება ეკონომიკური ინტეგრაცია, რათა პოსტსაბჭოთა ქვეყნების მიერ დამოუკიდებელი პოლიტიკის გატარების ალბათობა უფრო შემცირდეს და მასში ჩარევა ადვილად მოახერხოს, ამ მიზნით კი კრემლი შესანიშნავად იყენებს პოსტსაბჭოთა ქვეყნების ძლიერ ეკონომიკურ და ენერგოდამოკიდებულებას რუსეთზე. რუსეთს არ სურს საკუთარ საზღვრებთან სხვა, ძლიერი სახელმწიფოს ან სამხედრო ალიანსის არსებობა, სწორედ ამის შედეგი იყო 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომიც.



სტრატეგიის განხორციელებაში მოსკოვს ხელს უწყობს ის გარემოება, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ჩართული იყო ერაყსა და ავღანეთში არსებულ ვითარებაში. აშშ დაკავებული იყო და დასავლურ ორგანიზაციებში პოსტსაბჭოთა ქვეყნების ინტეგრაციას ვერ ახერხებდა აქტიურად. შემდგომში ერაყი და ავღანეთი ირანმა და სირიამ შეცვალა, შესაბამისად ვითარება კვლავ უცვლელი და რუსეთისათვის ხელსაყრელი დარჩა.

რასაკვირველია, რუსეთი ყველაფერს გააკეთებს, რომ სირიისა და ირანის საკითხის მოგვარება დროში კიდევ უფრო გაიწელოს და დრო მოიგოს.

რუსეთისთვის სასარგებლოა კრიზისი ევროპაშიც, რადგან ევროპელებს უფრო ნაკლები დრო და შესაძლებლობა რჩებათ პოსტსაბჭოთა სივრცეში რუსეთისთვის წინააღმდეგობის გასაწევად და ევროკავშირის კარის გასაღებად, რაც თავის მხრივ გარკვეული საფეხურებით განისაზღვრება.

ფაქტია, რუსეთი არ დაუშვებს, საკუთარი გავლენის სფეროდან პოსტსაბჭოთა რესპუბლიკების გასვლას. სწორედ ამიტომ რუსეთის ინიციატივით უკვე შექმნილია რამდენიმე ორგანიზაცია, რომელთაგან ყველაზე მნიშვნელოვანი დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაა (დსთ). იგი 1991 წლის 21 დეკემბერს ჩამოყალიბდა და 11 პოსტსაბჭოთა ქვეყანას მოიცავს. ორგანიზაციას მნიშვნელოვანი მისია იყო საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ გავლენის სფეროების შენარჩუნება. თუმცა ფაქტია ორგანიზაციამ ეს ვერ მოახერხა. მას მოჰყვა მანხანის თანამშრომლობის ორგანიზაცია. მისი ისტორია 1996

წელს იწყება, როცა ჩინეთმა, ყირგიზეთმა, ყაზახეთმა და ტაჯიკეთმა საზღვრების დაცვის შესახებ ხელშეკრულება გააფორმეს, რომელსაც შემდგომ რუსეთი და უზბეკეთიც შეუერთდნენ, ხოლო 2001 წელს რეგიონულ ორგანიზაციად ჩამოყალიბდა და მის მთავარ მიზნად ტერორიზმის, ექსტრემიზმისა და სეპარატიზმის წინააღმდეგ ბრძოლა განისაზღვრა.

შემდეგი საფეხური იყო 2002 წელს კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ხელისმოწერა, რომელიც შემდეგ ორგანიზაციად გადაკეთდა. მოსკოვის მიერ ორგანიზაციაზე გაცემული დიდი ავანსის მიუხედავად, ფაქტია, რომ იგი არ არის ეფექტური რეგიონული სამხედრო ორგანიზაცია და არც იწვევს დაინტერესებას სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნებისა. რაც შეეხება ეკონომიკურ მიმართულებას, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ფარგლებში გარკვეული ეკონომიკური სტრუქტურების შექმნას მოსკოვი ჯერ კიდევ 1990-იანი წლების დასაწყისში ცდილობდა, თუმცა ხელისუფლებაში ვლადიმერ პუტინის მოსვლამდე ამ მიმართულებით კონკრეტული ნაბიჯები თითქმის არ გადადგმულა.

სწორედ ასე მივიდა რუსეთი ევრაზიული კავშირის შექმნის გადაწყვეტილებამდე. მართალია, საბაჟო კავშირის იდეა პირველად 1995 წელს გაჩნდა, თუმცა შესაბამის ხელშეკრულებას ბელორუსმა, რუსეთმა და ყაზახეთმა მხოლოდ 2011 წელს მოაწერეს ხელი და იგი ძალაში ჯერაც არ შესულა.

რუსეთს სურს, რომ პოსტსაბჭოთა სივრცეში არსებულმა ზემოთ ხსენებულმა ორგანიზაციებმა რეგიონში

საკუთარი გავლენა გაზარდოს, თუმცა სურვილის მიუხედავად, მათ დაკისრებული ფუნქცია ვერ შეასრულეს. იმედის ნაპერწკალს კი ევრაზიული კავშირი აღვივებს, რომლისთვის ინტეგრაციის მაღალი დონეა დამახასიათებელი. მას ხომ მაგალითად წარმატებული ორგანიზაციები ჰყავს და მინიმუმ მათზე მიბაძვაა შესაძლებელი, რათა სხვა მის მიერ შექმ-

ნილ ორგანიზაციებთან შედარებით ბევრად სიცოცხლისუნარიანი გახდეს. ამისათვის მას პოსტსაბჭოთა რესპუბლიკების დაინტერესება მოუწევს. სხვა შემთხვევაში, კვლავ მოუწევს მიმართოს ძალადობრივ მეთოდებს, თუმცა თანამედროვე მაგალითები აღნიშნული ძალადობისა გვიჩვენებს მის არაპრაქტიკულობასა და არაეფექტურობას.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. Александр Дугин: Евразийский Союз и Евразийский Диалог, [http://iran.ru/news/analytics/80138/b\\_Aleksandr\\_Dugin\\_Evraziyskiy\\_Soyuz\\_i\\_Evraziyskiy\\_Dialog\\_b](http://iran.ru/news/analytics/80138/b_Aleksandr_Dugin_Evraziyskiy_Soyuz_i_Evraziyskiy_Dialog_b)
2. Александр Дугин: "нам надо захватить Европу, завоевать и присоединить." [http://snob.ru/profile/6090/blog/73552#comment\\_703769](http://snob.ru/profile/6090/blog/73552#comment_703769).
3. ჟვანია ნ., საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომია, თბ.: სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, თბ., 2006. გვ. 74.
4. კვესელავა ი., საქართველოს სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური პარადიგმები და დილემები. თბ., 2013. გვ.60-61





## *mariam gabunia*

### კიდევ ერთხელ უილიამ შექსპირის ვინაობის დადგენის საკითხისათვის



შესრულდა უილიამ შექსპირის დაბედებიდან 450 წელი. მსოფლიოს მრავალ ადამიანს აღელვებს გენიალური დრამატურგის ვინაობის საკითხი. ლიტერატურათმცოდნეობაში მისი გარკვევა ჯერ კიდევ 200 წლის წინათ სცადეს. შექსპიროლოგები შეთანხმდნენ, რომ უკვდავი პიესების, სონეტების, პოემების ავტორი, ვინც არ უნდა აღმოჩენილიყო, შექსპირი, მაინც შექსპირად დარჩებოდა (მისი გვარი ითარგმნება, როგორც „შუბის მტყორცნელი“).


უცნაური გრძნობა გიპყრობს, როცა ინგლისის ქალაქ სტატფორდის სამების ეკლესიაში ამ გენიალური

ადამიანის ეპიტაფიას კითხულობ. ცნობილია, რომ ეპიტაფია მისივე სურვილით იქნა ამოკვეთილი საფლავის ქვაზე. მასში მარადიული ხსოვნის თხოვნაცაა და შიშიც, ვინმეს აზრად არ მოუვიდეს გენიოსის საფლავის შეხება და მისი მყუდროების დარღვევა. 1964 წელს, როცა მთელი მსოფლიო შექსპირის დაბადებიდან 400 წელს ზეიმობდა, ინგლისის ცნობილმა საზოგადო მოღვაწეებმა, მწერლებმა, პოეტებმა ქვეყნის პარლამენტს შექსპირის სარკოფაგის გახსნის თხოვნით მიმართეს, რათა პასუხი გაეცათ იმ უცნაური კითხვებისათვის, რომელიც არსებობდა საუკუნეების განმავლობაში შექსპირის ვინაობის შესახებ, მაგრამ... უარი მიიღეს. ამის საბაზი ის გამოუცნობი ეპიტაფია გახლდათ, სადაც ვკითხულობთ:

*„შეჩერდი მგაზვრო, ღვთის  
გულისათვის,  
ილოცე ჩემი სულის ხსნისათვის!  
ღმერთმა გიმრავლოს ლხენა, ნუგეში,  
შენ, ჩემი ნეშტის არ შეხებისთვის!“*

შექსპიროლოგთა არაერთ თაობას აწვალუბდა კითხვა, ხომ არ იყო ეს სიტყვები მოგონილი იმისათვის, რომ

დაემაღათ შექსპირის დიდი საიდუმლო. ამ საიდუმლოს ახსნას ბევრი ცნობილი შექსპიროლოგი შეეცადა, მათ შორის იყვნენ ენტონი ბერჯენსი, ედვარდ ბონდი, ჰერბერტ ლორენსი, უილიამ ჰენრი სმიტი და სხვანი. შექსპირის თანამედროვე დრამატურგი ბენ ჯონსი წერდა: „შექსპირმა ცოტა იცოდა ლათინური, უფრო ნაკლებად ბერძნული“. ჩვენ ვიცით, რომ მის ქმნილებებში ბევრი ინფორმაცია სწორედ ანტიკური ეპოქიდანაა აღებული. ჯეიმზ ჯოისმა რომანში „ულისე“ დასვა კითხვა – არსებობდა თუ არა უილიამ შექსპირი? მაგრამ კითხვა მან უპასუხოდ დატოვა. მისი შექსპირი – ეს არის შემოქმედის სიმბოლო, რომელიც სცდება ერთი პიროვნების ფარგლებს და თავისი ბუნებით ვერც ერთ თეორიაში ვერ თავსდება. შექსპირის გენიალური ტრაგედიების „მეფე ლირის“, „რიჩარდ III-ის“, „მაკბეტის“, ავტორობის პრეტენდენტები იყვნენ მწერლები, პოლიტიკოსები, ლორდები, თვით ინგლისის დედოფალი ელიზაბეტ I-ც კი. ყველაზე ცნობილი მათ შორის იყვნენ შექსპირის ბრწყინვალე თანამედროვენი: ფილოსოფოსი და პოლიტიკოსი ფრენსის ბეკონი და დრამატურგი და მოგზაური ქრისტოფერ მარლო. თუ შექსპირი მხოლოდ ნიდაბია, მაშინ ის იქნება ყველა დროის და ხალხის უდიდესი მისტიფიკაცია... შექსპირზე კამათისას მთავარი არგუმენტი მისივე პირადი ცხოვრებაა. იგი ლიტერატურულ ასპარეზზე 30 წლის ასაკში გამოჩნდა 1593 წელს, მაშინვე როცა გარდაიცვალა ქრისტოფერ მარლო, ცნობილი ინგლისელი პოეტი და დრამატურგი. ამ დრომდე უილიამი ექვმიტანილი იყო ბრაკონიერობაში,



სარგებლობდა თავშეუკავებელი ლოთის რეპუტაციით. მისი კვალი სტრატფორდში წლობით იკარგებოდა და მოულოდნელად ჩნდებოდა.


ყოველი ავტორის შესახებ შეიძლება რაიმე შევიტყვოთ მისი ნაწარმოებების გაანალიზებისას. ამ თვალსაზრისით შექსპირი 25 ათასი სიტყვის შემცველი გიგანტური ლექსიკონის მფლობელი კაცია; ნაწარმოებების თანახმად, იგი კარგად ფლობდა ფრანგულ, იტალიურ, ესპანურ ენებს, ასევე კარგად უნდა სცოდნოდა ძველბერძნული და ლათინური. იგი ასევე, ზედმიწევნით ერკვეოდა საზღვაო და სამხედრო საქმეებში, იურისპრუდენციაში, ფილოსოფიაში, მუსიკაში, მედიცინაში, ბოტანიკაში, გეოგრაფიაში. მშვენივრად იყო გათვითცნობიერებული იმდროინდელი ევროპის სამეფო კარის ცხოვრებაში; კარგად იცნობდა იტალიის ქალაქებს: პადუას, ვერონას, მილანს, ვენეციას, მანტუას, მაგრამ არა გაგონილს და არა წიგნების მიხედვით. იბადება კითხვა: შეეძლო სტრატფორდელ შექსპირს ამდენი ცოდნის დაგროვება? დადგენი-

ლია, რომ შექსპირის მშობლები ხელმოწერის ნაცვლად ჯვრებს დასვამდნენ ხოლმე... მისი არცერთი ბიოგრაფი საკამათოდ არ ხდის ფაქტს, რომ შექსპირს არასოდეს დაუტოვებია ინგლისის საზღვრები, მაშასადამე, იგი არ ყოფილა არც იტალიაში და არც დანიაში... მისი გარდაცვალების შემდეგ, როგორ უცნაურადაც არ უნდა მოგეჩვენოთ, არ დარჩენილა არც ერთი წერილი, ან ხელნაწერი. დღემდე არ არის აღმოჩენილი მისი ხელით დაწერილი პიესების, ან სონეტების არც ერთი ეგზემპლარი. ნაპოვნია მხოლოდ მისი ოთხი ხელმოწერა: ანდერძზე, სასამართლო ჩვენებაზე და სახლის ყიდვის ორ დოკუმენტზე. ავტორს, რომელიც თავის ნაწერებში ყველა საუკუნის ლიტერატურისა და ისტორიის ღრმა ცოდნის დემონსტრირებას ახდენს, უნდა ჰქონოდა მდიდარი ბიბლიოთეკა. შექსპირის სახლ-მუზეუმში მისი საკუთარი ბიბლიოთეკა დაცული არ არის. შექსპირის ანდერძში არსადაა ნახენები წიგნები, ხელნაწერები, მაშინ როცა ის საუბრობს საწოლზე, მაგიდაზე, ჭურჭელზე, მოაქროვილ ვერცხლის ლარნაკზე... შექსპირის ქალიშვილი ჯუდიტი 27 წლის ასაკშიც კი წერა-კითხვის უცოდინარი იყო. შექსპიროლოგები კამათობენ იმაზეც, თუ სად შეიძლება იყოს ესწავლა მას ფრანგული, იტალიური, ესპანური... ურომლისოდაც იგი ვერ შექმნიდა თავის შედეგებს. რაც შეეხება სცენაზე მისი, როგორც მსახიობის მოდერნიზაციას, მას არც ერთი მთავარი როლი არ შეუსრულებია თავის ცნობილ პიესებში; სცენაზე მის უმაღლეს მიღწევად უნდა ჩაითვალოს ჰამლეტის მამის ჩრდილის როლის შესრულება. შექსპირის გარდაცვალებამ სტრატ-

ფორდში და მით უმეტეს, მის ფარგლებს გარეთ, შეუმჩნევლად ჩაიარა. მის სიკვდილზე არ დაწერილა არც ერთი ელეგია, როგორც იმხანად იყო მიღებული. შექსპირის სახელს არ იხსენიებს თეატრ „გლობუსის“ მსახიობი ჯონ ალენი, რომელიც იმ დროს დღიურებს წერდა და მასში მნიშვნელოვან თეატრალურ ამბებს აღწერდა. შექსპირის სიძესაც, დოქტორ ჰოლს, თავის ჩანაწერებში არც ერთი სიტყვა არ დასცდენია იმის შესახებ, რომ მისი სიმამრი ცნობილი პოეტი და დრამატურგი იყო. შექსპირის ყველა პორტრეტი აპოკრიფულია. ბენჯონი შექსპირის ერთ-ერთ სურათს „უსაფლავო ძეგლს“ უწოდებს. მარკ ტვენი, ემესრონი, ლორდი პალმერსტონი, ბაირონი, დიკენსი და სხვანი ეჭვს გამოთქამენ შექსპირის პიროვნების შესახებ და ითხოვენ გაირკვეს შექსპირის „საიდუმლოებანი“. ბევრი ცნობილი შექსპიროლოგი, მათ შორის, ჰერბერტ ლორენსი და ჯონ ჰარტი აღნიშნავენ, რომ შექსპირის პიესების უმრავლესობა ფრენსის ბეკონის კალამს ეკუთვნოდა. ბეკონის შესანიშნავ ბიბლიოთეკაში ინახებოდა სწორედ ისეთი წიგნები, რომელთა ფრაგმენტებიც უხვად იყო ციტირებული შექსპირის პიესებში. მისი პიესების უმრავლესობა ისეთ სიუჟეტებზე იყო აგებული, რომელთა თარგმანი ინგლისურ ენაზე არ არსებობდა, შექსპირს კი, ბეკონისგან განსხვავებით იტალიურ ენაზე მათი წაკითხვა არ შეეძლო. იბადება კითხვა, რატომ არ სურდა ბეკონს ყოფილიყო ცნობილი. ბეკონი იყო წევრი როზენკროცერების ორდენისა, რომლის წესდების თანახმად, გარდაცვალების შემდეგ, ორდენის წევრის საფლავი არ უნდა ყოფილიყო ცნობილი. ბეკონ-

ნი იმედოვნებდა, რომ მომავალი გახსნიდა მის გენიას, მან ხომ სული ღმერთს უნადერმა, სხეული – უცნობ ადგილს, სახელი და ხსოვნა – მომავალს.

შექსპირის პიესების ავტორად ასახელებენ გრაფ რეტლენდს, ანუ როჯერ მენერისს. მას უცნაურ, სწეულ კაცად იცნობდნენ. იგი იყო სამეფო კართად დაახლოებული, მეტად განათლებული, ევროპული ენების ბრწყინვალე მცოდნე. დაამთავრა კემბრიჯის უნივერსიტეტი, დიდხანს ცხოვრობდა იტალიაში, სწავლობდა პადუის უნივერსიტეტში. ამ უნივერსიტეტის სტუდენტურ სიებში ვხვდებით დანიელებს – როზენკრანსცისა და გილდენსტერნის – „ჰამლეტის“ პერსონაჟების გვარებს. ისიც ცნობილია, რომ 1603 წელს გრაფი რეტლენდი დიპლომატიური მისიით და-



ნიაში გაიგზავნა. სწორედ ამ წელს

გამოიცა „ჰამლეტი“, სადაც ამ ქვეყნის სამეფო კარის ცხოვრებაა აღწერილი. რეტლენდი 1612 წელს გარდაიცვალა და ტრაგედიების წერაც შეწყდა. ჩნდება კითხვა: რაში სჭირდებოდა გრაფს, ამოფარებოდა ნილაბს და მსოფლიო დიდების გვირგვინი საშუალო მონაცემების მსახიობისათვის, მასზე ნაკლებად განათლებული ადამიანისათვის დაეთმო. შექსპიროლოგები ფიქრობენ, რომ ეს იყო გულდასმით მომზადებული და წარმატებით განხორციელებული ლიტერატურული თამაში. რეტლანდმა მიზნად დაისახა შეექმნა ყველა დროისა და ყველა ხალხის უდიდესი დრამატურგი, ოღონდ ინგლისელი. ჭეშმარიტი ავტორის სახელი კი, დაე, მოკვდეს! შექსპიროლოგები, კერძოდ, ჰოფმანი, უილიამსი, ჯონსი... ცდილობენ შექსპირის ზოგიერთი პიესის ავტორად მიიჩნიონ ცნობილი მწერალი და დრამატურგი ქრისტოფერ მარლო. შექსპირის თანამედროვე, ჰოფმანი პოულობს მსგავსებებს მარლოს სახელით გამოქვეყნებულ პოემებსა და შექსპირის ზოგიერთ პიესას შორის (მაგ., „ვენერა და ადონისი“, ან „ტიტუს ანდრონიკუსი“...). შექსპირის მომხრეები ისეთივე დამაჯერებლობით ამტკიცებენ შექსპირის ავტორობას, როგორც ბეკონის, ან მარლოს მომხრეები, მაგრამ უდავო დამამტკიცებელი არგუმენტები არც მათ გააჩნიათ.

ჩარლზ დიკენსი წერდა, შექსპირის უკან, რაღაც მშვენიერი საიდუმლოა დამარხული და იგი ყოველდღე ელის შეიტყოს ეს საიდუმლო. მარკ ტვენმა შექსპირს არარსებულ ადამიანთა შორის ყველაზე სახელგანთქმული უწოდა. ამ შეხედულებას იზიარებდნენ გოლსუორსი, ფროიდი და

სხვ... შექსპირის ვინაობის პრობლემის გადაწყვეტა რთულია, ეს რომ მარტივი ყოფილიყო, კაცობრიობა მას დიდი ხნის წინათ გადაჭრიდა. ცოტა ხნის წინ, მსოფლიო კინოს ეკრანებზე გამოჩნდა ცნობილ შექსპიროლოგ ტომას სტოფარდის სცენარის მიხედვით გადაღებული ფილმი „შეყვარებული შექსპირი“, რომელმაც „ოსკარი“ მოიპოვა. ხელოვნებათმცოდნეები აღნიშნავენ, რომ ფილმი შორსაა ისტორიული სიმართლისაგან. რასაკვირველია, სცენარისტს აქვს გამონაგონის შემოთავაზების უფლება, მაგრამ მაცურებელსაც აქვს უფლება

იცოდეს, რომ ფილმში ყველაფერი წმინდა წყლის ფანტაზიაა...

ჯერ კიდევ მრავალია „თეთრი ლაქები“ შექსპირის ბიოგრაფიაში. დისკუსია ალბათ კიდევ დიდხანს გაგრძელდება. უილიამ შექსპირი კვლავ იდუმალების ბურუსშია გახვეული. მისი საფლავის ეპიტაფია კვლავ მყუდროებას ითხოვს. ვინ იყო შექსპირი? ჩვენთვის გაცილებით უფრო ძვირფასია შესწავლა იმ უკვდავი შემოქმედებისა, რომელიც კაცობრიობის უდიდეს საგანძურად არის მიჩნეული.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

1. Chambers E.K., W. Shakespeare, A study of facts and problems. M., 2004.
2. Wilson J.D. The essential Shakespeare, Camb., 2012.
3. Шведов В. Вильям Шекспир, М., 1977.
4. Хайтхед Д. Серьезные забавы, М., 1986.
5. ლ. ხუბაშვილი, ვინ იყო შექსპირი – ფრენსის ბეკონი თუ ქრიტოფერ მარლო. იხ.: შუა საუკუნეების ისტორიის საკითხები, III, თბ., 2001, გვ. 96-111.





## ქართული ანბანი სომხების შექმნილი არ შეიძლება იყოს!

სომხების მიერ გამოთქმულია მოსაზრება, თითქოს, ქართული ანბანი VI ს. სომეხმა საზოგადო მოღვაწემ მესროპ მაშტოცმა შექმნა. სომხურ-ქართულ დამწერლობათა ურთიერთ-მიმართებათა გარკვევისას აღმოჩნდა, რომ სომეხ ისტორიკოს კორიუნის თხზულებაში მაშტოცის მიერ ქართული ანბანის შექმნის ვერსია გვიანდელი ჩანართი აღმოჩნდა (რ. პატარიძე, „ქართული ასომთავრული“, 1980 წ. გვ. 33). მიუხედავად ამისა, ამ საკითხის სომეხი მკვლევარები ისევ ძველ ვერსიას იმეორებენ, რომ ანბანი ქართველებს ახ. წ. V საუკუნეში მოღვაწე მესროპ მაშტოცმა შეუქმნა. ერთხელ და სამუდამოდ უნდა გაირკვეს ეს საკითხი, რათა ნათელი მოეფინოს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრობლემას, ზოგადსაკაცობრიო კულტურის უმნიშვნელოვანეს საკითხს, საერთოდ, ქართული ანბანური დამწერლობის წარმოშობის საკითხს.

პირველ ადამიანთა ცოდნა ღმერთზე, ადამიანსა და სამყაროზე, როგორც ერთიან კოსმიურ სინთეზზე, დღემდეა მოტანილი და მას მსოფლიოს მოაზროვნე საზოგადოება კაბალას სახელით იცნობს. ეს არის კაბალას კოსმიური ბიბლიური ცოდნა სამყაროს გენეტიკური კოდის შესახებ, რომელიც, ჩემი გამოკვლევით, მსოფლი-

ოში არსებული ყველა ანბანიდან, მთელი სიღრმით, მხოლოდ ქართულ ანბანში აისახება. კაბალას ბიბლიურ ცოდნას წარმოაჩენს ჩინეთის „იძინი“ – სამყაროს „ცვალებადობათა წიგნი“, შუმერთა „მე“-ს „ხვთაებრივი კანონები“, ეგვიპტის „ტაროს არკანები“, ევროპელთა „რუნები“.

„კაბალა“ – „კაბა-ალი“ ქართული სიტყვაა და ცეცხლის სტიქიის სამოსს – „კაბა“-ს ნიშნავს. ამასთანავე, საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილს – ჰერეთს ოდითგანვე „კაბალა“ ერქვა. დღესაც არის იქ ქ. კაბალა, აღმოსავლეთ საქართველოში კი მდ. კაბალი და სოფ. კაბალი.

დავახასიათოთ ქართული ანბანი კაბალასთან მიმართებით და შემდეგ გავავლოთ პარალელები სომხურ ანბანთან: ქართულ ანბანში 37 ასო-ნიშანია, რაც კაბალასთვის ასო-ნიშანთა აუცილებელი რაოდენობაა, რომელშიც ეგვიპტური კაბალას 78 არკანი (საიდუმლო) აისახება –  $21+4\cdot 14+1=78$ ; ქართულ ანბანში ნულოვანი არკანი, ანუ -ვიე ასო-ნიშანი, რომელსაც არა აქვს რიცხვითი მნიშვნელობა, არის გამყოფი – საზღვარი „უფროს“ და „უმცროს“ არკანთა ჯგუფებისა: უფროს არკანთა ჯგუფი მოიცავს 21 არკანს, რომელიც სისტემურად ანბანის 21 ასო-ნიშანზე



ვრცელდება, ხოლო უმცროს არკანთა ჯგუფი მოიცავს  $4 \times 14 + 1 = 57$  არკანს, რომელიც სისტემურად ანბანის 15 ასო-ნიშანზე ნაწილდება; შუმერების „მე“-ს „ხვთაებრივ კანონებში“ ერთი კოსმიური ციკლი 37 „კანონს“ შეადგენს, რაც ზედმიწევნით შეესაბამება ქართული ანბანის 37 ასო-ნიშანთა მდებარეობას ანბანში; ქართულ ანბანში აისახება ასევე ჩინეთის „იძინი“-ს 64 ჰექსაგრამა და ევროპელთა „რუნები“ ქართულ ანბანში ასო-ნიშანთა მდებარეობა, მათი მეორეული

სახელები – ან, ბან, გან, დონ ... ა.შ., გვერდით მიწერილი რიცხვები, 21 და 22 ასო-ნიშნებს შორის ნულოვანი ასო-ნიშნის მდებარეობა, რომელსაც არა აქვს რიცხვითი მნიშვნელობა, უმნიშვნელოვანესი ფაქტორია იმისთვის, რომ გაკეთდეს დამაჯერებელი და საფუძვლიანი დასკვნა: კაბალას ბიბლიური ცოდნა ქართული გენის ფენომენია, ქართული კოსმოგონიური ცოდნაა და მხოლოდ ქართულ ანბანში აისახება.

### ქართული ანბანი

1	ა	ბ	გ	დ	ე	1	20	ს	ლ	ს	სან	200
2	ყ	ვ	ბ	ბან	2	21	ღ	ღ	ტ	ტარ	300	
3	ლ	ვ	გ	გან	3		ძ	ყ	ჭ	ვი-ე		
4	ფ	ფ	დ	დონ	4	22	Qd	ყ	უ	უნ	400	
5	ნ	ნ	ე	ენ	5	23	ფ	ფ	ფ	ფარ	500	
6	ჩ	ჩ	ვ	ვინ	6	24	ჩ	ჩ	ქ	ქან	600	
7	ხ	ხ	ზ	ზენ	7	25	ჩ	ჩ	ღ	ღან	700	
8	ც	ც	ჭ	ჭ-ე	8	26	ყ	ყ	ყ	ყარ	800	
9	ც	თ	თ	თან	9	27	ყ	ყ	შ	შინ	900	
10	ვ	ვ	ი	ინ	10	28	ჩ	ჩ	ჩ	ჩინ	1000	
11	კ	კ	კ	კან	20	29	ც	ც	ც	ცან	2000	
12	ხ	თ	ლ	ლას	30	30	ძ	ძ	ძ	ძილ	3000	
13	გ	ბ	მ	მან	40	31	ჩ	ჩ	წ	წილ	4000	
14	ჩ	ჩ	ნ	ნარ	50	32	ს	ს	ჭ	ჭარ	5000	
15	ა	ა	დ	დ-ე	60	33	ღ	ღ	ხ	ხან	6000	
16	Q	ყ	ო	ონ	70	34	ყ	ყ	ჭ	ჭარ	7000	
17	ს	ს	პ	პარ	80	35	ჯ	ჯ	ჯ	ჯან	8000	
18	ყ	ყ	ჟ	ჟან	90	36	ს	ს	პ	პ-ე	9000	
19	კ	კ	რ	რა-ე	100	37	ძ	ძ	ფ	ობ(ოპ)	10000	

**სომხური ანბანი**  
(მესროპ მაშტოცის შედგენილი „ერკათაგარის“  
ანბანი. ახ. წ. V ს.)

1	Ա	ააბ	1	ა	19	Ճ	ჭა	100	ჭ
2	Բ	ბენ	2	ბ	20	Մ	მენ	200	მ
3	Գ	გიმ	3	გ	21	Յ	დი	300	დ
4	Դ	და	4	დ	22	Ն	ნუ	400	ნ
5	Ե	ეჩ	5	ე	23	Շ	შა	500	შ
6	Զ	ზა	6	ზ	24	Ո	ო	600	ო
7	Է	ეც	7	ეც	25	Ղ	ჩა	700	ჩ
8	Ը	რთ	8	რ	26	Կ	კე	800	კ
9	Թ	თო	9	თ	27	Լ	ჯე	900	ჯ
10	Ժ	ქე	10	ქ	28	Ռ	რა	1000	რ
11	Ի	ინ	20	ი	29	Ս	სე	2000	ს
12	Լ	ლუნ	30	ლ	30	Ա	ვევ	3000	ვ
13	Խ	ხე	40	ხ	31	Դ	ტუნ	4000	ტ
14	Ծ	წა	50	წ	32	Ր	რე	5000	რ
15	Տ	კენ	60	კ	33	Յ	ცო	6000	ც
16	Վ	ვო	70	ვ	34	Ի	უნ	7000	ჰ
17	Ձ	ძა	80	ძ	35	Փ	ფვრ	8000	ფ
18	Ղ	ლატ	90	ღ	36	Բ	ქე	9000	ქ

კაბალას ცოდნის მიხედვით, ყველა ანბანში აუცილებელია:

1. პირველი ასო-ნიშანი აუცილებელია იყოს ა-ან-1, რომლის მეორადი სახელი სავალდებულოა იყოს – „ან“, ვინაიდან ჩინური კაბალას პირველი ჰექსაგრამის სახელია – „ცი-ან“ და ამავდროულად, მის შესაბამის

იეროგლიფურ გამოსახულებაში არის ქართული ასომთავრული „წ-ა-ან“ ასო-ნიშანი, ასევე „ან“ არის შუმერთა ცის ღმერთი, რომელმაც შექმნა სამყაროში ყველაფერი. სომხურ ანბანში კი ეს არ არის.

2. ანბანში „ი-ინ-10“ ასო-ნიშანი აუცილებლად უნდა იყოს რიგით მე-

10, რომლის მეორადი სახელი სავალდებულოა იყოს – „ინ“, ვინაიდან, კაბალას მიხედვით, ის არის „ქალბატონის მუდმივი ხელისუფლება“. ასევე, აღმოსავლური ფილოსოფიით, „ინ“ არის სამყაროს შემოქმედი მდედრის გამოხატულება, რომელიც უდიდეს ადგილს იკავებს სამყაროს გენეტიკური კოდის ორ – „ინ“ და „იან“ საწყისების სახით. სომხურ ანბანში კი ეს არ არის.

3. კაბალას ცოდნიდან გამომდინარე, აუცილებელია მე-12 ასო-ნიშანი იყოს „ლ-ლას-30“, რომლის შესაბამისი რიცხვი სავალდებულოა იყოს „30“ სომხურ ანბანში კი ეს არ არის.

4. კაბალას ცოდნიდან გამომდინარე, აუცილებელია მე-16 ასო-ნიშანი იყოს „ო-ონ“, რომლის მეორადი სახელი სავალდებულოა იყოს „ონ“, ვინაიდან, კაბალას ცოდნით, ის არის „ბაბ-ელ-ონ-ის“ გოდოლი. სომხურ ანბანში კი ეს არ არის. გამომდინარე აქედან, რომ კაბალას ცოდნა მხოლოდ ქართულ ანბანში აისახება, რომელიც არის სამყაროს გენეტიკური კოდი, ქართული ანბანის მიხედვით შეგვიძლია განვსაზღვროთ, როდის მოხდა ბაბელონის გოდოლის დანგრევა: ეს პროცესი დაიწყო „ქართ. ადამს აქათ“ 30 წელს, „ნგრევა“ გრძელდებოდა 10 წელი და დამთავრდა „ქართ. ადამს აქათ“ 40 წელს. თუ ამ თარიღს ახ. წ. 2000 წლიდან უკან ავითვლით, ბაბელონის გოდოლის დანგრევა დაწყებულია 7970 წლის უკან, ანუ ძვ. წ. 5970 წელს, გრძელდებოდა 10 წელი და დამთავრდა ძვ. წ. 5960 წელს, ანუ 7960 წლის უკან. „ო“ ასო-ნიშანი სომხურ ანბანში მხოლოდ XII საუკუნიდან გაჩნდა.

5. კაბალას ცოდნიდან გამომდინარე, მე-19 ასო-ნიშანი აუცილებლად

უნდა იყოს „რ-რა-რაე-100“, რომლის მეორადი სახელი სავალდებულოა იყოს „რა-რაე“ და შესაბამისი რიცხვი უნდა იყოს „100“. კაბალას ცოდნით მისი სახელია „მზე“, მსოფლიოში არსებული ანბანებიდან „რ“ ასო-ნიშანი მე-19 ადგილზე მხოლოდ ქართულ ანბანშია. სომხურ ანბანში კი ეს არ არის.

6. კაბალას ცოდნიდან გამომდინარე, აუცილებელია 21-ე ასო-ნიშანი იყოს „ტ-ტარ-300“, რომლის მეორადი სახელი სავალდებულოა იყოს „ტარ“. ვინაიდან ის ამთავრებს ეგვიპტური კაბალას უფროს არკანთა ჯგუფს; სომხურ ანბანში კი ეს არ არის. ამავდროულად, ეგვიპტური კაბალას სახელი „ტაროს არკანები“ სწორედ ქართული ანბანის 21-ტ-ტარ ასო-ნიშანთანაა დაკავშირებული. სიტყვა „ტარო“ ქართულად „მეფეთა გზა“-ს ნიშნავს. ქართული ცნობიერებით სიტყვა „ტარ-ო“ შემდეგნაირად წარმოჩინდება: „ტარ“ – ტარებას, სიარულს, „გზა“-ს ნიშნავს, ხოლო „ო“ ასო-ნიშნით გამოსახავდნენ უძველეს ქართულ ხელნაწერებში სიტყვას „უფალი“ – ქვეყნიერების მთავარი. როგორც ვხედავთ, ქართული ცნობიერება ზუსტად გამოხატავს სიტყვა „ტარო“-ს – „მეფეთა გზა“-ს. კაბალას ცოდნით, 21-ე არკანის სახელია „გრაალი“, რომელიც აუცილებლად დაკავშირებულია „გრაალის“ თასთან. სიტყვა „გრაალი“ (მე ამ სიტყვას ასე მოვიხსენიებ) ორი ნაწილისგან შედგება და თუ დავუკვირდებით, მისი საიდუმლო თვით სიტყვაშია – „გრ“ და „ალი“, სადაც „გრ“ უკავშირდება სიტყვებს „ჯ-გრ-აგი“ (ფიქრობ, თავდაპირველად იქნებოდა „ჯგრაალი“), „ტენ-გრ-ი“, რაც თეთრ ცხენზე მჯდომ ღმერთს, წარ-

მართობის თეთრ გიორგის უკავშირდება, ხოლო „ალი“ – ცეცხლის სტიქიას, მზეს, ოქროს ნიშნავს. მამასადამე, სიტყვა „გრ-ალი“ – იგივე ოქროს საწმისის ენერგიის გამოხატველია (ეს ცალკე საუბრის თემა). როგორც „გრალის თასი“, ასევე „ოქროს საწმისი“, ადამიანის სამყაროს უკავშირდება და განიხილება გენეტიკური კოდის – დნმ-ის დონეზე.

7. კაბალას ცოდნაში ნულოვანი არკანი განთავსებულია 21 და 22-ს შორის, ანუ ისეთი ასო-ნიშანია, რომლის რიცხვითი მნიშვნელობა ნულის ტოლია. ქართულ ანბანში 21 და 22 ასო-ნიშნებს შორის სწორედაც არის - ვიე ასო-ნიშანი, რომელსაც რიცხვითი მნიშვნელობა არ გააჩნია, ანუ ნულის ტოლია. სომხურ ანბანში კი ეს არ არის. იგი ამავდროულად მეორდება უ-22 ასო-ნიშანში, რაც კაბალას ცოდნაში ძალიან მნიშვნელოვანია. კაბალას ცოდნა კი გვეუბნება, რომ 22 არკანი არის იგივე ნულოვანი არკანი, მაგრამ 22-ე არკანი გამომდინარეობს არა 21-ე არკანიდან, არამედ ნულოვანი არკანიდან, რაც ნიშნავს იმას, რომ 21-სა და 22-ს შორის აუცილებლად უნდა იყოს ნულოვანი არკანი, ანუ ასო-ნიშანი, რომლის რიცხვითი მნიშვნელობა ნულია. კაბალას ცოდნით ნულოვანი, ანუ 22-ე არკანის სახელია „წარღვნა“, რომლის მიხედვითაც შეგვიძლია განვსაზღვროთ, როდის მოხდა „წარღვნა“ და საერთოდ, კაბალა რომელ „წარღვნაზე“ მიგვანიშნებს, ეს შემდგომი კვლევის საკითხია. კაბალას ცოდნა რომ ქართულია, ამის მიმანიშნებელია ისიც, რომ ქართველებმა კაბალას – ქართული ანბანის კოდით იცოდნენ, როდის მოხდა „წარღვნა“ და აქედან დაიწყეს წელთაღრიცხვის ათვლა „დასაბა-

მითგან“, ანუ „წარღვნიდან“. ქართველები უძველეს ხელნაწერებში „დასაბამითგან“ ქრისტეს მოსვლამდე 5604 (5600) წელს ითვლიდნენ, რაც ემთხვევა ბიბლიური კაბალას კოდს – ქართული ანბანის გენეტიკურ კოდს, ვინაიდან ქართული ანბანია სამყაროს გენეტიკური კოდი და „ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის“. შეგვიძლია, ქართული ანბანის მიხედვით, განვსაზღვროთ, როდის მოხდა წარღვნა: წარღვნა დაიწყო „ქართ. ადამს აქათ“ 300 წელს, რომელსაც ეესაბამება ძვ. წ. 5700 წელი, გრძელდებოდა 100 წელი და დამთავრდა „ქართ. ადამს აქათ“ 400 წელს, რომელსაც შეესაბამება ძვ. წ. 5600 წელი.

8. ქართულ ანბანში, როგორც სამყაროს გენეტიკურ კოდში, აისახება შემერთა ქალღმერთ ინანას კოსმიური გზა: იგი არის დედოფალი ცისა და სურს გახდეს დედოფალი ქვესკნელისაც. ამ მიზნით მამა აძლევს მას „ბედისწერის დაფებს“ – „მე“-ს „ღვთაებრივ კანონებს“, რომლებსაც ჩატვირთავს ზეციურ ნავში და მოდის ქვესკნელის სამეფოში. ამ კოსმიურ მომენტს ქართულ ანბანში, ანუ კაბალას კოდით, შეესაბამება მე-16 კანონი „მე“-ებს ხვთაებრივი კანონებიდან, რომელიც კაბალას ცოდნით არის „ბაბელონის გოდოლი“; შემდეგ გაივლის 7 კარს, სადაც თითოეულ კარში ართმევენ ცის დედოფლის ატრიბუტებს და ბოლოს გონდაკარგულს, რომელსაც უკვე დავიწყებული აქვს ვინ არის და საიდან მოვიდა, „კავზე“ გადაკიდებენ, ანუ ჯვარზე გააკრავენ. ეს კოსმიური მომენტი შეესაბამება ქართული ანბანის 24-ჩ-ქან-600 ასო-ნიშანს. სომხურ ანბანში ვერ აისახება ქალღმერთ ინანას კოსმიური გზა, ვინაიდან მე-16 და 24-ე

ასო-ნიშნები სომხურ ანბანში სულ სხვა ასო-ნიშნებია, ვიდრე ქართულ ანბანში.

9. ქართული ანბანის 37 ასო-ნიშანი გამოსახავს ბიბლიურ 40 ასო-ნიშანს, რომელიც აღნიშნულია წმინდა წერილებში, რაც მიგვანიშნებს

იმაზე, რომ სამყარო 10-ის პრინციპით 4 ეტაპად ვითარდება. ვინაიდან სომხურ ანბანში 36 ასო-ნიშანია და მთავრდება 9000-ით, ქვემოთ მოყვანილი სქემა სომხურ ანბანში ვერ აისახება.

ა - 1	<b>ო - 10</b>	რ - 100	ჩ - 1000
ბ - 2	კ - 20	ს - 200	ც - 2000
გ - 3	ლ - 30	ტ - 300	ძ - 3000
დ - 4	მ - 40	უ - 400	წ - 4000
ე - 5	ნ - 50	ფ - 500	ჭ - 5000
ვ - 6	ძ - 60	ქ - 600	ხ - 6000
ზ - 7	ო - 70	ღ - 700	ც - 7000
ყ - 8	კ - 80	ყ - 800	ჯ - 8000
თ - 9	ქ - 90	შ - 900	ჰ - 9000
<b>ო - 10</b>	რ - 100	ჩ - 1000	Ä - 10000

10. ქართულ ანბანში აისახება, ასევე, სამყაროს შექმნის 6 დღე. კაბალას ცოდნა გვეუბნება, რომ „ერთმა“ შექმნა „ორი“, „ორმა“ - „სამი“ და „სამმა“ ყველაფერი. დღეს მეცნიერებამ უკვე დაამტკიცა, რომ ღმერთმა სამყარო ნამდვილად ექვს დღეში შექმნა. ეს საკითხი რომ უფრო ნათელი გახდეს, საკმარისია განვიხილოთ ადამიანის, როგორც სამყაროს შექმნის პროცესი: პირველ სამ დღეს ხდება კვერცხუჯრედის განაყოფიერება, ხოლო შემდეგ 6 დღეში წარ-

მოიქმნება ღეროვანი უჯრედები, რომლებიც ძირითადი სასიცოცხლო უჯრედებია და ადამიანს ჩასახვის მომენტიდან სიკვდილამდე მიჰყვება, რაც ნათლადაა ასახული ქართულ ანბანში. სწორედ ეს არის ბიბლიაში მოხსენიებული „სამყაროს შესაქმნის 6 დღე“, რომელიც ეხება მხოლოდ ადამიანს, როგორც სამყაროს.

11. ექვს დღეში შექმნილი მეშვიდე დღეს, ანუ საწყისიდან მეათე დღეს იწყებს წრიულ მოწესრიგებულ მოძრაობას, რომლის სახელი, კაბა-

ლას ცოდნით, არის – „ბედის ბორბალი“. მეტად საინტერესოა ის ფაქტი, რომ ჩასახვიდან მე-10 დღეს ადამიანის ჩანასახის „გული“ ფეთქვას იწყებს და აქვს ერთგვარი „პულსაცია“, რაც ქართული ანბანის ი-ინ-10 ასო-ნიშნის კოსმიურობის შესატყვისია. ადამიანში, როგორც სამყაროში, მიმდინარე ყველა გენეტიკური პროცესი მხოლოდ ქართულ ანბანში აისახება. მხოლოდ ერთხელ კი არ შეიქმნა სამყარო, არამედ, ბიბლიური კაბალას კოდით, ყოველ წუთს და ყოველ წამს იქმნება მიკრო თუ მაკრო სამყარო.

ჩვენ განვიხილეთ ქართული ანბანი კაბალას ბიბლიურ ცოდნასთან მიმართებით, რაც საკმარისია იმის დასამტკიცებლად, რომ სწორედ ქართულ ანბანში აისახება კაბალას ბიბლიური ცოდნა.

ზემოთ განხილულის მიხედვით, შევადაროთ სომხური ანბანი კაბალას ცოდნას. ამისათვის საკმარისია ქართული და სომხური ანბანების შედარება: სომხურ ანბანში 36 ასო-ნიშანია და არა 37; ასო-ნიშნები სულ სხვა თანმიმდევრობითაა განლაგებული, ვიდრე ქართულ ანბანში; სომხური ანბანის თითოეული ასო-ნიშნის შესაბამისი რიცხვები თითქმის მთლიანად განსხვავდება ქართული ანბანისგან; სომხური ასო-ნიშნების მეორადი სახელები საერთოდ არ ემთხვევა ქართული ასო-ნიშნების მეორად სახელებს – ან, ბან, გან, დონ...; 21 და 22 ასო-ნიშნებს შორის არ არსებობს ისეთი ასო-ნიშანი, რომლის რიცხვითი მნიშვნელობა ნულის ტოლია და, ამავე დროს, 22-ე ასო-ნიშანი ორი ასო-ნიშნისგან არ შედგება, რაც, კაბალას ცოდნიდან გამომდინარე, ძალიან მნიშვნელოვანია. სომხური ანბანი არ

მთავრდება 10000-ით, რაც ასევე მნიშვნელოვანია, ვინაიდან ცივილიზაციათა კოსმიური ციკლი 10000 წელია. კაბალას ბიბლიური ცოდნა იმ ანბანში აისახება, რომელიც 4 ათეული, ანუ 40 ასო-ნიშნისგან შედგება, რაც არ არის სომხურ ანბანში, რადგან იგი მთავრდება რიცხვით – 9000.

კაბალას ღრმა ცოდნაა ასახული, ასევე, ქართველთა მითოლოგიასა და ეთნოგრაფიაში, არქეოლოგიასა და ისტორიულ ძეგლთა სიმბოლოებში.

ქართული ანბანი საქართველოში ჯერ კიდევ წარმართობის პერიოდის ძეგლებზეა ასახული: დავათის სტელა (ძვ. წ. 680 წ.), სადაც ქართული ანბანის 37 ასო-ნიშანია გამოსახული; შარაგასის სტელა (ძვ. წ. 800 წ.); ქართული წარწერები ნეკრესის არქეოლოგიურ ძეგლებზე და სხვ. ქართული ანბანის კვალია მექსიკის მონტეალბანას ტერიტორიაზე, ჩინეთში, ინდოეთში, ეგვიპტეში, შუმერში.

ღმერთი ამბობს: „მე ვარ ანი და ოხი“, ეს ნიშნავს, რომ ანბანი არის ღმერთი, ხოლო ადამიანს არ შეუძლია ანბანის, ანუ ღმერთის შექმნა; მაგრამ ეს სიტყვები ყველა ანბანს არ ეხება, არამედ ეხება იმ ანბანს, რომელშიც აისახება ცოდნა სამყაროს გენეტიკური კოდის შესახებ, ანუ კაბალას კოსმიური ბიბლიური ცოდნა, ასეთი კი მხოლოდ ქართული ანბანია. ქართული ანბანი ჯერ კიდევ პირველ ადამიანთა მიერ გამოცხადებით მიღებული კოსმიური ინფორმაციაა. „კაბალა“ ყველა არსებულ მეცნიერებათა ჯამია. იგი გამოხატავს ადამიანის ზესვლას სულიერი გასხივოსნებისა და სრულყოფისაკენ. ქართველი ერის X საუკუნის უდიდესი საზოგადო მოღვაწე, მწიგნობარი იოვანე-ზოსიმე „ქებაჲს“-ს ტექსტში

ქართული ენის და ანბანის შესახებ ხაზგასმით ამბობს: „ყოველი საიდუმლოდ ამას ენასა შინა დამარხულ არს“, სადაც მოიაზრება როგორც ქართული ენა, ისე ქართული ანბანი.

სომხური ანბანისთვის დამახასიათებელი სისტემური თუ ინდივიდუალური თვისებები, სრულიად აშკარაა, ვერ აკმაყოფილებს იმ აუცილებელ მოთხოვნებს, რომელიც კაბალას ბიბლიურ ცოდნას შეესაბამება, რაც გვაძლევს იმის საფუძველს, გამოვიტანოთ შემდეგი დასკვნა: სომხურ ანბანში არ აისახება კაბალას კოსმიური ბიბლიური ცოდნა სამყაროს გენეტიკური კოდის შესახებ; სომეხი ხალხისთვის და მესროპ მაშტოცისთვის უცხო იყო კაბალას ბიბ-

ლიური კოსმიური საიდუმლო ცოდნა ღმერთზე, ადამიანსა და სამყაროზე, როგორც ერთიან კოსმიურ სინთეზზე, რაც მთელი სიღრმით მსოფლიოში არსებული ყველა ანბანიდან მხოლოდ ქართულ ანბანში აისახება, ამიტომ ქართული ანბანი არ შეიძლება იყოს სომხების შექმნილი.

ქართული ანბანი სომხების შექმნილი რომ იყოს, ისინი ქართულ ანბანს ქართველებს კი არ შეუქმნიდნენ, არამედ თავისთვის დაიტოვებდნენ; აშკარაა, რომ სომხური ანბანი, ისევე, როგორც მსოფლიოს სხვა ანბანები, შექმნილია ყოფითი საქმიანობისთვის და მათ კაბალას ბიბლიურ კოსმიურ ცოდნასთან არაფერი აქვთ საერთო.





## *giul i muradaSvil i*

### ერთიანი ხედვის პრინციპი და ნიციშე

2013 წელს გამოქვეყნებული „კულტუროლოგიის საფუძვლები“ არის კვლევითი ხასიათის თხზულება, რომლის საფუძველზე ავტორმა – პროფესორმა სოსო სიგუამ წარმოადგინა ვრცელი ინფორმაცია იმის შესახებ, რაც ადამიანს შეუქმნია ათასწლეულების განმავლობაში. ავტორი ითვალისწინებს სამყაროს ცვალებად მრავალფეროვნებას. ასახულის მრავალმხრივობა იმაში მდგომარეობს, – რომ კონკრეტული მეცნიერული ცოდნის სიმრავლე ავლენს საკუთრივ აზრის სამყაროს აუცილებლობას; რაც ავტორმა წარმოადგინა შემდეგი მსჯელობის საფუძველზე: „ის რომ, ერთიანი ხედვის პრინციპი მიმართავს ინტეგრალურ მეთოდს; დისციპლინების მაკავშირებელი ცნებებით ქმნის შეცნობის ახალ სახეს, რომელშიც ხან ერთია წარმმართველი, ხან – მეორე; მაგალითად ხელოვნება, ფილოსოფია, მეცნიერება და ა.შ. („კულტუროლოგიის საფუძვლები“, თბილისი, 2013, გვ. 9).

ხსენებულ მსჯელობასთან დაკავშირებით გვსურს ჩვენს მხრივაც წარმოვადგინოთ ფილოსოფიის ისტორიიდან ის, რაც იყო XVIII საუკუნეში ჰეგელის მხრივ დაფიქსირებული, ის რაც ცხადყო მიზეზობრიობის შესახებ მსჯელობით; გულისხმობდა

იმას, რომ კონკრეტულ მიზეზს აქვს კონკრეტული შედეგი; შედეგიც თავის მხრივაც განიშლება კონკრეტული მიზეზ-შედეგობრივ კავშირში და ა.შ. განსხვავებული კავშირი კი ავლენს ცნებით მთლიანობას (გ. ვ. ფ. ჰეგელი, „ლოგიკის მეცნიერება“, თბილისი, 1962, მოძღვრება არსების შესახებ).

გვმართებს იმის თქმაც, რომ XVIII-XIX საუკუნეებში ნგრევისა და გადარჩენის ვითარება – აღმოჩნდა ღირებულის წინაშე, რასაც, ცხადია, ვერ მოახერხებდა ფილოსოფიის, ხელოვნების, მეცნიერებისათვის სახასიათოს შეჯამება, გადაკემს-გადმოკემსვა, აქედან გამომდინარე, სიმყარეს ინარჩუნებდა აზრის სამყარო და ის, – რაც არსებობს მასში; ამ განწყობის ფონზე წარმოადგინა ჰეგელმა კავკასიური რასისთვის (შუამდინარეთი, ეგვიპტე, იბერია-კოლხეთი) სახასიათო თვითმყოფადობა, სულიერი წონასწორობა, ამაღლებული სიმყუდროვე (ჰეგელი „სულის ფენომენოლოგია“, თბილისი, 1984); რაც არის იმის შესატყვისი, რომ ცნება „კულტურა“ უკავშირდება მიწათმოქმედების საიდუმლოს და, თავის მხრივ, ეთიკას, ესთეტიკას გულისხმობს. ცხადია, დაფიქსირების დროს ჰეგელის ამა თუ იმ ერის დამცირება



და განდიდება არ ჰქონდა მხედველობაში.

ზოგადი შეფასების თვალსაზრისით „კულტუროლოგიის საფუძვლები“ – ავტორის სხვა ნაშრომებთან ერთად – აღიქმება ურთიერთგამამდიდრებელი ღირსებით: წარმოადგინა ევროპულ კულტურასთან ქართველ მწერალთა დამოკიდებულებამ უახლოესი მიღწევების ეროვნულ ნიდადაგზე დანერგვა; ფროიდის, ნიცშეს სიცოცხლის ფილოსოფიის ინტერპრეტაცია (სოსო სიგუა, „მარტვილი და ალამდარი“, ტ. 2; თბილისი 2001). ამ შემთხვევაში გვსურს ჩვენს მხრივაც ვიმსჯელოთ იმის შესახებ, რომ ერთიანი ხედვის პრინციპი არსებობს იმ თვალსაზრისით, – რომ სახასიათომ თეორიული საფუძვლებიდან შეინარჩუნა ღირებული.

ვფიქრობთ, ჩვენი პოზიცია არ იქნება სიმართლეს მოკლებული, თუ ნიცშეს თხზულების („ესე იტყოდა ზარატუსტრა“, თბილისი, 1993) შეფასებისას იმას დავაფიქსირებთ, – რომ ნიცშეს მხრივ ძველი და ახალი შემოქმედების კრიტიკა ინარჩუნებს „აზრის სიღრმეს“, და იმასაც, რაც არ დაშორდა საფუძველს; უამისობა მას „დამშრალ ზღვას“ აგონებდა (დასახ. ლიტ. გვ. 110; „პოეტთათვის“).

ლაკონიურად ჩამოყალიბებული აზრი არსებობს მაღალმხატვრული ქადაგების სახით:

„ვდგევარ პირველქმნილ კლდეთა ზედა; ამ უმაღლეს, უმტკიცეს, პირველქმნილ კლდეთა ზედა, სადაც ქარნი შეიყრებიან ვით ქარიშხლების მიჯნასთან და კითხულობენ; სად, საიდან, საით?!“ (გვ. 179; „მსხვერპლი თავლისა“, ფრ. ნიცშე, „ესე იტყოდა ზარატუსტრა“, თბილისი, 1993 თარგმანი ერეკლე ტატიშვილისა).

ზეშთაგონება ხედვას, შეცნობასაც გულისხმობდა; არ არის დარჩენილი თეორიული საფუძვლების მიღმა; შეინარჩუნა ღირებული, მაგრამ ცნებითი მსჯელობის დეტალები არ გაიმეორა.

„ხოლო შენ, ზარატუსტრა, გასურდა ყოველი საგნის საფუძვლის ხილვა და ქვესაფუძვლისა? ესე ხამს შენდა თავსა ზე ასვლა, უფრო მაღლა და მაღლა, ვიდრე ვარსკვლავნი დაბლა არ დარჩებიან“ (დასახ. ლიტ. გვ. 117, „ყარობი“).

ამასთან დაკავშირებით ისიც უნდა შევნიშნოთ ჩვენს მხრივაც, რომ არის სახეზე უმთავრესი მეტაფიზიკის და ემპირიული ფილოსოფიის იმ კრიტიკიდან, – რაც დეტალურად ჰეგელის მხრივ იყო წარმოდგენილი; ამასთანავე არის ზოგიერთი მსჯელობაც ნიცშემ, – შეუცვლელად რომ წარმოადგინა განხილვის და დამოწმების გარეშე.

„რიცხვის გასვლას თავის თავიდან კანრი საშინელს უწოდებდა; ხარისხობრივ განსხვავებას ქმნის ამაღლება“ (ჰეგელი, „ლოგიკის მეცნიერება“, გვ. 104).

„ესე ძმებო, ჰხამს უკეთესი ბატონობდეს; არა გამრავლება (რიცხვი), არამედ ამაღლება“ (ფრ. ნიცშე, „ესე იტყოდა ზარატუსტრა“, თბილისი, 1993; გვ. 161; გვ. 3, „ძველ და ახალ ჯებირებისათვის“).

ჩვენს მიერ დაფიქსირებულის სამართლიანობას თეორიულ საფუძვლებთან დაკავშირებით ეთანადება და ადასტურებს ისიც, რაც თავად ნიცშეს მხრივ იყო შეფასებული; იმას, რომ მას „ლოგიკის მტრებად მიაჩნია უხამსი, ამრევი, მაცდური, თავდაპირველ რომანტიზმს დაშორებული“ (Фр. Ницше, „По ту сторону добра

и зла", изд. Жуковского, 1905; ст. 299, 8256).

წარმოდგენილი გვაძლევს იმის თქმის უფლებას, რომ ღირებული გულისხმობდა მრავალფეროვნებას: რამაც შემოქმედებაში პოვა ასახვა იმ თვალსაზრისით, რომ ამხილა „ამაოების ზღვა“). მის ფონზე გამოარჩია გმირი, ქველმშობელი („სერობა“, გვ. 211-213) „დიად მოვლენათათვის“, გვ. 103; ფრ. ნიცშე, „ესე იტყოდა ზარატუსტრა“, თბილისი, 1993). რეალურის სადა, უშუალო ასახვას ერწყმის ფილოსოფიური – არსებითის გამართლების აუცილებლობით, – ესადაგება საიდუმლოს, სიცოცხლე რომ გვაუწყებს მოლივლივე, ნათელი ფერებით:

„მზისგან ვისწავლე, ოდეს დაიხრება იგი უუხვესი: ოქროს უწილადებს ზღვას თავის უძლეველ სიმდიდრისგან“ (დასახ. ლიტ. გვ. 151; თ. 3. „ძველი და ახალი ჯებირებისათვის“).

წარმოდგენილმა მოგვცა შესაძლებლობა ჩვენს მხრივაც ვიმსჯელოთ იმის შესახებ, რომ სახასიათო გულისხმობს შემოქმედების საფუძველს; აქედან გამომდინარე, ერთიანი ხედვის პრინციპი ავლენს ფილოსოფიური ასახვის აუცილებლობას; რასაც არ ესადაგება აბსტრაქტულში ზოგადი.

სოსო სიგუას მიერ წარმოდგენილი კვლევითი ხასიათის თხზულებებში შეიცავს ვრცელ ინფორმაციას, თეორიულ და კონკრეტულ, მეცნიერულ საკითხებთან დაკავშირებულს; ამავე დროს იგი იძლევა ფართო მსჯელობას, თავისუფალი ორიენტაციის თავისუფლებას.

როგორც ერთ-ერთმა ჩვეულებრივმა, რიგითმა მკითხველმა მსურს, გამოვთქვა აზრი იმის შესახებ, რომ სოსო სიგუას წიგნი „კულტუროლოგიის საფუძვლები“ კულტუროლოგიური მეცნიერების ჭეშმარიტად ფუნდამენტურ ნაშრომს წარმოადგენს.





## ჩვენი დღეების პროზა (წერილი პირველი)

მწერლობა ყოველთვის ცდილობს, დროის მოთხოვნებს უპასუხოს და საზოგადოებას ისეთი ტექსტები წარუდგინოს, რაც საინტერესო და აქტუალურია. თანამედროვე ქართველი მწერლობა სწორედ ამ გზას ადგას. როცა ჩვენი ლიტერატურული ცხოვრების სადინარს ვუკვირდებით, ვამჩნევთ იმ ტენდენციებს, რომლებიც ყველა დროსა და ეპოქაში წარმმართველი და მნიშვნელოვანი იყო. ჩვენი დღევანდელი პროზიკოსი აანალიზებს უახლოეს წარსულს, უკვირდება უფრო შორეულს და ცდილობს იმედით შეხვდეს მომავალს. ზოგს სრულიად განყენებული თემები და ინტერპრეტაციები ხიბლავს, თუმც არც ეს არის საერთო სურათიდან ამოვარდნილი მოვლენა, მას ღრმად აქვს ფესვები გადგმული მსოფლიო თუ ქართულ კლასიკურ მწერლობაში.

თანამედროვე ადამიანის ტკივილი და განცდები, ჩვენი ქვეყნის გაუთავებელი პრობლემები, პირადულისა და საქვეყნოს გადაჯაჭვა, არის ის ქვაკუთხედი, რაც ადელვებთ ჩვენს ავტორებს: *თამაზ ხმალაძეს, ნოდარ კობერიძეს, თამარ მიქაძეს, ზურაბ თორიას და სიმონ (ბაჩუკი) წერეთელს.*

ჩვენს სოციუმში ასპარეზის პრობლემა ყოველთვის იყო, ინდივიდს სასურველ სივრცეში მუდამ უჭირდა თავის დამკვიდრება, ანდა სულაც იმ არეალის მონიშვნა, რომელიც მისთვის გაცილებით კომფორტული იყო და იზიდავდა. თამაზ ხმალაძის „დროის მკვლელებში“ მძაფრად იგრძნობა ამ თემის აქტუალობა, რადგან სამყაროში ყველაფერს ციკლური ხასიათი აქვს.

„დროის მკვლელების“ მთავარი სათქმელი ყოველთვის ნაირგვარი შეფერილობით განმეორებული და საინტერესო იქნება. ამ თემაზე მომავალშიც არაერთგზის დაიწერება, მაგრამ თამაზ ხმალაძემ თავისი სათქმელი ორიგინალურად, ყოველგვარი მიკიბვ-მოკიბვის და ზედმეტი მხატვრული აქსესუარების გარეშე შემოგვთავაზა.

„დროის მკვლელების“ პროტაგონისტი დემნაა, ობოლი და დედასერთა. იგი თავისი ქვეყნის დედაქალაქში ჩამოდის და სურს მეცნიერული კარიერა შეიქმნას, უნდა გამოსცადოს საკუთარი შესაძლებლობები და პატივისცემა დაიმსახუროს.

თამაზ ხმალაძე საგანგებოდ არ ახსენებს საბჭოეთს, არც იმდროინდელ ანტურაჟს აქცევს განსაკუთრე-

ბულ ყურადღებას, მაგრამ ყოველთვის ცხადი ხდება, რომ ირგვლივ სწორედ საბჭოთა ქვეყნის კრიზისია, ქვეყანას უკვე არა ჰყავს რწმენითა და ფუჭი იდეებით გაბრუებული ახალგაზრდა თაობა.

დემნასა და მის თანატოლებს ყავლგასული იდეოლოგია არ აინტერესებთ, მათ იზიდავთ ამქვეყნიური ცხოვრების არსი და საზრისი, აწუხებთ სამად გახლეჩილი დროის პრობლემა და ესწრაფვიან სამართლიანობას, თვითდამკვიდრებას, ეროვნულ იდეალებს. საბჭოთა რეალობა დემნას არც მოსწონს და არც იმონებს, მრავალი წინააღმდეგობა კიდევ უფრო დაფიქრებულს და საინტერესოს ხდის მის ტიპაჟს. თამაზ ხმალაძე ხატავს პერსონაჟს, რომელიც არაფრად ჰგავს თავისი ქვეყნის უმრავლესობას, მასას. ამ ტიპის გამირმა იცის, რა სურს, იცის, სად არის მისი ადგილი, მაგრამ ვერ ახერხებს ბოლომდე მიიყვანოს ჩაფიქრებული. მის განზრახვას არსებული სისტემის უთავბოლოობა და უღიმღამობა უღებს ბოლოს. „დროის მკვლელები“ დიდ მეამბოხურ ჟინს შეიცავს, თაობის უკმაყოფილებას ასახავს და სისტემის კრიზისს აცნაურებს. ახალგაზრდა ადამიანი, რაღაცა დიდისა და გამორჩეულისთვის მზადმყოფი და მეზრძოლი, ვერ ხედავს სამოქმედო ასპარეზს. დემნას შინაგანი ბრძოლა, მისი ტემპერამენტი აშკარაა და შესამჩნევი, მაგრამ მასას, უსახურ უმრავლესობას არც ამაღლებული აინტერესებს, არც გამორჩეული ინდივიდები და საერთოდ არ ანაღვლებს გზის დათმობა, თუნდ გამოსაცდელად.

„დროის მკვლელების“ გმირი ღმერთსა და სასულიერო ცხოვრებაზეც ფიქრობს. იგი სპეციფიკურ გარემოში აღზრდილი ადამიანია, სადაც ათეისტურ იდეებზე იზრდებოდნენ და მხოლოდ მიწიერ პრობლემებზე იყვნენ ორიენტირებული. თამაზ ხმალაძემ თავისი გმირი სასულიერო ცხოვრებაზეც დააფიქრა და მისი შეხედულებანიც გაგვაცნო: „ალბათ, კარგია, როცა კაცს შენი ღმერთი გყავს და საკუთარი სურვილით ემსახურები კიდევ, მაგრამ არა მგონია, ვინმეს შეეძლოს ოცდაოთხი საათის განუწყვეტელ ლოცვა-ვედრებაში გატარება, რადგან ისეთიც ხომ გჭირდება, ყოველდღიური ერთფეროვნებიდან თუნდაც წამიერად რომ დაგასვენებს, ღვთის სამსახურიდანაც ცოტა ხნით რომ ამოგასუნთქებს და სულს მოგათქმევინებს“... როგორც ვხედავთ, დემნა არ არის სულიერი გზის არც შემცნობი და არც მიმდევარი, მას ვერ წარმოუდგენია ზამთრის გატარება მონასტერში და ერთფეროვნების დაძლევა ბერმონაზვნური ცხოვრების წესით. თამაზ ხმალაძე ნამდვილ საერო პირს გვიხატავს, ცოცხალი და მჩქეფარე გზის მოსურნეს და მოყვარეს. იმთავითვე ვარკვევთ, რომ ადამიანს კარგი ცხოვრება და წარმატებული სამეცნიერო მოღვაწეობა უნდა, სურს ამგვარად არგოს თავის ქვეყანას და ეს სავსებით გასაგებია. საჭირობოროტო სწორედ ისაა, რომ ჩაკეტილ სივრცეში, მოლაყბებს და უმაქნისებს შორის დემნას ნიჭის გამოჩენა ან გამორჩეულობაზე პრეტენზია, ნამდვილ აბეზრობად და მიუტყვებელ მოვლენად მიიჩნევა. როგორც ვხედავთ, დემნას

სასულიერო ცხოვრება არ იზიდავს, საერო ასპარეზი კი მწირ არეალს უტოვებს მოქმედებისთვის. რომანიდან აშკარაა საზოგადოებით დემნას უკმაყოფილება, ახლობლების სრული უმწეობა და ახალგაზრდის გაუსაძლისი ყოფა.

თამაზ ხმალაძე ნაბიჯ-ნაბიჯ გვამცნობს „უფლისწულად“ დაბადებული და „სამეფოდ“ გამზადებული გმირის ცხოვრების ტრაგიზმს, რომელმაც ვერაფრით შეძლო საკუთარი თავის რეალიზება და მიზნის მიღწევა. დემნა წუხს „სადიდო“ ასპარეზის მოშლაზე, იგი სამუდამო უფლისწულობისთვის არის განწირული, რომელსაც მოზარდის როლი შერჩა და დაღვინება ანუ „მეფობა“ არ ეღირსა. თამაზ ხმალაძე გვეუბნება, რომ საბჭოთა სინამდვილეში არსებობდა არე „უფლისწულობისათვის“, არსებობდა ჟამი „გაუფლისწულებისათვის“, მაგრამ „მეფობის“ დრო არასოდეს დგებოდა. სწორედ ამაში ხედავს თამაზ ხმალაძე პრობლემას, აქ არის მისი შემოქმედებითი ფილოსოფიის ამოსავალი წერტილი. იგი გრძნობს დროის სწრაფლმავლობას, იცის დროის ყადრი, მაგრამ სწორედ მას ვეღარ მოახელთებინებს საკუთარ პერსონაჟს.

„დროის მკვლელების“ ავტორი ზოგად ტენდენციებზე ამგვარ დასკვნას გვთავაზობს: „...ამოუგლესავდნენ პირს ტკბილეულით, ფაფარზედაც ალერსიანად გადაუსვამდნენ ხელს და ისიც ადვილად ყუჩდებოდა, ოკდებოდა. ან რას დავობდა, მე შენ გეტყვი და გამონაკლისად ჩათვლიდა ვინმე! ბოლოს და ბოლოს ეგრე არ იყო ყველა? თითქმის ყველა? მარტო

იმას ხომ არ აკლდა დროის ყადრი – ნიჭთა შორის ყველაზე დიდი ნიჭი – სულიერსაც და უსულოსაც იმ ხანებში ლამის ესა ჰქცეოდა ცხოვრების წესად. ამას განა თვითონ ვერა ხვდებოდა?“ როგორც ვხედავთ, თამაზ ხმალაძე ობიექტურია გარემოს დახასიათებაშიც და გმირის ტრაგიზმის მართებულად ჩვენებაში, მწერალი დემნას ხასიათის ინერტულობასა და მორიდებულებაში ხედავს მთავარ ნაკლს. სამწუხაროდ, დემნას არ შეუძლია ანგარიში არ გაუწიოს გამეფებულ რუტინას. საკუთარი უნიათობისა და სიჯიუტის საზოგადოებისათვის გადაბრალებაც ამ კონტექსტში ჩანს მოსააზრებელი. ჩვენ ვხედავთ უკმაყოფილო ახალგაზრდას, რომელიც ბოლომდე ვერ აცნობიერებს თავის რეალურ დანიშნულებას და პასიური, ჩუმი პროტესტით იფარგლება.

„დროის მკვლელების“ იდეა არის ის, რომ ტოტალური სიყალბისა და მოჩვენებითი კეთილდღეობის მქონე ქვეყანაში ნიჭიერი ადამიანები მხოლოდ კლავენ დროს, ვერ იყენებენ მას ვერც საკუთარი და ვერც ქვეყნის ინტერესებისათვის. მწერალი ასკვნის, რომ დემნასთანა წესიერი და პატიოსანი ადამიანები, ზნეობრივად და მორალურად სრულქმნილები, ვეღარ ახერხებენ საკუთარი თავის რეალიზებას და ბოლოს ფილოსოფიურ განსჯაში პოვებენ შვებას. ამ კუთხითაც რომანში მარადიული და არცთუ მკაფიო კითხვები რჩება: რისთვის მოვდივართ? რისთვისა ვართ? რისთვის მივდივართ?“

თამაზ ხმალაძის რომანი საყოველთაო ჩუმი პროტესტის და უკმა-

ყოფილების ამსახველია. მან იცის, რომ საბჭოეთში გონიერი და მოაზროვნე ადამიანები მუდმივად და ფარულად არიან არსებული გარემოს შეცვლის მოსურნენი. მწერალმა ინტელიგენციის ჩუმი პროტესტი და სასოწარკვეთა დაგვიხატა, მაგრამ იმავდროულად მოგვცა სრულიად განსხვავებული ტიპის ადამიანებიც, რომლებიც ჩუმ პროტესტს არ სჯერდებოდნენ და მოქმედებასაც ცდილობდნენ. ჩვენი აზრით, თამაზ ხმალამემ პირადული განცდებიც მრავლად ჩადო თავის ტექსტში, თავადვე განიცადა ტოტალიტარიზმის წნეხი და ამიტომაც შეძლო სრულყოფილად აესახა ეს დიდი და ამოუწურავი თემა. უცილებლად უნდა აღინიშნოს თამაზ ხმალამის თხრობის სიმკვეთრე და სილადე, რაც მისი დადებითი შტრიხი და თვისებაა.

ტოტალიტარიზმის კრიზისი და თანამედროვე სამყაროს გლობალური დეჰუმანიზაციის ტენდენციები ნოდარ კობერიძის რომანის თემაა. ნოდარ კობერიძის „აღდგომის ღამე ქაიროში, მამლუქთა სასაფლაოზე“ განეკუთვნება ისეთი წიგნების რიგს, რომელთა პოლიტიკური ქვეტექსტიც ნებისმიერი ქართველისათვის ყოველთვის აქტუალური განსჯის საგანი იქნება. ავტორმა მას „პოლიტიკური რომანი“ უწოდა, თუმცა ეს საკამათო თემაა.. პოლიტიკურ რომანად მიწოდება ერთგვარად ავიწროებს რომანის ჩარჩოებს, მაშინ როცა მკითხველებს შეგვიძლია მისი პრობლემატიკის განზოგადება შევთავაზოთ და ვრცლად ვიმსჯელოთ მასში წამოჭრილ მორალურ და ზნეობრივ პოსტულატებზე.

„აღდგომის ღამე ქაიროში, მამლუქთა სასაფლაოზე“ არის დისიდენტის ისტორია, რომლის გმირმაც მრავალი ეტაპი გაიარა, ჰქონდა აქტიური მოქმედების სახიფათო რეჟიმი, მომდევნო პერიოდში უნელდებოდა თვითგამოხატვის ამგვარი სურვილი, ხოლო მოგვიანებით ისევე აქტიურდებოდა საზოგადოებრივ ასპარეზზე. საბოლოოდ ნოდარ კობერიძემ გადმოგვცა ერთი კაცის ცხოვრება, რომელმაც საკუთარ ბედში აირეკლა არა მარტო მთელი თაობის ტრაგიზმი, არამედ წინაპრების გზაც თავიდან ბოლომდე გაიარა. თუ როგორ გაიარა „წინაპრების გზა“ სწორედ ეს არის ჩვენთვის მნიშვნელოვანი და საყურადღებო.

ნოდარ კობერიძე ჩვენი ეროვნული ყოფის თავისებურებას იმაშიც ხედავს, რომ ასპარეზი წაართვეს მის თაობას, რომელმაც „ჰომო სოვიეტიკად“ ჩამოყალიბება ვერ მოასწრო და არც მოინდომა. მწერალი მიიჩნევს, რომ ეს გამოზომილად და თანამიმდევრულად მოხდა, „თეთრმა მელამ“ გასაქანი არ მისცა იმ თაობას, რომელსაც ეთნოფსიქოლოგიური ტვირთის პასუხისმგებლობა გაცნობიერებული ჰქონდა და ქარიზმატული ლიდერის წარმოჩენაც შეეძლო. რომანის პუბლიცისტური ფონი მთლიანად გაჟღენთილია ამ პათოსით და ყოველგვარი ყოყმანისა თუ შელამაზების გარეშე ნათქვამია: „თეთრი მელას“ დამონტაჟებულ დემონურ მანქანას მოესწრო და ამ ახალგაზრდებისათვის მტკიცედ ჩაენერგა ნიჰილიზმი უსაგნო, ამორალური, ნაციონალური არსის დამორგუნველი. სწორედ ამ კონვეირის გამართული პრო-

პაგანდის წყალობით, მოხერხდა ახალგაზრდობის სულში იმ სატანური აზრის ჩაწვეთება, რომ მამათა თაობას („თეთრი მელას“ მიერ ხელოვნურად თამაშგარე მდგომარეობაში დატოვებულ თაობას), არც უბრძოლია, არც ღირებული პრინციპები გააჩნდა და არც ჰქონდა რამის უნარი. ასე გამოიძერწა „ჰომო სოვიეტიკუსის“ შემცველი კოსმოპოლიტი, რომელიც არც ტრადიციებს სცემდა პატივს, არც ეროვნულ ფასეულობებს დაგიდევდათ რამედ“.

ძნელია ამგვარ გულწრფელ განცდას და დაკვირვებას არ გაუწიოს ანგარიში მკითხველმა, მაგრამ მთავარი ის არის, რომ „თეთრი მელას“ დემონიზირება ერთობ გადაჭარბებულია. იგი აშკარად არ იყო დამოუკიდებელი ფიგურა, ყოველთვის სხვის ნებას ექვემდებარებოდა და აქედან გამომდინარე, შეიძლება ნიკოლოზ ფალავანიძემილს გაუტოლოთ, ავადსახსენებელი იასეს ძმას.

„თეთრი მელა“ რომ ავადსახსენებელი ლავრენტი ბერიას მასშტაბების ფიგურა ყოფილიყო, მაშინ სხვა საქმეა. ის, რომ ავტორი საკუთარ განცდებს ასეთი უშუალოდ და გულისტკივილით გვიზიარებს, ძალიან შთამბეჭდავია, მაგრამ მის კატეგორიულობაში შეფარული სისუსტეც მოჩანს. „თეთრი მელა“ თაობას მისცემდა გეზს, მაგრამ ვერ აღზრდიდა; წააქეზებდა, მაგრამ ვერ ჩამოაყალიბებდა, თუ მათში იმთავითვე არ იყო ქვეყნადანობის სურვილი. ძალიან იოლია ყველაფერი ერთ, თუნდაც სიმბოლურ პირს ან მოვლენას დაბრალდეს. ქვეყნის უბედურებაში გარე ფაქტორთან ერთად ყველას წვლილი

მიუძღვის, ნებისმიერი უნიათო თაობას, ვუწოდებთ მათ „დაკარგულებს“, „გამოტოვებულებს“ თუ „გადაღლილ-არაქათგამოცლილებს“.

ნოდარ კობერიძის რომანის გმირმა თავად იწვინა „ძლევა მოსილთა“ შეცდომების შედეგი: რამდენჯერმე მოეშალა ოჯახი, ხელახლა დაიწყო შენება, პარალელურად საქვეყნოსაც ეხიდეოდა. შეცდომას შეცდომა მოსდევდა, დანაშაულს – დანაშაული, დაუდევრობას – დაუდევრობა და საქართველო თავად ქართველებისთვის აუტანელი და გაუსაძლისი შეიქნა. აღსანიშნავია, რომ ნოდარ კობერიძე ამ მომენტს განსაკუთრებით უსვამს ხაზს. მის გმირს არ აკლია ალღო, ერუდიცია და სიმტკიცე, მაგრამ იმდენი პირადული თუ საზოგადო პრობლემის გადაჭრა უწევს, რომ ცხოვრების ხალისი უქრება.

თუკი თამაზ ხმალადის „დროის მკვლელებში“ დემნას მისჯილი ჰქონდა მარადიული უფლისწულობა და ჩუმი, უემოციო, რუტინული ყოფისთვის იყო განწირული, ნოდარ კობერიძის გმირის ცხოვრება გამუდმებულ წინაღობათა გადალახვა და მოქმედებაა: ჩვენ ერთი თაობის და ერთი სულისკვეთების ადამიანებს ვუთვალთვალებთ, რომლებაც განსხვავებული მიდგომა აქვთ საკუთარი როლისა და დანიშნულების მიმართ. ნამდვილად არის ამ ორ გმირში მრავალი რამ დღევანდელობისთვის ნიშნული და საინტერესო. როგორც ვხედავთ, მთელი თაობების იმედები და ამ იმედების მსხვრევაც უყურადღებოდ არ დარჩენია უახლეს ქართულ მწერლობას.

„აღდგომის ღამე ქაიროში, მამლუქთა სასაფლაოზე“ აღსანიშნავია სამშობლოს უანგარო სამსახურის სანაცვლოდ მიღებული უმადურობის თემატიკით. კორიოლანოსის პრობლემა განსაკუთრებით გამძაფრდა XX ს-ის დასასრულის საქართველოში. ნოდარ კობერიძის გმირი გულანთებული ემსახურებოდა ქვეყანას, აქტიურობას და გამბედაობას იჩენდა მაშინ, როცა საყოველთაოდ უმილი იყო გამეფებული. მოგვიანებით ყველა დისიდენტობას ჩემულობდა და თბილი ადგილის მიღებას ლამობდა. მწერალმა აღმოაჩინა, რომ მოუღებლები და ზედმეტები მასავით უანგარო ადამიანები იყვნენ, რომლებიც გაინაპირეს და გარიყეს. ნ. კობერიძე წერს, რომ საყოველთაოდ უმადურობა ზედმეტობის განცდას შობს, რომელიც ნეგატიური ქმედებისათვის განაწყობს უსამართლობის მსხვერპლს. მწერალი გადმოგვცემს: „სამშობლოს ხელისუფალი ხელს რომ აუკრავს და თავისიანს, თავისიანად არათუ მიიღებს, არამედ დაამცირებს, ღირსებას შეუღახავს, ასეთი კაცი შეიძლება სამშობლოს წინააღმდეგ წავიდეს და ახლა მესმის გიორგი სააკაძისა, რომელმაც რა არ გაიღო საკუთარი ქვეყნისთვის და მერე ამ ქვეყანამ იმ ზომამდე მიიყვანა, რომ ხმალიც კი აღმართა მის წინააღმდეგ... ამ მწარე აზრების შემდგომ მაინც იმ დასკვნამდე მიდის პერსონაჟი, რომ არასოდეს შეიძლება საკუთარი ქვეყნის და ხალხის წინააღმდეგ წასვლა. გიორგი სააკაძის გზა კატეგორიულად მიუღებელია მისთვის. ეს საკითხიც დიდი განსჯისა და კამათის გამომწვევია, რადგან რეალობა და

აქედან გამომდინარე, შეფასებებიც განსხვავებულია.

„აღდგომის ღამე ქაიროში, მამლუქთა სასაფლაოზე“ სიმბოლურ დატვირთვას შეიცავს, რადგან მთავარი მოქმედი გმირი მამლუქთა სასაფლაოზე აღესრულება. იგი თავისი გაყიდული წინაპრის საფლავში წვება და ასე ასრულებს სიცოცხლეს, თანაც ზუსტად აღდგომის ღამეს. აღდგომის, ქაიროს და მამლუქების ერთ კონტექსტში მოაზრება დამაჯერებლად არის წარმოჩენილი. ნოდარ კობერიძის აზრით, ქართველი მამაკაცი სამშობლოშიც მამლუქად მოიაზრებს თავს და სამშობლოს გარეთაც. ვხედავთ, რომ დროის უწყვეტობისა და ტრაგედიის გარდაუვალობის განცდა ძალიან ემოციური და მძაფრია. ჩვენი აზრით, ამავე აზროვნული ქარგის არეალშია „ოქროს საწმისისა“ და „მიჯაჭვული ამირანის“ სიმბოლიკაც, როგორც ერის გენეზისის ქვაკუთხედი.

ნოდარ კობერიძის რომანში წინა პლანზე მრავალი დამაფიქრებელი და მნიშვნელოვანი დაკვირვებაა წამოწყებული, მაშინ ღრმად არის გამჯდარი ქართული კლასიკური მწერლობის იდეალები, დასავლურ-აღმოსავლური ტენდენციების გამუდმებული ჭიდილი და ქართული ნაციონალური ტრაგედიის ფატალურობის განცდა.

თანამედროვე მწერლობა ყოველდღიურ ტენდენციებზეც ამხვილებს ყურადღებას, აქტიურად სწავლობს თანამოქალაქეების ცხოვრების ნათელ და ბნელ მხარეებს, აკვირდება მათ ხასიათს და ფსიქიკას. სწორედ ამ კუთხით არის თამარ მიქაძის მწერლობა სახასიათო და აღსანიშნავი.



თამარ მიქაძე მინიატურულ პროზას გვთავაზობს, მისი კრებულში „სევდიანიდან – მხიარულამდე“ სასიამოვნო და სევდიან განწყობას გვიქმნის. თამარის მხატვრულ ტექსტებში წამოწეულია თანამედროვე ცხოვრების ის ნიუანსები, რაც ჩვეულებრივ მოკვდავს გამოეპარება ხოლმე, მაგრამ შემოქმედი ადამიანისთვის უმნიშვნელოვანესია.

თამარ მიქაძეს აქვს იშვიათი ნიჭი – დეტალებში აღმოაჩინოს უმთავრესი და იმგვარად მოგვაწოდოს, რომ ხანგრძლივი განსასჯელი და საფიქრალი დაგვიტოვოს. „სევდიანიდან – მხიარულამდე“ ძალიან „გულთბილი“ კრებულია, ადამიანებისადმი ნდობით გაჯერებული. როდესაც ამ მინიატურებს ვეცნობით, ვხვდებით, რა არის ავტორისათვის ცხოვრებაში ძვირფასი და ნიშნული, როგორი გმირების ხორცშესხმა მიაჩნია უპირატეს ამოცანად, ან რატომ ირჩევს სხვათათვის შეუმჩნეველ ადამიანებს თავის პერსონაჟებად. თამარ მიქაძის შესახებ უყოყმანოდ შეიძლება ითქვას, რომ იგი ფაქიზი სულის ადამიანია, მისი ცხოვრებისეული გამოცდილება წინაპრების განვლილ გზასაც მოიცავს და ყოველივე ეს სხვაგვარ ელფერს აძლევს მთელ მის შემოქმედებას.

თამარ მიქაძის შემოქმედებითი კონცეფციები რაფინირებული ინტელიგენტის ზნეობრივ იდეალებზეა დამყარებული. „კრედოში“ ერთი ფრაზა იქცევს ყურადღებას: „წიგნები რომ უყვართ, ისინი იბნევიან ასე ცხოვრებაში“... „გაუბედავში“ კი ნათქვამია: „გაუბედავებს არა აქვთ სახელი“... ორივე მინიატურაში განათ-

ლებული ადამიანის ბუნებაა გახსნილი. ავტორი გვიყვება ორ სრულიად განსხვავებულ ამბავს, სხვადასხვა ცხოვრებისეულ სიტუაციაზე აგებულს, მაგრამ საერთო და მთავარი აზრი ერთია – განათლებული და წიგნიერი ადამიანი შებოროტდება ზნეობრივი მარწყხებით, იგი თამამად ვერ ბედავს სასურველისთვის ბრძოლას, ძალით და ჯიქურ რაიმეს მოპოვებას, როცა პრეტენზიებით სხვების გაბეზრებას და მუდამ დაუწერელი კანონების ტყვეობაში იმყოფება. სამაგიეროდ უტიფრობა და უწიგნურება ტყუპებად დადიან, როცა ედებიან ასპარეზს და ამქვეყნიურ სიამეს ირგებენ. თამარ მიქაძეს მოკრძალებული ინტელიგენტების, ჯენტლმენების გაუბედაობა და ხასიათი აინტერესებს. იგი არავის განსჯის და განიკითხავს, მხოლოდ შეახსენებს მკითხველს, რომ არსებობს ადამიანთა ასეთი მოდგმაც, იშვიათობად ქცეული და გამორჩეული ღირსების მქონე.

ჩვენი აზრით, თამარ მიქაძის მინიატურებში ფრაზეოლოგიზმების საუკეთესო ნიმუშებია წარმოდგენილი: „წიგნები რომ უყვართ, ისინი იბნევიან ასე ცხოვრებაში“, „გაუბედავებს არა აქვთ სახელი“... თითოეული ფრაზა გაშიფვრის და ინტერპრეტირების სურვილს ჰბადებს, მაგრამ უამისოდაც ნათელია შინაგანი კულტურის ხაზგასმა.

„სევდიანიდან – მხიარულამდეში“ განსაკუთრებით განიცდება დროის უღმობლობა, სილამაზის სწრაფლწარმავლობის პრობლემა და განწირულთა სიმარტოვე...

„მიმოზა და ოცნება“, „გრეტა და ოსტატი“, „ბრავისიმო“ საყურადღებო ტექსტებია. ისინი დროისა და მარტოობის რკალს ქმნიან. თამარ მიქაძე გვიყვება სევდიან ამბავს ოდესღაც ულამაზესი დების სიამაყის გაცამტვერების შესახებ („მიმოზა და ოცნება“), პირველ სიყვარულსა და უთანასწორობის განცდაზე („გრეტა და ოსტატი“), ხელოვნების ძალასა და მისადმი გამოვლენილ თავანისცემაზე („ბრავისიმო“). მწერალი უყოყმანოდ იზიარებს კლასიკურ კრედოს, რომელიც მხოლოდ მშვენიერს, სულიერსა და ღვთაებრივს აღიარებს და ყველას ურჩევს ლამაზს, წარმავალსა და ილუზორულს არ გამოედევნოს, თუმცა ადამიანებს აქვთ უფლება – შეცდნენ, განიცადონ ამ შეცდომის სიმწარე და გვიან მიხვდნენ, ან ვერ ჩაჰხვდნენ და ჩასწვდნენ ოდითგანვე განცდილს და ნარჩევს. თამარ მიქაძე მიიჩნევს, რომ ადამიანები უნდა სარგებლობდნენ ამ უფლებით, ისწავლონ ან ვერ ისწავლონ თავიანთ შეცდომებზე, მაგრამ ყოველთვის დარჩეთ ძველი სიყვარულის მაკეთილშობილებელი კვალი, რომელიც ერთფეროვნებას და სევდას წარმატებით ძლევს...

მწერალი თანაუგრძნობს „იბლიანი ტარანტელის“ გმირს, თუმცა იგი ერთობ ზერელე ადამიანია და ღრმა განცდისთვის არ არის შექმნილი. მისთვის „ცხოვრება ცირკია“ და იოლად დასაპყრობი ასპარეზი. გაწვრთნილი დათვის იმედით არხეინად ყოფნას არაფერი ურჩევნია და გაურკვეველია, რა ელოდება წინ. თამარ მიქაძე ბოლომდე ხსნის გმირის ხასიათს, ახერხებს, ჩვენ თვალწინ გაა-

ცოცხლოს არხეინი და უმაქნისი ადამიანი, რომელიც სხვის ხარჯზე ცდილობს მოიწყოს უზრუნველი და მყუდრო სიბერე. მინიატურიდან გამომდინარე, მას შეიძლება მართლაც გაუმართლოს და იპოვოს სასურველი, მაგრამ ბოლოს დასმული კითხვა საორჭოფოს ხდის მოსალოდნელ იდილიას.

წინაპრებისადმი მოწიწება ჩანს თამარ მიქაძის არაერთ ტექსტში. მინიატურა „ის, რაც არ იყიდება“ გადმოგვცემს ბებიისადმი მაღლიერების გრძნობას. მწერალი მიიჩნევს, რომ წინაპარმა ფარი მისცა და ხმალი წაართვა; ფარი იმისთვის, რომ არა-რაობებს გამკლავებოდა და არ შეშინებოდა ცხოვრების... ხოლო ხმალი თავად არც სჭირდება, რადგან ზნეობრივად სრულყოფილ ადამიანს არასოდეს დასჭირდება ფართან ერთად სხვა იარაღი მაღლიერების გრძნობის მიზეზი ამგვარად არის გაცხადებული: „სადამოობით კი ჩამოსხდებოდით აივანზე ჩვენი ლამაზი ბებიები და გვიყვებოდით ზღაპრებს წარმტაც ბუნებაზე, სიკეთეზე, მეგობრობაზე, ერთგულებაზე, სამშობლოზე... ეს არის ის, რაც არ იყიდება!-“

„კაკლის ხე და ბებიაჩემის და ელისაბედი“ ბოლშევიკური ტერორის გამოძახილსაც ეხმიანება. გლეხი, რომელმაც ბავშვობაში მიხეილ ჯავახიშვილის სამყოფელი უჩვენა ჯალათებს, მთელი ცხოვრება ნანობს ამაზე. თამარ მიქაძე ისე მოგვითხრობს ამ ამბავს, რომ მკითხველს ამ ადამიანის მიმართ სიბრალული და თანაგანცდა ეუფლება – იგი აშკარად კარგი პიროვნებაა, მაგრამ ცუდ დროს და ცუდ

ადგილას აღმოჩნდა და უნებლიედ შესცოდა. თამარ მიქაძე გვახსენებს, რომ ცხოვრება კეთილისა და ბოროტის ჭიდილია, ხშირად ძლიერი იმარჯვებს და არა მართალი.

„კაცების დედა“ მთელი ერის სატკივრს მოიცავს, ახალბედა ჟურნალისტი პირისპირ აწყდება ქვეყნის ღრმა ჭრილობას, მაშინვე ითავისებს მას და სათანადო რეაქციასაც ამჟღავნებს. ავტორის აზრით, ის კაცები, რომლებიც საქვეყნო საქმეს შეგნებულად ეწირებიან, დიდსულოვანი ქალების გამოზრდილები არიან. ამ მინიატურაში თამარ მიქაძემ შეძლო აეცდინა პატრიოტული თემატიკისათვის დამახასიათებელი მაღალფარდოვნება და არტიტული ტრაგიზმი. მწერალმა გვიჩვენა, რომ ჩვენ გვერდით არიან თავდადებული და პატივსაცემი ადამიანები, რომლებიც, როგორც უანგარო პიროვნებანი, ბოლომდე დაფასებული და შეცნობილი არ არიან.

თამარ მიქაძემ ძალიან კარგად შეძლო მინიატურებში საქვეყნო და ზოგადად ადამიანური პრობლემების წამოწევა და ჩვენება. ბუნებრივი ნიჭი და კეთილშობილება ეხმარება, რომ ტექსტებშიც ხალასი და გულწრფელი იყოს და ამითაც დაამახსოვროს თავი მკითხველს.

ზურაბ თორია ქართული მწერლობის იმ ერთგულ მოღვაწეთა შორისაა, რომლებიც ნებისმიერ შემთხვევაში ეხიდეებიან ეროვნულ მწერლობას და ერთგულად ემსახურებიან მას. ზურაბ თორიას მოთხრობების კრებული „ამსოფლის მგზავრი“ შეიცავს ყველასათვისაც გასაგებ და მისაღებ მიზანს, რომ: „მკითხველი

ერთხელ კიდევ დააფიქროს ყოფიერების საზრისზე, რომ მუდამ ახსოვდეს უმთავრესი – ყოველი ჩვენგანი მარადისობის გზაზე შემდგარი წუთისოფლის მგზავრია“.

მწერალმა მიზნად დაისახა ადამიანთა ცხოვრებაში მათი ქცევისა და ბედისწერის საერთო ტკივილების მოსინჯვა და წარმოჩენა. ჩვენთვის სრულიად გასაგებია მწერლის მიზანი, რომ საქვეყნო განცდები და ტკივილები პერსონაჟებში არეკლოს და ამგვარად ამხილოს გათავისებული და შეჩვეული მანკიერებანი.

მოთხრობაში „ამსოფლის მგზავრი“ გაპროტესტებულია ქართული ოჯახის ნგრევის ტენდენცია, ეროვნული ფასეულობების მოშლა და ადამიანის ზნეობრივი გადაგვარება. მთავარი პერსონაჟი ქეთევანი მონასტერში მიდის და „ამსოფლის მგზავრობას“ ღვთის მსახურებით ასრულებს. ეს იდეალური გამოსავალია ნებისმიერი შეჭირვებული და დამცირებული ადამიანისათვის, მაგრამ ყველა ამგვარ გადაწყვეტილებას ვერ მიიღებს. ზურაბ თორიას თანდათან მივყავართ ამგვარ მოულოდნელ დასასრულამდე – კათარზისამდე. მწერალი გვიხატავს აფორიაქებულ და დამცირებულ ადამიანს, რომელმაც თავისი ვალი საზოგადოების წინაშე, ასე თუ ისე, მოიხადა და მხოლოდ ამის შემდგომ იზრუნა საკუთარ სულზე. ნარკომანია და აზარტული თამაშები მარტო ჩვენი საზოგადოების ტკივილი როდია, მაგრამ იგი მზარდი საფრთხეა და მას მხატვრული დამუშავება სათანადოდ სჭირდება.

ზურაბ თორია გლობალიზაციის ეპოქის საქართველოს ტკივილებს

უღრმავდება, ცდილობს, ზედმიწევნით გადმოგვეს, როგორ უჭირს ქვეყანას ქალაქად თუ სოფლად, როგორ მოიძულა ქართველმა მშობელი მიწა და როგორ მიეძალა უცხოეთს. მას არც ის რჩება უყურადღებოდ, რომ ყველამ იცის მშობლიური მიწის მაღლი, მაგრამ სიღუბე და უკეთესის იმედი აიძულებს ადამიანებს შორს გადახვეწას.

მწერალს არც ის გამოჰპარვია, რომ ქართველებმა იოლად უგანეს დაუწერელ მამაპაპურ ადათებს, უფრო უდიერები, უნდილები და უტიფრები გახდნენ. მოთხრობაში „მრავალთაგან ერთი“ გადმოცემულია თანამედროვე სოფლის ცხოვრება. მოხუცი ქალის გულისწყრომას და გოცებას ახალგაზრდა მამაკაცის მიზნები იწვევს, რომელიც პირმშოს გაყიდვით ცდილობს მატერიალურ სიღუბეში გაიყვანოს. ამგვარი თემები XX ს. დასაწყისის მწერლობაშიც გვხვდება, მაშინაც აქტუალური იყო სოფლის გაჩანაგების ჩვენება, მაგრამ ზნეობრივი გადაგვარების მასშტაბებს ჩვილის უსულგულოდ გამეტებამდე არ მოუღწევია. ზურაბ თორიას მოთხრობაში კარგად არის აღწერილი აღელვებული ადამიანის საქციელი; მოხუცი ქალის აფორიაქება ასეა გადმოცემული: „არსად შეჩერებულა, არც მიტოვებული ეზოებისკენ გაუხედავს, მიწას დასჩერებოდა და გულის კენესას ძლივს უმკლავდებოდა. ყურებჩამოყრილი ძაღლი ძუნძულით მიჰყვებოდა. ზოგჯერ წინ გაუსწრებდა, თუმცა, როგორც კი მის გამეხებულ სახეს თვალს შეავლებდა, ისევ ჩამორჩებოდა და ცდილობდა საკუთარი არსებობა არც კი შეეხსენებინა“.

მკითხველი აშკარად გრძნობს, რა აფორიაქებს პერსონაჟს, რატომ სტკივა ასე გული და როგორი ხელშესახებია ადამიანის გატყუარების მომენტი.

ზურაბ თორიას მოთხრობების პერსონაჟები ჩვენი თანამედროვენი არიან, ისინიც სხვებივით ცდილობენ მიაღწიონ აღიარებას და პატივისცემას, ზოგჯერ ამას უცნაური ხერხითაც აკეთებენ. „ლავერენტის და“ ერთი შეხედვით გულუბრყვილო და პრიმიტიული ქალის შესახებ მოგვითხრობს, პერსონაჟი უსაზღვროდ ამაყობს საკუთარი ძმით, მისი დიდკაცობით და სახელგანთქმულობით. ეს ქალი ღიმილის იწვევს, მაგრამ გამუდმებით სხვათა მიმართ გამოვლენილი ზრუნვის გამო, პატივისცემასაც იმსახურებს. მოთხრობაში დამაჯერებლად არის აღწერილი ქალის ხანგრძლივი სიცოცხლე, მის მიერ განვლილი გზა და ბოლოს, ქართულ-ავხაზური კონფლიქტის პერიოდშიც, მწერალმა შეძლო შთამბეჭდავი სახასიათო პერსონაჟი შეექმნა და ნათლად წარმოეჩინა დროის ცვალებადობა.

დრო, წესრიგი, ქაოსი, ადამიანების ფსიქიკაში მომხდარი ცვლილებები – ბოლო ათწლეულების ურთულესი საკითხებია. თვით წესიერი და თვინიერი ადამიანებიც ვეღარ უძლებენ გამეფებულ ქაოსს და უარესობისკენ იცვლებიან. ზ. თორიას მოთხრობა „მდუმარე სახლთან“ ორმაგი პრობლემის შემცველია, პიროვნულია და ზოგადის. მოთხრობის პერსონაჟი ყოვლისმნახველი კაცია, იგი უკვირდება ცხოვრების მდინარეებს, მხედველობის არედან არ რჩება, თუ

როგორ მოიშალა დალაგებული და ჩარჩოში მოქცეული ყოფა, როგორ შეიცვალნენ ადამიანები და ველურებს დაემსგავსნენ. საერთო გულგრილობისა და ტაციობის დროში მოხუცი ნიკო პირად გულისწყრომას ივიწყებს და უანგაროდ ეხმარება იმ ადამიანს, რომელმაც ადრე ხელსაწყოები ინათხოვრა და გაუყიდა. ავტორი ყურადღებას ამახვილებს ადამიანში არსებულ კეთილ საწყისზე, ადათების პატივისცემასა და ნოსტალგიურ განწყობილებებზე. ნიკო რეალისტური მანერით დახატული გმირია, ხელშესახებია მისი პირადი ტრაგედია, ცხოვრებისეული პრინციპები. მწერალს უნდოდა მკითხველისათვის შეეხსენებინა, რომ ყველანი დროის და ეპოქის შვილები ვართ, მართალია, გარემოებებს ვემორჩილებით, მაგრამ მთავარია ზნეობრივი ბარიერები შეგვრჩეს და უკადრებელი არც საკუთარ თავს ვაკადროთ და არც სხვებს. მთავარი სათქმელი არის ის, რომ განსაცდელმა არ უნდა გაგვაპირუტყვოს, არ უნდა ვიქცეთ ვიღაცის ან რაღაცის ყურმოჭრილ მონებად.

მოთხრობაში ზოგადი ტენდენციაა გადმოცემული; როცა ადამიანები მაინც ცდილობენ არ დაექვემდებარონ დროის მოტანილ უმსგავსოებს. ტექსტში ვკითხულობთ: „ამ ხალხში ბევრს არ ძალუძდა ის, რის ჩადენასაც ზოგიერთები არ ერიდებოდნენ. ამათ ცხოვრების გზა პატიოსნად ჰქონდათ გავლილი და ირგვლივ ატეხილი გაუტანლობისა და დაუნდობლობის გამო, გაოცებას ვერ ფარავდნენ. ჩუმად, თავდახრილნი შრომობდნენ, ამხნევებდნენ ირგვლივ მყოფთ, რისკის

ფასად ვიღაცის აბუჩად აგდებას თუ ძალადობას ეწინააღმდეგებოდნენ, და მათი შემხედვარე მოხუციც თავს ძალას ატანდა, არ ჩაწოლილიყო, რამე მაინც ეკეთებინა, ვინმესთვის თუნდაც კეთილი სიტყვა შეეწია“. როგორც ჩანს, ადამიანები ყველა დროში ანგარიშს მაინც უწევენ თვისტომს, ცდილობენ შეძლებისდაგვარად მიბაძონ კარგ სამეში და ძველებურად იცხოვრონ. მწერალი გვეუბნება, რომ ადამიანებში ცუდი შტრიხები განსაცდელს შეაქვს, ყველას როდი აქვს მტკიცე ხასიათი, მყარი მორალური საყრდენი, მოვალეობის გრძნობა, მაგრამ ისინი მაინც საბრალონი არიან და მიტევენ იმსახურებენ.

ბუნებრივია, ვერც ზურაბ თორიამ აუარა გვერდი საბჭოური ყოფის აბსურდს და „ცოცხალ მოწმეში“ ლამის დაუჯერებელი ამბავი მოგვითხრო. შემთხვევა და გარემოება გამოუვალ მდგომარეობაში აგდებს მოთხრობის პერსონაჟს, იგი იძულებული ხდება თავი გარდაცვლილად გამოაცხადოს და არც ეცადოს იმის დამტკიცებას, რომ ცოცხალია. ხოლო „ძველ გვარდიაში“ ყოფილი ჯალათის ბუნებაა გახსნილი. ოდესღაც გავლენიანი ჩეკისტის სიცოცხლის უსახელო დასასრული განსაკუთრებული ყაიდის ადამიანებზეა, რომლებსაც თავიანთი ბოროტი საქმეების გამართლება არ უჭირთ და ყოველთვის ცდილობენ სხვების გამწარებას. ზურაბ თორია წერს ცოდვისა და მიტევენის მარადიულ თემებზე, განსაკუთრებული ჯიშის ადამიანებზე, რომლებიც მთელი ცხოვრება უკულმართი კანონების მონები არიან და თავი უცოდველად მოაქვთ.

ზურაბ თორიას, ისევე როგორც თამარ მიქაძეს, აინტერესებს ყოველდღიურობა და თანამედროვე ადამიანის ფსიქოლოგიური პორტრეტი, დროის ცვალებადობა და საზოგადოებაში მომხდარი ძვრები. რეალიზმი და ცოცხალი პროცესების გამხატვრულება ყოველთვის იყო და იქნება ჩვენი დაინტერესების საგანი.

რეალიზმის გარდა არსებობს ჩვენგან სრულიად განყენებული და აბსტრაქტული მხატვრული სამყარო და იგი ცდილობს საკუთარი არეალის მონიშვნას. სრულიად ბუნებრივია, რომ თანამედროვე ქართულ მწერლობას გააჩნია მისტიკურ-ირაციონალური პლასტიკ. იგი ნაკლებად პოპულარულია თავისი ელიტური იერის გამო და ერთგვარად არქაულ მოვლენადაც მიიჩნევა. ამ კუთხით აღსანიშნავია სიმონ (ბაჩუკი) წერეთლის ტექსტები, მისი წიგნი „ორნი“ შედგება ორი დრამისაგან: „უცნობი (ლირიკული პაროდია)“ და „ორნი (დრამატული მისტერია)“.

იმთავითვე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ავტორი არ არის მოკლებული მახვილ თვალს, შემპარავ ირონიას და დეტალებში რეალური ნიუანსების დანახვის ნიჭს. ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილი მკითხველს აიძულებს ჩაუფიქრდეს ყოველდღიურობის ფარულ მხარეებს, ზოგჯერ მაინც დაინტერესდეს ამით. სიმონ (ბაჩუკი) წერეთელი საგანგებოდ ირჩევს მაღალფარდოვან და ზეაწეულ ტონს, რადგან მიიჩნევს, რომ შესაძლოა დღესაც მოიძებნოს ისეთი მკითხველი, რომელიც გაიგებს და შეიტკბობს „სიდისა“ და „ფედრას“ ამალღებულ ტრაგიკულს.

„უცნობი“ რამდენიმე პლატს მოიცავს, მისი მთავარი გმირი იმთავითვე „საეჭვო“ პიროვნებაა, მას სხვათა ნალაპარაკებით ვეცნობით და თანდათან „იხსნება“ ჩვენთვის. ბოჰემას, ხელოვნებას, ნარცისიზმს და მარადიული კვლავდაბრუნების იდეას დიდი წილი უდევთ აბესალომის სახის შექმნაში. შესაძლოა მასში თარამ ემხვარის ანალიტიკური და ჭვრეტითი ნიჭიც ილანდებოდეს, აბესალომის პიროვნებაში ზოგმა შეიძლება ბიბლიური გმირიც მოინიშნოს..., მამის წინააღმდეგ ამხედრებული და იოაბის მიერ მოკლული, ან დორიან გრეის სახესხვაობად აღიქვას, ანდა სულაც გალაკტიონის ჯუფთად წარმოიდგინოს.

„უცნობისეული“ აბესალომი „უცნაურად ნიჭიერი“ და მწელად შესაგუებელია. იგი ბიძის და ბიცოლას გაზრდილია, თუმცა ე. წ. „გაზრდა“ აშკარად პირობითია, როგორც იქ მომხდარი ადიულტერი. ს. წერეთელი მრავალწერტილებს ხშირად გვთავაზობს, ამგვარად ახერხებს, ვარაუდების სიმრავლე არ შეგვიზღუდოს. ისიც საინტერესოა, რომ აბესალომის მხატვრობა ობივატელისათვის „ამაზრზენია“, შეპყრობილი ჩანს დევნის მანიით, ლეთარგიულ მდგომარეობაში მყოფი სხვათათვის ნამდვილი უსაქმური და ზარმაცია, შემოქმედისა და ხელოვანის სახე იდუმალის საბურველშია გახვეული.

ს. წერეთლის „უცნობის“ მთავარი გმირი გარდაცვლილია, მაგრამ ყველაფერი მის ირგვლივ ტრიალებს, მისით არის შთაგონებული. „ბრძენი სიკვდილი“ და „სულელი სიკვდილი“ მის ამბავში გვერდიგვერდ თა-

ნარსებობენ, აბესალომი თავის თავში მეფისტოს და ფაუსტსაც იერთებს, თვალშისაცემია დეტექტივის ელემენტებიც. ედგარ ალან პოს ალუზიების მოხელთებაც შეიძლება ამ ნარატივში, ისევე როგორც სემუელ ბეკეტის დაუსრულებელი მოლოდინის დაღანდვა და გავლენა.

„უცნობის“ იდეა მარტივად შეიძლება ჩამოვაყალიბოთ და ვთქვათ, რომ ყოველდღიურობა გაუსაძლისია, მაგრამ მისი გაკეთილშობილება წარსულის აჩრდილთა გამოხმობით და ფანტაზიით შეიძლება; თუ ამ ყველაფერს წერისა და თვითგამოხატვის სურვილიც დაერთვის, მაშინ ახალი მხატვრული ტილოც შეიქმნება, აწ უკვე სხვათა დარდისა და ერთფეროვნების გასაქარვებლად, რომლებსაც არც წერა ეხერხებათ და ფანტაზიასთანაც მწყრალად არიან.

„ორნი“ გაცილებით ტევადი ტექსტია, ვიდრე „უცნობი“, რადგან საქმე გვაქვს სრულიად სხვაგვარ წარმოსახვით სამყაროსთან, რომელიც ძალიან შორეულისა და მითიურის ანარეკლს წარმოადგენს. „ორნი“ გრაალის მაძიებლებსა და მცველებზეა, ამაყ, ვნებიან და უანგარო რაინდებზე. ყველაფერი „მარადიულ აწმყოდ“ მიიჩნევა და ამ ნიააგზე ხდება მერამდენე მცდელობა მოჯადოებული სატრფოს დახსნისა, ღვთიური გუმბათიდან გრაალის საოცნებო თასის ჩამოშვებისა და დასავლეთ-აღმოსავლეთის მშვიდად მორიგებისა.

„ორნის“ გმირები უელი და არელი არიან, ისინი ატისის მოჯადოებულ სატრფოს, ნოელის, გამოხსნისათვის იბრძვიან და ცირცე-მისანის ხიბლს ძლევენ. სულეთის მაცნე და

ბრძენი მკურნალი პალეოსი, მეფე კალი, მეფის ძე ატისი მთავარი გმირების ანტურაჟს ქმნიან, ფონს ამდიდრებენ.

ნოელი დასავლეთში იმყოფება, მოჯადოებული მამონას თუ ამორრას მიერ. მამონას ჯადოს დღეს რომ ვერავინ უძლებს, ეს ძალზე მახვილგონივრულად მიანიშნა ს. წერეთელმა, ასევე საინტერესოა ამორრას და მამონას გვერდიგვერდ მოხსენიებაც, ნიშანდობლივია რაშების ქარებად ქცევის მომენტიც, ძალისა და გრძნეულის დაპირისპირებაც...

ნარატორი იმგვარად დაჰყვება უელს და არელს, როგორც ვერგილიუსი დანტე ალიგიერს. მთხრობლის ორეული კი გამოკვეთილად ეშმაკისეულია, რომელიც უმალ ქრება, როცა მისგან რაიმე ხელშესახებს გამოელიან.

გმირებს – უელსა და არელს არ შეუძლიათ საცდურს არ დანებდნენ, როცა მათ მისანი – ცირცე გადაეყრება, თუმცა ეს აუცილებელ დაბრკოლებად არის მიჩნეული და მხოლოდ ამის შემდეგ ეძლევათ საშუალება მიეახლონ მიზანს.

უელი და არელი მეტამრეები და „ლეგენდების ჭირისუფალნი“ არიან, „სიზმრის სტუმარნი“ და „მძევალნი მიჯნის“. ატისი მთლიანად „სულის მონაა“, ხოლო მთხრობელი და მისი ორეული ზოგჯერ მიწიერი არსებების მსგავსნი არიან, თავიანთი დადებითი და უარყოფითი თვისებებით.

ჩვენ გვეყვანან ისეთი ავტორები, რომლებიც განზრახ აღიზიანებენ მკითხველს, განგებ ხლართავენ სიუჟეტს ან აღშფოთებას იწვევენ ძვირფას და გათავისებულ ისტორიათა „გადა-

ხედვით”, მაგრამ სიმონ წერეთლის წარმოდგენილი პიესები, სულ სხვაა. ავტორი ვინმეს საგანგებოდ გამოწვევას არ ესწრაფვის, არც ჩვენს გაკვირვებას და მავანისთვის საკუთარი ნიჭიერების დამტკიცებას...

იგი საკუთარ თავს იწვევს და ცდის, ცდილობს სწორედ ისე გამოთქვას აზრი, როგორც მას მიაჩნია საუკეთესოდ. ამავე დროს იგი ძალიან შორეულ სინამდვილეში გადადის და სავესებით ემიჯნება რეალობას, თანამედროვე მასკულტურის მოთხოვნებს, მდარე ინსტიქტებს. მისი უხვი და მჩქეფარე სიტყვები განგებ გაბუნდოვანებულია და მხოლოდ რიტმის დინებას ემორჩილება. სწორედაც რომ:

*„თასის ზეციურ მფარველთა ნება  
აწ ყოველ ნიშანს შემართავს...  
ცნებად!“*

კრეტიენ დე ტრუა და შტაინერი თუ არა, ქართველ მკითხველს ზვიად გამსახურდიას „ვეფხისტყაოსნის სახისმეტყველება“ მაინც უნდა ჰქონდეს წაკითხული, რომ სიმონ წერეთლის პიესების ზოგადი კონცეფცია გაიგოს. „ორნი“ ნადვილად არის ერთ-ერთი საინტერესო ინტერპრეტაცია „გრაალიადის“ პოპულარული

თემისა, სადაც ინდივიდუალიზმი და აბსტრაქცია ზეიმობს.

დღევანდელ ლიტერატურულ პროცესებში ირაციონალურ მუხტს თავისი დადებითი მხარე აქვს, თუ ეს ნიჭიერად და კარგად არის შესრულებული. სწორედ მაშინ ხდება ხელშესახები მარადიულ ფასეულობებთან მიახლება, რომელიც ყოველთვის ახალი კუთხით ამზეურებს თავის მრავალფეროვან შრეებს.

როგორც ვხედავთ, პოსტიმპერიული ქართული პროზის ნათელ მხარედ შეუნიღბავი და მკაფიო პოზიციის გამოშვებულება რჩება, როდესაც მწერალი თავისუფალია საკუთარ არჩევანში, გულახდილად ამჟღავნებს გრძნობებს და შეუძლია დაენდოს ინტუიციას. ერთეულებს მართლაც უმართლებთ, რადგან მკითხველის მწვავე დეფიციტის პირობებშიც ახერხებენ ემსახურონ საყვარელ საქმეს, რომ გულის კარნახით და სულის მოთხოვნით წერონ და აქვეყნონ თავიანთ ტექსტები.

დაინტერესებულ ადამიანს ყოველთვის ექნება შესაძლებლობა, შეიქმნას შთაბეჭდილება უახლეს ქართულ მწერლობაზე, მის თემატიკასა და ფილოსოფიაზე.







## რწმენა და რელიგია ბლეზ პასკალის „აზრებში“



რწმენა ღვთიური ნიჭია.  
ბლეზ პასკალი,  
„აზრები“, 217.

ღმერთი რომ არ ყოფილიყო, მას პასკალი გამოიგონებდა, იმდენად სჭირდებოდა მის სულიერ განწყობას რწმენა, რელიგია იმ სახით, როგორც ქრისტიანობამ შესთავაზა. შეიძლება სწორედ ამიტომაც გადაეშვა რწმენაში რელიგიურ ექსტაზში მყოფი პასკალი: „ღმერთის არსებობის საკითხი რაიმე მეცნიერული პრობლემა არ გახლავთ, რომელიც ნაკლებად მაღელვებს და მაინტერესებს. **ცხადია**, რომ მე სხვაგვარად უნდა მოვიქცე

იმის მიხედვით, არსებობს თუ არა ღმერთი“. გაუგებარი და მიუღებელი პასკალის რწმენაში არაფერია. თუ სულიერ მდგადობას რელიგია მოგანიჭებს, მოგცემს შემოქმედებითი შრომის საშუალებას, გაგახალისებს, ცხოვრებას გაგიუმჯობესებს ისე, რომ სხვა არ დააზარალო, იყავი რელიგიური, ვინ გიშლის? მაგრამ თუ არა, მაშინ? პასკალი თვლის, რომ: „მაცხოვრის გარეშე კაცი ყოველთვის ბიწიერებასა და უბედურებაში იქნება

დანთქმული. მაცხოვრის წყალობით კაცი თავს აღწევს ბიწიერებას და უბედურებას, მასშია მთელი ჩვენი სიქველე და ზედნიერება”, „აზრები, 402. დე იყოს პასკალისთვის, როგორც თვითონ სჯერა, რამეთუ ნეტარ არიან მორწმუნენი! სამწუხაროა მხოლოდ, რომ პასკალის რელიგიური მოქცევით მეცნიერება დაზარალდა.

„არაფერი ისე ცხადად არ გვიმჟღავნებს სულის სისუსტეს, ვიდრე იმის არცოდნა, თუ რა საშინელებაა ადამიანის ყოფნა უღმერთოდ”. „აზრები”, 156. თუ მონობაზე თავს დებ (?), „უმჯობესია ემონო ღმერთს, ვიდრე ადამიანებს”. „აზრები”, 431. მორწმუნეთათვის ღმერთი შემწეა, დამხმარე, მეოხი, ჭირთათმენაში მხარდამჭერი... მაგრამ საწინააღმდეგო აზრიც არსებობს, კერძოდ, ვაჟკაცობაა უღმერთოდ გაძლება, საკუთარი თავის და არა ღმერთის იმედზე ყოფნა. ასე რომ ზოგიერთის ლოგიკით სულის სისუსტეზე მიუთითებს რწმენა ღმერთისა და არა რწმენა საკუთარი თავისა. პასკალი თავდაყირა აყენებს რეალობას? როგორ ფიქრობთ?

„უსასრულო სიცარიელის ავსება შეიძლება მხოლოდ რაღაც უსასრულოთი და უცვლელით, ე.ი. ღმერთით”, „აზრები”, 337. როგორც ი. ტურგენევი შენიშნავს, ადამიანის დაშინება პასკალს სჭირდება, რომ ღმერთის წინაშე დააჩოქოს. ვისაც სურს, შეუძლია მუხლებზე იხობიალოს, თუ ამით მისი სულიერი მდგომარეობა გაუმჯობესდება. მაგრამ ვისაც მუხლებზე ხობვა არ სურს, რა ქნას, გაჰყვეს პასკალს? ზოგი ფილოსოფოსი ღმერთს მიიჩნევს სამყაროს შემოქმედად, ზოგი კი მხოლოდ სამყა-

როს მაფორმირებელ ოსტატად, რომელსაც არ შეუქმნია მატერია, მხოლოდ მოაწესრიგა სამყარო. ამ შემთხვევაში მწყობრი წესრიგი და მიზანშეწონილობა მხოლოდ სამყაროს ფორმას დაახასიათებს და არა მის შინაარსს ანუ მატერიას.

პასკალის მიხედვით, რა სურს ღმერთს: ჩვენი ნება თუ გონება? „ღმერთს უფრო ჩვენი ნების დაუფლება სურს, ვიდრე ჩვენი გონების. სრული ნათელი სასარგებლო იქნებოდა გონებისთვის, მაგრამ ავნებდა ნებას”. „აზრები”, 414. თუ ნება სურდა, რაღა მაინდამაინც პასკალის გონებას ეტაკა? რომ მეცნიერებისთვის წაერთმია? მერე და რა მოიგო ამით ღმერთმა? „შეუძლებელია, რომ ღმერთი დასასრული იყოს, თუკი დასაბამი არ არის”, „აზრები”, 379. და შემდეგ: „თუ ყველაფრის საწყისი ერთია, თუ ყველაფრის საბოლოო მიზანი ერთია, — ყველაფერი მის მიერია და ყველაფერი მისთვის არსებობს”. „აზრები”, 380. ამ ფრაზით პასკალი თვლის, რომ ყველაფერი ღმერთის მიერაა შექმნილი და ყველაფერი ღმერთისთვის არსებობს (მათ შორის ჩვენც). ამოდ გვიტვრევია თავი კაცობრიობის გაჩენა-ჩამოყალიბების მიზეზებსა და მიზნებზე; ამოდ გვისწვავია ცივილიზაციის განვითარებაზე! პასკალმა ხელის ერთი მოსმით წყალში გადაყარა ადამიანის 2 მლნ. წლიანი გამოცდილება, რამეთუ ჩვენ, ღვთის მონებს, მისი აზრით, ცოდნა არ გვჭირდება; საკმარისია მხოლოდ ლოცვა, ლოცვა და ლოცვა! მეტი რა გზაა, დიდ ფილოსოფოსს მისივე სიტყვებით შევაგონებ: „სანამ რაიმეს მოიმოქმედებდე (ან დაწერდე „აზრებ-

ში” – დ. კ.), უნდა გულდასმით აწონდაწონო არა მარტო შენი მოქმედება (და შენი „აზრები” – დ. კ.), არამედ ჩვენი აწმყო, ჩვენი მომავალი, ჩვენი წარსული ისევე, როგორც ამ მოქმედებიდან გამომდინარე ყველა შესაძლო შედეგი და ყოველივე ეს ურთიერთკავშირში უნდა წარმოიდგინო. ასეთია ჭეშმარიტი წინდახედულობის არსი”. „აზრები”, 386. პასკალმა ვერ გაითვალისწინა, თუ რა მოჰყვებოდა მის „აზრებს”? მე მგონი, პასკალის სული არ განაწყენდება მისსავე შეგონებაზე...

პასკალის აზრი ბუნებასა და ღმერთზე: „ბუნების სრულქმნილება გვიჩვენებს, რომ ის უფლის ხატია, მისი (ბუნების – დ. კ.) ნაკლოვანება კი გვიჩვენებს, რომ ის მხოლოდ ხატია”. „აზრები”, 413. იქნებ პირიქითაა – უფალია ბუნების ხატი? რომელია მთავარი? პასკალი ღმერთზე მსჯელობს: „არც ისაა მართალი, თითქოს ყველაფერი ამჟღავნებს ღმერთს და არც ის, თითქოს ყველაფერი ფარავს ღმერთს”. „აზრები”, 406. მაპატიეთ შედარება, მაგრამ პასკალის მიხედვით, ღმერთი სტრიპტიზიორი ქალივით ყოფილა – თან უჩანს ყველაფერი, თან არ უჩანს?... იქნებ სხვა რამის თქმა სურდა ფილოსოფოსს?

პასკალს ეჭვები აწუხებს უზენაესის მიმართ: „ან ჩვენ ვიზადებით ბრალეულნი, ან ღმერთია უსამართლო”, „აზრები”, 380. რა ქნან არაქრისტიანებმა, რომლებიც მუდამ შეადგენდნენ დედამიწის მოსახლეობის უმრავლესობას, თუ პირველ ცოდვას არ ცნობენ? ამიტომ მათ არც ღმერთი ცნობს? „...უფალი დაფარულია და

რომ ჩვენი ბუნების (ხასიათის – დ. კ.) დაცემის შემდეგ, მან წილად გვარგუნა სამუდამო სიბნელე და სიბრმავე, რომელსაც ვერავინ დააღწევს თავს მაცხოვრის გულმოწყალების გარეშე”. „აზრები”, 193. ვინც არაქრისტიანია, დაღუპულა და ეგ არის! რამდენი მლრდ. კაცი იყო ქრისტემდე, რამდენია დღეს და იქნება ხვალ? ეს ხალხი არ ეცოდება მაცხოვარს?



მონაზონი ჟაკლინა-ეფემია პასკალი

როგორ გავუგოთ ღმერთს? „ჩვენ ვერაფერს გავუგებთ ღმერთს, თუ საწყისად არ ვაღიარებთ, რომ მან ინება დაებრმავებინა ერთნი და განათლებინა მეორენი”. „აზრები” 410. ე.ი. ღმერთმა ერთნი დაჩაგრა და მეორენი – არა? თუ ყველა თავის შვილი ერთნაირად უყვარს, რატომ მოქმედებს შერჩევით? „ღმერთი დაფარულია იმისთვის, ვინც მას სცდის და გამოცხადებულია იმისთვის, ვინც

მას დაეძვება", „აზრები“, 406. რა გამოდის: თუ მე ღმერთის გამოცდა მინდა, დამემალება და თუ ნდობას გამოვუცხადებ, გამომიჩნდება? დამალობანას მეთამაშება?... სწორად გავიგე თუ არა პასკალის აზრი?

პასკალმა „აზრებში“ იმდენი ცოდვა მიაწერა ღმერთს, რომელიც მართლა (!) რომ არსებობდეს, პასკალს საფლავიდან ამოაგდებდა. პასკალის აზრით, ღმერთმა სამაგიერო გადაუხადა ადამიანს განდგომისათვის და ზნელეთში მოათავსა (მანამდე კომუნიზმში ამყოფებდა თუ რა?). რაღაც არ ეტყობა ცივილიზაციას, რომ ოდესღაც სამოთხეში ცხოვრობდა არხინად და უდარდელად („აზრები“, 343). ადამიანი მუდამ იბრძოდა არსებობისთვის... ვინ იფიქრებდა, რომ ყოვლისშემძლე ღმერთი თავის ნაშიერ ადამიანს ასე ბოროტად მოექცეოდა და მთელ თავის ბოლმას გადმონათხევდა?... ყოველ შემთხვევაში, ასე წერს პასკალი; დავუჯეროთ? („აზრები“, 342). ღმერთის შერჩევითი მოქმედება ჩვენც გვაძლევს უფლებას გვიყვარდეს ან არ გვიყვარდეს უფალი-თვალი თვალის წილ! „ადამიანი ღმერთის ღირსი არ არის, მაგრამ მას, დიახაც, შეუძლია ღმერთის ღირსი გახდეს“, „აზრები“, 387. მოდით, ახლა შებრუნებული კითხვაც დავსვათ: არის ღმერთი ადამიანის ღირსი?! ხომ გვაქვს ასეთი კითხვის დასმის უფლება?

პასკალის აზროვნება წინააღმდეგობრივია; ერთგან წერს: „ჩვენ უფრო უყოყმანოდ უნდა ვემორჩილებოდეთ გონებას, ვიდრე ნებისმიერ მზრძანებელს, რადგან ვინც ეწინააღმდეგება გონებას, უბედურია, ხოლო ვინც

ეწინააღმდეგება მზრძანებელს, ჩერჩეტია და შტერი“. „აზრები“, 266. მეორეგან პასკალი საწინააღმდეგოდ წერს, რომ ირწმუნო ღმერთი, გონება უნდა გათიშო და მხოლოდ გრძნობას, გულს უნდა დაეყრდნო. გამოდის, რომ პასკალი ერთდროულად უბედურია, ჩერჩეტია და შტერია, რადგან რწმენის სასარგებლოდ შეგნებულად თიშავს თავის გონებას, რატომ ილანძღავს თავს პასკალი, ღმერთი ატანს ძალას?

დეკარტის აზრით, „ღმერთი მოძრაობის პირველმიზეზია“. ფიზიკოსმა დეკარტმა სხვა გამოსავალი ვერ იპოვნა, ვერ დაადგინა სამყაროს შექმნის მიზეზები, ამიტომ დასაბამი ღმერთს მიანდო, დანარჩენი კი სწორად განსაზღვრა. შეიძლება სამყარო პერპეტუუმობილია!? დეკარტის აზრით, დასაბამის შემდეგ ღმერთის ფუნქცია მხოლოდ ბუნების მარადიულ კანონთა დაცვაა... პასკალმა კი ყველაფრის შემოქმედად და უზენაესად ღმერთი მიიჩნია, ამიტომ ეწყინა, როცა დეკარტმა უფალი ოფსაიტში დატოვა: „ვერ მიპატიებია დეკარტისთვის: მას ძალიან სურდა თავის ფილოსოფიაში უღმერთოდ გასულიყო ფონს, მაგრამ სამყაროს ასამომრავებლად ღმერთს წვიპურტი მაინც აკვრევინა მისთვის. ეს იყო და ეს; ღმერთი აღარ დასჭირვებია“. „აზრები“, 59. პასკალი რომ ღმერთს ადვოკატად დაუდგა, უშველა? არა მგონია...

დეკარტის აზრით, რწმენა ნების ფუნქციაა და არა გონების-გონება უარყოფს ღმერთს. ე. ი. გინდა ირწმუნებ, გინდა \_ არა? „ბავშვები, რომლებიც დაჯღაბნიან სიფათს და მერე

თვითონვე ეშინიათ მისი, მხოლოდ და მხოლოდ ბავშვები არიან". „აზრები“, 67; რაზეც ვპასუხობ: ზრდასრულები, რომლებიც დახატავენ ქრისტეს და მერე თვითონვე ეშინიათ მისი, ზრდასრულები არიან? რას გვეტყვის პასკალი? „ვინ შექმნა ადამიანი – კეთილმა ღმერთმა, ბოროტმა დემონმა თუ შემთხვევითობამ?“ „აზრები“, 345. ვპასუხობ: არც კეთილმა ღმერთმა, არც ბოროტმა დემონმა და არც შემთხვევითობამ; დარვინის მიხედვით – ბუნებამ! ბუნებასვე შეუძლია წერტილი დაუსვას ცივილიზაციას, თუ ადამიანი ჭკუით არ იქნება.

მთელი იუმორი იმაშია, რომ სინამდვილეში ღმერთის არსებობა-არარსებობას ადამიანებს არავინ გვკითხება ისევე, როგორც სიკვდილსიცოცხლესამყაროში. თუ გლობალური საკითხები უჩვენოდ წყდება, რა მნიშვნელობა აქვს ბჭობა-მსჯელობას? აი, სწორედ ამ უაზრობაშია საქმე. ღმერთი ძალიან შორსაა, რომ იმაზე ვიფიქროთ, გავაგონებთ თუ ვერა... თუ ღმერთი უსასრულოდ მიუწვდომელია ჩვენთვის, თავისი არსებობით გავლენას ვერ/არ ახდენს ჩვენს ყოველდღიურობაზე, მაშინ იყოს, სადაც არის და როგორც არის. ჩვენს მიწიერ ცხოვრებაში არავითარი მნიშვნელობა არ აქვს თუ როდის და როგორ შეიქმნა სამყარო, ვინ ჰკრა პირველი წვიპურტი მოძრაობას ან როდის გაჩნდა და დასრულდება სამყარო... რამდენიმე ათეული მლრდ. წლის შემდეგ (!). ჩვენი წამიერი სიცოცხლე ისე მცირე და შეუსაბამოა სამყაროს უსასრულობასთან, რომ ტვინის ჭყლეტად არ ღირს ფიქრი

დასაბამზე და დასასრულზე... რაზე ვდავობთ?! საქმისთვის ხომ არ სჯობს, ყოველდღიურობას მივხედოთ? როგორ ფიქრობთ?

სარწმუნოების ფუნქციას ასე აყალიბებს პასკალი: „...რაკი არ შეგვიძლია თავყვანს ვცემდეთ იმას, რასაც არ ვიცნობთ და გვიყვარდეს სხვა რამე, გარდა საკუთარი თავისა, ამიტომ სარწმუნოებამ, რომელიც ჩვენს მოვალეობას გვიხსნის, ჩვენი უძლეულების მიზეზი და მისი დაძლევის გზაც უნდა გვასწავლოს“. „აზრები“, 380.

ბედნიერია არა ის, ვინც ღმერთი იპოვნა, არამედ ვინც თავის რწმენას მიაგნო. ჭეშმარიტად მორწმუნე კაცი ღვთის მორჩილია, ათეისტზე ნაკლებ აგრესიულია, თუმცა ზღაპრებს ხომ არ გვიყვებიან რელიგიის მსახურნი? რას უნდა ნიშნავდეს პასკალის გამოთქმა: „დაპირისპირებულობა; სარწმუნოების უსასრულო სიბრძნე და უსასრულო სიშლეგე?“ განა სარწმუნოება შლეგია? პოლ ვალერი ასე განსაზღვრავს რელიგიის დანიშნულებას: „რელიგია ადამიანებს ამარაგებს იმ გარემოებათათვის საჭირო სიტყვებით, აქტებით, ქესტებით და აზრებით, სადაც მათ არ იციან რა თქვან, რა ქნან, რა წარმოიდგინონ“. რაც დრო გადის, ადამიანის ცოდნა იზრდება და შესაბამისად ასეთ გარემოებათა რიცხვი მცირდება. რა თქმა უნდა, არ ცოდნის სფერო ჯერ ბევრად სჭარბობს ცოდნის სფეროს, ასე რომ რელიგიას ძლიერი საყრდენი კვლავ დიდხანს ექნება, თუ მუდმივად არა.

პასკალი ასე მსჯელობს ქრისტიანული რელიგიის შესახებ: „მე ვხედავ რამდენიმე ურთიერთსაპირისპირო რელიგიას და ამდენად ყველა ყალ-

ბია, გარდა ერთისა (რის საფუძველზე? – დ. კ.). თითოეული მოითხოვს, რომ სწორედ ის იწამონ მისი გავლენის გამო და შეჩვენებით ემუქრება ურწმუნოთ... ქრისტიანულ რელიგიაში მე ვხედავ წინასწარმეტყველებასაც და მის აღსრულებასაც, რაც უკვე აღარ შეუძლია ყველას". „აზრები“, 418. პასკალი საფრანგეთში გაიზარდა და ცხოვრობდა, ამდენად მხოლოდ ქრისტიანული (კათოლიკური) რელიგია შეეძლო ერწმუნა-მას არჩევანი არ ჰქონდა. საინტერესოა, მექაში ან მედინაში რომ ეცხოვრა, მაშინაც ქრისტიანობის მქადაგებელი გახდებოდა? საქმე ქრისტიანიზმში კი არა, პასკალის რელიგიურ განწყობაშია. მის სულს რწმენა სჭირდებოდა და მანაც მიიღო ის, რაც გარემომ, სიტუაციამ შესთავაზა. ინდოეთში პასკალი, ალბათ, ბუდისტი გახდებოდა...

პასკალი რელიგიას სათნოების ფუნქციას ანიჭებს: „განა შეიძლება ბოროტების ამოძირკვა ბოროტებითვე? ეს ხომ ბოროტების გამრავლებას ნიშნავს“. „აზრები“, 430. ცდება პასკალი, როცა ფიქრობს, რომ: „ხალხი მზადაა, ყოველგვარ რწმენას ანაცვალოს სიცოცხლე, რომლის სიყვარული, ერთი შეხედვით, ასე ძლიერი და ბუნებრივი ჩანს“. „აზრები“, 129. სიცოცხლე არაა ხელწამოსაკრავი რამ; ის ერთი და განუმეორებელია; მას რწმენასავით ვერ გამოიცვლი. პასკალი ირონიით უყურებს რელიგიას: „როცა ყველაფერს გონებას ვუქვემდებარებთ, ჩვენს რელიგიას აღარაფერი რჩება მისტიკური და ზებუნებრივი (რომლითაც მრევლს ატყვევებს – დ. კ.); როცა გონების საწყისებს

ვარყევთ, რელიგია უაზრო და სასაცილო ხდება“. „აზრები“, 212. მართლაც, რელიგია ვერ უძლებს გონების შეტევას. მას სხვანაირი მიდგომა სჭირდება.

პასკალი საკმაოდ კრიტიკულია რელიგიების მიმართ: „...რომელი რელიგია გვიჩვენებს ჩვენს ჭეშმარიტ სიკეთეს, ჩვენს მოვალეობას, ჩვენს სისუსტეს, რომლის გამოც საკუთარ თავს ვღალატობთ, ამ სისუსტის მიზეზს და მისი დათრგუნვის გზას, ხერხსა თუ საშუალებას? ვერც ერთმა რელიგიამ ვერ შეძლო ეს“. „აზრები“, 342. პასკალი არც თავის საყვარელ ქრისტიანობას ინდობს, როცა შინაგან წინააღმდეგობაში გამოიჭერს: „უცნაურია ქრისტიანობა: უბრძანებს ადამიანს აღიაროს, რომ ზიზღის ღირსია, მეტიც, აღიაროს, რომ ზილწია და იმავდროულად უბრძანებს გამუდმებით მიეღებოდეს იმას, რომ ღმერთს დაემსგავსოს“. „აზრები“, 398. რა ქნას ადამიანმა, რომელ გზას დაადგეს?

მორწმუნეებით უკმაყოფილო პასკალი ამბობს: „ყველამ იცის, რომ საზოგადო სიკეთისთვის თავი უნდა გასწირო და ზოგიერთი მართლა სწირავს თავს; მაგრამ ვინ ეწირება სარწმუნოებას? არავინ“. „აზრები“, 296. განა თვითონ პასკალის სიცოცხლე სარწმუნოებისთვის თავდადების ნიმუში არ არის? პასკალი თავისი ცხოვრების მანძილზე მერყეობდა რელიგიასა და მეცნიერებას შორის: „...დაე, ბუნებამ ან საბოლოოდ დამარწმუნოს, ან სამუდამოდ გადამარწმუნოს, რათა, ბოლოსდაბოლოს, გადავწყვიტო, რა გზას დავადგე. მაგრამ მე კვლავინდებურად არ ვიცი, ვინ ვარ და რა ვარ, კვლავინდებურად არ მეს-

მის, რისთვის ვარ ან რატომ ვარ...“ „აზრები“, 183.

პასკალის „აზრებში“ ჩანს ფილოსოფოსის მერყევი, საკმაოდ ბუნდოვანი პოზიცია რელიგიის მიმართ. მიუხედავად იმისა, რომ ღრმად მორწმუნე იყო, პასკალის მზორგავი, მოუსვენარი გონება სავსეა კითხვებით, რომლებზეც პასუხები არ გამოიძებნა და მგონია, სანამ ცივილიზაცია იარსებებს, არც გამოიძებნება. იმავე კითხვებს ვერ უპასუხებს ვერც ერთი რელიგია, რწმენა. ცივილიზაციას რწმენა სჭირდება, მაგრამ ახალი არსით და ფორმით. სხვა რამაა საჭირო,

მაგრამ ვის შეუძლია თქვას რა და როგორ?

სამყარო თავისი უთვალავმილი-არდიანი სისტემებით, ვარსკვლავებით, პლანეტებით რეალურად არსებობს და მოქმედებს. შეიძლება სამყარო ვიღაცის ან რაღაცის შემოქმედების ნაყოფია. ამ შემოქმედის შეიძლება ბუნება ერქვას, თქვენთვის \_ ღმერთი, მათთვის \_ განგება და ა.შ. \_ მრავალნაირად. განსხვავება მხოლოდ სახელწოდებებში იქნება... სამყაროს შეცნობის პროცესი გეომეტრიული პროგრესიის ტემპით იზრდება. მალე გამოვა ცივილიზაცია შეუცნობლობის შოკიდან?





*nodar stefaniSvil i*

*zurab j oxarize*

## აბრეშუმის საქართველოში – წარსული და დღევანდელი

ჩინური და იაპონური წყაროდან ცნობილია, რომ მეაბრეშუმეობა და აბრეშუმის წარმოება ჩაისახა ჩინეთში ძვ. წ. III ათასწლეულში და აქედან გავრცელდა მთელ მსოფლიოში. ამავე წყაროებიდან, ჩინელები თითქმის 20 საუკუნე უფრო ადრე აღმოაჩინეს აბრეშუმის მონოპოლიას.

ლეგენდის თანახმად, VI საუკუნეში ორმა მისიონერმა ბერმა აბრეშუმეობის კვრები – გრენა ბამბუკის ჯოხებში გადამალეს და ასე გამოიტანეს ჩინეთის პროვინცია შანტუნტიდან.

ამ ლეგენდას ისევ დავუბრუნდებით. მანამდე კი, თანმიმდევრულად მივყვით პროცესს თუთის ხიდან აბრეშუმის კომპლექსურ ძაფამდე.

თუთის ხე ტროპიკებსა და სუბტროპიკებში ხარობს. კ. კრაიას ენციკლოპედიური ლექსიკონის თანახმად, თუთის ველური სახეობა – თეთრი თუთა ბუნებრივად იზრდებოდა ჩინეთში, კავკასიაში, სპარსეთსა და ეგვიპტეში, საიდანაც გავრცელდა ევროპაში.

სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით: „თუთა – ესეა ჟოლა, რომელსაც სომხურად ტუტა ეწოდება,

რამე-თუ ლათინურად სიკომოროს (სიკო – ლეღვი, მოროს – სულელი), ანუ ეგვიპტურად ლეღვადაც ხმარობენ“.

თუთის აბრეშუმეობა თუთის ხის პარაზიტია. იგი მონოგრაფი მწერია და მხოლოდ თუთის ფოთლებით იკვებება.

„ლეღვსულელი“ ბიბლიაში რამდენიმეჯერაა ნახსენები. ე.ი. ქანანის მიწაზეც ხარობდა თუთა.

ჩვენთან, საქართველოში ოდითგანვე იყო თუთის ხის სხვადასხვა ჯიშები. იმერეთში მას ეძახიან – „ბჟოლას“, სამეგრელოში – „ჯაპს“, კახეთში – „ფურცელს“.

მესხეთში თუთის ნაყოფისაგან ამზადებენ „ბაქმას“, რომელიც ქვეყანაში შაქრის მაგივრობას წევდა.

ამრიგად, სადაც თუთის ხე ხარობდა, შეუძლებელია მას ჭია – აბრეშუმეობა არ ჰყოლოდა.

„ესე ეუზნება-თქო, უფალი ღმერთი იერუსალიმს... ოქროთი და ვერცხლით მოგრთე, ზეზი, ჭიჭყაული და ნაქარგი სამოსელი გეცვა“ (ეზეკიელი 16. 13. ძვ. წ. VI ს.).

ზეზი – ოქრომკერდია, სირმისა და აბრეშუმის ძაფის ნაგრეხია.



ჭიჭნაული, ჭიჭნაუხტი – აბრეშუმის ქსოვილია.

ასევე, წმ. შუშანიკის წამება“-ში ბერი ცურტაველი აღნიშნავს – „წმიდამან შუშანიკ ნაცვლად ჭიჭნაუხტისა საქმისა... ხელთა აღიხვნა „დავითნი“ და ას ერგასნი იგი ფსალმუნნი ზეპირად დაისწავლნა“. ანუ, ოცივე კანონის ზეპირად შესწავლით, სულიერებით ისე მშვენიერებოდა ციხის ბნელი საკანი, როგორც ნაქარგობით აბრეშუმის ქსოვილი.

ესეც, IV საუკუნე. ასე რომ, ჩინელებს აბრეშუმის სამშობლოებას ტყვილად აბრალებენ.

– არმაზში, დიდგვაროვნის სამაროვანის გათხრისას, სხვა სიმდიდრესთან ერთად, ქალბატონის ნეშტზე ნანახია აბრეშუმნარევი შალის ქსოვილის ნარჩენი (ძვ. წ. აღ. II ათასწლეული).

(ცნობისთვის: დღეისთვის, უმაღლესი ხარისხის ინგლისური შალი – აბრეშუმნარევი მატყლია).

– უძველეს ეტრატებს ყდაში ჩასმა და აკინძვა ესაჭიროებოდათ. რისთვისაც, ჩვენი წინაპრები კანაფთან, ან სელის თოკთან შეგრეხილ აბრეშუმის ფერად ძაფს – კაპტალს იყენებდნენ.

საქართველოს სხვადასხვა კუთხეში დღემდე შემორჩენილი აბრეშუმის ძაფსახვევი დანადგარის სახელები:

სამეგრელოში – ელართაშე;

სამურზაყანოში – ოგიდაშე;

გურიაში – ოგვადო;

იმერეთში – სამუხვლელი;

კახეთში – მანჯავი.

ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში ჩანს აბრეშუმის ძაფის დამზადების ადრინდელი ტექნოლოგია:

აბრეშუმის მწიფე პარკს – ყაჭს, გამოსაშრობად მზეზე გაშლიდნენ. შემდეგ, მენძავდნენ, ჩეჩავდნენ და ამ ნაჩეჩით ძაფს ართავდნენ.

დავუბრუნდეთ ზემოთ ნახსენებ ლეგენდას.

როგორც აღვნიშნეთ, სადაც ხარობდა თუთის ხე, იქ იყო აბრეშუმხვევია ჭიჭ. რაში ჭირდებოდათ მისიონერებს გრენის – ჭიჭის კვერცხების გამოტანა, თუ მათ სამშობლოში უკვე იყო თუთის აბრეშუმხვია? და, თუ არ იყო, ე.ი. არ იყო თუთის ნარგაობაც. მაშინ, გამოტანილი გრენიდან გამოჩეკილი ჭიჭა რითი უნდა გამოეკვებათ?

მაინც, რას ასაიდუმლოებდნენ ჩინელები ასე მონდომებით და რა გამოიტანეს მისიონერმა ბერებმა შანტუნტიდან?

არის კიდევ ერთი ჩინური ლეგენდა: ერთ-ერთი პროვინციის მმართველის ჰუან დის მეუღლე ლეი ზუ სასახლის ბაღში, ზურმუხტისფერი ლამაზის ხის ჩრდილში ჩაის მიირთმევდა. მოულოდნელად, ხიდან ჩამოვარდნილი თეთრი პარკი დედოფლის ჭიჭაში ჩავარდა. შეწუხებულმა მსახურმა პარკის ჩხირით ამოღება სცადა. მანამდე მტკიცე, შეუვალი აბრეშუმის პარკი ცხელ ჩაიში ერთ გრძელ ძაფად დაიშალა.

საფეიქრო საქმეში აქსიომაა: ბოჩკოს სიგრძე და მთლიანობა, განსაზღვრავს ძაფის სიმტკიცეს და ვარგისიანობას, რაც საბოლოო ჯამში, ქსოვილის ხარისხზე აისახება.

ამრიგად, თუ მანამდე აბრეშუმის პარკის ნაჩეჩი, მოკლე ბოჩკოებით დართული ძაფით მხოლოდ „ლარულ“ ქსოვას (კლასიკური ქსოვა – საქსელი და მისქსელი) ახორციელებდნენ, აბრეშუმის პარკიდან ამო-

რღვეულმა 500-1500 მმ-ის სიგრძის ძაფმა, ჩინელებს შესაძლებლობა მისცა ქსოვილი ხლართით ქსოვით (ტრიკოტაჟული ქსოვა) ეწარმოებინათ.

ასე რომ, ჩინელები აბრეშუმხვას და აბრეშუმის პარკს კი არ ასაიდუმლოებდნენ, არამედ პარკიდან ძაფის ამორღვევის ტექნოლოგიას.

„ვეფხისტყაოსნიდან“ – ტარიელი ხატაელებს (ჩინელებს) რომ დაამარცხებს, რამაზ მეფის საგანძურში უცნაური ქსოვით შექმნილ „ყაზაჩა და ერთი რიდე“-ს ნახავს.

**„არცა ლარულად ჰგებოდა მას ქსელი, არც ორხაულად, სიმტკიცე ჰგვანდა ნაჭედსა, ვთქვი ცეცხლთა შენართაულად!“**

ძვ. წ. აღ. II საუკუნეში დიდი საქართვენი გზის გახსნამ ჩინეთიდან ვიდრე ბიზანტიამდე, რომელსაც XIX საუკუნეში გერმანელმა გეოგრაფმა ფერდინანდ ფონ რიჩტოფელმა „აბრეშუმის გზა“ უწოდა, ჩინეთი თავისი შეუდარებელი ქსოვილებით, შავი ზღვისა და ხმელთაშუა ზღვის ქვეყნების ბაზარზე გაიყვანა.

დამთავალიერებელი დღემდე ალფრთოვანებაში მოჰყავს მუზეუმებში გამოფენილ ჩინურ ხატურასა თუ ფარჩას, კისეიას თუ ატლასს.

სპარსეთის მეფე პეროზმა, ინდოეთის დალაშქვრისას მეფე ვახტანგი, გორგასალი იახლა. ვახტანგ მეფემ ქსერიდანთან, ინდოჩინური წარმოშობის ტყვეებთან ერთად, აბრეშუმის ძაფის ამოხვევის ტექნოლოგია ჩამოიტანა საქართველოში.

ჩვენს ქვეყანაში, ზომიერი კლიმატის გამო, ყოველთვის მაღალხარის-

ხოვანი აბრეშუმის ქსოვილი ე.წ. დარაია მზადდებოდა. ადრეულ წლებში, მას ვალუტის დანიშნულებაც ჰქონდა და კონტრიბუცია – გამოსასყიდადაც იყენებდნენ ოქროსა და ვერცხლთან ერთად. ხოლო, 1998 წელს, თბილისის ფაბრიკა „ცისარტყელაში“ დამზადებულმა აბრეშუმის ქსოვილმა, მადრიდში გამართულ აბრეშუმის ნაწარმის მსოფლიო გამოფენაზე უმაღლესი ჯილდო – „დიდი პლატინის ვარსკვლავი“ დაიმსახურა.

სამწუხაროდ, მეაბრეშუმეობა საქართველოში აღარ არსებობს. რატომ? ამომწურავ პასუხს ვერსად გაიგებთ! (?) მრეწველობის სხვა დარგებისგან განსხვავებით, მეაბრეშუმეობა არ მოითხოვდა უცხოეთიდან ნედლეულის, ან სხვა წარმოების საშუალებების შემოტანას (?).

სანამ სოფლად კიდეც ახსოვთ, როგორ კვებავდნენ ჭიას და გამოჰყავდათ პარკი, აგრომრეწველების, ფეიქრების, ინჟინრების, ეკონომისტების ვალია აღვადგინოთ ესოდენ საჭირო დარგი საქართველოში.

ჩვენი გადმოსახედიდან (იგულისხმება საინჟინრო საქმე), თანამედროვე პირველადი გარდამსახებისა და მიკროპროცესორული სისტემების გამოყენებით შესაძლებელია ახალი, კომპაქტური, მაღალტექნოლოგიური აბრეშუმის ძაფსახვევი დანადგარის შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს დარგის აღორძინებას.

სტატისტიკურ მონაცემებსა და საკითხის გადაჭრის ტექნიკურ მხარეებს შემდეგ სტატიებში განვიხილავთ.





## *giorgi popiaSvil i*

# საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა პოლიტიკური ორიენტაციის გზაგასაყარზე

საქართველოს პოლიტიკური დამოუკიდებლობიდან რამდენიმე წელიწადში ქართულმა სახელმწიფომ, ერთმანეთის მიყოლებით დაკარგა ცხინვალი და აფხაზეთი, ეს კონფლიქტები ერთი შეხედვით გვევლინება, როგორც ეთნო კონფლიქტები აფხაზებსა და ქართველებს და ცხინვალის ოსებსა და ქართველებს შორის. საკითხის უფრო სიღრმისეული შესწავლა ვიწრო ეთნიკური კონფლიქტიდან ტრანსფორმირდება გლობალურ რეგიონალურ დონეზე.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რუსეთის სახელმწიფოსთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო და რუსეთის ეროვნულ ინტერესებში შედიოდა კავკასიის რეგიონის, მათ შორის საქართველოს რუსეთის გავლენის სფეროდან არ გაშვება. საქართველოს პირველი პრეზიდენტის კურსი მკვეთრად ემიჯნებოდა რუსეთს და ასევე დიდ სურვილს არ გამოთქვამდა დასავლეთთან ურთიერთობისთვის, იგი ცდილობდა დამოუკიდებელი კავკასიური სახლის შექმნას, რომელიც ძლიერ რეგიონალურ ძალად უნდა გადაქცეულიყო, მაგრამ მარტო ამ ჩანაფიქრის იმედად ყოფნა ეროვნული ინტერესე-

ბის დაცვის კუთხით სუსტ პოზიციაში აგდებდა ქართულ სახელმწიფოს.

რუსეთ - აშშ-ის ინტერესებიდან რომ ამოვიდეთ, რომელიც კავკასიის რეგიონში იკვეთება, დავინახავთ რაოდენ წინააღმდეგობაში მოდიოდა დამოუკიდებელი კავკასიის რეგიონი, რომელზეც კონტროლის დაწესება გაცილებით უფრო რთული იქნებოდა, ვიდრე კავკასიის დაქუცმაცებულ პირობებში.

ზოგიერთი მეცნიერის მტკიცებათითქოს საქართველოს ტერიტორიული პრობლემა გამოწვეულია პირველი პრეზიდენტის მხოლოდ ნაციონალისტური მოწოდებების გამო, ჩემი აზრით, ნაწილობრივ შეესაბამება ჭეშმარიტებას.

საქართველო, როგორც უშუალო მეზობელი „ჩრდილო ატლანტიკური ორგანიზაციისა“ რუსეთიდან გამოყოფის შემთხვევაში ლოგიკურად მოექცეოდა მისი გავლენის ქვეშ, ძალთა ბალანსის პრინციპიდან გამომდინარე, რაც დღეს უკვე რეალობად არის ქცეული. ეს კი რუსეთის სამხედრო პოლიტიკურ იზოლაციას გამოიწვევს კავკასიის რეგიონში. რაც საბოლოოდ რუსეთის გა-

თიშვას და კონტროლის დაკარგვას ნიშნავს, როგორც აღმოსავლეთით ისე ევროპის მიმართულებით. ამ ლოგიკიდან გამომდინარე პირველი პრეზიდენტის ნაციონალისტური პოლიტიკა მხოლოდ საბაზად შეიძლება გამოყენებულიყო ტერიტორიული რღვევის საკითხში, რომ არა რუსეთის ფედერაცია აღნიშნული პრობლემა სხვა ფორმით მოახდენდა საკუთარი ნეგატივის აკუმულირებას, მაგრამ არა ტერიტორიულ რღვევაში. დღესაც არის განხილვები იმ დროინდელი პოლიტიკური ორიენტაციის შესახებ, რაც ხშირად აზრთა სხვადასხვაობით არის გამოხატული, ნაწილი მიიჩნევს, რომ საქართველოს უფრო ზომიერი პოლიტიკა, რომ ჰქონოდა რუსეთთან, ტერიტორიული საკითხი წესრიგში არ დადგებოდა, მეორე ნაწილს კი მიაჩნია, რომ იმ დროინდელ ხელისუფლებას არა კავკასიის სახლზე არამედ აქცენტები და მიმართულება დასავლეთზე უნდა მიემართა. მოდით განვიხილოთ მოკლედ დადგებოდა თუ არა იგივე შედეგი, რაც დადგა.

თუ საქართველო თანხმობას განაცხადებდა რუსეთთან უფრო რბილ ურთიერთობაზე მოახდენდა შესვლას „დსთ“-ში ასეთ შემთხვევაში დარტყმების სიმძლავრე განახევრდებოდა ან სულაც დროებით შეჩერდებოდა. მარგამ რუსეთი თავისი გრძელვადიანი ინტერესებიდან გამომდინარე მაინც მოახდენდა ოსეთის და აფხაზეთის კონფლიქტის გამწვავებას რათაA გრძელვადიან პერსპექტივაში უფრო მეტი გარანტიები მიეღო კავკასიის რეგიონზე კონტროლის თვალსაზრისით, რითაც მოახერხა წითელი ხაზის

გავლება დასავლეთისთვის. რუსეთისთვის ასევე მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს Aშავი ზღვის აუზის ქვეყნების კონტროლი მათ შორის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს თურქეთს რუსეთის უსაფრთხოების და ინტერესთა კვეთის საკითხში. აქედან გამომდინარე, მუდმივი კონფლიქტი საქართველოსა და კავკასიის სხვა სახელმწიფოებში პირდაპირ კავშირშია რუსეთის ეროვნულ ინტერესებში, რაც თავისთავად იწვევს ჩვენი ეროვნული ინტერესების ხელყოფას.

რაც შეეხება დასავლეთთან ურთიერთობის საკითხს, ტერიტორიული მთლიანობა მაინც დარტყმის ქვეშ აღმოჩნდებოდა, რადგან თუ გავიხსენებთ იმ დროინდელ მსოფლიო პოლიტიკას, კერძოდ, საბჭოთა კავშირით გამოწვეულ ქაოსს და გაურკვევლობას, ასევე დასავლეთის უცნობი ქვეყნებისადმი პოლიტიკურ სიფრთხილეს, ამას გარდა რუსეთს ღია აგრესია, რომ განეხორციელებინა მაინც ვერ გადაფარავდა იმ კმაყოფილებას რაც გამოწვეული იყო საბჭოთა კავშირის დაშლით, ამასთან ერთად რუსეთთან ხელახალ სამხედრო, პოლიტიკურ დაპირისპირებას თავს აარიდებდა აშშ, რადგან საქართველო როგორც საბჭოთა კავშირის ყოფილი რესპუბლიკა, რუსეთის ხელისუფლების მხრიდან მიიჩნეოდა, როგორც რუსეთის გავლენის სფეროში არსებული. აშშ-ის ჩარევა პირდაპირ ნიშნავდა რუსეთის ინტერესების წინააღმდეგ განხორციელებულ აგრესიას, რასაც შეიძლება სერიოზული გამწვავება მოჰყოლოდა რუსეთ-აშშ-ს შორის, რაც ამერიკის ინტერესებს არ შეესაბამებოდა. აქედან გამომდინარე, შე-

გვიძლია ვთქვათ, რომ საქართველოში განხორციელებული კონფლიქტები საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ გარდაუვალ საფრთხედ გადაიქცეოდა. რაც შეეხება დღევანდელ ვითარებას, კავკასია გადანაწილებულია რუსეთ-აშშ-ს შორის, ასევე გაყოფილია საქართველოც, რაც კონფლიქტის არა გაღობას და მოგვარებას, არამედ გაქვავებას იწვევს.

საქართველოს სწრაფვა დასავლურ სტრუქტურებში მნიშვნელოვან წყალგამყოფს ბადებს რუსეთთან ურთიერთობაში, რაც ვლინდება დამაბულობასა და ქართულ სახელმწიფოზე სერიოზული ეკონომიკური, პოლიტიკური და სამხედრო ზეწოლით, ასევე რუსეთში მყოფი ემიგრანტი ქართველების პერიოდული შევიწროვებით და დევნით.

დღეს საქართველო იმყოფება ორი სახელმწიფოს ინტერესთა კვეთის ერთ-ერთ წერტილში, სადაც ორივე მხარის დაინტერესებას ზურგს უმაგრებს ეკონომიკური ფაქტორი. აშშ-ის ინტერესებს თუ განვიხილავთ ნათლად დავინახავთ, რომ საქართველოს და მთლიანად კავკასიის რეგიონის მეშვეობით შესაძლებელი იქნება, აღმოსავლურ სახელმწიფოებზე კონტროლის დაწესება, ასევე რუსეთისთვის სამხედრო პოლიტიკური რკალის შემორტყმა, რომლის მიზანი არა რუსეთის დაშლა ან მასზე სამხედრო აგრესიის განხორციელებაა, არამედ მისი შებოჭვა და მუდმივი კონტროლის ქვეშ მოქცევაა. რადგან დაშლილი რუსეთი ვერ შეაჩერებს დასავლეთზე მომდინარე ჩინურ საფრთხეს, რომელიც ასე რიგად განიცდება როგორც ევროპის ქვეყნების ისე აშშ-

ის მხრიდანაც. დაშლილი რუსეთი ხელს შეუწყობს ჩინეთის მზარდ გაფართოებას, რაც საბოლოო ჯამში მთელი დასავლეთის პოლიტიკური მზის ჩასვენებით დასრულდება.

რაც შეეხება რუსეთის ინტერესებს საქართველოში შემოიფარგლება რეგიონალურ დონეზე, რუსეთის ამჟამინდელ ინტერესებში შედის, რომ არ დაუშვას დასავლეთის არსებულზე უფრო მეტი გაფართოება, რუსეთის ერთ-ერთ მთავარ მიზნად შეიძლება მივიჩნიოთ, აშშ-ის ყურადღების მოდუნებით პოზიციები გაიმყაროს რეგიონალურ დონეზე, შემდგომ დაიბრუნოს მსოფლიო დონეზე ძველი დიდება. აშშ-ის და რუსეთის საერთო თანამშრომლობის სფეროებად უნდა განვიხილოთ მუსლიმანთა ტერორისტული ორგანიზაციები, რომლებიც საფრთხეს უქმნიან ორივე სახელმწიფოს უსაფრთხოებას და პოლიტიკურ პრესტიჟს. ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობის სფეროებად უნდა განვიხილოთ ენერგორესურსები, მეტიც: რუსეთი ენერგო რესურსებს საკმაოდ კარგად იყენებს დასავლეთზე ზეწოლის განსახორციელებლად. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ რუსეთ-აშშ-ს შორის არსებობს, როგორც ინტერესთა კონფლიქტი, ასევე ინტერესთაათანხვედრა.

2008 წლის აგვისტოს ომი იყო არა რუსეთ საქართველოს დაპირისპირება, რაც ასე ხშირად ისმის ტელევიზიით და იწერება პრესის ფურცლებზე, არამედ რუსეთ-აშშ-ის ინტერესთა კონფლიქტი.

2008 წლის ომი შეგვიძლია განვიხილოთ ორი ცივილიზაციის შეხების და შეჯახების არეალად. ამე-

რიველი პოლიტოლოგი და მეცნიერი ს. ჰანთინგტონი მკაფიოდ აყალიბებს ცივილიზაციათა შეჯახების არეალებს და ცივილიზაციათა შეჯახების ბუნებას. ს. ჰანთინგტონი აღნიშნავს, რომ მომავალში მსოფლიო პოლიტიკის ცენტრალური ღერძი, როგორც ჩანს, იქნება კონფლიქტი „დასავლეთსა და დანარჩენებს შორის“ და არადასავლური ცივილიზაციების საპასუხო რეაქცია დასავლეთის ძლიერებასა და ღირებულებებზე (ს. ჰანთინგტონის ეს თეზისი კარგად დაადასტურა 2002 წლის 11 სექტემბერს ამერიკის შეერთებულ შტატებში მომხდარმა უძლიერესმა ტერაქტებმა, რომლებმაც ათასობით ადამიანის სიცოცხლე შეიწირა და რომელმაც დასაბამი მისცა მუსულმანური და ქრისტიანული ცივილიზაციების ფაქტიურ დაპირისპირებას. აგრეთვე რუსეთ-საქართველოს საომარმა კონფლიქტმა 2008 წელს).

რაც შეეხება 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებს ესეც შეიძლება მივიჩნიოთ რუსეთსა და აშშ-ს შორის ინტერესთა კონფლიქტად, რომელიც მკვეთრად გამოიკვეთა ორი პოლუსის სახით, რომლებიც აფიქსირებენ რუსეთის ან აშშ-ის მიმართ კეთილგანწყობას. პოლიტიკურ ძალთა ერთი ნაწილის მტკიცებით, თუ საქართველო უარს იტყვის „ჩრდილო ატლანტიკურ ალიანსში“ გაწევრიანებაზე და აშშ-სთან მჭიდრო ურთიერთობაზე, ამ შემთხვევაში შესაძლებელი გახდება ტერიტორიული პრობლემის გადაწყვეტა. ხოლო მეორე ნაწილის მტკიცებით „NATO“-ში და ევროკავშირში გაწევრიანება ტერიტორიული პრობლემის გადაჭრის წინაპირობაა. მოკლედ განვიხილოთ

ორივე ვარიანტი: ჩვენ უკვე აღვნიშნეთ აფხაზეთის და ცხინვალის საკითხი, გლობალურად კავკასიის საკითხი, რუსეთის ეროვნულ ინტერესებზე გადის და შეესაბამება ის მოლოდინი, რომ რუსეთთან კეთილმეზობლური პოლიტიკის შედეგად რუსეთი უარს იტყვის აფხაზეთზე და ცხინვალზე, ანუ რამდენად თანხვედრაშია ჩვენი და რუსეთის ინტერესები.

1. რუსეთისათვის ერთ-ერთ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან პუნქტს წარმოადგენს აფხაზეთი, როგორც შავ ზღვაზე გასასვლელი, ხოლო ეს უკანასკნელი კი საშუალებაა მთლიანად ევროპაზე კონტროლისათვის.
2. საქართველო როგორც დერეფანი აზიასა და ევროპას შორის, რუსეთისთვის ძალზე მნიშვნელოვანი პუნქტია, რადგან მის ხელში ექცევა სამართავი პულტი ევროპაზე და აზიაზე, აქ შეიძლება გაავერთიანოთ ენერჯო დაინტერესებაც.

რაც შეეხება საქართველოს ეროვნულ ინტერესებს:

1. სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველყოფა.
2. სახელმწიფო ინსტიტუტების განვითარება და დემოკრატიის განმტკიცება.
3. ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაცია.

შევადართ რუსეთ-საქართველოს ეროვნული ინტერესები და დავინახავთ მხოლოდ ერთ საკითხში სანახევროდ თანხვედრას, მაგრამ მაინც განვიხილოთ სათითაოდ.

1. ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა.

2. საქართველოს სრულფასოვანი დამოუკიდებლობის პირობებში რუსეთის ნებიდან გამომდინარე საქართველოს ტერიტორიული პრობლემის გადაწყვეტა რუსეთის ეროვნული ინტერესების გვერდის ავლით ფაქტობრივად შეუძლებელია, ნებისმიერი ხელისუფლება რუსეთის ფედერაციის სათავეში იმავე გეოპოლიტიკური კურსის გამგრძელებელი იქნება, წინააღმდეგ შემთხვევაში, საკუთარს ინტერესების წინააღმდეგ მოუწევს თამაში, აქედან გამომდინარე, რუსეთისგან დამოუკიდებელი საქართველოს ტერიტორიული პრობლემის მოგვარება, ორივე სახელმწიფოს ინტერესთა კონფლიქტს იწვევს.

3. სახელმწიფო ინსტიტუტების განვითარება და დემოკრატიის განმტკიცებაში. მართალია საქართველოში, ისევე როგორც რუსეთში ხელისუფლების ლეგიტიმაციის პრობლემა არსებობს, ასევე პრობლემებია სამოქალაქო საზოგადოების და ადამიანის უფლებების შელახვის მხრივ. რუსეთს არანაირი მაგალითის მიცემა არ შეუძლია დემოკრატიულობის კუთხით საქართველოსთვის, აქედან გამომდინარე, ინტერესთა თანხვედრა ამ საკითხშიც არ შეიძლება.

4. ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაცია.

პოლიტიკურ ძალთა ერთი ნაწილი ამტკიცებს, რომ „NATO“-ში გაწევრიანება ტერიტორიული აღდგენის საკითხს აყენებს დარტყმის ქვეშ და რუსეთი ურთიერთობას დაათბობს „NATO“-ზე უარის თქმის შემთხვევაში, ხოლო აღნიშნული ძალები

თანხმდებიან საქართველოს ევროპულ ოჯახში ინტეგრაციაზე.

რუსეთის ინტერესებიდან, რომ ვიხელმძღვანელოთ „NATO“ პირდაპირ ხელის შემშლელს წარმოადგენს, რადგან შემოჭრილია რუსეთის გავლენის სფეროში და აფერხებს მის გაფართოებას ევრაზიული კავშირის კუთხით. თუ რუსეთი შეძლებს, თავისი ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე, დათმობაზე წაიყვანოს საქართველო „NATO“-ზე უარის თქმის გზით, მაშინ პრობლემას, რატომ არ წარმოადგენს ევროკავშირი, რომელიც თავიდან ბოლომდე დასავლური ორგანიზაციაა. საქართველოს ევროკავშირში გაერთიანების შემთხვევაში ევროსტანდარტების ფარგლებში სრულფასოვანი დამოუკიდებელი სახელმწიფო იქნება, რაც ვთვლი, რომ ხელს არ უნდა აძლევდეს რუსეთს იმ შემთხვევაში თუ რუსეთი თამაშგარე მდგომარეობაში იქნება. დღევანდელი გადმოსახედიდან რუსეთის ფედერაციას თავისი გეოპოლიტიკური მიზნებიდან გამომდინარე ხელს აძლევს საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანება, რადგან შემდგომში საკუთარი თავის ევროკავშირში ინტეგრაცია გააიოლოს, ასეთ შემთხვევაში ძნელი სათქმელია რა ფასი ექნება ევროკავშირს და შემდგომ უკვე ევრაზიულ კავშირს საქართველოს ეროვნული ინტერესების დაცვის კუთხით. ძალები, რომლებიც რუსეთის ფედერაციას ირჩევენ პოლიტიკურ ვექტორად წინააღმდეგობაში მოდიან საქართველოს ეროვნულ ინტერესებთან, მაგრამ თუ დავუშვებთ იმას, რომ ამ ძალებს სჯერათ საკუთარი მოწოდების მაშინ საქმე გვაქვს თავის მოტყუებასთან.

რაც შეეხება მეორე ძალის მიმართულულებას ევროკავშირში და „NATO“-ში ინტეგრაცია, რამდენად შეესაბამება საქართველოს ეროვნულ ინტერესებს, შეგვიძლია მოკლე შეფასება წარმოვადგინოთ.

1. „NATO“-ში და ევროკავშირში ინტეგრაცია.
2. დემოკრატიზაცია.
3. ენერგოუსაფრთხოება.
4. ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა.

„NATO“-ში ინტეგრაცია საქართველოს უსაფრთხოების გარანტიებს სერიოზულად გაზრდის და განამტკიცებს, ასევე ქვეყნის დამოუკიდებლობაზე დოვლათზე კულტურულ, საგანმანათლებლო დონეზე უაღრესად პოზიტიურად აისახება ნატოსა და ევროკავშირში გაწევრიანება. რაც შეეხება საქართველოს ენერგოუსაფრთხოების გარანტიებს ნატოში ინტეგრაცია ამ კუთხითაც პოზიტიურად შეგვიძლია მივიჩნიოთ, რაც ჰარმონიაში მოდის ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებასთან.

საქართველოს დემოკრატიზაციის გზაზე „NATO“-სა და ევროკავშირში გაწევრიანება სრულფასოვნად დაეხმარება საქართველოს დემოკრატის დაჩქარებული ტემპებით გაუთანაბრდეს აღმოსავლეთ ევროპის დემოკრატიებს.

სამი ფაქტორი სრულ ჰარმონიაში მოდის საქართველოს ეროვნულ ინტერესებთან, გარდა მე-4 ფაქტორისა, რომელიც ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას განეკუთვნება. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, წინააღმდეგობრივი მომენტია „NATO“-ში გაწევრიანება, აღნიშნული ძალის მიმხრობის შემთხვევაში ტერიტორიული პრობლემის გადაწყვეტა ჩიხურ მდგო-

მარეობაში იმყოფება, რადგან, დღევანდელი ფონიდან გამომდინარე, გამოფილია ორ ძალას – რუსეთსა და აშშ-ს შორის.

ამ ორი მიმართულებიდან ყველაზე გონივრული იქნება სწრაფვა დასავლურ სტრუქტურებში, ხოლო ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხი კარგად მომწიფების შედეგად გადაწყდება, საქართველოს ტერიტორიული საკითხი ვერასოდეს გადაიჭრება თუ რუსეთი, როგორც პოლიტიკური მოთამაშე, კავკასიაში დარჩება. აქვე დავძენ, რუსული კურსის აღება ყოვლად დაუშვებელია ეკონომიკური მოტივების დაშვებით, მაგალითად, როგორცაა საქართველოს რუსეთის ბაზარზე დაბრუნება, ეს პრობლემა პოლიტიკური კურსის შეუცვლელადაც შეიძლება მოგვარდეს სწორი დიპლომატიური და საერთაშორისო ბერკეტების გზით.

დასავლური კურსი, როგორც უკვე აღვნიშნე ხანგრძლივ და შრომატევად საქმეს მოითხოვს, რაც თავის თავში გულისხმობს აფხაზებთან და ოსებთან ახლო ურთიერთობის დაწყებას, ახალი ფსიქოსოციალური ბირთვის შექმნას, რაც მოიზიდავს და ჩართავს ოს და აფხაზ მოქალაქეებს, თუ კავშირი გაწყდება თაობებს შორის, მაშინ საბოლოოდ კითხვის ნიშნის ქვეშ დადგება საქართველოს გაერთიანების საკითხი. ამიტომ მეტი დიალოგია საჭირო, ოს, აფხაზ და ქართველ ახალგაზრდებს შორის. თაობათა სულიერ, კულტურულ და საგანმანათლებლო დონეზე ჩართულობა მომავალში გამოიწვევს დიდ სულიერ აფეთქებებს, რაც დაგვირგვინდება ტერიტორიული მთლიანობის აღდგენით.



**GIORGI POPIASHVILI**

**TERRITORIAL INTEGRITY OF GEORGIA AT THE INTERSECTION OF  
POLITICAL ORIENTATION**

Summary

In the article are discussed the questions of political orientation of Georgia, also there are shortly given the interests of the USA and Russia in the Caucasian region, particularly Georgian geopolitical location and question of territorial integrity; Intersection of interests of Russia and the west towards the Caucasian region, particularly Georgia.

August war in 2008, as the conflict between two civilizations.

In the article is discussed a question of orientation of the parties participating in the parliament elections in 2012, also questions of restoration of territorial integrity of Georgia, prospects and challenges.

**გამოყენებული ლიტერატურა**

1. საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია
2. კაციტაძე კ., გეოპოლიტიკური და გეოსტრატეგიული ტრანსფორმაცია ევროპაში. თბ., 2001.
3. ჟორჟოლიანი გ., ბერიკაშვილი თ., მუსხელიშვილი მ. დემოკრატიზაცია. საზოგადოებები გარდამავალ პერიოდში: დემოკრატიზაცია თანამედროვე სამყაროში. თბ., 2001.
4. სანიკიძე გ., კილურაძე ნ. თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობები. თბ., 2001.
5. დავითაშვილი ზ., ნაციონალიზმი და გლობალიზაცია. თბ., 2001.
6. ჩიქოვანი ნ., რელიგია და კულტურა სამხრეთ კავკასიაში. თბ., 2006.
7. <http://www.polity.ge/georgia/politika/2334-saqartvelos-politikuri-orientacia-carsuli-da-tanamedroveoba.html>





## თარგმნის სტილისტიკის კვლევის საგანი

სტილისტიკა და ტექსტის ლინგვისტიკა ერთმანეთზე გადაჯაჭვული დისციპლინებია. მათი კავშირის საკმაოდ მჭიდროა და ძნელია თითოეული მათგანის საკვლევი ობიექტების საბოლოო გამოიჯენა. სტილისტიკის შესახებ ცნობებს ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში ვხვდებით. მას შემდეგ მიმდინარეობს ამ დისციპლინის განვითარება და გამდიდრება ახალი თეორიებითა და მეთოდებით. განვითარების ადრეულ ეტაპზე სტილისტიკის ყურადღებას იმსახურებდა ორატორთა ხელოვნება, მსმენელთა წინაშე მონოლოგიური მეტყველების გამოხატვის ხერხი და საშუალება. სტილისტიკის საზღვრების გაფართოებასთან ერთად ფართოვდება მისი კვლევის საგანიც. XX საუკუნის 50-იანი წლებიდან სტილისტიკის კვლევა ახალ ფაზაში გადადის. სტილი აღარ მიეწერება მხოლოდ ლიტერატურულ ტექსტებს, არამედ კვლევის საგანი ხდება ყოველგვარი ენობრივი გამოხატულება, იქნება ეს ზეპირი თუ წერილობით ფიქსირებული, თუ სტილისტიკის განვითარების საწყის ეტაპზე სტილის ანალიზი მხოლოდ სიტყვას ან წინადადებას მოიცავდა, ახალმა მიდგომამ სტილი ტექსტს დაუკავშირა და მის თვისებად წარმოაჩინა, რომლის გამოვლენა მხო-

ლოდ და მხოლოდ ტექსტებშია შესაძლებელი.

თარგმნის კერძო თეორია, ეს იგივე შეპირისპირებითი სტილისტიკაა, რომლის მიზანია ორი სხვადასხვა ენის შეპირისპირება ლინგვისტიკისტიკის დონეზე. მრავალწლიანმა მთარგმნელობითმა გამოცდილებამ დღის წესრიგში დააყენა უცხო და მშობლიური ენის შესწავლა შეპირისპირებით პლანში. გასაკვირი არაა, რომ თარგმნის პროცესში არსებული წყვილი ენის ერთმანეთთან შეხვედრისას წარმოქმნილი სიმწელებები თავისებურია და მათი კვლევა საკმაოდ ფართოა, იგი მხოლოდ ზოგადი თეორიის მონაცემებით ვერ გადაიჭრება.

თავდაპირველად სტილისტიკის შესწავლის საგანი იყო ცალკეული სიტყვებისა და გამოთქმების სტილი, სტილისტიკური ფუნქციები, ხოლო XX საუკუნის 20-იანი წლებიდან, როდესაც ყურადღება გამახვილდა თავად ტექსტზე, გამოიკვეთა სტილის კვლევის ახალი მიმართულებები. განვითარების ამ ეტაპზე კვლევის ცენტრში ლიტერატურული ტექსტები მოექცა. მიმდინარეობდა მსჯელობა მხატვრულ სტილზე და მის რაობაზე. ლიტერატურათმცოდნეებმა წინა პლანზე წამოსწიეს მხატვრუ-

ლი ნაწარმოების ესთეტიკური მხარეები. ინტერპრეტაცია იყო შინაარსზე მიმართული და ფორმაზე ორიენტირებული. ამ დროიდან მსჯელობენ სტილზე, როგორც ტექსტის თვისებაზე.

სტილისტიკა მრავალპლანიანი დისციპლინაა, რომელიც შეისწავლის ენობრივ საშუალებებს. ის იკვლევს მეტყველების სხვადასხვა სახეობების სტრუქტურასა და ფუნქციონირებას, მათ შორის კანონზომიერებათა დადგენის პრინციპებს, ენობრივ საშუალებათა აქტუალიზაციას, ენობრივი ნორმების, ცოდნისა და წესების რეალიზაციას.

შეპირისპირებითი სტილისტიკის არსებობა არავითარ შემთხვევაში არ ხელყოფს თარგმნის შემოქმედებითობის იდეას, ეს არის თარგმნის ტექნიკის დასაუფლებლად მოწოდებული განმტოება, რომელიც, უპირველეს ყოვლისა, ენობრივი ინტერფერენციის ფაქტორის გააზრებასა და დაძლევის ემსახურება.

რაც შეეხება თარგმანის სტილისტური თეორიის დამოკიდებულებას სხვა ენათმეცნიერულ დისციპლინებთან, როგორცაა: გრამატიკა, ლინგვისტური თეორია და ლექსიკოლოგია ენათმეცნიერი ა. დ. შვეიცერი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ხსენებული დისციპლინების შესწავლას შეპირისპირებით პლანში. ამასთანავე, აქ მთავარია, შეპირისპირებისას რომელი ენა გამოდის ენაეტალონის როლში. იგი მიიჩნევს, რომ გარკვეულ დონემდე შეპირისპირებითი სტილისტიკის მიზნები და ინტერესები ემთხვევა თარგმანის თეორიის მიზნებს და ეს უკანასკნელი კი შესაძლოა შეპირისპირებითი

ენათმეცნიერების განმტოებად ჩაითვალოს.

სტილისტური ფაქტორები ორ კატეგორიად იყოფა. პირველ კატეგორიაში შედის „მთარგმნელობითი სტრატეგიის“ განმსაზღვრელი ფაქტორები, ესაა ფუნქციური დახასიათებანი, რომლებიც დაკავშირებულნი არიან ენობრივი საშუალებების გამოყენებასთან კომუნიკაციური აქტში და მოიცავენ ექსპრესიულ, პოეტურ და სხვა მსგავს ფუნქციებს; თარგმნის მეორე სტილისტური ასპექტი ენის სტილისტურ განშრეებას უკავშირდება, რაშიც იგულისხმება ენის ქვესისტემები, რომლებიც მიეკუთვნებიან მათი გამოყენების სხვადასხვა სფეროს და ხასიათდებიან როგორც ამ ქვესისტემისთვის დამახასიათებელი თავისებურებები.

ენათმეცნიერი ელიზე რიზელი ერთმანეთისაგან განასხვავებს მიკრო და მაკროსტილისტიკის სფეროებს. მიკროსტილისტიკა მცირე ენობრივი ერთეულების სტილისტიკურ დახასიათებებს გვთავაზობს, მაკროსტილისტიკა კი კვლევის უფრო ფართო სპექტრს მოიცავს, კერძოდ, იგი ტექსტზეა ორიენტირებული. ზოგადად სტილისტიკის კვლევის საგანს სამი ობიექტი წარმოადგენს – ნორმატიული სტილი, ენის გამომსახველობითი პოტენციალი და მხატვრული ლიტერატურის სტილისტური თავისებურებანი. შესაბამისად, გამოიყოფა სტილისტიკის სამი მიმართულება: პრესკრიფციული სტილისტიკა, დეკრიფციული სტილისტიკა და მხატვრული ლიტერატურის სტილისტიკა. პირველი აკანონებს ენობრივ გამომსახველობით ნორმებს, მეორე აღწერს ენის გამომსახველობით პოტენციებს. მესამე შეისწავლის ლი-

ტერატურული სკოლების და ეპოქების სტილისტურ თავისებურებებს და ადგენს მხატვრული ნაწარმოების სტილისტიკური ინტერპრეტაციის მეთოდებს.

ენის სტილისტურ დიფერენციაციას, უპირველეს ყოვლისა, განაპირობებს თანამედროვე საზოგადოებაში ადამიანთა ურთიერთობების მრავალმხრივობა. ძირითად სტილისტურ ოპოზიციას ქმნიან სტილისტურად ნეიტრალური და სტილისტურად შეფერილი ანუ არანეიტრალური ენობრივი საშუალებები. აღსანიშნავია, რომ სტილისტურად ნეიტრალური ენობრივი საშუალებების იხმარება ზოგადად, მეტყველების ნებისმიერ სტილსა და ნებისმიერი სახის კომუნიკაციურ სიტუაციაში.

საერთოდ, ლექსიკური ერთეულებისაგან განსხვავებით გრამატიკულ ფორმებს იშვიათად აქვთ დამოუკიდებელი სტილისტური ელფერი. გრამატიკული ფორმების სტილისტურ პოტენციასა და მათ როლს ენის ზოგადსტილისტური სახის შექმნაში ძირითადად განსაზღვრავს ხმარების სიხშირე და, აქედან გამომდინარე, ორი ენის შეპირისპირებისას მათ შორის სტილისტური განსხვავებების დადგენაში ერთ-ერთი გადამწყვეტი როლი ცალკეული გრამატიკული ფორმების კვანტიტატურ მაჩვენებელს უნდა მივანიჭოთ.

შემეცნებითია თუნდაც თარგმნის დაწყებამდე და მით უმეტეს, თარგმნის შეფასებისას მხატვრული ნაწარმოების ყოველგვარი ანალიზი, და მათ შორის სტილისტური ანალიზიც, რომელიც მრავალ პირობითობას შეიცავს, კერძოდ, ანალიზისას ვერ ავცდებით ნაწარმოების დანაწევრებას ჩვენთვის საინტერესო რომელიმე

ნიშნით. მართალია, ანალიზს საფუძვლად უდევს მთელი ნაწარმოების ზოგადი სტილური ნიშნების კვლევა, მისგან მოგვრილი დაუნაწევრებელი ემოციური და ესთეტიკური შთაბეჭდილება, საერთო ხმოვანება და ატმოსფერო, მაგრამ ანალიზისას აუცილოლებელია გამოიყოს ე.წ. საკვლევი ზონები და მსჯელობამ მათ ფარგლებში მეტ-ნაკლებად კონკრეტული ხასიათი შეიძინოს.

უნდა აღინიშნოს, რომ ენობრივ ინტერფერენციას ორი ასპექტი აქვს: იგი, ერთის მხრივ, „აიძულებს“ მთარგმნელს უცხო ფორმები გადმოიტანოს მშობლიურ ენაში და მეორეს მხრივ „ავიწყებს“ მშობლიურ ენაში ზოგიერთი ისეთი ფორმის არსებობას, რომელსაც არ შეიძლება ექვივალენტი ჰქონდეს უცხო ენაში და მნიშვნელოვანი კი იყოს მშობლიური ენის ზოგადსტილისტური სახისათვის. განსხვავებული ფორმების გარდა ორ შესაპირისპირებელ ენაში შეიძლება არსებობდეს იდენტური ფორმებიც, მაგრამ იდენტურობა არ გასცდეს გრამატიკის ფარგლებს, ე.ი. ეს ფორმები შეიძლება იდენტური იყვნენ გრამატიკის, მაგრამ არაიდენტური აღმოჩნდნენ სტილისტიკის დონეზე.

თარგმნელ ნაწარმოებებში ჩვენ შეგვიძლია ვიპოვოთ განსხვავებული სტილისტური გამომხატველობითი საშუალებები და სტილისტური ხერხები. გამომხატველობითი საშუალებები ეხმარება ავტორს შექმნას თავისი ელემენტური სტილი, და ენას მიანიჭოს მეტი ელფერი და მხატვრულობა. იგი გამონათქვამებს მეტ მუსიკალურობას ანიჭებს.

სტილისტური ანალიზი პრაქტიკული კრიტიკის ტრადიციული ფორ-

მეზისგან განსხვავებით არ არის და-  
ინტერესებული შექმნას საკვლევო  
ტექსტის ახალი და განსხვავებული,  
გასაოცარი ინტერპრეტაცია. უფრო  
მეტად, მისი მთავარი მიზანია გან-  
მარტოს ლინგვისტური საშუალებე-  
ბით როგორც ხდება ტექსტის სრულ-  
ყოფილი გაგება და თუ რამდენად  
სჭირდება მკითხველს კავშირი ჰქონ-  
დეს ასეთ ლინგვისტურ ორგანიზაცი-  
ებთან, რათა აზრი სრულყოფილად

იქნეს გაგებული. ხშირად, ტექსტის  
ასეთი დაწვრილებითი კვლევა ააშკა-  
რავებს ინტერპრეტაციის ახალ ასპექ-  
ტებს და ეხმარება მკითხველს ტექს-  
ტის სრულყოფილად გაგებაში. მაგ-  
რამ სტილისტიკის მთავარი მიზანია  
აჩვენოს, თუ როგორ მიიღწევა ინ-  
ტერპრეტაცია და, აქედან გამომდინა-  
რე, უზრუნველყოს არსებული ტექს-  
ტის სრულყოფილი გაგება.

### **SOPHIKO PETELAVA**

#### **RESEARCH OBJECT OF TRANSLATION STYLISTICS**

##### Summary

This paper discusses research object of translation stylistics and stylistics characteristics related with it. Stylistics is multi – Formed discipline, which studies linguistics means. It investigates structure and functionality of variety kind of speech, regulatory principle among them, actualization of linguistics means, realization of linguistics abroad. Stylistics research has turned into new phase since 1950 s. In initial stage of stylistics development style analysis involved only a word or a sentence but new approach connected style with text which demonstration is possible only in the texts.

#### **გამოყენებული ლიტერატურა**

1. ფანჯიკიძე დ., „თარგმანის ახალი თეორიები და სტილის ეკვივალან-ტურობის პრობლემა“, თბ., 1995.
2. ფანჯიკიძე დ., „თარგმანის თეორია და პრაქტიკა“, თბ., 1988.
3. გაჩეჩილაძე გ., „მხატვრული თარგმანის თეორიის საკითხები“, თბ., 1959.
4. საყვარელიძე ნ., „თარგმანის თეორიის საკითხები“, თბ., 2001.
5. Translation: theory and practice, tension and interdependence, Larson, Mildred L., editor, 1991
6. Theories of translation by Rainer Schulte, John Biguenet.





## პოეტიკის ზოგიერთი პრობლემა

ჩვენი კვლევითი მიზნებისათვის მნიშვნელოვანია ორი შემდეგი მომენტი: ა) მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ყურადღების ცენტრში იმყოფება სამეტყველო-კომპოზიციური ფორმა „დახასიათება“ როგორც პერსონაჟის პოეტიკის განუყოფელი კომპონენტი, დახასიათება როგორც მაქსიმალური სიფართოვით აღქმული ენობრივი უნივერსალთა შინაარსობრივად და ფუნქციურად აღემატება თვით „დახასიათებას“ როგორც ტექსტობრივ ერთეულს. როგორც ვიცით, პერსონაჟი შეიძლება დახასიათდეს არა მხოლოდ ამ სამეტყველო-კომპოზიციური ფორმის საშუალებით, არამედ ისეთი „უფრო დაბალი“ დონეობრივი ერთეულების საშუალებითაც, როგორცაა წინადადება და წინადადების ცალკე აღებული წევრიც კი. დავრწმუნდით იმაშიც, რომ პერსონაჟის დახასიათება იმ შემთხვევაში, თუ იგი სიტუაციურ ხასიათს ატარებს შეიძლება – რა თქმა უნდა, ისევ და ისევ ავტორისეული მეტყველების ფარგლებში მოხდეს – არა მხოლოდ განსაზღვრების როგორც წინადადების წევრის არამედ გარემოების საშუალებითაც; ბ) რომ დახასიათება როგორც ფართოდ აღქმული ენობრივი უნივერსალთა ვერ „ეტევა“ ვერცერთი ცალკე აღებული ერთეულის ფარგლებში – მიუთითებს, ჩვე-

ნის აზრით, იმაზეც, რომ საჭიროა, ალბათ, კიდევ უფრო გაფართოვდეს დახასიათების როგორც კონცეპტის ფარგლებში უკვე იმ ლოგოკიდან გამომდინარე, რომელიც ეფუძნება პოეტიკის ჩვენს მიერ უკვე ხაზგასმულ არსს: პოეტიკა როგორც მხატვრულობის დამფუძნებელ ენობრივ საშუალებათა სისტემა ხასიათდება შემდეგი ნიშნით: მართალია, შეიძლება და აუცილებელიცაა ვილაპარაკოთ მხატვრული ტექსტის (ჩვენს შემთხვევაში ნარატივის) განსხვავებულ ასპექტთა თუ კომპონენტთა პოეტიკაზე (სიუჟეტის პოეტიკა, პერსონაჟის პოეტიკა, მხატვრული დროისა თუ სივრცის პოეტიკა და ა.შ.), მაგრამ ასევე დაუშვებელია იმის დავიწყებაც, რომ ნებისმიერი მხატვრული ნარატივის პოეტიკა შინაგანად ერთიანია და მისი კონცეპტუალური დიფერენციაცია შეიძლება ატარდეს მხოლოდ და მხოლოდ პირობით ხასიათს. ეს კი ნიშნავს შემდეგს: მართალია, ჩვენი ძირითადი მიზანია ვიკვლიოთ ცვაიგისეული ნარატიული პოეტიკის ისეთი დიფერენციალური ასპექტი, როგორცაა პერსონაჟის პოეტიკა „დახასიათებასთან“ როგორც სამეტყველო-კომპოზიციურ ფორმასთან კავშირში, მაგრამ ამავე დროს ჩვენს მუდმივ კონცეპტუალურ საყრდენს უნდა წარმოადგენდეს ნა-

რატული პოეტიკა ამ ცნების ზემოთ ნაგულისხმევი სრული გაგებით მაგრამ იმისთვის, რომ ჩვენი ეს თეზისი არ დარჩეს დეკლარაციად, აუცილებლად მიგვაჩნია უკვე კვლევის ამ ეტაპზე კონცეპტუალური სახით წარმოვადგინოთ ნარატული პოეტიკასთან ორგანულად დაკავშირებულ ფუძემდებელ ცნებათა დეფინიციები. ვგულისხმობთ პირველ რიგში ისეთ ცნებებს, როგორცაა სიუჟეტი, კომპოზიცია, პერსონაჟი და პერსონაჟთა სისტემა. ვფიქრობთ, ამ ცნებათა დეფინიციებზე დაყრდნობა საშუალებას მოგვცემს რამდენადმე მაინც მივუახლოვდეთ ნარატული პოეტიკის იმ სრულ ხედვას, რომელიც თავის მხრივ გახდება ჩვენი უფრო კონკრეტული კვლევითი მიზნის საყრდენი. თუ გვსურს ბოლომდე გასაგები იყოს ის ფუნქციური დატვირთვა რომელიც შეიძლება შეიძინოს „დახასიათებამ“ როგორც სამეტყველო-კომპოზიციურმა ფორმამ ავტორისეული მეტყველების ფარგლებში, აუცილებელია მოვაქციოთ ეს ფუნქციური დატვირთვა იმ ფართო პოეტიკურ კონტექსტში, რომელსაც გულისხმობს თვით მხატვრული ნარატივის შინაგანი ლოგიკა. აქედან გამომდინარე, განვსაზღვროთ ზემოთ დასახელებული ცნებები თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობით თეორიაზე დაყრდნობით და ამავე დროს დავისახოთ შემდეგი ამოცანაც: ყველა ცალკეულ შემთხვევაში გამოვთქვათ იმის ვარაუდიც, თუ რა კავშირში უნდა იმყოფებოდეს ამგვარად განსაზღვრული ესა თუ ის ცნება ჩვენს კვლევით მიზანთან.

ვფიქრობთ, რომ პოეტიკის როგორც კონცეპტის სრულად გაგებას ყველაზე უფრო საფუძვლიანად შე-

იძლება „მოემსახუროს“ ისეთი ლიტერატურათმცოდნეობითი კატეგორია, როგორცაა სიუჟეტი. რა თქმა უნდა, ავტორს (მთხრობელს) შეუძლია საკუთარი მეტყველების ფარგლებში დაახასიათოს პერსონაჟი, მაგრამ ამგვარი დახასიათება დაკარგავს აზრს, თუ იგი არ იქნება გამართლებული პერსონაჟის უშუალო მონაწილეობით სიუჟეტის განვითარებაში. ამიტომაც შევეცადოთ არა მხოლოდ განვსაზღვროთ სიუჟეტი როგორც ნარატული ფენომენი, არამედ მოვხაზოთ კიდევ – თუნდაც უაღრესად სქემატურად – იმის კონტურები, რასაც შეიძლება ეწოდოს „სიუჟეტის ტიპოლოგია“.

პერსონაჟის პოეტიკის ჩვენეული კვლევა საჭიროებს ამგვარ ფონს, ხაზი გავუსვათ ნარატული პოეტიკის ორ ასპექტს – სიუჟეტთან და პერსონაჟთან დაკავშირებულ ასპექტთა – შინაგან ურთიერთკავშირს. მაგრამ ამ შემთხვევაში გვსურს ხაზი გავუსვათ იმასაც, რომ ჩვენს კვლევით მიზანთან უშუალოდ დაკავშირებულ შემდეგ გარემოებას: თავიდანვე (უკვე შესავლიდან დაწყებული) ვლაპარაკობთ პერსონაჟის პოეტიკაზე ამ პოეტიკის მხოლოდ ლინგვისტური ასპექტის აქცენტრებით: ამგვარი აქცენტი მთელი შესაძლო რელიეფურობით გამოიკვეთა ორი კვლევითი მომენტით – იმით, რომ ხაზგასმული გვაქვს პერსონაჟის დახასიათებათა ავტორისეულ მეტყველებაში და იმითაც, რომ ხაზგასმული გვაქვს „დახასიათების“ როგორც სამეტყველო-კომპოზიციური ფორმის და (მისი ფუნქციური ექვივალენტების – წინადადებისა და წინადადების წევრის) როლი ამგვარი დახასიათების ფარგლებში. მაგრამ არც ის უნდა

დაგვაფიქვადეს, რომ ა) ჩვენი კვლევა ატარებს ინტერდისციპლინარულ ხასიათს და ხორციელდება ორი დისციპლინის, სახელდობრ ლინგვისტიკისა და ლიტერატურათმცოდნეობის – ზღვარზე და ბ) თვით პერსონაჟის ცნება განეკუთვნება არა ლინგვისტურ არამედ ლიტერათმცოდნეობით ცნებათა სისტემას. ამიტომ აუცილებლად მიგვაჩნია – თუ გვსურს ვიყოთ თანმიმდევრული ჩვენი ინტერდისციპლინარული მეთოდოლოგიის განხორციელებაში – რომ შევვხოთ პერსონაჟის ცნების და ამ ცნებასთან დაკავშირებულ სხვა შესაძლო მომენტთა – საკუთრივ ლიტერატურათმცოდნეობით ასპექტებსაც (ის ფაქტი, რომ ჩვენ მიერ სიუჟეტის პოეტიკასთან დაკავშირებულ ასპექტთა განხილვამ წინ გაუსწრო პერსონაჟის ცნებასთან დაკავშირებულ მომენტთა განხილვას და ეს მოხდა მიუხედავად იმისა, რომ თვით ჩვენი ნაშრომის სათაურში აქცენტირებულია პერსონაჟის და არა სიუჟეტის თემა, განპირობებულია იმ საყოველთაოდ ცნობილი ფაქტით, რომ სიუჟეტისა და პერსონაჟის ურთიერთმიმართების განხილვისას ლოგიკური პრიმატი უნდა მიენიჭოს სიუჟეტს და არა პირუკუ).

და რა ითქმის პერსონაჟის შეახებ საკუთრივ ლიტერატურათმცოდნეობითი თვალსაზრისით? შევეცადოთ გავცეთ პასუხი ამ კითხვაზე და პასუხის გაცემისას ხაზი გავუსვათ სწორედ პერსონაჟთა დაკავშირებულ იმ მომენტებს, რომლებიც ა) განსაკუთრებით საინტერესონი არიან ინტერდისციპლინარული თვალსაზრისით და, აქედან გამომდინარე, უკავშირდებიან ჩვენს მეთოდოლოგიურ პოზიციას; ბ) განსაკუთრებით მნიშვნე-

ლოვანა თვით ჩვენ მიერ გასაანალიზებელი ნარატივის სტრუქტურულიდან გამომდინარე.

თუ დავყვრდებით პერსონაჟის როგორც ცნების სტატუსს თვით ლიტერატურათმცოდნეობით თეორიაში და მისი განხილვის ხასიათს ხსენებული თეორიის ფარგლებში, მაშინ პერსონაჟზე უნდა ვილაპარაკოთ შემდეგი სამი ძირითადი თვალსაზრისიდან გამომდინარე: ა) ჯერ შევხვით ამ ცნებას იმისგან დამოუკიდებლად, ერთი პერსონაჟი მოქმედებს მოცემულ სიუჟეტში თუ საქმე გვაქვს პერსონაჟთა სისტემასთან, ანუ ურთიერთზემოქმედების პროცესში ჩართულ ორ ან ორზე მეტ პერსონაჟთან; ბ) მეორე თვალსაზრისის თანახმად შევხვით უკვე პერსონაჟთა სისტემის ცნებას; გ) მესამე ასპექტში უნდა ვიგულისხმოთ ის, რასაც ლიტერატურათმცოდნეობაში ეწოდება „პერსონაჟის ქცევა“. მიგვაჩნია, რომ სამივე ეს თვალსაზრისი ერთნაირად მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინებით, თუ როგორ სიუჟეტთან გვაქვს საქმე მოცემულ კონკრეტულ ნარატივში. თუ მხედველობაში მივიღებთ გასაანალიზებელი ცვაიგისეული ნარატივის სიუჟეტს, რომლის ტიპოლოგიურ სპეციფიკაზე უკვე გვქონდა მსჯელობა, მაშინ გასაგები იქნება, რომ ჩვენთვის მნიშვნელოვანია პერსონაჟის ცნების განხილვის სამივე ზემოთ ნახსენები ასპექტი (პერსონაჟის როგორც „ავტონომიური“ ნარატიული ფიგურის ცნება ჩვენთვის მნიშვნელოვანია, იმიტომ, რომ, როგორც ზემოთ უკვე ითქვა, ცვაიგთან საქმე გვაქვს ისეთ კონცენტრულ სიუჟეტთან, რომლის კონცენტრულობას სტრუქტურულად ემსახურება თვით მისი კონცენტრულობით ნა-



გულისხმევი ქრონიკალურობა). განვიხილოთ თანამიმდევრულად პერსონაჟთან როგორც ცნებასთან დაკავშირებული სამივე ეს ასპექტი:

**პერსონაჟი როგორც ლიტერატურათმცოდნეობითი კატეგორია.** ლიტერატურათმცოდნეობაში პერსონაჟი ზოგადად განისაზღვრება როგორც „ნაწარმოებში მოცემული მოქმედების, განცდის, ან გამონათქვამის სუბიექტი“. ციტირებული სტატიის ავტორი ხაზს უსვამს პერსონაჟთან დაკავშირებულ ანთროპოლოგიურ (ანუ ადამიანისმცოდნეობით) შინაარსობრივ მომენტს: ლიტერატურის პერსონაჟისეულ სფეროს წარმოადგენენ არა მხოლოდ იზორილებული ინდივიდები, არამედ კრებითი გმირები, და შემდეგ: რაც არ უნდა ფართოდ გავიგოთ მხატვრული ლიტერატურის შემეცნებითი საგანი, ამ საგნის ცენტრს წარმოადგენენ ადამიანები, როგორც სოციალური არსებები“ და ბოლოს: ავტორის აზრით, მხატვრულ ლიტერატურაში პერსონაჟთა არსისა და ხასიათის განსაზღვრისას „ფუძემდებელი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ როგორია პიროვნების ავტორისეული კონცეფცია“. როგორც ზოგადად, ისე ჩვენი კვლევითი მიზნებისთვის მნიშვნელოვანია მიმართება ისეთ ორ ცნებას შორის, როგორიცაა, ერთის მხრივ, პერსონაჟი და მეორეს მხრივ ხასიათი. ციტირებული სტატიის ავტორი ხაზს უსვამს ამ ორი ცნების კონცეპტუალურ სიახლოვეს, მაგრამ ამავე დროს მას არანაკლებ მნიშვნელოვნად მიაჩნია მათ შორის არსებული განსხვავებაც: „პერსონაჟი“ და „ხასიათი“ წარმოადგენს ურთიერთდაკავშირებულ მაგრამ არა იდენტურ ცნებებს ამ ზოგად მსჯელობას იგი აკონკრეტებს შემდეგნაირად: „იმის-

და მიხედვით, თუ როგორია პერსონაჟის და ხასიათის სტატუსი ნაწარმოების სტუქტურაში, მათ მიერ უნდა იქნეს გამოყენებული შეფასების განსხვავებული კრიტერიუმები. ხასიათების განსხვავებით, რომელთა მიმართ მკითხველს ექმნება ეთიკურად შეფერილი დამოკიდებულება, პერსონაჟთა შეფასება ხდება პირველ რიგში ეთიკური თვალსაზრისით – იმის-და მიხედვით, თუ რამდენად რელიეფურად, სრულად და კონცენტრირებულად განასახიერებენ ისინი ხასიათებს. რატომ აქვს მნიშვნელობა ჩვენთვის პერსონაჟის და ხასიათის ცნებათა ამგვარად დანახულ ურთიერთმიმართებას?“ ამ კითხვაზე შეგვიძლია გავცეთ შემდეგი პასუხი: იმის გათვალისწინებით, რომ ჩვენი კვლევის მიზანს წარმოადგენს პერსონაჟის ავტორისეული დახასიათება როგორც პოეტიკის ასპექტი, უნდა მივიჩნიოთ, რომ ჩვენი კვლევის საგნის გაანალიზებისას ხაზი გაესმის სწორედ პერსონაჟთა ეთიკურ ასპექტს იმისდა მიუხედავად, გამოვიყენებთ ჩვენ თუ რა ტერმინ „ეთიკურს“. დავრწმუნდებით იმაში, რომ

ცვაიგისეულ ნარატივში მოცემული სიუჟეტის კონფლიქტური ასპექტი, რომელიც, როგორც უკვე ვიცით, გამოიხატება ძირითადად ბავშვის შინაგან სამყაროში მომხდარი გარდატეხით, უნდა გაგებულ იქნეს როგორც ეთიკური მნიშვნელობის ფაქტი როგორც ავტორისეული ისე მკითხველისეული თვალსაზრისით.

**პერსონაჟის სისტემა ცვაიგისეულ ნარატივში.** იმავე ავტორის აზრით, „ეპიკურ და დრამატულ ნაწარმოებათა საგნობრივი სამყაროს საფუძველს, როგორც წესი, წარმოადგენს სიუჟეტთან ერთად პერსონაჟთა სის-

ტემა”. ჩვენი კვლევითი მიზნებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს პერსონაჟთა სისტემასთან, როგორც ცნებასთან დაკავშირებულ შემდეგ მომენტებს:

ა) იგულისხმება, რომ „პერსონაჟთა სისტემის ფორმირებისთვის აუცილებელია, როგორც მინიმუმ ორი სუბიექტი“;

ბ) როგორც ვნახავთ, ჩვენთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა იქნება პერსონაჟთა სისტემის ის შინაგანად იერარქიული ხასიათი, რომლის გარეშე ეს სისტემა ვერ შესძლებდა ფუნქციონირებას. „მთავარი გმირების ირგვლივ ჯგუფდებიან მეორე ხარისხის გმირები, რომლებიც იბრძვიან ან ერთ, ან მეორე მხარეზე“ ვფიქრობთ, პერსონაჟთა ის სისტემა, რომელთანაც საქმე გვაქვს ცვაიგისეულ ნარატივში, აგებულია იერარქიის პრინციპზე დაყრდნობით, რადგან ამ სისტემის შიგნით მკაფიოდ გამოიყოფა მისი ცენტრალური წევრი – პროტაგონისტი ბავშვი სახელად ედგარი.

მაგრამ ჩვენთვის მთავარი მაინც ის არის, რომ ნაწარმოებში გამოსახულ „ხასიათთა ურთიერთშეფასებას“ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება დახასიათებათა შეპირისპირებითი ანალიზის დროს.

**პერსონაჟთა ქცევა როგორც ლიტერატურათმცოდნეობითი ცნება.** რაც ზემოთ ითქვა პერსონაჟისა და პერსონაჟთა სისტემის შესახებ, თავის საბოლოო ლოგიკურ „დაგვირგვინებას“ იძენს ისეთ ლიტერატურათმცოდნეობით ტერმინში, როგორიცაა „პერსონაჟის ქცევა“. როგორ უნდა გავიგოთ ამ ტერმინის შინაარსი? ამ ტერმინის მნიშვნელობა განისაზღვრება „როგორც პერსონაჟის შინაგანი

ცხოვრებისეული დინამიკის განსახიერება იმდენად, რამდენადაც იგი გამოიხატება ისეთ გარეგნულ ნიშანთვისებათა ერთობლიობით, როგორიცაა პერსონაჟის ქცევა, მიმიკა, მეტყველების მანერა, ინტონაცია, სხეულის მდგომარეობა და აგრეთვე იმით, თუ როგორია მისი ჩაცმულობა და ვარცხნილობა“. მიგვაჩნია, რომ პერსონაჟის ქცევას როგორც ლიტერატურათმცოდნეობით კატეგორიას სრულიად განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიეცეს ჩვენს კვლევაში თუნდაც იმიტომ, რომ, როგორც გვახსოვს ჩვენ გამოვყავით პერსონაჟის ავტორისეული დახასიათების განსხვავებული დონეები და ერთ-ერთ ამგვარ დონედ მივიჩნიეთ იმის შესაძლებლობა, რომ ავტორის (მთხრობელის) მიერ პერსონაჟი შეიძლება დახასიათდეს წინადადების ისეთი წევრითაც როგორიცაა გარემოება – თუ, რა თქმა უნდა, გარემოებით გამოიხატება პერსონაჟის სიტუაციურად განსაზღვრული ქცევა. მთავარი კი ისაა, რომ მსგავს შემთხვევებში გარემოებით გამოხატული ქცევის მანერა აუცილებლად გამოხატავს პერსონაჟის როგორც პიროვნების ხასიათს, განწყობას ან – რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია – ორივეს ერთად მათი ურთიერთმართების დინამიკაში. გარდა ამისა, ვერ დავეთანხმებით ციტატის ავტორს იმაში, რომ პერსონაჟის ქცევაზე მსჯელობას აზრი აქვს მხოლოდ ერთ შემთხვევაში – როცა ეს ქცევა გამოხატულია გარეგნული ნიშნებით; ამ თვალსაზრისით კი ხაზი უნდა გაესვას შემდეგ ორ ფაქტს: 1) იმას, რომ თვით ქცევა როგორც პერსონაჟის სიტუატივში მონაწილეობის გამოხატულება, შეიძლება იყოს ორი ტიპის – ა)

ისეთი, რომელიც აუცილებლად იქნება გარეგნულ ნიშნებს და 2) ავტორმა შეიძლება გამოგვიხატოს პერსონაჟის ქცევის შიდა განზომილებაც ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით.

რაკი ჩვენ თავიდანვე გადავწყვიტეთ, რომ პერსონაჟის დახასიათება შეუძლებელია განიხილებოდეს სიუჟეტთან კავშირის გარეშე, შეიძლება სწორედ ამ მომენტის გათვალისწინებით გამოვყოთ პერსონაჟის ქცევის ორი განზომილებაც – შინაგანი და გარეგანი. ჩვენის აზრით, პერსონაჟის ქცევის როგორც ერთი მთლიანის ამგვარი ბიპოლარიზაცია და დიქტომიზაცია მნიშვნელოვანია ორი თვალსაზრისით: გვადლევს იმის საშუალებას, რომ დავინახოთ და აღვიქვათ პერსონაჟი (პირველ რიგში კი – პროტაგონისტი) თითქოს-და სტერეოსკოპულად, ანუ იმის-და მიხედვით, თუ რა ხდება მის შინაგან სამყაროში და როგორ გამოიხატება მის შინაგან განცდათა ერთობლიობა გარესამყაროსთან მიმართებაში. ეს კი იმას ნიშნავს, რომ პერსონაჟის ქცევას როგორც ლიტერატურათმცოდნეობის კატეგორიას ვანიჭებთ გარკვეულ შინაარსობრივ სიღრმეს. ამით, ჩვენის აზრით, ვპასუხობთ კიდევ ციტირებული ნაშრომის ავტორის შემდეგ გამოხატულებას: „ქცევის ფორმები წარმოადგენენ პიროვნების ადამიანური არსებობის იმ ასპექტს, რომელიც გამოხატავს ადამიანის სულს და ამიტომ წარმოადგენს კიდევ კომუნიკაციის საშუალებას“ ვფიქრობთ, სწორედ ქცევის ამ ასპექტის ადეკვატურად გამოხატვას ემსახურება ჩვენს მიერ განხორციელებული მისი დიქტომიზაცია.

ჩვენი ყურადღების ცენტრში, რა თქმა უნდა, იყო და დარჩება სამეტყ-

ველო-კომპოზიციური ფორმა „დახასიათება“ როგორც ავტორისეული მეტყველებისა და ნარატიული პოეტიკის ასპექტი. მაგრამ იმისთვის, რომ ეს ასპექტი წარმოჩნდეს ადეკვატურად და სრულად, აუცილებელია, ჩვენის აზრით, გააზრებული იქნას მისი არა მხოლოდ შიდა არამედ გარე სტრუქტურაც. რაც ნიშნავს შემდეგს: ჩვენ უკვე წინა პარაგრაფებში დავინახეთ და წარმოვაჩინეთ „დახასიათების“ შიდა სტრუქტურა იმ გაგებით, რომ გამოვყავით დახასიათების დონეებრივი მოდელი და, შესაბამისად, მოვახდინეთ შემდეგი თეზისის ფორმულირება: „დახასიათება“ უნდა განვიხილოთ როგორც უფრო ფართოდ გაგებული აზრობრივი-სემანტიკური უნივერსალის მხოლოდ ერთი შესაძლო (თუმცა უმაღლესი) დონე და უნდა მივიჩნიოთ, რომ მისი როლის შესრულება თავის თავზე შეუძლიათ აიღონ ისეთმა ენობრივმა ერთეულებმაც, როგორცაა არა მხოლოდ წინადადება, არამედ მისი ესა თუ ის წევრიც. ეს – რაც შეეხება ჩვენი საკვლევი ობიექტის შიდა სტრუქტურას. მაგრამ მოცემულ სტატიაში ჩვენს მსჯელობას საფუძვლად ედო შემდეგი თეორიული მოსაზრება (პოსტულატი): ნებისმიერი საკვლევი ობიექტი ხასიათდება არა მხოლოდ იმით, რასაც ჩვენ უკვე ვუწოდეთ მისი „შიგა სტრუქტურა“, არამედ იმითაც, რასაც უნდა ვუწოდოთ მისი „გარე სტრუქტურა“, გარე სტრუქტურის სახით კი უნდა ვიგულისხმოთ ის მეტის მომცველი მთლიანი, რომლის ორგანულ ნაწილს წარმოადგენს ჩვენი კვლევის უშუალო ობიექტი. რაკი „დახასიათებას“ ჩვენ აღვიქვავთ არა მხოლოდ როგორც ავტორისეული მეტყველების ასპექტს, არამედ

ასევე როგორც ნარატიული პოეტიკის ასპექტსაც, ამიტომ ამგვარად გაგებული „დახასიათების“ გარე სტრუქტურად უნდა მივიჩნიოთ სწორედ ცვაიგისეული ნარატივის სრული პოეტიკა ამ ტერმინის ამ სტატიაში წარმოდგენილი გაგებით.

მაგრამ რა მიმართებაა საკვლევი ობიექტის სტრუქტურის ისეთ ორ განზომილებას შორის როგორცაა მისი „შიგა“ და „გარე“ სტრუქტურები? უნდა ვიგულისხმოთ, რომ ნებისმიერ შემთხვევაში, როცა ვილაპარაკებთ ჩვენი კვლევის ობიექტის ანუ „დახასიათების“ სტრუქტურაზე, უნდა მივიჩნიოთ, რომ ეს სტრუქტურა (ანუ სტრუქტურა მის მთლიანობაში) წარმოადგენს მის შიგა და გარე სტრუქტურათა ერთიანობას: სტრუქტურა ერთია, მაგრამ ამავე დროს ორგანზომილებიანი და, შესაბამისად, ჩვენს ანალიზში იგი უნდა წარმოჩნდეს როგორც ამ ორი განზომილების განუყოფელი ერთიანობა.

უფრო კონკრეტულად კი ზემოთ ფორმულირებული თეზისი ნიშნავს შემდეგს: „დახასიათებაზე“ მსჯელობისას და, რაც მთავარია, მისი ტიპოლოგიზაციის პროცესში მხედველობაში უნდა იქნას მიღებული სწორედ მისი ზემოთ ხსენებული მთლიანი სტრუქტურა, ანუ, სხვანაირად რომ ვთქვათ, დახასიათების როგორც აზრობრივ-სემანტიკური უნივერსალის მთელი შესაძლო ვერბალურად გამოხატული სისრულე. რეალურ გამოხატულებას ჩვენი ამგვარი კვლევითი ორიენტაცია ჰპოვებს ისეთ ორ ცნებაზე დაყრდნობით, როგორცაა, ერთის მხრივ, ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორიისა და, მეორეს მხრივ, ტექსტობრივი ბადის ცნება.

ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორია წარმოადგენს სწორედ ისეთ კატეგორიას, რომელიც გულისხმობს ერთიდა იგივე ფუნქციის მატარებელ, მაგრამ სტრუქტურულად განსხვავებული სახის ენობრივ ერთეულთა ერთობლიობას – ისეთ ერთობლიობას, რომელიც არსებობს ენის სისტემაში ველის სახით; ველის ცნება კი, როგორც ვიცით, გულისხმობს ისეთ ენობრივ რეალობას, რომლის ფარგლებში უნდა გვექონდეს ცენტრი და პერიფერია. ასეთია ზოგადად ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორიის ცნება და მისი შინაგანი კავშირი ველის ცნებასთან. მაგრამ, რაკი კვლევის პროცესში ჩვენ საქმე გვაქვს მხატვრულ ნარატივთან, აუცილებელი ხდება იმის დაზუსტება, თუ რა სახე შეიძლება მიიღოს დახასიათებამ როგორც ფუნქციურ-სემანტიკურმა კატეგორიამ და მისმა შესაბამისმა ველმა იმ შემთხვევაში, როცა ენობრივი სისტემის აქტუალიზაციის შედეგად ვიღებთ არა „ჩვეულებრივ“ ტექსტს, ანუ ტექსტს, რომელიც ეკუთვნის ყოველდღიურობის ფუნქციურ სტილს, არამედ მხატვრულ ტექსტს, სახელდობრ კი მხატვრულ ნარატიულ ტექსტს. დასმულ კითხვაზე შეიძლება გაიცეს ორი სახის პასუხი: ა) ზოგადი სახის პასუხი, რომელიც გაითვალისწინებს იმ ტექსტობრივი სინამდვილის სპეციფიკას, რომელიც უნდა მივიღოთ ენობრივი სისტემის აქტუალიზაციის შედეგად. ამ შემთხვევაში ეს პასუხი, ბუნებრივია, უნდა ატარებდეს ჰიპოთეტურ ხასიათს: რაკი თავიდანვე ცნობილია, რომ ენის აქტუალიზაცია იძლევა მხატვრულ ნარატივს და ამავე დროს ცნობილია, რომ ამგვარ ნარატივში შეუძლებელია გაისვას მკვე-

თრი „დემარკაციული ხაზი“ ნარატივის საკუთრივ სიუჟეტურ და არასიუჟეტურ ასპექტებს შორის, უნდა ვიფიქროთ, რომ დახასიათების ფუნქციურ-სემანტიკურ ველში ცენტრის სტატუსს დაიკავეს „დახასიათება“ როგორც სამეტყველო-კომპოზიციური ფორმა, მაგრამ ცენტრთან ახლოს შეიძლება განლაგდეს დახასიათების ფუნქციის მატარებელი სტრუქტურული ელემენტები; ბ) მაგრამ, რატომ უნდა, აუცილებელია ზემოთ გამოთქმული ვარაუდის (ჰიპოთეზის) ადეკვატურობა ვერიფიცირებულ იქნას უკვე ტექსტობრივი კონკრეტის დონეზე.

სწორედ ზემოთ ნახსენები ორი დონის (ენობრივი და ტექსტობრივი დონეების) ურთიერთმიმართების გამოხატვის მიზნით თანამედროვე ტექსტის თეორიაში არსებობს „ტექსტობრივი ბადის“ ცნება. მონოგრაფიაში „გრამატიკულ კატეგორიათა პოეტიკა“ ლ. ნოზრდინა ლაპარაკობს ისეთი ორი ფენომენის ურთიერთობაზე, როგორცაა, ერთის მხრივ, ლექსიკურ-გრამატიკული ველის ენობრივი ფენომენი და, მეორეს მხრივ, ტექსტობრივი ბადის ფენომენი. იგი შემდეგნაირად განსაზღვრავს ამ ორი ფენომენის ურთიერთმიმართებას: „ლექსიკურ-გრამატიკულ ველისგან და ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორიისგან განსხვავებით, რომლებიც წარმოადგენენ პარადიგმატულ კატეგორიებს, ტექსტობრივი ბადე არის სინტაგმატიკური, ტექსტობრივი კატეგორია“. განაგრძობს რა ხსენებულ კატეგორიათა ურთიერთმიმართებაზე მსჯელობას, ავტორი წერს: „თუ დავუკვირდებით იმას, თუ როგორ ავლენს ველი თავის თავს ტექსტში, დავინახავთ, რომ მასში ჩნდება არა

ველის ყველა წევრი, არამედ მხოლოდ ზოგიერთი მათგანი. გარდა ამისა, ზოგი ენობრივი საშუალება ტექსტებში გამოიყენება ხშირად, ზოგი კი – იშვიათად. ზოგი მათგანი კი თითქოს „მიბმულია“ გარკვეულ ფუნქციურ სტილზე; სხვა სტილებში კი თითქმის არ გვხვდება. ასე რომ, ველი წარმოგვიდგება ტექსტში როგორც ისეთ ენობრივ საშუალებათა გარკვეული ერთობლიობად, რომლებიც გამოხატავენ გარკვეულ სემანტიკურ შინაარსს (ტემპორალურობას, მოდალურობას და ა.შ.), ეს ენობრივი საშუალებები ერთიანდებიან ცნებაში „ტექსტობრივი ბადე“ ჩვენთვის განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს ის, თუ, ავტორის აზრით, რაზეა დამოკიდებული ამგვარი ტექსტობრივი ბადის შემადგენლობა. ამასთან დაკავშირებით იგი წერს: „ამგვარი ბადის შემადგენლობა დამოკიდებულია ბევრ ფაქტორზე, პირველ რიგში კი – ფუნქციურ სტილზე და იმ ჟანრზე, რომელსაც განეკუთვნება მოცემული ტექსტი. რადგან ტექსტი არის სამეტყველო ქმედება, ტექსტობრივი ბადეც წარმოადგენს სინტაგმატიკურ კატეგორიას“.

იმის შემდეგ, რაც განვმარტეთ ისეთ ლინგვისტურ კონცეპტთა ურთიერთმიმართება, როგორცაა, ერთი მხრივ, დახასიათება როგორც ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორია და ის ტექსტობრივი სტრუქტურა, რომელიც შეიძლება შეიძინოს ამ კატეგორიამ მხატვრულ ნარატივში, ანუ დახასიათების ტექსტობრივი ბადე, შეგვიძლია დასრულებულად მივიჩნიოთ იმ თეორიული და მეთოდოლოგიური ბაზის განსაზღვრის პროცესი, რომელიც გვჭირდება ჩვენი კვლევითი მიზნის განხორციელებისთვის.

## TEA JGARKAVA

### **COMPLETE UNDERSTANDING OF POETICS AS A GUARANTEE OF ACHIEVING OUR RESEARCH AIMS WITH THE HELP OF ADEQUATE WAYS: PLOT, PERSONAGES, SYSTEM OF PERSONAGES AND THEIR CHARACTERISTIC**

#### Summary

If consider poetics as a system of language units which is essential to construct a literary text, then poetics of the character must base on two narrative moments: a) taking into account author's characteristic of (the) personage within his research boundaries, and b) how the personage manages to self-characterize himself/herself inside the plot.

These two concepts are considered to be indivisible when participation of the personage in plot is based on the narrator's (author's) characteristic, and vice versa: participation of the personage should support the characteristic that she/he receives in author's speech. As a matter of fact a personage( character) is the part of any narrative structure.

We may conclude that *plot* is the category of the literary studies which guarantees complete understanding of the poetics as a concept.

Indeed, author may characterise hero within his/ her speech , but the latter won't get any sense unless hero participates in development of the plot.





## ფასკუნჯი - მფრინავი ვერძი

მითისა და ლეგენდის მოხზველი ქურუმი თუ მწყემსი, მჭედელი თუ ზღვაოსანი ოცნების ფრთებით თავს ევლებოდა მშობლიურ ველებსა და მთა-გორებს, ცხოველებსა და მცენარეებს ადამიანის სულს უდგამდა, მწედ სახავდა.

მისი აღქმა და ხედვა იყო ისეთი, როგორცაა ჩვენი სიზმრული ცნობიერება, რომელიც არღვევს ლოგიკას და რეალობას, ერთმანეთს უხამებს ნამდვილს, მიაშიტურსა და ფანტასტიკურს, ცხოველურსა და ადამიანურს.

ზესკუნელ-შუასკუნელ-ქვესკუნელად დანაწილებულ სამყაროს იერარქიას, ღმერთების პანთეონსა და ადამიანთა სამყოფელს ავსებდნენ ხარ-კაცები, ცხენ-კაცები, მგელ-კაცები, ლომ-კაცები, ლომ-არწივები, მფრინავი ცხენები, ძაღლები და ვერძები, ქალ-თევზები (სირინოზები) ქალ-ურჩხულები (ჰარპიები), ფრთოსანი გველთევზა გორგონები.

ერთი მათგანია ქართული ფასკუნჯიც.

### ფასკუნჯის განმარტება

„ფასკუნჯი“ – ქართული ზღაპრის ჯადოსნური პერსონაჟი – გრძნეული ფრინველი. ცხოვრობს მთაზე ან ქვესკუნელში. ადამიანივით მეტყველებს, მფარველობს გმირებს და ქვესკუნელიდან ზესკუნელში ამოჰყავს. მის

ფრთებს მაგიური და სამკურნალო თვისებები აქვს: ფრთის დაწვა ფ-ის მოხმობის საშუალებაა, ხოლო ჭრილობაზე წასმა – მკურნალობა. ფ. იშვიათად ბოროტ ბუნებასაც ამჟღავნებს – მტრობს და ებრძვის გმირებს”.

ასე ახასიათებს ფასკუნჯს ქართული ენციკლოპედია [1].

ხოლო „Мифы Народов мира“ უფრო სრულად წარმოგვიდგენს ამ „დრაკონის მსგავს“ ფრინველს. აქ იგი მითოსური სამყაროს ბინადარია, რომელსაც მოგვიანებით განუცდია ირანული სიმურგის (იგივე სენმურვი) ზეგავლენა [2].

სულხან-საბა ორბელიანის ახსნით, ფასკუნჯი (პასკუნჯი) „ეთიოპიას გვარობს ტანითა მსგავსი ლომისა; თავი, ნიკარტი, ფრთე და ფერწი მსგავსი არწივისა., ნაკრტენ მრავალი, რომელიმე არს ოთხ ფერწი და რომელიმე ორფერწი. პილოს აიტაცებს, ცხენთ მაზიანებელ არს. სხვა გვარიც არის სრულიად არწივის მსგავსი და ფრიად დიდი“ [3].

სულხან-საბა ორბელიანისათვის ფასკუნჯი არის არა მითოსური ან ზღაპრული, არამედ რეალურად არსებული, ოღონდ უცხო და უცნაური ფრინველი, ფენიქსივით ეთიოპიაში მოზინადრე. ამიტომ უთითებს ბიბლიასაც (მეორე შჯული, 14, 13).

ამ სტრიქონის ახალი ქართული თარგმანი ასეთია: „ძერა, შვეარდენი

და ქორი”. შდრ. რუს. „И коршуна, и сокола, и кречета”. Кречет – სონდული, „საშუალო ზომის მტაცებელი ფრინველი შავარდენისებრთა ოჯახისა” [4].

სულხან-საბასვე ცნობით, ფასკუნჯს სომხურად პასკუნჯი რქმევია.

### **I. ფასკუნჯის ლინგვისტური რეკონსტრუქცია**

თავიდანვე უნდა განვაცხადოთ, რომ ფასკუნჯი არის კოლხური ენობრივი და მითოსური სამყაროს კუთვნილება და მხოლოდ ქართული ენის მონაცემებით ვერ გაიშიფრება.

ფასკუნჯი სამი სიტყვის შერწყმის შედეგია და, შესაბამისად, ასე დაიშლება – ფას-სკუ-ნ-ჯ-ი.

არაერთი მსგავსი მაგალითი აქვთ განხილული ნ. მარს, ივ. ჯავახიშვილს თუ არნ. ჩიქობავას (მაგ., ზაფხული, ზამთარი, დეკეული, ხეპეგუაში).

ახლა განვმარტოთ თითოეული მათგანის მნიშვნელობა და ბოლოს მოვახდინოთ მთლიანი სემანტიკური რეკონსტრუქცია, რადგან უძველეს დროში, თავდაპირველად ეს სახელი ასე კონდენსირებულად არ წარმოითქმოდა. მაგრამ სიტყვათშერწყმა სიტყვათწარმოქმნის ერთ-ერთი ფორმა იყო, როცა ძირები ჰკარგავდა ძველ მნიშვნელობასა და ახალ ცნებად იქცეოდა.

#### **1. ფას – ფასისი**

ბა/ფა ან ბას/ფაზ უკავშირდება ფასისს/ფაზისს, რომელსაც რიონს უწოდებენ ძველი ბერძნები.

როგორც ცნობილია, ისინი ხობობს „ფასიავოს”, ე.ი. მდინარე ფაზისის ფრინველს უწოდებდნენ. მათგან გავრცელდა ეს სახელი ლათინურ,

რუსულ, ჩეხურ, პოლონურ და სხვა ენებში.

### **2. სკუ – შობა, შვილი**

განვიხილოთ ერთი ძირის ორი სიტყვა:

სკუა/სქუა – შვილი, სკუალა/სქუალა – დადება, შობა.

ფასკუნჯში სკუ ისევე იკითხება, როგორც ბერძნულ დიოსკურში.

მეგრულად შვილი არის სკუა/სქუა (შდრ. მიმინოშვილი – მიმინოსკუა, ასაბაშვილი – ასაბასკუა), სკუალა – კვერცხის დადება. დედა (მეგრ. დიდა, სვან. – დი) უკავშირდება დადებას (მეგრ. დოდვალა, დებს – დვანს).

კვერცხის დადება და შობა მეგრულ ენაში სინონიმებია. ეს ერთი მხრივ, მეორე მხრივ შობა, დაბადება არის ხალა, ხოლო მშობელი, დამბადებელი – მახალი.

ოსკუ ჰქვია საღორეს, ე.ი. ადგილი, სადაც ხდება სკუალა, დღევანდელი გაგებით – კვერცხის დადება, ძველი მნიშვნელობით – შობა, დაბადება.

აზრობრივად მეგრ. ოსკუ ბოსელს შეესაბამება, რაც შობის ადგილი იყო [5].

საშვილოსნოს ჰქვია სასკუე. აქედან გამომდინარე სკუალა პირდაპირი თარგმანით არის შვილობა. ენას დღეს ეს ნიუანსი არ გააჩნია. მაგრამ ლინგვისტური ძიებით საცნაური ხდება: ქართულ შუ-ს მეგრულში შეესაბამება სკ/სქ (მაგ., შენი – სვანი/სქანი. შენის – ოსკვამანს/ოსქვამანს), თუმცა, არა ყოველთვის (მაგ.: სკვირი – სკვნილი) [6].

სკვამი (სქვამი) არის ლამაზი. საწყისია სკუამი (სქუამი) ანუ შვილიანი.



სკირი შობილს, შვილს ნიშნავს, სკილირი – დადებულს (ქოთომს კვერცხი აფუ სკილირი – ქათამს კვერცხი აქვს დადებული (კვერცხი დაუდვია). ეს განყოფა გვიანდელია. ხოლო ადრე შობილიც სკილირი, სკუალირი იქნებოდა.

მაგრამ გვაქვს სკუნა (გასკვნა) გინოსკულა (გადასკვნა, გადაბმა), გინოსკვირი (გადასკვნილი, გადაბმული), ქუსკუუ, ერთი მხრივ – კვერცხი დაუდო (კვერცხი დაუდვია, მეორე მხრივ – შეაბა, მაგ., ხარი უღელში). სკვირი (სკვნილი, ბმული), იგივე სკილირი, სკუალირი.

ასე რომ, სკუა ნიშნავს, აგრეთვე, ბმულს, გადაბმულს, არა მხოლოდ დადებულს.

ამრიგად, – სკუ – ძირი შობისა და შვილის აღმნიშვნელია (შდრ. ბერძნული დიოსკურები – ცის ღმერთის შვილები), ხოლო სკური ეწოდება წყაროს, ღელეს, რომელიც მიწიდან იშვა.

ასეთი მნიშვნელობით მრავალი ტოპონიმიც სამეგრელოში.

ამ კონტექსტში საინტერესოა სიტყვა გინოსკილადა (გადარჩენა, სიკვდილისაგან ხსნა), სკილადა (მშობიარობა – სკილის შობა, სიტყვა-სიტყვით – დარჩენა, სიკვდილგამოვლა), მასკილადა (მშობიარე, სკილის მომლოდინე), სკიდუ (რჩება, მშობიარობს). პარალელური ფორმა – ხალა – შობა, დაბადება, მახალი – მშობელი, დამბადებელი ანუ ის, ვინც სიკვდილის ფაზა უკვე განვლო.

ამიტომ ოთხივე სიტყვა უკავშირდება სიკვდილს.

ძველი ქართული ენის მიხედვით, სიკვდილი არის სულის მოკლება – მოაკულდა – მოკულდა – მოკულდა – მოკვდა.

მეგრულში გადმოდის ღვრიდან (მეგრ. – ღურა, ლაზ. – ღურა, სვან. – ღარ). შდრ. – წყალი დაღვარა და სული დალია (მეგრ. გელუფუ – ხარზად, უცებ დალია); ქართ. დაღუპული, მეგრ. ღურელი, სვან. – ლულუმპავ [7].

სულხან-საბა: „დაღუპვა – წყალთაგან დანთქმა“.

ქართველურ ენებში სიკვდილი წყალთან ასოცირდება, ისევე როგორც ინდოევროპულში – ზღვასთან.

პირველყოფილ ადამიანთა წარმოდგენით, მიწა და წიაღი გაიგივებულია, საშო უდრის ქვესკნელს, დაბადება – გარდაცვალებას, ქორწილი – დაკრძალვას. ნაყოფიერების ღმერთები ხთონური ღვთაებანია. სიცოცხლე ისახება ბნელში, სკნელში, წიაღში, საიდანაც სინათლეზე გამოდის.

სკნელი სამყაროს მრავალ გარსს მოიცავს (ზესკნელი, ქვესკნელი, შუასკნელი, წინასკნელი, უკანასკნელი, გარესკნელი), რომელშიც გამოიყოფა ძირი – სკნ/სკუნ.

მეგრულში გვექნებოდა სკნირი/სკნური.

სკნირი/სკილირი არის სკნილირი, ე.ი. სკნირიდან (სკნელიდან) შობილი, სკუალირი – სკუნლიდან (სკუნირიდან) შობილი, რაც უდრის წყვდიადიდან, უკუნინდან გამოსვლას.

ამრიგად, სკუა ნიშნავს არა მხოლოდ დებულს (დადებულს), ბმულს (გადაბმულს), არამედ, აგრეთვე სკნელიდან (სკუნირიდან) გამოსვლასაც [8] – სკუალირს.

ახლა დავაკვირდეთ, თუ რას ნიშნავს, როგორ და რისთვის გაჩნდა სამიებელი სიტყვის ფუძის ბოლო – ნჯ, რა სიტყვა იყო იგი.

### 3. რჯ/ნჯ – ერჯი

სიტყვა ფასკუნჯის მესამე ძირი ნიშნავს ქონებას, კერძოდ – ვერძს.

განვიხილოთ რამდენიმე სიტყვა, რომელთა არქაული წარმომავლობა ეჭვს არ იწვევს (რ ან ნ ყველგან შემდეგ განვითარებული ბგერაა, რომელიც ფუძეს შეეზარდა).

ა) ორინჯი/ორიჯი – საქონელი

მეგრულად დაუკოდავ მამალ ცხვარს – ვერძს ჰქვია ერჯი, ძროხას – ორჯი (ბანძა-მარტვილი), ხარს – ხოჯი, საქონელს – ორინჯი (ორიჯი), დედალ ცხვარს (ნეზეს) უნდა რქმეოდა ნერჯი, რომელმაც ნერჩის – ადგილის, დედამიწის ღვთაების სახელით მოაღწია ჩვენამდე, როგორც თვლიდა ივანე ჯავახიშვილი.

ყველა სიტყვაში გამოიყოფა სუფიქსი – რჯ/ნჯ.

ყველა სიტყვა შინაური ცხოველის აღმნიშვნელია (დედალი ცხვარი, მამალი ცხვარი, ძროხა, ხარი, საქონელი).

ორინჯი იგივეა, რაც ორენჯი (საყოლიებელი, საქონელი). შდრ. – ქონა, ყოლა, მეგრულად ორენჯი (ორენჯშური, შური – სული) არის ის, რაც საერთოდ ჰყავს ადამიანს, ან კიდევ – სადგომი. ეს ეტიმოლოგიურად. მაგრამ დღეს ჰქვია რქოსან პირუტყვს (ხარი, ძროხა, კამეჩი, თხა) და არ ითქმის ღორსა და ცხენზე, მითუმეტეს – ფრინველზე.

ი. ჯავახიშვილი აიგივებს ერჯსა და ორინჯს, როგორც ზოგადად ცხოველის გამომხატველ ფუძეს, რომლის სქესობრივი განჩევა მერმინდელი მოვლენაა.

ორ-პრეფიქსის გასაგებად მეცნიერი მოუხმობს მეგრულ სიტყვას – რინა (ყოფა, არსებობა) და ორინჯის

სინონიმად ასახელებს ორინალს (საყოლიებელი). ხოლო ნარენჯი არის ნამყოფი, ნაყოლები, მარენჯი – არსებული, მყოფი.

ჩვეულებრივ, ქართულ ძ-ს ენაცვლება მეგრული ჯ (მაგ. ძალი – ჯოლი, ძმა – ჯიმა, ვერძი – ერჯი) და ამდენად მეგრული სუფიქსი – რჯ/ნჯ არის ქართული – რძ-ის შესატყვისი (შდრ. რძე მეგრულში უნდა ყოფილიყო რჯა (ბჯა) [9].

საქონელს სომხურად ჰქვია ერინჯ, ხოლო ვერძს – ვორძ (ვერც). განსხვავებით სომეხ მეცნიერთაგან, ი. ჯავახიშვილი მათ ქართული ძირის სიტყვებად თვლიდა.

ნ. მარი ხაზს უსვამდა ერჯის კავკასიურ წარმომავლობას.

მაგრამ დღეს სხვაგვარი სურათი იშლება:

მზია ანდრონიკაშვილს მოაქვს სიტყვები – ოსური Wears (მამრი), ძველინდური vrsan, ახ. სპარსული gusan (ხვადი), ლათინური verres (ტახი), პამირული vorts (ცხენი) [10], რაც კიდევ უფრო განამტკიცებს ივანე ჯავახიშვილის დებულებას, რომ ერჯ/ვერძ ქართველურ სამყაროში ზოგადად ცხოველს ნიშნავდა, თუმცა იგი არც ქართული და არც სომხური არ ყოფილა.

თ, გამყრელიძე და ვ. ივანოვი აღნიშნავენ, რომ უნგრულ-ფინურ ენებში ვერძი ნიშნავს კვებას, აღზრდას.

თითქოს მართლდება ბიბლიური მითი, რომ უხსოვარ დროში ერთი ენა უნდა არსებულებოდა, რაც სტიქიური თუ ისტორიული ქარტეხილებით ადამიანთა გაფანტვის შედეგად დაიშალა, მაგრამ დარჩა საერთო, ნათესაურ სიტყვათა ძირები და ფუძეები, რომლებიც სხვადასხვა ენებში ვარიაციულად თავს იჩენდნენ.

მათი მსგავსება არ ნიშნავს, რომ ისინი ყოველთვის ნასესხებია ან შემოჭრილი.

### **ბ) ქომონჯი (ქომოჯი) – ქმარი**

მეგრულად ქომოლი მამაკაცს, მამრს ნიშნავს, ქომოლკოჩი – ვაჟკაცს, ქომოლისკუა – ვაჟიშვილს, ხოლო ქომონჯი (ქომოჯი) – ქმარს.

ივ. ჯავახიშვილის განმარტებით, ქმარი ქმნისაგან არის მიღებული. მაგრამ უფრო სწორი ვიქნებით თუ ვიტყვით, რომ საწყისია არა ქმნა, არამედ – ქნა, კეთება.

ქმარი არის მაქმარი, მქნელი და არა შემქნელი, რადგან უძველეს დროში მამის ცნება არ არსებობდა. მამა იყო გვარ-ტომის ბელადი, სქესობრივ აქტსა და ბავშვის დაბადებას შორის კავშირი წარმოდგენილი არ ჰქონდათ.

აქედან იღებს სათავეს მითოსური უმანკოდ ჩასახვის მოტივი მაგ., ფრიგიელთა ღვთაება ატისი დედას – ქალწულ ნანას ჩაესახა მკერდზე ბროწეულის შეხებით (შდრ. წმ. მარიამი). ზარატუსტრა მცენარის ღეროსაგან იშვა, ადონისი – ხორბლის მარცვლისაგან, ხუან-დი – ელვისაგან, შაკიამუნი – ციური ხუთფეროვანი შუქისაგან. გილგამეშიც ქალწულმა დაბადა [11].

მეგრული ქიმიწუა ნიშნავს როგორც კეთებას, ისე შობასა და შემქნას.

ბგერათშესატყვისობის წესით ქომოლ – ქართულად იქნებოდა ქამარ და არა ქმარ-.

არნ. ჩიქობავას ვარაუდით, ძველქართულში გვქონდა ძლიერი მახვილი, რაც იწვევდა ფუძეთა კუმშვას: ვაშლი – ვაშალი – უშქური, მატლი – მატალი – მუნტური, ძაღლი – ძაღალი – ჯოდორი...

ივ. ჯავახიშვილის მტკიცებით, რქოსანი საქონელი უნდა ყოფილიყო კემალ-, რომლის ძირია კემ-.

კემალ/კამალ/ქამარ – (სვან. კავილ) უნდა მივიჩნიოთ ქომოლის ქართულ ფორმად, ე.ი. საწყისია რქოსანი საქონელი (შდრ. ჩრდილოკავკასიურ ენებში – ქუნ, ქუნა, ქუ, ქუი, ქიუნ), მეორეს მხრივ – ძველქართული – აქუნდეს, თანამ. – ქონება, სვან. ქიუნ/ქუნ – სული, სუნი, მეგრ. ქენტელი (ჩქარი სუნთქვა), ძვ., ქართ. ქუნ – სუნთქვა, ე.ი. სიცოცხლე.

ამჯერად არ მოგვაქვს ინდოევროპული, მაგ. სომხური შესატყვისები.

ორინჯის ეტიმოლოგიის მიხედვით უნდა ვთქვათ, რომ აქაც – ნჯ სუფიქსი (მორფემა) არის ერჯი/ვერძი ანუ ცხოველი (ცხოვარი), რაც ცხოვრებას და ცოცხალს უკავშირდება.

ტრანსფორმაციით – ქომოლ-ერჯი – ქომოლ-ენჯი – ქომოლ-ნჯი – ქომონჯი, ქომოჯი, რაც გვაძლევს ქართული ერკემალის მნიშვნელობას (შდრ. ერჯკოჩი ტყისკაცის, ველურის გაგებით).

### **პ) ერჯი – ერკემალი**

ერკემალი (ვერძეკემალი) არის გამორჩეული ჯიშის მამალი ცხვარი, მწერბავი. ხოლო ქომონჯის ეტიმოლოგია ასეთ სახეს იღებს – მქმნელი ვერძი. მაგრამ უძველეს დროში ერჯი/ვერძი ზოგადად ცოხველს ნიშნავდა: ერცქემი (მეგრ.) – ჯიხვი, ერსკან (სვან.) – გარეული მამალი თხა, ერი კაიმ/ერი კუიმ (ჩეჩნ.) – ერკემალი, დაუკოდავი ცხვარი.

ყველა ეს სიტყვა ერკემალის სახეცვლაა.

ცხვარს, თხას და ჯიხვს ეწოდა ნათესაური სახელი, რადგან ადამია-

ნი მათ ერთმანეთს ამსგავსებდა. შემდეგ მოხდა ზოგადი სახელის დანაწევრება, ნიშნების დაკონკრეტება (მაგ. სულხან-საბა ორბელიანის ახსნით, ზოტი არის თხის ერკემალი, ე.ი. ამ სიტყვით უნდა ყოფილიყო სახელდებული ჯიხვი, ცხვარი, თხა).

ხოლო ქამარ-, ქომოლ-, კავილ-, კაიმ გვაფიქრებინებს, რომ თავდაპირველად იქნებოდა ვერძკამალი და არა ვერძკემალი. მაგრამ წინა ე ხმოვნის გავლენით ა იქცა ე-დ.

ამრიგად, ერკემალი ნიშნავს ვერძ-ცხოველს, ისევე როგორც ქომონჯი (ქმარი). ხოლო თვით ძირი ქმ პრაინდივერობულ ენაში იღებს სათავეს [12].

#### დ) – რჯ//ნჯ-დან – ალ-ისაკენ

მეგრულ ენაში არის ტენდენცია, უძველესი – რჯ/ნჯ სუფიქსი შეიცვალოს -ალ სუფიქსით, ან ჯ ფონემა საერთოდ ამოვარდეს სიტყვიდან. ძირითადად ეს ითქმის დღეს გავრცელებულ სიტყვებზე:

**მიკოქვენჯი** – მიკაქუნალი (სამოსელი);

**გიოქვენჯი** – გიოქუნალი (დასახური);

**გეხვენჯი** – ოხორალი (სამოსახლო);

**მახენჯი** – მახირალი (ქურდი, მპარავი);

**ლიურენჯი** – ლიურენი (მძინარი).

ასე რომ, თანდათან ქრება შორეული წარმომავლობის კვალი. ეს -ალ სუფიქსი არის იგივე არ, აკ. შანიძის მტკიცებით, კოლხური სამყაროდან შემოსული (მაგ. ოპიზარი – ოპიზელი), რომელსაც შეესაბამება ქართული -ელ [13].

ახლა ვნახოთ სხვა სიტყვები, რომელთაც უცვლელად შემოინახეს -ნჯ სუფიქსად ქცეული ერჯი.

#### ე) მენჯი – ვემა

მენჯი – სოფ. სენაკის რაიონში, კურორტი, სამეგრელოში გავრცელებული ტოპონიმი. ქართულად – ვემა, მჟავე წყალი, რომელსაც ეტანება ცხვარი, ძროხა, თხა, ირემი, შველი [14].

ნიშნავს ვერძის, ე.ი. საქონლის, ცხოველის წყალს.

#### ვ) მინჯე – პატრონი

მ-ი-ნ-ჯ-ე – მე-ერჯ-ე – მე-ენჯ-ე – მე-ინჯ-ე – მინჯე:

ერჯის (ვერძის) ანუ საქონლის მფლობელი, ის, ვისაც ჰყავს ვერძი ანუ საქონელი (ან – მინჯე შეიძლება იყოს მე-უნჯ-ე).

#### ზ) საუნჯე და უნჯი

**საუნჯე** – „შესაკრებელი საქონლისა“;

**საქონელი** – „უსულო ხვასტაგი“;

**ხვასტაგი** – „საქონელი და საყოლელი“;

**უნჯი** – „საქონელი“.

ასე განმარტავს ამ სიტყვებს სულხან-საბა ორბელიანი.

დავით ჩუბინაშვილი: უნჯი (სომხ.) – განძი, ლარი, სიმდიდრე [15].

ილია აბულამე: უნჯი – „საზრდელი“, „საჭმელი“, „საგზალი“, „მოდუაწება“, სარჩო, საკვები [17].

მ. ანდრონიკაშვილი უნჯის თანამედროვე გაგებას იძლევა (განძი) და მას ირანული ძირის სიტყვად მიიჩნევს.

ამრიგად, უნჯი ძველქართულში არის უსულო, უძრავი ქონება. მაგრამ უძველეს დროში უნდა ყოფილიყო საერთოდ ქონების აღმნიშვნელი, სანამ დიფერენცირება მოხდებოდა. ძველ რუსულში „საქონელი“ (скот) არის როგორც პირუტყვი, ისე ფული, ქონება, მიტანა [18]. ხოლო ზოგადევეროპული ფუძით ცხვარი უკავშირდება ქონებას, ფულს. ამავე დროს, საერთოდ საქონლის აღმნიშვნელია [19].

საბოლოოდ ლინგვისტური რეკონსტრუქციით მივიღეთ პირველადი სიტყვათჯგუფი – ფასისის სკუაღირი ერჯი//ფასისში შობილი ვერძი.

ახლა ვნახოთ სემანტიკური ასპექტი.

## II. ფასკუნჯის სემანტიკური რეკონსტრუქცია

### 1. ცხვარი და სიცოცხლე

დროთა განმავლობაში დაიკარგა – რჯ/ნჯ ძირის თავდაპირველი მნიშვნელობა, განიერგო, შეივსო ახალი ნიუანსებით და სიტყვათა მწარმოებელ ფორმანტად – სუფიქსად ჩამოყალიბდა. გაქრა კავშირი პირველსაწყისთან. ზოგ ფორმებშიც მოხდა ჩანაცვლება. ამიტომ მრავალ -რჯ/ნჯ სუფიქსიან მეგრულ სიტყვებს არაფერი აქვს საერთო ვერძთან, საქონელთან ან ფლობასთან.

ხოლო უძველეს დროში იგი უნდა ყოფილიყო ზოგადად ფლობის აღმნიშვნელი, როცა სიტყვას ჰქონდა პოლისემიური მნიშვნელობა და მოიცავდა მრავალ მსგავს საგანს. ენა და აზროვნება არ იყო დანაწევრებული, დიფერენცირებული. ნიუანსების განცდა და სახელდება დაკვირვების,

გამოცდილებისა და ენის განტოტვის შედეგია.

ასე თანდათან - რჯ/ნჯ სიტყვა-სუფიქსის არეალიც დავიწროვდა და იქცა საქონლის, ფრინველის, ცხოველის გამოხატველად. შემდეგ გამოეყო რქოსან პირუტყვთა ჯგუფი, რომელიც ადამიანმა მოიშინაურა და მას დაუკავშირა სიცოცხლე და ცხოვრება (ცხოვარი ანუ ცხოველი), რომლის სიმბოლიკა გახდა ვერძი (ერჯი, ერკემალი), ვერძკემალი, როგორც ტომის ბელადის ანალოგი ცხოველთა შორის.

საერთოდ ცხ-/ჩხ/შხ ძირის სიტყვები ქმნიან ერთიან წრეს, რაც სიცოცხლეს უკავშირდება – ცხოვარი – ცხვარი, მეგრ. შხური/ჩხური (შდრ. – სომხ. ვოჩხარ), ჩხე (ცხელი), სინჩხე (სიცხე), დაჩხირი (ცეცხლი), ჩხოუ (ძროხა), ჩხონაფა (ცხონება ანუ ცხოველება, ცოცხლად ყოფნა).

თ. გამყრელიძე და ვ. ივანოვი მიიჩნევენ, რომ ცხვრის გვიანდელი სახელწოდება ინდოევროპულ ენებში გაჩნდა მოძრაობისაგან, ადრეული – მატყლისაგან (ცხვრის ბალანი).

ხოლო მოძრაობა – ეს იგივე სიცოცხლეა, როგორც სუნთქვა.

### 2. ფრინველ-ვერძის ქანდაკება

უძველეს დროში არსებულა ფასკუნჯის ქანდაკებებიც.

ძვ. წ. I ათასწლეულის ბრილის სამარხებში აღმოჩნდა ვერძისთავიანი და ფრინველისტანიანი ქანდაკებები.

ფანტასტიკურ ვერძებს აქვთ საომარ ცულებად ქცეული ფრთები და მზის სიმბოლოები [20].

როგორც ჩანს, მოქანდაკემ მითოსურ ფანტაზიას მისცა საგნობრივი სახე.

### 3. ვერძი \_ ვარძი

ქართველურ ტომებში ერთ-ერთი ტოტემ-ცხოველი ყოფილა ვერძი \_ მამალი ცხვარი.

ი. ჯავახიშვილი ფიქრობდა, რომ ვარძი (ვერძი) უძველეს დროში მამაკაცს უნდა რქმეოდა და აქედან მოდის საუფროსო სკამის სახელი \_ სავარძელი [21].

ვერძ \_ ვარძს უნდა დაუკავშირდეს ვარძიაც \_ კლდეში ნაკვეთი ქალაქის სახელი (შდრ. \_ ვარძია და ნავარძეთი, სოფლები ზემო იმერეთში).

შიდილება ვერძი იყო ტოტემი ან მამაკაცის სიმბოლური სახელი, როგორც დღესაც იტყვიან კაცზე \_ ლომი, მგელი, ძაღლი, ე.ი. ხაზი გაესმის რაღაც თვისებას \_ ძალმოსილებას, ვერაგობასა თუ ერთგულებას, რასაც თვალსაჩინოებისათვის აკავშირებენ ცხოველთა სამყაროსთან, ანდა \_ ბელადის ანალოგი სიტყვა \_ ტომის ვერძი.

მაგრამ შედარების თუ სიმბოლური სახელდების დროს ამოიწევა ტოტემის ხატი.

ფრთოსანი ვერძი იყო ფასკუნჯი.

### 4. მფრინავი ვერძი და ფრიქსე

ამრიგად, ფასკუნჯი არის მფრინავი ვერძი, ფრინველ-ვერძი, ისეთივე უჩვეულო არსება, როგორც პეგასი \_ ფრთოსანი ცხენი, ოკეანის წიაღში ნაშობი, საიდანაც ოლიმპოზე ზევსთან მიაქვს ელვა და ქუხილი, ანდა \_ გრიფონი \_ „ზევსის ძაღლი“, ლომისტანიანი ურჩხულისებრი ფრინველი; ასეთივეა ირანული ძაღლ-ფრინველი სენმურვი [22].

მაგრამ ფასკუნჯი უნდა ყოფილიყო არგონავტების მითის მფრინა-

ვი ვერძი, რომელსაც ლაპარაკი შეეძლო.

ორქომენოსის მეფის შვილები \_ ფრიქსე და ჰელე ავი დედანაცვლისაგან რომ ეხსნა, დედამ \_ ღრუბელთ ღმერთქალმა ნეფელემ შესვა ოქროსფრთოსანი ვერძზე (სხვათაშორის \_ ორქო მეგრულად ოქროს ჰქვია). ეს უჩვეულო ვერძი ჰერმესს ეწუქებინა ნეფელესათვის. ფრენას ვერ გაუძლო ჰელემ და ზღვაში ჩავარდა.

ამიტომ ეწოდა ამ ადგილს ჰელესპონტი.

ვერძმა მიაღწია შავი ზღვის სანაპიროს, აიას, კოლხების ქვეყანას, სადაც მეფობდა აიეტი, მზის ღმერთის ჰელიოსის და ოკეანიდ პერსეიდეს ვაჟი, კირკეს ძმა.

აიეტს სამკვიდრო კორინთოში ჰქონდა ანუ იგი ჩასულია კოლხეთში.

ფრიქსემ ცოლად შეირთო აიეტის ასული ქალკიოპე, ვერძი ზევსს შესწირა მსხვერპლად, ხოლო ოქროსმატყლიანი ტყავი (ოქროს საწმისი) სიმამრს აჩუქა, რომელმაც იგი ფაზისის პირას, არესის ჭალაში, მუხაზე დაჰკიდა და მცველად დრაკონი მიუჩინა.

ოქროს საწმისის დასაბრუნებლად წარმოგზავნა იაზონი კოლხეთში ბიძამისმა \_ პელიასმა [23]. მხოლოდ ამის შემდეგ დაუბრუნებდა იგი მიტაცებულ ტახტს.

### 5. ოქროს საწმისი \_ ძალაუფლების სიმბოლიკა

ცხვარი ადამიანის უძველესი თანამგზავრია (ძვ. წ. X ათასწლეულიდან).

იგი აძლევდა ჩვენს წინაპარს რძეს, ყველას, ხორცს, ქონს, ტყავს, მატყლს, რომლისგანაც ძაფს ამზადებდნენ და ტანსაცმელს ქსოვდნენ.

ცხვარი არის სიუხვის სიმბოლო, უძველეს დროში – ტოტემური ცხოველი, როგორც სიცოცხლის მომცემი, შემდეგ – ძალაუფლების სიმბოლიკა, სამსხვერპლო ცხოველი.

ამიტომ ანიჭებდნენ ცხვრისბეწვიან ტყავს (საწმისს) განსაკუთრებულ მნიშვნელობას, როგორც აღმოსავლეთში – ვეფხვის ტყავს.

ასეა ეგვიპტურ მითოსშიც, სადაც მზის ღმერთის სიმბოლოა ფრთოსანი ვერძი.

ბერძნებზე ათასი წლით ადრე ხეთებსაც ჰქონდათ ოქროს საწმისის მითი. მათ საწმისი ურთხელის ხეზე – ეიაზე ეკიდათ.

პელიასი იცავს ტრადიციას – ოქროს საწმისი მისთვისაც ძალაუფლების სიმბოლიკაა. ძალაუფლება კი ქონებისაგან განუყოფელია.

## 6. ელინური ლეგენდა

ფასკუნჯი არის ოქროსფრთოსანი, ოქროსმატყლიანი ელინური ვერძის კოლხური ორეული, რომელსაც ხალხის ფანტაზიამ შეუწარმუნა ძველი ნიშან-თვისებანი – გრძნეულება, მეტყველება, შობა, ე.ი. შორეული სამყაროდან ამოსვლა, გმირთა მფარველობა (ფრიქსეს წამოყვანა), სამკურნალო ძალა (შდრ. – ჯადოქარი და მკურნალი მედეა). მაგრამ მიეცა ახალი, ადგილობრივი სახელი (შდრ. – სირაქლემა, იგივე ჩიტაქლემა, ძვ. ქართ. სირი – ჩიტი). შემდეგ კი ქანდაკებადაც გამოსახა.

ტრადიციულად ჩვენ აიეტსა და მედეას კოლხებზე ვთვლით. მაგრამ ისინი ბერძნები იყვნენ, ბერძენი კოლონიზატორები, მზის ღვთაების ჰელიოსის შვილი და შვილიშვილი. ხოლო ბერძენი სხვა ტომის შვილს ბარ-

ბაროსს უწოდებდა, როგორც უცხოსა და ველურს („ბარბაროსი“ ბერძნულად „ქვესკნელის მკვიდრს“ ნიშნავს).

საგულისხმოა, რომ კოლხეთში მოლაშქრე 50 არგონავტს შორის არის ავგიე, აიეტის ძმა – ელიდელების მბრძანებელი [24].

მაგრამ აიეტი პელაზგი იყო. ხოლო თუ პელაზგები ქართველურ სამყაროს ეკუთვნოდნენ, როგორც ამტკიცებს არაერთი მეცნიერი, მაშინ გამოდის, რომ იგი დაბრუნებია წინაპართა სამშობლოს. ამიტომ გამეფდება აქ მისი შვილიშვილი მედოსიც – მედეას ვაჟი.

ასე რომ, ოქროს საწმისის ლეგენდა ჩარჩა ხალხის მეხსიერებაში, გახდა კოლხეთის საკუთრება და კოლხურ სიტყვასა და სკულპტურაში მოექცა.

განმტკიცდა რწმენა, რომ ბერძნებმა კი არ დაიბრუნეს დაკარგული, არამედ – იაზონის სიმამაცისა და მედეას ღალატის შედეგად გაიტაცეს კოლხური ოქროს საწმისი.

## 7. ოქროს საწმისი – ფასკუნჯის ტყავი

ოქროს საწმისი უნდა ყოფილიყო კოლხურ მეტყველებაში ფასკუნჯის ტყავად სახელდებული. ამას მოწმობს ის ფაქტი, რომ წინარებერძული კო/ვ/ას, რომელიც ტყავს აღნიშნავს, კოლხური (ზანური) ტყოვისაგან ყოფილა მიღებული, როგორც მიუთითებენ თ. გამყრელიძე და ვ. ივანოვი.

ისიც საგულისხმოა, რომ ქრომოსომების მიხედვით, ცხვრის ყველა ჯიშის საწყისია ერთი ტიპი, რომელიც მოუშინაურებიათ მცირე აზიის არეალში. აქვე გამოუყვანიათ ნაზბეწ-

ვიანი ცხვრის ჯიში, რომელსაც შემდეგ მერინოსი ეწოდა.

ასეთი ჯიშის ვერძის ტყავი იქნებოდა ოქროს საწმისი.

აიეტის მეფობა, ბერძნების დამკვიდრება რიონის ხეობის კოლხეთში და არგონავტების ლაშქრობა განეკუთვნება ძვ. წ. VIII საუკუნეს.

ამ დროს უკვე ჭოროხის ხეობის კოლხეთი დაპყრობილი აქვს ურარტუს მეფე სარდური მეორეს, ხოლო ილდამუსა, გაერთიანებული კოლხეთის დედაქალაქი – გადამწვარი (ძვ. წ. 747-741 წწ.) [25].

ფასკუნჯის მითი ამის შემდეგ უნდა შექმნილიყო.

ამრიგად, მითიური მფრინავი ვერძი, ფაზისში ნაშობი ფასკუნჯი უნდა განვიხილოთ არგონავტების წრეში, მას დავუკავშიროთ, ისევე როგორც ამირანი – პრომეთეს, რაში – პეგასს, ოჩოკოჩი – სატირსა და პანს, აგუნა – დიონისეს, რაც ერთხელ კიდევ გვიჩვენებს ქართველური ტომების კულტურულ თანაზიარობას ელინურ სამყაროსთან.

### შენიშვნები:

1. ქსე, X, გვ. 238. სტატიის ავტორია მ. ჩაჩავა.
2. II, M., 1992, გვ. 291.
3. სიტყვის კონა ქართული, რომელ არს ლექსიკონი, თბ., 1949, გვ. 681.
4. ქეგელ, VI, გვ. 1127.
5. ოსკუ/ოსკუ მიჩნეულია გარეული ღორის – ტახის, ეშუს (ეშვის) სახელისაგან მიღებულად. ავიწყდებათ, რომ ძველ დროში გარეული ტახს კი არა, შინაურ ღორს არ ჰქონდა სადგომი. ოსკუ იქნებოდა ის ადგილი, სადაც იმყოფებოდა ქალი მენსტრუაციისა და მშობიარობის დროს, როგორც ახლობელთაგან იზოლირებული. ვრცლად სკუ/სქუ ძირის სიტყვებზე იხ.: ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, I-III, თბ., 2001-2002.
6. ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბ., 1990, გვ. 376-378.
7. გ. ავალიანი, ქართულ-მეგრულ-სვანური სიტყვარი, თბ., 1995, გვ. 29.
8. სკუ ძირს შეიცავს ძველბერძნული დიოსკურები, რუმინული გვარი ჩაუშესკუ (ჩაუშეს ძე, შვილი), პოლონური მალინოვსკი (სკი\_ ძე, შვილი) და ა.შ. როგორც თ. გამყრელიძე და ვ. ივანოვი მიუთითებენ, ინდოევროპული seu პრადირისაგან მოდის შვ/შვილი – Индоевропейский язык и индоевропейцы, II, Тб., 1984, გვ. 878.
9. ბ. გიგინეიშვილი, დამატებანი ქართველურ ენათა საერთო ლექსიკურ ფონდში, თსუ შრომები, 1984, ტ. 245, გვ. 36.
10. მ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, I, თბ., 1966, გვ. 71, 87.
11. ს. სიგუა, კულტუროლოგიის საფუძვლები, I, კულტურის გენეზისი, თბ., 2013, გვ., 88-89.



12. Т. Гамкрелидзе, В. Иванов, დას. წიგნი, გვ. 878.
13. ვ. თოფურია, „ენჯ სუფიქსი მეგრულში, ენიმკის მოამბე, I, 1937, შდრ. – „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება“, I, 1946, გვ. 355-358.
14. პ. ცხადაია, მიეზანი კოლხეთის ტოპონიმიდან. I, 1999, გვ. 48-51.
15. ზ. ჭუმბურიძე, დედაენა ქართული, თბ., 1987, გვ. 469.
16. ქართულ-რუსული ლექსიკონი, თბ., 1984, გვ. 1264.
17. ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973, გვ. 428.
18. იქვე, გვ. 357.
19. М. Фасмер, Этимологический словарь русского языка, III, 1987, гв. 655.
20. Т. Гамкрелидзе, В. Иванов, დასახ. წიგნი, გვ. 579.
21. გ. გობეჯიშვილი, შუა ბრინჯაოს ხანა, წიგნში: „საქართველოს არქეოლოგია“, თბ., 1959.
22. ი. ჯავახიშვილი, საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები, თბზ., ტ. XI, 1998, გვ. 163-164. ძველქართულში არსებული სიტყვა „სავრძელი“, (შემდგომში – სავარძელი), ე.ი. ვერძისათვის ანუ ბელადისათვის განკუთვნილი ხის სკამი. ე ბგერა ამოაგდო ძლიერმა მახვილმა. მახვილის შესუსტების შემდეგ აღდგა არა ე, არამედ პირველი ა-ს გავლენით გაჩნდა მეორე ა. შდრ. – „დაუდგეს სავრძელი დედასა მეფისასა“, მესამე მეფეთა, 2, 19; რუს. „Поставили престол и для матери царя“ (престол – ტახტი).
23. К. Тревер, Сенмурв \_ Паскунджи. Собака-птица, Л., 1937. ატენის ტაძრის კედელზე (VII ს.) გამოსახული ყოფილა სენმურვი (გვ. 50-52). ავტორის აზრით, ქართული ფასკუნჯი არის ირანული (ავესტის) ძალ-ფრინველის სენმურვის ორეული. მაგრამ მტკიცება გარეგნულ მსგავსებას არ სცილდება. ნ. მარი ფასკუნჯს ოსური ზღაპრების ფადონდს უკავშირებს (Изв. Ак. Наук, I, 1918), როგორც გრძნეულ და მაგიურ ფრინველს, ბ. კუფტინი – გრიფონს.
24. Мифы народов мира, I, М., 1991, гв. 100.
25. აპოლონიოს როდოსელი, არგონავტიკა, თბ., 1975, გვ. 48.
26. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, თბ., 1970, ტ. I, გვ. 387. ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორია, თბ., 1988, გვ. 345.





## *Tamaz bibil uri*

### ქართველი ერი და ეროვნული მოძრაობა

*„სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ  
მამა-პაპათაგან: მამული, ენა და სარწმუნოება.“*

*ილია ჭავჭავაძე*

ერის წარმოშობა საუკუნეების მანძილზე ხალხთა ცხოვრების მიმდინარე პროცესის შედეგია და ადამიანთა ჩამოყალიბებულ ერთობას წარმოადგენს. ერისათვის დამახასიათებელი ნიშნები უძველესი დროიდან იქმნებოდა და საბოლოოდ, საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარების შედეგად, კაპიტალისტურ და სოციალისტურ ფორმაციაში მიაღწია სრულყოფის დონეს.

კაცობრიობის ისტორიის საწყის ეტაპს, პირველყოფილი გვაროვნული წყობილება წარმოადგენდა. საგვარეულოს ერთნაირი ადათ-წესები ჰქონდა; საუბრობდნენ ერთ ენაზე. შემდეგ მოხდა საგვარეულოების დაახლოება და გაერთიანების საფუძველზე წარმოიშვნენ ტომები. მათ ჰქონდათ საერთო ტერიტორია, ერთი საერთო ენა და ერთნაირი ზნე-ჩვეულებები.

ერის ძირითადი ნიშნებია მამული, ანუ ქვეყნის ტერიტორია და ხალხის სახელმწიფო ენა, აგრეთვე მმართველი ხელისუფლება, მისი პოლიტიკური ორიენტაცია და არჩევანი.

ქართველ ტომთა გაერთიანებაზე და მათ განვითარებაზე შეგვიძლია ადვილად ვისაუბროთ, ძველი წელთაღრიცხვით IV-III საუკუნეებიდან,

განსაკუთრებით ფარნავაზის მეფობის დროიდან. ეს იყო პერიოდი, ქართული სახელმწიფოებრიობისა და საერთო ენის ჩამოყალიბებისა. ამ დროიდან, ქართველ ხალხს შეიძლება ერი ეწოდოს.

XX საუკუნის ბოლო წლებში და XXI საუკუნის დასაწყისში, მსოფლიოს მოწინავე ქვეყნების პოლიტიკურ წრეებში და საზოგადოებრიობაში წამოწეულია საკითხი, — სხვადასხვა კონტინენტებზე არსებულ სახელმწიფოთა და იქ მცხოვრებ ხალხთა გაერთიანებისა, მათი პოლიტიკური, საზოგადოებრივი და სხვა სახის კავშირის (ან სტრუქტურის) ჩამოყალიბებისა. ერთა კავშირი და ხალხთა ურთიერთობა მიმზიდველი იდეაა, მაგრამ მისი განხორციელება ერთი ხელმძღვანელი ორგანიზაციისა ან ადამიანთა ერთი ჯგუფის მიერ შეუძლებელია. ერთიანი მსოფლიო, ერთი საერთო ენით ძნელი წარმოსადგენია. იძულებით ან სხვა საშუალებით ერებისა და მათი მშობლიური სალაპარაკო ენის მოსპობა შეუძლებელია. წარსულში ბევრმა ერმა ვერ გაუძლო ძალადობას და შემოსევებს. მაგალითად, მოსპეს ისეთი ერები როგორც იყვნენ: რომაელები, სარმატები, სკვითები, შუმერები და სხვ. ზოგმა კი გაუძლო და გადარჩა.

## 1. მამული

მამული მაშინ არის ერთიანი, როდესაც მასში მცხოვრებ ძირითად ეთნიკურ ჯგუფს აქვს ტერიტორია და ერთ მმართველობას ემორჩილება. ქართველი ერის შემადგენლობაში შედის მხარეები, რომელთა მცხოვრებნი ერთმანეთის გვერდით არსებობდნენ. წარსულში, საქართველოს ტომები თავიანთ სამთავროებში გამოკეტილნი იყვნენ, საკუთარ ინტერესებს არ ცილდებოდნენ, ზოგჯერ ერთმანეთს ებრძოდნენ, მაგრამ როცა ქვეყანას საფრთხე ემუქრებოდა, ახერხებდნენ საერთო ენის გამოწახვას, ერთმანეთის გვერდით იბრძოდნენ. ქართველებს იშვიათად ჰქონდათ მშვიდი ცხოვრების საშუალება. დავით აღმაშენებელმა ყველა მხარის გაერთიანებით შეძლო ძლიერი, დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნა. თამარ მეფის დროსაც ასეთ პირობებში ცხოვრობდა ერი.

მამულის სიცოცხლისუნარიანობის აუცილებელი პირობაა სახელმწიფო, როგორც ქვეყნის ხელმძღვანელი პოლიტიკური და ეკონომიკური ორგანო. ქვეყანა და ხალხი თუ არ არის ერთი სახელმწიფოს მმართველობაში და სხვა ქვეყნის ხელისუფლებას ემორჩილება, მაშინ იქ მცხოვრებნი ერად არ ჩაითვლება.

ერის წიაღში არსებობდნენ სოციალური ფენები, იქმნებოდა ახალი სოფლები და ქალაქები, ვითარდებოდა სავაჭრო და სამრეწველო ცენტრები, მწიგნობრობა და ა. შ. ყოველივე ეს ქმნიდა ცივილიზაციას. ერისა და ქვეყნის საზოგადოებრივი და მატერიალური განვითარების ასეთ დონედ, საქართველოში ფარნავაზის მეფობის ეპოქა უნდა მივიჩნიოთ.

როდესაც ერი კარგავს სახელმწიფოებრივ თავისუფლებას (მას დამპყრობელი განაგებს), ქვეყანაში იწყება ბრძოლა დამოუკიდებლობის აღდგენისათვის. თუ ეს მშვიდობიანი ან შეიარაღებული საშუალებით არ განხორციელდა, მაშინ იწყება ერის მოსპობა.

საქართველოს ისტორია მდიდარია ხალხისა და მისი წინამძღოლების გმირობისა და თავდადების ეპიზოდებით. ასე რომ არ ყოფილიყო, ქართველი ერი ვერ გაუძლებდა გამანადგურებელ შემოსევებს. ამის დასტურად, საკმარისია წარსულიდან გავიხსენოთ ზოგიერთი მოვლენები, ქართველთა წარმატებული სახელმწიფოსა და მისი ხალხის ბრძოლისათვის თავისუფლებისათვის:

ქართლის (იბერიის) მეფე ფარსმან II-ის მიერ, ამიერკავკასიაში ტერიტორიის პრობლემის მოგვარების შემდეგ, ანტონიუს პიუსის (138-161 წწ.) მმართველობის დროს, ურთიერთობა რომსა და იბერიას შორის გაუმჯობესდა. ამის შედეგად ფარსმან II ოჯახითა და იბერთა დიდებულების თანხლებით ეწვია რომს, სადაც ქართველთა პატივსაცემად დაიდგა ცხენოსანი ფარსმანის ქანდაკება;

დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის დროინდელი საქართველო სახელმწიფოებრივად და ეკონომიკურად მოწინავე ქვეყანას წარმოადგენდა და საკადრის პასუხს აძლევდა დამპყრობელს. თამარის ეპოქაში დაიწერა საქართველოს ოქროს ხანის სიმბოლო – შოთა რუსთაველის პოემა – „ვეფხისტყაოსანი“.

XIII საუკუნის 20-იან წლებში საქართველოში გამოჩნდნენ მონღოლები. მომდევნო ათწლეულებში მათ დაიპყრეს საქართველო. მონღოლების ბატონობის პერიოდში ეკონომიკა

განადგურდა, აყვავებული ქალაქები დაინგრა.

ეროვნული მოძრაობა იწყება მაშინ, როდესაც მას იმორჩილებს გარეშე მტერი, როდესაც ერის წიაღში აღმოჩნდება ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დამწყებთა ჯგუფი, რომელიც დარაზმავს და მთავარი მიმართულებით წაიყვანს ეროვნულ ძალებს. ასეთი საინიციატივო ჯგუფის წევრები არიან სოციალური ფენიდან ან რომელიმე კლასიდან გამოსული, პატრიოტი პიროვნებები.

ეროვნული მოძრაობის მაგალითია, ქართველ დიდებულთა კოხტასთავის შეთქმულება მონღოლთა წინააღმდეგ (დაახლოებით 1245 წ. ჯავახეთში). ეს შეთქმულება გამჟღავნდა. მონღოლებმა შეიპყრეს ქართველი დიდებულები და ნოინის ბრძანებით გაშიშვლებული შეთქმულნი მოედანზე, მცხუნვარე მზის ქვეშ, მხარგაკრული დასხეს. დატყვევებული შეთქმულნი თავგანწირული სიკვდილით იხსნა ცოტნე დადიანმა.

მეფეების \_ გიორგი ბრწყინვალესა და ალექსანდრე დიდის დროს, საქართველო ხელახლა მთლიან სახელმწიფოდ იქცა, თუმცა ადრინდელ ძლიერებასა და ბრწყინვალეობას ვერ მიაღწია. ბიზანტიის დამხობამ და კონსტანტინეპოლის აღებამ თურქების მიერ მეთხუთმეტე საუკუნის შუა წლებში, კატასტროფული გავლენა იქონია ქრისტიანულ საქართველოზე. ქვეყანა დიდი ხნით მოწყდა ცივილიზებულ დასავლეთს. დიდი სავაჭრო-საქარავნო გზა, რომელიც ევროპას ბიზანტიისა და საქართველოს ტერიტორიების გავლით აზიის ქვეყნებთან აკავშირებდა, ფაქტობრივად გაუქმდა. პორტუგალიელებმა ევროპა-ინდოეთის სავაჭრო ურთი-

ერთობის აღსადგენად ახალი გზა აღმოაჩინეს აფრიკის გარშემო. მას შემდეგ საქართველო, რომელიც მსოფლიო მნიშვნელობის სახელმწიფოდ ითვლებოდა, გაღარიბდა და კაცობრიობის მოწინავე ქვეყნების პერიფერიად იქცა.

XVII-XVIII საუკუნეების მიჯნაზე დაქუცმაცებული სამეფოები და სამთავროები განიცდიდნენ ოსმალეთ-სპარსეთის ბატონობას. ეს ორივე მტრულად განწყობილი სახელმწიფო იბრძოდა საქართველოს დასაპყრობად, რომ გაეძარცვათ და დაპატრონებოდნენ შავი ზღვის სანაპიროს, მთავარ სავაჭრო გზებს და სხვ.

საქართველოში ეროვნული მოძრაობა ხშირად აჯანყების სახით ეწყობოდა, მაგალითად:

1. 1615 წელს, კახეთში აჯანყებამ იფეთქა. ეს იყო მოსახლეობის ბრძოლა ყიზილბაშ დამპყრობთა წინააღმდეგ. აჯანყება 15 სექტემბერს, ალავერდობას დაიწყო, მას სათავეში ედგნენ ნოდარ ჯორჯაძე და დავით ჯანდიერი. შეიარაღებული ქართველები შევიდნენ ალავერდის ეკლესიის გალავანში, სადაც ყიზილბაში მეციხოვნეები იდგნენ და დათქმულ ნიშანზე ამოხოცეს ისინი. აჯანყებულებმა თეიმურაზ I მეფედ მიიწვიეს. იგი კახეთში ჩავიდა და სათავეში ჩაუდგა აჯანყებას. შაჰ აბას I-მა აჯანყების ჩასახშობად 15 ათასიანი არმია გაგზავნა. ყიზილბაშების სარდლობასთან მყოფი ქართველები მტერს თეიმურაზ I-ის ლაშქრის მოძრაობის გზას უმაღლავდნენ, ხოლო სპარსელთა ჯარის გეგმებს აჯანყებულებს ატყობინებდნენ. ამით ისარგებლა თეიმურაზ I-მა და 5-6 ათასი კაცით დაამარცხა მტრის ჯარი.

2. მნიშვნელოვანია კახეთის 1659 წლის აჯანყებაც. სპარსელებმა გადა-

წყვიტეს კახეთში ადგილობრივი მოსახლეობის განადგურება, გარკვეული ნაწილის (ახალგაზრდა ქალებისა და ვაჟების) გასახლება და იქ მომთაბარე – მეჯოგე ტომთა დასახლება. ყიზილბაშებმა დაიწყეს კახეთში ციხეების აგება (ბახტრიონი, ალავერდის მონასტერი ციხესიმაგრედ გადააკეთეს და სხვ.), რომელთა გარნიზონებს ჩასახლებული თურქმანები ქართველთა თავდასხმისაგან უნდა დაეცვა. კახეთის ტერიტორია ორად გაყვეს: სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი ყარაბაღის ბეგლარ-ბეგს გადასცეს, დანარჩენი – ნახჭევანის მმართველს, რომელთაც მათზე დაქვემდებარებული ელეები (უბინადრო მომთაბარე, მეჯოგე ხალხის ტომი) კახეთში უნდა დაესახლებინათ. აღნიშნულის შედეგად, კახეთის ბარში 80 ათასამდე თურქმანი ჩასახლეს. კახეთი მოსპობის საფრთხის წინაშე დადგა. თურქმანთა ჩასახლების წინააღმდეგ დაიწყო ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, რომელშიც ადგილობრივი მოსახლეობის დიდი ნაწილი ჩაება. აჯანყებას სათავეში ჩაუდგა ზაალ არაგვის ერისთავი. უშუალო ორგანიზატორები იყვნენ ბიძინა ჩოლოყაშვილი, შალვა ქსნის ერისთავი და მისი ძმა ელიზბარი. აჯანყებაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს თუშფშავ ხევსურებმა. ქართველები გაერთიანებული ძალით თავს დაესხნენ ბახტრიონისა და ალავერდის ციხეებს და ამოწყვიტეს იქ გამაგრებული მტერი. კახეთის აჯანყების შედეგად ადგილობრივი მოსახლეობა გადაშენებას გადაურჩა.

## 2. სახელმწიფო ენა

ერის ერთ-ერთი ძირითადი ნიშანი სახელმწიფო ენაა. ევოლუციუ-

რი ცვლილებების შედეგად ჩამოყალიბდა ქართველი ერის საკუთარი – ქართული ენა. როგორც მსოფლიოს სრულყოფილ ქვეყნებს, საქართველოს ჰქონდა უძველესი სახელმწიფოებრივი ტრადიციების ენა. ლექსიკური მარაგით ქართული ენა ერთ-ერთი უმდიდრესია არამართო შორეულ წარსულში არსებულ ხალხთა ენებს შორის, არამედ თანამედროვე ცოცხალ ენათა შორის. კუთხურობა და დიალექტი დაბრკოლებას არ წარმოადგენდა. ამ ენით შეიქმნა საგანძური ქართული ზეპირსიტყვიერებისა და ლიტერატურისა.

კაცობრიობის მოწინავე ქვეყნებმა არ იცის ანალოგი, როცა ერი რამდენიმე სახელმწიფო ენაზე ლაპარაკობს. მშობლიური ენა ერთია.

1801 წლიდან, საქართველოში ძირძველი ქართული ტერიტორიის ანექსიის შემდეგ, რუსეთის ცარიზმს მცდელობა ჰქონდა ქართველი ერის მოსპობისა. სახელმწიფო და პოლიტიკური მმართველობა გააუქმა, მოსპო ბაგრატიონთა მეფობა და რუსული მმართველობა შემოიღო ადგილობრივი ხალხისათვის გაუგებარი ენის გამოყენებით. სასწავლებლებში რუსული ენა იქნა შემოღებული.

საქართველოში მყოფი რუსეთის ცარიზმის წარმომადგენლები და ქართველი საზოგადოებრიობის ზოგიერთი ელემენტები, აფერხებდნენ ეროვნული ინტერესების დაცვას, ცდილობდნენ ქართული ენის განდევნას.

1872 წელს, გაზეთ „კავკაზის“ დამატების სახით გამოქვეყნდა ბროშურა სათაურით – „О существе национальной индивидуальности и об образовательном значении крупных народных единиц“ [1]. ავტორი ამტკიცებდა, რომ თანამედროვე პირო-

ბებში ცივილიზაციის გადამწყვეტი ძალა დიდი ერები არიან და მცირე ერებისათვის სასარგებლოა დაივიწყონ საკუთარი არსებობა და დიდ ერებს შეერწყნონ. ამ ბროშურამ უარყოფითად განაწყო მოწინავე საზოგადო მოღვაწენი. გაზეთ „დროების“ რედაქტორი სერგეი მესხი წერდა: „პატარა ხალხები უნდა „გაუქმდნენო“, იმათი ენა უნდა მოისპოს და თვითონ იმათ დიდი ხალხების ენა უნდა შეითვისონო! ღმერთმანი, კაცი იფიქრებს, რომ უცნობ ავტორს ხალხები და იმათი ენა რომლისამე დეპარტამენტის თანამდებობათ მიაჩნიაო! თითქო ხალხისა და ენის გაუქმება ისე ადვილი და შესაძლებელი იყოს, როგორც რომლისამე თანამდებობისა დეპარტამენტში!“. „იმას ერთი კალმის მოსმით ჰსურს შესცვალოს ხალხის ხასიათი, ჩვეულება, ცხოვრება; ჰსურს წაართვას მას მშობლიური ენა, რომელიც ყველაზე უფრო ძვირფასია კაცისათვის და რომლის წართმევა თითქმის სიცოცხლის წართმევას უდრის!“ [2].

გაზეთ „დროებაში“ გამოქვეყნდა სერგეი მესხის პუბლიცისტური წერილი სათაურით, \_ „რა მოეთხოვება გაზეთს?“ ამ პუბლიკაციაში ს. მესხი ყურადღებას ამახვილებს სამშობლოსადმი დამოკიდებულებაზე; მისდამი ზრუნვაზე და ქართული ენის შესახებ. ავტორი წერს: „როგორც ეს თავად-აზნაურობა, ეს ესრედ-წოდებული მოწინავე ნაწილი საზოგადოებისა, აგრეთვე მთელი ქართველობა ამ ჟამად ისეთს მდგომარეობაშია, რომ თითქო იმას ავიწყდება ყოველივე სამშობლო: ავიწყდება სამშობლო ისტორია, ძველი ქართველების მხნე და ხანდისხან დიდებული ცხოვრება, ავიწყდება სამშობლო ენა, ყოველივე ნაციონალური თვისება და ხა-

სიათები; ავიწყდება და თითქო გულხელ დაკრებილი ღვთის განგებას და თავის ბედის წერას მიენდო; უძნელდება აწმყო ცხოვრება, ეზარება წარმოდგენა მომავალი ბედისა და ცხოვრებისა“.

„ამისთანა დროში, ამისთანა გარემოებაში ქართულს ლიტერატურას ერთი მოვალეობა აქვს:

თვალი გამოაჭყეტინოს ხალხს; წარსული ისტორიული ცხოვრების მოგონებითა და განათლებული ხალხების გაცნობით გამოადვიდოს, გააგებინოს, რომ ერთს წერტილზე გაჩერება დამღუპველია ხალხისთვის, რომ ვისაც სიცოცხლე, კაცური სიცოცხლე სურს ამ დედა-მიწაზე, ის ყველაზე პირველად ხელს უნდა ანძრევდეს, თავის თავს უნდა იცნობდეს, თავის სამშობლო ენას არ უნდა ივიწყებდეს.

ყველაზე უფრო საშიში ის არის, როცა ხალხი თავის ქვეყნის საქმეებს და სამშობლო ენას გულ-გრილად დაუწყებს ცქერას. და ეს ბედი მოელის ქართველ ხალხს.

თუ ამ დროის ქართულმა ლიტერატურამ იმდენი ძალა და გამჭრიახობა გამოიჩინა, რომ ამ გზას ააცილა ქართველობა, თუ ცოტათი მაინც შეაყვარა ქართველს ქართული ენა, ქართველების სამშობლო და რამდენიმე ისეთი აზრი დასთესა საზოგადოებაში, რომელიც ქართველს თვალებს გამოაჭყეტინებს და წარმატებისა და უკეთესი მომავლის სურვილს აღუძრავს, \_ ამის მეტს, ახლანდელ მდგომარეობაში, ქართულ ლიტერატურას ნურასა მოსთხოვთ; ესეც დიდი დამსახურება იქნება.“ [3].

სერგეი მესხმა საყვედური გამოთქვა გაზეთ „გოლოსის“ რედაქტორის მიმართ, რომელმაც პედაგოგიურ კამათს პოლიტიკური ხასიათი მისცა. მან აღნიშნა: „მე რომ გამოვსთქვა,

მაგალითად, ის აზრი, რომ ყმაწვილს პირველდაწყებითი სწავლა ყოველთვის მშობლიურს ენაზე უნდა გადასცეს მასწავლებელმა, მეთქი, ნუ თუ ამ აზრის გამოთქმისთვის, მე საქართველოს დამოუკიდებლობისა და აღდგინების სურვილი და განზრახვა უნდა შემწამონ? სწორეთ ამნაირათ იყო ეს საქმეც; სომხურმა გაზეთმა „მშაკმა“ და ქართულმა – „დროებამ“ რამდენჯერმე გამოთქვეს თავის აზრი ადგილობრივი ენების შესახებ; ისინი ამტკიცებდნენ, რომ ყმაწვილს უცხო ენაზე სწავლა ათას წილათ უფრო უჭირს, ვიდრემ მშობლიურზე; ისინი ამტკიცებდნენ, რომ ადგილობრივი ენების (განსაკუთრებით ქართულის, სომხურის და ზოგან თათრულის) მოსპობა სასწავლებლებში შეუძლებელი საქმეა, რადგან უიმათოთ ხალხს, რომელსაც რუსული სრულიად არ ესმის, ვერაფერს გავაგებინებთო და სხვა. ნუ თუ ამ წმინდა პედაგოგიური და საზოგადო აზრების გამოთქმისათვის რაღაც პოლიტიკური განზრახვა უნდა დაგვბრალდეს ჩვენ? განა მართო ჩვენ გამოვსთქვით ეს აზრი? თქვენს გარშემო, რუსულს ლიტერატურაში მიიხედ-მოიხედეთ, უფალო „ხმის“ პუბლიცისტო, და დაინახავთ, რომ საუკეთესო რუსის მწერლები და პედაგოგები ამგვარი აზრისანი არიან“ [4].

„დროების“ რედაქცია წერდა, რომ როცა რუსიფიკატორები რუსეთის იმპერიის ხალხებზე ლაპარაკობენ ლოგიკა იცვლება და ჩვენი გვართომის ენის შეცვლას გვირჩევენ, მაგრამ არაფერი გამოუვათ. ამის შესახებ პუბლიკაციაში აღნიშნულია: „იმ ხალხს, რომელსაც ისტორიულად უცხოვრია, რომელსაც თავის საკუთარი ლიტერატურა და ცოტაც არის შემუშავებული ენა აქვს, – ამ გვარ

ხალხს, თუნდა ერთი მუჭა ხალხიც რომ იყვეს, ვერც რჩევით და ვერც ნება-ყოფლობით ვერ გამოაცვლევენებთ, ვერ მოასპობინებთ თავის თან – შეზრდილ, თან-შეხორცებულ ენასა და ლიტერატურას; ვერ მოასპობინებთ იმიტომ, რომ ეს ენა და გვართომობა იმას თავის არსებობის საფუძვლად მიაჩნია“ [5].

ს. მესხმა „დროებაში“ მოათავსა წერილი სათაურით „ახალი მოვალეობა“. ავტორი მიესალმა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს შემოერთებას. ეს მოვლენა მიიჩნია ქართველი ერის კონსოლიდაციის მნიშვნელოვან ფაქტად, რომელსაც ახალი მოვალეობის დაკისრებად აღიქვამდა. ავტორი წერდა: „ჩვენ გვინდა დღეს მოვილაპარაკოთ ერთს საშუალებაზე, რომელიც, ჩვენის აზრით, უმთავრეს და უპირველეს საშუალებად უნდა ჩაითვალოს.

ეს საშუალება არის ქართული ენისა და წერა-კითხვის გავრცელება მაჰმადიან ქართველებში.

ამისათვის, როგორც მოგეხსენებათ, ერთი გზა არის: სახალხო შკოლა. ამ გზის აცილება არ შეიძლება. ახლადშემოერთებულს ოსმალეთის საქართველოში რაც შეიძლება ბევრი და კარგი შკოლები უნდა გაიხსნას. და უნდა გაიხსნას უეჭველად ქართული შკოლები, ე. ი. ისეთები, რომლებშიაც ყველა საგნების სწავლა ქართულს ენაზედ იყოს, რადგან ეს ენა ყველა იმათთვის მშობლიურია, ყველასთვის გასაგები ენაა.“ ამავე პუბლიკაციაში აღნიშნულია: „შკოლებს სახელმძღვანელო წიგნები დასჭირდება, წერა-კითხვის მცოდნე ხალხს – საკითხავი წიგნები. აი აქ იწყება უმთავრესი ზნეობითი მოვალეობა ჩვენი განათლებული საზოგადოებისა [6].

ილია ჭავჭავაძე აღნიშნავდა, რომ „არსებითი ნიშანი ეროვნობისა, მისი გული და სული – ენაა, ამიტომაც ტლანქი ხელი უმეცარის მოხელეობისა ყველაზედ უწინარეს ენას მისწვდა“. მათი აზრით, სახელმწიფოს ერთიანობის საფუძველი ერთი სახელმწიფო ენაა, მრავალენიანობის აღიარება იმპერიას დამლთ ემუქრებოდა. აკრიტიკებდა რა მოხელეთა „უგუნურ“ აზრებს, ილია აღნიშნავდა, რომ რამდენიმე ხნის წინათ სარწმუნოების მრავალგვარობა სახელმწიფოს დამშლელ ფაქტორად იყო გამოცხადებული, მაგრამ დროთა ვითარებამ დაამტკიცა, რომ ერთი სახელმწიფოს საზღვრებში კარგად თავსდება სხვადასხვა სარწმუნოება. „მოვა დრო, და გვგონია – დიდის ხნის ლოდინიც არ მოგვინდეს, რომ ენის შესახებაც იმას იტყვიან, რასაც ეხლა რჯულის შესახებ ბრმანიცა და თვალხილულნიც ამბობენ ეთხმად. მოვა დრო, როცა უმეცარნი და ძალად-მაცხოვნი მოხელეებიც კი დაინახავენ, რომ ჩეხს შეუძლიან თავისი სკოლა, თავისი შინაური საქმეები თავისის დედა-ენის შემწეობით მოაწყოს და ავსტრიის იმპერიის ერთობა ამითი არამც თუ შეირყეს, უფრო გაძლიერდეს და განმტკიცდეს“ [7].

### **3. მმართველი ხელისუფლება და პოლიტიკური ორიენტაცია (XVIII ს.)**

საქართველოს, როგორც მონარქიული სახელმწიფოს ხელისუფლების მეთაურის სახელწოდება იყო – მეფე. მეფის ხელისუფლება წარმოიშვა ტომობრივი ურთიერთობების რღვევისა და კლასობრივი საზოგადოების მქონე სახელმწიფოს წარმოქმნის პერიოდში. ასეთი პროცესი საქართველოში ძვ. წ. II საუკუნის ათასწლეულის

მიჯნაზე განვითარდა. ახ. წ. V საუკუნეში სპარსელებმა და ბიზანტიელებმა საქართველოში მეფის ხელისუფლება გააუქმეს. მეფობის აღდგენის შემდეგ, IX საუკუნის დასასრულს „ქართუელთა მეფის“ ტიტული პირველად ადარნასე II ბაგრატიონმა მიიღო. ფეოდალური საქართველოს ერთიანებისას ჩამოყალიბდა ქართველ მეფეთა წოდება – „მეფეთამეფე“ მეფე აფხაზთა, ქართუელთა, რანთა და კახთა“. მეფის ხელისუფლება საქართველოში XIX საუკუნის დასაწყისამდე, – ქართლ-კახეთისა და იმერეთის სამეფოების რუსეთთან შეერთებამდე არსებობდა.

საუკუნეების მანძილზე, საქართველო მონარქიული მმართველობის ქვეყანას წარმოადგენდა, რომელშიც შესაბამისი სახელმწიფო წყობისათვის დამახასიათებელი სისტემა არსებობდა.

საკანონმდებლო დოკუმენტები, რომლებმაც ჩვენამდე მოაღწია, ფეოდალიზმის ხანას განეკუთვნება, მათი გათვალისწინებით შესაძლებელია იმდროინდელი ხელისუფლების სტრუქტურული მმართველობის განსაზღვრა. XVIII საუკუნის I ნახევარში, საქართველო ხშირად ირანისა და ოსმალეთის ბატონობას განიცდიდა, ამიტომ აღმოსავლეთის ქვეყნებისათვის დამახასიათებელი მმართველობის გავლენას განიცდიდა. XVIII საუკუნის მეორე ნახევარში კი, რეორგანიზაციის შედეგად მმართველობა ძირითადად ევროპული და რუსული სისტემით შეიცვალა.

XVIII საუკუნეში, ქართლ-კახეთი მონარქიულ სახელმწიფოს წარმოადგენდა, რომლის სათავეში იყო მეფე. მეფობა მემკვიდრეობითი იყო. მეფე საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებას ახორციელებდა



„დარბაზის“ საშუალებით, რომელშიც გაერთიანებული იყვნენ ადგილობრივი და ცენტრალური მმართველობის წარმომადგენლები. „დარბაზი“ მეფის ხელმძღვანელობით განიხილავდა სახელმწიფო მნიშვნელობის საკითხებს და დადგენილებებს იღებდა მეფის თანხმობით.

ქვეყნის ხელისუფლება, თუ რა პოლიტიკურ კურსს განახორციელებდა, ანუ რა ორიენტაციას დაადგებოდა, ამას უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მშობლიური ხალხისათვის. ისტორიულად, საქართველო და მისი მოსახლეობა დამოუკიდებელ, ნეიტრალურ ქვეყანას წარმოადგენდა. არასოდეს სხვა ქვეყანას არ იპყრობდა. ავბედობის ჟამს, ანუ ფიზიკური განადგურების შიშისა და გადარჩენის სურვილის გამო, საქართველოს ხელისუფლება იძულებული გახდა მფარველი მოეძებნა. ასეთი პერიოდი, ანუ გადამრჩენელი ორიენტაციის დრო იწყება XVI საუკუნიდან.

XVI საუკუნის დამლევიდან, დაიწყო ირანისა და ოსმალეთის ბრძოლა სამხრეთ კავკასიისათვის. სამეფოსამთავროებად დაშლილი საქართველო და მისი მოსახლეობა მოსპობის საფრთხის წინაშე დადგა, რომელიც უფრო გაძლიერდა მას შემდეგ, რაც ირანმა (სამხრეთ-აღმოსავლეთიდან) და ოსმალეთმა (ჩრდილო-დასავლეთიდან) მთელ საქართველოში შეაღწიეს და მოსახლეობის ნაწილი გაამაჰმადიანეს. საქართველოს გარშემო შეიკრა, აგრესიულად განწყობილი მუსლიმანური ქვეყნების წრე. ამ დროს ქართველ მეფეთა წინაშე მწვავედ დაისვა საკითხი მოკავშირის მოძიების თაობაზე.

მოსკოვის დიდი მთავარი ივანე III-ის სახელმწიფო მოღვაწეობის

დროს, დასრულდა რუსეთის ცენტრალიზებული სახელმწიფოს შექმნა. ივანე III-ის დროს, რუსმა ხალხმა საბოლოოდ მოიშორა მონღოლ-თათართა უღელი (1480 წ.) და გაიზარდა მოსკოვის საერთაშორისო ავტორიტეტი. მოსკოვის სახელმწიფოს გაძლიერება მხედველობიდან არ გამორჩათ ქართველ სახელმწიფო მოღვაწეებს. 1491 წელს, კახეთის მეფე ალექსანდრე I-მა ელჩობა გაგზავნა მოსკოვში, რითაც საფუძველი ჩაეყარა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის მნიშვნელოვან ეტაპს.

XVI საუკუნეში ვასილ III-ის (1505-1533 წწ.), განსაკუთრებით კი ივანე IV მრისხანის მეფობის პერიოდში (1533-1584 წწ.), რუსეთის სახელმწიფო მნიშვნელოვნად გაძლიერდა. ივანე IV-ემ შეძლო ოქროს ურდოს დაშლის შემდეგ წარმოქმნილი ყაზანისა (1552 წ.) და ასტრახანის (1556 წ.) მონღოლური სახანოების გაუქმება. ასტრახანის დაპყრობის შემდეგ ივანე IV-მ სამხრეთში სამხედრო ოპერაციები შეეწყვიტა. იმ დროს, რუსეთის სახელმწიფოს სტრატეგიულ ამოცანად იქცა ბალტიისპირეთის დაპყრობა. XVII საუკუნის დამდეგს, რუსეთს ერთდროულად ებრძოდნენ შვედეთი და პოლონეთი. მუდმივი აგრესიის პირობებში რუსეთის იმპერიამ საქართველოს რეალური დახმარების გაწევისათვის ვერ მოიცალა, ანუ ვერ გახდა რეალური მფარველი.

ქართველი მეფეების ალექსანდრე II-ისა და თეიმურაზ I-ის პრორუსული ორიენტაცია ბევრი მიზეზით იყო გამოწვეული. მათ შორის მნიშვნელოვანი იყო: ევროპის სახელმწიფოების ხელისუფალთა და კათოლიკური და მართლმადიდებლური სამყაროს ინტერტულობა, დაუინტერესებულობა

სამხრეთ კავკასიით; აგრეთვე – ჩრდილოეთით რუსული მიწების გაერთიანება და მართლმადიდებლური სახელწიფოს – რუსეთის გამლიერება.

პრორუსული ორიენტაცია იყო ერთ-ერთი საბაზი, რასაც შეეწირა ალექსანდრე II (ირანის შაჰმა მოაკვლევინა მისსავე გამაჰმადიანებულ შვილს) და თეიმურაზ I (ირანის შაჰის ტყვეობაში გარდაიცვალა). პრორუსული ორიენტაციის შედეგი იყო ქართლის და კახეთის სამეფო ტახტზე გამაჰმადიანებული ბაგრატიონების როსტომის (1632-1658 წწ.), ვახტანგ V შაჰნავაზის (1658-1675 წწ.), გიორგი XI-ის (1675-1709 წწ.), ერეკლე I ნაზარალიხანის (1688-1709 წწ.), ქაიხოსროს (1709-1711 წწ.) და დავით II იმამ-ყულიხანის დასმა შაჰის მიერ.

ქართული სახელმწიფოს ორიენტაციის საქმეში გამოირჩევა მეფე ვახტანგ VI-ის წვლილი, რომელიც იყო უმკაცრესი დროის უადრესად პროგრესულად მოაზროვნე სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე, მეცნიერი და პოეტი.

ვახტანგ VI-ის პოლიტიკური მოღვაწეობიდან გამოირჩევა პერიოდი, როცა იგი ქართლის განმგებელი (ჯანიშინი) იყო (1703-1714 წწ.). 1703 წლიდან ოცდარვა წლის ვახტანგი ენერგიულად შეუდგა ქართლის სამეფოს მართვას. ბრძოლა გამოუცხადა თავნება დიდგვაროვან თავადებს, დაიწყო სარწყავი არხების აღდგენა და ახლის გაყვანა, გზებისა და ეკლესია-მონასტრების შენება-შეკეთება და სხვ. ვახტანგის ინიციატივითა და აქტიური მონაწილეობით დამუშავდა ორიგინალური ქართული ადმინისტრაციულ-სამეურნეო წესდება ე. წ. „დასტურლამალი“. ჩატარდა მოსახლეობის აღწერა. შეისწავლა ძველქარ-

თული, ებრაული და სომხური სამართლის წიგნები, რის საფუძველზეც შექმნა „სამართლის წიგნი“, რომელიც მთელი საქართველოს მასშტაბით გამოიყენებოდა. აკრძალა ქართველი ქალიშვილებისა და ჭაბუკების გაგზავნა ირანში.

1709 წლის აპრილში დაიღუპა გიორგი XI, – ავღანეთის ერთ-ერთი ტომის ბელადმა მირ-ვეისმა ყანდაარში სანადიმოდ მიწვეული გიორგი ვერაგულად, ღალატით მოკლა. შაჰსულთან-ჰუსეინმა რჯულის გამოცვლა უბრძანა ვახტანგს, რის სანაცვლოდაც ქართლის მეფობას სთავაზობდა. გარიგება შედგა, კომპრომისი აუცილებლობით იყო ნაკარნახები. ვახტანგ VI ჰუსეინ ყული-ხანი გახდა. 1719 წელს, ვახტანგი თბილისში დაბრუნდა და გამეფდა.

1722 წლის დამლევს, ვახტანგის მდგომარეობა გართულდა, როცა ავღანელებმა ირანს შეუტყეს. დაიძაბა ურთიერთობა ვახტანგსა და კახეთის მეფე კონსტანტინეს შორის. დამარცხდა ვახტანგი, რომელიც ჯერ გორში, მერე კი ცხინვალში გაიხიზნა. იმ დროს გახშირდა ლეკიანობა და გააქტიურდნენ ვახტანგის მოქიშპე ფეოდალები. 1724 წლის ივლისში, ქართლის მეფე რუსეთს გაემგზავრა. მის ამაღლებაში, ვახტანგ ამილახვარის სიის მიხედვით, 1200 კაცი იყო, რჩეული ქართველობა. ვახტანგი ასტრახანში ჩავიდა, აქედან კი 1725 წლის მარტში მოსკოვს გაემგზავრა, ხოლო 6 მაისს პეტერბურგში ჩავიდა. ვახტანგის იძულებით ვიზიტს შედეგად მოჰყვა ამაო დაპირებები.

1735 წლის 14 მაისს, წამებული ქართლის მეფე ვახტანგ VI ასტრახანში ჩავიდა. რუსეთის ყინვამ და ფსიქოლოგიურმა განცდებმა იმოქმედა და ჯანმრთელობა შეერყა. „მე ჩემ-

მა ბედმა არ მომცა ჟამი ჩემი ნებისა”, – წერდა მეფე. ავადმყოფობამ თავისი გაიტანა და საქართველოს მოუკვდა ვახტანგ VI, ღირსეული შვილი სამშობლოსი 1737 წლის 26 მარტს 62 წლისა. „ვაი რა ბოძი წაიქცა“-ო, ქართველი ერის გმინვად აღიქმება დავით გურამიშვილის ეს უკვდავი სტრიქონები, ვახტანგ მეფის სიკვდილმა რომ შთააგონა დიდ პოეტს.

1744 წელს, ირანის შაჰმა ნადირმა ქართლის ტახტი კახთა მეფე კონსტანტინეს ძმას თეიმურაზ II-ს, ხოლო კახეთისა თეიმურაზის ვაჟს ერეკლე II-ს უბოძა. შაჰის ერთ-ერთ მიზანს შეადგენდა ქართველ ხელისუფალთა პრორუსული ორიენტაციის შეცვლა: მომავალში ქართლისა და კახეთის სამეფოები რუსეთის პოლიტიკისა და სამხედრო ოპერაციების დასაყრდენად არ უნდა გამხდარიყო. ამიტომ ნადირ-შაჰმა ქართლის სამეფო კახეთის ბაგრატიონებს უბოძა და ამასთან ერთად თეიმურაზსა და ერეკლეს უფლება მისცა ტახტზე ქრისტიანული წესით ასულიყვნენ.

ირანში ადილ-შაჰისა და განსაკუთრებით ქერიმ-ხანის მმართველობის პერიოდში, თეიმურაზ II-მ და ერეკლე II-მ პროირანული ორიენტაციის წყალობით წარმატებას მიაღწიეს. წინა წლებთან შედარებით, განმტკიცდა სამეფო ხელისუფლება, შეჩერდა გამანადგურებელი შემოსევები, ქვეყანა აღდგენისა და განვითარების გზას დაადგა.

XVIII საუკუნის 60-იანი წლების დამდეგიდან, თეიმურაზ II-მ და ერეკლე II-მ რუსეთის იმპერიაზე აიღეს ორიენტაცია და მუსლიმურ სახელმწიფოთა აგრესიისაგან მშობლიური ქვეყნის დაცვას რუსეთის სამხედრო და პოლიტიკური დახმარებით შეეცადნენ. რამ განაპირობა

ეს: პირველ რიგში უნდა ითქვას, რომ რუსეთის ხელისუფლებას არ მოსწონდა თეიმურაზისა და ერეკლეს პროირანული ორიენტაცია. ამიტომ რუსეთის იმპერიის ხელისუფლებამ დიპლომატიური გზა აირჩია. მათ ქართლის სამეფო ტახტზე მისი კანონიერი მფლობელის-ქართლის ბაგრატიონების დაბრუნებაზე დაიწყეს ზრუნვა. თეიმურაზმა და ერეკლემ იცოდნენ, რომ ქართლის თავადები ვახტანგ VI-ს ურჩევდნენ ქართლში დაბრუნებას ან ტახტის მემკვიდრის ბაქარის გამოგზავნას. რუსეთის საიმპერატორო სამსახური ქართლის თავადების თხოვნას დაპირებებით პასუხობდა, იმავდროულად კი თეიმურაზსა და ერეკლეს აცნობებდა ამის შესახებ.

1765 წელს, ერეკლე II სასტიკად გაუსწორდა რუსეთის წარმომადგენელთა ფარული მხარდაჭერით ორგანიზებულ ქართლის თავადების შეთქმულებას (პაატა ბატონიშვილის შეთქმულება).

ქართლ-კახეთის პროირანული ორიენტაცია დასრულდა რუსეთ-ოსმალეთის 1768-1774 წლების ომის პერიოდში, რუსეთისა და ქართლ-კახეთის სამხედრო-პოლიტიკური კავშირით, რომელმაც ქართლის თავადების უმეტესობა გააღიზიანა. 1770 წელს, ასპინძასთან მოპოვებული ბრწყინვალე გამარჯვების შემდეგ, ერეკლე II-ისთვის ქართლის ტახტის ჩამორთმევას სთხოვდნენ გენერალ გოტლობ კურტ ჰანრიხ ფონ ტოტლენბენს ზაალ ორბელიანი, დავით ქსნის ერისთავი და სხვ. ამგვარი აგრესიული პოლიტიკისაგან რუსეთის იმპერიის ხელისუფლება თავს იკავებდა, მაგრამ ერეკლე II-ის დაშინების პოლიტიკას განაგრძობდა. ერეკლე II-სა და გენერალ ტოტლენბენს შორის ურ-

თიერთობის დამაბზავში წვლილი ქართლის თავადებმა შეიტანეს. ყოველივე ეს იცოდა ერეკლემ და შესაბამის დასკვნებსაც აკეთებდა. მის წინაშე დადგა საკითხი: ქართლ-კახეთის მეფეს ან პროირანული ორიენტაცია პრორუსულით შეეცვალა, ან რუსეთის იმპერია კვლავ გააგრძელებდა ქართლის ბაგრატიონებისა და თავადების მხარდაჭერას ერეკლეს წინააღმდეგ. კახეთის ბაგრატიონებმა ქართლის ტახტი ირანის შაჰის წყალობით მიიღეს და შესაძლებელი იყო ირანის დასუსტების შემთხვევაში, რუსეთს მოენდომებინა ქართლის სამეფო ტახტზე მათი ერთგული ვახტანგ VI-ის შთამომავალი დაებრუნებინა. სავარაუდოა, რომ ყოველივე ამის (და სხვა გარემოებების) გათვალისწინებით ერეკლე II-მ პროირანული ორიენტაცია პრორუსულით შეცვალა.

ერეკლე II ზეწოლას განიცდიდა, როგორც ირანის, ისე რუსეთის მხრიდან და ხანგრძლივი ფიქრის შემდეგ, პრორუსულ ორიენტაციას დაადგა. მიუხედავად იმისა, რომ 1771 წლიდან 1783 წლამდე, რუსეთის იმპერიას მნიშვნელოვანი საქმიანობა არ ჩაუტარებია ქართლ-კახეთის დასაცავად, ერეკლე II-ს ერთხელაც არ უგრძნობინებია ეკატერინე II-თვის, რომ თუ რუსეთი ქართლ-კახეთს არ დაიცავდა, იძულებული გახდებოდა ორიენტაცია შეეცვალა. პირიქით, 1783 წელს, ქართლ-კახეთი რუსეთის მფარველობაში შევიდა და შემფოთებული მუსლიმანური სამყარო გადაიმტერა.

ქართლ-კახეთი მოექცა რუსეთის გავლენის ქვეშ და იზოლაციაში მოყვა ისლამურ სახელმწიფოებთან. ირანი და ოსმალეთი ქართლ-კახეთის დასასაჯელად მოემზადნენ. ისი-

ნი შესაფერის დროს ელოდნენ. რუსეთის იმპერია გეორგიევსკის ტრაქტატის პირობებს სრულად არ იცავდა. ალა-მაჰმად-ხანმა ისარგებლა იმით, რომ ქართლ-კახეთში არ იმყოფებოდა რუსეთის ჯარის ნაწილები (რუსეთმა საქართველოში მყოფი თავისი ჯარი დროებით გაიწვია) და თავისი ლაშქრით შემოესია საქართველოს (1795 წ.). კრწანისის ტრაგიკული ბრძოლის შემდეგ, ერეკლე II თანდათან ჩამოშორდა ქვეყნის აქტიურ მმართველობას (მოხუცმა დარჩენილი სიცოცხლე თელავში გაატარა).

#### 4. პოლიტიკური არჩევანი (XVIII ს.)

რუსეთის დახმარებით, აგრესიის მოგერიების იმედი პირველად კახეთის სამეფო სახლში გამოითქვა. ამ მხრივ გამოირჩევა ალექსანდრე I-ის საქმიანობა. მისი მოღვაწეობის დროს დადგინდა ახლად ჩამოყალიბებული კახეთის სამეფოს საზღვრები. ალექსანდრე I ცდილობდა მშვიდობიანი უთიერთობა ჰქონოდა საქართველოს სხვა სამეფო-სამთავროებსა და მეზობელ ქვეყნებთან. მან საფუძველი ჩაუყარა კახეთის მეფეთა ტრადიციულ საგარეო პოლიტიკას – ყოველგვარი საშუალებით (მოხერხებული დიპლომატია, ზოგჯერ დათმობა, ფორმალური ყმობა, მცირე ხარკი და სხვ.) უზრუნველყოთ ქვეყნის მშვიდობიანი განვითარება.

1477 წელს, ქართლში უზუნ-ჰასანის შემოსევის დროს, თურქმანთა ბრბოებმა დაარბიეს ქართლის მოსაზღვრე კახეთის ნაწილი (ხერკი, საგურამო, მარტყოფი და თიანეთი). ალექსანდრე I-მა უზუნ-ჰასანს ძღვენი მიართვა, მორჩილება აღუთქვა და

კახეთი აოხრებას გადაარჩინა. ისმაილის (შემდგომში პირველი სეფიანი შაჰი) შირვანში ლაშქრობის დროსაც (1501 წ.) მან მორჩილება აღუთქვა შაჰს და შემოსევაც აიცდინა. ამის შემდეგ კახეთსა და ირანს შორის მშვიდობა არ დარღვეულა XVIII ს-ის დასაწყისამდე.

ირანული ორიენტაციის უარყოფის თაობაზე გადაწყვეტილება ვახტანგ VI-მ ირანში იძულებით ყოფნის პერიოდში (1712-1719 წწ.) მიიღო. ის ორ ვარიანტს განიხილავდა: დასავლეთ ევროპულსა და რუსულს. დასავლეთ ევროპის ქვეყნები იმხანად ირანის გაძლიერების პოლიტიკას ადგენენ. ეს განაპირობა ობიექტურმა ვითარებამ. ოსმალეთი, რომელიც დამკვიდრდა ბალკანეთის ნახევარკუნძულზე, დიდ საფრთხეს უქმნიდა დასავლეთ ევროპის ქვეყნებს. ირანი ერთადერთი ქვეყანა იყო, რომელსაც აზიაში საბრძოლო მოქმედება შეეძლო (ოსმალეთის ძალების მიზიდვა) და ამით ევროპის ქვეყნებისათვის მდგომარეობის შემსუბუქება. ასეთ ვითარებაში, ირანის წინააღმდეგ ევროპაში მოკავშირის მძებნელი, დიპლომატიური მისიით გაგზავნილი სულხან-საბა ორბელიანი 1715 წელს სამშობლოში ხელგარიელი დაბრუნდა. ჯერ კიდევ ირანში მყოფმა ვახტანგ VI-მ პრორუსული ორიენტაციის განხორციელებაზე დაიწყო ზრუნვა. პრორუსული ორიენტაციის პირველი ნაბიჯი რუსეთის ელჩთან არტიომ ვოლინსკისთან ურთიერთობის დამყარება იყო. მეფედ დამტკიცების (1716 წ.) შემდეგ 1719 წელს, ქართლში დაბრუნებული ვახტანგ VI აქტიურად მოქმედებდა რუსეთთან სამხედრო-პოლიტიკური კავშირის დასამყარებლად.

1723 წლის ივნისში, ოსმალები მოადგნენ თბილისს. ვახტანგ VI-მ 12 ჯორჯე აკიდებული ძვირფასი განძეული გაუგზავნა დამპყრობლებს. მათ კი განძეული არ იკმარეს და თვით ვახტანგი დაიბარეს თავისთან, რომელმაც უარით უპასუხა. არჩევანის წინაშე დადგა მეფე ქართლისა, ან სამშობლოში უნდა დარჩენილიყო და განეგრძო ბრძოლა ყოველი მხრიდან მოწოლილი მტრების წინააღმდეგ, ან ქვეყნიდან გადახვეწილიყო. არჩევანი ამ უკანასკნელზე შეაჩერა.

ზემოაღნიშნული ფაქტები მიუთითებს, რომ ქართველი მეფეები ყველანაირად ცდილობდნენ მშვიდობიან, ნეიტრალურ ვითარებაში ეცხოვრათ.

საშიშროების წინაშე იყო საქართველო, ჯერ კიდევ მონღოლების შემოსევის დროს. 1235 წელს, მეფე რუსუდანმა ევროპის ქრისტიანულ სახელმწიფოთაგან დახმარების მიღება ითხოვა (ეს იყო უშედეგო მცდელობა). ანალოგიური წერილით მიმართა რომის პაპსაც, მაგრამ უარი მიიღო...

პირველი საერთაშორისო ხელშეკრულება საქართველოსა და რუსეთს შორის დაიდო 1587-1589 წლებში, ეს იყო მფარველობითი ხელშეკრულება, რომლითაც კახეთის მეფე ალექსანდრე II ღებულობდა მოსკოვის ხელმწიფის თევდორე ივანეს მის დაცვას, ნომინალური ხარკის გადახდისა და რუსეთის მტრების წინააღმდეგ ბრძოლის პირობით. ეს იყო მფარველობითი ხელშეკრულება, რომლის ძალით კახეთი რუსეთის მიმართ სუვერენულ სახელმწიფოს წარმოადგენდა – მისი შინაგანი და საგარეო საქმიანობა აღიარებული იყო რუსეთის მიერ (ხელშეკრულება კახეთის რუსეთზე დამოკიდებულების მსუბუქ ფორმატს წარმოადგენდა).

ოგი შედგებოდა ორი ნაწილისაგან – „ფიცის წიგნი“, რომელსაც ალექსანდრემ ხელი მოაწერა და „ოქროს ბეჭდიანი, წყალობის სიგელი“, რომლითაც თევდორე ივანეს ძემ დაამტკიცა კავშირი და ამით რუსეთის ვალდებულებანი აღუთქვა ალექსანდრეს. იმ დროს, რუსეთს მეტი პრეტენზია არ ჰქონდა, რადგან საქართველო ჯერ კიდევ საკმაოდ შორს იყო მისგან. პირველი მფარველობითი ხელშეკრულება მალე დაირღვა (1605 წელს ალექსანდრე II-ის მკვლელობის შემდეგ). მსგავსი ხელშეკრულება, რომელიც რუსეთსა და კახეთს შორის განახლდა 1639-1641 წ. ასევე ხანმოკლე აღმოჩნდა.

1658 წლის ივლის-აგვისტოში, თეიმურაზ I პირადად აწარმოებდა მოლაპარაკებას რუსეთის მეფესა და დიდებულებთან, მისთვის სამხედრო ძალით დახმარების აღმოჩენის თაობაზე. სასურველ შედეგს ვერ მიაღწია და ხელცარიელი დაბრუნდა სამშობლოში. მაშინ თეიმურაზმა და ალექსანდრემ რუსეთის დაინტერესების ახალი გეგმა შეიმუშავეს, – მათ ალექსეი მიხეილის ძეს სთხოვეს, იმერეთის მეფედ დაესვა, მასთან 1652 წლიდან მყოფი, თეიმურაზ I-ის შვილიშვილი ერეკლე დავითის ძე. თუ რუსეთის მეფის ბრძანებითა და ხელშეწყობით მოსკოვში აღზრდილი ერეკლე ბატონიშვილი იმერეთის სამეფოში (ოსმალეთის „ტერიტორიაზე“) გამეფდებოდა, ეს რუსეთ-ირან-ოსმალეთის სახელმწიფო დაპირისპირებას გამოიწვევდა და სამ სახელმწიფოს შორის კონფლიქტს ნიშნავდა. აღნიშნული (და სხვა) მიზეზის გამო რუსეთმა ვერ გამოიჩინა სათანადო ყურადღება და დახმარება, რადგან სახელმწიფო სტრატეგიული ინტერესები მას კარნახობდა ირანსა და ოს-

მალეთთან დარღვეული დიპლომატიური და სავაჭრო ურთიერთობის აღდგენას. ეს ბუნებრივია, რადგან კაცობრიობის განვითარების ისტორიამ დაგვარწმუნა, რომ დიდი და ძლიერი სახელმწიფოების პოლიტიკა ემყარება იმ აზრს, რომ ისინი ურთიერთობას არასდროს გაამწვავებენ პატარა ქვეყნის გამო, თუ იქ მათი ინტერესები მკვეთრად არ ეჯახება ერთმანეთს. თეიმურაზ I-ისა და ალექსანდრე III-ის პრორუსულმა პოლიტიკამ სასურველ წარმატებას ვერ მიაღწია, თუმცა ამ მიმართებით შემდეგ წლებშიც გაგრძელდა მუშაობა.

საქართველო რუსეთის ურთიერთობა XVII-XVIII საუკუნეებში ეპიზოდურ ხასიათს ატარებდა. რუსეთი ურთიერთობას თანდათან აღრმავებდა და აფიქსირებდა ერთმორწმუნე ქვეყნისადმი პატივისცემასა და ზრუნვას. ქართული კოლონია მოსკოვში ამ მხრივ უდიდეს როლს ასრულებდა ქართველ და რუს სახელმწიფო მოხელეთა დაახლოების საქმეში.

მიუხედავად ეპიზოდური ხასიათისა, რუსეთის სახელმწიფო ურთიერთობის ფორმა და შინაარსი გამოირჩეოდა ქართველი მეფეების სუვერენული უფლების, ქართველი ხალხის რელიგიური და კულტურული ცხოვრებისადმი პატივისცემით და კეთილმეზობლობით. ეს გარემოება ქართველებს უნერგავდა იმედს, რომ ადრე თუ გვიან საქართველო იხსნიდა თავს აგრესორი მეზობლებისაგან და კვლავ გაერთიანებული ქვეყანა განახლების გზას დაადგებოდა. ირანთან და ოსმალეთთან ურთიერთობის ფონზე (რომელიც ძალადობაზე, ქართველი მეფეებისა თუ ერის დამცირებაზე და ფიზიკურ განადგურებაზე იყო აგებული), საქართველო-რუსეთის ურთიერთობა განსხვავე-

ბულ ხასიათს ატარებდა. ეს გარემოება განამტკიცებდა ორ ქვეყანას შორის დამყარებულ ურთიერთობას.

ყაზარდოელთა გადმოსახლების საქმის ჩაშლის შემდეგ (1778 წ.), ერეკლე II-ემ სცადა ევროპის სახელმწიფოებთან ურთიერთობის დამყარება. რეგულარული ჯარის მოსაწყობად სურდა ფულადი სესხი. ამ მიზნით მან თბილისში მცხოვრები კათოლიკე მისიონერების – დომენიკესა (1781 წ.) და მავროსის (1782 წ.) ხელით სპეციალური სიგელები გაგზავნა ავსტრიის იმპერატორთან და ვენეციის რესპუბლიკაში. ერეკლე II-მ წერილით მიმართა ლუდოვიკო XVI-საც, რომელშიც ითხოვდა ფულად დახმარებას, ევროპულად გაწყობილი მუდმივი ჯარის შესაქმნელად. ევროპის სახელმწიფოების ხელისუფალთა მიერ ერეკლეს თხოვნა არ დაკმაყოფილდა. ამის შემდეგ მან დახმარება რუსეთის საიმპერატორო კარს სთხოვა. ვარაუდი გამართლდა. ამ პერიოდიდან რუსული დიპლომატია ერეკლესკენ შემობრუნდა.

მას შემდეგ, რაც XVIII საუკუნის მეორე ნახევარში რუსეთმა მოახერხა ყირიმის ხელში ჩაგდება და ჩრდილო კავკასიაში დაფუძნება, იგი დაუბრუნდა ქართულ სამეფო-სამთავროების მიერ დაყენებული საკითხების განხილვა-რეალიზებას.

1783 წლის ხელშეკრულება ნაკარნახევი იყო არა მხოლოდ რუსეთის იმპერიის ინტერესებით, იგი პირველ რიგში ხელს აძლევდა ქართლ-კახეთის მმართველ წრეებს, რომელნიც რუსეთის მფარველობით ცდილობდნენ საქართველოს მიტაცებული მიწების დაბრუნებასა და ქვეყნის გადარჩენა-განვითარებას.

სავსებით ვეთანხმებით საერთაშორისო სამართლის დოქტორ ბ-ნ

ლევან ალექსიძის შეხედულებას, რომ „გეორგიევსკის ტრაქტატი იყო პირველი ხელშეკრულება საქართველო – რუსეთის ურთიერთობაში, რომელიც ზღუდავდა, ქართლ-კახეთის საგარეო – პოლიტიკურ ქმედუნარიანობას. ზღუდავდა, მაგრამ არ აუქმებდა! წინა ხელშეკრულებებთან შედარებით 1783 წლის აქტი იყო „დაქვემდებარების ხელშეკრულება“, რომელიც რუსეთის მიმართ ქართლ-კახეთს არა მხოლოდ დამოკიდებულ, არამედ სუვერენიტეტ-შეზღუდულ მდგომარეობაში აყენებდა. ამ ხელშეკრულებით ქართლ-კახეთი რუსეთის იმპერიას ეკედლებოდა, ექვემდებარებოდა, მაგრამ მის შემადგენელ ნაწილად არ იქცეოდა, იგი რჩებოდა საერთაშორისო სამართლის სუბიექტად საკუთარი შინაგანი და საგარეო-პოლიტიკური ხელისუფლების ორგანოებით. ამიტომ ტერმინი „პროტექტორატი“ აქ ვერ გამოდგება, არც „ვასალიტეტი“ იქნებოდა ქართლ-კახეთის სტატუსის ზუსტი განსაზღვრა. 1783 წლის ხელშეკრულება არის მფარველობითი კავშირი ქართლ-კახეთის რუსეთის იმპერიისადმი და ქვემდებარების პირობით, რომელიც ფორმით ვასალიტეტის ატრიბუტებს ატარებდა, მაგრამ არსებითად ორი სახელმწიფოს ნებაყოფლობითი შეთანხმება იყო და ორივე მხარის საგარეო-პოლიტიკურ ამოცანებს ემსახურებოდა; ხოლო ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევა აძლევდა მეორეს უფლებას უარი ეთქვა ურთიერთკავშირის გაგრძელებაზე, რაც ორივე მხარეს პირვანდელ მდგომარეობაში დააბრუნებდა – ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ ერთეულებად აქცევდა. ამიტომ 1783 წელს დამყარებულ საქართველო-რუსეთის იურიდიულ ურთიერ-

თობას უნდა ვუწოდოთ მფარველობა – დაქვემდებარების ხელშეკრულება” [8].

1783 წლის ხელშეკრულების თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ მან პირველად საქართველო-რუსეთის ურთიერთობაში ოფიციალურად უარყო ქართლ-კახეთში ირანის ან სხვა სახელმწიფოს ბატონობა და ქართველები მჭიდროდ დაუკავშირა რუსეთს.

მნიშვნელოვანია ილია ჭავჭავაძის მიერ ასახული საქართველოს მდგომარეობა რუსეთის ჯარის შემოსვლის დღეებში: „რწმუნებულ მინისტრად დაინიშნა სტატსკი სოვეტნიკი კავალენსკი, რომელსაც, სხვათა შორის, ებრძანა, რომ საქართველოს ერის სიყვარული და ნდობა მოიპოვეო“. „კავალენსკის გამოატანა იმპერატორმა პავლემ დამამტკიცებელი გრამოტა მეფე გიორგის სახელზე. გრამოტა იგი არის დაწერილი 18 აპრილს 1799 წელს. იმპერატორი პავლე იწერებოდა: „მივიღე რა მადლობით თქვენი თხოვნა, ტრაქტატის მესამე მუხლის ძალითა გამტკიცებთ დღეს თქვენ საქართველოს მეფედ და ძესა თქვენსა დავითს თქვენდა მემკვიდრედ თქვენს შემდეგ“. „ქალაქის ბანები მოიჭედა დიდითა და პატარითა, ქალითა და კაცითა, და მოუთმენლად ელოდებოდნენ ჯარსა, ვითარცა ქვეყნის მხსნელსა, მშვიდობიანობისა და მოსვენების მომავლინებელსა“ [9].

სახელმწიფოებრიობის დაკარგვა თვითმპყრობელური რუსეთის იმპერიის XIX საუკუნის საგარეო პოლიტიკასთან იყო დაკავშირებული და 1783 წლის ხელშეკრულების პროგრესულ ხასიათს ვერ წაშლის.

მიუხედავად ცალკეული უარყოფითი მხარეებისა, რომლებიც მოჰყვა რუსეთის ცარიზმის თვითმპყრობე-

ლურ პოლიტიკას, რუსეთის იმპერიაში შემავალმა საქართველომ შეინარჩუნა ეროვნული თავისთავადობა, გაერთიანდა, დაიბრუნა ირანისა და თურქეთის მიერ მიტაცებული (მნიშვნელოვანი) მიწები.

საჭიროდ მიგვაჩნია გახსენება იმ შეფასებისა, რაც გამოწვეული იყო საქართველოს გეოპოლიტიკური მდგომარეობით: „მონღოლთა უზარმაზარი სახელმწიფოს შექმნამ გამოიწვია საქარავნო ვაჭრობის გაცხოველება აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის. მონღოლი ხანები დაინტერესებული იყვნენ უცხოერი ძვირფასი საქონლის მიღებით, ამიტომ ხელს უწყობდნენ საქარავნო ვაჭრობის განვითარებას. მონღოლთა ბატონობის ხანაში საერთაშორისო ვაჭრობა ფართოვდებოდა და სულ ახალსა და ახალ ოლქებს მოიცავდა. ამ ვაჭრობაში მონაწილეობდნენ ერთი მხრით ირანი, ამიერკავკასია, სამხრეთ რუსეთი, შუა აზია, მონღოლეთი და ჩინეთი ხოლო მეორე მხრით, იტალიის ქალაქების შუამავლობით, ხმელთაშუა ზღვის და შავი ზღვის ქვეყნები, იტალია და დასავლეთი ევროპა“ [10].

IX-X საუკუნეების არაბულენოვანი ლიტერატურა ამიერკავკასიაში რამდენიმე სამარშრუტო გზას ასახელებს. მათგან მნიშვნელოვანია: „გზა ბარდავიდან თბილისამდე, შემდეგ პუნქტებზე გადიოდა: ბარდავი – განჯა – შამქორი – ხუნანი – კალა იბნ ქანდამანი (გარდაბანი) – თბილისი“ [11]. ეს გზა მონღოლებმა საქართველოსკენ მიმავალ მთავარ სამარშრუტო გზად აქციეს. ამ გზას მომდევნო ხანაშიც არ დაუკარგავს მნიშვნელობა.

XIV ს-ში თბილისი კვლავ ითვლებოდა ამიერკავკასიის უმნიშვნელოვანეს სავაჭრო-სატრანზიტო ცენტრად. იგი მსოფლიოს დიდი ქალა-



ქების გვერდით იხსენიება. მისი დაწინაურებული მდგომარეობა ჩანს აგრეთვე რომის პაპის იოანე XXII-ის მიერ გიორგი ბრწყინვალისადმი მიწერილი წერილიდან, რომელშიც თბილისია დახასიათებული: „...ტფილისი, ქართველთა სამეფოს შუაგული ადგილი, საუკეთესო, მეტად შესანიშნავი, ერთი სავსე, მარჯვე და სიმდიდრით უხვი ქალაქია [12].

სამწუხაროდ, ქართველმა მეფეებმა და მთავრებმა ვერ გამოიყენეს გეოპოლიტიკური მდგომარეობა, კერძოდ, დიდი სავაჭრო-საქარავნო გზის საშუალება საქართველოს სასარგებლოდ.

ნებისმიერ საქმეში არჩევანის გაკეთებისას, საჭიროა არგუმენტებისა და ფაქტების მოშველიება და შედარება, პარალელების გავლება, ისტორიული გაკვეთილების გახსენება და გათვალისწინება. საქართველოს და მისი აგრესიული მეზობელი ქვეყნების, – სპარსეთისა და ოსმალეთის ხელისუფალთა მოღვაწეობის (წარსულისა და აწმყოს) შესანიშნავად მცოდნე მეფე ერეკლე II არჩევანის წინაშე დადგა, იძულებული იყო მიეღო საქართველოს ბედის გადაწყვეტილება, – მუსლიმური ირანი თუ მართლმადიდებლური რუსეთი. ირანის ხელისუფლება, რომელიც საუკუნეების მანძილზე მარცვავდა და ანადგურებდა ქართულ მიწა-წყალს და მოსახლეობას, ქართველებს ძალადობით მიერეკებოდა ირანში და გადაშენების საფრთხის წინაშე აყენებდა ქართველი ერის არსებობას, თუ მართლმადიდებლური რუსეთი, რომელიც ამ პერიოდისთვის ძლიერ სახელმწიფოს წარმოადგენდა და დაინტერესებული იყო საქართველოსთან კეთილმეზობლური ურთიერთობით.

საუკუნეების მანძილზე, ქართველ ხელისუფალთა წინაშე ხშირად იდგა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის დილემა არჩევანისა, – ოსმალეთი თუ სპარსეთი. XVIII საუკუნეში კი, – ირანი თუ რუსეთი. ქართველი მეფეები და მთავრები მუდამ მფარველის ძიებაში იყვნენ. ხალხი აჯანყებით პასუხობდა მტრის მიერ განხორციელებულ ყველა დაპყრობით ომებს, მაგრამ ფეოდალთა და სხვათა დალატისა და მოსყიდვის შედეგად, საბოლოოდ თითქმის ყველა აჯანყება მარცხდებოდა. საქართველომ ვერ დააღწია ამ მდგომარეობას, რომ მიეღწია სრული თავისუფლებისათვის, დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის; ამისი ერთადერთი საშუალება იყო ნეიტრალიტეტი, ნეიტრალურ მდგომარეობაში ყოფნა, ჩაურევლობა ომში რომელიც სხვა სახელმწიფოთა შორის მიმდინარეობდა.

XVII და განსაკუთრებით XVIII საუკუნეში, რუსეთის იმპერიის პოლიტიკის მიზანი იყო, ამიერკავკასიის მოსახლეობაში ირან-ოსმალეთის გავლენის შესუსტება და თავისი პოზიციების განმტკიცება. აგრეთვე პარალელურად, მეგობრული ურთიერთობის დამყარება-განვითარება ირანთან, რაც გამოწვეული იყო ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესებით. რუსეთი ცდილობდა დასავლეთში განმტკიცებას, ბალტიის ზღვაზე გასასვლელის მოპოვებას და ყირიმის სახანოს გაუქმებას. აღნიშნული პრობლემების გადაწყვეტის შემდეგ, ჩრდილო კავკასიის პოლიტიკურ ერთეულებთან კავშირის დამყარებას და შემდეგ ამიერკავკასიაში შესვლას.

1783 წელს ხელმოწერილ იქნა გეორგიევსკის ტრაქტატი, რომელმაც საეტაპო როლი შეასრულა ქართველი

ხალხის ცხოვრებაში. ამ აქტით საქართველომ სამუდამოდ უარყო ირანსა და ოსმალეთზე თავისი ვასალური დამოკიდებულება, გაემიჯნა მათ, თავი დაიხსნა ამ ქვეყნებში გაბატონებული რეაქციის მავნე გავლენისაგან და რუსეთს მიემხრო. ამით საქართველომ თავისი მომავალი განვითარე-

ბა რუსეთში მიმდინარე პროგრესულ პროცესს დაუკავშირა. ისტორიამ დაადასტურა ამ გადაწყვეტილების სისწორე. ამ გზით საქართველომ მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწიოს.

P.S. ისტორიულ გამოცდილებას გათვალისწინება სჭირდება.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. გაზეთ „კავკაზის“ დამატების სახით გამოქვეყნებული ბროშურა: Багратион Г. - О существе национальной индивидуальности и об образовательном значении крупных народных единиц.
2. გაზეთი „დროება.“ N 35. 8. IX. 1872.
3. გაზეთი „დროება.“ N 96. 24. VIII. 75. 1875.
4. გაზეთი „დროება.“, N45. 17. XI. 1872.
5. გაზეთი „დროება“. N14. 06. II. 1876.
6. გაზეთი „დროება“. N147. 22. VII. 1878.
7. ი. ჭავჭავაძე. ნაწერების სრული კრებული. ტ. 6, გვ. 107. თბ., 1927.
8. ლ. ალექსიძე. საქართველო-რუსეთის საერთაშორისო-სამართლებრივი ურთიერთობა XV-XVIII საუკუნეებში. გვ. 244. თბ., 1983 წ.
9. ჭავჭავაძე ი., პუბლიცისტიკა. ასის წლის წინათ. 4 გვ. 51-54. თბ., 2012.
10. კიკნაძე რ., საქართველოსა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის ზოგიერთი საკითხი. გვ. 59 თბ., 1995.
11. სიხარულიძე ე., მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის საკითხები. ამიერკავკასიის სამარშრუტო გზები IX-X სს. არაბული წყაროების მიხედვით. გვ. 179. თბ., 1963.
12. თამარაშვილი მ., ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის. გვ. 32. თბ., 1902.





*vaxtang daviTaia*

### ვურჩევ ხელისუფლებას

**კორ.:** *სამ თვეზე მეტია თბილისს ახალი საკრებულო, მერი, მერის მოადგილეები და სამსახურების ხელმძღვანელები ჰყავს. მოლოდინი დიდი იყო. რა ცვლილებებია დედაქალაქის ყველაზე მტკივნეულ უბანზე - არქიტექტურულ-ურბანულ პროცესში?*

**ვ.დ.:** რეალური ცვლილებებისთვის, ასევე დასკვნებისთვის სამი თვე დიდი არ არის, თუმცა, არის გარკვეული იმპულსები, ნიშნები. როგორც იქნა, არქიტექტურული სამსახურის ხელმძღვანელად დაინიშნა პროფესიით არქიტექტორი. როგორ შეძლებს ამ ურთულესი სისტემის მართვას, დრო გვიჩვენებს, ზოგადად კი ვიტყვი: მართვა ანუ მოდურად რომ ვსთქვათ, მენეჯმენტი ურთულესი საქმეა და ითხოვს პროფესიულ განათლებას. როგორც წესი, დარგის მართვის სპეციალისტმა - მენეჯერმა სწავლის ორი ეტაპი უნდა გაიაროს - პროფესიული განათლება, სულ მცირე ბაკალავრიატის დონეზე, შემდეგ მენეჯმენტი. ამერიკაში, პედაგოგიური მოღვაწეობის დროს ჯგუფში ერთი იაპონელი სტუდენტი მყავდა, გამორჩეულად ნიჭიერი, წარმატებული პროფესიული კარიერა ვუწინასწარმეტყველე. მან მითხრა, არა, მე არქიტექტურულ პრაქტიკას არ გავყვები, აქ ოთხწლიან ბაკალავრიატს რომ დავამთავრებ და დავუფლები არქი-

ტექტურის ანა-ბანს, სწავლას გავაგრძელებ ინგლისში, არქიტექტურის მენეჯმენტზე. გამოდის, მან რვა წელი უნდა ისწავლოს მართვის ხელოვნება. სხვა ცვლილებებიდან აღვნიშნავ: საბჭო დაკომპლექტდა ახალი წევრებით, არის არქიტექტორებთან საქმიანი ურთიერთობების დამყარების, არქიტექტურული კონკურსების ჩატარების, საზოგადოებასთან ურთიერთობის სურვილი.

**კორ.:** როგორც ჩანს, თქვენი მრავალწლიანი დაჟინებული მოწოდება „დაუბრუნეთ არქიტექტურა არქიტექტორებს“ ძალას იკრეფს. ფართო საზოგადოებას, მეც, როგორც მოქალაქეს, მაინტერესებს თქვენი აზრი კონკრეტულ საკითხებზე, კერძოდ, როგორია დავით აღმაშენებლის ძეგლის მის ძველ საუფლოში დაბრუნების, ასევე ჰეროსტრატს - დიქტატორ სააკაშვილის მიერ აფეთქებული ქუთაისის „დიდების მემორიალი“-დან სასწაულებრივად გადარჩენილი მერაბ ბერძენიშვილის ბრწყინვალე კომპოზიციის „გამარჯვების მაცნე“-ს თბილისის პარლამენტის ეზოში დადგმის საკითხი?

**ვ.დ.:** მნიშვნელოვან კულტურულ ფაქტთან ერთად ეს იქნებოდა სამართლიანობის აღდგენის ნათელი მაგალითი და რა თქმა უნდა, მონაწილეა დიდი ქართველი მოქანდაკის მერაბ ბერძენიშვილის მიმართ მისადმი გა-

მოჩენილი სისასტიკისა და ძალადობის გამო. არ დაგვიმალავთ, მეგონა, ბატონი დავით ნარმანიას ერთ-ერთი პირველი აქცია დავით აღმაშენებლის ძეგლის გადმოტანა იქნებოდა. ეს განამტკიცებდა რწმენას, რომ იწყება ცვლილებები, მით უმეტეს, რომ საზოგადოებრივი აზრი კატეგორიულად ითხოვს ამას. რაც შეეხება „გამარჯვების მაცნეს“ დადგმას პარლამენტის ეზოში, ამ რამდენიმე თვის წინათ საინიციატივო ჯგუფმა ეს საკითხი დააყენა კულტურის სამინისტროს წინაშე. სამინისტრომ წინადადება გადაუგზავნა პარლამენტს. იქედან პასუხი არ სჩანს, არა და სიმბოლური აქცია იქნებოდა პარლამენტის დედაქალაქში დაბრუნების აღსანიშნავად. საჭიროა ნება, ხარჯები უმნიშვნელოა.

**კორ.:** თბილისელებს უკიდურესად უარყოფითი დამოკიდებულება აქვთ სასტუმრო „რადისონ-ბლუ“ – ფუნქციონირის საბაგირო გზის მიმართ. გაუგებარია. არსებობს უმოკლესი მანძილის ძველი ტრასა, გზა პლატფორმა-სადგური მოხერხებულად დგოვას. საზოგადოებას აქვს უფლება იცოდეს ვისგან მოდის ეს „გენიალური“ იდეა, რატომ უნდა გავიყვანოთ ახალი საბაგირო, რომელიც მნიშვნელოვნად გრძელია და რომლის უწყვეტად მოძრაობა ვაგონები დაკიდებული იქნება რუსთაველის გამზირზე და ასობით სახლის თავზე?

**ვ.დ.:** „გენიალური“ იდეა მოდის ძველი ხელისუფლებიდან. ამ საბაგირო გზის საკითხი ერთ-ერთია იმ მრავალრიცხოვან კონფლიქტურ საკითხთა შორის წინა ხელისუფლებიდან რომ გადმოვიდა. მათ მოასწრეს ქვედა სადგურის საძირკვლების და

საყრდენების მშენებლობის დაწყება. მოქალაქეთა მძაფრი რეაქციის გამო, მერიამ ეს მშენებლობა შეაჩერა, მაგრამ არა ვარ დარწმუნებული, რომ ის არ განახლდება, მიუხედავად იმისა, რომ ყველა ხვდება, რომ ეს პროექტი არა მხოლოდ აბსურდი, არამედ დანაშაულია. ამ სამიოდე კვირის წინათ შევხვდი ბატონ მერს, გავაცანი ჩემი ხედვა არქიტექტურულ-ურბანული პროცესის მართვის საკითხებზე, ასევე ამ საბაგირო გზაზე, ვურჩიე საგანგებო კომისიის შექმნა და ამ საკითხის სამუდამოდ დახურვა. გთხოვთ, გამოაქვეყნოთ ეს ფოტოები, თბილისელები ნახავენ თუ რამდენად დაგრძელდა საბაგირო გზა, რა მჭიდროდ დასახლებულ უბანზე გადადის ტრასა, რამდენად მეტ ოჯახს ექმნება მუდმივი საყოფაცხოვრებო და ფსიქოლოგიური დისკომფორტი. ძველი ტრასა, ძირითადად, დაუსახლებელ ხევზე გადიოდა, სწორედ ამან განაპირობა თავის დროზე მისი იქ გაყვანა. ჩემი ეჭვი, რომ შეიძლება სამუშაოები განახლდეს გამოწვეულია იმით, რომ გაღებულია გარკვეული ხარჯები. დაახლოებითი გაანგარიშებით, ეს თანხა არ აღემატებოდა მთლიანის 7-10%-ს. ჩემის ღრმა რწმენით, ამ საბაგირო გზის განხორციელება იქნება ახალი ხელისუფლების, უპირველესად ყოვლისა, მერის, გამოუსწორებელი შეცდომა, მუდმივი “წყევლა-კრულკის” საგანი. მიუხედავად იმისა, რომ იარაღი დატენა წინა ხელისუფლებამ და მოიყვანა საბრძოლო მდგომარეობაში, მთელი პასუხისმგებლობა დაეკისრება იმას, ვინაც მომაკვდინებელ საცეცს გამოჰკრა ხელი ანუ დღევანდელ ხელისუფლებას. ამას ყველა იგრძნობს საბაგიროს ამუშავებიდან ხუთ წუთში. სავსებით

ვეთანხმები თქვენს გაზეთში გამოქვეყნებულ „ტფილისის ჰამქარის“ განცხადებას ამ საკითხზე („საქართველოს რესპუბლიკა“. 28.X.2014).

**კორ.: რამდენადაც ვიცი გამოცხადებული იყო არქიტექტურული კონკურსი სასტუმროს წინ ახალი სადგურის პროექტზე. რა შედეგებით დამთავრდა ის?**

**ვ.დ.:** საქმე ქვედა სადგურის არქიტექტურის ავტორიანობაში კი არ არის, არამედ იმაში, რომ ამ ობიექტის იქ დასმა პრინციპულად მიუღებელია. დავუშვათ, იქ არ იქნებოდა ის კვერცხი. ყველა სადგური, რაც მე მინახია, ლითონის ჩონჩხია, საიდანაც ერთმანეთის მიყოლებით ძვრებიან გონდოლები. რა ძალიან მოგწონთ რიყის სადგური? რაც შეეხება კონკურსს, ის დამთავრდა ისე როგორც უნდა დამთავრებულიყო. შემოვიდა ორი პროექტი. ერთი კონკურსის პირობებს ვერ აკმაყოფილებდა და მოხსნეს. მეორე, ალბათ, არა-დამაკმაყოფილებელი იყო. კონკურსზე თქვენის ნებართვით, ქვემოთ მოგახსენებთ. ახლა ერთ იდეას „გაგიმხელთ“ საბაგიროსთან დაკავშირებით. ბოლო წლებში არა ერთხელ მომიწია ფუნქციულიორზე ასვლა. მე იქ რიგები არ მინახია, მაშინაც კი როდესაც დაანონსებული ღონისძიებაა, არც სხვისგან გამიგია რაიმე დისკომფორტი შექმნოდეთ. ფუნქციულიორზე მიდის კეთილმოწყობილი საავტომობილო გზა, რომელიც იმავედროულად არის შესანიშნავი „სამხერი ტრასა“ თბილისზე. არის მალა-ლი გამტარობის კომფორტული რკინიგზა, რომელთანაც თბილისელები მიდიან სხვადასხვა ტრანსპორტით, ძირითადად ინდივიდუალურით. რატომ არ შეიძლება საბაგირო გზის

ქვედა სადგურის მოწყობა მაყაშვილის ქუჩაზე, ასახვევთან ან ცოტა ზემოთ. იქვე შეიძლება მოეწყოს მრავალსართულიანი სივრცული ავტოსადგომი მექანიკური ამწეებით, იქ თბილისელები ისევე მივლენ, როგორც მიდიან დღეს ფუნქციულიორის ქვედა სადგურთან, როგორც მიდიოდნენ ძველი საბაგირო გზის სადგურამდე. ეს მოხსნის მრავალ პრობლემას და დიდად ეკონომიურად იქნებოდა. ამ ფერდობზე არის გარკვეული გეოლოგიური პრობლემები, რომლებიც იოლად მოსავლელია, უბრალოდ ფერდობის ნაწილს „დალურსმნა“ უნდა. ეს ტრასა ორჯერ უფრო მოკლეა შემოთავაზებულთან შედარებით, ის არც ერთი ნაგებობის თავზე არ გადადის. ბოლოს და ბოლოს პრობლემა ფერდობის დაძლევაშია.

**კორ.: უაღრესად საყურადღებო წინადადებაა, ხშირად ჭეშმარიტება ცხვირწინ დევს, დამნახავი უნდა! მაინტერესებს თქვენი აზრი პუშკინის ქუჩაზე ესტაკადის მოწყობაზე, ორმხრივი მოძრაობის აღდგენაზე. ამის შესახებ ბატონმა დ.ნარმანიამ კატეგორიულად განაცხადა, ასევე მეგაპროექტ „თბილისის პანორამაზე“.**

**ვ.დ.:** პუშკინის ქუჩის ცალმხრივ მოძრაობაზე გადაყვანა, ასევე ისტორიული ნარჩენების მოშიშვლება, რომელიც მტვერის და სხვადასხვა საყოფაცხოვრო ნარჩენების ბუდეა, ისეთივე დაუფიქრებელი, თვითნებური, დილეთანტური გადაწყვეტილება იყო, როგორც ბევრი სხვა რამ ავტორიტარიზმის პერიოდში. ბოლო ათწლეულების სატრანსპორტო ბუმმა მნიშვნელოვანი პრობლემები შეუქმნა ისტორიულ ქალაქებს, მათ შორის თბილისსაც. ამ პრობლემას ყველა

ქალაქი თავისებურად „ებრძვის“ და წყვეტს სკრუპულოზური ანალიზის შედეგად. დიდი ურბანული ღონისძიებები, ზოგჯერ, ითხოვენ არაპოპულარულ გადაწყვეტებს, რაღაცის დათმობას, „გარდაუვალი აუცილებლობის“ პრიმატს. XX საუკუნის ერთ-ერთი სენსაციური, ჰიპერაქცია იყო ეგვიპტეში ძველი წელთაღრიცხვის XIII საუკუნეში (XIX დინასტია) რამზეს II პერიოდში აშენებული აბუსიბელის მრავალქანდაკებიანი „დიდი ტაძრის“ დახერხვა 1020 ნაწილად და გადატანა 60 მეტრით მაღალ ნიშნულზე. ეს გაკეთდა ქვეყნისთვის სასიცოცხლო პრობლემის – ასუანის კაშხლის მშენებლობასთან დაკავშირებით. ასევე აუცილებელი იყო ვარაზისხევის და ვაკე-საბურთალოს შემაერთებელი გზის გაჭრა. ცხადია კლდის ჩაჭრა დანაშაულია ლანდშაფტის მიმართ, მაგრამ ის გარდაუვალი იყო ურბანული თვალსაზრისით. ვეთანხმები ბატონ მერს, პუშკინზე ორმხრივი მოძრაობის აღდგენა აუცილებელია. რა არქიტექტურული ტაქტით მოხდება ეს, უნდა გადაწყდეს კონკურსით, შესაძლოა კონკურსებით. რაც შეეხება „თბილისის პანორამას“, სასტუმრო „ჰოლიდეინ“-ში ჩატარებული პრეზენტაციის შემდეგ რა ხდება არაფერი ვიცი. იმ დროს წარმოდგენილი მწირი მასალა სრულიად არასაკმარისი იყო არა თუ რაიმე გადაწყვეტილების მისაღებად, არამედ ზედაპირული შეფასებისათვისაც კი. ის პრეზენტაცია კონტროლდუქტიული იყო. ზოგადად კი ვიტყვი, ამდაგვარი მეგაპროექტები უნდა განხორციელდეს ქალაქგარეთ, ქალაქ სატელიტებში. სხვა შემთხვევაში ისტორიული ბირთვის კოლაფსი გარ-

დაუვალაია. ამას რაც უფრო ადრე მივხვდებით, მით უკეთესია.

**კორ.: კონკურსზე გინდოდათ აზრის გამოთქმა.**

**ვ.დ.:** დიახ, მივესალმები არქიტექტურული სამსახურის მცდელობას არქიტექტორებთან ურთიერთობა ააგოს კონკურსებით. კატეგორიულად უნდა აიკრძალოს მერიაში „რეწვა“ – პროექტირება. წინა ხელისუფლების დროს მერიას, კერძოდ ვიცემერს, არქიტექტურის კურატორს, არქიტექტურული საბჭოს თავმჯდომარეს, ახვლედიანს ჰყავდა ზონდერ-მეფასადეთა ჯგუფი. სამსახურის თანამშრომლები, ასევე მონურად მორჩილი საბჭო, იწუნებდა თითქმის ყველა ობიექტის ფასადს, შემდეგ „კლიენტს“ თავაზობდნენ ახალ ვარიანტს „უსასყიდლოდ“. ეს „ვარიანტები“ უმეტეს შემთხვევაში მნიშვნელოვნად უარესი იყო. თუ ვინმეს ეჭვი შეეპარება, შემიძლია ეს მასალა გამოვაქვეყნო, მაგრამ ეს აქცია ხშირად დაკვეთის ზონდერ-არქიტექტორებზე გადასვლით მთავრდება. „კლიენტს“ მეტი რა უნდა, მერია დაუპროექტებს და დაუმტკიცებს! ამ წესით არა ერთმა არქიტექტორმა დაკარგა სიმწრით ნაშოვი დაკვეთა. რაც შეეხება კონკურსებს: არქიტექტურულ პროექტირებასთან მიმართებაში უნდა გამოირიცხოს სიტყვა „ტენდერი“, იაფად კეთება. მთელს მსოფლიოში პროექტირებაზე ეკონომიას „დანაშაულებრივ ეკონომიას“ უწოდებენ, ეს იგივეა აუცილებელ წამალზე გააკეთო ეკონომია. კონკურსი უნდა ჩატარდეს ყველა მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვან ობიექტზე, განურჩევლად, არის დამკვეთი საახელმწიფო თუ კერძო ინვესტორ. ეს მიღებული წესია მთელს მსოფლიოში. შემოქმედებითი

კონკურსი უაღრესად მგრძობიარეა. შეიძლება მივიღოთ უკუეფექტი თუ კი ის არ ჩატარდება წესების და პირობების სრული დაცვით. კონკურსისადმი ინტერესს, შესაბამისად შედეგს, სამი ფაქტორი განაპირობებს: პრემიების ოდენობა და რაოდენობა, ჟიურის კვალიფიკაცია (ნდობა – პროფესიული რენომე) და საკონკურსო ვადები. დიდად სამწუხაროდ, ბოლო ათეული წლების მანძილზე და დღესაც ყველა ეს მოთხვენა უგულვებელყოფილია, ამიტომაც კონკურსისადმი ინტერესი დაბალია. ამ კონტექსტში ხაზგასმით მინდა აღვნიშნო: კონკურსის შედეგიანობას განსაზღვრავს არა მონაწილეთა რაოდენობა, არამედ მონაწილეთა პროფესიული ხარისხი. დიდი პროფესიონალის დაინტერესება მხოლოდ ზემოთ ჩამოთვლილი პირობებით შეიძლება. ერთ მაგალითს მოვიყვან. პეტერბურგის მარინის თეატრის სცენური ნაწილის გაფართოების პროექტზე საერთაშორისო ღია კონკურსი გამოცხადდა. იმავდროულად 6 გამოჩენილი არქიტექტორიც მოიწვიეს. მათ კონკურსში მონაწილეობისათვის 30 ათასი ევრო შესთავაზეს. ექვსიდან სამმა უარი განაცხადა. ერთ-ერთმა პირდაპირ სთქვა – გასამრჯელო მცირეაო, ორმა იმავე მიზეზით სთქვა უარი, მაგრამ ოფიციალურად უდროობა მოიმიზეზა. კონკურსი შედეგიანი იქნება მხოლოდ ყველა ზემოთ აღნიშნული პირობების დაცვით. კონკურსების ჩატარების წესებისა და საერთაშორისო კონიუქტურის შესახებ არა ერთი სტატია მაქვს გამოქვეყნებული. მათი გაცნობა არ აწყენდა არქიტექტურული სამსახურის მესვეურებს. ამ საქმეში არსებითი დახმარება შეუძლია არქიტექტორთა

კავშირს. კარგი იქნება არქიტექტურის სამსახურში თუ ჩამოყალიბდება სპეციალური კონკურსების ჯგუფი. რაც შეეხება საბაგირო გზის სადგურის კონკურსის ჩაშლას, ეს კიდევ ერთხელ მიანიშნებს, რომ პროფესიული აზრი ამ ობიექტის წინააღმდეგია. არავის არ სურს გახდეს აბსურდის თანამონაწილე. მეორე, კონკურსის პირობები არ იყო შედეგენილი არქიტექტურული კონკურსების საერთაშორისო წესების შესაბამისად. მესამე, პრემიის, ისიც ერთის ოდენობა იყო მიზეზული, ოდნავ მეტი, მინისტრების თვითონ ხელფასების დანამატზე. როგორც სჩანს ზოგიერთებს ჰგონიათ კონკურსი „დაასხი დალიეა“. არც ჟიური იწვევდა ნდობას, ვადები იყო უაღრესად მცირე – შესაბამისად, შედეგი ცუდი.

*კორ.: თქვენ ზემოთ სთქვით, რომ ბატონ დ.ნარმანიას გააცანით თქვენი ხედვა ქალაქის არქიტექტურულ-ურბანული პროცესის მართვის საკითხებზე, საზოგადოებასაც დიდად აინტერესებს ეს პრობლემა, იქნებ ბოლოსდაბოლოს შეწყდეს განუკითხაობა და ქაოსი. როგორია თქვენი წინადადება?*

*ვ.დ.:* 1. ქალაქის განვითარების უპირველესი დოკუმენტია გენერალური გეგმა, რომელიც მუდმივი განვითარებისა და სრულყოფის ობიექტია. დღევანდელი გენერალური გეგმის არსი მნიშვნელოვნად განსხვავებულია „გეგმიური სახელმწიფოს“ გენგეგმისაგან. არაფეი დაშავდება თუ კი პირობითად ვისარგებლებთ ტერმინით „გენგეგმა“. გენგეგმაზე მუშაობის დაყოვნების ყოველი დღე აძლიერებს არქიტექტურულ-ურბანულ ქაოსს. აუცილებელია დროულად ჩამოყალიბდეს გენ-

გეგმის ინსტიტუტი ან დეპარტამენტი. ის უნდა იყოს ქალაქის ბიუჯეტზე მყოფი მუდმივი სტრუქტურა და არა დროებითი „გენგეგმის ჯგუფი“. გენგეგმა ქალაქის კონსტიტუციაა, მისი უმთავრესი კანონი, ხოლო გენგეგმის ინსტიტუტი (დეპარტამენტი) ქალაქის ტვინი და გონი. მხოლოდ ამ წესით შეიძლება მერიას ქონდეს ზუსტი პასუხი და ალტერნატიული წინადადებები „მოთხოვნაზე“ ინვესტორებისათვის, მხოლოდ ასე შეიძლება საზოგადოებრივი აზრის და მოქალაქეთა პერმანენტული პროტესტის დაშოშმინება.

2. საჭიროა არქიტექტურული სამსახურის სტრუქტურული სრულყოფა, სახელწოდებიდან დაწყებული უფლებამოსილებათა სკრუპულოზური დაზუსტებით და გამიჯვნით. მე უპირატესობას ვანიჭებ დასახელებას – „ქალაქ თბილისის მთავარი არქიტექტორის სამსახური“, „სამსახურის უფროსის“ ნაცვლად – „მთავარი არქიტექტორი“.

სტრუქტურა: მთავარი არქიტექტორი. მთავარი არქიტექტორის პირველი მოადგილე – არქიტექტორი, რომელიც პრაქტიკულად ანხორციელებს მიღებულ გადაწყვეტილებებს, არქიტექტორ-ურბანისტი, რომლის უმთავრესი ფუნქცია იქნება გენგეგმის სამუშაოთა კოორდინაცია და მისი რეალიზაციის საკითხები, ურბანული ალტერნატივების ბანკის შექმნა, მოადგილე, არქიტექტორი „მთავარი მხატვარი“, რომლის ფუნქცია იქნება ქალაქის კეთილმოწყობა, ქალაქის „ავეჯი“, მცირე არქიტექტურა, გამწვანება, განათება, რეკლამა, მონუმენტები, მემორიალები, კოლორისტიკა და სხვა.

სამსახურის სტრუქტურული განყოფილებები, ცალკე საკითხია.

მთავარი არქიტექტორი აუცილებლად უნდა იყოს მერის მოადგილის რანგში.

მთელი ეს ღონისძიებები წყალში იქნება გადაყრილი, თუ კი თანამდებობებზე არ იქნებიან შერჩეული მაღალი რანგის პროფესიონალები, ორგანიზატორები, ინიციატივიანი პიროვნებები. „კადრები წყვეტენ ყველაფერს“.

3. აუცილებელია მერიას ქონდეს ახალ მშენებლობათა საექსპოზიციო დარბაზი. სასურველია ეს დარბაზი იყოს მერიაში, მის პირველ სართულზე, დამოუკიდებელი შესასვლელით. სასურველია არქიტექტურულ-ურბანული საბჭოს სხდომების ამ სივრცეში ჩატარება. აქვე უნდა იყოს გამოფენილი გენერალური გეგმის ვიზუალური მასალა.

4. უნდა აღსდგეს პროექტების ექსპერტიზის სამსახური. ექსპერტი პასუხისმგებელია შედეგზე.

5. მერიამ, არქიტექტურის სამსახურმა არქიტექტურულ-ურბანული პროცესი უნდა მართოს არქიტექტურულ-ურბანული საბჭოს მეშვეობით. საბჭო, იმავდროულად უნდა იყოს გენგეგმის დებულებების დაცვის გარანტი.

- საბჭო უნდა იყოს კომპაქტური (9-11 სპეციალისტი).

- საბჭოს შემადგენლობაში 2/3 უნდა იყვნენ არქიტექტორები და ურბანისტები.

- საბჭოს წევრობა უნდა იყოს ანაზღაურებადი.

- საბჭოს წევრები უნდა იყვნენ დარგის უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტები.



- საბჭო თავისუფალი უნდა იყოს წვრილმანი, არა არსებითი, ყოფითი, წმინდა იურიდიული საკითხებისაგან.

- საბჭოს ყოველი წევრის პოზიცია აღინიშნება ოქმში და დასტურდება წევრის ხელმოწერით. ეს განაპირობებს საბჭოს ყოველი წევრის პასუხისმგებლობას შედეგზე.

- საბჭოს სხდომები უნდა ტარდებოდეს ღიად. მოქალაქეებს უნდა ჰქონდეთ დასწრების უფლება, აზრის გამოთქმის უფლებაც. საბჭოს ჩატარების ადგილი უნდა იყოს მისაწვდომი.

მართალია, საბჭო დაკომპლექტდება ახალი წევრებით, მაგრამ სამწუხაროდ ის ძირითადად დაკავებულია კომპრომისების და დარღვევების დაკანონებით და იმ საკითხებით, რომლებიც სამსახურის პერსონალის პირდაპირი მოვალეობაა.

**კორ.: დღეს მსოფლიოში ათასნაირი საპროტესტო მიტინგი იმართება, მაგრამ არ მახსენდება, რომ პარიზში, ლონდონში, ნიუ-იორკში, ბერლინში, ვენაში, პრელაში ხალხი გამოდიოდეს მშენებლობის წინააღმდეგ. თბილისში კი ეს ჩვეულებრივი მოვლენაა – აპროტესტებენ იმელოს რეკონსტრუქციას, ვაკის პარკში მშენებლობას, ყოფილი ფსიქიატრიულის ტერიტორიაზე საბინაო მშენებლობას, საბაგირო გზის მშენებლობას, „თბილისის პანორამას“ და სხვა და სხვა. რაშია საქმე?**

**ვ.დ.:** ამ ქვეყნებს არ ჰყავდათ ისეთი კანონდარმდევნი ხელისუფლება როგორც საქართველოს, თბილისს. ამ ქვეყნებში არსებობს არქიტექტურულ-ურბანული დისციპლინა, კანონის უზენაესობა. თბილისს 30 წელია არა აქვს განვითარების

სტრატეგია, ქალაქის კონსტიტუცია ანუ გენგეგმა. ამისთვის არც ავტორიტარიზმის პერიოდის მერიას და არც მათ წინამორბედებს არ უზრუნიათ. წინამორბედებს თანხები არ ქონდათ, სააკაშვილისთვის ამდაგვარი დოკუმენტის შექმნა ხელშემშლელი იყო მერკანტილური მისწრაფებების გზაზე. მათ არქიტექტურისა და მშენებლობის წარმართველი ყველა უწყება გააუქმეს, უმნიშვნელოვანესი დარგი უთაოდ დასტოვეს. არქიტექტურისა და მშენებლობის სამინისტროში 400 მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტი საქმეებს ძლივს აუდიოდა. დღეს ის შეცვალა ეკონომიკის სამინისტროს 10 კაციანმა განყოფილებამ. ამ სამინისტროსათვის არქიტექტურა გერია. ყოველივე ამან ურბანულ ქაოსთან ერთად არქიტექტორების ქვეყნის საზოგადოებრივი ცხოვრებიდან, საერთოდ კულტურული სფეროდან დისტანცირება-განდევნა გამოიწვია. არქიტექტორები, დღეს, საბალახოდ მიშვებული ძროხის მდგომარეობაში არიან. საბაზრო ეკონომიკა, კაპიტალი, ულმოხელი და ადაუნდობელია. ის ყველაფერს წვავს თავის გზაზე. იქ, სადაც ქალაქის მესვეურები არ აღმოჩნდნენ თავის სიმაღლეზე, კაპიტალმა ყველა ისტორიული ქალაქი გააჩანაგა. ნახეთ, როგორ არის ათენის აკროპოლის ფერდობები მოშენებული, პართენონი მხოლოდ ღამით წარმოჩინდება თავისი დიდებულობით. თბილისში მსგავს გაუპატიურებელ ადგილებს ყოველ ნაბიჯზე შეხვდებით. რომელმა დამპყრობელმა ჩაიდინა ისეთი საშინელება რასაც ადგილი აქვს სპორტის სასახლის ირგვლივ, მეცნიერებათა აკადემიის ყოფილ ტერიტორიაზე, მზიურში, რიყეზე, | სა-

ჯარო სკოლის უკან, დამუწუკებულია პრეზიდენტის სასახლის ფერდობი, კუსტარული და სტიქიურია თბილისში დასავლეთიდან შემოსასვლელი გზატკეცილი, ასეთივეა აეროპორტის გზატკეცილი, არ დარჩა არც ერთი სკვერი სადაც შენობა არ ჩაკვებეს და სხვა. ყველა ეს უმსგავსობა – დანაშაული სანქციონირებული იყო თბილისის მერიის მიერ. მათ სრული კონტროლი ქონდათ დაწესებული პროცესზე, ფანჯარას ვერ გაჭრიდი ავჭალაში საკუთარ საკარმიდამო სახლში, რაც გვაფიქრებინებს, რომ ყველა ამ დანაშაულის უკან ჩინოვნიკების ფინანსური ინტერესები იდგა. თმები ყალფზე გიდგება, როდესაც ტელევიზიიდან ისმენ წინა ხელისუფლების ნარჩენებისგან მოწოდებას კანონიერებისკენ. არქიტექტურულ-ურბანული პროცესის

რეგულირება, ისტორიული უბნების გადარჩენა, შესაძლებელია მხოლოდ სწორი სტრატეგიით და კანონის უზენაესობით. არ არსებობს კაპიტალის, ფულის მომრევი ძალა. კაპიტალი და საზოგადოების ინტერესები არ არიან სამკვდრო-სასიცოცხლოდ დაპირისპირებულნი. მათ შეუძლიათ მშვიდობიანი თანაარსებობა. ეს მოახერხა პარიზმა, პრადამ, ვენამ, ბალტიისპირეთის დედაქალაქებმა, მრავალმა ისტორიულმა ქალაქმა. საჭიროა ქალაქს ქონდეს გონივრული ალტერნატივები, სწორი შეთავაზებები, ეს კი არ წყდება თანამდებობის პირთა კაბინეტებში, არამედ პროფესიონალთა ეთობლივი მცდელობით. დაუშვებელია ინვესტორთა ინტერესების პრიმატი ქვეყნის და საზოგადოების ინტერესებზე, რაც ბოლო წლების მთავარი ტენდენცია იყო.

ვახტანგ დავითაია  
სპარტაკ ქობულია



*badri cxadaze*

## სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური პარადიგმებისა და დილემების შუაგულში

რეცენზია პროფ. იგორ კვესელავას წიგნზე:  
„საქართველოს სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური  
პარადიგმები და დილემები“, თბ., 2014

ქართველი მეცნიერები (სოციო-ლოგები, პოლიტოლოგები, იურისტ-სამართალდამცველები, ფილოსოფოსები, კულტუროლოგები და სხვ.) მთელი სიგრძე-სიგანით ხედავენ და განიხილავენ როგორც მსოფლიო პრობლემატიკას, ისე საკუთარი ქვეყნის განვითარების პერიპეტიებს, სახელმწიფოს მოწყობის ადაპტირებულ, ნაცად თუ სრულიად ცინცხალ ორიგინალურ თეორიულ და პრაქტიკულ მოდელებს.

ქართველ ექსპერტთა შორის, თავისი განსწავლულობით და მოვლენებისადმი დამოკიდებულებით, განსაკუთრებული ადგილი უჭირავს სტუ-ს პროფესორს, ისტორიკოსსა და პოლიტოლოგს ბატონ იგორ კვესელავას, რომლის ახლახანს გამოცემულმა წიგნმა „საქართველოს სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური პარადიგმები და დილემები“ (გამომცემლობა „უნივერსალი“, თბ., 2014, გვ. 1-152) უმაღლესი მიიპყრო სამეცნიერო და პოლიტიკური წრეების ყურადღება.

ი. კვესელავას მონოგრაფიის რედაქტორები არიან სტუ-ს პროფესორები პროფ. რ. მიშველაძე, პროფ. ჯ. გახოკიძე, პროფ. მ. პაპაშვილი, ხოლო რეცენზენტები პროფ. ა. სონდულაშვილი, პროფ. ე. გვენეტაძე, პროფ. ზ. კვეტენაძე. მონოგრაფიული გამოკვლევის რედაქტორთა და რეცენზენტთა სიუხვე გამოწვეულია საკვლევი თემის დიაპაზონით – იურისპრუდენციის, კულტუროლოგიის, ფილოლოგიის, პოლიტიკა-პოლიტოლოგიის, დიპლომატიის მრავალფეროვნებით.

საქართველოს პოლიტიკურ ისტორიას მონოგრაფიულად იშვიათად თუ შეჰხვებია ვინმე, სწორედ ეს არის ამ წიგნის ერთ-ერთი ღირსება, რომელსაც ჩვენი ქვეყნის თანამედროვე პოლიტიკური ყოფის გაცნობიერებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს. ამაზე მიუთითებენ წიგნის რედაქტორებიც. ჩვენი მხრივ დავძენთ, რომ პოლიტიკური თვალსაწიერით დანახული საქართველოს პრობლემატი-

კაზე რაც უფრო მეტი წიგნი და გამოკვლევა დაიწერება, მით უკეთესი, რადგან ახალფეხადგმული ქართული სახელმწიფოს პოლიტიკურ ორიენტირებში გარკვევა სპეციალისტისა და თითოეული მოქალაქისათვის აუცილებელია. უნდა ვიცოდეთ: თანამედროვე გლობალიზაციისა და გამოწვევების პირობებში ვინ ვართ და საით მივდივართ, როგორ ჩავერთოთ ევრო და სხვა სტრუქტურებში ისე, რომ სახელმწიფოს ეროვნული ინტერესები არ დაზიანდეს.

თუ როგორ ვიყავით ორიენტირებულნი წინა საუკუნეებში, ამის შესახებ მოგვითხრობს მონოგრაფიის პირველი თავი: „დავითიზმის“ ეროვნულ-სახელმწიფოებრივი პარადიგმა და დამოუკიდებლობისა და პოლიტიკური ორიენტაციის პრობლემა“ (გვ. 7-25), რომელშიც გამოკვეთილია „დიდი მფარველის ძიების უარყოფა და „ჯვრისა და მახვილის“ პარადიგმა. ამ უკანასკნელის შესახებ ქართველ მწერლებსაც გაუმახვილებიათ ყურადღება, მაგალითად, აკაკი წერეთელს, რომელმაც პოემა „გორგასლანში“ ხმალი და ჯვარი საგანგებოდ გამოარჩია. ჯვრის მატარებლად თამარ მეფე დასახა, ხოლო ხალხისთვის დიდების მიმნიჭებლად ვახტანგ გორგასალი. მან ვახტანგს ანდერძი დააწერინა, რომ ყველა მეფეს ხმლის გასაძლიერებლად სწორედ ისეთი აღზრდა უნდა მიეღო, რომელმაც თავად მას აგრერიგად არგო. ეს ანდერძი თამარ მეფემდე მოვიდა და ქალმა \_ ხელმწიფემ ვახტანგის ნაანდერძევეს თავისებურად უერთგულა:

**„მეფემ მახვილი, მოსაგერებლად,  
დავით სოსლანსა, ქმარს, გადაჰკიდა:  
თვითონ სთესავდა კეთილს**

### **საერთოდ**

**და ერთი ასად ჯვართა მკიდა“** (იხ. ა. წერეთელი, გორგასლანი. იხ. ა. წერეთელი, რჩეული ნაწარმოებები ხუთ ტომად, ტ. II, პოემები, დრამატული ნაწერები ლექსად, თბ., 1989).

ხმლისა და ჯვრის ერთიანობა ჩვენი ერის წარმატებულობის და თვითგადარჩენის წინაპირობად მიიჩნია გრ. რობაქიძემაც, რომელმაც აკაკი წერეთლის ეს თეზა წარმატებულად გამოიყენა თავის შემოქმედებასა და პუბლიცისტიკაშიც, სადაც არაერთი პასაჟი მიუძღვნა. ქართულმა მართლმადიდებელმა ეკლესიამ ჯვარისა და ხმლის ერთიანობის ბალანსი ჩვენი ეროვნული ინტერესების სამსახურში ჰარმონიულად ჩააყენა. ამან საშუალება მისცა საერო ხელისუფლებას ტრადიციული ფასეულობების დაცვით და ახალი მოთხოვნების გათვალისწინებით ელვაწათ და ემსახურათ.

მეზობელ სახელმწიფოებთან ურთიერთობის კუთხით საინტერესოა ი. კვესელავას შეხედულებები და გამოთქმული მოსაზრებები. გამოვარჩევთ მის შეფასებას საქართველოს სახელმწიფოებრიობის შესახებ. მისი აზრით, „სომხებისაგან განსხვავებით, ქართველებს ამა თუ იმ ფორმით ყოველთვის ჰქონდათ სახელმწიფოებრიობა და შესაბამისად, შესაძლებელია ვილაპარაკოთ ქართველთა სახელმწიფოებრივ მოდელზე, რომელიც ეთნოსთა სტერეოტიპის ცვლილებების მიუხედავად, საუკუნეების განმავლობაში არ შეცვლილა, ან ძალიან ცოტათი შეიცვალა“ (გვ. 30). მკვლევარს თავისი თვალსაზრისის გასამყარებლად მოჰყავს VI საუკუნის ცნობილი კოლხი ორატორის აიეტის მსჯელობა ქვეყნის პოლიტიკური

ორიენტაციის შესახებ: „მე ვისურვებდი, კოლხეთს დაბრუნებოდეს ძველი ძლიერება და არ დასჭირვებოდეს უცხო ქვეყნების დახმარება; და სავსებით დამოუკიდებელი იყოს მშვიდობისა და ომიანობის ჟამსაც... მაგრამ რადგან დროთა მდინარებით ანდა ბედის ტრიალით, ეგებ ორივეს გამოც, ისე დავუძღვრდი, რომ სხვებს უნდა დავემორჩილოთ, ყველაზე გონივრულად მიმაჩნია, იმის ნებას დავცვეთ, ვინც უფრო ზომიერია და სამართლიანი და ვინც არასდროს ღალატობს თავისი მოკავშირეების მეგობრობას“.

ეს გაუხუნარი ისტორიული სიტყვა – ისტორიული პოლიტიკური აზროვნების უწყვეტობაა, რომელიც, ჩვენი აზრით, დღესაც ასაზრდოებს ქართულ პოლიტიკას, იგი უნდა იყოს ჩვენი ფუნდამენტური ხედვა სამომავლოდაც.

პროფ. ი. კვესელავას მონოგრაფიაში სკრუპულოზურად შესწავლილია ქართული სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური მოდელი მაჰმადიანურ სამყაროსთან მიმართებით (გვ. 31-37), ასევე ქართული სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური იერსახე მეფის რუსეთისა და საბჭოთა იმპერიის დროს (გვ. 38-46). ცალკე ქვეთავები ეთმობა საქართველოს პირველი დამოუკიდებელი რესპუბლიკის სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურ ორიენტაციას (გვ. 47-57), დამოუკიდებელი საქართველოს პოსტსაბჭოურ გზას – სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურ მოდელს (გვ. 58-67).

მკვლევარი მწვავედ წარმოაჩენს ისედაც მწვავე და ჩვენს ქვეყანაში ჯერარგანელებული „მიშიზმის“ საშინაო და საგარეო სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურ იდეოლოგიას (გვ.

68-99), იმ დანაშაულებრივი პოლიტიკური მართვის რეციდივებს, „უსამართლო“ სასამართლოსა და სამართლის ფონზე, რომლის შედეგებსაც, სამწუხაროდ, ახლაც ვიმკით. ი. კვესელავა გამოკვეთს პოლიტიკური მართვის იმ უმთავრეს სტილსაც, რომელსაც „მე მჭირდება ორი გვამი, მომიტანეთ ეს ორი გვამი. პრემია დიდი“ -ს პრინციპი შეიძლება ვუწოდოთ, რომელზეც აღმოცენებულია სახელმწიფო მოღვაწეთა და პოლიტიკოსთა ოთხი ტიპი:

1. იცის, რომ იცის;
2. იცის, მაგრამ არ იცის, რომ იცის;
3. არ იცის და იცის, რომ არ იცის;
4. არ იცის, მაგრამ დარწმუნებულია, რომ იცის“.

მართებულია მეცნიერ-პოლიტოლოგის დასკვნა, რომ: „ნაციონალურმა მოძრაობამ ვერ გაითავისა ერის ლიდერის როლი, ვერ გაიცნობიერა, რომ ის ბარიკადებზე შემდგარი რადიკალური მოძრაობა კი არ იყო, არამედ მმართველი პარტია, რომელსაც გამოცდები უნდა ჩაებარებინა ერის წინაშე, რის გამოც ვერ მოხერხდა ეროვნული კონსოლიდაციის მიღწევა“ (გვ. 79). სწორედ ამიტომაც შეარქვა პროფ. ი. კვესელავამ საქართველოში ნაციონალური მოძრაობის 9-წლიან მმართველობას „ჟამიანობის ცხრა წელი“.

ბატონი იგორი, როგორც მეცნიერი, მეისტორიე და ჟამთააღმწერელი პირუთვნელად წარმოაჩენს იმ ცხრაწლიანი გაუსამლისი ყოფის პრაქტიკულ შედეგებს, ქართველი ნაციონალ – „ოკეანედალეულების“ პოლიტიკურ კრახს, რომელთაც ეროვნული და ქვეყნის მართვის მუხტი ბოლომდე ისე დაელოათ (ამ ზმნური სიტყვის ყოველგვარი მნიშვნელობით),

რომ გონს ახლაც ვერ მოსულან, თურა ჩაიდინეს. „სინდისის გარდა ყველაფერი უნდა გაიყიდოს“ (კ. ბენდუქიძე) სლოგანი დამღუპველი აღმოჩნდა ჩვენი ახალბედა სახელმწიფოს რეფორმატორულ გზაზე.

შავბნელი გვირაბის ბოლოს შუქი მაინც გამოჩნდა: ქვეყანას ერთგვარ შვებად წარმოუჩნდა 2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნები, რის შედეგად სახელმწიფო სათავეში მოვიდა პოლიტიკური კოალიცია „ქართული ოცნება“, რომელიც, ბატონი იგორის ხატოვანი შედარებით, „იმ თვითმფრინავს ჰგავს, რომელიც აფრინდა და იცის, სად უნდა დაეშვას, განსხვავებით ნაციონალური მოძრაობის იმ თვითმფრინავისაგან, რომელიც 9 წელი ცაში დაეხეტებოდა და არ იცოდა, სად უნდა დაფრენილიყო“ (გვ. 117).

ყოველივე ამაში კი პატივცემული მკვლევარი, ქართველ ხალხთან ერთად, ხედავს ბიძინა ივანიშვილის განუზომელ წვლილსაც, რომლის მოღვაწეობის პოლიტიკური და კულტურული პარადიგმა ამოუწურავია.

ამ წიგნში არის მხილებაც და წარმატების აღნუსხვაც, მსჯელობა და ანალიზი, შეფასება და სამომავლო მოქმედებების წარმატებით დაგვირგვინების დიდი იმედი.

ბატონი იგორ კვესელავას შეფასებით: „გაგა ჟამი, დაიკცემა ოცდამეერთე საუკუნე და სხვა საუკუნეებიც. საქართველო გახდება ძლიერი, ერთიანი და აყვავებული ქვეყანა. ქართველები მოიგონებენ დავით აღმაშენებელს, ილია ჭავჭავაძეს, ზვიად გამსახურდიას, ბიძინა ივანიშვილს...“

ქართველებს მამულიშვილებს რა გამოუღევთ.

ჭემმარიტად.

პროფ. ი. კვესელავას წიგნი თანაბრად დააინტერესებს ყოველივე „ისტისა“ და „კრატის“ ან „უისტო“ და „უკრატო“ ქართველს, მკვლევარსა თუ რიგით მოქალაქეს.

უახლესი ქართული პოლიტიკური ლიტერატურის თაროზე ბატონი იგორ კვესელავას მონოგრაფია გამორჩეულ და გაუხუნარ ადგილს დაიჭირს.





## ქართველური სახელების ბრუნების პარადიგმა

დღევანდელი საქართველო თავისი კუთხეებითურთ ქართველთა თვითშეგნებამ, ეროვნულმა ცნობიერებამ, საერთო გენეტიკურმა კოდმა, ერთიანმა ხედვამ, ეთნოყოფითმა თვალსაწიერმა შემოგვინახა. ამ მხრივ არაერთი ისტორიული პასაჟი თუ პარალელი შეგვიძლია მოვიყვანოთ. მარტო წარმართული, წინარექრისტიანული ეპოქის სახელმწიფო მოღვაწეთა ქუჯისა და მეფე ფარნავაზის დასახელება რად ღირს!

სხვადასხვა დიალექტზე მოლაპარაკე ქართველ ეთნოსს მეფე ფარნავაზმა ქართული ანბანი, სახელმწიფო და სალიტერატურო „ენა ქართული“ შეუქმნა. როგორც ვიცით, მსოფლიოში ნებისმიერ ერ-ტომთა სახელმწიფო და სალიტერატურო ენა ერთგვარად ხელოვნურია, კოინეა. მიუხედავად ამისა, ათასწლეულების განმავლობაში ქართული ენა, ქართველური ენები თავიანთი დიალექტებითურთ დღემდე ვითარდება და ახალ-ხალ ნიუანსობრივ გამომსახველობით იერ-სახესა და მორფოლოგიურ-სინტაქსურ კატეგორიებს იძენს.

სპეციალისტებისათვის ცნობილია, რომ ნებისმიერ ენაში არსებობს მუდმივი და ცვლადი კატეგორიები. ქართველურ ენებში (ქართული, სვანური, მეგრულ-ჭანური ანუ კოლხური) ზმნა ანუ შემასმენელი მუდმივი კატეგორიაა, მას ემორჩილება თითქ-

მის ყველა მთავარი მეტყველების ნაწილი, თვით ქვემდებარეც კი. სწორედ ამიტომაც ჰქვია მას შემასმენელი (=დამსმენი, დამბეზღებელი, „ჩამშვები“), ხოლო სუბიექტს – ქვემდებარე (=ზმნის ქვემ მდებარე). მართალია, ანტონ კათალიკოსის მიერ უცხოური (ევროპული) ენებიდან გადმოღებული ეს კალკირებული ტერმინები დღეს პირვანდელივით ბგერობრივად და შინაარსეულად კარგად არ ჟღერს, მაგრამ ისინი სიღრმისეულად მაინც გამოხატავენ ურთიერთშორის მორფოლოგიურ და სინტაქსურ დამოკიდებულებას – ქართველური ენების შინაგან ბუნებას. ასე რომ, ქართველურ წინადადებაში წამყვანი ზმნაა – ზმნა წინადადების ბირთვია (შდრ. საპირისპიროდ ინგლისური ენა, სადაც ზმნა სახელთან შედარებით ძალიან სუსტია).

ქართველურმა სახელებმა, როგორც საზოგადო, ისე საკუთარმა, ბრუნებისა და ფორმაწარმოების თვალსაზრისით დიდი ხანია მიიქცია ქართველი და უცხოელი გრამატიკოსების ყურადღება (ა. ზ. შანშოვანი, ა. ბაგრატიონი (კათალიკოსი), გაიოზ რექტორი, დ. კარიჭაშვილი, მ. კელენჯერიძე, ა. ბენაშვილი, მ. ბროსე, ა. ცაგარელი, მ. ჯანაშვილი, პ. კვიციანიძე, მ. ყიფიანი, ს. ხუნდაძე, ჰ. შუხპარდთი, ი. ქართველიშვილი, თ. ჟორდანია, ნ. მარი, გ. დეეტერსი, ა. შანიძე,

ი. ყიფშიძე, ვ. თოფურია, არნ. ჩიქო-ბავა, ჰ. ფენრიხი და სხვ.), მაგრამ მიუხედავად მკვლევართა მრავალმხრივი ძალისხმევისა, ქართველური ზმნა და სახელი სრულყოფილად ჯერ კიდევ შესწავლილი არაა. მართალია, უხვად გვაქვს ქართველური ენის გრამატიკები, ცალკეული ნაშრომები (ნ. მარის, არნ. ჩიქობავას, ვ. თოფურიას, ი. ყიფშიძის, მ. ბრიერის, გ. მაჭავარიანის, თ. გამყრელიძის, კ. დონდუას, კ. დანელიას, ნ. აბესაძის, გ. კლიმოვის, ა. დავითიანის, ა. ონიანის, ლ. კვაჭაძის, შ. ბერიძის, ე. ბაბუნაშვილის, რ. ღამბაშიძის, თ. შარაძენიძის, ი. ჩანტლაძის, შ. აფრიდონიძის, ა. ლომთაძის, გ. ნებიერიძის, ალ. ფოცხიშვილის, გ. როგავას, ქ. ლომთათიძის, მ. ქალდანის, თ. ქაჯაიას, გ. კარტოზიას, თ. უთურგაძის, ჰ. ფოგტის, ზ. ჭუმბურიძის, არ. მარტიროსოვის, ს. ჩხენკელის, ი. ცერცვაძის, ი. იმნაიშვილის, ბ. ჯორბენაძის, ზ. სარჯველაძის, გ. გოგოლაშვილის, თ. მიქიაშვილის, ლ. პალმაიტის, კ. ფხაკაძის, კ. გაბუნიას, თ. გვანცელაძის, ტ. ფუტყარაძის, გ. ღვინევაძის...), მაგრამ ეს მეცნიერული გრამატიკები და ცალკეული ნაშრომები ავტორთა პიროვნული კვლევის შედეგებზეა დაფუძნებული, რომლებშიც ყველა საკითხი თანაბრად გაშუქებული არაა. შეიძლება ითქვას, საზოგადოების განვითარების დღევანდელ ეტაპზე მეცნიერული გრამატიკული ლიტერატურა „კერძობითი ხასიათისაა“ და ვერ პასუხობს მასობრივი მკითხველის დაკვეთას.

მაგალითად, ზოგი ენათმეცნიერი ისე გაიტაცა კერძობითმა კვლევამ, რომ სახელის ბრუნვის რაოდენობა 15-მდე აიყვანა, ხოლო ა. შანიძისეული ზმნის უღლების მწკრივები ერთიორად გაზარდა. არადა, საზოგა-

დობას, წიგნის დღევანდელი მომხმარებელს – ენის შემსწავლელთ – ქართველური ენების გრამატიკების გამარტივებული სახით შექმნა და მიწოდება სჭირდება.

სწორედ ამ ხარვეზის ერთ-ერთი ცდაა სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის, ქართველური ენების მკვლევრის, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის, ცნობილი ენათმეცნიერის ანტონ კიზირიას მოწაფის, ქართველოლოგ მერაბ ნაჭყეზიას ბოლოდროინდელი მონოგრაფიები: 1. „სახელის ბრუნების პარადიგმა მეგრულ-ლაზურში“ (გამომც. „უნივერსალი“, თბ., 2009, გვ. 166, რედაქტორი რ. შეროზია), 2. „ქართველური სახელის ბრუნების პარადიგმა“ (გამომც. „მერიდიანი“, თბ., 2012, გვ. 368, რედაქტორი მ. ჩუხუა). პირველ, ზემოდასახელებულ, წიგნში, არსებულ თვალსაზრისთა შეჯერებით, განხილულია მეგრულ-ლაზური სახელის ფორმაცვალებისა და ფუნქციონირების ისეთი კარდინალური საკითხები, როგორც გახლავთ: ბრუნვათა რაოდენობა და რიგი, ბრუნვათა წარმოება, ბრუნვის ნიშნები და მათი გენეზისი, თავისებური (მეორეული) ბრუნვები, თანდებუიანი ბრუნვები, მსაზღვრელის ურთიერთობა საზღვრულთან, მრავლობითი რიცხვის წარმოება და მრავლობითის მაწარმოებელ ბოლოსართთა გენეზისი. პროფ. მ. ნაჭყეზიას ზემოდასახელებული, 2012 წელს გამოქვეყნებული, მონოგრაფია ყურადღებას იქცევს ასევე აპრობირებული და კარდინალური საკითხების წინ წამოწევით, სადაც გამორჩეული ადგილი უჭირავს ქართული სახელმწიფო ენის ფუნქციონირებას, ქართველური სახელის ბრუნების პარადიგმის შესწავლის ისტორიას, ქართული გრამატიკული



აზრის ჩასახვის წინაპირობებს მისი განვითარებიდან დღემდე. მონოგრაფიაში ყოველივე ეს მოწოდებულია ქრონოლოგიის სრული თანამიმდევრობით. აქ განხილულია ქართველური სახელების ფორმაწარმოება-ფორმაცვალებისა და ფუნქციონირების ისეთი საკითხები, როგორცაა: ბრუნვათა რაოდენობა და რიგი, ბრუნვათა წარმოება, ბრუნვის ნიშნები და მათი გენეზისი და სხვ.

კვლევის შედარებითმა ანალიზმა პროფ. მ. ნაჭყებია იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ დასახელებულ ენობრივ კონტინუუმებში ბრუნვათა სისტემა (როგორც ბრუნვის ნიშნები, ისე ბრუნების პროცესი), აგრეთვე სახელთა (არსებითი, ზედსართავი, რიცხვითი ნაცვალი) წარმოება და ფუნქციონირება თვისობრივად ერთგვაროვანია. ცალკეულ ქვესისტემებში არსებული თავისებურებები მეორეულ, გვიანდელ მოვლენად სახელდება. მონოგრაფიით ირკვევა, რომ სახელის წარმოებასთან დაკავშირებით მეგრულ-ლაზურ-სვანურში არ შეიმჩნევა არც ერთი ისეთი მოვლენა, რომელიც ქართულ სამწერლობო ენასა და მის დიალექტებში არიყოს დადასტურებული.

მსოფლიოში მიმდინარე კატაკლიზმების, კრიზისისა და დილემების – ახალი გამოწვევების ფონზე დღეს ზოგიერთი მკვლევარი, „პოლიტიკურად რეგიონალისტ-სეპარატისტი“ – მავანი რუსეთუმე თუ ხედვა-აზროვნებით ოკეანისგაღმელი“ სხვაგვარად (მრუდ სარკეში) განიხილავს ქართველური ენების სოციოლინგვისტურ მახასიათებლებს, მათ სინქრონიულ-დიაქრონიულ დეფინიციას. მ. ნაჭყებიას კვლევისას არც ეს გამორჩენია. მისი კვლევის შედეგად მტკიც-

დება, რომ ქართველური ტომებისათვის ისტორიულად ყოველთვის ძირითადი საურთიერთო-საკვლესიო ენა ქართული იყო.

მართალია, ორივე წიგნი მკვლევარ-სპეციალისტთა და მაგისტრანტ-დოქტორანტებისთვისაა განკუთვნილი, მაგრამ, დარწმუნებული ვართ, მათ დიდი ინტერესით გაეცნობიან ჰუმანიტარული დარგებში მომუშავე სხვა სპეციალისტებიც.

ზემო დასახელებულ სარეცენზიო პირველ წიგნს (რომელიც 7 თავისაგან შედგება) და მეორე 17-თავიან მონოგრაფიას, სამწუხაროდ, არ ერთვის უცხოურენოვანი რეზიუმეები. როგორც ჩანს, მ. ნაჭყებიას მონოგრაფიები მხოლოდ ქართველური ენის მცოდნე მკითხველისთვის არის განკუთვნილი. მიუხედავად ამ შენიშვნისა, ორივე მონოგრაფია უზაღოა და ახალი სიტყვაა ქართულ ენათმეცნიერებაში, საერთოდ ქართველოლოგიაში. ორივე გამოკვლევა კუთვნილ ადგილს დაიჭერს კავკასიოლოგიისა და ქართველოლოგიის წიგნის თაროებზე და მოექცევა ქართველოლოგი მკვლევრის მეცნიერულ თვალსაწიერში.

ახლა საჭიროა მოდერნიზებული სასწავლო დანიშნულების (არამეცნიერული) ცალკეული ქართველური ენის გრამატიკების (ქართული ენის გრამატიკა, ლაზურის (ჭანური ენის) გრამატიკა, მეგრული ენის გრამატიკა, სვანური ენის გრამატიკა) შექმნა, რომელთაც ელოდება დამწყები ქართველოლოგი, უცხოელი თუ ქართველი სტუდენტი. ვფიქრობთ, ჩვენ ენათმეცნიერები ამ ამოცანასაც თავს ღირსეულად გართმევენ.



## მწერლის მრავალმხრივი პორტრეტი

არ შეიძლება, არ დავეთანხმოთ ცნობილ მწერალსა და მეცნიერს ავთანდილ ნიკოლეიშვილს, რომელიც პირდაპირ აცხადებს: „დღესდღეობით... როცა ლიტერატურული კრიტიკა ფაქტობრივად ფუნქციონირებს, ამ ურთულეს და უმადურ საქმეს მხოლოდ რამდენიმე პროფესიონალი თულა ემსახურება. იური ბიბილეიშვილი ერთ-ერთი მათგანია, შემოქმედებითი აქტიურობით გამორჩეული კრიტიკოსი, რომელიც მაღალი პროფესიონალიზმით აღბეჭდილი თავისი ლიტერატურული წერილებით სისტემატურად ეხმიანება ჩვენს მწერლობაში მიმდინარე მნიშვნელოვან მოვლენებს“.

იური ბიბილეიშვილი – ამ სახელის ხსენებაზე ბათუმი, შავი ზღვა და მისი სანაპიროს თბილი და ალერსიანი ბუნება წამომავიწყდება ხოლმე. ასევე თბილი, რბილი, კეთილი დამოკიდებულება აქვს ამ კაცს ნებისმიერი მწერლის მიმართ; ყოველი მათგანი ახსოვს, მათზე ფიქრობს და ზრუნავს; ამ მომხიბლავი, გულის მომნადირებელი თვისებით გამორჩეულ ღიმილიან პიროვნებას თითქოსდა კრიტიკოსისათვის საჭირო სიმედვრე, სიმკაცრე და ობიექტურობა უნდა აკლდეს. ოღონდ ასე სულაც არაა. მისი სამეცნიერო და კრიტიკული ტექსტები სწორედ საპირისპიროს გვიდასტურებს: ეს არის სიზუსტე, სიღრმისეული განსჯა, ობიექ-

ტური შეფასებები და, როგორც შედეგი, ისეთი წიგნების შექმნა, რომლებიც ლიტერატურის ისტორიასა და კრიტიკას აუცილებლად სჭირდება.

სწორედ აღნიშნულის დასტურია მონოგრაფია „ოტია იოსელიანის მხატვრული სამყარო“ (2011).

ავტორი საფუძვლიანად გასცნობია თანამედროვე მწერლობის დიდოსტატის ნაღვაწს და მაღალპროფესიულად წარმოუჩინა მისი მნიშვნელობა უახლესი ლიტერატურისათვის. ასე მივიღეთ პირველი სრულმასშტაბიანი მონოგრაფიული გამოკვლევა ოტია იოსელიანზე.

აქვე მკითხველის ყურადღებას საგანგებოდ მივაქცევ ერთ საგულისხმიერო ფაქტს: აკად. ა. ნიკოლეიშვილი მიუთითებს: „ბატონი იურის მეცნიერული ნაშრომებისადმი, რომლებიც სხვადასხვა დროს დაიბეჭდა „განთიადისა“ და „ჭოროხის“ ფურცლებზე, თავად მწერალიც ხშირად გამოხატავდა ხოლმე სათანადო ინტერესს. ეს რომ ასე იყო, ამის დასტურად აქ თუნდაც იმის აღნიშვნა იქნება საკმარისი, მონოგრაფიის ცალკეული ნაწილები მწერალმა ბოლო დროს გამოცემულ თავის რამდენიმე წიგნსაც დაურთო წინასიტყვაობის (ტომი I) და ბოლოსიტყვაობის (ტომი II) სახით; თუ გავითვალისწინებთ იმ მწვავედ კრიტიკულ პოზიციას, რასაც ბატონი ოტია ანალოგიური სახის კვლევების მიმართ ავლენდა ხოლმე არცთუ იშვიათად, იური ბიბილეი-

შვილი მონოგრაფიისადმი მისი ამგვარი დამოკიდებულება აშკარად უნდა მივიჩნიოთ მკვლევრის მიერ გაწეული მრავალწლიანი შრომის პოზიტიური შეფასების გამოხატულებად”.

საკმაოდ ორიგინალურია ავტორის კვლევის მეთოდი: მწერლის ცხოვრების გზას იგი გვიჩვენებს ოტია იოსელიანისავე მოგონებებზე („ჩემი ასავალ-დასავალი“) დაყრდნობით. იური ბიბილეიშვილი ერთობ გერგილიანად ირჯება: ჯერ ერთი, მწერლისეული მოგონებების მეოხებით გვითვალსაჩინოებს მის საინტერესო ბიოგრაფიას, ცხოვრებისეულ ეკლავს გზას, რათა უფრო იოლად ჩავწვდეთ პროზაიკოსის მხატვრულ სამყაროს, იდეათა წარმომავლობას; მეორეც, იმავე მოგონებებს მეცნიერულად იხილავს და იკვლევს, გამოყოფს მთავარსა და მეორეხარისხოვანს, დაემებს მიზეზშედეგობრივ კავშირებს; მთავარი დასკვნა კი, გვგონია, ეგ გახლავთ: „ჩემი ასავალ-დასავალი“ სცილდება ერთი მწერლის ბიოგრაფიის საზღვრებს და XX საუკუნის სამოცდაათი წლის მანძილზე ქართული სინამდვილის ისტორიულ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ, ზნეობრივ და ესთეტიკურ ასპექტთა მხატვრულ ასახვას წარმოადგენს“ (8).

ამის შემდეგ კი ნაჩვენებია აღნიშნული სიტყვა-დასკვნების სისწორე კონკრეტულ ფაქტთა და არგუმენტთა მოხმობით (9-54).

მწერლის ბიოგრაფიული ეპიზოდები იზოლირებულად როდია განმარტებული: ნაჩვენებია ის მხატვრული საშუალებანი, რომლებიც მწერლის ინდივიდუალობას ქმნის და სათანადო პარალელები მოხმობილია ნოველებიდან, მოთხრობებიდან, სტატიებიდან, რომანებიდან. ამით

იქმნება შთაბეჭდილება, რომ მემუარი არ არის ცალკე მცურავი აისბერგი. ის მთელი ერთიანი მხატვრული სამყაროს ტიპური ნაწილია. აქ საუბარია და საგანგებოდ გამოკვეთილია მწერლის სიბრძნე (განხილულია აფორიზმები); დიალოგი მკითხველთან, საკუთარ თავთან; გამოვლენილია მხატვრული აზროვნების ტიპოლოგიური მოდელი; ირონია და იუმორი; იან ამონ კომენსკის მედლის კავალერი იური ბიბილეიშვილი საგანგებოდ გამოყოფს იმ პედაგოგიკურ იდეებს, რომელთაც ასხივებს პოეტიკა და პროზაიკოსის მემუარებიცა და მთელი შემოქმედება; გამოყოფილია მათი გამოსახვის ხერხები, მომაჯადოებელი ცნება-ტერმინები (25-26); აქვე გამოვლენილია გაზვიადების ხერხი, ფიზიკური პორტრეტი, ფსიქიკურ-ფიზიკური პორტრეტი, სოციალური მხარე, სიტყვიერ-სემანტიკური ძიებები, სიტყვათქმნადობა, იმერიზმები...

მეორე წერილი – „ადამიანურ შესაძლებლობათა უსაზღვროება“ – განიხილავს რომან „ვარსკვლავთცვენასა“ და ცალკეულ პროზაულ ქმნილებებს (55). ცენტრალური ყოვლისმომცველი დებადი ასეთია: „ვარსკვლავთცვენა“ დიდი ომის მეტაფორაა (56). შემდეგ კი ხდება ამ დებულების დასაბუთება. აღსანიშნავია: აქ შესულ მცირე ფორმის ტექსტებზე საუბრისას ავტორი შესანიშნავად მსჯელობს ნოველისა და მოთხრობის განსხვავებაზე, მათ არსზე (62-63). ყოველი მნიშვნელოვანი მწერალი თავიდან უნებურად აფართოებს ამა თუ იმ სიტყვის სემანტიკურ ველს. ასეა ოტია იოსელიანთანაც. ეს კრიტიკოსს მხედველობიდან არ გამორჩენია და მოჰყავს სათანადო მაგალითები (82-84).

არ შეიძლება არ დავეთანხმოდ მკვლევარს, როცა ამ ძიებების დროს

ასე აცხადებს: „მხატვრული ნაწარმოების შემეცნებით ღირებულებას სამანები არა აქვს. მხატვრული ნაწარმოები თავისი ესთეტიკური ღირებულებებით სიხარულს უნდა ანიჭებდეს მკითხველს და, ამავე დროს, თანაბარი ძალით გონებასაც უნდა უნათებდეს“ (87). აქაც, ისე როგორც წინა თავში, გამოყოფილია კონკრეტული მხატვრული ხერხები და საშუალებანი, მოყვანილია მრავალი მაგალითი და ნაჩვენებია, თუ რა ქმნის ოტია იოსელიანის განუმეორებელ ინდივიდუალურ მხატვრულ სტილს (95-103).

ოტია იოსელიანი ილიასა და აკაკის ლიტერატურული მეთოდის მემკვიდრე და გამგრძელებელია. კრიტიკული პათოსი მისი თითქმის ყველა ქმნილების არსია. ამიტომ მესამე ნაკვეთი – „მხილებისა და განსჯის ხელოვნება“ – ერთობ მნიშვნელოვანი კონცეპტუალური ნაშრომია. მკვლევრის აზრით, მხილება და განსჯა მწერლის მხატვრული სტრატეგია გახლავთ (105). სანიმუშოდ განხილულია რომანი „იყო ერთი ქალი“. შემდეგ ამ თვალსაზრისით არის გააზრებული არაერთი მოთხრობა და ნოველა.

„არა კაც კლა“ – მეოთხე ნაკვეთი – ეხება ომებსა და სისხლისღვრას. ბუნებრივია, ქართველი მწერალი, როგორც ყველა ერის ჰუმანისტი კალმოსანი, ებრძვის ამ დუხჭირ მოვლენას, ოღონდ საკითხავია, რა ხერხებით, რა მიდგომებით? აი, ამის გარკვევა უკისრია კრიტიკოსს. საინტერესოა დაკვირვება: „ოტია იოსელიანის ბადალი მწერლები ცხოვრებას ფეხდაფეხ კი არ მიჰყვებიან ან მკითხველის გვერდით კი არ მიაბიჯებენ, როგორც ეს მასის მწერლებისათვისაა დამახასიათებელი, არამედ წინ უსწრებენ ცხოვრებას და მომავ-

ლიდან აფასებენ მოვლენებს. ოტია იოსელიანი ლიდერი მწერლის ტიპია“ (130).

ამის შემდეგ მოდის ამ თეზისის განამდვილება და დაკონკრეტება, მეტყველი საბუთებით მისი დადასტურება. აქაც მკვლევარი გამოყოფს მწერლური ინდივიდუალობის შემქმნელ მხატვრულ საშუალებებს (ალუზია, ალიტერაცია, იდიომი, მეტაფორა, შედარება, ფრაზეოლოგია, ამოჩემებული სიტყვები, იმერიზმი...).

„ცხოვრების სიბრძნე“ (მეხუთე ნაკვეთი) იკვლევს მწერლის მეხუთე ტომის ტექსტებს და ავტორი მათ ახლა მითითებული თვალსაზრისით აკვირდება. ამგვარი ტიპის ნაკვლევი იმით არის კარგი, რომ მსჯელობა საგნობრივია, კონკრეტული და მხატვრული ფაქტები, ხერხები – საგანგებოდ გამოკვეთილი, ხოლო „ჰუმანისტი მწერლის მხატვრული თვალსაზრისი“ იკვლევს რომანს „შავი და ცისფერი მდინარე“, „ნათელი სამყარო“ – საყმაწვილო თხზულებებს. აქ კრიტიკოსმა დაამტკიცა, რომ პროზაიკოსი ყმაწვილთათვისაც ისევე წერს, როგორც მოზრდილთათვის, ოღონდ უფრო უკეთესად. წიგნში ცალკეა გამოკვეთილი „ოტია იოსელიანის დრამატურგია“, ხოლო შემოქმედის პოეზიას ეძღვნება „პოეტური სიტყვის მადლი“. საგულისხმოა ამ მონაკვეთის დასასრული: „ოტია იოსელიანის „სიმორით სიახლოვე“ მრავალმხრივი შემოქმედის მაღალნიჭიერების საუკეთესო ნიშანსვეტია. ამ სვეტის ოქროს ქიმიდან შუქი და სითბო ეფინება მკითხველის სულს“ (325).

ასე პოეტურად და სახიერად მთავრდება წიგნი.

ვულოცავთ ძვირფას იური ბიბილეიშვილს ამ ერთი მკვიდრი აგურის ჩადებას ეროვნული მწერლობის ისტორიის კედლებში.



## რედაქციისაგან



საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორის, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის, მწერლისა და პუბლიცისტის, სალიტერატურო-სამეცნიერო ჟურნალ „პარალელის“ თანარედაქტორის, ჟურნალისტ ბადრი ცხადაძის წინათქმა „ჯუმბერ ლეჟავა – ქართული ლეგენდა“ 2013 წლის 21 დეკემბერს დაიწერა. ბატონი ბ. ცხადაძე ჯუმბერ ლეჟავას „მოგზაურობათა 50-ტომეულის რედაქტორი გახლავთ. მის მიერ შარშან და წელს ბატონ ჯუმბერთან ერთად მომზადდა ამ სერიული ქართულ-გერმანული გამოცემის ოთხი ტომი. სამწუხაროდ, მოულოდნელად, ბატონი ჯუმბერ ლეჟავა 2014 წლის ივნისში გარდაიცვალა.

გთავაზობთ პროფ. ბ. ცხადაძის წინათქმას, რომელიც ჯ. ლეჟავას 50-ტომეულის თითოეულ წიგნს უნდა დართვოდა

### ჯუმბერ ლეჟავა – ქართული ლეგენდა

მსოფლიოს მრავალი მოგზაური ჰყოლია: გემით, ნავით, აქლემით, ცხენით... მავალი და აჰა, მეოცე საუკუნის მიწურულს გამოჩნდა პიროვნება, კაცი – ორგზის მკვდრეთით აღდგენილი (ორ კლინიკურ სიკვდილს გადატანილი, **4,5 ნაწლავამოჭრილი...**), რომლის განზრახვა და მიზანი ჯერ სიკვდილის დამარცხება და მოხიბვლა სიცოცხლე, ხოლო შემდეგ ჩანაფიქრის – მთელი მსოფლიოს ველოსიპედით შემოვლა იყო. ეს ველომოგზაურობა არ იყო ივარდებით მოფენილი. ადვილი არაა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში გზატკეცილზე ათიათასობით მანქანებს შორის ველოსიპედზე ამხედრებული ან გაუვალ ტალახში ზურგზე ველოსიპედმოკიდებულის, ზოგ ოთხფეხა თუ ზოგ-ჯერ ორფეხა მხეცებს შორის წინსვლა. ინჟინერ-ველომოგზაურმა, რეკორდების წვიმაში გამოზრმმედილმა, უტეხმა ნებამ ჰომეროსის ოდისევსივით, შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ გმირ ავთანდილივით დამღია ყველა ხიფათი დაბრკოლება და 3333-დღიანი ველომოგზაურობის წარმატებით გასრულების შემდეგ შინ მშვიდობით დაუბრუნდა ოჯახს, სამეგობროს, სამსახურს, სამშობლოს. ფათერაკიან გზებზე რა არ გადახდენია მას – შესანიშნავი მასპინძლობის პარალელურად (მისი მასპინძელი სხვადასხვა ქვეყანაში იყო ქართველი, სომეხი, ებრაელი, ინდოელი, გერმანელი...) მუხთლობა და ღალატი ქართველი და არაქართველი (სომეხი, აზიელი, აფრიკელი...), კაცისა, ოფიციალური პირებისაგან, ბოროტი ადამიანებისაგან...

ერთ-ერთი ინდური ბრძნული შეგონება გვამცნობს: „შუა გზაზე გაწოლილ გველს გამვლელ-გამომვლელნი სცემდნენ. ერთმა გამვლელმა უთხრა: – არ გირჩევნია გზიდან გადახვიდე და გამვლელს გზა გაუთავისუფლო? გველმა მიუგო: – გზაზე იმიტომ ვწევარ, რომ გავიგო, ვინ კეთილია და ვინ – ბოროტი“.

ჯუმბერ ლეჟავა თავის ბოზოქარ ცხოვრებას – სათავგადასავლო მატიანეს, რომლის გამოცემა სერიულად – 50 ტომად არის განზრახული, შეულამაზებლად, პირუთვნელად გადმოგვცემს – თუ როგორი იყო ამა თუ იმ ქვეყნისა თუ ხალხის, პირისა თუ პიროვნების, პოლიციელისა და მესაზღვრის, სპეცსამსახურების დამოკიდებულებას მარტოხელა მოგზაურისადმი – ველოსიპედი რამდენჯერ ჩამოართვეს, დაუმაღეს, მოჰპარეს ან აწვალეს, ქვაც ესროლეს, მოწამლეს და დაჰპანდურეს. აი, ასეთი გულახდილი მონათხრობით შევეყვართ მოგზაურს თავის სათავგადასავლო სამყაროში, სადაც ობიექტურად, მისხალ-მისხალ, ყოველგვარი მიკერძოების გარეშე აგვიწერს ქვეყნებისა და სახელმწიფოების კლიმატს, ღირსშესანიშნაობებს, ეთნორეალიებს, კულტურულ მემკვიდრეობას, თითოეულ ფაქტსა თუ შემთხვევას. მოგზაურული და მწერლური ნიჭის გარდა, გულახდილობა, ფაქტის შეულამაზებლად გადმოცემა დიდ ღირსებას ჰმატებს ამ წიგნს, მის ავტორს და საერთოდ, ასეთი ტიპის ნაწარმოებს. ამასთან დაკავშირებით დავიმოწმებთ დიდი ქართველი კლასიკოსი მწერლის კონსტანტინე გამსახურდიას გერმანიაში თავსგადახდენილ ამბავს. ბატონ კონსტანტინეს სწავლის მიზნით გერმანიის ერთ-ერთ ქალაქში რკინიგზის ბაქანზე ჩასულს გაზეთის გამყიდველი („მეგაზეთე“) დაუნახავს და დამტვრეული გერმანულით უთქვამს – ესა და ეს გაზეთი მომყიდეთ. გამყიდველს კი პანდური უთავაზებია, თან ასე დაუყოლებია: – „წადი, ჯერ გერმანული ისწავლო“... სიწრფელე, გულახდილობა, უშუალობა და მიუკიბავი თხრობა ერთიორად ზრდის ჯ. ლეჟავას ამ „ოდისეას“ – მკითხველი ვერ წყვეტს კითხვას – სად გაჩერდეს, სად, რა ეპოზიდის თხრობისას შეასვენოს თავალი.

რეკორდებისა და მოგზაურობის წიგნში აისახა მეორე მსოფლიო ომის პერიპეტები და მისდროინდელი თბილისი, ბავშვობის წლები, ბავშვური ცეტობა, საბავშვო თამაშობანი, სკოლა და მასწავლებლები, „საბჭოთა ყოფის“ ადამიანის ავი და კარგი, საბჭოთა კავშირისა და ტოტალური რეჟიმის დაშლა, წიგნის ავტორის ეროვნულ მოძრაობაში ჩართვა. ჩვენ წინ ცოცხლდება საქართველოს დამოუკიდებლობის გზაზე შემდგარი ქვეყნის სურათები, თითქოს ახლაც ჩაგვესმის ცალკეულ პოლიტიკოსთა მცდარი და მერყევი ეროვნული ნაბიჯების ხმა, რომლის ექო თითოეულში ახლაც არამარტო მედიტაციურ ჭვრეტას იწვევს...

წიგნი განკუთვნილია ყველა ასაკისა და ეროვნების მკითხველისათვის, ტურისტების, მოგზაურების, ეთნოგრაფის, ისტორიკოსის, გეოგრაფის... სპეციალისტებისათვის, ფართო მკითხველი საზოგადოებისათვის...

ველომოგზაურის წიგნი გვასწავლის, თუ რატომ უნდა იცოცხო ამ ქვეყნად, რა და როგორ აკეთო, როგორ უნდა ძლიო საკუთარ თავს, სისუსტეს, უძლურებას, სენს, ბოროტებას...

*სტილური რედაქტორი,  
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,  
კაკასიის ხალხთა მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი,  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი*  
**ზადრი ცხადაძე**  
21. 12. 2013 წ.



## *sanitiro nakamura*

იაპონელი მწერალი (დაიბადა 1918 წ.) ავტორი ცნობილი მოთხრობისა „გზა ტაძრისაკენ“. მის შემოქმედებაში შეინიშნება, რაღაც ამოუხსნელი იდეა-მაღლება, ეს კი ძალიან იშვიათი და ძლიერ არსებითი მხარეა მისი მხატვრული შემოქმედებისა.

მას გამოქვეყნებული აქვს რომანები: „სიკვდილის საფარქვეშ“ (1946 წ.), „სიონის ქალიშვილები“ (1948 წ.), „სიყვარულისა და სიკვდილის ღმერთი“ (1950 წ.). პიესების კრებული, ლექსები და ლიტერატურულ-კრიტიკული ესეები. რუსულ ენაზე თარგმნილია მისი ორი მოთხრობა „გაცოცხლებული შიში“ და „შორეულ წარსულში“ 1960-1970 წწ. კრებულში „იაპონური ნოველა“. იაპონელი კრიტიკოსები მას თვლიან დასავლური მიმართულების მწერლად, თუმცა იმავდროულად ღრმად იაპონელ მწერლად მიიჩნევა.

ს. ნაკამურა ომის შემდგომ თაობის მწერალთა ჯგუფს მიეკუთვნება, მის შემოქმედებისთვის ნიშანდობლივია იმედგაცრუება წარსულის იდეალებში, რაც დაკავშირებულია იაპონიის არმიის მარცხთან მეორე მსოფლიო ომში და იმ გამოხდომებთან, რაც ადამიანების მოუწყობელ, არაკომფორტულ არსებობითაა განპირობებული.

# გზა ტაძრისაკენ

იაპონია XX ს.

- დედა სად მივდივართ? – შეეკითხა გოგონა დედას.
- მამასთან ერთად მივდივართ – უპასუხა დედამ.
- მამა, სად მივდივართ? – ახლა მამას შეეკითხა გოგონა და თან ცდილობდა მისთვის სახეში ჩაეხედა, ლამაზი და გულუბრიყვილო თვალებით.
- სად, სად? – არ ცხრებოდა გოგონა.
- ერთ ძალიან კარგ ადგილას,- მშვიდად უპასუხა დედამ გაჯიუტებულ პატარას. სწრაფად გადახედა მკაცრად მდუმარე ქმარს. გოგონამ ნება მისცა მშობლებს კვლავინდებურად ხელჩაკიდებული ეტარებინათ ის ხალხმრავალ ქუჩაში. ჯერ არასოდეს გამოუყვანიათ ის სახლიდან ასე გვიან. ყველაფერი ახალი იყო მისთვის, ის მიაბიჯებდა დედასთან და მამასთან ერთად, თან მაღაზიის განათებულ ვიტრინებს ათვალთვლებდა. თუკი განათებულ შუქს რომელიმე გამვლელი ჩამოეფარებოდა, გოგონა ყელს მოიდერებდა რომ წუთითაც არ გამორჩენოდა გასაოცარი სანახაობა. აი, მან კვლავინდებურად ამოიღო ხმა.

– დედა, მშია!

მამამ გაბრაზებით სახით გადახედა ქალიშვილს.

– ახლა ამის დრო არ არის! – უთხრა მან დედას გაღიზიანებული ტონით, რომელშიც ნათლად ისმოდა „გაათამამე, შენ ქალიშვილი, საერთოდ არ იცის, სად, როგორ მოიქცეს“. გოგონამ იგრძნო მამის სიტყვებში გაღიზიანებული ტონი და შეებრალა დედა. მან ატირებული სახით დაუმახა დედას, დედამ კი ჩათვალა, რომ შვილი შიმშილისაგან ტიროდა.

– უნდა ვაჭამოთ ბავშვს. საბრალოს მოშივდა ძალიან! შემრიგებლური ტონით თქვა დედამ და მოკრძალებით გადახედა ქმარს.

– კარგი. აი, საფუნთუშე, უყიდე მას რამე – მამა გაჩერდა და წყნარად დაუმატა: – ჰკითხე მათ, იქნებ იციან სასახლისკენ გზა, თან სწრაფად გადახედა გოგონას, რომ დარწმუნებულიყო, გაიგო თუ არა გოგონამ სიტყვა „ტამარი“. გოგონამ გაიგო. ისინი მიდიან რომელიღაც ტამარში, მაგრამ არ სურდა მშობლებსათვის შეემჩნევინებინა, რომ ყველაფერი გაიგონა, თავი მოიკატუნა, თითქოს ქუჩაში რაღაც სანახაობამ გაიტაცა... იქ, სამნი შევიდნენ, სანამ დედა ყიდულობდა ფუნთუშას, მამამ ხმამაღლა დაჰკითხა გამყიდველი. გოგონამ გაიგონა, თუ როგორ წარმოთქვა მამის ბაგეებმა სიტყვა „ტამარი“.

– რა კარგი ბავშვია – წარმოთქვა მოლარემ – რამდენი წლის ხარ გოგონი?

– ხუთის, – უპასუხა გოგონამ და რატომღაც უცებ შეიმშუმშა, დედას მიეკრა მთელი სხეულით.

ოჯახი ისევ ქუჩაში გამოვიდა.

– საერთოდ ერთი რამ გასაგებია – თქვა მამამ და გაჩერდა შუა ტროტუარზე – უნდა ვიაროთ პირდაპირ და მხოლოდ შუქნიშანთან მარცხნივ შევუხვიოთ.

– ჩქარა მაინც ვიაროთ, თორემ უკვე ბნელდება. – თქვა დედამ.

– სად გვეჩქარება ახლა უკვე სულერთია ყველაფერი – საყვედურით შეედავა მამა.

– დედა მწყურია! – წამოიწყო ისევ გოგონამ.

– აქვე კუთხეში პარკია, იქ ფანტანი იყო, მახსოვს, იქ დალევ. – გამოეპასუხა მამა.

ისინი შევიდნენ პატარა სკვერში და იქ, გრძელ სკამზე ჩამოსხდნენ. გოგონამ იგრძნო, რომ სულაც არ შიოდა, მაგრამ დედა რომ არ შეწუხებულიყო ფუნთუშას ციციქნიდა.

– ჩქარა არ ჭამო, კარგად აღზრდილი გოგონები ასე არ იქცევიან – გაუწყრა მამა, მაგრამ ჩანდა, რომ მისი გონება სულ სხვაგან ჰქროდა.

– მე მგონი მაინც სულ ტყუილად წამოვიყვანეთ ჩვენ ბავშვი. – თქვა დედამ.

– მე ხომ გეუბნებოდი დილით, მოდი, ბებიასთან დავტოვით-მეთქი. – უპასუხა გაბრაზებულმა მამამ და გაჩუმდა. მერე ისევ ხმამაღლა დაუმატა – შეხედე, ერთი სულ ჩამოხნულდა უკვე. ყველა ფანჯრებში შუქი ანთეს, თუ დღეს ვერ ვიპოვით იმ ადგილს, მაშინ რა? – იკითხა დედამ.

– მთელი ღამე უნდა ვიაროთ – მოუჭრა მამამ – მაგრამ რა ვუყოთ ბავშვს?

გოგონამ გაიგონა დედის შეკითხვა და ჭირვეულად თქვა: – დედა, დავილაღე!



– ბავშვი დილის ექვსი საათიდან ფეხზეა. აი, უკვე ზეზეულად ეძინება, სულ მისუსტებულია; დედამ გოგონა მუხლებზე დაისვა და მოეხვია. გოგონამ თვალელები მოჭუტა, თავი მოიმძინარა და სადამოს სინათლის ციაგი აუთამაშდა მოხუჭულ ქუთუთოებში; თეთრად, მწვანედ და წითლად.

– არაფერია ჩვენ რომ სახლი ასე მივატოვეთ? - წაიჩურჩულა დედამ.

– კარგი. ეშმაკსაც წაუღია სახლი, ჩვენ უკვე იქ არ დავბრუნდებით. – ისევ გაღიზიანებით წაისისინა მამამ.

– ჩემი საქარგავი სასტუმრო ოთახში დარჩა. თითქოსდა არც ესმოდა, ისე განაგრძო დედამ.

– ოჰო, ეს კიდევ რა არის? ნახე შარვლის ჯიბეში გასაღები მაქვს ჩარჩენილი. ეს მთელი უსარგებლო ხარახურა – სანაგვე ორმოში! – თორემ ვერასოდეს ვერ მივაგნებთ ტაძარს. გასაღები წვრიალით დაენარცხა ფონტანს.

გოგონას გაახსენდა რომ დაავიწყდა წყლის დაღვევა, მაგრამ თვალის გახელა არ შეიძლებოდა, დედა მამასთან მაშინვე შეწყვეტდა საუბარს. იგი თავს იმძინარებდა და ამ მოჩვენება-მოჩვენებაში ნამდვილად ჩაეძინა. როდესაც თვალელები გაახილა გოგონამ დაინახა, რომ თეთრად შეღებულ უცნობ ოთახში იმყოფებოდა. ოთახი ძალიან ნათელი იყო.

– ეს ტაძარია, არა? – იკითხა მან.

– რაა? – გაბრაზდა მამა – როგორ გაბედე უფროსების საუბრისთვის ჩუმიად ყურის მიგდება?

– იგი უკვე პატარა არ არის – ჩაერთო დედა საუბარში. – უკეთესია, თუ მას ყველაფერს მოვუთხროთ.

– ადექი. დედა ჩაგაცმევს – მამა პირსაბანთან მივიდა, რომელიც ოთახის კუთხეში იყო მოთავსებული და წვერის პარსვას შეუდგა.

დედამ გოგონა ფეხზე დააყენა. ზურგზე კაბის ღილებს უბნევდა, თან უხსნიდა:

– ეს ჯერ კიდევ არ არის ტაძარი. მის სამებრად ჩვენ ახლა წავალთ! გოგონას გაეხარდა. მას ჩააცვეს მისი ყველაზე საყვარელი კაბა.

ბედნიერებაა, მთელი დღე ისეირნო მამასთან და დედასთან ერთად. დაიღლები და მათ ხელებში დაისვენებ. „ასე ხომ კარგია? ნეტა ტაძრის ძეგლს ცოტათი გაჭიანურდებოდეს“. ნაშუადღევს ოჯახი მთავარ გზაზე გავიდა, სადაც განუწყვეტლივ ერთმანეთის მიყოლებით, გრუხუნით, ხმაურით, მოტორის გუგუნით გარბოდნენ მძიმე სატვირთო ავტომანქანები. ფეხით მოსიარულეები აქ თითქმის არ იყვნენ.

– ეს ხომ ქალაქგარეა, საყვარელო, - ადელვებულმა თქვა დედამ.

– ნამდვილად. ციხე-დარბაზი კი ქალაქის შუაგულში უნდა იყოს.

– გუმინ შენ, საფუნთუშეში ნამდვილად გითხრეს, მარცხნივ მოუხვიეთო?

– რა თქმა უნდა, მარცხნივ. შეიძლება ჩვენ სხვა შუქნიშანთან მოვუხვიეთ – მამამ ნაღვლიანად დაიწყო ხელები გულზე და ჩაფიქრდა.

გოგონამ შეხედა თავის წითელ ფეხსაცმელებს და უცებ შეენანა, ისინი ისეთი დამტკვრილი იყვნენ...

– რა გაეწყობა, უკან უნდა დავბრუნდეთ – გადაწყვიტა ბოლოსდაბოლოს მამამ და პირველმა თვითონ გაბიჯა უკუმიმართულებით. დედამ გოგონა

ხელში აიყვანა და მას უკან მიჰყვა. მამა ჩქარა მიდიოდა და რაღაცას თავისთვის გაუგებრად ცხვირში დუდლუნებდა. დედა დაძაბული ფიქრობდა თავისთვის და ცდილობდა არ ჩამორჩენილიყო. გოგონა ჯერ მორჩილად მიჰყვებოდა დედას, შემდეგ კი გაჩერდა და თქვა:

– მეტი სიარული აღარ მინდა!

– შეჩერდი, მოგვიცადე! – უყვია დედამ მამას ნაკვალევში რომ ვერ წამოეწია. იგი შემობრუნდა და მხრები აიჩეჩა: – რას მოუხერხებ შენ მას? ხმა უჩვეულოდ წყნარი ჰქონდა. და გოგონას ეს არ მოეწონა რატომღაც. უკეთესია იგი რომ ჰყვიროდეს – გაიფიქრა მან.

– აიყვანე ბავშვი ხელში! – უბრძანა მამამ და დედამ ხმის ამოუღებლად მორჩილად აიტაცა ბავშვი და წამოეწია მას. არ ლაპარაკობდნენ, მხარდამხარ მიდიოდნენ. ქალი თანდათან ჩამორჩა მამას, მაშინ მამამ გოგონა მხრებზე დაისვა.

– ამბობენ ტადარი, ჩამავალი მზის ოქროსფერ სხივებში იძირება და ზღაპრულად ლამაზია – ნამდვილად დასავლეთით უნდა ვიაროთ? – მყუდროება ისევ მამამ დაარღვია და ერთ-ერთ ქუჩაზე შეუხვია. გოგონას თვალწინ ცეცხლისფერი, წითელი ბურთი აუკიაფდა და იგი შეიშმუნა, თვალები მოეჭრა აუტანელი შუქისაგან, მას მალე მამის მხრებზე ჩაეძინა. როდესაც გოგონამ თვალები გაახილა, უკვე დედის ხელებში იყო და ბინდებოდა. მამა იჯდა ქვის კიბის საფეხურზე, რომელიც ჩაკეტილი კარიბჭისკენ მიდიოდა.

– ისევ მარცხი და უიღბლობა. – მიუბრუნდა მამა მის წინ მდგომ დედას, – მე კი მჯეროდა, რომ ჩვენ სწორ გზას ვადექით. ახლა ისევ ჩიხი..

– არა უშავს. – შეეცადა დედა მის გამხნეებას. – ჩვენ ვიპოვით ტადარს, ჩვენ ხომ უკვე მეტი არაფერი გვრჩება.

– მე შენ სულ მთლად გაგტანჯე – გაუგებრად ბუტბუტებდა მამა.

– არ იფიქრო ამაზე, ჯობია კიდევ ერთხელ ყველაფერი კარგად მოვიფიქროთ. აქამდე ჩვენ ვიყავით ძალიან დაუფიქრებლები.

მამა ნელა წამოდგა ფეხზე და ასფალტზე დააფურთხა – ჩვენ არა გვაქვს რუკა! – წარმოთქვა მან. თითქოს ხმამაღლა მსჯელობდა, – არა, არ იქნება ტადარი არც რუკაზე; მაგრამ ჩვენ გვაქვს თავისუფალი ნება.

– თუკი ძალიან მოვისურვებთ სურვილი აუცილებლად აგვისრულდება, თუნდაც ამას მთელი ცხოვრება დასჭირდეს. – განაგრძობდა ქმრის დასამშვიდებლად ცოლი. ....

– ეს მართალია რა თქმა უნდა, მართალია, შენ გაიხსენე, როცა ჩვენ დაქორწინება გადაწყვიტეთ ზუსტად ასე იყო. აქ ლაპარაკში გოგონა ჩაერია.

– მაგრამ სანამ თქვენ დაქორწინდებოდით, თქვენც იყავით მამა და დედა?

– მშობლებმა ერთმანეთს გადახედეს და გაიცინეს.

– ჩვენ ვიყავით ბავშვები – უპასუხა მამამ.

– მე ვინ ვიყავი? – ისევ იკითხა ბავშვმა.

– შენ ჯერ არ იყავი დაბადებული.

– აბა, მე ვინ ვიყავი დაბადებული თუ არ ვიყავი? – მამამ არ იცოდა, რა ეპასუხა და დედას შეხედა. ამ დროს პატარა კარიდან ფანრით ხელში გამოჩნდა ახალგაზრდა მამაკაცი, ის მივიდა მამასთან და ყურში რაღაც უჩურჩულა. დე-

დამ, შემფოთებულმა მიიკრა გოგონა გულთან. მამას სახე გაუნათდა. ლაპარაკი უცნობთან უფრო გამოცოცხლდა. მერე ამოიღო პიჯაკის უკანა ჯიბიდან კონვერტი და ახალგაზრდა მამაკაცს გადასცა. მამაკაცი მივიდა ქუჩის ფარანთან ახლოს და გადათვლა დაიწყო, მამაკაცი დედასთან დაბრუნდა და სიხარულით განაცხადა:

– ეს კაცი მიგვიყვანს ჩვენ ტაძრამდე!

– მართლა მიგვიყვანს? – იკითხა შემფოთებულმა დედამ. უნდოდ უყურებდა უცნობს, მაგრამ ის შემობრუნდა და გაუღიმა მას.

– ნუ სწუხდებით, ქალბატონო, მე ბევრჯერ გამიცილებია იქამდე სხვებიც, ისეთებიც როგორც თქვენ ხართ! – მერე ჩემი მადლობელი იქნებით და ამას ფულის გულისთვის სულაც არ ვაკეთებ, რომ იცოდეთ!

– ასეა თუ ისე, აქ ჩვენ სამუდამოდ ვერ ვიტრიალებთ – თქვა მამამ – მივენდოთ მას და წავიდეთ წინ!

ახალგაზრდა მამაკაცი წინ წაუძღვა ოჯახს.

ისინი დიდხანს დაეხეტებოდნენ ვიწრო შესახვევებში, უკაცრიელ ქუჩებში, განსაკუთრებით ბნელ ადგილებში გამცილებელი ჯიბის ფარანს ანათებდა. იქ მხოლოდ წლის ამ დროს შეიძლება მოხვედრა – ყველაზე საუკეთესო სეზონია და თან იქ, ახლა ადგილებია რამდენიც გენებოს. ცოტა ხალხმა იცის ტაძრის შესახებ, ხოლო იქ რეკლამებით არავინ არაა დაკავებული. ასე რომ ჩემნაირი გამცილებლის გარეშე თქვენ ვერაფერს გახდებოდით. ახალგაზრდა მამაკაცი მთელი გზა არ გაჩუმებულა. მისი მხიარული დაჯერებული ხმის მოსმენით დედა ცოტაოდენი აფორიაქდა.

– მე თავს უხერხულად ვგრძნობ, ასე რომ გამოვიყურები – უთხრა მან გამცილებელს.

– არაფერია საბოდიშო, იქ არავინ აქცევს ყურადღებას თუ რა გაცვია. მე კიდევ ცოტა რეკომენდაციას მოგცემთ მის შესახებ. მე იქ ყველას ვიცნობ, ჩათვალეთ რომ თქვენ გაგიმართლათ. ისეთი გამცილებლის გარეშე, როგორც მე ვარ, ამ დამით ფონს ვერ გახვიდოდით, ასეთ გზაზე დამით ვერაფერს ვერ იპოვიდით. – იკვებნიდა მამაკაცი – აი, უკვე თითქმის მოვედით. აქ მომიცადეთ, მე წავალ და მოველაპარაკები – განაცხადა ნახევარხმით გამცილებელმა, როცა ისინი აღმოჩნდნენ რომელიღაც ამაღლებული გორაკის ძირას, მის მისადგომებზე. ზევით ყველაფერი შავად გამოიყურებოდა, არაფერი ჩანდა. გოგონა და მისი მშობლები იდგნენ შემადლებულზე და უყურებდნენ გორაკზე ამაველ გამცილებლის ზურგს. უცებ იგი შემოტრიალდა – აი, რას მოგცემთ მე თქვენ – ჩემს ფარანს. როცა ზევით სინათლე აინთება ეს ნიშანი იქნება თქვენთვის – ამოსვლის დროა. მე თქვენ იქ დაგხვდებით. მე უფარანოდაც შემძლია იქამდე ასვლა. გზა ნაცნობია! – ხმამალა იყვირა გამცილებელმა და დაიწყო გორაკის ბილიკზე დაშვება. მამა წავიდა მის შესახვედრად და ფარანი გამოართვა. შემდეგ ოჯახი დიდხანს ელოდა სიბნელეში დათქმულ ნიშანს. დამის მყუდროებაში ის მშვიდი ატმოსფერო თავდაჯერებულობისა, რომელსაც ქმნიდა გამცილებელი მამაკაცის მხიარული ყბედობა, თანდათან გაქრა და მის ნაცვლად მოვიდა ცუდი წინათგრძნობა.

– ნეტავი ყველაფერი წესრიგშია? – ჩაიჩურჩულა დედამ.

– არ ვიცი, მოდი ცოტა კიდევ დავუცადოთ. – უპასუხა მამამ და გატანჯული თვალებით შეხედა ღამიულ წყვდიადს. – მე მას მივეცი ჩვენი ფულის ნახევარზე მეტი.

– ოჰ, ღმერთო ჩემო! – საცოდავად ამოიოხრა დედამ.

დედის ყვირილით შეშინებულმა გოგონამ, თვალები ოდნავ გაახილა, ზეზეულად თვლემდა, თავს ისე ამოდრავებდა თითქოს ცხვირით რამეს კენკავდა და თავიდან რომ არ გრძნობდა მშობლების დამაბულობას, ახლა უცებ წამოიტირა.

არ უნდა ანერვიულო ბავშვი! – თქვა გაღიზიანებულმა მამამ.

დედამ უჩუმრად ჩაიკრა პატარა გულში.

ისინი ზევით აბობდნენ. დაიწყეს გორაკზე ასვლა და გზას წკვარამ ღამეში ფარანით ინათებდნენ. ერთ ადგილას დიდხანს დგომისაგან და გაზრდილი განგაშის გამო დედას ფეხები ისე ჰქონდა დარბილებული, თითქოს ბამბისანი იყვნენ, ხოლო აღმართი უსაშველოდ დიდი ჩანდა.

გოგონა დედის ზურგზე თბებოდა, ამიტომ ჩაჩუმდა. ორი დღის განმავლობაში ამდენი შთაბეჭდილებებისაგან და მღელვარებისაგან ისე დაიქანცა, რომ ვერც კი გრძნობდა საკუთარ სხეულს.

– ძვირფასო, ჩვენ უკვე ზემოთ ვართ. – ჩაიჩურჩულა დედამ.

ფეხქვეშ სწორი გზა გადაჭიმულიყო, აღმართი დამთავრებულიყო.

– თითქმის კი, – გამოეპასუხა მამა და მისი ხმა თითქოს გალღვა ღამის სიბნელეში.

– გაანათე, ირგვლივ ფარანით, – ისევ ჩურჩულით თქვა დედამ. მამამ სიბნელე გაჰკვეთა ფარნის შუქით. ირგვლივ არაფერი იყო.

– რაღაც, ველია!

– ჰო, ველია..

არაფერი შენობის მსგავსი შორიახლოს არ ჩანდა. თუკი მხედველობას დაძაბავდი, შეიძლებოდა გაგერჩია სიბნელეში ბილიკი ფეხქვეშ, რომელსაც სადღაც შორს მიჰყავდით.

– ნუთუ მან ჩვენ მოგვატყუა? – იკითხა დედამ და მის აკანკალებულ ხმას მწუხარება დაეტყო. ოჯახი დაეხეტებოდა ამ მინდორზე, ძლივს მიათრევდნენ ფეხებს. გადაჰკვეთეს მინდორი. ეს სიზმარს ჰგავდა. ფეხები გტკივა, ნაბიჯებს თითქოს დგამ, მაგრამ ადგილიდან სულ არ იძვრი. დროდადრო მამა ფარნის შუქით ანათებდა ირგვლივ, მაგრამ სხივი იკარგებოდა თვალშეუდგამ... სიბნელეში. ბოლოს მან თქვა:

– რა გაეწყობა, აქ სადმე უნდა მოვიცადოთ, დილამდე. მოეწყვნენ ფურჩალა-ბალახზე. ოჯახი მოემზადა მინდორში ღამის გასათევად. სიცივე ძვლამდე ატანდა, თბილოდა მხოლოდ გოგონას, ღრმა ძილით ეძინა უშფოთველად. დედის გულს ჩახუტებულს. მშობლები ლაპარაკობდნენ დაბალ ხმაზე, ჩურჩული გამოსდიოდათ. ერთხელ გოგონამ ძილში ამოიოხრა, დედამ ლოყით შეეხო მის ნაზ თმებს, გოგონამ ძილში მოისმინა მამამ რომ ჩუმად თქვა:

– გიმძიმს შენ ჩემთან ცხოვრება, ძალიან გაგტანჯე, უშენოდ კი მე სულ დავიკარგებოდი.

გავიდა დიდი დრო. გოგონას გულადმა ეძინა, მას გაეღიმა, იმიტომ რომ უკვე გათენებულიყო. დილის სინათლემ თვალი მოსჭრა. იგი მწვანე ბალახზე იწვა, დიდი ველის შუაგულში. ზემოდან მამა დაჰყურებდა.

– სად არის დედა?

მამა ნაზად მოეხვია გოგონას და რბილად უთხრა:

– აბა, წავიდეთ ისევ.

– დედა?

მამამ მწუხარედ გააქნია თავი, და გოგონა მიხვდა, რომ დედის შესახებ შეკითხვა არ შეიძლებოდა, მას მოეჩვენა, რომ ერთ ღამეში ერთბაშად მოიხარა და დაბერდა მამა. ესე იგი, მე უნდა ვიყო მხიარული მამის და ჩემი გულისათვის, გადაწყვიტა გოგონამ. ამ დღეს როცა ისინი გზაზე მოდიოდნენ, მამამ მოუთხრო მას, ძალიან ბევრი რამის შესახებ. მათი მიზანი, იპოვონ ტაძარი, რა თქმა უნდა მთავარია, მაგრამ არანაკლებ მთავარია გზა, რომლითაც ისინი მიდიან ამ მიზნისაკენ. გოგონა გრძნობდა, რომ იგი ელაპარაკებოდა მას არა უფრო მეტად, ვიდრე გამქრალ დედას და კიდევ მას მოეჩვენა, რომ თავად იგი უფრო დიდი გახდა. გოგონა დედის შესახებ არ ეკითხებოდა. მან შეიგნო, რომ არის საგნები, რომელთა შესახებ არ ლაპარაკობენ. რაღაც გარკვეული დროის შემდეგ, გოგონამ უცებ შენიშნა, რომ ისინი გამოვიდნენ იმავე ქუჩაზე, რომელზედაც დადიოდნენ მოგზაურობის პირველ დღეს.

– მამა, ეს ის ქუჩაა! – იყვირა გოგონამ და მამას ხელზე მოქაჩა. მამამ აქეთ-იქით მიმოიხედა, ირგვლივ ვერაფერი შენიშნა ნაცნობი და საეჭვოდ უპასუხა:

– ჰო, მაგრამ მე რაღაც არ მაგონდება.

გოგონამ ერთხელ კიდევ იგრძნო მამის დაუჯერებელ ტონში, თუ როგორ დაბერდა იგი, და საგანგებოდ, ხმამაღლა, რომ გაემხნევებინა მამა, განაგრძობდა: – აი, ის საფუნთოშე, სადაც შენ გზას ჰკითხულობდი, არ გახსოვს?

– საფუნთოშე? – ისევ იკითხა მამამ. ამაოდ ცდილობდა მეხსიერებაში აღედგინა იგი.

– აი, შეხედე, აგერ ის, – თითოთ ანიშნა ქალიშვილმა მინის მიღმა, მან დაინახა ისევ ის მოლარე, რომელმაც მას „კარგი გოგონა“ უწოდა,

– გამარჯობა დეიდა! – იყვირა მან და მალაზიაში შევიდა.

– კეთილი იყოს თქვენი მოზრძანება! – უპასუხა მოლარემ.

– გახსოვთ, ჩვენ რომ ფუნთოშა ვიყიდეთ თქვენთან? – ჰკითხა გოგონამ.

– მართლა? როდის იყო ეს? – გაოცდა ქალი.

– როგორ არა. აი, აქ მე ვიდექი, დედის გვერდით დაუწყო მან ახსნა-განმარტება.

– აჰ, შენ ის გოგონა ხარ? – გაოცდა მოლარე – როგორ გაზრდილხარ? – მაშინ შენ ხუთი წლისა იყავი, არა? სად არის შენი დედა?

– ქალიშვილმა არ იცოდა რა ეპასუხა. მამას შეხედა, მან კი უთქმელად მოჰკიდა მას ხელი და ქუჩაში გაიყვანა. შიშით შეჰხედა მან თავის ანარეკლს მინის კარებში და შეჰხედა თავის წინ ათი წლის უცნობ გოგონას. არაფერია გასაოცარი, გაიფიქრა მან, მამა ხომ ასე დაბერდა. თან მოგონებები დედის შესახებ ისე გაფერმკრთალდა, თითქოს წაიშალა. მამასთან ერთად შორს წავიდა გოგონა

და უკვე გაუგებარი იყო, ვის ვინ მიჰყავდა ხელით, მამაკაცს გოგონა თუ გოგონას მამაკაცი.

გავიდა კიდევ დიდი დრო. – რამდენიმე საათი თუ რამდენიმე წელი.. მამა გოგონასთან ერთად აღმოჩნდა დიდი შენობის კარის წინ, რომელიც საწყობს ჰგავდა.

– აი, ბოლოს და ბოლოს, ჩვენი ტამარი – თქვა მამამ, – რა ბედნიერი იქნებოდა დედაშენი, სამწუხაროა ის, რომ არ არის, ახლა უკვე ძალიან გვიანია.

გოგონამ კი არა ახლა უკვე თითქმის ქალიშვილმა, ამოიოხრა, მთელი გულის ჯავრი ამოაყოლა და მამას შესჩივლა:

– ცხოვრებაში არაფერი არ არის ძალიან გვიან, მამა, ნუ ნაღვლობ!

– ჰო, შენ მართალი ხარ! – უპასუხა მამამ. შენ აქ მომიცადე, წავალ და გავიგებ, იქ, როგორ და რანაირადაა..

– მამა, ჯერ მოდი, საყელოს გაგისწორებ..

გოგონამ ყურადღებით შეხედა მამას, ახლა უკვე თითქმის ქალიშვილმა, რაღაც მოუწონა, გაუსწორა და ის წელში მოხრილი შევიდა შენობაში, რომლის კედლებში არ იყო არც ერთი ფანჯარა. ქალიშვილმა მზერით გააცილა იგი და სახით ქუჩისკენ შემობრუნებულმა, ირგვლივ მიმოიხედა. ტროტუარზე ბავშვები კენჭებით თამაშობდნენ. გზის პირას ხეთა ჩრდილები ჩურჩულებდნენ რაღაცას შეყვარებულებივით. შორს მდინარის პირას ანკესებით ხელში ისხდნენ მეთევზეები.

– შენ აქ რას აკეთებ? – გაისმა ზურგს უკან ახალგაზრდული ხმა. გოგონა თუ უკვე ქალიშვილი შემობრუნდა და დაინახა სპორტული აღნაგობის ჩამკვრივებილი ყმაწვილი, რომელსაც ფართოდ გაეშალა ფეხები და ტროტუარზე იდგა. ქალიშვილს მხიარულად გაუღიმა. მან იგრძნო მოულოდნელი უხერხულობა; მას ჰქონდა ისეთი ნათელი სინათლით სავსე თვალები, რომ მოეჩვენა თითქოს გულში ჩახედეს.

– მე მამას ველოდები!

– სად არის ის? – შენობის კედელს მიეყუდნენ და საუბარი წამოიწყეს. ახალგაზრდამ ხმამაღლა გადაიხარხარა.

– ტამარი? აი, ძალიან სასაცილოა! – არ არის ქვეყანაზე არავითარი ტამარი!

– შენ შეურაცხყოფ მამაჩემს! შეჰყვება ქალიშვილმა და თვალები ცრემლებით აევსო. მას ისე მოეწონა ეს ახალგაზრდა, მაგრამ ახლა მზად იყო შესძულებოდა იგი. დაინახა თუ არა ქალიშვილის თვალებში ცრემლი, ჭაბუკი უცებ სერიოზული გახდა:

– მაპატიეთ, გეთაყვა, მე არ ვფიქრობდი არავის შეურაცხყოფას, უბრალოდ ჩემებურად გავიფიქრე, თავისდაუნებურად, რისთვის სჭირდება ტამარი-თქო, ასეთი ახალგაზრდა თავს რატომ ისულელებს უაზრო ფანტაზიებით-თქო.

– მაგრამ ეს მისი ცხოვრებაა. შენ კი გაქვს უფლება სხვანაირად იცხოვრო, როგორც მოგესურვება ისე, წავიდეთ ჩემთან, იახტით ვისეირნოთ. ჩვენთვის ახალგაზრდებისათვის ზღვაზე უკეთესი არაფერია!

ქალიშვილმა ცრემლი შეიმშრალა და უარყოფითად გადააქნია თავი:

– არა, არ შემიძლია, მამა აქ მარტო დავტოვო. – თქვა და გაიფიქრა, მორჩა, ამ ახალგაზრდას ვერასდროს ვერ ვნახავ და გული შეეკუმშა. ახალგაზრდამ

უცებ ხელზე ხელი ძლიერ მოუჭირა და განაგრძო: – აი, მამინ რა. შედი შიგნით და მოძებნე მამაშენი, ეს უფრო უკეთესია, ვიდრე აქ ელოდო უსასრულოდ, მე კი აქ დაგელოდები. უცებ გულზე მოეშვა, ისევ მსუბუქი გახდა, ნამტირალევი სახე ღიმილით გაეზადრა, მანაც უპასუხა ჭაბუკს ხელის მოჭერით და სირბილით მივარდა შენობის კარებს.

შენობის შიგნით ბურუსი იდგა. შესასვლელის გვერდით საყრდენი ბოძი იყო. ზედ გაკრული იყო თეთრი ფირფიტა წარწერით: „რეგისტრაცია“, მაგრამ იქ არავინ იყო, არცერთი სულიერი არ ჭაჭანებდა. ზემოთ კიბე ადიოდა და ქალიშვილმა დაიწყო ასვლა მის საფეხურებზე. ასვლისას ხელით ეყრდნობოდა მის მოძველებულ და გაცვეთილ კიბის მოაჯირს. აღმართი მთავრდებოდა კედლით, ხოლო ზევით კი იწყებოდა ახალი კიბეები. იმის იქეთ კი ისევ კედელი და ახალი გადასარბენი, და კიდევ ასე და კიდევ ასე. ქალიშვილი ჯიუტად ადიოდა მაღლა და მაღლა. ის გრძნობდა, რომ ყოველი საფეხურით უფრო მეტად შორდებოდა გარეთ მომლოდინე ყმაწვილკაცს. მას უკვე ეჩვენებოდა, რომ არავითარი გარეთ არ არსებობდა, საერთოდ არის მხოლოდ ეს უსასრულო კიბე და მეტი არაფერი. ბოლოს კი ქალიშვილი აღმოჩნდა რომელიღაც კარის წინ. მან ნელა შეავლო ხელი მის ხის სახელურს, მერე მიუყურა და და მოუსმინა.. მას მოეჩვენა, რომ ესმის ხალხის ხმა. ისეთი ნაცნობი, როგორც ზუსტად მამის ხმა, ის სიამაყით უყვებოდა ვიღაცას მისი ქალიშვილის შესახებ. ნათელი იყო მთხრობელს არასოდეს მოსწყინდებოდა ამ თემაზე საუბარი. ქალიშვილს გაეღიმა და ხელი ჰკრა კარის სახელურს.

– მამა! – მოფერებით დაუმახა მან და ხელით ძლიერ მიაწვა კარს. მოემზადა კიდევ რომ გადაეხიჯა ზღურბლზე და კინაღამ წაიქცა, ძლივს მოასწრო სახელურზე ხელის წავლება. კარს იქით არაფერი არ იყო.. არც ოთახები, არც კედლები, არც ცა, მხოლოდ სიცარიელე. ქალიშვილი უყურებდა არაფერს. სიცარიელის დანახვა შეუძლებელია კიდევ, ეს აზრი მას გონებაში გაუბრწყინდა და მან იცოდა, რომ შემობრუნებულიყო, ვერ დაინახავდა ვერც იმ კიბის საფეხურებს, რამაც ის იქამდე მიიყვანა.

*თარგმნა მერაბ ჩაჩავამ*

GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY

# PARALLELI

Literary-Scientific Journal

**მთავარი რედაქტორი:**

რევაზ მიშველაძე

**სარედაქციო კოლეგია:**

მერაბ ახოზაძე

გიორგი გაჩეჩილაძე

ჯემალ გახოკიძე

გიორგი კულდონაშვილი

ვახტანგ დავითაია

ივანე თვალავაძე

იგორ კვესელავა

ჰენრი კუპრაშვილი

შალვა ნაჭყებია

ვაჟა პაპასკირი

გიორგი სალუქვაძე

**სოსო სიგუა**

*(რედაქტორის მოადგილე)*

არჩილ ფრანგიშვილი

ქეთევან ქოქრაშვილი

რუსუდან ქუთათელაძე

**ბადრი ცხადაძე**

*(პასუხისმგებელი მდივანი)*

თემურ ჯაგოდნიშვილი

ანანია ჯაფარიძე

**EDITOR:**

REVAZ MISHVELADZE

**EDITOR STAFF:**

MERAB AKHOBADZE

GIOGRI GACHECHILADZE

JEMAL GAKHOKIDZE

GIORGI KULDONASHVILI

VAKHTANG DAVITAIA

IVANE TVALAVADZE

IGOR KVESELAVA

HANRY KUPRASHVILI

SHALVA NACHKEBIA

VAZHA PAPASKIRI

GIORGI SALUQVADZE

**SOSO SIGUA**

*(DEPUTY EDITOR)*

ARCHIL FRANGISHVILI

QETEVAN QOQRASHVILI

RUSUDAN QUTATELADZE

**BADRI TSKHADADZE**

*(EXECUTIVE SECRETARY)*

TEMUR JAGODNISHVILI

ANANIA JAPARIDZE

LITERARY-SCIENTIFIC MAGAZINE OF THE BUSINESS-ENGINEERING FACULTY

ყდის დიზაინერი ვახტანგ დავითაია

კომპიუტერული უზრუნველყოფა ნონა ცაბაძე

ჟურნალი ხელმძღვანელობს კანონით პრესის შესახებ.

გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.

დაარსდა 1984 წელს, 2000 წლამდე გამოდიოდა წყვეტილად,

აღდგა 2011 წელს.

მისამართი: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

კოსტავას 77, VI კორპუსი, VI სართული, ოთახი 603ა

Editorial office address: GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY

Tbilisi, kostava 77; E-mail: [jurnali-paraleli@mail.ru](mailto:jurnali-paraleli@mail.ru)